ჯოჯო მოიესი
მენ
ბოლოს

თავი პირველი

ბარის ბოლოში ზორბა კაცი ოფლად იღვრება. თავი ჩაუქინდრავს და დასცქერის ჭიქას, რომელშიც ორმაგი სკოჩი უსხია. თუმცა ყოველ ორ წუთში მზერას ზურგს უკან, კარისკენ აპარებს. მოცისფრო განათების ქვეშ მისი ოფლის წვეთები ბზინავს. ღრმად, ცახცახით ამოისუნთქავს, თითქოს ოხრავსო და ისევ სასმელს უბრუნდება.

— ეი, უკაცრავად.

ჭიქების გაპრიალებას ვწყვეტ და მას ვუყურებ.

— კიდევ ერთი დამისხით, თუ შეიძლება.

მინდა ვუთხრა, რომ დალევა ცუდი აზრია, არაფერს უშველის, პირიქით — შეიძლება ალკოჰოლის დასაშვებ ნორმასაც გადააჭარბოს. მაგრამ ის ხომ დიდი ბიჭია, ბარის დახურვამდე კი ჯერ კიდევ თხუთმეტი წუთი რჩება. განაწესის მიხედვით, არანაირი უფლება არ მაქვს, უარი ვუთხრა. ამიტომაც მისკენ მივდივარ და ჭიქას ვიღებ. ერთ-ერთი ბოთლისკენ თავს მიქნევს.

— ორმაგი, — ამბობს და მსუქან ხელს დაცვარულ სახეზე ისვამს.

— შვიდი ფუნტი და ოცი პენსია თქვენზე.

სამშაბათი ღამეა, თერთმეტის თხუთმეტი წუთი და „შამროკი და კლოვერი“ (Shamrock and Clover — სამყურა და იონჯა, ირლანდიის სიმბოლოები), ისტ სიტის აეროპორტის ირლანდიური პაბი, რომელიც ისევეა ირლანდიური, როგორც — მაჰათმა განდი, დღეისათვის იხურება. ბოლო თვითმფრინავის აფრენიდან ათი წუთის შემდეგ ბარი იკეტება, ვრჩებით მხოლოდ მე, ახალ-

გაზრდა კაცი ლეპტოპით, მოხითხითე ქალი მეორე მაგიდასთან და კაცი, რომელიც ორმაგ ჯემისონთან ერთად ელოდება რეისს SC107, სტოკჰოლმის მიმართულებით, ან DB224-ს მიუნხენის მიმართულებით (ეს უკანასკნელი ორმოცი წუთით გადაიდო).

შუადღის შემდეგ ფეხზე ვარ, კარლის მუცელი ასტკივდა და სახლში წავიდა. ეს დიდად არ მანაღვლებს, გვიანობამდე მუშაობა არასოდეს მეზარებოდა. წყნარად ვღიღინებ მელოდიას „ზურმუხტის კუნძულის კელტური მუსიკის“ მერვე ალბომიდან და ჭიქების ასაღებად ორ ქალთან მივდივარ, რომლებიც ტელეფონში რაღაც ვიდეოს უყურებენ. შეზარხოშებულები ლაღად იცინიან.

— ჩემი შვილიშვილია. ხუთი დღისაა, — მომმართავს ქერა ქალი, როცა მისი მაგიდისკენ ვიხრები.

— საყვარელია, — ვუღიმი. ჩემს თვალში ყველა ბავშვი მოცხარის ფუნთუშას ჰგავს.

— შვედეთში ცხოვრობს. იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ უნდა წავიდე და შვილიშვილი ვნახო, ხომ ასეა?

— ბავშვის დაბადებას ვასველებთ, — ისევ სიცილი აუტყდათ, — შემოგვიერთდები? მოდი, შეისვენე ხუთი წუთით. ამ ბოთლს მარტოები დროულად მაინც ვერ დავცლით.

— უი, უნდა წავიდეთ. წამოდი, დორ, — ტაბლოზე გამოსახული ინფორმაციით შეშფოთებულები ნივთებს აგროვებენ და ალბათ მხოლოდ მე ვამჩნევ, სიარულისას ოდნავ როგორ ბორძიკობენ. მათ ჭიქებს ბარზე ვდებ და გასარეცხი ჭურჭლის ძებნაში ოთახს ვათვალიერებ.

— არასოდეს შეუპყრიხარ ცდუნებას? — შედარებით დაბალი ქალი შარფის ასაღებად მობრუნდა.

— უკაცრავად?

— რომ ერთხელაც, ცვლის ბოლოს, გასასვლელისკენ წახვიდე და თვითმფრინავში ახტე. მე ასე ვიზამდი, — ისევ იცინის, — ყოველდღე.

ვუღიმი, ისეთი პროფესიული ღიმილით, ნებისმიერი რამ რომ შეგიძლია ამოიკითხო და ბარისკენ ვტრიალდები.

ჩემ ირგვლივ მაღაზიები იკეტება, ფოლადის ჟალუზები ეფარება ძვირად ღირებულ ჩანთებსა და ტობლერონეებს (ტობლერონე — შოკოლადის ძვირადღირებული ბრენდი), სახელდახელო საჩუქრებად რომ ყიდულობენ ხოლმე. სინათლეები ციმციმით ქრება მესამე, მეხუთე და მეთერთმეტე გასასვლელებთან და დღის უკანასკნელი მოგზაურები ღამის ცაში უჩინარდებიან. ვიოლეტი, კონგოელი დამლაგებელი, ჩემკენ ურიკას მოაგორებს, ნელი რწევით მიახლოვდება, მისი რეზინისძირიანი ფეხსაცმელები მარმოლეუმის (მარმოლეუმი — ძვირფასი ლინოლიუმი) პრიალა იატაკზე ჭრიალებს.

— საღამო მშვიდობისა, ძვირფასო.

— საღამო მშვიდობისა, ვიოლეტ.

— ასე გვიან აქ არ უნდა იყო, საყვარელო. სახლში უნდა იყო, შენიანებთან.

ყოველღამე ერთსა და იმავეს მეუბნება.

— ცოტა ხანიც და წავალ.

ყოველღამე ამ სიტყვებით ვპასუხობ. კმაყოფილი თავს მიქნევს და გზას აგრძელებს.

აფორიაქებული ლეპტოპიანი ახალგაზრდა კაცი და სკოჩის გაოფლილი მსმელი უკვე წავიდნენ. ჭიქების დალაგებას ვასრულებ, ფულს ვითვლი, ორჯერ ვამოწმებ, სანამ ნაღდი კუპიურების რაოდენობა ჩანიშნულ თანხას უთანაბრდება. ყველაფერი ბუღალტრულ დავთარში შემაქვს, ტუმბებს ვსინჯავ, ვინიშნავ, რისი შეკვეთა გვჭირდება. მერეღა ვამჩნევ, ზორბა კაცის პალტო ჯერ კიდევ სკამზეა გადაკიდებული. მონიტორს ვამოწმებ, წესით, მი-

უნხენის რეისზე ჩასხდომა ახლა უნდა ხდებოდეს. კიდევ ერთხელ ვიყურები აქეთ-იქით და მამაკაცების საპირფარეშოსკენ მივდივარ.

— უკაცრავად, არის აქ ვინმე?

ჩემამდე ისტერიკაშეპარული, ნაწამები ხმა აღწევს. კარს ვაღებ.

სკოჩის მსმელი ნიჟარისკენ არის დახრილი, წყალს ისხურებს. სახეზე ცარცისფერი ადევს.

— ჩემს რეისზე ჩასხდომა გამოაცხადეს?

— ახლა დაიწყო. რამდენიმე წუთი კიდევ გაქვთ.

წასვლას ვაპირებ, მაგრამ რაღაც მაკავებს. კაცი მომჩერებია, თვალები შეშფოთებისგან ორ პაწაწინა ღილაკად გადაჰქცევია.

— არ შემიძლია, — ქაღალდის პირსახოცს იმარჯვებს და სახეს იმშრალებს, — ვერ ავალ თვითმფრინავში.

ვიცდი.

— ახალ უფროსთან შესახვედრად უნდა მივფრინავდე, მაგრამ არ შემიძლია. ვერ გავბედე, მეთქვა, რომ ფრენის მეშინია, — თავს აქნევს, — მეშინია კი არა, გული მისკდება.

ჩემ უკან კარი იხურება, ხელს არ ვუშლი.

— შენი ახალი სამსახური რა საქმიანობაა?

თვალებს ახამხამებს.

— აჰ... მანქანის ნაწილები. მე „ჰანტ მოტორსის“ ახალი უფროსი რეგიონული მმართველი ვარ, ასე ვთქვათ, სათადარიგო.

— მნიშვნელოვანი სამსახური ჩანს.

— დიდხანს მომიწია ამის მისაღწევად მუშაობა, — მძიმედ ყლაპავს ნერწყვს, — ამიტომ არ მინდა, ცეცხლის გორგალში დავიფერფლო, თანაც ჰაერში მფრინავ ცეცხლის გორგალში.

ლამის სულმა წამძლიოს და ვუთხრა, რომ ჰაერში მფრინავ ცეცხლის გორგალში ვერ დაიფერფლება, უფრო ელვის სისწრაფით მიწისკენ დაქანებულში, მაგრამ ეჭვი მაქვს, ეს არ დაამშვი-

დებს. სახეზე ისევ ისხურებს წყალს და ქაღალდის პირსახოცს ვაწვდი.

— გმადლობ, — ცახცახით ამოისუნთქებს, მხრებში იმართება და ცდილობს, თავი შეიკავოს, — ვეჭვობ, არასოდეს გინახავს მოზრდილი კაცი იდიოტივით იქცეოდეს, არა?

— დაახლოებით დღეში ოთხჯერ ვხედავ.

წვრილ თვალებს აჭყეტს.

— დაახლოებით დღეში ოთხჯერ მიწევს მამაკაცების საპირფარეშოდან ვიღაცების გამოტყუება. უმეტესად, ფრენის შიშის გამო.

ახამხამებული თვალებით მიყურებს.

— მაგრამ იცი, სხვებს ვეუბნები, რომ ამ აეროპორტიდან აფრენილი არც ერთი თვითმფრინავი არ ჩამოვარდნილა.

— მართლა? — გაოცებისგან კისერს უკან სწევს.

— არც ერთი.

— არც... ბილიკზე მომხდარა მცირე ავარია?

მხრებს ვიჩეჩავ.

— აქაურობა საკმაოდ მოსაწყენია. ხალხი მიფრინავს, დანიშნულების ადგილას ჩადის, რამდენიმე დღეში ბრუნდება, — კარს ვეყრდნობი, რომ შევაღო. ეს საპირფარეშოები საღამოსკენ კარგი სურნელით არ გამოირჩევა, — და საერთოდაც, მე პირადად ვფიქრობ, ადამიანს უარესიც შეიძლება შეგემთხვას.

— ჰო, ალბათ მართალი ხარ, — ჩემს ნათქვამს უფიქრდება, გვერდიდან მავლებს თვალს, — ოთხჯერ დღეშიო, არა?

— ზოგჯერ მეტჯერაც. ახლა კი, თუ წინააღმდეგი არ ბრძანდებით, ბარში უნდა დავბრუნდე. დიდად არ მარგებს, მამაკაცების საპირფარეშოდან გამოსული ხშირად შემამჩნიონ.

მას ეღიმება და წუთით ვხედავ, ჩვეულ გარემოში როგორი ადამიანი არის ხოლმე. ბობოქარი ბუნების კაცი. ხალისიანი კა-

ცი. თავისი საქმის — კონტინენტზე წარმოებული მანქანის ნაწილების მენეჯმენტის — ჩინებულად შემსრულებელი კაცი.

— იცით, მგონი თქვენს რეისს აცხადებენ.

— თქვენი აზრით, კარგად ვიქნები?

— კარგად იქნებით. ძალიან უსაფრთხო ავიახაზებია. ეს ხომ თქვენი ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე საათი იქნება. მისმინეთ, რეისი SK491 ხუთი წუთის წინ დაეშვა. გასასვლელთან ბორტგამცილებლებს შეამჩნევთ, რომლებიც სახლებში ბრუნდებიან, ლაყბობენ და იცინიან. მათთვის თვითმფრინავში ჩასხდომა ავტობუსით მგზავრობასავითაა. ზოგი მათგანი ამას დღეში ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც კი აკეთებს. ისინი სულელები როდი არიან. უსაფრთხო რომ არ იყოს, კი არ ჩასხდებოდნენ.

— ავტობუსით მგზავრობასავითაა, — იმეორებს.

— სავარაუდოდ, გაცილებით უსაფრთხო.

— მაგას წყალი არ გაუვა, — წარბებს მაღლა სწევს, — იმდენი იდიოტია გზებზე.

თავს ვუქნევ.

ჰალსტუხს ისწორებს.

— თან მნიშვნელოვანი სამსახურია.

— დასანანი იქნებოდა, ასეთი წვრილმანის გულისთვის ხელიდან გაგეშვათ. ცაში ყოფნას რომ მიეჩვევით, მერე აღარაფერი გიჭირთ.

— ალბათ. გმადლობთ...

— ლუისა, — ვპასუხობ.

— გმადლობთ, ლუისა. ძალიან კეთილი გოგო ბრძანდებით, — გამომცდელად მიყურებს, — იქნებ... თქვენ... მომავალში სასმელზე თუ დაგპატიჟებთ, დამთანხმდეთ?

— თქვენს რეისს იძახებენ, სერ, — ვეუბნები და კარს ვუღებ.

თავს მიქნევს, რომ სირცხვილის გრძნობა დამალოს, ჯიბეებს მთელი ალიაქოთით იქექავს.

— ცხადია. რა თქმა უნდა. კარგი... წავედი მე, მაშინ.

— ისიამოვნეთ იმ ბრჭყალებით.

მისი წასვლიდან ორი წუთის შემდეგ აღმოვაჩენ, რომ საპირფარეშოს მესამე სექციაში გული არევია.

სახლში ორის თხუთმეტ წუთზე ვაღწევ და მდუმარე ბინაში შევდივარ. პიჟამას შარვალსა და კაპიუშონიან მაისურს ვიცვამ, მაცივარს ვაღებ, თეთრი ღვინის ბოთლი გამომაქვს და ჭიქაში ვისხამ. ისეთი მჟავეა, კბილებს მკვეთს. ეტიკეტს ვუყურებ და მახსენდება, რომ გუშინ ღამით გავხსენი; ეტყობა, თავსახურის დაფარება დამავიწყდა. ასეთ რამეებზე ბევრი ფიქრი არაფრის მომცემია. სკამზე ბოთლიანად ვეშვები.

ბუხრის თაროზე ორი ბარათია. ერთი მშობლებისგან — დაბადების დღეს მილოცავენ. ის „საუკეთესო სურვილები“ დედაჩემისგან გულს ისე მისერავს, როგორც დანით მიყენებული ჭრილობა. მეორე ჩემი დისგანაა, მთავაზობს, შაბათ-კვირას ტომთან ერთად გესტუმრებიო. ეს ბარათი ექვსი თვის წინანდელია. ტელეფონზე ორი ხმოვანი შეტყობინება მხვდება, ერთი — სტომატოლოგისგან, მეორე — არა.

„სალამი, ლუისა. ჯარედი ვარ. „ბინძურ ბატში“ გავიცანით ერთმანეთი. ჩვენ სექსი გვქონდა (მოგუდული, უხერხული სიცილი). ეს იყო... იცი... მე ძალიან კარგი დრო გავატარე. ვიფიქრე, იქნებ ისევ შევხვედრილიყავით. ჩემი ნომერი იცი...“

როცა ბოთლს ვაცარიელებ, ახლის შეძენაზე ვფიქრობ, მაგრამ გარეთ გასვლა აღარ მინდა. არ მსურს, სადღეღამისო მაღაზიის სამირმა კიდევ ერთხელ იხუმროს, „პინო გრიჯიოს“ ბოთლებს დაუსრულებლად ყიდულობო. არ მსურს, ვინმეს ხმა გავცე. არაქათგამოცლილი ვარ, მაგრამ ეს ისეთი თავის ამატკივებელი დაღლაა, თუ დავწვები, არ დამაძინებს. ცოტა ხნით ჯარედზე ვფიქრობ და მის უცნაური ფორმის ფრჩხილებზე. ნუთუ უცნაური ფორმის ფრჩხილები მაწუხებს? მისაღები ოთახის ცარი-

ელ კედლებს ვაჩერდები და უცებ ვხვდები, ჰაერი მჭირდება. ნამდვილად მჭირდება ჰაერი. დერეფნის ფანჯარას ვაღებ, ბორძიკით ვფოფხდები საავარიო კიბეზე და სახურავზე ავდივარ.

როცა ცხრა თვის წინ პირველად დავდგი აქ ფეხი, მაკლერმა მაჩვენა, რომ ყოფილ მდგმურებს პატარა ბაღი გაეშენებინათ სახურავზე, მცენარეების რამდენიმე ნერგს თურმე თავს დაჰფოფინებდნენ და ძელსკამიც დაედგათ.

— ცხადია, ოფიციალურად თქვენს განკარგულებაში არ იქნება, — მაცნობა მაკლერმა, — მაგრამ ამოსვლა მხოლოდ თქვენი ბინიდანაა შესაძლებელი. ვფიქრობ, ლამაზია აქაურობა. წვეულების მოწყობაც კი შეგიძლიათ!

დაჟინებით მივაცქერდი — ნუთუ მართლა ვგავდი ადამიანს, რომელიც წვეულებებს მართავს ხოლმე? მცენარეები დიდი ხანია, დაჭკნნენ. როგორც ჩანს, დიდად არაფრის მოვლა არ გამომდის. ახლა კი ვდგავარ სახურავზე და ლონდონის წყვდიადს გავცქერი. ჩემ გარშემო მილიონობით ადამიანი ცხოვრობს, სუნთქავს, ჭამს, კამათობს. მილიონობით სიცოცხლე ჩემგან სრულიად განყენებულად მიედინება. უცნაური სიმშვიდე მეუფლება.

ქუჩის განათება ციმციმებს, ღამის ჰაერი კი ქალაქის ხმაურით იჟღინთება: ძრავების ღუღუნით, კარების ჯახუნით. სამხრეთით, რამდენიმე მილის (მილი — სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1.609344 კმ-ს) მანძილზე, პოლიციის ვერტმფრენის უხეში ხმა ისმის, მისი რადიოსხივები ადგილობრივი პარკის სიბნელეში გაუჩინარებულ არამზადას დაეძებს. სადღაც შორს სირენა წუის. სირენა ლონდონში ყოველთვის წუის.

— აქ მალე გაშინაურდებით, — მითხრა მაშინ მაკლერმა. ლამის გამეცინა. ქალაქი ისევე მეუცხოება, როგორც ყოველთვის. თუმცა, ბოლო დროს, თავს ყველგან უცხოდ ვგრძნობ.

ვყოყმანობ, მერე კი მოაჯირზე ვდგები, მკლავებს ვშლი, ოდნავ შემთვრალი ბაგირზე მოსიარულესავით. ერთ ფეხს მეორის წინ ვდგამ, ასფალტის კიდეზე ფრთხილად დავაბიჯებ, გაჭიმულ ხელებზე სიო ბუსუსებს ყალყზე მიყენებს. როცა პირველად გადმოვსახლდი აქ, როცა ყველაზე მეტად მიმძიმდა, ზოგჯერ საკუთარ თავს ვიწვევდი, ერთი ბოლოდან მეორეში გავსულიყავი. როდესაც ბოლოში ვაღწევდი, ღამის ცას შევხარხარებდი.

„ხედავ? აქ ვარ — ცოცხლად დარჩენილი — ზუსტად კიდეზე. იმას ვაკეთებ, რაც დამავალე!“

ჩვევად გადამექცა: მე, ქალაქის სილუეტი, სიბნელის მყუდროება, ანონიმურობა და იმის ცოდნა, რომ აქ, მაღლა არავინ უწყის, ვინ ვარ. თავს ვწევ, ღამის სიოს შევიგრძნობ, ქვემოდან სიცილი და ბოთლის დალეწვის ხმა მესმის. ქალაქში გველივით მიიკლაკნება ტრანსპორტი, უკანა განათების დაუსრულებელი წითელი ზოლით, თვითმოქმედი სისხლის გადასხმასავით. მხოლოდ დილის სამიდან ხუთ საათამდე ჩამოწვება ხოლმე შედარებით სიმშვიდე. ამ დროს ლოთები უკვე საწოლებში არიან მისვენებულები, რესტორნის შეფებს თეთრი წინსაფრები გაუხდიათ, პაბების კარები ჩარაზულია. მდუმარებას მხოლოდ აქა-იქ ღამის ტანკერები არღვევენ, ებრაული საცხობი იღება, გაზეთების დამტარებელი სატვირთოები ქაღალდის ხვეულებს ყრიან. ქალაქის ყველაზე შეუმჩნეველ მოძრაობებსაც ვცნობ, რადგან ღამღამობით აღარ მძინავს.

სადღაც დაბლა, ჰიპსტერებითა და აღმოსავლეთ უბნელებით სავსე „თეთრ ცხენში“ღამეს ათენებენ, შენობის გარეთ წყვილი კამათობს, ქალაქის მეორე ბოლოში მთავარი საავადმყოფო დავრდომილებსა და დაშავებულებს იფარებს — მათ, ვისაც წვალებით კიდევ ერთი დღე გაუთენდათ. აქ, მაღლა, მხოლოდ ჰაერია, წყვდიადი, ფედექსის სატვირთო რეისი ჰითროუდან პე-

კინის მიმართულებით და უამრავი მოგზაური, ბატონი სკოჩის მსმელის მსგავსად, ახალი ადგილებისკენ მიმავალი.

— თვრამეტი თვე. მთელი თვრამეტი თვე. როდის იქნება საკმარისი? — ვეკითხები ღამის უკუნს. და აი, ისევ ვგრძნობ მოულოდნელ ბრაზს, სისხლს რომ მიდუღებს. ფეხებს დავცქერი და წინ ორ ნაბიჯს ვდგამ, — ეს ხომ ცხოვრება არ არის. ეს არაფერი არ არის.

ორი ნაბიჯი. კიდევ ორი. ამ ღამით კუთხემდე მივალ.

— ჩემთვის ახალი ცხოვრება არ მოგიცია. ნამდვილად არა. უბრალოდ, ძველი დამინგრიე. პაწაწინა ნაწილებად დამიმსხვრიე. რა ვუყო ნარჩენებს? როდის ვიგრძნობ, — ხელებს ვშლი, სახეზე ღამის გრილ ჰაერს შევიგრძნობ და ვხვდები, რომ ისევ ვტირი, — ჯანდაბამდე გზა გქონია, უილ, — ვჩურჩულებ, — ჯანდაბამდე გზა გქონია, ჩემი მიტოვებისთვის.

სევდა ისევ მომაწყდა, უეცარი დინებასავით, მძლავრი და დაუძლეველი. და აი, როგორც კი ვგრძნობ, მასში როგორ ვიძირები, ხმა მესმის, სიბნელიდან:

— მგონი, მანდ არ უნდა იდგე.

სანახევროდ ვტრიალდები და კიბესთან თვალწინ მიელვებს პატარა, ფერმკრთალი სახე, მუქი თვალები რომ დაუჭყეტია. გაოგნებისგან ფეხი მიცურდება, სხეულის სიმძიმე არასწორ მხარეს იზნიქება.

გული ერთი წამით ადრე მივარდება, სანამ ჩემი სხეულიც იმავეს გაიმეორებს. მერე კი, ღამეული კოშმარივით, უწონადი ვხდები, უკუნი ღამის უფსკრულში, ფეხები თავზევით მიფართხალებს და მესმის კივილი, რომელიც ალბათ ჩემივეა...

ბრახ!

და მერე ყველაფერი დაბნელდა.

თავი მეორე

— რა გქვია, გენაცვალე?

კისერი სამედიცინო კორსეტით მაქვს დაფიქსირებული.

თავზე ვიღაცის ხელი დინჯად, ნაზად მეხება.

ცოცხალი ვარ, რაც საკმაოდ გასაოცარი ამბავია.

— აი, ასე. გაახილე თვალები. ახლა შემომხედე. შემომხედე. შეგიძლია, შენი სახელი მითხრა?

მინდა პასუხი გავცე, პირს ვაღებ, მაგრამ მხოლოდ მოგუდული, უაზრო ბგერები აღმომხდება. მგონი, ენა მოვიკვნიტე. პირში თბილ სისხლს ვგრძნობ, რკინის გემოთი. ვერ ვინძრევი.

— საკაცეზე გადაგაწვენთ, კარგი? შეიძლება წუთით უსიამოვნოდ იგრძნო თავი, მაგრამ მორფინს გაგიკეთებ და ტკივილი შეგიმსუბუქდება.

მამაკაცის ხმა მშვიდია, გაწონასწორებული, თითქოს ასფალტზე დამტვრეული გდება და ბნელი ცის ყურება მსოფლიოში ყველაზე ნორმალური იყოს. გაცინება მინდა. მინდა ვუთხრა, რა კომიკურია, აქ რომ ვარ. მაგრამ არაფერი გამომდის.

მამაკაცის სახე უჩინარდება. ნეონისფერ ქურთუკში ჩაცმული ქალი, რომელსაც ცხენის კუდად შეკრული მუქი, ხვეული თმა აქვს, თავს მადგება და თვალებში პატარა ფარანს მანათებს. ისეთი უემოციო გამომეტყველებით დამცქერის, თითქოს რაიმეს საკვლევი სახეობა ვარ და არა — ადამიანი.

— გავახვიოთ?

მინდა, ხმა ამოვიღო, მაგრამ ფეხები ისე მტკივა, ვერ ვახერხებ. „ღმერთო!“ — ვფიქრობ გულში.

— აღენიშნება არაერთი დაზიანება. თვალის გუგები ნორმაშია. წნევა სამოცი ოთხმოცდაათთან. გაუმართლა, ტენტზე რომ დაეცა. დიდი განსხვავება არაა შეზლონგზე დაშვებასა და ამას

შორის. ისე, ეს დაჟეჟილობა არ მომწონს, — დიაფრაგმაზე ცივი ჰაერი მხვდება და თბილი თითების მსუბუქ შეხებას ვგრძნობ, — შინაგანი სისხლდენაა?

— მეორე ბრიგადაც გამოვიძახოთ?

— ერთი ნაბიჯით უკან დაიხიეთ, თუ შეიძლება.

სხვა მამაკაცის ხმა პასუხობს:

— გარეთ მოსაწევად გამოვედი და ჩემს აივანზე დაეცა. ლამის თავზე დამეცა.

— გაგიმართლათ, რომ მართლა თქვენ არ დაგეცათ.

— გაოგნებული ვარ. ვინ ელოდება, რომ ციდან ვიღაც ჩამოვარდება? შეხედეთ ჩემს სკამს. მაგაში რვაასი ფუნტი გადავიხადე, „კონრანის“მაღაზიაშია ნაყიდი... თქვენი აზრით, შევძლებ ავანაზღაურებინო?

წუთით ყველა დუმს.

— როგორც მოგესურვებათ, ბატონო. იცით რას გეტყვით, ბარემ თქვენი აივნიდან სისხლის ჩამორეცხვის საფასურიც გადაახდევინეთ. როგორი აზრია?

პირველ კაცს თვალები კოლეგისკენ ეპარება. სახურავიდან გადმოვვარდი? სახე გაყინული მაქვს და ვხვდები, რომ კანკალს ვიწყებ.

— შოკში ვარდება, სემ.

სადღაც დაბლა ფურგონის კარი იღება. მერე საკაცე, რაზეც ვწევარ, მოძრაობას იწყებს და წუთით — ტკივილი, ტკივილი, ტკივილი — ყველაფერი ბნელდება.

სირენის ხმა და ლურჯი სინათლის მორევი. ლონდონში ყოველთვის ისმის სირენა. სადღაც მივიწევთ. სასწრაფო დახმარების მანქანის სალონში ნეონის შუქი ციმციმებს. მწვანეუნიფორმიანი კაცი მობილურს უკირკიტებს, სანამ ჩემკენ მოტრიალდება წვეთოვანის შესამოწმებლად. ტკივილი შემიმსუბუქდა — მორფინი? — მაგრამ გონს მოსვლასთან ერთად თავზარდაცემა იზრდე-

ბა. თითქოს ჩემში გიგანტური უსაფრთხოების ბალიში იბერება და ყველაფერ დანარჩენს ღობავს. ო, არა... ო, არა.

— უგაცღავად?

კაცი ორი ცდის შემდეგ ხვდება, რომ ვეძახი. მისი მხარი ფურგონის კედელსაა მიყრდნობილი. ტრიალდება და სახეზე მაკვირდება. ლიმონის სურნელი ასდის და გაპარსვისას ალაგ-ალაგ გამორჩენია სამართებლის ასმა.

— კარგად ხართ?

— მე...

ჩემკენ იხრება.

— ბოდიში. სირენების ხმაში ძნელია რამე გაარჩიო. მალე მივალთ საავადმყოფოში, — თავის ხელს ჩემსას ადებს. მშრალია, თბილი და დამაჯერებელი. უეცრად შიში მიპყრობს, ვაითუ ხელი გამიშვას, — გამაგრდი. რამდენ ხანში მივალთ, დონა?

სიტყვებს ვერ ამოვთქვამ. ენა პირში გამსიებია. ფიქრები ამეზილა, ერთმანეთს ედება. მხარი გავანძრიე, როცა ამიყვანეს? მარჯვენა ხელი ავწიე, ხომ?

— გარალიზებული ვგარ? — ჩურჩულით აღმომხდა.

— რა? — ყური ჩემს პირთან ახლოს მოაქვს.

— გარალიზებული? გარალიზებული ვუარ?

— პარალიზებული? — კაცი ყოყმანობს, თვალებში მიყურებს, მერე ტრიალდება და ფეხებზე დამცქერის, — აბა, თითები აამოძრავე.

ვცდილობ გავიხსენო, როგორ უნდა ვამოძრავო ფეხები. უფრო მეტი კონცენტრირება მჭირდება, ვიდრე — ჩვეულებრივ. კაცი მსუბუქად ეხება ჩემი ფეხის თითს, თითქოს მახსენებს, სადაა.

— კიდევ სცადე. აი, გამოგივიდა.

ორივე ფეხში ტკივილი მივლის. სუნთქვა მეკვრის, შეიძლება ცრემლებისგანაც.

— კარგად ხარ. ტკივილი კარგია. ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ არა მგონია, ხერხემლის დაზიანება გქონდეს. მენჯი და რამდენიმე ძვალი გაქვს დალეწილი.

კვლავ მზერას მისწორებს. კეთილი თვალები აქვს. ხვდება, როგორ მჭირდება, რომ დამამშვიდონ. მის ხელსაც ისევ ვგრძნობ ჩემსაზე. ასე არასოდეს დამჭირვებია ადამიანური შეხება.

— მართლა. დარწმუნებული ვარ, არ ხარ პარალიზებული.

— ო, მაგლობა გმერთს, — საკუთარი ხმა შორიდან ჩამესმის. თვალები უცრემლიანდება, — გთგოვ, გელი აგ გამიშვა, — ვჩურჩულებ.

სახე ახლოს მოაქვს.

— არ გაგიშვებ.

მინდა ხმა ამოვიღო, მაგრამ თვალებზე ლიბრი მეკვრის და ისევ ვკარგავ გონებას.

მოგვიანებით მითხრეს, რომ მეხუთე სართულიდან მესამეზე ჩამოვვარდი, ბრეზენტის ტენტი ჩავანგრიე და საუკეთესო ხარისხის, დიდი ზომის წნელის, წყალგაუმტარბალიშებიან შეზლონგზე დავეცი, ბატონ ენტონი გარდინერის აივანზე. ის საავტორო უფლებების ადვოკატია და მეზობელი, რომელსაც არასოდეს შევხვედრივარ. მენჯი ორ ნაწილად გადამემტვრა, ორი ნეკნი და ლავიწის ძვალიც. მარცხენა ხელზე ორი თითი მოვიტეხე, ტერფის ძვალი კი კანიდან მქონდა ამოჩრილი, რის დანახვაზეც სამედიცინო სასწავლებლის ერთ-ერთ სტუდენტს გული წაუვიდა. ჩემი რენტგენის სურათი გამაოგნებელია.

გონებაში გამუდმებით ჩამესმის სასწრაფო დახმარების ექიმის ხმა: „არასოდეს იცი, რა მოხდება, როცა დიდი სიმაღლიდან ვარდები“. როგორც აღმოჩნდა, ძალიან იღბლიანი ვყოფილვარ. ამას მეუბნებიან და ღიმილით მელოდებიან, თითქოს მეც გაბადრული სახით უნდა ვუპასუხო ან იქნებ წავიცეკვო კიდეც. თავს

საერთოდ არ ვგრძნობ იღბლიანად. არაფერს ვგრძნობ. ჩამთვლემს და ვიღვიძებ, ზოგჯერ ჩემ ზემოთ ისეთი კაშკაშა შუქებია, თითქოს მოქმედ თეატრში ვარ, მერე კი სიწყნარეა, დადუმებული ოთახი. ექთნის სახე. საუბრის ნაგლეჯები. ნახე, რა არეულობა დაატრიალა მოხუცმა ქალმა დ4-ში? ცვლაც მაგას ჰქვია, არა? შენ „პრინცესა ელიზაბეტში“ მუშაობ, ხომ? შეგიძლია გადასცე, რომ სასწრაფო დახმარების კლინიკის მართვა არ გვესწავლება. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა.

ლუისა, შენ დაისვენე. ყველაფერს ჩვენ მივხედავთ. უბრალოდ დაისვენე.

მორფინი მაძინებს. დოზას მიზრდიან. დავიწყებაში გადავარდნა შვებას მგვრის.

თვალებს ვახელ და საწოლის კიდეზე დედაჩემი მხვდება.

— გაიღვიძა. ბერნარდ, გაიღვიძა. ექთანს ხომ არ დავუძახოთ?

„თმის ფერი შეუცვლია, — ვფიქრობ ჩემთვის. მერე კი, — აუჰ. ეს ხომ დედაჩემია. დედაჩემი აღარ მელაპარაკება“.

— ოჰ, მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! — დედაჩემი ყელზე ჩამოკიდებულ ჯვარცმას ეამბორება. ვიღაცას მახსენებს, მაგრამ ვერ ვხვდები, ვის. ჩემკენ იხრება და ლოყაზე ნაზად მეფერება. რატომღაც ამაზე თვალები ცრემლებით მევსება, — ოჰ, ჩემო პატარა გოგონა, — ისეა გადმოფარებული, თითქოს მეტი დაზიანებებისგან მიცავს. მისი სუნამოს სურნელს ვგრძნობ, ისეთი ნაცნობია, თითქოს ჩემი იყოს, — ოჰ, ლუ, — ცრემლებს ქაღალდის ხელსახოცით მწმენდს, — რომ დამირეკეს, შიშისგან გული გამისკდა. გტკივა? რამე ხომ არ გჭირდება? მოხერხებულად ხარ? რამე მოგიტანო?

ისე სწრაფად ლაპარაკობს, პასუხის გაცემას ვერ ვასწრებ.

— როგორც კი გაგვაგებინეს, მაშინვე მოვედით. ბაბუას ტრინა უვლის. ბაბუ მოკითხვას გითვლის. თავისებურად ჩაიფრუტუნა,

მაგრამ ხომ ყველა ვხვდებით, რომ ეს სიყვარულის ნიშანია. ოჰ, ჩემო საყვარელო, როგორ გაეხვიე ამ უბედურებაში? რაზე ფიქრობდი?

ეტყობა, რომ პასუხს არ ელის. უბრალოდ აქ უნდა ვიწვე, სხვა არაფერი მომეთხოვება.

დედა ჯერ საკუთარ თვალებს იწმენდს, მერე — ჩემსას.

— მაინც ჩემი შვილი ხარ. და... ვერ გადავიტანდი, შენ რომ რამე მოგსვლოდა და ჩვენ არ... ხომ იცი.

— დგეგა... — სიტყვებს ვყლაპავ. ენა დასიებული მაქვს. მთვრალივით ვლაპარაკობ, — მე აგ მიგდოდა...

— ვიცი. მაგრამ ისე ცუდ დღეში ჩამაგდე, ლუ. მე ვერ...

— ახლა არ გინდა, საყვარელო, კარგი? — მამა მხარზე ეხება.

დედა სადღაც, სივრცეში იყურება და ხელზე ხელს მკიდებს.

— როცა დაგვირეკეს. ოჰ... მეგონა... არ ვიცოდი... — ისევ ქვითინს იწყებს. ცხვირსახოცი ტუჩებთან მიაქვს, — მადლობა ღმერთს, კარგადაა, ბერნარდ.

— რა თქმა უნდა, კარგადაა. რეზინისგანაა გაკეთებული, — მამა ჩემკენ იხრება. ბოლოს ორი თვის წინ ვისაუბრეთ ტელეფონით, მაგრამ თვრამეტი თვეა არ მინახავს — მას შემდეგ, რაც მშობლიური ქალაქი დავტოვე. უზარმაზარი ჩანს, ძალიან ნაცნობი და უსაშველოდ, უსაშველოდ დაღლილი.

— მაპაშიე, — ვჩურჩულებ. სხვა ვერაფერს ვიგონებ, რომ ვუთხრა.

— ხომ არ გაგიჟდი? გვიხარია, რომ კარგად ხარ, თუმცა ისე ხარ დაჟეჟილი, თითქოს მაიკ ტაისონის წინააღმდეგ ექვსი რაუნდი იბრძოდი. სარკეში ჩაგიხედავს, რაც აქ მოხვედი, მას მერე?

უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

— იქნებ... ჯერ არ ღირდეს. ტერი ნიკოლსი ხომ იცი, ერთხელ ველოსიპედიდან რომ გადმოვარდა, მაღაზიასთან? ულვაში გინ-

და და ის ხარ. ისე, — ჩემი სახისკენ ახლოს იხრება, — რომ ვაკვირდები...

— ბერნარდ!

— ხვალ პინცეტს მოგიტანთ. მოკლედ, შემდეგში ფრენის გაკვეთილებს რომ გადაწყვეტ, აეროპორტში წავიდეთ, კარგი? გადმოხტომა და ხელების ფართხალი, როგორც ჩანს, შენს შემთხვევაში არ მუშაობს.

ვცდილობ, გავიღიმო.

ორივენი ჩემკენ იხრებიან. დაძაბული, აფორიაქებული გამომეტყველებები აქვთ.

ჩემი მშობლები.

— როგორ გახდა, ბერნარდ. ხომ გახდა?

მამა კიდევ უფრო ახლოს იხრება და ვხედავ, თვალები ცოტათი აუწყლიანდა, ღიმილი კი ჩვეულებრივზე ნაკლებად მტკიცე აქვს.

— ოჰ... ძალიან ლამაზად გამოიყურება, ძვირფასო. დამიჯერე. ძალიან ლამაზი ხარ, — ჩემს ხელს იღებს, მაგრად უჭერს, მერე კი კოცნის. მამას მსგავსი რამ ცხოვრებაში არ გაუკეთებია.

სწორედ ახლა ვხვდები, რომ ეგონათ, მოვკვდებოდი და ქვითინი დაუკითხავად მსკდება მკერდიდან. ცხელ ცრემლებს თვალს ვაფარებ და მამის დიდ, გაუხეშებულ ხელისგულს ვგრძნობ ჩემსაზე.

— აქ ვარ, საყვარელო. ყველაფერი კარგად იქნება.

ყოველდღე, ორი კვირის განმავლობაში, ორმოცდაათ მილს გადიან, ადრიან მატარებელს მოჰყვებიან. მერე კი რამდენიმე დღეში ერთხელ მსტუმრობენ. მამას დროებით სამსახურიდან გათავისუფლება უწევს, რადგან დედა მარტო ვერ მგზავრობს. ლონდონში ხომ ბევრნაირი ხალხი ცხოვრობს. ამას ხშირად ამბობს და ყოველთვის მალულად უკან აპარებს მზერას, თითქოს დანით შეიარაღებული ბოროტმოქმედი საავადმყოფოში იპარე-

ბა. ტრინა სახლში რჩება, რომ ბაბუას ყურადღება მიაქციოს. დედა ამაზე ისეთი ტონით საუბრობს, რომ ვხვდები, ჩემს დას ეს ნებაყოფლობით არ გადაუწყვეტია.

დედას სახლში მომზადებული საჭმელი მოაქვს. ეს იმ დღეს გადაწყვიტა, როცა სამივენი ხუთი წუთის განმავლობაში ჩემს ლანჩს დავჩერებოდით და ამაოდ ვცდილობდით გამოგვეცნო, შიგნით რა იყო.

— თანაც პლასტმასის ლანგრებში, ბერნარდ! თითქოს ციხეა, — ჯერ ჩანგლით აზილა მოწყენილი გამომეტყველებით, მერე დაყნოსა. მას შემდეგ კი უზარმაზარი სენდვიჩები, ლორისა და ყველის სქელი ნაჭრები და წვნიანები მოჰქონდა, — საჭმელი, რომელსაც ხვდები, რა არის, — ამბობს და ბავშვივით მაჭმევს. ენა ნელ-ნელა ნორმალურ ზომას უბრუნდება. როგორც აღმოვაჩინე, დაცემისას ლამის მოვიჭამე. ჩვეულებრივი ამბავიაო, ექიმები მეუბნებიან.

მენჯის ძვლის შესაერთებლად ორი ოპერაციის გადატანა მიწევს, მარცხენა ფეხი და მხარი თაბაშირში მაქვს. კითი, ერთ-ერთი მომვლელი, მთხოვს, თაბაშირზე წარწერის გაკეთების ნებართვა მივცე — როგორც ჩანს, სულ თეთრი თუა, უიღბლობა მოაქვს — და ისეთ ბინძურ რაღაცას მაწერს, ეველინი, ფილიპინელი ექთანი ზედ ნაჭერს აკრავს ექიმის მოსვლამდე. როცა რენტგენის ოთახში მივყავარ ხოლმე, კითი საავადმყოფოს ჭორებს მიყვება. სულაც არ მჭირდება მოვისმინო, როგორ იხოცება უთვალავი პაციენტი ნელა და ტანჯვით, მაგრამ კითს ამ ამბების მოყოლა აბედნიერებს. ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ ჩემზე რას ეუბნება სხვებს. მე ის გოგო ვარ, ხუთსართულიანი შენობიდან რომ გადმოვარდა და გადარჩა. საავადმყოფოში ეს უფრო მაღალ სტატუსს მანიჭებს, ვიდრე დაზიანებული კუჭ-ნაწლავი „ცე ფლიგელის“ პაციენტებს, ან თუნდაც იმ გადარეულ გოგოზე

მეტს, რომელმაც შემთხვევით ცერა თითი წაითალა ბუჩქების გაკრეჭისას.

გასაოცარია, რა სწრაფად ხდები ჰოსპიტალური ავადმყოფი. ვიღვიძებ, გავდივარ პროცედურებს ექიმებსა და ექთნებთან, რომლებსაც ახლა უკვე ვცნობ, ვცდილობ, სათანადო პასუხები გავცე კონსულტანტებს და დედ-მამის მოსვლას ველოდები. მშობლები ჩემს ოთახში პატარ-პატარა საქმეების მოგვარებით ირთობენ თავს და მათთვის უჩვეულო მოკრძალებით იქცევიან ექიმების თვალწინ. მამა გამუდმებით ბოდიშს იხდის, მე რომ ხტუნვას ვერ ვახერხებ, სანამ დედა კოჭზე არ გაჰკრავს ფეხს. როცა ცვლა მთავრდება, დედა, ჩვეულებისამებრ, პირველი სართულის ხალხმრავალ მაღაზიებში დასეირნობს და სწრაფი კვების დაწესებულებების დიდი რაოდენობით აღშფოთებული ბრუნდება.

— ის ცალფეხა კაცი, კარდიო განყოფილებიდან, ბერნარდ. იქ იჯდა და ჩიზბურგერითა და ჩიპსებით იტენებოდა, ვერც კი დაიჯერებ.

მამა ჩემი საწოლის ბოლოში, სკამზე ჯდება და ადგილობრივ გაზეთს კითხულობს. პირველი კვირის განმავლობაში ამოწმებდა, ჩემი უბედური შემთხვევის შესახებ ხომ არ დაწერა ვინმემ სტატია. ვცდილობ ავუხსნა, რომ ქალაქის ამ ნაწილში ორმაგი მკვლელობაც კი არავის უკვირს, მაგრამ სტროტფოლდში წინა კვირას გაზეთის პირველ გვერდზე განათავსეს სტატია სათაურით „სუპერმარკეტის ურიკები ავტოსადგომის ზონის არასწორ მხარეს დატოვეს“. იმის წინა კვირას კი ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი იყო „სკოლის მოსწავლეები იხვების გუბურის ბედზე დარდობენ“. ამიტომ მამაჩემის დარწმუნება ცოტა გამიჭირდება.

უკანასკნელი ოპერაციის შემდეგ, პარასკევს, დედას ჩემთვის ერთი ზომით დიდი ხალათი და კვერცხიანი სენდვიჩებით სავსე

ქაღალდის პარკი მოაქვს. არც კი მჭირდება, ვიკითხო რა არის შიგნით: როგორც კი პარკს ხსნის, მთელი ოთახი გოგირდოვანი სუნით იჟღინთება. მამა ცხვირზე ხელს იფარებს.

— ექთნები მე დამაბრალებენ, ჯოზი, — ამბობს და კარს ჯერ აღებს, მერე ხურავს.

— კვერცხი მოასუქებს. ძალიან გამხდარია. თანაც, შენ ხმას ნუ იღებ. შენს საშინელ სუნებს ჩვენს ძაღლს აბრალებდი მისი სიკვდილიდან კიდევ ორი წელი.

— უბრალოდ ვცდილობ, რომანტიკა შევინარჩუნო, ძვირფასო.

დედა ხმადაბლა ამბობს:

— ტრინამ მითხრა, ჩემს ბოლო ბიჭს რომ ეპარებოდა, თავზე საბანს მაფარებდაო. წარმოგიდგენია?!

მამა ჩემკენ ტრიალდება:

— მე რომ ეგ მემართება, დედაშენი სხვა რაიონში გადადის.

დაძაბულობა სიცილშიც კი ეტყობათ. როცა მთელი შენი სამყარო ოთხ კედელში ვიწროვდება, ატმოსფეროში ოდნავ ცვლილებებსაც კი მაშინვე ატყობ. ამჩნევ, როცა კონსულტანტები ოდნავ უკან ტრიალდებიან რენტგენის სურათის განხილვისას ან როცა ექთნები პირზე ხელს იფარებენ ახლად გარდაცვლილზე საუბრისას.

— რა? — ვკითხულობ, — რა ხდება?

უხერხულად შესცქერიან ერთმანეთს.

— მოკლედ... — დედა საწოლის კიდეზე ჯდება, — ექიმმა თქვა... კონსულტანტმა თქვა... გაურკვეველია, რანაირად გადმოვარდი.

კვერცხიან სენდვიჩს ვკბეჩ. ნივთების აღება უკვე შემიძლია მარცხენა ხელით.

— აჰ, ეგ. უბრალოდ ყურადღება გამეფანტა.

— სახურავზე სეირნობისას?

ღეჭვას განვაგრძობ.

— ძილში ხომ არ დადიოდი, ძვირფასო?

— მამა, მთვარეული არასოდეს ვყოფილვარ.

— კი, ყოფილხარ. ერთხელ, ცამეტის რომ იყავი, მძინარე დაბლა სართულზე ჩახვედი და ტრინას დაბადების დღის ტორტი სანახევროდ შეჭამე.

— მმ... მგონი, მაშინ არ მეძინა.

— თან ალკოჰოლის მაღალი შემცველობაც გვაფიქრებს. როგორც თქვეს, ძალიან ბევრი გქონია დალეული.

— სამსახურში მძიმე ღამე მქონდა. ერთი-ორი ჭიქა დავლიე და სახურავზე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ავედი. მერე რაღაც ხმა შემომესმა და ყურადღება გამეფანტა.

— ხმა შემოგესმა.

— სახურავზე ვიდექი, სივრცეში ვიყურებოდი. ზოგჯერ ასე ვიქცევი ხოლმე. ჩემ უკან გოგოს ხმა გავიგე, შევცბი და წონასწორობა დავკარგე.

— რომელი გოგოსი?

— მარტო ხმა გავიგე.

მამა ჩემკენ იხრება:

— დარწმუნებული ხარ, რომ გოგო რეალური იყო? და არა წარმოსახვითი?

— მენჯი მაქვს ნაღრძობი, ტვინი კი არა, მამა.

— ისე კი თქვეს, გოგომ დარეკა სასწრაფოშიო, — დედა მამას მკლავზე ეხება.

— ე. ი. ამბობ, რომ ნამდვილად უბედური შემთხვევა მოხდა, — აზუსტებს მამა.

ჭამას ვწყვეტ. ერთმანეთს თვალს არიდებენ დამნაშავე გამომეტყველებით.

— მოიცა... თქვენ... თქვენ გეგონათ გადმოვხტი?

— ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, — მამა კეფას იქექავს, — უბრალოდ... იცი... იმ ამბის შემდეგ ყველაფერი ცუდად წარიმართა... და ჩვენ იმდენი ხანია, არ გვყავდი ნანახი... გაგვიკვირდა, რომ დილაუთენია სახურავზე დასეირნობდი. შენ ხომ სიმაღლის გეშინოდა.

— ისეთ კაცზე ვიყავი დანიშნული, რომელსაც სრულიად ნორმალურად მიაჩნდა იმის დათვლა, რამდენ კალორიას წვავდა ძილში. ღმერთმანი! ამიტომ მექცეოდით ასე თბილად? გეგონათ თავის მოკვლა ვცადე?

— უბრალოდ იმდენ შეკითხვას სვამდა...

— ვინ სვამდა შეკითხვებს და რაზე?

— ის ტიპი — ფსიქიატრი. უნდათ დარწმუნდნენ, რომ წესრიგში ხარ. ხომ ვიცით, იმ ამბის მერე...

— ფსიქიატრი?

— სპეციალისტთან ჩაგწერეს, რომ დაელაპარაკო. ექიმებსაც დიდხანს ვესაუბრეთ და გადაწყდა — სანამ გამოკეთდები, ჩვენთან მოდიხარ. იმ შენს ბინაში მარტო ვერ დარჩები. ეს...

— ჩემს ბინაში იყავით?

— ჰო, მოგვიწია, შენი ნივთები უნდა წამოგვეღო.

ხანგრძლივი სიჩუმე წვება. წარმოვიდგენ მშობლებს ჩემი ბინის შემოსასვლელში, დედაჩემს ჩანთა ჩაუბღუჯავს და საწოლის გაურეცხავ თეთრეულს, თაროზე ჩამწკრივებულ ცარიელ ღვინის ბოთლებს, მაცივარში მარტოსულ, განახევრებულ შოკოლადის ფილას აკვირდება. ვხედავ, თავს როგორ აქნევენ უკმაყოფილოდ და ერთმანეთს უყურებენ. „დარწმუნებული ხარ, რომ სწორად მოვედით, ბერნარდ?“

— ახლა ოჯახთან ყოფნა გჭირდება, სანამ ფეხზე წამოდგები.

მინდა ვუთხრა, რომ ჩემს ბინაშიც მშვენივრად ვიქნები, რა წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეთ მასზე. მინდა, ჩემი საქმე ვაკეთო, სახლში მივიდე და მომდევნო ცვლამდე არაფერზე ვიფიქ-

რო. მინდა ვუთხრა, რომ სტროტფოლდში ვერ დავბრუნდები და ის გოგო ვეღარ ვიქნები, ის გოგო, რომელმაც... არ მინდა ვიგრძნო დედაჩემის ფრთხილად შენიღბული უკმაყოფილების ან მამაჩემის მხიარული შემართების სიმძიმე. შემართების, რომ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი მშვენივრადაა, თითქოს თუ ხშირად გაიმეორებს, მართლა ყველაფერს ეშველება. არ მინდა, ყოველდღე უილის სახლს ჩავუარო, არ მინდა გამახსენდეს, რისი ნაწილი ვიყავი. მაგრამ არაფერს ვამბობ, რადგან უეცრად დაღლილობას ვგრძნობ, ყველაფერი მტკივა და გაძალიანების უნარი აღარ შემწევს.

მამას სახლში ორი კვირის მერე, სამსახურის ფურგონით მოვყავარ. წინ მხოლოდ ორი ადგილია, ამიტომ დედა სახლში დარჩა. ბორბლებქვეშ გზატკეცილი მიქრის და ვგრძნობ, მუცელი ნერვიულად მეჭიმება. მშობლიური ქალაქის მხიარული ქუჩები მეუცხოება. შორეული, გამომცდელი თვალით ვუყურებ, ვამჩნევ, როგორი პატარაა ყველაფერი, როგორი დაღლილი, როგორი მელანქოლიური. ვხვდები, სწორედ ასე დაინახავდა უილი ქალაქს, როდესაც პირველად ჩამოვიდა და ამ ფიქრს მაშინვე უკუვაგდებ. ჩვენს ქუჩაზე რომ შევუხვიეთ, სკამზე კიდევ უფრო ღრმად ჩავეშვი. არ მინდა მეზობლებთან თავის გასამართლებელი ზრდილობიანი საუბრების გამართვა. არ მინდა, ვინმემ განმსაჯოს ჩადენილი საქციელისთვის.

— კარგად ხარ? — მამა ჩემკენ ტრიალდება, თითქოს ხვდება, ჩემს გონებაში რაც ხდება.

— არა მიშავს.

— კარგი გოგო, — ხელს წუთით მხარზე მადებს.

დედა უკვე კარში გვხვდება, სანამ მანქანას ვაყენებთ. ვეჭვობ, ბოლო ნახევარი საათი ფანჯარასთან იქნებოდა ატუზული. მამა ჩანთებს საფეხურზე აწყობს და ჩემს დასახმარებლად ბრუნდება.

ქვაფენილზე ფრთხილად ვაბჯენ ჯოხს. ვამჩნევ, როგორ ირხევიან ჩემ უკან ფარდები, როცა ნელ-ნელა მივაბიჯებ სახლისკენ.

„შეხედეთ, ვინ მოსულა“, — მესმის ჩურჩული.

„შენი აზრით, ამჯერად რა ჩაიდინა?“

მამა წინ წასვლაში მეხმარება, ფეხებზე მაკვირდება, თითქოს ეშინია, უცებ არასწორ ადგილას არ დავდგა.

— კარგად ხარ? — მეკითხება გამუდმებით, — ძალიან სწრაფადაც არ გინდა.

დერეფანში დედაჩემის უკან მდგომ ბაბუას ვხედავ, კუბოკრულ პერანგსა და თავის საუკეთესო ლურჯ ჯემპრში გამოწყობილს. არაფერი შეცვლილა. შპალერიც ძველია. ხალიჩაც იგივეა დერეფანში, ნაკვალევი ემჩნევა, ეტყობა, დედამ დილით მტვერსასრუტით გაწმინდა. ჩემი ძველი ლურჯი სპორტული ქურთუკიც საკიდზე კიდია. თვრამეტი თვე. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ათი წელია, წასული ვარ.

— ნუ დააჩქარებ, — ამბობს დედა, ხელები ერთმანეთისთვის გადაუჭდია, — ძალიან სწრაფად მოდიხარ, ბერნარდ.

— მთლად მო ფარაც (მო ფარა — ბრიტანელი ოლიმპიელი მრბოლელი) ვერ არის. უფრო ნელა თუ ვივლით, მთვარეზე სიარული (მთვარეზე სიარული — მაიკლ ჯექსონის ცნობილი ცეკვის ილეთის სახელწოდება) გამოგვივა.

— ფრთხილად იარე. იქნებ უკან დაუდგე, ბერნარდ, კიბეზე ამოსვლისას, იმ შემთხვევაში, თუ ჩავარდა.

— ვიცი, საფეხურები სადაცაა, — ვამბობ კბილების ღრჭიალით, — აქ სულ რაღაც ოცდაექვსი წელი გავატარე.

— დააკვირდი, ფეხი არ წამოედოს მანდ, ბერნარდ. მეორე ბარძაყიც არ დაიზიანოს.

„ოჰ, ღმერთო! — გავიფიქრე, — ნეტა, შენც ამის ატანა გიწევდა, უილ? ყოველ ცისმარე დღეს?“

მერე კი ჩემი და ჩნდება შემოსასვლელში, დედას გვერდს უვლის.

— თუ ღმერთი გწამს, დედა! წამო, ხტუნიავ. შერეკილების ცირკად ნუ გადაგვაქცევ.

ტრინა მხარს იღლიის ქვეშ მაბჯენსდა წამით მეზობლებს ესვრის მზერას. აზიდული წარბებით თითქოს ეკითხება: — ნუთუ, მართლა? — და თითქმის მესმის დახურული ფარდების შრიალი.

— ცნობისმოყვარეების ხროვა. დავუჩქაროთ. ტომასს დავპირდი, შენს იარებს ვანახებდი საბავშო კლუბში წაყვანამდე. ღმერთო, წონაში როგორ დაიკელი. მკერდი წინდებში ჩატენილ მანდარინებს მიგიგავს.

ერთდროულად სიარული და სიცილი ძნელია. ტომასი ჩემკენ მორბის, რომ ჩამეხუტოს. მიწევს, შევყოვნდე და ხელი კედელს მივადო წონასწორობის შესანარჩუნებლად.

— მართლა გაგჭრეს და შეგკერეს? — მეკითხება. თავს მკერდზე მადებს. წინ ოთხი კბილი აკლია, — ბაბუა ამბობს, შეიძლება არასწორად მიაკერეს ნაწილებიო და ღმერთმა უწყის, ჩვენ როგორ შევამჩნევთ მაგასო.

— ბერნარდ!

— ვხუმრობდი.

— ლუისა, — ბაბუა ბოხი, ყოყმანით სავსე ხმით მომმართავს. არამყარად მოიწევს ჩემკენ, გულში მიკრავს და მეც ვეხუტები. მერე უკან იხევს, მისი ბებრული ხელები ჩემს მკლავებს გასაკვირად მტკიცედ ბღუჯავს. ყალბი სიბრაზით მიბღვერს.

— არაფერია, მამიკო. არაფერია. ახლა ხომ უკვე სახლშია, — უყვავებს დედა.

— შენს ძველ ოთახში იქნები, — მეუბნება მამა, — განვაახლეთ და ტომისთვის ტრანსფორმერების შპალერი გავაკარით. უცნაური ავტობოტი და პრედაკონი ხელს არ შეგიშლის, ხომ?

— ჭიები მყავდა, — ამბობს ტომასი, — დედამ მითხრა, სახლს გარეთ ამაზე არ მოყვეო და არც თითი შეიყო...

— ღმერთო ჩემო, — ოხრავს დედა.

— კეთილი იყოს შენი შინ დაბრუნება, ლუ, — მეუბნება მამა და ჩანთას მარდად აგდებს ჩემს ფეხებთან.

თავი მესამე

ახლა რომ ვიხსენებ, უილის გარდაცვალებიდან ცხრა თვის განმავლობაში გაბრუებული ვიყავი. პირდაპირ პარიზში წავედი და სახლში არ დავბრუნებულვარ თავისუფლებითა და უილის მიერ შთაგონებული მისწრაფებებით თავბრუდახვეული. მოგზაურების საყვარელ ბარში დავიწყე მუშაობა, სადაც არ ადარდებდათ ჩემი დამტვრეული ფრანგული, რომელიც თანდათან გავაუმჯობესე კიდეც. მეთექვსმეტე უბანში მანსარდაზე პატარა ოთახი ვიქირავე, შუააზიური რესტორნის თავზე. თვალებგახელილი ვიწექი, გვიანი ღამის მსმელებსა და დილაუთენია მომუშავე მომმარაგებლებს ვუგდებდი ყურს. ყოველდღე ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობდი.

ის პირველი თვეები, თითქოს კანის ფენა დამთხელებოდა — ყველაფერს უფრო მძაფრად შევიგრძნობდი. სიცილით ან ტირილით ვიღვიძებდი და ყველაფერს თითქოს გაუფილტრავად ვუყურებდი. ახალ კერძებს მივირთმევდი, უცხო ქუჩებში დავსეირნობდი, ჩემთვის უცნობ ენაზე ვესაუბრებოდი უცნობ ადამიანებს. ზოგჯერ თითქოს მისი აჩრდილი დამდევდა, მას ვხედავდი, მისი ხმა ჩამესმოდა.

აბა, ამაზე რას ფიქრობ, კლარკ?

ხომ გეუბნებოდი, მოგეწონება-მეთქი.

შეჭამე! გასინჯე! ეგრე გააგრძელე!

ჩვენი ყოველდღიურობის გარეშე დაკარგულივით ვიყავი. რამდენიმე კვირა დამჭირდა საიმისოდ, რომ ჩემი ხელები უსარგებლო არ მგონებოდა მისი სხეულის გამუდმებით შეხების გარეშე. მისი რბილი პერანგი, რომელზეც ღილებს ვუკრავდი, თბილი, უმოძრაო ხელები, ფრთხილად რომ ვბანდი, აბრეშუმის თმა, რომელსაც ჯერ კიდევ ვგრძნობდი საკუთარ თითებს შო-

რის. მენატრებოდა მისი ხმა, მისი ტლანქი, წვალებით მიღწეული სიცილი, მისი ტუჩები ჩემს თითებზე, როგორ უცვივდებოდა ქუთუთოები, როცა ეძინებოდა. დედაჩემმა, ჯერ კიდევ გაოგნებულმა იმით, რაც გავიარე, მითხრა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარხარ, ვერ ვაიგივებ ამ ლუისას იმ გოგოსთან, ვინც გავზარდეო. ოჯახისა და საყვარელი ადამიანის დაკარგვასთან ერთად გაწყდა ყველა ძაფი, რაც წარსულ „მესთან“ მაკავშირებდა. თოკჩაჭრილი ასტრონავტივით თითქოს კოსმოსში შევცურე, უცნობ სამყაროში.

ამიტომაც, ახლებურად დავიწყე ცხოვრება: დროებით მეგობრებს ვიჩენდი და არ ვუახლოვდებოდი: ახალგაზრდა ინგლისელ სტუდენტებს, სამოგზაუროდ მცირე ხნით სწავლას თავს რომ ანებებდნენ; ლიტერატურული გმირების კვალს ადევნებულ ამერიკელებს, რომელთაც სწამდათ, რომ არასოდეს დაუბრუნდებოდნენ მიდვესტს (მიდვესტი — რეგიონი აშშ-ს ჩრდილო--ცენტრალურ მხარეში, რომელიც 12 შტატს აერთიანებს); ერთდღიან მოგზაურობაში წამოსულ მდიდარ, ახალგაზრდა ბანკირებს. ეს იყო მუდმივად ცვალებადი შემადგენლობა, რომელიც, ქალაქში გავლით მყოფი, რამდენიმე დღით გამოირიყებოდა, საკუთარ ცხოვრებას გამოქცეული. ვიღიმოდი, ვლაყბობდი და ვმუშაობდი, თან თავს ვირწმუნებდი, რომ იმას ვაკეთებდი, რაც მას სურდა. ამაში მაინც ვპოულობდი შვებას.

ზამთარმა ჩავლებული ბრჭყალები მოუშვა და დადგა მშვენიერი გაზაფხული. მერე კი, ერთ დილას გავიღვიძე და მივხვდი — ქალაქი აღარ მიყვარდა ან იმდენად პარიზელად არ ვგრძნობდი თავს, რომ დავრჩენილიყავი. მოგზაურთა თავგადასავლების მოსმენა მოსაწყენად ერთფეროვანი გახდა, პარიზელები არამეგობრულები მეჩვენებოდნენ — ან შეიძლება მე ვპოულობდი დღეში რამდენჯერმე ათას მიზეზს, რატომაც ვერ გავხდებოდი ერთ-ერთი მათგანი. ქალაქი, რაც უნდა მიმზიდველი ყოფილი-

ყო, უფრო გლამურულ, ძვირად ღირებულ კაბას მაგონებდა, რომელიც ნაჩქარევად შევიძინე და მერე ვეღარ მოვიხდინე. სამუშაოს თავი დავანებე და ევროპის გარშემო სამოგზაუროდ წავედი.

არასოდეს მიგრძნია თავი ისე არასრულფასოვნად, როგორც იმ ორი თვის განმავლობაში. თითქმის მთელ დროს მარტო ვატარებდი. ვერ ვიტანდი, რომ არ ვიცოდი, ყოველღამე სად დავიძინებდი, სულ ვღელავდი მატარებლის განრიგებსა და ადგილობრივ ვალუტაზე, მეგობრების გაჩენა მიძნელდებოდა, არც ერთ შემხვედრს არ ვენდობოდი. ან კი, რა უნდა მეთქვა საკუთარ თავზე? როცა მეკითხებოდნენ, მხოლოდ ზერელე წვრილმანებს ვუყვებოდი. იმ ყველაფერს, რაც მართლაც მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო, ვერ ვუზიარებდი. რადგან ხმის გამცემი არავინ მყავდა, ყველა ღირსშესანიშნაობა რაც ვნახე — ტრევის შადრევანი თუ ამსტერდამის არხი — უბრალოდ მორიგი ნანახი პუნქტი იყო აუცილებლად დასათვალიერებელი ადგილების სიაში. უკანასკნელი კვირა საბერძნეთის სანაპიროზე გავატარე. იქაურობა ძალიან მაგონებდა სანაპიროს, სადაც არც ისე შორეულ წარსულში უილთან ერთად ვიყავი. საბოლოოდ, გარუჯული მამაკაცების (რომელთა უმეტესობას, რატომღაც, დიმიტრი ერქვა) მოგერიებასა და თავის მოტყუებაში — კარგად ვერთობი-მეთქი — გატარებული ერთი კვირის შემდეგ დავნებდი და პარიზში დავბრუნდი. უფრო იმიტომ, რომ პირველად მაშინ მივხვდი — წასასვლელი არსად მქონდა.

ორი კვირა მეძინა იმ გოგოს ტახტზე, რომელთან ერთადაც ბარში ვმუშაობდი. თან ვცდილობდი, მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი. უილთან ჩემი საუბარი გამახსენდა კარიერაზე და რამდენიმე კოლეჯს მივწერე მოდის კურსებთან დაკავშირებით. თუმცა არანაირი სამუშაო გამოცდილება არ გამაჩნდა და ყველასგან ზრდილობიანი უარი მივიღე. ადგილი, რომელიც

უილის გარდაცვალების შემდეგ მოვიპოვე, სხვას გადაეცა, რადგან არ გამოვცხადდი. ადმინისტრატორმა შემომთავაზა, მომდევნო წელს სცადეთო, თუმცა ხმაზე ეტყობოდა, იცოდა, ამას გამკეთებელი არ ვიყავი.

ინტერნეტში ვაკანსიების ვებგვერდებზე ვეძებდი სამსახურს და აღმოვაჩინე, რომ მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც გამოვიარე, სათანადოდ კვალიფიცირებული მაინც არ ვიყავი ჩემთვის საინტერესო საქმეებისთვის. მერე კი, სრულიად შემთხვევით, როცა თავს ვიტეხდი, რა გამეკეთებინა, მაიკლ ლოულერმა, უილის ადვოკატმა დამირეკა და მითხრა, დროა უილის მიერ დატოვებული ფული რაიმეში გამოიყენოო. ეს აღმოჩნდა საბაბი, რომელიც მჭირდებოდა პარიზიდან წასასვლელად. ადვოკატის დახმარებით კარგ ფასად ვიყიდე საკმაოდ ძვირად ღირებული ორსაძინებლიანი ბინა ლონდონის განაპირას. ეს ბინა უფრო იმიტომ მინდოდა, რომ მახსოვდა, უილმა ერთხელ ახსენა ქუჩის კუთხეში მდებარე ღვინის მაღაზია. ასე თავს ცოტათი უფრო ახლოს ვგრძნობდი მასთან. დარჩენილი მცირე თანხა ბინის კეთილმოწყობას მოვახმარე. ექვსი კვირის თავზე დავბრუნდი ინგლისში, მუშაობა დავიწყე „შამროკსა და კლოვერში“, ღამე გავატარე კაცთან, რომელსაც ფილი ერქვა და მეორედ აღარ ვნახავდი, და ველოდებოდი, როდის დამიბრუნდებოდა სიცოცხლის ხალისი.

ცხრა თვე გავიდა, მე კი კვლავ მოლოდინის რეჟიმში ვიყავი.

სახლში მოსვლიდან პირველი კვირა გარეთ იშვიათად გავდიოდი. ჯერ კიდევ დაჟეჟილი ვიყავი, იოლად ვიღლებოდი და ტკივილგამაყუჩებლებისგან გაბრუებულს საწოლში ყოფნა და თვლემა მერჩივნა. თავს ვაჯერებდი, რომ მთავარი ამოცანა იყო სხეულისთვის ძალების აღდგენის საშუალება მიმეცა. უცნაურად ჟღერს, მაგრამ ჩვენი ოჯახის პატარა სახლში დაბრუნება მომიხდა: გამგზავრების შემდეგ პირველად შევძელი ოთხ საათზე მეტ-

ხანს დამეძინა. საკმაოდ პატარა იყო იმისთვის, რომ თუ დამჭირდებოდა ხელი გამეწვდინა და კედელს მივყრდნობოდი. დედა მაჭმევდა, ბაბუა მარტოს არ მტოვებდა (ტრინა ტომთან ერთად კოლეჯში დაბრუნდა), დღის გადაცემებს ვუყურებდი ტელევიზორში და საკრედიტო კომპანიებისა და ლიფტების დაუსრულებელ რეკლამებსა და წვრილ-წვრილ ცნობად სახეებზე ამდენი დროის ხარჯვა მაკვირვებდა. სახეებზე, რომელთა უმეტესობას საზღვარგარეთ მთელი წლით ყოფნის გამო ვერ ვცნობდი.

ისეთ თემებზე არ ვსაუბრობდით, რასაც შეეძლო ეს ფაქიზი ეკვილიბრიუმი (წონასწორობის მდგომარეობა) დაერღვია. მერჩივნა, მორიგი ვარსკვლავური სიახლისთვის მეყურებინა, რომელსაც დღის ტელევიზია გადმომიგდებდა და მერე, სადილზე მეთქვა:

—აბა, გაიგეთ იმ შეინ უესტზე?

დედა და მამა საკითხს მადლიერები დააცხრებოდნენ, აღნიშნავდნენ — გარყვნილიაო, ან კარგი თმა აქვსო, ან რაც არის, იმაზე უკეთესი ვერც იქნებაო. შემდეგ გადავწვდებოდით გადაცემებს, „გარიგებები მანსარდაში“ („სულ მაინტერესებდა, დედაშენის ის ვიქტორიანული სარგველი რა ეღირებოდა... მახინჯი ნივთი“) და „იდეალური სახლები სოფლად“ (Bargains in your attic; Idეალ ჰომეს ინ ტჰე ცოუნტრყ — სატელევიზიო გადაცემები)(„იმ აბაზანაში ძაღლსაც კი არ ვაბანავებდი“). არაფერზე ვფიქრობდი, მომდევნო სადილობისა და ელემენტარული ამოცანების გარდა: ეს იყო ტანსაცმლის ჩაცმა, კბილების გახეხვა და დედაჩემის მიერ დაწესებული მცირე დავალებების შესრულება („ძვირფასო, იქნებ, სანამ გასული ვიქნები, შენი გასარეცხი ტანსაცმელი გადაგერჩია, მერე მივხედავ“).

თუმცა, შემოპარული დინებასავით, გარესამყარო ჯიუტად იჭრებოდა ჩვენს ცხოვრებაში. მესმოდა, როგორ უსვამდნენ შეკითხვებს სარეცხის გასაფენად გარეთ გასულ დედაჩემს. „აბა,

შენი ლუ სახლში დაბრუნდა?“ დედა მისთვის უჩვეულო უკმეხობით პასუხობდა, ჰო, დაბრუნდაო. იმ ოთახებს თავს ვარიდებდი, საიდანაც ციხესიმაგრის დანახვა შემეძლო. თუმცა ვიცოდი, იქ იყო, მასში ადამიანები ცხოვრობდნენ, უილთან დამაკავშირებელი ცოცხალი ძაფები. ზოგჯერ ვფიქრობდი, რა ბედი ეწიათ მათ; პარიზში ყოფნისას ერთხელ მისის ტრეინორისგან წერილი მივიღე, ოფიციალურ მადლობას მითვლიდა ყველაფრისთვის, რაც უილისთვის გავაკეთე. „ვაცნობიერებ, რომ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო“. სულ ეს იყო. ტრეინორების ოჯახი ჩემი ცხოვრების მთავარი ნაწილიდან წარსულის მოგონებად გადაიქცა. წარსულისა, რომელზე ფიქრის უფლებასაც საკუთარ თავს ვუკრძალავდი. ახლა კი, როცა ჩვენი ქუჩა საღამოობით ციხესიმაგრის ჩრდილქვეშ ექცეოდა, ტრეინორების სიახლოვეს საყვედურივით ვგრძნობდი.

სახლში დაბრუნებიდან ორი კვირის შემდეგ მივხვდი, რომ დედა და მამა საზოგადოებრივ კლუბში აღარ დადიოდნენ.

— დღეს სამშაბათი არ არის? — ვიკითხე მესამე კვირას, სადილობისას, — ახლა უკვე წასულები არ უნდა იყოთ?

მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— აჰ, არა. აქაც მშვენივრად ვართ, — თქვა მამამ და შემწვარი ხორცის ღეჭვა განაგრძო.

— არაფერი დამიშავდება, მარტო თუ დავრჩები, მართლა, — ვუთხარი, — ახლა გაცილებით უკეთ ვარ. ტელევიზორის ყურებაში გავიყვან დროს, — სინამდვილეში, მსურდა განმარტოებით, სხვისი მეთვალყურეობის გარეშე ვყოფილიყავი თუნდაც ცოტა ხნით. რაც სახლში დავბრუნდი, ნახევარ საათსაც კი არ მტოვებდნენ მარტო, — მართლა. წადით და გაერთეთ. ჩემზე ნუ ინაღვლებთ.

— ჩვენ... ჩვენ აღარ დავდივართ კლუბში, — თქვა დედამ და კარტოფილს ლუკმაჩამოაჭრა.

— ხალხი... მომხდარზე ბევრს ლაპარაკობდა, — მამამ მხრები აიჩეჩა, — ბოლოს უფრო გაგვიადვილდა, უბრალოდ შორს დაგვეჭირა თავი.

მის ნათქვამს მთელი ექვსწუთიანი დუმილი მოჰყვა.

გარდა ამისა, იყო სხვა, უფრო კონკრეტული რამეები, რაც ძველ ცხოვრებას მახსენებდა. მაგალითად, სითხის იოლად შემწოვ, ვიწრო სარბენ შარვლებში შემოსილი რამეები.

პატრიკმა მეოთხედ რომ ჩაურბინა ჩვენს სახლს დილით, მაშინ დავფიქრდი, უბრალოდ დამთხვევა არ იქნება-მეთქი. პირველ დღესაც გავიგე მისი ხმა და კოჭლობით, დაძაბუნებული მივედი ფანჯარასთან, ფარდის მიღმა გავიჭვრიტე. იქ იდგა, ჩემი ფანჯრის ქვეშ, მყესებს ჭიმავდა და თან ქერა, ცხენის კუდად თმაშეკრულ გოგოს ესაუბრებოდა. ლიკრის ლურჯი სპორტული ტანსაცმელი ეცვა, ისეთი ვიწრო, შემეძლო იოლად გამომეცნო, დილით რა მიირთვა. ორივენი ბობსლეიდან (ბობსლეი — ზამთრის ოლიმპიადის ერთ-ერთი სახეობა) გამოპარულ მონაწილეებს ჰგავდნენ.

ფანჯრიდან ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე, თუ ამოიხედავდა, რომ არ დავენახე. წუთის შემდეგ უკვე წასულიყვნენ, გზას ძუნძულით მიუყვებოდნენ, ზურგგამართულები ფეხებს ენერგიულად აქნევდნენ. ეტლში შებმულ, გაპრიალებულ, ფირუზისფერ ცხენებს ჰგავდნენ.

ორი დღის შემდეგ, როცა მათი ხმა მომესმა, ტანზე ვიცვამდი. პატრიკი რაღაცას ამბობდა ნახშირწყლების შესახებ, ამჯერად გოგომ გამოაპარა საეჭვო მზერა ჩემი სახლისკენ, თითქოს ცდილობდა გამოეცნო, რატომ გაჩერდნენ ერთსა და იმავე ადგილას უკვე მეორედ.

მესამე დღეს წინა ოთახში ვიყავი, ბაბუასთან ერთად, როცა გამოჩნდნენ.

— მოდი, სპრინტში (სპრინტი — სირბილი მოკლე დისტანციაზე) ვივარჯიშოთ, — ხმამაღლა განაცხადა პატრიკმა, — იცი რა, მესამე ლამპიონამდე მიირბინე, მერე უკან, მე კი დროს დავითვლი. ორწუთიანი ინტერვალებით. მიდი!

ბაბუამ თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა.

— რაც დავბრუნდი, მას შემდეგ ასე იქცევა?

ბაბუამ თვალები ისე აატრიალა, ლამის საკუთარ კეფას შეხედა.

ბადისგან მოქსოვილი ფარდიდან ვუყურებდი პატრიკს, რომელიც წამმზომს დასცქეროდა და თავისი საუკეთესო მხრიდან იყო წარმოდგენილი ჩემი ფანჯრისკენ. მატყლის შავი, ელვაშესაკრავიანი სვიტერი ეცვა და შესაფერისი ლიკრის შორტი. ფარდიდან მხოლოდ რამდენიმე ფუტის მოშორებით იდგა. ვუცქერდი და მიკვირდა — დიდი ხნის განმავლობაში მტკიცედ მწამდა, რომ ეს ადამიანი მიყვარდა.

— გააგრძელე! — დაუყვირა, წამმზომიდან თავი ასწია და გახედა. ისიც დამჯერი ფინიასავით, პატრიკის უკან ლამპიონს ხელით შეეხო და გაბრუნდა, — ორმოცდაორი მთელი ოცდათვრამეტი წამი, — მოუწონა პატრიკმა, როცა გოგო აქოშინებული დაბრუნდა, — დარწმუნებული ვარ, ხუთი წამით შემცირებასაც შეძლებდი.

— შენს გასაღიზიანებლად იქცევა ასე, — თქვა დედაჩემმა, რომელიც ორი ფინჯნით ხელში შემოვიდა ოთახში.

— ეგ მაინტერესებდა.

— დედამისმა მკითხა, დაბრუნდა თუ არაო და ვუთხარი, რომ კი. ეგრე ნუ მიყურებ — ვერ ვატყუებ მაგ ქალს, — მერე ფანჯრისკენ გააქნია თავი, — მაგ გოგომ მკერდი გაიდიდა. მთელი სტროტფოლდი ამაზე ლაპარაკობს. როგორც ჩანს, ჩაის ორ ჭიქას ჩამოალაგებ მაგის ძუძუებზე. წუთით გვერდით დამიდგა, — იცოდი, რომ დანიშნულები არიან?

მეგონა, გულზე მომხვდებოდა, მაგრამ მხოლოდ მსუბუქი ჩხვლეტა ვიგრძენი, თითქოს სიომ დაუბერა.

— შესაფერისები ჩანან.

დედა ცოტა ხნით უძრავად იდგა, მათ შესცქეროდა.

— ცუდი ბიჭი არაა, ლუ. შენ უბრალოდ... შეიცვალე.

ფინჯანი გადმომცა და გატრიალდა.

ბოლოს, იმ დილას, როცა პატრიკმა ჩემი სახლის წინ ტროტუარზე აზიდვების კეთება დაიწყო, წინა კარი გავაღე და ზღურბლს გადავაბიჯე. შესასვლელს მივეყრდენი, მკლავები მკერდზე გადავიჯვარედინე და მივაცქერდი, სანამ არ ამომხედა.

— შენს ადგილას რომ ვიყო, მანდ დიდხანს არ გავჩერდებოდი. მეზობლის ძაღლი ცოტა გადაჭარბებით პატრონობს ტროტუარის მაგ ნაწილს.

— ლუ! — ისე წამოიძახა, თითქოს მე ვიყავი უკანასკნელი ადამიანი, ვის დანახვასაც ელოდა ჩემი სახლის წინ, რომელსაც კვირაში რამდენჯერმე სტუმრობდა იმ შვიდი წლის განმავლობაში, რომელიც ერთად გავატარეთ, — გამიკვირდა, რომ დაბრუნდი. მეგონა მსოფლიოს დასაპყრობად გადაიკარგე!

პატრიკის საცოლემ, რომელიც მის გვერდით აზიდვებს ვარჯიშობდა, ამოიხედა, მერე კი ისევ ტროტუარს დააცქერდა. შეიძლება მე მომეჩვენა, მაგრამ ბოტოქსი კიდევ უფრო დაეჭიმა. მაღლა-დაბლა — გამეტებით ვარჯიშობდა — მაღლა-დაბლა.

ცოტა შევწუხდი მისი ახლადგალამაზებული მკერდის ბედზე.

პატრიკი ფეხზე წამოხტა.

— ეს კეროლაინია, ჩემი საცოლე, — თვალს არ მაცილებდა, ალბათ, ჩემს რეაქციას ელოდებოდა, — მარათონისთვის ვემზადებით. უკვე ორჯერ მივიღეთ მონაწილეობა ერთად.

— როგორი რომანტიკულია! — მოვუწონე.

— მე და კეროლაინს მიგვაჩნია, რომ ერთად რაღაცების კეთება კარგია, — გამომიცხადა.

— ჰო, ვხედავ, — ვუპასუხე, — ბატონი და ქალბატონი ფირუზისფერი ლიკრა!

— აჰ, ჰო. გუნდის ფერია.

საუბარს მცირე დუმილი მოჰყვა.

ჰაერში მუშტი გავიქნიე:

— გუნდო, წინ! გამარჯვებისკენ!

კეროლაინი წამოდგა და მყესების დაჭიმვა დაიწყო. ფეხს უკან ყარყატივით სწევდა. თავი დამიქნია — ეს იყო ცივილიზებულობის მინიმუმი, რისი გამომჟღავნებაც შეძლო.

— წონაში დაგიკლია, — თქვა პატრიკმა.

— ჰო, ფიზიოლოგიური ხსნარის დიეტამ ეგრე იცის.

— გავიგე, რომ... უბედური შემთხვევა მოგსვლია, — თავი გვერდზე გადახარა თანაგრძნობის ნიშნად.

— ახალი ამბები სწრაფად ვრცელდება.

— მიხარია, რომ კარგად ხარ, — შეისრუტუნა და გზას დახედა, — ალბათ რთული იყო შენთვის გასული წლის გადატანა. ხომ გესმის — რაც გააკეთე და სხვა ამბები.

ვეცადე, მშვიდად მესუნთქა. კეროლაინი მონდომებით მარიდებდა მზერას და ამჯერად მყესის კუნთებს ჭიმავდა. მერე ვთქვი:

— მოკლედ... გილოცავთ ოჯახის შექმნას.

მომავალი ცოლი სიამაყით შეათვალიერა, მისი ნავარჯიშები ფეხების ყურებაში ჩაიკარგა.

— როგორც ამბობენ, რაც იცი, იცი, — ყალბი ბოდიშით სავსე ღიმილი მესროლა. ამან კი წყობიდან გამომიყვანა.

— ეჭვიც არ მეპარება. ალბათ ქორწილისთვის ბევრი ფული გადადე. იაფი არ ჯდება, ხომ ასეა?

ორივემ შემომხედა.

— ჩემი ამბის გაზეთისთვის მიყიდვაში რამდენი გადაგიხადეს, პატ? რამდენიმე ათასი? ტრინამ ზუსტი რიცხვი ვერ გაარკვია.

უილის სიკვდილი რამდენიმე წყვილ ლიკრას კი იყიდდა, ალბათ.

კეროლაინმა ისე შეხედა პატრიკს, რომ მივხვდი, საკუთარი ცხოვრების ეს დეტალი ჯერ არ გაეზიარებინა საცოლისთვის.

დაჟინებით მიყურებდა, სახე აუჭარხლდა:

— მე არაფერ შუაში ვარ მაგ ამბავთან.

— რა თქმა უნდა. მაინც სასიამოვნო იყო შენი ნახვა, პატ. წარმატებას გისურვებ ქორწილში, კეროლაინ — ეჭვი არ მეპარება, შენ იქნები... ყველაზე ნავარჯიშები პატარძალი ამ ქალაქში, — გამოვტრიალდი და სახლში შევბრუნდი. კარი დავხურე, მივეყრდენი. გული გამალებით მიცემდა. არ გავნძრეულვარ, სანამ სირბილი არ განაგრძეს.

— იდიოტი, — თქვა ბაბუამ, სასტუმრო ოთახში კოჭლობით რომ შევბრუნდი. ფანჯარას გახედა და ისევ გაიმეორა, — იდიოტი, — მერე კი ჩაიცინა.

ბაბუას მივაჩერდი. მერე უცებ, სრულიად მოულოდნელად, სიცილი წამსკდა. ღმერთმა უწყის, რამდენი ხნის განმავლობაში, პირველად გამეცინა.

— მოიფიქრე რას იზამ, როცა გამოკეთდები?

საწოლზე ვიწექი. ტრინა მირეკავდა კოლეჯიდან, სანამ ტომასს ელოდებოდა, რომელიც ფეხბურთის ვარჯიშიდან უნდა გამოსულიყო. ჭერს მივაშტერდი, რომელზეც ტომასს სტიკერების მთელი გალაქტიკა მიეკრო. ვერავინ შეძლებდა მათ მოცილებას მთელი ჭერის ჩამოშლის გარეშე.

— არ მომიფიქრებია.

— რამე უნდა მოიმოქმედო. სულ მანდ ვერ იქნები, მხარ-- თეძოზე წამოწოლილი.

— არც ვაპირებ. თანაც, მენჯი ჯერაც მტკივა. ექიმმა თქვა, სჯობს, იწვეო.

— დედას და მამას აინტერესებთ, რას აპირებ. სტროტფოლ-დში სამსახურს ვერ იშოვი.

— ვიცი.

— თითქოს არაფერი გაინტერესებს.

— ტრინ, ახლახან შენობიდან გადმოვვარდი. ძალა უნდა აღ-ვიდგინო.

— სანამ ეგ დაგემართებოდა, ქარს დაჰყვებოდი სამოგ-ზაუროდ. მერე ბარში მუშაობდი, სანამ მოიფიქრებდი, რა გინ-დოდა. ოდესმე უნდა დალაგდე. თუ სწავლას არ გააგრძელებ, ის მაინც გადაწყვიტე, მთელი ცხოვრება რა აკეთო.

— უბრალოდ ვამბობ. მაინც, თუ გადაწყვეტ, სტროტფოლდში დარჩე, ბინა უნდა იქირავო. დედ-მამა ვერ გარჩენს მთელი ცხოვრება.

— ამას მეუბნება ქალი, რომელიც მშობლების საბანკო ანგა-რიშზე ცხოვრობს ბოლო რვა წელი.

— მე ვსწავლობ. ეგ სხვა ამბავია. მოკლედ, როცა საავადმყო-ფოში იწექი, შენს ანგარიშს გადავხედე და მას მერე, რაც მკურ-ნალობის ხარჯები დავფარე, კიდევ დარჩა თხუთმეტი ათასი ფუნტი. სხვათა შორის, ეგ ტრანსატლანტიკური სატელეფონო ზარები რაღა ჯანდაბად გინდოდა? იცი რა ძვირი დაგიჯდა?

— შენი საქმე არ არის.

— მაკლერების სია შეგიდგინე, რომლებიც ბინების გაქირავე-ბაზე მუშაობენ. ვიფიქრე, კიდევ ერთხელ გადაგვეხედა კოლეჯის აპლიკაციებისთვის. იქნებ ვინმემ უარი თქვა იმ კურსზე, შენ რომ გინდოდა.

— ტრინ, ნუ დამღალე.

— რა აზრი აქვს უსაქმურობას. უკეთ იქნები, რამეზე თუ გა-დაიტან ყურადღებას.

მართალია, ეს ყველაფერი მაღიზიანებდა, მაგრამ თან მამ-ხნევებდა, ჩემი და ასე რომ მიწვრილებდა გულს. სხვა ვერავინ

ბედავდა ასე მომქცეოდა. ჩემს მშობლებს თითქოს ეგონათ, რიგზე ვერ ვიყავი და ბავშვივით უნდა მომქცეოდნენ. დედაჩემი გარეცხილ ტანსაცმელს ფაქიზად მიკეცავდა და საწოლზე მილაგებდა, დღეში სამჯერ მიმზადებდა საჭმელს. როცა ჩემკენ მომზირალს გამოვიჭერდი, უხერხულად იღიმებოდა. ამ ღიმილით ამბობდა ყველაფერს, რისი ხმამაღლა თქმაც არ სურდა. მამას თერაპიაზე დავყავდი, გვერდით მომიჯდებოდა ხოლმე ტახტზე ტელევიზორის საყურებლად და... მხოლოდ ტრინა მეპყრობოდა ისე, როგორც ყოველთვის.

— ხომ იცი, რასაც გეტყვი, არა?

გვერდი ვიცვალე და შევიჭმუხნე.

— ვიცი. და არ გინდა.

— ისიც იცი, უილი რას გეტყოდა. თქვენ გარიგება დადეთ, სიტყვას ვერ გატეხ.

— კარგი, საკმარისია, ტრინ. მოვრჩეთ ამაზე.

— კარგი. ტომი გასახდელიდან გამოდის. პარასკევს გნახავ! — ისე თქვა, თითქოს მუსიკაზე, ტელესერიალზე ან მის მორიგ არდადეგებზე ვსაუბრობდით.

მე კი დავრჩი ასე, ჭერის მაცქერალი.

„თქვენ გარიგება დადეთ“.

ჰო, და აი, როგორ დამთავრდა ეგ ამბავი.

მართალია, ტრინა ბევრს მსაყვდურობდა, მაგრამ გასული კვირების განმავლობაში მცირედი წინსვლა მქონდა. ჯოხს, რომელიც თავს ოთხმოცდაცხრა წლის მოხუცად მაგრძნობინებდა და რომელიც სახლის თითქმის ყველა კუთხეში მრჩებოდა, აღარ ვიყენებდი. დილაობით, დედას თხოვნით, ბაბუა დამყავდა პარკში სასეირნოდ. ექიმმა დაუნიშნა ყოველდღიური ვარჯიში, მაგრამ დედამ აღმოაჩინა, რომ მხოლოდ კუთხის მაღაზიაში მიდიოდა, დაბრაწულ ხორცის რგოლებს ყიდულობდა და სახლისკენ უკანა გზაზე მიირთმევდა.

ნელა ვსეირნობდით — ორივე ვკოჭლობდით და არც ერთს არსად გვეჩქარებოდა.

დედა გამუდმებით გვთავაზობდა, ციხესიმაგრისკენ გაისეირნეთ, თვალს წყალი დაალევინეთო, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ყოველ დილით, როცა ჩვენ უკან კარი იკეტებოდა, ბაბუა პარკისკენ გაიქნევდა ხოლმე თავს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ პარკისკენ გზა უფრო მოკლე იყო, ან იმიტომ, რომ ფსონების მიმღებ მაღაზიასთან ახლოს ჩაივლიდა, არამედ იმის გამო, რომ იცოდა, არ მინდოდა იქ დაბრუნება. არ ვიყავი მზად. ეჭვი მეპარებოდა, რომ ოდესმე ვიქნებოდი მზად.

ორჯერ შემოვუარეთ იხვების გუბურას და მზის ქვეშ, ძელსკამზე დავსხედით, რომ ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის გვეყურებინა, სანამ ისინი იხვებს აჭმევდნენ. მოზარდები ეწეოდნენ, ყვიროდნენ და ერთმანეთს უტყაპუნებდნენ. ფსონების მაღაზიაშიც შევიარეთ, სადაც ბაბუამ წააგო, რადგან ფსონს ჩავიდა ცხენზე, სახელად „სწრაფი ძაღლი“. მერე კი ბილეთი დაკუჭა და სანაგვე ურნაში მოისროლა. შევთავაზე, ჯემიან დონატებს გიყიდი სუპერმარკეტში-მეთქი.

— უჰ, ცხიმები, — წამოიძახა ფუნთუშეულის განყოფილებაში.

შუბლი შევკარი.

— უჰ, ცხიმები, — გაიმეორა და დონატებისკენ გაიშვირა თითი, თან გაიცინა.

— აჰ, ჰო. სწორედ ამას ვეტყვით დედას — ცხიმის დაბალი შემცველობის დონატები.

დედა ამბობდა, ახალმა მედიკამენტებმა უფრო გაამხიარულესო, ხშირად ხითხითებდა. გავიფიქრე, ამაზე უარესი რამეებიც შეიძლება დაემართოს ადამიანს-მეთქი. ბაბუა ჯერ კიდევ საკუთარ ხუმრობაზე ხითხითებდა, როცა სალაროსთან რიგში ჩავდექით. თავჩაქინდრული ვიქექებოდი ჯიბეებში ხურდის საპოვნელად. ვფიქრობდი, დავხმარებოდი თუ არა ბაღში მამას იმ

შაბათ-კვირას. ამიტომ მთელი წუთი დამჭირდა იმის გასააზრებლად, რას ჩურჩულებდნენ ჩემ უკან.

— დანაშაულის გრძნობაა. ამბობენ, შენობის სახურავიდან სცადა გადმოხტომაო.

— შენც, რა, იმავეს არ იზამდი? ზუსტად ვიცი, ვერ ავიტანდი და თავს მოვიკლავდი.

— მიკვირს, აქ გამოჩენას რომ ბედავს.

გაუნძრევლად ვიდექი.

— საწყალი ჯოზი კლარკი ჯერაც ინანიებს. ყოველკვირა დადის აღსარებაზე, არადა, ქათქათა ზეწარივით უმწიკვლო ქალია.

ბაბუას კვლავ დონატებისკენ ჰქონდა თითი გაშვერილი და მოლარე გოგოს ტუჩების მოძრაობით, უხმოდ ეუბნებოდა:

— აუჰ, ცხიმები.

ის ზრდილობიანად უღიმოდა.

— ოთხმოცდაექვსი პენსი.

— ტრეინორები სამუდამოდ გაუბედურდნენ...

— იმ ამბავმა გაანადგურა, ხომ?

— ოთხმოცდაექვსი პენსი.

რამდენიმე წამი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, რომ მოლარე გოგონა მე მიყურებდა და მელოდა. მთელი ბღუჯა მონეტები ამოვიღე ჯიბიდან. თითების ფათურით ვცდილობდი, გადამეთვალა.

— ვინ იფიქრებდა, რომ ჯოზი გაბედავდა ბაბუა მის ამარა დაეტოვებინა.

— შენი აზრით, ის...

— ვინ იცის. სადაც ერთხელ გააკეთა...

ლოყები მიხურდა. ხურდები დახლზე დამიცვივდა. ბაბუა კი შეცბუნებულ მოლარე გოგოს ისევ უმეორებდა: „უჰ, ცხიმები. უჰ, ცხიმები“, ელოდა, როდის მიუხვდებოდა ხუმრობას.

სახელოში ჩავავლე ხელი.

— წამო, ბაბუ, უნდა წავიდეთ.

— უჰ, ცხიმები, — დაიჟინა.

— ჰო, — კეთილად გაუღიმა გოგონამ.

— გთხოვ, ბაბუა, — დამცხა და თავბრუ დამეხვა, თითქოს სადაცაა გული წამივიდოდა. ალბათ საუბარი გააგრძელეს, მაგრამ ყურები ისე მიწუოდა, არაფერი მესმოდა.

— ნახვამდის, — დაემშვიდობა ბაბუა.

— აბა, ნახვამდის, — უპასუხა გოგონამ.

— რა საყვარელია, — აღნიშნა ბაბუამ, როცა მზის სინათლეზე გამოვედით. მერე კი მე შემომხედა და შეშფოთდა, — რა გატირებს?

კატასტროფულ, ცხოვრების თავდაყირა დამყენებელ შემთხვევებს ერთი უცნაურობა ახასიათებთ. გგონია, რთულად გადასატანი მხოლოდ ეს კატასტროფული, ცხოვრების თავდაყირა დამყენებელი შემთხვევაა: მოგონებები, უძილო ღამეები, თავში წარსული დღეების უსასრულოდ გამეორება, იმაზე ფიქრი, მოიქეცი თუ არა სწორად, თქვი თუ არა სიტყვები, რომლებიც უნდა გეთქვა, შეგეძლო თუ არა რამის შეცვლა.

დედამ გამაფრთხილა, უილთან ყოფნა, საბოლოოდ, მთელ შენს ცხოვრებას შეცვლისო. მეგონა, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გულისხმობდა. მეგონა, დანაშაულის გრძნობას, სევდას, უძილობას, ბრაზის უჩვეულო და უადგილო შემოტევებს, უკვე გარდაცვლილ ადამიანთან დაუსრულებელ წარმოსახვით დიალოგებს გულისხმობდა. ახლა კი ვხვდებოდი, ცვლილებები მხოლოდ ჩემს შინაგან სამყაროს არ შეეხებოდა. ციფრულ ერაში სამუდამოდ იმ ადამიანად დავრჩებოდი. თუნდაც სრულიად დამევიწყებინა ყველაფერი, მაინც დამაკავშირებდნენ უილის გარდაცვალებასთან. ჩვენი სახელები გადაჯაჭვული იქნება მანამ, სანამ ეკრანები და პიქსელები იარსებებს. ხალხი ზერელე ან სრულიად არარსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გან-

მსჯის, მე კი ვერაფერს გავხდები. თმა შევიჭერი, ჩაცმულობა შევიცვალე — რაც სხვებისგან გამომარჩევდა, ყველაფერს ჩანთაში ვუკარი თავი და კარადის უკან შევჩურთე. ტრინას „უნიფორმა“ გადავიღე — ჯინსის შარვალი და უბრალო მაისური. ახლა, როცა საგაზეთო სტატიებს ვკითხულობდი ბანკის მძარცველის, შვილის მკვლელი დედის, გაუჩინარებული დის შესახებ, ძველებურად აღარ ვკანკალებდი. ამის ნაცვლად, ის ამბავი მაფიქრებდა, რაც ფურცელზე არ მოხვდა.

მათთან უცნაურ სიახლოვეს ვგრძნობდი. მეც შებღალული ვიყავი. ჩემ გარშემო სამყარომ ეს იცოდა. კიდევ უარესი, მეც თანდათან ვიჯერებდი.

დამოკლებული თმა ქუდის ქვეშ შევმალე, სათვალე გავიკეთე და ბიბლიოთეკისკენ გავემართე. მთელი ძალით ვცდილობდი, კოჭლობა არ დამტყობოდა, მეტისმეტი მოწადინებისგან ყბა დამეჭიმა და ამტკივდა.

ჩავუარე საბავშვო კუთხეში მოღიღინე პატარებსა და გენეალოგიით გატაცებულებს, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, მეფე რიჩარდ მესამის შთამომავლები ვართო და ადგილობრივი გაზეთებით ხელში კუთხეში დავჯექი. 2009 წლის აგვისტოს პოვნა არ გამჭირვებია. ღრმად ჩავისუნთქე, გადავშალე და სათაურებს გადავხედე.

სტროტფოლდელი მამაკაცი შვეიცარიულ კლინიკაში

სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს

ტრეინორების ოჯახი მძიმე ჟამს სიმშვიდეს ითხოვს

სტივენ ტრეინორის, სტროტფოლდის ციხესიმაგრის მეურვის, 35 წლის ვაჟმა, დიგნიტასში, სუიციდის დახმარების ცენტრში, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისტერ ტრეინორს 2007 წელს უბედური საგზაო შემთხვევის შედეგად კვადრიპლეგია დაემართა. როგორც ცნობილია, იგი კლინიკაში გაემგზავრა

ოჯახსა და მომვლელთან, ასევე სტროტფოლდელ, 27 წლის ლუისა კლარკთან ერთად.

პოლიცია გამოძიებას ატარებს თვითმკვლელობის გარემოებების გამოსაკვლევად. წყაროებზე დაყრდნობით, სრულიად დასაშვებია, გაიმართოს სასამართლო.

ლუისა კლარკის მშობლებმა, ბერნარდ და ჯოზეფინ კლარკებმა რენფრიუ-როუდიდან, უარი განაცხადეს კომენტარის გაკეთებაზე.

კამილა ტრეინორი, ყოფილი საერთაშორისო მოსამართლე, როგორც ცნობილია, ვაჟის თვითმკვლელობის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა. ადგილობრივი წყაროს თანახმად, ტრეინორების ოჯახის ქმედებების შემდეგ, მისი ძველ პოზიციაზე დარჩენა გაუმართლებელი იყო.

და აი, ისიც, უილის სახე, რომელიც გაზეთის წერტილოვანი ფოტოსურათიდან შემომქცეროდა. მისი ოდნავ გესლიანი ღიმილი, გამჭოლი მზერა. მცირე ხნით სუნთქვა შემეკრა.

ბატონი ტრეინორის გარდაცვალებით დასრულდა მისი წარმატებული კარიერა სიტიში (სიტი — ლონდონის ფინანსური უბანი), სადაც იგი სახელგანთქმული იყო, როგორც აქტივების უმოწყალო ჩამომწერი, ამავე დროს — გამჭრიახი ფინანსისტი კორპორაციულ გარიგებებში. მისი კოლეგები გუშინ შეიკრიბნენ, რათა პატივი მიეგოთ კაცისთვის, რომელსაც ახასიათებდნენ...

გაზეთი დავხურე. როცა დავმშვიდდი და სახეზე შეშფოთება აღარ მეწერებოდა, თავი ავწიე. ჩემ ირგვლივ ბიბლიოთეკა ხმადაბალი მუყაითობით გუგუნებდა. ბავშვები სიმღერას აგრძელებდნენ ქაოტური და აბნეული, წვრილი ხმებით. დედები ისევ მონდომებით უკრავდნენ ტაშს. ჩემ უკან მდგომი ბიბლიოთეკარი კოლეგასთან ერთად sotto voce ((იტალ.) — ხმადაბლა) განიხილავდა ტაილანდური საწებლის მომზადების საუკეთესო

ხერხს. ჩემ გვერდით კაცი ძველთაძველ საარჩევნო სიას აყოლებდა თითს და ჩურჩულებდა:

— ფიშერი, ფიცგიბონი, ფიცუილიამი...

არაფერი გამიკეთებია. თვრამეტ თვეზე მეტი გავიდა და ორ სხვადასხვა ქვეყანაში სასმელების გაყიდვის გარდა არაფერი გამიკეთებია. და ახლა, ბავშვობის სახლში დაბრუნებიდან ოთხი კვირის შემდეგ, სტროტფოლდი თავისკენ მექაჩებოდა, მარწმუნებდა, რომ აქ უნდა დავრჩენილიყავი. ყველაფერი კარგად იქნებოდა. მართალია, დიადი თავგადასავლები არ გადამხდებოდა და სანამ ხალხი ჩემს დაბრუნებას შეეჩვეოდა, უხერხულად ვიგრძნობდი თავს, მაგრამ ოჯახთან ერთად თბილად და დაცულად ყოფნაზე უარესი რამეებიც ხომ არსებობს? ჩემ წინ დალაგებული გაზეთების დასტას დავხედე. უკანასკნელი გამოცემის პირველ გვერდზე იკითხებოდა:

ფოსტის ავტოსადგომზე შშმ პირთა

კუთვნილ ადგილზე დიდი რიგია

საავადმყოფოში საწოლზე ჩამომჯდარი მამა გამახსენდა, ამაოდ რომ ეძებდა ჩემი უბედური შემთხვევის შესახებ საგაზეთო სტატიას.

„დაგაღალატე, უილ. ყოველმხრივ დაგაღალატე“.

სანამ სახლამდე მივაღწევდი, მთელი ქუჩა საშინელი ყვირილი მესმოდა. კარის გაღებისას ტომასის ღრიალმა ყურთასმენა წამართვა. ჩემი და საერთო ოთახში თითის ქნევით ტუქსავდა. დედა ბაბუასკენ დახრილიყო, წყლის სათლითა და სახეხი ღრუბლით, ის კი მის თავიდან მოცილებას ცდილობდა.

— რა ხდება?

დედა გვერდით გაიწია და ბაბუას სახე გარკვევით დავინახე. კუპრივით შავი წარბები და სქელი, ოდნავ არათანაბარი ულვაში მიეხატათ.

— წაუშლელი ფლომასტერითაა, — თქვა დედამ, — ამიერიდან მთვლემარე ბაბუა ტომასთან ერთად ოთახში არავინ დატოვოთ.

— შეწყვიტე რაღაცებზე ხატვა, — ყვიროდა ტრინა, — მარტო ქაღალდზე ხატე, გასაგებია? არც კედლებზე, არც სახეებზე, არც ბატონი რეინოლდსის ძაღლზე. არც ჩემს შარვლებზე.

— კვირის დღეებს გაწერდი!

— არ მჭირდება კვირის დღეებიანი შარვალი! — იღრიალა ტრინამ, — რომ მჭირდებოდეს, სწორად მაინც დავწერდი „ოთხშაბათს“!

— ნუ უბრაზდები, ტრინ, — უთხრა დედამ და უკან დაიხია, რომ ენახა, მოახერხა თუ არა ბაბუას წარბების გაწმენდა, — უარესიც შეეძლო ჩაედინა.

ჩვენს პატარა სახლში კიბეზე მამას ნაბიჯების ბრახაბრუხი მეხის გავარდნასავით ისმოდა. წინა ოთახში შემოვარდა, გაბრაზებული, მხრებში მოხრილი იდგა, თმა ცალ მხარეს დასტკეპნოდა.

— საკუთარ სახლში ვერ გამომიძინებია კაცს! სახლი კი არა, საგიჟეა.

ყველანი გავჩერდით და დაჟინებით მივაცქერდით.

— რა? რა ვთქვი ასეთი?

— ბერნარდ...

— კარგი, რა. ჩვენს ლუს ხომ არ ჰგონია, რომ მას ვგულისხმობდი...

— ღმერთო ჩემო! — დედამ ხელი იტკიცა.

ჩემმა დამ ტომასი ოთახიდან გააგდო.

— ოჰ, ბიჭო, — წაისისინა ტრინამ, — ტომას, გირჩევნია სასწრაფოდ აქედან გაეთრიო. გეფიცები, ბაბუაშენი თუ დაგიჭერს...

— რა? — შეიჭმუხნა მამა, — რაშია საქმე?

ბაბუას სიცილი წასკდა. აკანკალებული თითი მაღლა ასწია.

დიდებული სანახაობა იყო. ტომასს მამასთვის მთელი სახე ლურჯი ფლომასტერით შეეღება. თვალები ისე უჩანდა, როგორც ორი ხურტკმელი გამოჩნდებოდა კობალტისფერ ზღვაში.

— რა? — იკითხა ისევ.

ტომასის ცრემლიანი პროტესტის ხმა თანდათან დერეფანში უჩინარდებოდა.

— ავატარს ვუყურებდით! ასე მითხრა, მეც მინდა, ავატარი ვიყოო!

მამამ თვალები დააჭყიტა. ბუხრის თავზე სარკეში ჩაიხედა.

წუთით ყველა გაირინდა, მისი ჩათვლით.

— ღმერთო!

— ბერნარდ, უფლის სახელს ამაოდ ნუ ახსენებ.

— გამალურჯა, ჯოზი! მგონი უფლება მაქვს, ღმერთის სახელი ურიკაზე დავაგდო და ბატლინსში (დასასვენებელიბანაკების ქსელი დიდ ბრიტანეთში) გავაქანო. ეს წაუშლელი ფლომასტერია? ტოომო? წაუშლელია?!

— მოგაშორებთ, მამა, — ჩემმა დამ ეზოს კარი მიხურა; გარედან ტომასის ბღავილი ისმოდა.

— ხვალ ციხესიმაგრის ახალ შეღობვას უნდა დავაკვირდე. კონტრაქტორები მოდიან. როგორ შევხვდე კონტრაქტორებს თუ ლურჯი ვიქნები? — მამამ ხელზე დაიფურთხა და სახის ხეხვას მოჰყვა. საღებავი ოდნავ აიგლისა, თუმცა მოშორების მაგივრად ხელისგულზეც გადავიდა, — არ მშორდება. ჯოზი, არ მშორდება!

დედამ ყურადღება ბაბუადან მამაზე გადაიტანა და მასთან სახეხი ღრუბლით ჩამოჯდა.

— არ გაინძრე, ბერნარდ. ვცდილობ, რაც შემიძლია.

ტრინა ლეპტოპს დასწვდა.

— ინტერნეტში ვნახავ, დარწმუნებული ვარ, რამეს ვიპოვი: კბილის პასტა, ფრჩხილის ლაქის მოსაშორებელი, მათეთრებელი ან...

— სახეზე მათეთრებელს არ გავიკარებ! — დაიღრიალა მამამ. ბაბუა კი, თავისი ახალი, მეკობრული ულვაშით ოთახის კუთხეში იჯდა და ხითხითებდა.

გვერდით ჩავუარე.

დედას მარცხენა ხელით მამას სახე ეჭირა და ღრუბლით ხეხავდა. უცებ მოტრიალდა, თითქოს მაშინღა დამინახა.

— ლუ! არ მიკითხავს — თავს კარგად გრძნობ, საყვარელო? გესიამოვნა გასეირნება? — ყველა უეცრად გაჩერდა და გამიღიმა. ღიმილით, რომელიც მეუბნებოდა, აქ ყველაფერი რიგზეა, ლუ. არაფერზე იდარდო. მეზიზღებოდა ეს ღიმილი.

— კარგად ვარ.

ეს იყო პასუხი, რომლის გაგონებაც სურდა ყველას. დედა ისევ მამას მიუბრუნდა.

— ჩინებულია. ხომ ჩინებულია, ბერნარდ?

— ჰო. დიდებული ამბავია.

— თუ თეთრეულს გადაალაგებ, ძვირფასო, მამაშენის ტანსაცმელთან ერთად გავრეცხავ.

— არ შეწუხდე, — განვაცხადე, — ვფიქრობდი და გადავწყვიტე, დროა, სახლში დავბრუნდე.

ხმა არავის ამოუღია. დედამ მამას გადახედა. ბაბუამ ისევ ჩაიხითხითა და პირზე ხელი მიიფარა.

— რა გაეწყობა, — მამამ ისე ღირსეულად მიპასუხა, რამდენადაც შუახნის, მოცვისფრად სახეშეფერილ მამაკაცს შეეძლო, — მაგრამ იმ ბინაში მხოლოდ ერთი პირობით დაბრუნდები, ლუისა...

თავი მეოთხე

— მე ნატაშა მქვია და მეუღლე სამი წლის წინ, კიბოთი გარდამეცვალა.

ორშაბათის ნოტიო ღამეს დარდთან გამკლავების წრის წევრები რკალად ისხდნენ ორმოცდაათიანელთა ეკლესიის დარბაზში. მათთან ერთად იყო მარკი, მათი წინამძღოლი, მაღალი, ულვაშიანი კაცი, რომელიც ერთგვარ დაქანცულ მელანქოლიას ასხივებდა. მხოლოდ ერთი სკამი იყო ცარიელი.

— მე ფრედი ვარ. ჩემი ცოლი, ჯილი სექტემბერში გარდაიცვალა. სამოცდათოთხმეტის იყო.

— სუნილი. ჩემი ტყუპისცალი ძმა ორი წლის წინ ლეიკემიას ემსხვერპლა.

— უილიამი. მამა ექვსი თვის წინ გარდაიცვალა. ცოტა არ იყოს სასაცილოა, სანამ ცოცხალი იყო, კარგი ურთიერთობა არ გვქონდა. საკუთარ თავს სულ ვეკითხები, აქ რას ვაკეთებ-მეთქი.

უცნაური სურნელი ჰქონდა სევდას — ნესტიანი, უხეიროდ განიავებული ეკლესიის დარბაზებისა და უხარისხო ჩაის პაკეტების; სხვისთვის ალბათ სადილის და გარეთ, სიცივეში ატუზულად მოწეული სიგარეტის. გალაქული თმისა და იღლიების, სასოწარკვეთილების ჭაობის წინააღმდეგ პატარ-პატარა, ნამდვილი გამარჯვებების სუნიც ტრიალებდა. ეს სურნელიც საკმარისი იყო იმის მისახვედრად, რომ აქაურობას არ ვეკუთვნოდი, რა პირობაც უნდა მიმეცა მამაჩემისთვის.

თავს თაღლითად ვგრძნობდი. თან, ყველანი ისეთი... სევდიანები იყვნენ.

სკამზე უხერხულად შევიშმუშნე, რაც მარკს არ გამოჰპარვია. გამამხნევებელი ღიმილი მესროლა. „ჩვენ გვესმის, — იკითხებოდა ამ ღიმილში, — ჩვენც გამოგვივლია“.

„მეეჭვება გესმოდეთ“, — გავიფიქრე პასუხად.

— ბოდიში. ბოდიში დაგვიანებისთვის, — კარი გაიღო და თბილი ჰაერი შემოიჭრა. ცარიელი ადგილი თმააჩეჩილმა მოზარდმა დაიკავა და ისე მოიკეცა, თითქოს მეტისმეტად გრძელ კიდურებს ვერასოდეს ვერსად ატევდა.

— ჯეიკ, წინა კვირას გააცდინე. ყველაფერი რიგზეა?

— ბოდიში. მამამ აურია სამსახურში და ვერ მომიყვანა.

— ნუ ღელავ. მთავარია რომ ახლა მოხვედი. გამაგრილებელი სასმელები იცი, სადაც არის.

ბიჭმა გრძელი ქოჩრის ქვეშიდან მიმოათვალიერა ოთახი. მზერა ჩემს ბრჭყვიალა მწვანე ქვედაბოლოზე შეუჩერდა. კალთაზე ჩანთა დავიფარე და ბიჭმაც გაიხედა.

— გამარჯობა, ძვირფასო. მე დაფნე ვარ. ჩემმა ქმარმა თავი მოიკლა. მგონი, ჩემი წუწუნის ბრალი არ უნდა ყოფილიყო! — ქალის სიცილშიც ტკივილი იგრძნობოდა. ლაზათიანად დაყენებული ვარცხნილობა შეისწორა და საკუთარ მუხლებს უხერხულად დააცქერდა, — ბედნიერები ვიყავით. ნამდვილად ვიყავით.

ბიჭს ხელები ფეხებქვეშ ამოეწყო.

— ჯეიკი. დედა. ორი წლის წინ. მთელი წელია აქ დავდივარ, რადგან მამაჩემს უჭირს ამ ამბავზე საუბარი, მე კი ხმის გამცემი მჭირდება.

— როგორაა მამაშენი ამ კვირაში, ჯეიკ? — იკითხა მარკმა.

— არც ისე ცუდად. წინა პარასკევს ღამით ქალი მოიყვანა სახლში, მაგრამ მერე დივანზე აღარ დამჯდარა და არ უქვითინია. ესეც საქმეა.

— ჯეიკის მამა სევდას თავისებურად უმკლავდება, — მარკმა ჩემი მისამართით განაცხადა.

— ქალებით, — თქვა ჯეიკმა, — ძირითადად ქალებით.

— ნეტავ უფრო ახალგაზრდა ვიყო, — ნაღვლიანად წამოსცდა ფრედს. ჰალსტუხი ეკეთა, იმ მამაკაცების რიგს მიეკუთვნებოდა,

უჰალსტუხოდ შინიდან რომ არ გადიან, — ალბათ ქალები შესანიშნავი გზა იქნებოდა ჯილის გარდაცვალებასთან შესაგუებლად.

— ჩემმა ბიძაშვილმა დეიდაჩემის დაკრძალვაზე გაიცნო კაცი, — თქვა ქალმა, რომელიც კუთხეში იჯდა და მგონი, ლინი ერქვა; ზუსტად ვერ ვიხსენებ. დაბალსა და ჩამრგვალებულს სქელი, შოკოლადისფერი ხვეული თმა ჰქონდა.

— უშუალოდ დაკრძალვისას?

— ასე თქვა, პირდაპირ თრეველოჯში (თრეველოჯი — სასტუმროების ბრიტანული ქსელი) წავედით სენდვიჩების მერეო, — ლინმა მხრები აიჩეჩა, — ეტყობა, გამძაფრებულმა ემოციებმა იცის.

არასწორ ადგილას ვიყავი. კიდევ უფრო ცხადად ვხედავდი ამას. ჩემი ნივთები ჩუმად მოვაგროვე და დავფიქრდი, უნდა გამომეცხადებინა, რომ მივდიოდი თუ უფრო მარტივი იქნებოდა, უბრალოდ გავქცეულიყავი.

მერე მარკი მომიტრიალდა და მომლოდინედ დამაკვირდა.

უაზროდ მივაჩერდი.

წარბები აქაჩა.

— ოჰ, მე? იცით, წასვლას ვაპირებდი. ვფიქრობ, მე... მე არა მგონია...

— პირველ დღეს ყველა გარბის, ძვირფასო.

— მე მეორე და მესამე დღეებშიც მინდოდა წასვლა.

— ორცხობილების ბრალია. მარკს სულ ვეუბნები, უკეთესი მოვიტანოთ-მეთქი.

— ერთი-ორი სიტყვა გვითხარი მხოლოდ, თუ გინდა. ნუ ღელავ, მეგობრების გარემოცვაში ხარ.

ყველა მე მელოდებოდა. ვერ გავიქცეოდი. ადგილს დავუბრუნდი.

— ჰმმ, კარგი. მოკლედ, ჩემი სახელია ლუისა და კაცი, რომელიც... მიყვარდა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა.

რამდენიმემ თანაგრძნობის ნიშნად თავი დამიქნია.

— როგორი ახალგაზრდა ყოფილა. როდის მოხდა ეს ამბავი, ლუისა?

— ოცი თვე, ერთი კვირა და ორი დღე გავიდა.

— სამი წელი, ორი კვირა და ორი დღე, — ნატაშამ ოთახის მეორე ბოლოდან გამიღიმა.

დარბაზს თანაგრძნობის ჩურჩულმა გადაურბინა. ჩემ გვერდით მჯდომარე დაფნემ გათქვირული, ბეჭდებასხმული ხელი გამოიწოდა და ფეხზე მომითათუნა.

— ამ ოთახში ხშირად გვისაუბრია, რომ განსაკუთრებით რთულია, როდესაც ვინმე ახალგაზრდა გარდაიცვლება, — განაცხადა მარკმა, — რამდენ ხანს იყავით ერთად?

— ჩვენ... დაახლოებით ექვსი თვე.

ზოგიერთმა გაოცება ძლივს დაფარა.

— ეს... საკმაოდ მოკლე დროა, — გაისმა ხმა.

— დარწმუნებული ვარ, ეს ლუისას ტკივილს არ ამცირებს, — თავაზიანად შეეპასუხა მარკი, — და როგორ წავიდა, ლუისა?

— წავიდა?

— როგორ მოკვდაო, — შემეშველა ფრედი.

— აჰ! მან... თავი მოიკლა.

— ალბათ თქვენთვის ძალიან მოულოდნელი იყო.

— არც ისე. ვიცოდი, ამას რომ აპირებდა.

უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა. ალბათ, ასეთი დუმილი ეუფლებათ ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სიკვდილზე ყველაფერი იციან, მაგრამ უეცრად ისეთ რამეს აწყდებიან, რაც აქამდე არ გამოუცდიათ.

ღრმად ჩავისუნთქე.

— თავის მოკვლა ჩემს გაცნობამდე ბევრად ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი. ვცადე, გადამერწმუნებინა, მაგრამ ვერ შევძელი. მიყვარდა, ამიტომ მის გეგმას შევეგუე. მაშინ მეგონა, სწორად ვიქცეოდი. ახლა კი ეჭვი მეპარება, ამიტომაც ვარ აქ.

— სიკვდილი არასოდესაა სწორი, — აღნიშნა დაფნემ.

— თუ ბუდისტი არ ხარ, — დაამატა ნატაშამ, — ვცდილობ, ბუდისტურად ვიფიქრო, მაგრამ მერე იმაზე ვღელავ, ოლაფი წრუწუნად არ დაბრუნდეს და შემთხვევით არ მოვწამლო, — ამოიხვნეშა, — საწამლავი უნდა დავყარო. ჩვენს კორპუსს თაგვები შემოესივნენ.

— თავიდან ვერ მოიშორებ, რწყილებივით არიან, — თქვა სუნილმა, — ერთს რომ ხედავ, იმის გარდა ასობით დამალულია.

— ნატაშა, სიყვარულო, უნდა დაფიქრდე, რას აკეთებ, — დაუყვავა დაფნემ, — ასობით პატარა ოლაფი შეიძლება დაძრწოდეს, იქნებ მათ შორის ჩემი ალანიცაა. ვინ იცის, ორივენი მოწამლო.

— ესე იგი, თუ ბუდისტია, რაიმე სხვა არსებად დაბრუნდება? — იკითხა ფრედმა.

— იქნებ ბუზია ან რამე მსგავსი, რასაც ნატაშა მაინც მოკლავს?

— ბუზად ნამდვილად არ დავბრუნდებოდი, — ჩაერთო უილიამი და გააჟრჟოლა, — საზარელი შავი ბანჯგვლიანი არსებები!

— მასობრივი მკვლელი კი არ ვარ, — თქვა ნატაშამ, — ისე გამოგყავთ, თითქოს ყველას რეინკარნირებული მეუღლეების ამოჟლეტა მინდოდეს.

— ეგ წრუწუნა სრულიად შესაძლებელია, ვინმეს ქმარი იყოს, თუნდაც ოლაფი არ აღმოჩნდეს.

— ვფიქრობ, დროა ეს საუბარი თავდაპირველი თემისკენ მოვაბრუნოთ, — თქვა მარკმა და საფეთქლები დაიზილა, — ლუისა, დიდი მამაცობაა შენი მხრიდან აქ მოსვლა და საკუთარი ამბის

მოყოლა. იქნებ ცოტა მეტი გვიამბო, როგორ შეხვდით შენ და — რა ერქვა? — როგორ გაიცანით ერთმანეთი. სანდო წრეში ხარ. ყველამ აღთქმა დავდეთ, რასაც ვყვებით, ამ ოთხ კედელს არასოდეს გაცდება.

სწორად ამ წუთში ჯეიკის მზერა დავიჭირე. მან ჯერ დაფნეს გახედა, მერე მე და თავი ძლივსშესამჩნევად გააქნია.

— სამსახურში გავიცანი, — ვთქვი მე, — მას... ბილი ერქვა.

მამაჩემისთვის მიცემული დაპირების მიუხედავად, დარდთან გამკლავების წრეზე სიარულს არ ვაპირებდი. თუმცა, სამსახურში დაბრუნების პირველმა დღემ ისე საშინლად ჩაიარა, რომ როცა სახლში წასვლის დრო მოვიდა, ცარიელ ბინაში შებიჯებას ვერ გავუძლებდი.

— დაბრუნებულხარ! — კარლიმ ყავის ჭიქა ბარზე დადო, ბიზნესმენს ხურდა გამოართვა და ჩამეხუტა, თან მონეტები ერთი მოქნილი მოძრაობით სალაროს განყოფილებებში გაანაწილა, — რა ჯანდაბა მოხდა? ტიმმა გვითხრა, უბედური შემთხვევა მოგსვლია. მერე წავიდა და არც ვიცოდი, დაბრუნდებოდი თუ არა.

— გრძელი ამბავია, — მივაჩერდი, — ეს... რა გაცვია?

ორშაბათი, დილის ცხრა საათი იყო და აეროპორტი აევსო ლურჯ-ნაცრისფერ მორევს კაცებისა, რომლებიც ლეპტოპებს ტენიდნენ, აიფონებს ჩასცქეროდნენ, გაზეთ „სითის“ ეცნობოდნენ ან ტელეფონით საბაზრო წილებზე საუბრობდნენ. კარლიმ დახლს იქით ვიღაცას მოჰკრა თვალი:

— ჰო, შენი წასვლის შემდეგ რაღაცები შეიცვალა.

მივტრიალდი და ბარის დახლის შიდა მხარეს მდგარი ბიზნესმენი დავინახე. ჩანთა დავდე და მისკენ გავწიე.

— თუ დამელოდებით, ახლავე მოგემსახურებით...

— თქვენ ალბათ ლუისა ხართ, — ცივად, მანერულად ჩამომართვა ხელი, — მე ბარის ახალი მენეჯერი ვარ, რიჩარდ პერსივალი.

საფუძვლიანად შევისწავლე მისი სლიკინა თმა, კოსტიუმი, მისი ბაცი ლურჯი პერანგი და დავუფიქრდი, აქამდე რა სახის ბარები ებარა.

— სასიამოვნოა.

— ორი თვე რომ არ გამოჩენილა, წესით ის უნდა იყო.

— დიახ, ჰო. მე...

თაროებს შორის მიმოდიოდა, ბოთლებს ათვალიერებდა.

— უბრალოდ მინდა იცოდე, დიდად არ ვგიჟდები, როცა თანამშრომლები გაუთავებლად იღებენ უქმე დღეებს.

გაოცებისგან თავი უკან გადავიქნიე.

— უბრალოდ წესებს გაცნობ, ლუისა. იმ მენეჯერებს არ ვგავარ, თვალს რომ ხუჭავენ ხოლმე. ისიც ვიცი, ბევრ ფირმაში უქმეების აღებას სამსახურის უპირატესობად მიიჩნევენ, მაგრამ არა იმ ფირმებში, სადაც მე ვმუშაობ.

— დამიჯერეთ, უკანასკნელი ცხრა კვირა უპირატესობა ნამდვილად არ ყოფილა.

ონკანის შიდა მხარე გასინჯა, ცერა თითი გაუსვა.

სანამ რამეს ვიტყოდი, ღრმად ჩავისუნთქე:

— შენობიდან გადმოვვარდი. შემიძლია, ოპერაციის შემდგომი იარებიც გაჩვენოთ. დარწმუნდებით, რომ გამეორება ნამდვილად არ მომინდება.

დაჟინებით მომაცქერდა.

— სარკაზმი საჭირო არ არის. არ ვამბობ, რომ კიდევ რაიმე დაგემართებათ, მაგრამ თქვენი უქმე დღეების რაოდენობა, pro rata ((ლათინ.) — შედარებით), მეტისმეტად ბევრია იმისთვის, ვინც ასე მცირე ხანია, ამ კომპანიისთვის მუშაობს. სულ ეს მინდოდა აღმენიშნა.

მანჟეტის საკინძებზე სარბოლო მანქანები ჰქონდა დამაგრებული.

— შეტყობინება მიღებულია, ბატონო პერსივალ, — ვუპასუხე, — ყველაფერს ვიღონებ, რომ თითქმის სასიკვდილო შემთხვევითობები თავიდან ავიცილო.

— უნიფორმა დაგჭირდებათ. ხუთი წუთი დამიცადეთ, საწყობიდან მოგიტანთ. რა ზომას იცვამთ? თორმეტს? თოთხმეტს?

დაჟინებით მივაცქერდი.

— ათს.

წარბი აზიდა. მეც ავზიდე. კაბინეტში რომ შებრუნდა, კარლი ყავის აპარატიდან გადმოიხარა და მისი მიმართულებით გაიღიმა.

— სრული, სრული იდიოტი, — ტუჩის კუთხით ჩაიბუტბუტა.

მისი ნათქვამი სიცრუე არ გამოდგა. იმ წუთიდან, რაც დავბრუნდი, რიჩარდ პერსივალი, როგორც მამაჩემი იტყოდა, უვარგისი კოსტიუმივით თავიდან არ მცილდებოდა. ჩემს აწონილს თავიდან წონიდა, ბარის ყოველ კუნჭულს ამოწმებდა მიწისთხილის მოლეკულისხელა ნამცეცებისთვის, წამდაუწუმ შედიოდა საპირფარეშოებში ჰიგიენის შესამოწმებლად და სახლში არ გვიშვებდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ სალაროში ფული სწორად იყო დაანგარიშებული, უკანასკნელ პენიმდე.

დრო აღარ მქონდა, კლიენტებთან მელაყბა, გაფრენის დროები შემეთვალიერებინა, დაკარგული პასპორტები დამებრუნებინა, უზარმაზარი შუშებიდან მეყურებინა, როგორ აფრინდებოდნენ თვითმფინავები. იმის დროც კი აღარ მრჩებოდა,- „ზურმუხტის კუნძულის კელტური მუსიკის“ მესამე ალბომის მოსმენით მომბეზრებოდა თავი. თუ კლიენტს ათ წამზე მეტხანს მოუწევდა მოცდა, რიჩარდი ჯადოსნურად გაჩნდებოდა თავისი კაბინეტიდან, დემონსტრაციულად ამოიოხრებდა, მერე კი ხმამაღლა და შეუჩერებლად ებოდიშებოდა, რადგან ასე დიდხანს ვალოდინეთ. კარლი და მე, როგორც წესი, სხვა კლიენტების

მომსახურებით დაკავებულები, გულგაწვრილებულები ერთმანეთს მალულად გადავხედავდით ხოლმე.

ნახევარ დღეს წარმომადგენლებთან შეხვედრაში ატარებდა, მეორე ნახევარს — სათაო ოფისთან ტელეფონზე ჩამოკიდებული, კლიენტების რაოდენობასა და თითო მათგანიდან მიღებულ შემოსავალზე ეწუწუნებოდა. გვავალებდა, კლიენტები უფრო მეტის შეკვეთაზე დაგვეთანხმებინა და თუ დაგვავიწყდებოდა, ცალკე გაგვიხმობდა შენიშვნის მოსაცემად. ეს ყველაფერი ხომ საშინელება იყო, მაგრამ უნიფორმა — მთლად უარესი.

კარლი ქალების საპირფარეშოში რომ შემოვიდა, გამოცვლას ვამთავრებდი. ჩემ გვერდით, სარკის წინ დადგა და აღნიშნა:

— იდიოტებს ვგავართ.

ვიღაც მაღალ თანამდებობაზე მყოფმა მარკეტინგის გენიოსმა მუქი ქვედაბოლო და თეთრი პერანგი არ იკმარა და გადაწყვიტა, რომ „შამროკისა და კლოვერის“ ქსელის ატმოსფეროს უფრო მეტად ირლანდიური ჩაცმულობა მოუხდებოდა. ეს ირლანდიური ჩაცმულობა კი ვიღაც ისეთმა მოიფიქრა, ვისაც ჰგონია დუბლინში, ამწამს, საქმიანი ქალები და მოლარე გოგონები სამუშაო ადგილებში პირუეტების (პირუეტი — ილეთი ბალეტში, ცალ ფეხზე ტრიალი) კეთებით დადიან და მოქარგული ლაბადები, მუხლებამდე წინდები და მაქმანებიანი საცეკვაო ფეხსაცმელები აცვიათ, ყველაფერი ბრჭყვიალა ზურმუხტისფერი, თანაც დალალებიანი პარიკიც ამშვენებთ.

— ღმერთო. ჩემმა შეყვარებულმა ასე ჩაცმული რომ დამინახოს, მაშინვე მიმატოვებს, — კარლიმ სიგარეტს მოუკიდა და ნიჟარაზე აძვრა, რომ ჭერში დამაგრებული სახანძრო განგაშის მოწყობილობა გამოერთო, — ოღონდ ჯერ ჩემთან დაწოლა მოუნდებოდა. ეგ გარყვნილი.

— კაცებს რისი ჩაცმა უწევთ? — მოკლე ქვედაბოლოს კალთები გავწიე და შეშფოთებით შევხედე კარლის სანთებელას, დამაინტერესა რამდენად იოლად მომეკიდებოდა ალი.

— გარეთ გაიხედე. მხოლოდ რიჩარდია. მას კი იმ პერანგის ჩაცმა უწევს, მწვანე ლოგოთი. ოჰ, ეგ საცოდავი.

— სულ ეგაა? არც ელფის ფეხსაცმელები? არც ლეპრეკონის ქუდი?

— საოცრებაა. მხოლოდ გოგონებს გვიწევს პორნო ჯუჯებივით ჩაცმა.

— ამ პარიკში დოლი პარტონის ახალგაზრდობას ვგავარ.

— წითელი გაიკეთე. გაგვიმართლა, სამ ფერში შეგვიძლია არჩევა.

გარედან შემოგვესმა, რომ რიჩარდი გვეძახდა. მისი ხმის გაგონებაზე მუცელი უნებურად მეჭიმებოდა.

— მე აქ არ დავრჩები. სულ რივერდანსით გავალ აქედან და სხვა სამსახურს ვიშოვი, — თქვა კარლიმ, — შეუძლია თავისი წყეული სამყურები კორპორაციულ უკანალში გაიკეთოს.

სარკასტულად შეხტა და საპირფარეშოდან გავიდა. მთელი დარჩენილი დღე ტანსაცმლიდან ელექტრომუხტები მარტყამდა.

დარდთან გამკლავების წრე ათის ნახევარზე დასრულდა. ზაფხულის ნოტიო საღამოში გამოვაბიჯე, სამსახურითა და საღამოს მოვლენებით დაქანცულმა. ქურთუკი გავიძრე; ძალიან დამცხა იმის გაფიქრებისას, როგორ გამოვფინე საკუთარი სხეული უცხო ადამიანების თვალწინ, ყალბ ირლანდიურ საცეკვაო უნიფორმაში ჩაცმულმა. ეს უნიფორმა კი, სიმართლე ითქვას, ისე პატარა მქონდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა მეცვა თუ არა.

უილზე საუბარს ვერ ვახერხებდი — ისე, როგორც ისინი საუბრობდნენ, თითქოს მათი საყვარელი ადამიანები ჯერ კიდევ მათი ცხოვრების ნაწილები იყვნენ, სადმე გვერდითა ოთახში ელოდებოდნენ.

ოჰ, დიახ, ჩემმა ჯილმაც სულ ასე იცოდა ხოლმე.

ჩემი ძმის ხმოვან შეტყობინებას ვერ ვშლი. თუ ოდესმე ვიგრძნობ, რომ მისი ხმა მავიწყდება, ამ ჩანაწერს მოვუსმენ.

ზოგჯერ მისი ხმა მესმის მეორე ოთახიდან.

უილის სახელის წარმოთქმაც კი არ შემეძლო. ვუსმენდი მათ ისტორიებს ოჯახებზე, ოცდაათწლიან ქორწინებაზე, ერთობლივ სახლებზე, ცხოვრებაზე, ბავშვებზე და თავი თაღლითი მეგონა. ექვსი თვე ვუვლიდი. მიყვარდა და ვნახე, როგორ მოიკლა თავი. როგორ უნდა გაეგოთ ამ უცხო ადამიანებს, რა გვაკავშირებდა მე და უილს? როგორ ავუხსნიდი მათ, რომ უსიტყვოდ ვიგებდით ერთმანეთის პატარ-პატარა ხუმრობებს, უკმეხ სიმართლეებსა და უხეშ საიდუმლოებს? როგორ უნდა გამომეხატა, რომ იმ რამდენიმე თვემ შეცვალა ჩემი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ? ისე ძირფესვიანად გადაატრიალა ჩემი სამყარო, რომ უმისოდ არაფერს აზრი არ ჰქონდა?

და რაც მთავარია, რა აზრი ჰქონდა დარდზე გაუთავებელ საუბარს? თითქოს ჭრილობას ვუკირკიტებდი და შეხორცების საშუალებას არ ვაძლევდი. ვიცოდი, რისი მონაწილეც ვიყავი. რა აზრი ჰქონდა გამუდმებით ამის განხილვას?

ახლა დარწმუნებით ვიცოდი, მომდევნო კვირას აღარ მოვიდოდი. მამაჩემისთვის რაიმე მიზეზს მოვიფიქრებდი.

მანქანების სადგომისკენ ნელა მივსეირნობდი, თან ჩანთაში გასაღებისთვის ვიქექებოდი. თავს ვირწმუნებდი, აღარ მომიწევს კიდევ ერთი საღამოს ტელევიზორის წინ მარტო გატარება და დაზაფრული ლოდინი, როდის გავა 12 საათი და სამსახურში წასვლის დრო მოახლოვდება-მეთქი.

— სინამდვილეში მას ბილი არ ერქვა, ხომ ასეა?

გვერდით ჯეიკი ამომიდგა.

— არა.

— დაფნე ერთწევრიანი საინფორმაციო ტელევიზიასავითაა. ცუდი განზრახვა არ აქვს, მაგრამ შენი ისტორია მის სანაცნობო წრეს უფრო სწრაფად მოედება, ვიდრე შეძლებ თქვა„მღრღნელების რეინკარნაცია“.

— გმადლობ.

გაიკრიჭა და ჩემი ქვედაბოლოსკენ გაიქნია თავი.

— ლამაზი ნაჭერია, სხვათა შორის. დარდთან გამკლავების წრისთვის შესაფერისი არჩევანია.

წამით თასმების შესაკრავად შეყოვნდა.

მეც მასთან შევჩერდი. მცირე ყოყმანის შემდეგ ვუთხარი:

— ვწუხვარ დედაშენის გარდაცვალების გამო.

სახე მოექუფრა.

— არ შეიძლება ამის თქმა. როგორც ციხეში არ ეკითხებიან, ვინ რა დანაშაულის გამო იხდის სასჯელს.

— მართლა? უი, ბოდიში. მე არ...

— გეხუმრები. მომდევნო კვირას გნახავ.

მოტოციკლზე მიყუდებულმა კაცმა ხელი ასწია მისასალმებლად. როცა ჯეიკმა მანქანების სადგომი გადაჭრა, ნაბიჯი მისკენ გადმოდგა და ბიჭი გულში ჩაიკრა, ლოყაზე აკოცა. მზერა ვერ მოვწყვიტე, იშვიათად ხდებოდა, კაცი შვილს საჯაროდ ასე ჩახუტებოდა მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ჩვილობის ასაკს გადააბიჯებდა.

— როგორ ჩაიარა?

— ნორმალურად. როგორც ყოველთვის, — ჯეიკმა ჩემკენ გამოიშვირა ხელი, — ეს... ლუისაა. ახალია.

კაცმა ირიბად გადმომხედა. მაღალი, ფართომხრებიანი მამაკაცი იყო. ოდესღაც გატეხილი ცხვირი ყოფილი ბოქსიორის იერს აძლევდა.

ზრდილობიანად დავუქნიე თავი.

— სასიამოვნო იყო შენი გაცნობა, ჯეიკ. აბა, ნახვამდის, — ხელი ავუწიე და მანქანისკენ გავემართე. კაცს რომ ჩავუარე, დაჟინებით მაკვირდებოდა და მისმა მწველმა მზერამ ლოყები შემიფაკლა.

— შენ ის გოგო ხარ, — თქვა ბოლოს.

„ო, არა, — გავიფიქრე ჩემთვის და ნაბიჯი შევანელე, — ოღონდ აქაც არა!“

წუთით მიწას ჩავაჩერდი და ღრმად ჩავისუნთქე. მერე მამა-შვილისკენ მივტრიალდი.

— როგორც უკვე აღვნიშნე წრეზე, ჩემმა მეგობარმა თავად მიიღო გადაწყვეტილება, მე მხოლოდ მხარში ვედექი მძიმე ჟამს. ამ თემაზე საუბარი ახლა, და მით უმეტეს, უცხო ადამიანთან, არ მსურს.

ჯეიკის მამამ კვლავ ალმაცერად შემომხედა. ცალი ხელი თავზე შემოიდო.

— მესმის, რომ ყველა ვერ გაიგებს. მაგრამ ასე მოხდა. არა მგონია, ჩემი გადაწყვეტილების განხილვა აუცილებელი იყოს. თანაც ძალიან დავიღალე, მძიმე დღე მქონდა და სახლში წასვლას ვაპირებ.

თავი გვერდით გადახარა და თქვა:

— წარმოდგენა არ მაქვს, რაზე საუბრობთ.

შუბლი შევიჭმუხნე.

— შევნიშნე, რომ ოდნავ კოჭლობ. ახალ მშენებლობასთან ახლოს ცხოვრობ, არა? ის გოგო ხარ, სახურავიდან რომ გადმოვარდა. მარტში. არა, აპრილში.

და აი, უცებ ვიცანი.

— უი... თქვენ იყავით...

— სასწრაფო დახმარების ექიმი. იმ გუნდში ვიყავი, ვინც მოგაკითხათ. სულ მაინტერესებდა, რა ბედი გეწიათ.

გულზე მომეშვა. თვალი შევავლე მის სახეს, თმას, მკლავებს და უეცრად პავლოვის სიზუსტით გამახსენდა მისი დამამშვიდებელი შეხება, სირენის ხმა და ლიმონის მსუბუქი სურნელი. ამოვისუნთქე.

— კარგად ვარ. თუმცა, მთლად კარგად ვერა. ნატკენი მენჯი მაწუხებს და ახალი უფროსი, რომელიც ნამდვილი ტრაკია; დარდთან გამკლავების წრეზე დავდივარ, რომელიც სავსეა ადამიანებით, რომლებიც არიან ძალიან, ძალიან...

— ნაღვლიანები, — შემომეშველა ჯეიკი.

— მენჯი აღარ გეტკინება. როგორც ჩანს, საცეკვაო კარიერაში არც ახლა გიშლის ხელს.

სიცილი წამსკდა.

— არა, ეს... ეს ჩაცმულობაც ჩემს იდიოტ უფროსს უკავშირდება. ასე არ მაცვია ხოლმე. გმადლობ. ოჰო... — თავზე ხელი შემოვიდე, — რა უცნაურია. თქვენ სიკვდილს გადამარჩინეთ.

— გამიხარდა თქვენი ნახვა. იშვიათად თუ გავიგებთ, რა ემართებათ დაშავებულებს.

— ჩინებულად გაართვით საქმეს თავი. ეს იყო... მოკლედ, ძალიან კეთილად მომექეცით. ეგ დანამდვილებით მახსოვს.

— De nada.

დაბნეულად მივაცქერდი.

— De nada, ესპანურად ნიშნავს „არაფრის“.

— აჰა, გასაგებია. მაშ, არაფრისთვის გმადლობთ.

გამიღიმა და ნიჩბისოდენა ხელი ამიწია.

მერე კი, არ ვიცი რა ძალამ მიბიძგა, გავძახე: — ეი!

გამომხედა.

— სემი მქვია, სხვათა შორის.

— სემ, მე არ გადმოვმხტარვარ.

— გასაგებია.

— არა, მართლა გეუბნებით. ვიცი, ეს-ესაა დარდთან გამკლავების წრიდან გამოსული დამინახეთ, მაგრამ მე უბრალოდ... მე არ გადავხტებოდი.

მრავალმნიშნელოვანი მზერა მესროლა, თითქოს ყველაფერი ენახა და ყველაფერი გაეგო ამქვეყნად.

— მიხარია, რომ ასეა.

ერთმანეთს წუთით ისევ შევყურებდით, მერე კი კვლავ დამიქნია ხელი.

— სასიამოვნო იყო თქვენი ნახვა, ლუისა.

ჩაფხუტი დაიხურა; ჯეიკი მოტოციკლზე მის უკან მოთავსდა. მზერა არ მომიცილებია, სანამ სადგომიდან დაიძრებოდნენ. ჯეიკის დემონსტრაციული თვალების გადატრიალებაც შევნიშნე, როცა ჩაფხუტს იფარებდა. მერე კი გამახსენდა, რაც სეანსზე მოჰყვა.

სექსზე დამოკიდებული.

— იდიოტო! — დავუცაცხანე საკუთარ თავს და კოჭლობით გავიარე მანძილი ჩემს მანქანამდე, რომელიც საღამოს პაპანაქებაში იხარშებოდა.

თავი მეხუთე

ქალაქის განაპირას ვცხოვრობდი. თუ ამაში ოდესმე ეჭვი შემეპარებოდა, გზის გადასწვრივ აკოკოლავებული უზარმაზარი, საოფისე კორპუსისხელა მშენებლობა შემახსენებდა, რომელიც მუშებისთვის სახელდახელოდ აგებული ქოხებით გახლდათ გარშემორტყმული და ზედ წარწერა ჰქონდა: „ფარტინგეიტი — აქ იწყება სიტი“. ჩვენ ვსახლობდით ზუსტად იმ ადგილას, სადაც ფინანსური ოპერაციების პრიალა, მინის ტაძრები ძველ, უსუფთაო აგურის შენობებს, კარის მაღაზიების ექვსდანაყოფიან ფანჯრებს, სადღეღამისო მაღაზიებსა და ტაქსების ძველთაძველ ოფისებს ესაზღვრებოდა, რომლებიც გაქრობას ჯიუტად არ აპირებდნენ. ჩემი საცხოვრებელი კორპუსი სწორედ ამ არქიტექტურულ მეამბოხეთა შორის აღემართათ. ტყვიით დალაქავებული, საწყობის ტიპის შენობა მინისა და ფოლადის მტკიცე შემოტევას მისჩერებოდა და ცდილობდა გამოეცნო, რამდენ ხანს გადარჩებოდა. იქნებ, ჰიპსტერების წვენების ბარს ან მცირე ხნით გახსნილ მაღაზიას გადაერჩინა. არავის ვიცნობდი, სასურსათო მაღაზიის მფლობელი სამირისა და ხვეულების საცხობში მომუშავე ქალის გარდა, რომელიც მისალმებისას სულ მიღიმოდა, მაგრამ ინგლისურად სიტყვასაც კი ვერ მეუბნებოდა.

ეს ანონიმურობა დიდად მადგებოდა. აქ ხომ იმისთვის მოვედი, რომ წარსულს გავქცეოდი, იმას, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა ჩემზე. ქალაქი ნელ-ნელა მცვლიდა. კარგად გავიცანი მისი მცირე ნაწილი, რომელშიც ვცხოვრობდი, მისი რიტმი და საშიში ადგილები. ვისწავლე, რომ თუ ავტობუსის სადგურზე ლოთს ფულს მისცემ, მომდევნო რვა კვირა შენი ბინის წინ დაბანაკდება; თუ ღამე ფეხით სიარული მოგიწევს, სჯობს, ხელში გასაღები ყველას დასანახად გეჭიროს; თუ გვიან ღვინის საყიდ-

ლად გარეთ გასვლა მოგინდება, გირჩევნია, „ქაბაბის კუთხის“ წინ მდგომ ახალგაზრდებს თვალი აარიდო.

თავზემოთ პოლიციის ვერტმფრენის გამუდმებული წუილი მყუდროებას აღარ მირღვევდა. გადავიტანდი. თანაც, სხვებზე უკეთ ვიცოდი, უარესიც შეიძლებოდა გადამხდენოდა.

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს, ლუ. ისევ ვერ იძინებ?

— აქ ჯერ მხოლოდ ათი საათია.

— აბა, რა გაწუხებს?

ნათანი, უილის ყოფილი ფიზიოთერაპევტი, ბოლო ცხრა თვე ნიუ-იორკში მუშაობდა. მისი პაციენტი გახლდათ შუახნის ასაკს მიტანებული კომპანიის დირექტორი, უოლ სტრიტზე კარგი სახელით, ოთხსართულიანი სახლითა და ათლეტური აღნაგობით. უძილობის ჟამს ნათანთან დარეკვა ჩვევად მექცა. მსიამოვნებდა იმის ცოდნა, რომ არსებობდა ადამიანი, ვისაც ჩემი ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალი ამბები ზოგჯერ გულს მტკენდა: „ყველამ გააგრძელა ცხოვრება. ყველამ მიაღწია რაღაცას. ჩემ გარდა“.

— როგორ მოგწონს დიდი ვაშლი? (დიდი ვაშლი — ნიუ-იორკის მეტსახელი)

— არა უშავს, — სიტყვების გაწელილად წარმოთქმის მისეული მანერის გამო ყველა პასუხი შეკითხვასავით ჟღერდა.

ტახტზე წამოვწექი, ფეხები სახელურზე გადავალაგე.

— ჰო, ეგ ბევრს არაფერს მეუბნება.

— მაშ, კარგი. ხელფასი მომემატა, ეგ კარგია. ბილეთი დავჯავშნე, მშობლების მოსანახულებლად რამდენიმე კვირაში. ეგეც კარგი იქნება. მეცხრე ცაზე არიან, რადგან ჩემი და ბავშვს ელოდება. ჰო, და ერთი მოხდენილი გოგო გავიცანი მეექვსე ავენიუს ბარში. მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს და პაემანზე

დავპატიჟე, მან კი მომიბოდიშა, მხოლოდ ისეთ კაცებს ვხვდები, სამსახურში შარვალ-კოსტიუმით რომ დადიანო, — გაეცინა.

მეც გამეღიმა.

— ე. ი. თეთრი ხალათი არ ითვლება?

— როგორც ჩანს, არა. თუმცა მითხრა, შეიძლებოდა გადამეფიქრებინა, ნამდვილი ექიმი რომ ყოფილიყავიო, — ისევ გაიცინა. ნათანი გულგრილობის განსახიერება იყო, — არაფერია. ეგეთი გოგოები წუნიები არიან, დიდ ყურადღებას აქცევენ, რომელ რესტორანში დაპატიჟებ და ასეთ რამეებს. არ ჯობია, თავიდანვე ვიცოდე? შენზე რას მეტყვი, მოგწონს ვინმე?

მხრები ავიჩეჩე.

— მალე შევძლებ. მგონი.

— ჯერაც მისი მაისურით გძინავს?

— არა. მისი სურნელი აღარ ასდის. სიმართლე გითხრა, ბოლოს უსიამოვნო სუნიც კი აუვიდა. გავრეცხე და შევინახე. მაგრამ ცუდი დღეებისთვის მისი ჯემპრი მაქვს გადანახული.

— სათადარიგო გეგმის ქონა კარგია.

— ჰო, და დარდთან გამკლავების წრეზე ვიყავი.

— როგორ ჩაიარა?

— ცუდად. თავი თაღლითი მეგონა.

ნათანი მელოდა.

თავქვეშ ბალიში გავისწორე.

— ნუთუ ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო, ნათან? ზოგჯერ მგონია, რაც ჩემსა და უილს შორის მოხდა, გავაზვიადე. როგორ შეიძლება, ასე მოკლე დროში ასე ძალიან შემყვარებოდა? და ნუთუ მართლა ისე ძლიერ გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ახლა ვიხსენებ? რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად მეჩვენება ის ექვსი თვე უცნაურ... სიზმრად.

ნათანი მცირე ხნით შეყოვნდა, სანამ მიპასუხებდა.

— მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფი არ ყოფილა, მეგობარო.

თვალები მოვიფშვნიტე.

— მხოლოდ მე ვარ? ვისაც ჯერაც ენატრება?

კიდევ ერთი ხანმოკლე დუმილი.

— არა. კარგი ბიჭი იყო. საუკეთესო.

ეს ნათანის ერთ-ერთი თვისება იყო, რომელიც მომწონდა. სატელეფონო საუბრისას პაუზები არ აწუხებდა. ბოლოს წამოვჯექი და ცხვირი მოვიხოცე.

— არა მგონია, იქ დავბრუნდე. მეეჭვება, საჩემო რამ იყოს.

— შანსი მიეცი, ლუ. ერთი სეანსით დასკვნას ვერ გამოიტან.

— მამაჩემივით ლაპარაკობ.

— ყოველთვის ჭკვიანი კაცი იყო.

კარზე ზარის ხმამ შემაკრთო. ზარი არასოდეს არავის დაურეკავს, გარდა მისის ნელისისა, მეთორმეტე ბინიდან, როცა ფოსტალიონმა ჩვენი წერილები აურია. მეეჭვებოდა, მისის ნელისი ასეთ დროს ფხიზლად ყოფილიყო. მეც ნამდვილად არ მიმიღია მის მიერ გამოწერილი საკოლექციო თოჯინების ჟურნალის ახალი ნომერი.

კვლავ გაისმა ზარის ხმა, უკვე მესამედ. ყურთასმენის წამღებად და დაჟინებით.

— უნდა წავიდე. ვიღაცაა კარზე.

— ნუ მოიწყენ, მეგობარო. ყველაფერი კარგად იქნება.

ტელეფონი დავდე და ფრთხილად წამოვდექი. ახლომახლო მეგობრები არ მყავდა. ვერ გამეგო, როგორ უნდა დავმეგობრებოდი ვინმეს, თუ ახალ უბანში გადასული მთელ დროს სამსახურში ვატარებდი. ჩემს მშობლებს რომ გადაეწყვიტათ, თავს დამდგომოდნენ და სტროტფოლდში დაბრუნება ეიძულებინათ, ამას ცოტა ადრე გააკეთებდნენ, რადგან არც ერთს უყვარდა სიბნელეში მანქანის ტარება.

დავიცადე, იქნებ ვინც უნდა ყოფილიყო, მიხვედრილიყო, რომ კარი შეეშალა და წასულიყო. თუმცა ისევ დაირეკა ზარი, ამჯერად განუწყვეტლივ, თითქოს ვიღაც სხეულით მიჰყრდნობოდა ღილაკს.

ავდექი და კართან მივედი.

— ვინ არის?

— უნდა გელაპარაკო.

გოგონას ხმა იყო. ჭუჭრუტანაში გავიხედე. საკუთარ ფეხებს დასცქეროდა, ამიტომ მხოლოდ წაბლისფერი თმა და დიდი ზომის ქურთუკი გავარჩიე. ოდნავ ირწეოდა, ცხვირს იხოცავდა. მთვრალი იყო?

— მგონი ბინა შეგეშალათ.

— ლუისა კლარკი ბრძანდებით?

შევყოვნდი.

— ჩემი სახელი საიდან იცით?

— უნდა გელაპარაკოთ. იქნებ კარი გამიღოთ?

— თითქმის ღამის თერთმეტის ნახევარია.

— ჰო. სწორედ ამიტომ მირჩევნია, აქ, დერეფანში არ ვიდგე.

ამ ადგილას უკვე საკმარისად დიდხანს ვცხოვრობდი და ვიცოდი, უცხოებისთვის კარი არ უნდა გამეღო. ქალაქის ამ ნაწილში სულაც არ იყო უჩვეულო, ვინმე უცნაურ ნარკომანს ფულის შოვნის იმედით კარები ჩამოევლო. მაგრამ ეს გოგო გამართულად საუბრობდა. თანაც ახალგაზრდა ჩანდა. მეტისმეტად ახალგაზრდა საიმისოდ, რომ მორიგი ჟურნალისტი ყოფილიყო, დაინტერესებული სიმპათიური, წარმატებული ბიჭის ისტორიით, რომელმაც თავის მოკვლა გადაწყვიტა. და მეტისმეტად ახალგაზრდა იმისთვისაც, რომ ასე გვიან გარეთ ყოფილიყო. თავი შევაბრუნე, ვცადე, დამენახა, დერეფანში სხვა ვინმეც ხომ არ იყო. ცარიელი ჩანდა.

— შეგიძლიათ მითხრათ, რის შესახებ გსურთ საუბარი?

— არა, აქედან ვერ გეტყვით.

კარი ოდნავ გამოვაღე, ისე, რომ უსაფრთხოების ჯაჭვი ჯერ კიდევ იჭერდა საკეტს და თვალი თვალში გავუყარე.

— ცოტა მეტი უნდა მითხრა.

თექვსმეტ წელზე მეტისა არ იქნებოდა. ლოყებზე ჯერ კიდევ ეტყობოდა სინორჩე. გრძელი, ბზინვარე თმა ჰქონდა. მაღალ, გამხდარ ფეხებზე შავი ფერის ჯინსი შემოტკეცოდა. ლამაზ სახეს ბრჭყვიალა თვალის ფანქარი უმშვენებდა.

— ...რაო, რა თქვი, ვინ ვარო? — ვკითხე.

— ლილი. ლილი ჰაგტონ-მილერი. მომისმინეთ, — თქვა და ნიკაპი ოდნავ ასწია, — მამაჩემზე უნდა დაგელაპარაკოთ.

— მგონი არასწორ ადამიანს ესაუბრები. ჰაგტონ-მილერს არავის ვიცნობ. ალბათ სხვა ლუისა კლარკში აგერიე.

კარის დახურვა დავაპირე, მაგრამ ფეხსაცმელი დამიხვედრა. ჯერ ფეხზე დავაცქერდი და მერე ნელ-ნელა ავხედე.

— ეს მისი გვარი არ არის, — ისე მითხრა, თითქოს სულელი ვიყავი. მერე კი, როცა კვლავ ალაპარაკდა, თვალებში სიმტკიცე და ცნობისმოყვარეობა უელავდა, — უილ ტრეინორი ერქვა.

ლილი ჰაგტონ-მილერი ჩემი მისაღები ოთახის შუაში იდგა და ისეთი გულგრილი ინტერესით მაკვირდებოდა, თითქოს მეცნიერი ყოფილიყო, რომელიც გამხმარი მწერების მრავალ სახეობას ათვალიერებდა.

— ოჰო. ეს რა გაცვია?

— მე... მე ირლანდიურ პაბში ვმუშაობ.

— სტრიპტიზის მოცეკვავედ? — ჩემ მიმართ აშკარად დაკარგა ინტერესი, ნელა შებრუნდა და ოთახს დააკვირდა, — აქ ცხოვრობ? ავეჯი სადაა?

— ეს-ესაა გადმოვედი საცხოვრებლად.

— ერთი ტახტი, ერთი ტელევიზორი, წიგნების ორი ყუთი? — იმ სკამისკენ მანიშნა თავით, რომელზეც ვიჯექი. ჯერ კიდევ არათა-

ნაბრად ვსუნთქავდი და ვცდილობდი გამეაზრებინა, რაც ახლა-ხან მითხრა.

წამოვდექი.

— დასალევი მჭირდება. შენც ხომ არ გინდა რამე?

— კოკა-კოლას დავლევ, ან იქნებ ღვინო გქონდეს?

— რამდენი წლის ხარ?

— რაში გაინტერესებს?

— არ მესმის... — სამზარეულოს დახლისკენ გავემართე, — უილს შვილები არ ჰყავდა. მეცოდინებოდა, — შუბლშეკრულმა გავხედე, — ეს ხუმრობაა?

— ხუმრობა?

— უილი და მე ვსაუბრობდით... ბევრს. მეტყოდა.

— ჰო, როგორც ჩანს, არ გითხრა. მე კი მჭირდება, ვინმეს მას-ზე ვესაუბრო. ისეთს, ვინც მისი სახელის ყოველი ხსენებისას არ გადაირევა ჩემი ოჯახის წევრებივით.

დედაჩემის გამოგზავნილი ბარათი აიღო და ისევ დადო.

— ხუმრობას ნამდვილად ვერ ვუწოდებდი. ჩემი ნამდვილი მა-მა ერთი საწყალი, ეტლს მიჯაჭვული ტიპი იყო. ამაში სასაცილო არაფერია.

წყლით სავსე ჭიქა გავუწოდე.

— მაგრამ ვინ... ვინ არის შენი ოჯახი? ესე იგი, დედაშენი ვინ არის?

— სიგარეტი ხომ არ გაქვს? — ოთახში ბოლთის ცემა დაიწო, ყველაფერს ეხებოდა, ნივთებს ჯერ იღებდა და მერე ადგილზე აბრუნებდა. თავი რომ გავაქნიე, მიპასუხა, — დედაჩემს ტანია ჰქვია. ტანია მილერი. ჩემს მამინაცვალზეა დაქორწინებული, ფრენსის შტერ, სიფათმოტყნულ ჰაგტონზე.

— კარგი სახელია.

ჭიქა დადო და სიგარეტის კოლოფი ამოიღო ქურთუკიდან. ღერს მოუკიდა. ვაპირებდი მეთქვა, ჩემს სახლში არ ეწევიან--

მეთქი, მაგრამ იმდენად გაოგნებული ვიყავი, ფანჯარასთან მივედი და გამოვაღე.

თვალს ვერ ვაშორებდი. უილთან მცირე მსგავსებებსაც ვამჩნევდი. გოგონას ლურჯ თვალებში, ბაც კარამელისფერ ფერებში. სანამ რამეს იტყოდა, უილივით ოდნავ სწევდა ნიკაპს; მასავით თვალისდაუხამხამებელად იმზირებოდა. ან იქნებ იმას ვხედავდი, რისი დანახვაც მინდოდა? ფანჯრიდან გახედა ქუჩას.

— ლილი, სანამ განვაგრძობთ, რაღაც უნდა გითხრა...

— ვიცი, რომ გარდაიცვალა, — მკვეთრად ჩაისუნთქა და კვამლი ოთახის ცენტრისკენ ამოუშვა, — სწორედ ასე შევიტყვე. ტელევიზორში დოკუმენტური ფილმი გადიოდა კლინიკებზე, სადაც თვითმკვლელებს განზრახვის სისრულეში მოყვანაში ეხმარებიან. მისი სახელი ახსენეს და დედა სრულიად უმიზეზოდ გადაირია, აბაზანაში გაიქცა. სიფათმოტყნული თან გაჰყვა. დედა გაოგნებული იყო, არ სცოდნია, რომ ვეღარ დადიოდა. მე, ცხადია, კართან ვუსმენდი. განა არ ვიცოდი, სიფათმოტყნული ჩემი ნამდვილი მამა რომ არ იყო. უბრალოდ დედა მამაჩემზე არაფერს ამბობდა, გარდა იმისა, ნაძირალაა და შენი გაცნობაც კი არ სურდაო.

— უილი ნაძირალა არ იყო.

მხრები აიჩეჩა.

— მასზე მონაყოლიდან ეგეთი ჩანდა. როცა ვცადე, დედასთვის მასზე მეკითხა, გაცეცხლდა და გამომიცხადა, რაც საჭირო იყო გცოდნოდა, უკვე იციო. სიფათმოტყნული ფრენსისი ბევრად უკეთესი მამაა შენთვის, ვიდრე უილ ტრეინორი ოდესმე იქნებოდაო. მასზე აღარ იფიქროო.

წყალი მოვსვი. არასოდეს მდომებია ღვინო ასე ძალიან.

— მერე, როგორ მოიქეცი?

კიდევ ერთი ნაფაზი დაარტყა.

— გუგლში მოვძებნე, რა თქმა უნდა. და შენ გიპოვე.

მარტო ყოფნა მესაჭიროებოდა იმ ყველაფრის გასააზრებლად, რაც მითხრა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა ამ ენამწარე გოგონაზე, რომელიც ჩემს ოთახში მიმოდიოდა.

— ესე იგი, ჩემზე საერთოდ არაფერი უთქვამს?

მის ფეხებს შევცქეროდი: ბალერინას ფეხსაცმელები ეცვა, მეტისმეტად გაცვეთილი, თითქოს ლონდონის ქუჩებში ბევრი ებოდიალათ. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს რაღაცაში მითრევდნენ.

— რამდენი წლის ხარ, ლილი?

— თექვსმეტის. გარეგნულად მაინც ვგავარ? გუგლის სურათებში დავათვალიერე, მაგრამ იმედი მქონდა, შენ გექნებოდა მისი ფოტოსურათი, — კვლავ მიმოიხედა ოთახში, — ყველა ფოტო ყუთებში გაქვს?

კუთხეში მოთავსებულ მუყაოს ყუთებს შეავლო თვალი და გამიელვა, რომ შეიძლებოდა გაეხსნა და გაექექა კიდეც. დარწმუნებული ვიყავი, ცოტაც და იმ ყუთს მიადგებოდა, რომელშიც უილის ჯემპრი შევინახე. უეცრად შიშის ზარი დამეცა.

— ლილი, ეს ყველაფერი... უნდა გადავხარშო. და თუ მართლა ის ხარ, ვისაც ამბობ, მაშინ ჩვენ... ჩვენ ბევრი რამ გვაქვს განსახილველი. მაგრამ უკვე თერთმეტი საათი სრულდება და არა მგონია, ახლა შესაფერისი დრო იყოს. სად ცხოვრობ?

— სენტ ჯონს ვუდში.

— შენი მშობლები ინერვიულებენ. მოდი, ჩემს ნომერს მოგცემ და...

— ვერ წავალ სახლში, — ფანჯრისკენ გატრიალდა და ოსტატურად გადააფერფლა, — წესით, აქ არც უნდა ვიყო. სკოლაში ვგონივარ. ყოველკვირეულ პანსიონატში. ყველა გადაირევა თუ გაიგებენ, რომ იქ არ ვარ.

ტელეფონი ამოიღო და დაიჯღანა ეკრანზე დახედვისას. მერე ისევ ჯიბეში ჩაიტენა.

— იცი, მე... არ ვიცი, რა შემიძლია გავაკეთო, გარდა...

— ვიფიქრე, იქნებ აქ დავრჩენილიყავი? მხოლოდ ამ ღამით? მერე კი მეტს მომიყვებოდი მამამაჩემზე.

— აქ დარჩე? არა, არა. მაპატიე, მაგრამ ვერ დარჩები. არც კი გიცნობ.

— მაგრამ მამაჩემს ხომ იცნობდი. შენი აზრით, ჩემი არსებობის შესახებ არ იცოდა?

— სახლში უნდა წახვიდე. მისმინე, მოდი, შენს მშობლებს დავურეკოთ. მოვლენ და წაგიყვანენ. ასე მოვიქცეთ და მე...

დაჟინებით მომაქცერდა.

— მეგონა, დამეხმარებოდი.

— დაგეხმარები, ლილი. მაგრამ ეს...

— ჩემი არ გჯერა, ხომ ასეა?

— მე... მე წარმოდგენა არ მაქვს, რა...

— ჩემი დახმარება არ გინდა. არაფრის გაკეთება არ გინდა. საერთოდ რა მითხარი მამაჩემზე? არაფერი. რით დამეხმარე? არ დამხმარებიხარ. გმადლობ.

— მოიცადე! ეგ უსამართლობაა... ჩვენ ეს-ესაა...

მაგრამ გოგონამ სიგარეტის ნამწვს ფანჯრიდან გადაუძახა და გასასვლელად შემოტრიალდა.

— სად მიდიხარ?

— შენ რაში გენაღვლება? — მითხრა და სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებდი, კარის გაჯახუნებით გაუჩინარდა.

ტახტზე გაუნძრევლად ვიჯექი, ვცდილობდი გადამეხარშა უკანასკნელი საათის განმავლობაში მომხდარი. ლილის ხმა ჯერ კიდევ ჩამესმოდა. სწორად გავიგე მისი ნათქვამი? გონებაში ვიმეორებდი მის სიტყვებს: „მამაჩემს უილ ტრეინორი ერქვა“. როგორც ჩანს, ლილის დედამ უთხრა, რომ უილს არ სურდა შვილთან რაიმე საერთო ჰქონოდა. მაგრამ ის აუცილებლად მეტყოდა გოგონას შესახებ. ერთმანეთს ხომ არაფერს ვუმალავდით. განა

ჩვენ ის წყვილი არ ვიყავით, ყველაფერზე რომ შეეძლო საუბარი? წუთით შევყოყმანდი: იქნებ უილი არც ისეთი გულახდილი იყო ჩემთან, როგორიც მეგონა? იქნებ შესწევდა უნარი, საკუთარი ქალიშვილი წაეშალა ცნობიერებიდან?

ჩემი ფიქრები წრეებივით იკვრებოდა. ლეპტოპი ავიღე, ფეხებგადაჯვარედინებული ტახტზე დავჯექი და საძიებელ ველში ლილი ჰაგტონ-მილერი ჩავწერე. თავიდან ვერაფერი მოიძებნა, მერე რამდენჯერმე გვარის სხვადასხვა ვარიაცია ვცადე და ბოლოს, ლილი ჰაგტონ-მილერის ხსენებისას ჰოკეის მატჩების შედეგები მიჩვენა, შროპშირში მდებარე „აპტონ ტილტონის“ სკოლის განთავსებული. რამდენიმე სურათი დავათვალიერე და ფოტოების გადიდებისას გოგონა შევამჩნიე. ის ერთადერთი იყო თანაგუნდელებს შორის, რომელიც არ იღიმოდა. ლილი ჰაგტონ-მილერი მამაცურად, მაგრამ წარუმატებლად იბრძოდა დაცვის ხაზზე. სტატია ორი წლის წინანდელი რიცხვით თარიღდებოდა. სკოლა-პანსიონი. გოგონამ ახსენა, წესით პანსიონში უნდა ვიყოო. თუმცა ეს მაინც არ ამტკიცებდა მისი და უილის კავშირს ან იმას, რომ დედამისი არ ცრუობდა.

საძიებელ ველში ამჯერად მხოლოდ გვარი ჩავწერე, ჰაგტონ-მილერი. გამოჩნდა ჩანაწერი, როგორ ესწრებოდნენ ფრენსის და ტანია ჰაგტონ-მილერები საბანკო სექტორის ვახშამს საოიში. ასევე ერთი წლის წინანდელი გეგმის მონახაზი სენტ ჯონს ვუდში მდებარე სახლში ღვინის მარნის მოწყობისათვის.

ტახტის საზურგეს მივეყრდენი ჩაფიქრებული. შემდეგ ტანია მილერი და უილიამ ტრეინორი მოვძებნე ინტერნეტში. არაფერი გამოჩნდა. კვლავ ვცადე, ამჯერად — უილ ტრეინორი. უეცრად დარჰემის უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდზე აღმოვჩნდი, რომელზეც რამდენიმე ქალბატონი უილის გარდაცვალებას განიხილავდა. ყველას სახელი რატომღაც „ელათი“ მთავრდებოდა — ესტელა, ფენელა, არაბელა.

„ვერც კი დავიჯერე, ახალ ამბებში მისი გარდაცვალების შესახებ რომ შევიტყვე. ღმერთმა სასუფეველი დაგიკვიდროს, უილ!“

„ცხოვრებას უვნებელი ვერავინ გადაურჩება. იცით, რომ რორი ეპლტონი სანაოსნო კატასტროფაში გარდაიცვალა?“

„გეოგრაფიის ფაკულტეტზე არ სწავლობდა? წითური ბიჭი?“

„არა, ფილოსოფიის, პოლიტიკისა და ეკონიმიკის ფაკულტეტზე“.

„რორის ფრეშერების მეჯლისზე ვეკოცნავე. უზარმაზარი ენა ჰქონდა“.

„სასაცილო არ არის, ფენელა, რა უხამსობაა. საწყალი კაცი გარდაიცვალა“.

„უილ ტრეინორი ის არ იყო, ტანია მილერს რომ ხვდებოდა მთელი მესამე კურსის განმავლობაში?“

„არ მესმის, რატომ არის უხამსობა იმის აღნიშვნა, რომ ვაკოცე, მხოლოდ იმიტომ, რომ გარდაცვლილია“.

„იმას არ გეუბნები, დაივიწყე-მეთქი. უბრალოდ, შეიძლება მისი ცოლი კითხულობს და სულაც არ სიამოვნებს იმის ცოდნა, როგორ აკოცა მისმა ქმარმა ვიღაც გოგოს“.

„დარწმუნებული ვარ, მისი ენის შესახებ მშვენივრად მოეხსენება. მასზე იყო დაქორწინებული“.

„რორი ეპლტონს ცოლი ჰყავდა?“

„ტანია ვიღაც ბანკირს გაჰყვა ცოლად. უნივერსიტეტში ყოველთვის მეგონა, ის და უილი დაქორწინდებოდნენ. ისეთი ლამაზები იყვნენ ერთად“.

ბმულზე გადავედი, რომელზეც ნაჩვენები იყო თხელი, ქერათმიანი ქალი ხელოვნურად აწეწილი ვარცხნილობით. მასზე უფროს, მუქთმიან კაცთან ერთად მოღიმარი იდგა სარეგისტრაციო სამსახურის კიბეზე. ოდნავ მოშორებით, ფოტოს კუთხეში, ახალგაზრდა გოგონა ჩანდა მოღუშული სახით, თეთრ ტულის

კაბაში. ნამდვილად ჰგავდა იმ ლილი ჰაგტონ-მილერს, რომელიც გავიცანი. თუმცა ფოტო შვიდი წლის წინ იყო გადაღებული და იოლად შემეძლო, ნებისმიერი გრძელ, ყავისფერთმიანი კუშტი მეჯვარე გოგონასთვის მიმემსგავსებინა.

კიდევ ერთხელ გადავიკითხე და ლეპტოპი დავხურე. რა უნდა მექნა? თუ ნამდვილად უილის ქალიშვილი იყო, დამერეკა თუ არა სკოლაში? თუმცა, ზუსტად ვიცოდი, გარკვეული წესები იარსებებდა უცხო ადამიანებისგან მოზარდ გოგონებთან დაკავშირების მცდელობის თაობაზე.

იქნებ ეს მართლაც გულმოდგინედ შემუშავებული თაღლითობა იყო? უილი მდიდარი კაცი იყო. სულაც არ ჩანდა წარმოუდგენელი, ვინმეს ჩახლართული გეგმა მოეფიქრებინა ოჯახისთვის ფულის დასაცინცლად. მამას მეგობარი ჩალკი რომ გარდაიცვალა, დაკრძალვაზე მის ცოლს ჩვიდმეტი ადამიანი უმტკიცებდა, ჩემი ვალი მართებდაო.

გადავწყვიტე, თავი შორს დამეჭირა. თუ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა, ბევრ ტკივილსა და ზარალს გამოიწვევდა.

თუმცა დასაძინებლად რომ დავწექი, კვლავ ლილის ხმა ჩამესმა. მდუმარე ბინაში ექოსავით მეორდებოდა: მამაჩემს უილ ტრეინორი ერქვა.

თავი მეექვსე

— ბოდიში, ჩემმა მაღვიძარამ არ დარეკა, — რიჩარდს ჩავუქროლე, პალტო კავზე ჩამოვკიდე და ჩემი სინთეტიკური ქვედაბოლო გადავიცვი. თეძოებზე ჩამოვიქაჩე.

— ორმოცდახუთი წუთი დააგვიანე. ეს მიუღებელია, — დილის ცხრის ნახევარი იყო. შევნიშნე, ბარში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავი.

კარლი წავიდა: რიჩარდი პირადად არც კი გაუფრთხილებია. შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც აუწყა, რომ კვირის ბოლოს ამ დამპალ უნიფორმას გადააგდებდა და იმ ორი კვირის ხელფასის ნაცვლად, რომელიც დამპალ დასვენების დღეებში იმუშავა, უბრალოდ დამპალი სამსახურიდან დაუყოვნებლივ წასვლას ითხოვდა.

— რომ წაეკითხა შრომითი ხელშეკრულება, — ცხარობდა რიჩარდი, — ეცოდინებოდა, რომ სამსახურიდან წინასწარი გაფრთხილების გარეშე წასვლა უქმე დღეებში მუშაობის სანაცვლოდ არ შეიძლებოდა! ეს მესამე სექციაში დღესავით ნათლად წერია, ერთხელაც რომ შეეხედა, ეცოდინებოდა. უხამსი სიტყვები არ იყო საჭირო.

ახლა კარლის შემცვლელს ეძებდა. რაც იმას ნიშნავდა, რომ სანამ იპოვიდა, მარტო მომიწევდა მუშაობა. რიჩარდთან ერთად.

— ბოდიში. სახლში... რაღაც მოხდა.

რვის ნახევარზე გამეღვიძა, რამდენიმე წუთი დამჭირდა იმის გასახსენებლად, რომელ ქვეყანაში ვიყავი ან რა მერქვა. ვიწექი, ვერ ვინძრეოდი და გასული ღამის ამბების გადახარშვას ვცდილობდი.

— კარგი თანამშრომელი სამსახურში პირად ცხოვრებას ივიწყებს, — აღნიშნა რიჩარდმა და თავისი შენიშვნების წიგნაკით ხელში გვერდით ჩამიარა. ვუყურებდი, როგორ მიდიოდა და ვფიქრობდი, საერთოდ ჰქონდა თუ არა პირადი ცხოვრება. თითქოს მთელ დროს სამსახურში ატარებდა.

— ჰო. მაგრამ კარგი დამსაქმებელი ხელქვეითს ისეთ უნიფორმას არ აცმევს, სტრინგფელოუც (სტრინგფელოუ (stringfellow) — ღამის კლუბი ლონდონში) კი რომ დაიწუნებდა უგემოვნობის გამო, — ჩავილაპარაკე მე. ცალიხელითსალარო აპარატზე ჩემი კოდი ავკრიფე, მეორეთი კი ბრჭყვიალა ქვედაბოლოს არშია ჩამოვქაჩე. რიჩარდი მარდად მოტრიალდა და ბართან მოვიდა.

— რა თქვი?

— არაფერი.

— რაღაც თქვი.

— შემდეგში დავიმახსოვრებ-მეთქი. დიდი მადლობა, რომ შემახსენე.

ტკბილად გავუღიმე.

ისე დიდხანს მიყურა, რომ ბოლოს ორივემ უხერხულად ვიგრძენით თავი. მერე მითხრა:

— დამლაგებელი ისევ ავადაა. მამაკაცების საპიფარეშო უნდა გაწმინდო, სანამ ბარში დაიწყებ მუშაობას.

მტკიცედ, გამომწვევად მიყურებდა, აინტერესებდა, რამის თქმას თუ გავბედავდი. თავს შევახსენე, რომ ამ სამსახურის დაკარგვა არ შემეძლო. გადავყლაპე.

— გასაგებია.

— ჰო, მესამე ტუალეტში დიდი არეულობაა.

— შესანიშნავია, — განვაცხადე.

საფუძვლიანად გაპრიალებულ ქუსლებზე შეტრიალდა და კაბინეტში შებრუნდა. გონებაში წარმოვიდგენდი, როგორ ვესროდი ვუდუს ისრებს მის თავს.

— ამ კვირის დარდთან გამკლავების წრის სეანსი დანაშაულის შეგრძნებას მიეძღვნება, გადარჩენილის დანაშაულის შეგრძნებას. იმ შეგრძნებას, რომ საკმარისი არ გავაკეთეთ... ხშირად ეს არის მიზეზი, რატომაც ვერ ვახერხებთ ცხოვრების გაგრძელებას.

მარკი დაგველოდა, სანამ ერთმანეთს გადავაწვდიდით ორცხობილებიან თუნუქის ქილას, მერე კი პლასტმასის სკამზე წინ გადაიხარა, ხელები გადააჯვარედინა. ყურადღება არ მიუქცევია ხმადაბალი წუწუნისთვის, ბურბონის კრემი რატომ არ გვაქვსო.

— ჯილის მიმართ ისეთი მოუთმენელი ვიყავი ხოლმე, — ფრედმა სიჩუმე დაარღვია, — ვგულისხმობ, როცა დემენცია (დაავადება, რომელიც ხასიათდება მეხსიერებისა და გონებრივი შესაძლებლობების ნაწილობრივი დაკარგვით) აღმოაჩნდა. ჭუჭყიან თეფშებს თაროზე აბრუნებდა და რამდენიმე დღის შემდეგ ვპოულობდი... მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ რამდენჯერმე ვუყვირე, — ცრემლი მოიწმინდა, — მანამდე ძალიან მეოჯახე ქალი იყო. ეს ყველაზე მეტად მტკენდა გულს.

— შენ დიდხანს უმკლავდებოდი ჯილის დემენციას, ფრედ. ზეადამიანი უნდა ყოფილიყავი, დაძაბულობის გარეშე რომ გაგეძლო.

— ჭუჭყიანი თეფშები წყობიდან მეც გამომიყვანდა, — თქვა დაფნემ, — ალბათ, რამე საშინელებას ვუყვირებდი.

— მაგრამ მისი ბრალი არ იყო, ხომ ასეა? — ფრედი წელში გასწორდა, — იმ თეფშებზე ხშირად ვფიქრობ. ნეტა დროში დაბრუნება შემეძლოს. სიტყვის უთქმელად გავრეცხავდი. ჩხუბის ნაცვლად ჯილის მაგრად ჩავეხუტებოდი.

— ბოლო დროს ხშირად ვფანტაზიორობ მეტროში შემოხვედრილ კაცებზე, — აღიარა ნატაშამ, — ზოგჯერ ესკალატორზე როცა ავდივარ, თვალს თვალში შემთხვევით ვუყრი კაცს, რომელიც დაბლა ჩადის. ბაქანთან მიღწევამდე უკვე მთელი ურთიერთობის წარმოსახვას ვასწრებ. თითქოს ესკალატორზე ამორბის, რადგან ჩვენ შორის რაღაც ჯადოსნური იგრძნო. ვდგავართ, ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ, ირგვლივ კი პიკადილის ხაზის მგზავრები მიდი-მოდიან. მერე დასალევად მივდივართ, მოგვიანებით კი...

— რიჩარდ კერტისის ფილმის სცენარს ჰგავს, — თქვა უილიამმა.

— მე მომწონს რიჩარდ კერტისის ფილმები, — აღნიშნა სუნილმა, — განსაკუთრებით ის, მსახიობ ქალსა და უცნაურშარვლიან კაცზე.

— მწყემსის ბუჩქი (Shepherd's Bush — უბანი ლონდონში), — გამოცნობა სცადა დაფნემ.

მცირე პაუზა მოჰყვა.

— მგონი ნოტინგ ჰილია (ნოტინგ ჰილი (Notting Hill) — უბანი ლონდონში, ასევე ფილმის სათაური), დაფნე, — შეუსწორა მარკმა.

— მე დაფნეს ვერსია უფრო მომეწონა. რაო? — ჩაიხითხითა უილიამმა, — სიცილის უფლება არ გვაქვს?

— წარმოვიდგენ, რომ ვქორწინდებით, — განაგრძო ნატაშამ, — და საკურთხეველთან მდგარი საკუთარ თავს ვეკითხები — რას ვაკეთებ? ოლაფი სამი წლის წინ გარდაიცვალა, მე კი სხვა კაცზე ვოცნებობ!

მარკი სკამის საზურგეს მიეყრდნო.

— არ გგონია, რომ ეს ბუნებრივია სამწლიანი მარტოობის შემდეგ? სხვა მამაკაცებზე ფიქრი?

— მაგრამ ოლაფი რომ მართლა მყვარებოდა, სხვა კაცებზე ხომ არ ვიფიქრებდი.

— ვიქტორიანული ხანა აღარ არის, — განაცხადა უილიამმა, — ვალდებული არ ხარ, სიბერემდე ქვრივის ძაძები ატარო.

— მე რომ მოვმკდარიყავი, არ მენდომებოდა, ოლაფს სხვა შეჰყვარებოდა.

— არ გეცოდინებოდა, — თქვა უილიამმა, — მკვდარი იქნებოდი.

— შენ რას ფიქრობ, ლუისა? — მარკმა ჩემი დუმილი შენიშნა, — შენ გაწუხებს დანაშაულის შეგრძნება?

— შეიძლება... შეიძლება სხვამ ისაუბროს?

— მე კათოლიკე ვარ, — თქვა დაფნემ, — ყველაფრის გამო დამნაშავედ ვგრძნობ თავს. მონაზვნების ბრალია.

— რატომ გიჭირს ამ თემაზე საუბარი, ლუისა?

ყავა მოვყლუპე. ვგრძნობდი, ყველა მე შემომცქეროდა. „მიდი“, — შევაგულიანე თავი. გადავყლაპე.

— რადგან ვერ შევაჩერე, — ვთქვი, — ზოგჯერ მგონია, უფრო ჭკვიანი რომ ვყოფილიყავი ან... სხვაგვარად მოვქცეულიყავი... ან უფრო... არ ვიცი. უფრო უკეთესი ვყოფილიყავი რაიმეში.

— თავს დამნაშავედ გრძნობ ბილის სიკვდილის გამო, რადგან მიგაჩნია, რომ შეგეძლო, შეგეჩერებინა?

ძაფის ბოლოს მოვქაჩე და თითქოს ტვინში რაღაცა მოეშვა.

— იმის გამოც, რომ ბევრად უფრო უმნიშვნელოდ ვატარებ ცხოვრებას, ვიდრე მას დავპირდი. იმის გამოც, რომ ბინა მიყიდა, ჩემი და კი თავისთვის საცხოვრებლის შეძენას ვერასოდეს შეძლებს. იმის გამოც, რომ დიდად არც კი მომწონს იქ ცხოვრება, რადგან ვერ შევეჩვიე. არასწორი მგონია, კომფორტულად მოვეწყო, როცა ვიცი, უი... ბილი გარდაიცვალა და მე ერთგვარად სარგებელი მივიღე ამისგან.

მცირე ხნით დუმილი ჩამოწვა.

— უძრავი ქონების გამო თავს დამნაშავედ ნუ იგრძნობ, — აღნიშნა დაფნემ.

— ნეტა, ჩემთვის დაეტოვებინა ვინმეს ბინა, — თქვა სუნილმა.

— მაგრამ ეს ზღაპრის დასასრულივითაა, არა? კაცი კვდება, ამით ყველა რაღაცას სწავლობს, ცხოვრებას აგრძელებს, რაღაც გასაოცარს ქმნის მისი გარდაცვალებისგან, — ახლა უკვე დაუფიქრებლად ვლაპარაკობდი, — მე მსგავსი არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი ჩავაფლავე.

— მამაჩემი თითქმის ყოველ ჯერზე ტირის, როცა რომელიმე ქალთან სექსით დედაჩემს ღალატობს, — წამოისროლა ჯეიკმა, თან თითებს ათამაშებდა. ჩამოყრილი ქოჩრიდან იხედებოდა, — ქალებს თავბრუს ახვევს, მერე კი ამაზე ნაღვლიანდება. თითქოს თუ თავს დამნაშავედ იგრძნობს, მაშინ მის საქციელს გამართლება ექნება.

— მიგაჩნია, რომ დანაშაულის შეგრძნებას საყრდენად იყენებს?

— მე უბრალოდ მგონია, რომ ან გაქვს სექსი და თავს კარგად გრძნობ, ან...

— მე სულაც არ ვიგრძნობდი თავს ცუდად სექსის გამო, — თქვა ფრედმა.

— ან ქალებს ადამიანურად მოეპყარი და თავს დამნაშავედ ნუ მიიჩნევ, ან საერთოდ ნუ დაწვები ნურავისთან და დედის მოგონებას გაუფრთხილდი, სანამ მზად იქნები, სხვა შეიყვარო.

სიტყვა „გაუფრთხილდის“ წარმოთქმისას ჯეიკს ხმა გაებზარა და ყბა აუკანკალდა. უკვე შევეჩვიეთ უეცარ ემოციურ ცვლილებებს და ჯგუფის დაუწერელი კანონით, სხვა მხარეს ვიხედებოდით, სანამ მოსაუბრე ცრემლებს შეიშრობდა.

მარკმა თბილი ხმით უთხრა:

— მამაშენისთვის გაგიმხელია, რას გრძნობ, ჯეიკ?

— დედაზე არ ვსაუბრობთ. მისი სახელის ხსენებამდე თავს კარგად გრძნობს ხოლმე.

— ეს მეტისმეტად დიდი ტვირთია მარტო სატარებლად.

— ჰო. ამიტომაც ვარ აქ, ასე არაა?

კიდევ ერთი ხანმოკლე დუმილი ჩამოწვა.

— ორცხობილა მიირთვი, ჯეიკ, ძვირფასო, — შესთავაზა დაფნემ და ქილა კვლავ ჩამოვატარეთ. გაუგებარი მიზეზით, ყველანი დავმშვიდდით, როცა ჯეიკმაც აიღო ერთი ორცხობილა.

ლილიზე ფიქრს ვერ ვწყვეტდი. სუნილის ისტორია, ფუნთუშეულის განყოფილებაში ქვითინზე, თითქმის არ გამიგია. როცა ფრედმა გვიამბო, როგორ აღნიშნა ჯილის პირველი დაბადების დღე პირველად მის გარეშე, ბუშტებით ხელში, ცოტათი თანავუგრძნე. ლილის შემთხვევა, რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე სიზმარს ჰგავდა, ცხადს, მაგრამ სიურრეალურს.

„როგორ უნდა ჰყოლოდა უილს ქალიშვილი?“

— მთლად ბედნიერს არ ჰგავხარ.

ჯეიკის მამა მოტოციკლს მიჰყრდნობოდა, როცა ავტოსადგომს მივაღწიე, მის წინ შევჩერდი.

— დარდთან გამკლავების წრეა. ცეკვა-ცეკვით ხომ არ გამოვიდოდი.

— სამართლიანი შენიშვნაა.

— რაც შენ გგონია, ის არ მჭირს. იმას ვგულისხმობ, რომ მე არ მეხება, — ვუთხარი, — ერთი მოზარდის ამბავია.

თავი უკან გადახარა, ჩემ უკან მდგარ ჯეიკს შეხედა.

— აჰა. გასაგებია. მაგ საკითხში მესმის შენი. ისე, თუ არ მიწყენ ამის თქმას, მეტისმეტად ახალგაზრდა ჩანხარ იმისთვის, რომ მოზარდი შვილი გყავდეს.

— ოჰ, არა. ჩემი არ არის! ჩახლართული ამბავია.

— სიამოვნებით მოგცემდი რჩევას, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რა გირჩიო, — წინ გადადგა ნაბიჯი და ჯეიკი გულში ჩაიკ-

რა, რაც ბიჭმა მოღუშული გამომეტყველებით აიტანა, — როგორ ხარ, ახალგაზრდავ?

— არა მიშავს.

— არა უშავს, — გაიმეორა სემმა და მზერა ჩემკენ გამოაპარა, — აი, მოზარდების უნივერსალური პასუხი ყველაფერზე. ომია, შიმშილი, ლატარიაში მოგება თუ მსოფლიო აღიარება. ამ ყველაფერს არა უშავს.

— შენი გამოვლა არ იყო საჭირო. ჯულსთან მივდივარ.

— გაგიყვანო?

— აქვე ცხოვრობს, მგონი, აი, იმ შენობაში, — ჯეიკმა თითი გაიშვირა, — ჩემი აზრით, მარტოც შევძლებ მისვლას.

სემს გამომეტყველება არ შეცვლია.

— სხვა დროს იქნებ მომწერო? რომ ტყუილად არ მოვიდე და გელოდო?

ჯეიკმა მხრები აიჩეჩა და მხარზე ზურგჩანთამოგდებული წავიდა. ჩუმად ვუცქერდით, როგორ მიაბიჯებდა.

— მოგვიანებით გნახავ, ხომ, ჯეიკ?

ჯეიკს არც მოუხედავს, ისე ასწია ხელი.

— კარგი, — განვაცხადე, — ახლა ცოტათი უკეთ ვგრძნობ თავს.

სემმა ოდნავ გააქნია თავი. უყურებდა, როგორ მიდიოდა მისი ვაჟი და გული ეთანაღრებოდა, მარტოს რომ უშვებდა.

— ზოგ დღეებში უფრო უმძიმს, — თქვა და მე მომიტრიალდა, — ყავა ხომ არ დაგველია, ლუისა? რათა მსოფლიოში ყველაზე ხელმოცარულ ადამიანად არ ვიგრძნო თავი? ლუისა გქვია, ხომ?

გამახსენდა ჯეიკის ნათქვამი: „პარასკევს მამამ ქერა ფსიქოპათი მოიყვანა სახლში, სახელად მეგსი. მამაჩემზეა გადარეული. სანამ მამა შხაპს იღებდა, გამუდმებით მეკითხებოდა, ჩემზე თუ ლაპარაკობს ხოლმე, როცა აქ არ ვარო“. ჯეიკის მამა

სექსით შეპყრობილი იყო. თუმცა კარგი ადამიანი ჩანდა, თანაც სასწრაფო დახმარების მანქანაში ძალიან დამეხმარა. ჩემი ერთადერთი ალტერნატივაც კიდევ ერთი ღამის სახლში მარტო გატარება იყო, იმის გამოცნობაში, რა უტრიალებდა ლილი ჰაგტონ-მილერს თავში.

— თუ შევძლებთ სხვა რამეზე ვისაუბროთ, და არა — მოზარდებზე.

— იქნებ შენს ჩაცმულობაზე გვესაუბრა.

მწვანე, ბრჭყვიალა ქვედაბოლოსა და ირლანდიურ საცეკვაო ფეხსაცმელებზე დავიხედე.

— კატეგორიულ უარს ვამბობ.

— ცდად მაინც ღირდა, — თქვა და მოტოციკლზე გადაჯდა.

თითქმის ცარიელი ბარის ვერანდაზე ვისხედით, არც ისე შორს ჩემი ბინიდან. ის შავ ყავას სვამდა, მე — ხილის წვენს.

ახლა უკვე მქონდა დრო, მალულად დავკვირვებოდი, არც ავტოსადგომის მანქანები მიშლიდნენ ხელს და არც საკაცეზე ვიყავი დაბმული. კეხიანი ცხვირი ჰქონდა და თვალები ისე უელავდა, თითქოს ყველა შესაძლო ადამიანური საქციელი ნანახი ჰქონდა და შეიძლება, ამით ხალისობდა კიდეც. მაღალს და ახოვანს უილზე უფრო ტლანქი ნაკვთები ჰქონდა, თუმცა ახერხებდა, დინჯად ემოძრავა — თითქოს საკუთარი ზომის გამო ყოველთვის ფრთხილობდა, რამე არ დაეზიანებინა. ნათლად ჩანდა, სმენა უფრო მოსწონდა, ვიდრე — საუბარი. ან იქნებ იმდენად მეუცნაურებოდა ამდენი ხნის შემდეგ მამაკაცთან განმარტოება, რომ უაზროდ ვლაქლაქებდი. მოვუყევი ჩემს სამსახურზე ბარში, რიჩარდ პერსივალსა და უნიფორმის საშინელებებზე ვაცინე, ისიც ვუთხარი, რა უცნაური იყო მშობლიურ სახლში მცირე ხნით დაბრუნება. ვყბედობდი მამაჩემის ცუდ ხუმრობებზე, ბაბუასა და მის საყვარელ ფუნთუშებზე, ჩემს დისშვილსა და მის ლურჯ ფლომასტერზე. თუმცა იმასაც კარგად ვხვდებოდი, რაზე

საუბარს ვარიდებდი თავს: უილზე, წინა საღამოს მომხდარ ამბავზე, საკუთარ თავზე. უილთან არასოდეს მიწევდა დაფიქრება, რას ვიტყოდი. მასთან საუბარი სუნთქვასავით ბუნებრივი იყო. ახლა კი უკვე დახელოვნებული ვიყავი საკუთარ თავზე არსებითად არაფრის თქმაში.

ის კი უბრალოდ იჯდა, თავს მიქნევდა, მიმავალ მანქანებს გაჰყურებდა და ყავას წრუპავდა, თითქოს მისთვის სრულებით ჩვეულებრივი ამბავი იყო, დრო გაეტარებინა მწვანე, ბრჭყვიალაქვედაბოლოიან გაცხარებით მოლაყბე უცნობთან.

— მენჯი როგორ გაქვს? — მკითხა, როცა ბოლოს გავჩუმდი.

— არა უშავს. თუმცა სიამოვნებით შევწყვეტდი კოჭლობას.

— გაგივლის, თუ ფიზიოთერაპიას არ შეწყვეტ, — წუთით, მისი ხმა ისეთივე მომეჩვენა, როგორიც სასწრაფო დახმრების მანქანაში — მშვიდი, პანიკის გარეშე, დამაჯერებელი, — სხვა დაზიანებები?

საკუთარ სხეულს დავაცქერდი, თითქოს ტანსაცმლის მიღმა ვათვალიერებდი.

— თუ დავივიწყებთ იმას, რომ წითელი ფანქრით ნაწილ-ნაწილ დახატულ ადამიანს ვგავარ, არც ისე ცუდად.

სემმა თავი დამიქნია.

— გაგიმართლა. დიდი სიმაღლიდან გადმოვარდი.

და, აი, ისევ ვიგრძენი. უსიამოვნო გაელვება მუცელში, ჰაერი ჩემს ფეხებქვეშ. „არასოდეს იცი, რა მოგივა, როცა დიდი სიმაღლიდან ვარდები“.

— მე არ ვცდილობდი...

— ეგ უკვე მითხარი.

— მაგრამ მეეჭვება, ვინმეს სჯეროდეს.

წუთით უხერხულად გავუღიმეთ ერთმანეთს და გამიელვა, ალბათ მასაც არ სჯერა-მეთქი.

— შენობის სახურავიდან გადმოვარდნილი ბევრი გადაგირჩენია?

თავი გააქნია, გზას გახედა.

— ნაწილებს ვაგროვებ ხოლმე. მიხარია, რომ ამ შემთხვევაში ეს ნაწილები შეხორცდა.

მერე დიდხანს ვისხედით ჩუმად. ვფიქრობდი იმ ყველაფერზე, რაც უნდა მეთქვა, მაგრამ ისე გადავჩვეოდი მამაკაცთან მარტო ყოფნას — ყოველ შემთხვევაში, ფხიზელ გონებაზე — ვნერვიულობდი, პირს ოქროს თევზივით ვაღებდი და ვხურავდი.

— აბა, მიამბობ იმ მოზარდზე? — მკითხა სემმა.

გულზე მომეშვა, როცა სხვასაც გავანდე. მოვუყევი, როგორ მომესმა გვიან ღამით კარზე კაკუნი, ჩვენს უცნაურ შეხვედრაზე, ფეისბუქზე წაკითხულსა და იმაზე, როგორ სწრაფად გაიქცა გოგონა, სანამ მოვიფიქრებდი, რა ჯანდაბა მეღონა.

— ოჰო, — თქვა მან, როცა ისტორია დავასრულე და თავი გააქნია, — ეგ... შენი აზრით, ის არის, ვისაც ამბობს?

— მამას ცოტათი ჰგავს. მაგრამ ზუსტად არ ვიცი. იქნებ ნიშნებს ვეძებ? იქნებ იმას ვხედავ, რისი დანახვაც მინდა? შესაძლებელია. დროის დიდ ნაწილს იმაზე ფიქრში ვატარებ, რა გასაოცარია, რომ მისგან რაღაც დარჩა-მეთქი, მეორე ნახევარს კი იმაზე დარდში, რომ ნამდვილი ბრიყვი ვარ. და კიდევ არის ფიქრების სხვა მიმართულება — თუ ეს მართლაც მისი ქალიშვილია, უსამართლობა არ არის, რომ არასოდეს შეხვედრია? უილის მშობლები როგორ შეეგუებიან ამ ამბავს? ან იქნებ ქალიშვილთან შეხვედრას მისი გადაწყვეტილება შეეცვალა?

ხმა გამეპარა.

სემი სკამის საზურგეს მიეყრდნო, შუბლშეკრული.

— და ამ კაცის გამო დადიხარ დარდთან გამკლავების წრეზე?

— ჰო.

ვგრძნობდი, მაკვირდებოდა. ალბათ ცდილობდა, გამოეცნო, რამდენად მნიშვნელოვანი იყო უილი ჩემთვის.

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, — ვთქვი მე, — არ ვიცი, მოვძებნო თუ მარტო დავტოვო.

ჩაფიქრებულმა კვლავ ქუჩას გახედა. მერე კი მკითხა:

— ის როგორ მოიქცეოდა?

და აი, იმ მომენტში, შევყოყმანდი. ავხედე დიდ კაცს, რომელსაც გამჭოლი მზერა, ორი დღის გაუპარსავი წვერი და კეთილი, მარჯვე ხელები ჰქონდა. ყველა ფიქრი უგზო-უკვლოდ გამეფანტა.

— კარგად ხარ?

დიდი ყლუპი მოვსვი, ვცდილობდი შემენიღბა გრძნობები, რომლებიც აშკარად სახეზე მეწერა. უეცრად, ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, ტირილი მომინდა. ეს ყველაფერი მეტისმეტი აღმოჩნდა. ის უცნაური, გაუწონასწორებელი ღამე, უილის კვლავ გამოჩენა ჩემს საუბრებში. უცებ მისი სახე გარკვევით დავინახე, გესლიანად მაღლა აზიდული წარბით, თითქოს მეკითხებოდა: „ამჯერად რაში გაეხვიე, კლარკ?“

— უბრალოდ... გრძელი დღე იყო. იმედია, არ გეწყინება თუ მე...

სემმა სკამი უკან გასწია და წამოდგა.

— არა, არა, წადი. მაპატიე. არ მეგონა თუ...

— ძალიან სასიამოვნო იყო. უბრალოდ...

— არავითარი პრობლემა. გრძელი დღე გქონდა, თან ჯერ კიდევ გლოვობ. მესმის. არა, არა, ნუ იდარდებ. კარგი, რა, — მისაყვედურა, როცა საფულეს წავეპოტინე, — ფორთოხლის წვენზე მე დაგპატიჟებ.

კოჭლობის მიუხედავად, მანქანამდე ლამის მივირბინე. მთელი გზა მის მზერას ვგრძნობდი.

მანქანა სახლთან გავაჩერე და ღრმად ამოვისუნთქე, თითქოს ბარიდან წამოსვლის მერე თავს ვიკავებდი. კუთხის მაღაზიას გავხედე, მერე ჩემს ბინას და გადავწყვიტე, რაციონალური გადაწყვეტილება არ მიმეღო. ღვინო მჭირდებოდა, რამდენიმე დიდი ჭიქა, მანამდე, სანამ თავს დავირწმუნებდი, წარსულზე აღარ მეფიქრა. ან საერთოდ, აღარაფერზე მეფიქრა.

მანქანიდან გადმოძრომისას მენჯი მეტკინა. რიჩარდის გამოჩენის შემდეგ ხშირად მაწუხებდა. ფიზიოთერაპევტმა გამაფრთხილა, ფეხზე დიდხანს არ ვმდგარიყავი. მაგრამ ამის თაობაზე რიჩარდთან დალაპარაკებაზე ფიქრიც კი თავზარს მცემდა.

„გასაგებია. ესე იგი, ბარში მუშაობ, მაგრამ გინდა მთელი დღე იჯდე, ხომ ასეა?“

მისი ნაპატივები, შუა-რგოლის-მენეჯერობისთვის-მზადმყოფი სახე; ფრთხილად შერჩეული, გაურკვეველი ვარცხნილობა. უფროსობის გამომხატველი მანერები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ორიოდე წლით იქნებოდა უფროსი. თვალები დავხუჭე და ვცადე, დავმშვიდებულიყავი.

— მხოლოდ ეს, თუ შეიძლება, — ვთქვი და ცივი „სოვინიონ ბლანის“ ბოთლი დავდე დახლზე.

— წვეულება გაქვს?

— ბატონო?

— შესანიშნავი კაბაა. შენ ასახიერებ... მოიცა, არ მითხრა, — სამირმა ნიკაპი მოიფხანა, — ფიფქიას?

— ჰო.

— ღვინოს უფრთხილდი. ცარიელი კალორიებია. სჯობს, არაყი დალიო. ეგ სუფთა დასალევია. შეგიძლია ცოტა ლიმონიც მიაყოლო. ამას ვეუბნები ხოლმე ჯინის, გზის გადაღმა. იცი, რომ სტრიპტიზის მოცეკვავეა? ფიგურას უნდა მიხედოს.

— დიეტური რჩევა. მშვენიერია.

— შაქრის ამბავია. შაქარი უნდა გააკონტროლო. რა აზრი აქვს უცხიმო რამეების ყიდვას, თუ ბევრი შაქარი აქვს, ხომ ასეა? ცარიელი კალორიებია. მაგ ბოთლში. თანაც ქიმიური შაქარი ყველაზე უარესია.

ღვინო სალაროში გაატარა და ხურდა დამიბრუნა.

— მაგას რას მიირთმევ, სამირ?

— ქილის ატრიას შებოლილი ბეკონით. ძალიან კარგია.

ფიქრებში ვიყავი დაკარგული — ნატკენი თეძოს, სამსახურთან დაკავშირებული ეგზისტენციალური სასოწარკვეთისა და შებოლილბეკონიანი ატრიისადმი უცნაური ლტოლვის ბნელ ნარევში — როცა ის დავინახე.

ჩემი სადარბაზოს შესასვლელში, მიწაზე იჯდა, მკლავები მუხლებზე შემოეხვია. სამირს ხურდა გამოვართვი და გზა ნახევრად სირბილით გადავჭერი.

— ლილი?

ნელა ამომხედა.

საუბრისას ბგერები უწყდებოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა, თითქოს ნამტირალევი იყო.

— არავინ შემიშვა. ყველასთან დავრეკე ზარი, მაგრამ არავინ გამიღო.

გასაღები საკეტში შევაძვრინე და კარის ღიად დასატოვებლად ჩანთა დავდე. მერე კი მის გვერდით დავიხარე.

— რა მოხდა?

— უბრალოდ მეძინება, — თქვა და თვალები მოიფშვნიტა, — ძალიან დაღლილი ვარ. მინდოდა, სახლში ტაქსით წავსულიყავი, მაგრამ ფული არ მქონდა.

ალკოჰოლის მძაფრისუნი ვიგრძენი.

— მთვრალი ხარ?

— არ ვიცი, — თვალები აახამხამა და თავი გვერდით გადახარა. ნეტა, მხოლოდ ალჰოკოლი იყო თუ სხვა რამეც, — და თუ არ

ვარ, ნამდვილად ლეპრეკონად გადაქცეულხარ, — ჯიბეები მოიქექა, — შეხედე, შეხედე მე რა მაქვს! — ჰაერში ნახევრად მოწეული ღერი ასწია, რომელიც მეც კი მივხვდი, სიგარეტი არ იყო, — მოდი, მოვწიოთ, ლილი. უი, არა. შენ ლუისა ხარ. ლილი მე ვარ, — ჩაიხითხითა და ჯიბიდან მოუქნელად ამოიღო სანთებელა. ჯიუტად ცდილობდა, არასწორი ბოლოდან მოეკიდებინა.

— კარგი, სახლში წასვლის დროა, — ღერი ხელიდან ავაცალე, მის სუსტ პროტესტს წავუყრუე და ფეხქვეშ გავთელე.

— ტაქსის გამოგიძახებ.

— მაგრამ მე არ...

— ლილი!

ავიხედე. ქუჩის გადაღმა ახალგაზრდა ბიჭი იდგა, ხელები ჯინსის ჯიბეებში ჩაეწყო და გვიყურებდა. ლილიმ შეხედა და მაშინვე განზე გაიხედა.

— ეგ ვინაა? — ვკითხე.

ფეხებს დააცქერდა.

— ლილი, მოდი აქ, — ბიჭის ხმაში მესაკუთრეობა გამოსჭვიოდა. ფეხები ოდნავ შორიშორ ედგა, თითქოს შორიდან მომზირალიც კი ელოდა, გოგონა უსიტყვოდ დაემორჩილებოდა. მაშინვე რაღაც მეხამუშა.

არავინ განძრეულა.

— შენი შეყვარებულია? გინდა, დაველაპარაკო? — წყნარად ვუთხარი ლილის.

პირველად ვერც კი გავიგე, რა მიპასუხა. მომიწია, დავხრილიყავი და მეორეჯერ მეკითხა.

— გააგდე აქედან, — თვალები დახუჭა და სახე კარისკენ შეაბრუნა, — გთხოვ.

ბიჭმა ჩვენთან მოსასვლელად ქუჩა გადმოჭრა. ვიდექი და ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა, მკაცრი ხმით დავლაპარაკებოდი.

— ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, გმადლობთ. ლილი შიგნით შემოდის, ჩემთან ერთად.

შუა გზაზე გაჩერდა.

თვალი თვალში გავუყარე.

— სხვა დროს დაელაპარაკე, კარგი?

ხელი სადარბაზოს ზარზე მეჭირა და წარმოსახვით ახოვან, ფეთქებადი ხასიათის შეყვარებულს ჩავძახოდი:

— ჰო. ხომ არ გინდა ჩამოხვიდე და შემეშველო, დეივ? გმადლობ.

ახალგაზრდას გამომეტყველებამ მიმახვედრა, კვლავ გამოჩნდებოდა. მერე შეტრიალდა, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და გზა განაგრძო, თან ვიღაცას ხმადაბლა ესაუბრებოდა. ტაქსისთვის, რომელმაც დაუსიგნალა, ყურადღება არ მიუქცევია. უკანასკნელად მოიხედა უკან და გაუჩინარდა. ამოვიოხრე, გოგონას მკლავები ამოვდე და, არც ისე ელეგანტურად, ხმადაბალი წყევლა-კრულვით შევძელი, ლილი ჰაგტონ-მილერი დერეფანში შემეყვანა.

იმ ღამეს ჩემს ბინაში ეძინა. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რა მომეხერხებინა მისთვის. აბაზანაში ორჯერ აერია გული. თავიდან მიშორებდა, როცა ვცდილობდი, მისთვის თმა უკან გადამეწია. სახლის ტელეფონის ნომერი არ მომცა, ან იქნებ არც ახსოვდა. მისი მობილური კი კოდით იყო დაბლოკილი. მოვაწესრიგე, ჩემი სპორტული შარვალი და მაისური ჩავაცვი და მისაღებ ოთახში გავიყვანე.

— ყველაფერი დაგილაგებია! — ისე წამოიძახა, თითქოს ეს მხოლოდ მისთვის გავაკეთე. ერთი ჭიქა წყალი დავალევინე და ტახტზე წამოვაწვინე. ვიცოდი, გული აღარ აერეოდა. თავი რომ ავუწიე და ბალიშზე დავადებინე, თვალები გაახილა, თითქოს ახლაღა მიცნო.

— ბოდიში, — ისე ხმადაბლა თქვა, წუთით ეჭვი შემეპარა, ნამდვილად მომიბოდიშა თუ არა. თვალები აუცრემლდა.

საბანი გადავაფარე და ვუყურებდი, როგორ ეძინებოდა — ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ლურჯი ჩრდილები თვალებქვეშ, ისეთივე ფორმის წარბები, როგორიც უილს, მასავით ბაცი ჭორფლი.

ბინის კარი ჩავრაზე და გასაღები საძინებელში შევიტანე, ბალიშის ქვეშ ამოვიდე, რომ გოგონას არაფერი მოეპარა, თუ არ გაქცეულიყო, ზუსტად არ ვიცოდი. ფხიზლად ვიწექი, გონებაში ჯერ კიდევ მიტრიალებდა სირენის ხმა, აეროპორტში დანახული სახეები, დარდთან გამკლავების წრის წევრები, ახალგაზრდა კაცის მტკიცე მზერა და ფაქტი, რომ ჩემს სახლში უცხო ადამიანს ეძინა. მთელი ამ დროის განმავლობაში ხმა მიჩიჩინებდა: „რა ჯანდაბას აკეთებ?“

მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ბოლოს და ბოლოს, როცა ჩიტები აჭიკჭიკდნენ, საცხობის სატვირთომ კი პროდუქტები დაარიგა, ფიქრები შემინელდა და ჩამეძინა.

თავი მეშვიდე

ყავის სურნელს ვგრძნობდი. რამდენიმე წამი დამჭირდა იმის მისახვედრად, რატომ იდგა ჩემს ბინაში ყავის სურნელი. მერე კი, როცა პასუხი გავიაზრე, ჯიქურ წამოვჯექი და საწოლიდან წამოვხტი, კაპიუშონიანი მაისური გადავიცვი.

ფეხებგადაჯვარედინებული ტახტზე იჯდა, ეწეოდა და ჩემს ფინჯანში აფერფლებდა. ტელევიზორი ჩაერთო და ბუხრის თავზე პლასტმასის ორი ჭიქა შემოედო.

— უი, სალამი. ეგ ერთი შენია, — თქვა და მომიტრიალდა, — არ ვიცოდი, რომელი ყავა გიყვარს, ამიტომ ამერიკანო მოგიტანე.

თვალები ავახამხამე და სიგარეტის კვამლზე ცხვირი შევიჭმუხნე. ფანჯარა გამოვაღე და საათს შევხედე.

— სწორ დროს აჩვენებს?

— ჰო. ყავა შეიძლება, ცოტა გაცივდა. არ ვიცოდი, უნდა გამეღვიძებინე თუ არა.

— უქმე დღე მაქვს, — ვთქვი და დავწვდი. ჯერ კიდევ თბილი იყო. მადლიერების გრძნობით მოვყლუპე. მერე კი ჭიქას დავაცქერდი, — მოიცა, ესენი საიდან მოიტანე? მე ხომ კარი ჩავკეტე.

— საავარიო კიბით ჩავედი. ფული არ მქონდა, ამიტომ სახცობის ბიჭს ვუთხარი, ვისი ბინიდან მოვდიოდი და მითხრა, რომ შეგიძლია, შენ მიუტანო მოგვიანებით. ჰო, შებოლილი ორაგულისა და მდნარი ყველის ორი სენდვიჩის ფულიც გმართებს.

— მართლა? — მინდოდა, კატეგორიული ვყოფილიყავი, მაგრამ უცებ ძალიან მომშივდა. ჩემს მზერას თვალი გაადევნა.

— უი, მე შევჭამე ორივე, — ოთახის შუაში კვამლის რგოლები გამოუშვა, — მაცივარში ბევრი არაფერი გქონდა. ნამდვილად უნდა მოაწესრიგო აქაურობა.

ამდილანდელი ლილი ისე განსხვავდებოდა იმ არსებისგან, რომელიც გუშინ ქუჩაში შევიფარე, ძლივს ვიჯერებდი, რომ ერთი და იგივე ადამიანი გახლდათ. საძინებელში შევბრუნდი ჩასაცმელად, მესმოდა, ტელევიზორს როგორ უყურებდა და სამზარეულოში სასმელს ისხამდა.

— ეი, ისა... ლუისა. შეგიძლია, ცოტა ფული მასესხო? — გამომძახა.

— თუ ისევ სახე უნდა წაიშალო, არა.

დაუკაკუნებლად შემოვიდა საძინებელში. საშინაო მაისური მივიფარე მკერდზე.

— და შეიძლება, ამაღამ შენთან დავრჩე?

— დედაშენს უნდა დაველაპარაკო, ლილი.

— რაზე?

— უნდა გავერკვე, რა ხდება.

კარში იდგა.

— ესე იგი, ჩემი არ გჯერა.

ჟესტით ვანიშნე, შეტრიალებულიყო, რომ ბიუსტჰალტერი ჩამეცვა.

— მჯერა, მაგრამ საქმე ეგ არ არის. ჩემგან რაღაცას ითხოვ, მე კი ჯერ მეტი უნდა გავიგო შენზე.

მაისური რომ ჩავიცვი, ისევ მომიბრუნდა.

— როგორც გინდა. მაინც ტანსაცმელი უნდა წამოვიღო.

— რატომ? სად რჩებოდი ამ დღეებში?

ოთახიდან გავიდა, თითქოს ჩემი შეკითხვა არც კი გაუგია. საკუთარი იღლია დაყნოსა:

— შეიძლება შხაპით ვისარგებლო? ვყარვარ.

ერთი საათის შემდეგ სენტ ჯონს ვუდისკენ მიგვყავდა მანქანა. დაქანცული ვიყავი გუშინდელი ღამის მოვლენებისა და ლილის უცნაური ენერგიისგან. სულ მოუსვენრად იქცეოდა, დაუს-

რულებლად ეწეოდა, მერე კი ისე დადუმდა, თითქმის ვგრძნობდი მისი ფიქრების სიმძიმეს.

— და ვინ არის? ის ბიჭი? — წინ ვიყურებოდი და ნეიტრალური ხმით ვეკითხებოდი.

— უბრალოდ ერთი ტიპი.

— შენ მითხარი, ჩემი შეყვარებულიაო.

— მაშინ, ეგ ყოფილა, — ხმა გაუმკაცრდა და სახე მოექუფრა. მშობლების სახლს რომ მივუახლოვდით, მკლავები გადააჯვარედინა, ნიკაპი მუხლებს ჩამოაყრდნო. მტკიცე და გამომწვევიმზერა გაუხდა, თითქოს უკვე ჩაერთო მდუმარე ბრძოლაში. წუთით დავფიქრდი, ხომ არ მატყუებდა სენტ ჯონს ვუდის თაობაზე, მაგრამ ფართო, ხეივნიან ქუჩაზე მიმითითა და მითხრა, მესამე შესახვევში მარცხნივ შემეხვია. ისეთ მაგისტრალზე ამოვყავით თავი, დიპლომატები და ემიგრანტი ამერიკელი ბანკირები რომ ცხოვრობენ, გზაზე, რომელზეც გეჩვენება, თითქოს არავინ მოძრაობს. მანქანა გავაჩერე და ფანჯრიდან შევათვალიერე მაღალი, თეთრი, მობათქაშებული შენობები, გულმოდგინედ შეკრეჭილი ურთხელის ბუჩქები და გაკრიალებული ფანჯრები.

— შენ აქ ცხოვრობ?

მანქანის კარი ისე გაიჯახუნა, ჩემი პატარა მანქანა შეაზანზარა.

— მე არ ვცხოვრობ აქ. ისინი ცხოვრობენ.

შიგნით შევიდა და მეც უხერხულად ავედევნე, თავს სხვის სივრცეში შეჭრილი დამნაშავესავით ვგრძნობდი. ფართო, მაღალჭერიან დერეფანში მივაბიჯებდით, პარკეტის იატაკითა და კედელზე უზარმაზარი, მოვარაყებული სარკით. პატარა, ძველებურ მაგიდაზე ლარნაკში ლამაზად ეწყო ყვავილები. ჰაერში მათი სურნელი ტრიალებდა. მეორე სართულიდან ალიაქოთი ისმოდა, სავარაუდოდ, ბავშვები ხმაურობდნენ — დანამდვილებით თქმა რთული იყო.

— ჩემი ნახევარძმები არიან, — უგულოდ ამიხსნა ლილიმ და სამზარეულოში შევიდა. ვეებერთელა ოთახი იყო, მოდერნისტული, უკუთხეებო, სოკოსფერი, გაპრიალებული ბეტონისგან დამზადებული ზედაპირით. ყველაფერი სიმდიდრეზე მიუთითებდა: დუალიტის ტოსტერიდან ყავის აპარატამდე, რომელიც იმდენად დიდი და რთულად მოწყობილი იყო, მილანურ კაფეს მოუხდებოდა. ლილიმ მაცივარი გამოაღო და შეისწავლა, ბოლოს ახლადდაჭრილი ანანასის ნაჭრები გამოიღო და ხელით ჭამა დაიწყო.

— ლილი? — მეორე სართულიდან ქალის შეშფოთებული ხმა გაისმა, — ლილი, შენ ხარ?

მერე საფეხურებზე სირბილით ჩამომავალი ნაბიჯების ხმა გავიგეთ.

ლილიმ თვალები გადაატრიალა.

კარში ქერა ქალი გამოჩნდა. ჯერ მე მომაცქერდა, მერე ლილის, რომელიც პირში ანანასის ნაჭრებს იყრიდა. მასთან მივიდა და თეფში ხელიდან გამოჰგლიჯა.

— სად ჯანდაბაში იყავი? სკოლაში გაგიჟებულები არიან. მამიკო სამეზობლოში გეძებდა მანქანით. გვეგონა მოგკლეს! სად იყავი?

— ის მამაჩემი არ არის.

— ნუ მეტლიკინები, გოგონი! ისე ვერ შემობრძანდები, თითქოს არაფერი მომხდარა! წარმოდგენა მაინც თუ გაქვს, რა ამბები დაატრიალე? გვიანობამდე ვაძინებდი შენს ძმას, მერე კი შენზე დარდში ვეღარ მოვხუჭე თვალი. ბებია ჰაგტონთან გამგზავრება გავაუქმე, რადგან არ ვიცოდით, სად იყავი.

ლილი გულგრილად შესცქეროდა.

— არ ვიცი, რატომ გააუქმე. ჩვეულებრივ, არ გადარდებს, სად ვარ.

ქალი ბრაზისგან გახევდა. თხელი აღნაგობა ჰქონდა. ასეთი სიგამხდრე მხოლოდ დიეტებით ან დაუსრულებელი ვარჯიშით თუ მიიღწევა. ისეთი მდიდრული ვარცხნილობა ჰქონდა, ვერც მიხვდებოდით, რომ შეჭრილ-შეღებილი იყო. ტანს დიზაინერის მიერ სპეციალური შეკვეთით შეკერილი ჯინსი უმშვენებდა.

თუმცა სახემ, გარუჯულობის მიუხედავად, გასცა: დაღლილობა ეტყობოდა.

შემდეგ მე მომიტრიალდა.

— შენთან რჩებოდა?

— დიახ, მაგრამ...

ამათვალიერ-ჩამათვალიერა და ცხადად დაეტყო, რომ დიდად არ მოვეწონე.

— წარმოდგენა თუ გაქვთ, რა უსიამოვნება გამოიწვიეთ? იცით, რამდენი წლისაა? ასეთ ახალგაზრდა გოგოსთან რა ჯანდაბა გინდათ? ოცდაათის მაინც იქნებით.

— იცით, მე...

— ურთიერთობა გაქვს ამ ქალთან? — შვილს მიუბრუნდა.

— ოჰ, დედა, მოკეტე, — ლილიმ ისევ აიღო ანანასის თეფში და თითი მოავლო, — სხვა რამე იფიქრე. მას არაფერი დაუშავებია, — ანანასის უკანასკნელი ნაჭერი გადაუშვა პირში, ნელა დაღეჭა, იქნებ დრამატული ეფექტისთვისაც, სანამ ისევ ხმას ამოიღებდა, — ეს ის ქალია, მამაჩემს რომ უვლიდა. ნამდვილ მამას.

ტანია ჰაგტონ-მილერი კრემისფერი ტახტის დაუსრულებელ ბალიშებში ჩაეშვა და ყავას მოურია. მე მოპირდაპირე ტახტის კიდეს მივეწებე, უზარმაზარ არომატულ სანთლებსა და მონდომებით დალაგებულ ჟურნალ „ინტერიერის“ გამოცემებს დავაცქერდი. ცოტათი მეშინოდა, რომ თუ მეც მასავით საზურგეს მივეყრდნობოდი, ყავა კალთაზე გადამექცეოდა.

— ჩემი გოგონა საიდან გაიცანით? — მკითხა დაღლილი ხმით. ქორწინების ბეჭედზე ორი იმხელა ბრილიანტის თვალი ჰქონდა დაკოსებული, აქამდე რომ არსად მენახა.

— მართალი გითხრათ, არსად. ბინაში მომაკითხა. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო.

წუთით ჩემი ნათქვამი გადახარშა.

— და თქვენ უვლიდით უილ ტრეინორს.

— დიახ, გარდაცვალებამდე.

ორივენი დავდუმდით და ჭერს მივაცქერდით. რაღაცის დაცემის ხმა მოგვესმა.

— ჩემი ბიჭები, — ამოიხვნეშა, — ყოფაქცევაში არ ბრწყინავენ.

— ისინი თქვენი..?

— უილისები არ არიან, ეგ თუ გაინტერესებს.

ისევ სიჩუმეში ვისხედით. უფრო სწორად, თითქმის სიჩუმეში, რადგან მეორე სართულიდან გახელებული ღრიალი ისმოდა. კიდევ ერთი დაცემის ხმა და ავბედითი მდუმარება.

— მისის ჰაგტონ-მილერ, — ვთქვი მე, — ეს სიმართლეა? ლილი უილის ქალიშვილია?

ნიკაპი ოდნავ ასწია: — დიახ.

უეცრად კანკალმა ამიტანა. ფინჯანი მაგიდაზე დავდე.

— არ მესმის. არ მესმის, როგორ...

— საქმე მარტივადაა. უილი და მე უნივერსიტეტის უკანასკნელ წელს ერთმანეთს ვხვდებოდით. მე, რა თქმა უნდა, ყურებამდე შეყვარებული ვიყავი. ყველა გოგოს უყვარდა. თუმცა, უნდა აღვნიშნო, მთლად ცალმხრივად არ მყვარებია, — სუსტად გაიღიმა და შეყოვნდა, თითქოს ჩემგან რამის თქმას ელოდა.

არ შემეძლო. რატომ არ მითხრა უილმა, რომ შვილი ჰყავდა? იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ერთად გამოვიარეთ.

ტანია ნელა ალაპარაკდა:

— მოკლედ... ჩვენი წრის ოქროს წყვილი ვიყავით. მეჯლისები, ნავებით სეირნობა, უქმეების ქალაქგარეთ გატარება, თქვენც იცით, როგორც ხდება. მე და უილი ყველგან ერთად დავდიოდით, — ამბავს ისე ყვებოდა, თითქოს ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა, თითქოს გამუდმებით ამაზე ფიქრობდა, — მერე, დამფუძნებლების მეჯლისიდან ადრე წავედი, ჩემი მეგობარი ლიზას დასახმარებლად, შარში გაეხვა. დაბრუნებულს უილი აღარ დამხვდა. წარმოდგენა არ მქონდა, სად იყო. საათობით ველოდე, მანქანები მოვიდნენ და ყველა სახლებში წაიყვანეს. მერე კი, ბოლოს და ბოლოს, ვიღაც გოგო მოვიდა და მითხრა, უილი სხვა გოგოსთან, სტეფანი ლუდონთან ერთად წავიდაო. თქვენ ალბათ არ იცნობთ, მაგრამ დიდი ხანი ეჭირა უილზე თვალი. თავიდან არ დავიჯერე, მერე მის სახლში წავედი მანქანით, გარეთ დავჯექი. და, დაბარებულივით, დილის ხუთ საათზე უილი გამოვიდა. კარში იდგნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ, თითქოს არ ადარდებდათ, ვინ დაინახავდა. როცა მანქანიდან გადმოვედი და ვამხილე, არც კი შეუწუხებია თავი, რაიმე აეხსნა. უბრალოდ მითხრა, ნერვების აშლას აზრი არ აქვს, უნივერსიტეტის შემდეგ მაინც დავშორდებოდითო. მერე კი, ცხადია, უნივერსიტეტი დამთავრდა, რაც ერთგვარი შვება იყო. არავის უნდა იყოს გოგო, რომელიც უილ ტრეინორმა მიატოვა. თუმცა ძალიან გამიჭირდა, დამევიწყებინა, ყველაფერი ხომ მოულოდნელად დასრულდა. ჩვენ-ჩვენი გზებით რომ წავედით და უილმა სიტიში მუშაობა დაიწყო, მივწერე, იქნებ შევხვედრილიყავით და გაგვერკვია, რა მოხდა ჩვენ შორის-მეთქი. რადგან, ჩემი აზრით, ძალიან ბედნიერები ვიყავით. მან კი საკუთარ მდივანს დაავალა, ეს... ეს ბარათი გამოეგზავნა. მდივნის თქმით, ძალიან წუხდა, მაგრამ უილის განრიგი სრულიად გადატვირთული იყო და დრო არ ჰქონდა. თუმცა ყოველივე საუკეთესოს მისურვებდა.

„ყოველივე საუკეთესოს“ — ამ სიტყვების თქმისას ტანიას სახე დაემანჭა.

მეც ავფორიაქდი. რაც უნდა ძლიერ მდომებოდა, მისი მონაყოლი სიცრუედ მომენათლა, ეს საზარელი სიმართლე იყო. თავად უილსაც უღიარებია, რომ ახალგაზრდობის წლებში ქალებს სასტიკად ექცეოდა (მისი სიტყვებით, „ნამდვილი ნაძირალასავით“).

ტანია კვლავ ლაპარაკობდა.

— და მერე, ორი თვის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ ორსულად ვიყავი. აბორტისთვის უკვე ძალიან გვიანი იყო და გადავწყვიტე, ლილი გამეჩინა. მაგრამ... — ნიკაპი ისევ ასწია, თითქოს თავის დასაცავად, — უილისთვის თქმას აზრი არ ჰქონდა, მას შემდეგ, რაც ჩაიდინა.

ყავა გამიცივდა.

— აზრი არ ჰქონდა მისთვის თქმას?

— თითქმის პირდაპირ მითხრა, არაფერი მინდა მქონდეს შენთან საერთოო. ისე მოიქცეოდა, თითქოს განზრახ დავორსულდი, რომ კლანჭებში მომეწყვდია ან რაიმე მსგავსი.

პირი ღია დამრჩა. მერე მივხვდი და დავკეტე.

— მაგრამ თქვენ... არ გგონიათ, რომ უფლება ჰქონდა, სცოდნოდა, მისის ჰაგტონ-მილერ? არ გგონიათ, რომ შვილის გაცნობა ენდომებოდა, მიუხედავად ყველაფრისა, რაც თქვენ შორის მოხდა?

ჭიქა დადო.

— თექვსმეტისაა, — განვაგრძე მე, — თოთხმეტის ან თხუთმეტის იქნებოდა, როცა უილი გარდაიცვალა. ეს ძალიან დიდი დროა...

— იმ დროისთვის მას უკვე ჰყავდა ფრენსისი. ის იყო ლილის მამა, თანაც კარგ მამობას უწევდა. ოჯახი ვიყავით. ოჯახი ვართ.

— არ მესმის...

— უილი არ იმსახურებდა მის გაცნობას.

ამ სიტყვებმა ჰაერი დაამძიმა.

— ნაძირალა იყო, გასაგებია? უილ ტრეინორი ეგოისტი ნაძირალა იყო, — სახეზე ჩამოცვენილი თმა გადაიწია, — ცხადია, არ ვიცოდი, რაც დაემართა. ამ ამბავმა გამაოგნა. თუმცა, ვეჭვობ, ადრე რომ გამეგო, ამას რამე შეეცვალა.

რამდენიმე წამი დამჭირდა, ხმის აღსადგენად.

— მისთვის კი ყველაფერს შეცვლიდა.

მკაცრად გადმომხედა.

— უილმა თავი მოიკლა, — ვთქვი და ხმა ამიკანკალდა, — უილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რადგან ცოცხლად დარჩენის მიზეზს ვერ ხედავდა. რომ სცოდნოდა, ქალიშვილი ჰყავდა...

ტანია ფეხზე წამოდგა.

— ოჰ, არა! მე ნუ ამკიდებთ, მის ვინც-უნდა-იყო. მე არ გამომიყვანო იმ კაცის თვითმკვლელობაზე პასუხისმგებელი. გგონია, ჩემი ცხოვრება საკმარისად რთული არ არის? არ გაბედო აქ მოსვლა ჩემს განსასჯელად. შენ რომ გადაგეტანა იმ ყველაფრის ნახევარი, რაც მე... არა. უილ ტრეინორი საშინელი კაცი იყო.

— უილ ტრეინორი საუკეთესო კაცი იყო, ვისაც ოდესმე ვიცნობდი.

ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ჰო, შენთვის ალბათ ეგრეა.

არასოდეს მიგრძნია ადამიანის მიმართ ასეთი უეცარი ზიზღი. წასასვლელად წამოვდექი, როცა უეცარმა ხმამ სიჩუმე დაარღვია.

— გამოდის, მამაჩემმა ჩემ შესახებ არც კი იცოდა.

ლილი გაშეშებული იდგა კარში. ტანია ჰაგტონ-მილერი გაფითრდა. მერე თავი შეიკავა.

— გულის ტკენას გარიდებდი, ლილი. უილს კარგად ვიცნობდი და არ ვიყავი მზად, რომელიმე ჩვენგანი იმ სირცხვილისთვის გამეწირა, რასაც აუცილებლად გამოიწვევდა მისი დარწმუნების მცდელობა, რომ ჩვენთან ურთიერთობა ჰქონოდა, — თმა შეისწორა, — და ეს მიყურადების საშინელი ჩვევა უნდა მოიშალო. არასწორად აღიქვამ გაგონილს.

მეტის მოსმენა აღარ შემეძლო. კარისკენ მივიწევდი, მეორე სართულზე კი პატარა ბიჭმა ღრიალი მორთო. საფეხურებზე პლასტმასის სატვირთო მანქანა გადმოვარდა და ნაწილებად დაიმსხვრა. კიბის მოაჯირიდან აღელვებულმა სახემ, სავარაუდოდ ფილიპინელი ქალის, გადმომხედა.

— სად მიდიხარ?

— მაპატიე, ლილი. ჩვენ... ჩვენ იქნებ სხვა დროს ვისაუბროთ.

— მაგრამ შენ თითქმის არაფერი გითქვამს მამაჩემზე.

— ის მამაშენი არ იყო, — გაბრაზდა ტანია ჰაგტონ-მილერი, — ფრენსისს იმაზე მეტი ამაგი აქვს შენზე, ვიდრე უილი ოდესმე მოახერხებდა.

— ფრენსისი არ არის მამაჩემი, — იღრიალა ლილიმ.

კიდევ ერთხელ გაისმა მსხვრევის ხმა, რომელსაც ქალის ხმა მოჰყვა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე ყვიროდა. შემდეგ სათამაშო თოფის გასროლა გავიგეთ. ტანიამ ხელები თავზე მიიფარა.

— აღარ შემიძლია ამის ატანა. უბრალოდ აღარ შემიძლია.

ლილი კართან დამეწია.

— შეიძლება, შენთან დავრჩე?

— რა?

— შენს ბინაში. არ შემიძლია აქ დარჩენა.

— ლილი, არა მგონია...

— მხოლოდ ამაღამ. გთხოვ.

— კი ბატონო, დაიტოვეთ ერთი-ორი დღით. მასთან ერთად ცხოვრება მთელი სიამოვნებაა, — ტანიამ ხელი გააქნია, —

ზრდილობიანი, დამხმარე, მოსიყვარულე. საოცნებოა, — სახე გაუმკაცრდა, — ვნახოთ, რა გამოვა. იცით, რომ სვამს? და სახლში ეწევა? და რომ სკოლაში აღარ უშვებენ? ეს ყველაფერი გითხრათ?

ლილი თავმობეზრებულს ჰგავდა, როგორც ჩანს, ამ ყველაფერს მემილიონედ ისმენდა.

— გამოცდებზე მისვლითაც კი არ შეუწუხებია თავი. ყველაფერი გავაკეთეთ მისთვის. მრჩევლები, საუკეთესო სკოლები, კერძო მასწავლებლები. ფრენსისი საკუთარი შვილივით ექცევა. ის კი არაფერს აფასებს. ჩემს ქმარს ბანკში ახლა რთული პერიოდი უდგას, ბიჭებსაც თავიანთი პრობლემები აქვთ, ის კი ოდნავადაც არ გვიმსუბუქებს მდგომარეობას. არასოდეს ადარდებდა.

— შენ რა იცი? მთელი ცხოვრება ძიძებთან გავატარე. ბიჭების დაბადების შემდეგ სკოლა-პანსიონში გამგზავნე.

— ყველას ერთად ვერ აგიდიოდით! რაც შემეძლო, იმას ვაკეთებდი!

— იმას აკეთებდი, რაც გინდოდა — შენი იდეალური ოჯახის შექმნა, უჩემოდ, — ლილი მომიტრიალდა, — გთხოვ, სულ ცოტა ხნით მაინც დამიტოვე. გპირდები, საერთოდ არ შეგაწუხებ. ყველაფერში დაგეხმარები.

უარი უნდა მეთქვა. ვიცოდი, ასე უნდა მოვქცეულიყავი. მაგრამ ამ ქალზე გაცეცხლებული ვიყავი. წუთით მომეჩვენა, რომ უილის გასაკეთებელი მე უნდა გამეკეთებინა.

— კარგი, — ვუთხარი ლილის. ამასობაში ლეგოს უზარმაზარმა კონსტრუქციამ ყურთან ჩამიქროლა და ჩემს ფეხებთან ფერად ნაწილებად დაიშალა, — შენი ნივთები შეაგროვე, გარეთ დაგელოდები.

დღის დარჩენილი ნაწილი ბუნდოვნად მახსოვს. ცარიელი ოთახიდან ყუთები გამოვიტანეთ, ჩემს საძინებელში დავაწყვეთ და მისთვის მოვაწესრიგეთ. ფარდა დავკიდეთ, ლამფა და ტუმბა

დავდგით. გასაბერი საწოლი ვიყიდე და კიბეზე ერთად ავიტანეთ. საკიდიც მოვიტანეთ, ლოგინის გადასაფარებელი და რამდენიმე ბალიშის პირი. მოსწონდა, მიზანი რომ ჰქონდა და საერთოდ არ აწუხებდა უცხოსთან საცხოვრებლად გადასვლა. ვუყურე, როგორ დაალაგა რამდენიმე ნივთი, რაც სახლიდან წამოიღო და უჩვეულო სევდა ვიგრძენი. როგორი უბედური უნდა ყოფილიყო ეს გოგონა, რომ გასაბერსაწოლიან და უხეირო საკიდიან პაწია ოთახში ცხოვრება ერჩივნა, ვიდრე ფუფუნებაში.

პასტა მოვამზადე. მეუცნაურა სხვისთვის საჭმლის გაკეთება. მერე ტელევიზორს ვუყურეთ ერთად. ცხრის ნახევარზე ტელეფონმა დაურეკა, კალამი და ქაღალდი მთხოვა.

— აი, — თქვა და რაღაც დაჯღაბნა, — ეს დედაჩემის ნომერია. შენი ნომერიც უნდა, განსაკუთრებული შემთხვევისთვის.

ნეტავ, რას ფიქრობდა, რამდენ ხანს დარჩებოდა ლილი ჩემთან.

ათ საათზე, დაქანცულმა ვუთხარი, ძილს ვაპირებ-მეთქი. ის ჯერ კიდევ ტელევიზორს უყურებდა, ფეხებგადაჯვარედინებული ტახტზე იჯდა და თავის პატარა ლეპტოპში ვიღაცას სწერდა.

— გვიანობამდე ნუ დარჩები, კარგი? — ყალბად გამომივიდა, თითქოს ვცდილობდი, დიდი ვყოფილიყავი. ტელევიზორისთვის არ მოუცილებია თვალი.

— ლილი?!

ამომხედა, თითქოს ახლაღა შეამჩნია, ოთახში რომ ვიყავი.

— აჰ, ჰო. კარგა ხანია, ვაპირებ გითხრა, რომ მეც იქ ვიყავი.

— სად?

— სახურავზე. როცა გადავარდი. მე დავურეკე სასწრაფოს.

უცებ ცხადად დავინახე მისი სახე, დიდი თვალები და ფერმკრთალი კანი.

— მაგრამ იქ რას აკეთებდი?

— შენი მისამართი ვიპოვე. სახლში ყველა რომ შეიშალა, მინდოდა, ჯერ მენახა, როგორი იყავი, სანამ დაგელაპარაკებოდი. დავინახე, რომ საავარიო კიბით შევძლებდი ამოსვლას, თან შუქიც გენთო. უბრალოდ გელოდებოდი. მერე კი შენც ამოხვედი და კიდეზე სიარული დაიწყე. ვიფიქრე, რამე რომ მეთქვა, შეგაშინებდი.

— ასეც მოხდა.

— ჰო. განზრახ არ მინდოდა. მეგონა, მოგკალი, — ნერვიულად გაეცინა.

ერთი წუთი დუმილში გავატარეთ.

— ყველას ჰგონია, რომ გადავხტი.

სახე ჩემკენ მოაბრუნა.

— მართლა?

— ჰო.

მცირე ხნით ჩაფიქრდა.

— მამაჩემს რაც დაემართა, იმის გამო?

— ჰო.

— გენატრება?

— ყოველდღე.

დადუმდა. ბოლოს მკითხა:

— შემდეგი უქმე დღე როდის გაქვს?

— კვირას. რატომ გაინტერესებს? — ვკითხე და ფიქრებიდან გამოვერკვიე.

— შეიძლება, შენს მშობლიურ ქალაქში წავიდეთ?

— სტროტფოლდში გინდა წასვლა?

— მინდა ვნახო, სად ცხოვრობდა.

თავი მერვე

მამაჩემისთვის არ მითქვამს, რომ მოვდიოდით. არ ვიცოდი, როგორ დავლაპარაკებოდი ამ თემაზე. მანქანა სახლთან გავაჩერე და წუთით ჩავფიქრდი. ლილი ამ დროს ფანჯრიდან იხედებოდა და აკვირდებოდა საკუთარ სახლთან შედარებით პატარა, უხეირო ჩემს სახლს. როცა ვუთხარი, დედაჩემი დაიჟინებს, ლანჩზე დავრჩეთ-მეთქი, შემომთავაზა, ყვავილები მივუტანოთო. ჩემი იდეა, გაზგასამართ სადგურზე მიხაკები გვეყიდა, არ მოეწონა.

სტროტფოლდის მეორე ბოლოში, სუპერმარკეტში წავედით, სადაც ვეებერთელა, ლამაზად შეკრული, ფრეზიების, იორდასალამებისა და ბაიების თაიგული აარჩია. მე გადავიხადე.

— ერთი წუთით აქ დარჩი, — ვუთხარი და მანქანიდან გადმოვძვერი, — უნდა ავუხსნა, სანამ შემოხვალ.

— მაგრამ...

— მენდე. ცოტა დრო დასჭირდებათ.

ბაღის ვიწრო ბილიკს გავუყევი და კარზე დავაკაკუნე. მისაღები ოთახიდან ტელევიზორის ხმა ისმოდა, წარმოვიდგინე, როგორ უყურებდა ბაბუაჩემი დოღს, სახლის ხმაური და ინტერიერი. ჩავფიქრდი იმ თვეებზე, როცა აქაურობისგან თავს შორს ვიჭერდი, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული, ენდომებოდათ თუ არა ჩემი აქ ყოფნა. გამახსენდა დედაჩემის ქსოვილის დამარბილებლისსურნელიანი ჩახუტება და მამაჩემის ექოსავით სიცილი.

მამამ გააღო. გაოცებისგან წარბები აწკიპა:

— ლუ! არ გელოდებოდით!.. თუ გელოდებოდით?

კარში გადმოაბიჯა და გულში ჩამიკრა.

ოჯახთან დაბრუნება მესიამოვნა.

— სალამი, მამა.

კიბეზე იცდიდა, ხელგაშლილი. დერეფნიდან შემწვარი ქათმის სუნი მოდიოდა.

— აბა, შემოხვალ თუ კიბეზე მოვაწყოთ პიკნიკი?

— ჯერ რაღაც უნდა გითხრა.

— სამსახური დაკარგე.

— არა, არ დამიკარგავს...

— კიდევ ერთი სვირინგი გაიკეთე.

— სვირინგზე იცოდი?

— მამაშენი ვარ. ყველაფერი ვიცი, რაც შენ და შენს დას გაგიკეთებიათ, — წინ გადმოიხარა, — დედაშენი არასოდეს მრთავდა ნებას, მეც გამეკეთებინა.

— არა, მამა, არც ახალი სვირინგი მაქვს, — ღრმად ჩავისუნთქე, — მე... მე უილის შვილი მყავს.

მამა გახევდა. მის უკან დედა გამოჩნდა, წინსაფრით.

— ლუ! — მამას გამომეტყველება შეამჩნია, — რა? რა მოხდა?

— ამბობს, უილის შვილი მყავსო.

— უილის რა? — შეჰკივლა დედამ.

მამა გაფითრდა. უკან გამათბობელს ჩაებღაუჭა.

— რა? — ვიკითხე აღელვებულმა, — რაშია საქმე?

— შენ... შენ გინდა თქვა, რომ მისი... პატარა ბიჭები გაანაყოფიერე?

სახე დამემანჭა.

— უილის შვილი მანქანაშია. თექვსმეტი წლისაა.

— უჰ, მადლობა ღმერთს! უჰ, ჯოზი, მადლობა ღმერთს! ბოლო დროს ისეთი ხარ... არც კი ვიცი, რა... — წელში გასწორდა, — უილის შვილიო, ამბობ? არ გითქვამს, რომ მას...

— არ ვიცოდი. არავინ იცოდა.

დედამ მანქანისკენ გაიხედა, სადაც ლილი იჯდა და თავს იკატუნებდა, თითქოს მასზე არ საუბრობდნენ.

— შემოიყვანე, — დედამ ხელი კისერზე მოიკიდა, — მოზრდილი ქათამია, ყველას გვეყოფა, თუ კარტოფილსაც დავამატებ, — გაოგნებისგან თავი გააქნია, — უილის შვილი. ღმერთმანი, ლუ! მოულოდნელობებით ხარ აღსავსე, — ლილის ხელი დაუქნია, მანაც იგივე გაიმეორა საპასუხოდ, — შემოდი, საყვარელო!

მამამაც ასწია ხელი მისალმების ნიშნად. მერე კი ჩურჩულით თქვა:

— ბატონმა ტრეინორმა იცის?

— ჯერ არა.

მკერდზე ხელი მოითათუნა:

— სხვა რამეც ხომ არ არის?

— მაგალითად?

— რაიმე, რაც უნდა ვიცოდე. შენობებიდან გადახტომებისა და სახლში დაკარგული ბავშვების მოყვანის გარდა. ცირკს ხომ არ შეუერთდი ან ყაზახი ბავშვი ხომ არ იშვილე?

— გეფიცები, არც ერთი ჩამიდენია და არც მეორე. ჯერ.

— კარგი, მადლობა ზეციერს ამისთვის. რა დროა? მგონი, დალევისთვის მზად ვარ.

— სკოლაში სად დადიხარ, ლილი?

— პატარა სკოლა-პანსიონია შროპშირში. არავის სმენია. ძირითადად მდიდარი გონებაჩლუნგები და მოლდავეთის სამეფო ოჯახის შორეული შთამომავლები დადიან.

წინა ოთახში, სასადილო მაგიდის ირგვლივ შევქუჩდით. შვიდი ჩვენგანი ერთმანეთს მუხლებს აბჯენდა, ექვსი ჩვენგანი კი ლოცულობდა, საპირფარეშოში არავის მოსდომებოდა, თორემ მაგიდის ტახტისკენ გაწევა მოგვიწევდა.

— მაშ, სკოლა-პანსიონი? ნუგბარის მაღაზიები და შუაღამის ნადიმები და მთელი ამბები?

— არა. ტკბილეულობის მაღაზია გასულ წელს დახურეს. გოგოების ნახევარი ცდილობს, გამხდარი დარჩეს და სნიკერსის ჭამის მერე გულს ირევდნენ.

— ლილის დედა სენტ ჯონს ვუდში ცხოვრობს, — ვთქვი მე, — ლილი ჩემთან რჩება რამდენიმე დღით, სანამ... სანამ ცოტა მეტს შეიტყობს თავისი მეორე ოჯახის შესახებ.

დედამ თქვა:

— აქ ტრეინორების უკვე რამდენიმე თაობა ცხოვრობდა...

— მართლა? იცნობთ მათ?

დედა გაშეშდა:

— არც ისე...

— როგორი სახლი აქვთ?

დედას სახე მოექუფრა.

— სჯობს, ეგეთი რამეები ლუს ჰკითხო. ის ატარებდა მანდ... მთელ დროს.

ლილი იცდიდა.

მამამ თქვა:

— მისტერ ტრეინორთან ვმუშაობ. მამულებს ის მართავს.

— ბაბუა! — წამოიძახა ბაბუამ და გაიცინა. ლილიმ ჯერ მას გადახედა, მერე — მე. გამეღიმა, თუმცა ბატონი ტრეინორის ხსენებამ ამაფორიაქა.

— სწორია, მამა, — თქვა დედამ, — ლილის ბაბუა გამოდის. შენსავით. აბა, ვის უნდა კარტოფილის დამატება?

— ბაბუა, — ლილიმ ჩუმად გაიმეორა. აშკარად ესიამოვნა.

— დავურეკავთ და... ვეტყვით, — ვთქვი მე, — და თუ გინდა, წასვლისას სახლს ჩავუაროთ მანქანით, რომ თვალი შეავლო.

მთელი დიალოგის განმავლობაში ჩემი და მდუმარედ იჯდა. ლილის ტომის გვერდით მიუჩინეს ადგილი, ალბათ იმისთვის, რომ ბიჭუნა უკეთ მოქცეულიყო. თუმცა მაინც დიდი შანსი იყო, კუჭ-ნაწლავის პარაზიტებზე წამოეწყო საუბარი. ტრინა ლილის

უყურებდა. ის უფრო უნდობი გახლდათ, ვიდრე ჩემი მშობლები, რომლებიც ყველაფერს იჯერებდნენ, რასაც ვეტყოდი. ცოტა ხნით ადრე, სანამ მამა ლილის ეზოს ათვალიერებინებდა, ტრინამ მეორე სართულზე ამათრია და შეკითხვები დამაყარა. ეს კითხვები ჩემს თავშიც აბეზარი მტრედებივით ღუღუნებდნენ: — საიდან ვიცოდი, რომ ლილი ნამდვილად ის იყო, ვისაც ამბობდა? რა უნდოდა? ან რატომ იყო მისი საკუთარი დედა თანახმა, გოგონას ჩემთან ეცხოვრა?

— რამდენ ხანს რჩება? — იკითხა მაგიდასთან, როცა მამა ლილის მწვანე მუხის დამუშავებაზე უყვებოდა.

— ჯერ ამაზე არ გვისაუბრია.

ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელიც მაუწყებდა, იდიოტი ხარ, მაგრამ შენგან უკვე აღარაფერი მიკვირსო.

— ორი ღამეა, რაც ჩემთანაა, ტრინ. ის ხომ ძალიან ახალგაზრდაა.

— მეც მაგას ვამბობ. შენ რა იცი ბავშვების მოვლაზე?

— ბავშვი არაა.

— ბავშვზე უარესია. მოზარდები ჰორმონებმოზღვავებული ახალშობილებივით არიან — საკმარისად დიდები, სურვილები გააჩნდეთ, მაგრამ დაფიქრების უნარი აკლიათ. ათას უბედურებაში შეიძლება გაეხვეს. ვერ ვიჯერებ, მართლა რომ აკეთებ ამას.

საწებელი მივაწოდე და ვუთხარი:

— გამარჯობა, ლუ. ყოჩაღ, სამსახური შეგინარჩუნებია. გილოცავ, საზარელ შემთხვევას რომ გადაურჩი. ძალიან მიხარია შენი დანახვა.

სამარილე გადმომაწოდა და ჩაილუღლუღა:

— იცი, ვერ გაუძლებ ამ ყველაფერს, თან...

— თან რა?

— შენი დეპრესია.

— არ მაქვს დეპრესია, — კბილებში გამოვცარი, — არ ვარ დეპრესიაში, ტრინა. რატომ არ გესმის, არ გადავმხტარვარ იმ შენობიდან.

— საკუთარ თავს აღარ ჰგავხარ, რა ხანია. მას მერე რაც... უილის ამბავი მოხდა.

— როგორ მოვიქცე, რომ დაგარწმუნო? სამსახურს ვინარჩუნებ. ფიზიოთერაპიაზე დავდივარ, დარდთან გამკლავების წრესაც კი ვესწრები. ჩემი აზრით, მშვენივრად ვართმევ თავს, გასაგებია? — მთელი მაგიდა ახლა მე მისმენდა, — სხვათა შორის, იცი, რას გეტყვი. ლილი იქ იყო. დამინახა, როგორ გადავვარდი. თურმე მას გამოუძახებია სასწრაფო.

ოჯახის ყველა წევრი მე მიყურებდა.

— სიმართლეა. დამინახა. არ გადავმხტარვარ. ლილი, სწორედ ახლა ვეუბნებოდი ჩემს დას, რომ შენც იქ იყავი გადმოვარდნისას. ხედავთ? ხომ ვამბობდი, გოგონას ხმა შემომესმა-- მეთქი. ჭკუიდან კი არ ვიშლებოდი. მართლა ყველაფერს შეესწრო. ფეხი დამიცდა, ხომ ასეა?

ლილიმ თეფშიდან ამომხედა, ჯერ კიდევ ილუკმებოდა. რაც დავსხედით, ჭამა თითქმის არ შეუწყვეტია.

— ჰო. საერთოდ არ ცდილობდა თავის მოკვლას.

დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს. დედამ ამოიოხრა, თითქმის შეუმჩნევლად პირჯვარი გადაიწერა და გაიღიმა. ჩემმა დამ წარბები მაღლა აზიდა. მეტ ბოდიშს მისგან ვერ მივიღებდი. ცოტა ხნით განწყობა ამიმაღლდა.

— ჰო. უბრალოდ ცას უყვიროდა, — ლილიმ ჩანგალი ასწია, — ძალიან, ძალიან გაბრაზებული იყო.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა.

— ოჰ, — თქვა მამამ, — ეგ...

— ეგ... კარგია, — დაასრულა დედამ.

— ეს ქათამი ძალიან გემრიელია, — განაცხადა ლილიმ, — შეიძლება კიდევ გადავიღო?

ნაშუადღევამდე დავრჩით. ნაწილობრივ იმიტომ, რომ რამდენჯერაც წასვლა დავაპირეთ, დედამ საჭმელი დაგვაძალა და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ოჯახის სხვა წევრების ლილისთან საუბარი სიტუაციას ნაკლებად უხერხულსა და დაძაბულს ხდიდა. მე და მამამ უკანა ეზოში გადავინაცვლეთ. ორ გასაშლელ სკამზე დავსხედით, რომლებიც ამ ზამთარსაც სასწაულით გადაურჩნენ დალპობას.

— იცი, შენი და ბოლო დროს ჟურნალ „ქალ საჭურისებს“ კითხულობს და კიდევ რაღაც ძველ სისულელეს სახელად „ქალის საძინებელი“. ამტკიცებს, დედა დაჩაგრულის კლასიკური ნიმუშია და მისი მტკიცება, რომ არ არის დაჩაგრული, კიდევ უფრო ამტკიცებს ამასო. ეუბნება, მამა უნდა ამზადებდეს საჭმელებს და ალაგებდესო, ცდილობს გამოქვაბულის აზროვნების კაცად გამომიყვანოს. რამის შეპასუხებას თუ გავბედავ — შენს პრივილეგიებს გადახედეო. პრივილეგიებს უნდა გადავხედო თურმე! ვუპასუხე, სიამოვნებით გადავხედავდი, რომ ვიცოდე, სად შეჩურთა დედაშენმა ეგ პრივილეგიები-მეთქი.

— დედასთვის არაფერი შემიმჩნევია, — ვთქვი მე.

ჩაი მოვყლუპე. ოდნავ გამკრა დანაშაულის გრძნობამ, შემომესმა, დედა როგორ რეცხავდა ჭურჭელს.

მამამ გვერდულად გადმომხედა.

— სამი კვირაა, ფეხი არ გაუპარსავს. სამი კვირა, ლუ! სიმართლე გითხრა, ჟრუანტელი მივლის, როცა მისი ფეხები მეხება. ბოლო ორი ღამეა ტახტზე მძინავს. არ ვიცი, ლუ, რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს იყვნენ ბედნიერები იმით, რაც აქვთ? დედაშენი ბედნიერი იყო. მეც ბედნიერი ვიყავი. ჩვენ-ჩვენი როლები გადანაწილებული გვქონდა. ბანჯგვლიანი ფეხები მე უნდა მქონდეს, ის — რეზინის ხელთათმანებს ირგებდეს. მარტივია.

დაბლა, ბაღში, ლილი ტომს ასწავლიდა, ბალახის გამოყენებით ჩიტების ხმისთვის როგორ მიებაძა. ბიჭს ცერა თითებს შორის მოექცია ყლორტი, მაგრამ წინ ოთხი კბილი აკლდა, რაც ხელს უშლიდა ხმის გამეორებაში. მისი მცდელობა იმით დასრულდა, რომ პირიდან მხოლოდ ფურთხის ნაკადი და ჟოლო გადმოსცვივდა.

მდუმარედ ვისხედით, ვუსმენდით ჩიტების ხმას, ბაბუას სტვენას, მეზობლის ძაღლის ყეფას. სახლში ყოფნა მიხაროდა. მერე ვიკითხე:

— მისტერ ტრეინორი როგორ არის?

— შესანიშნავად. იცოდი, ისევ მამა რომ გახდება?

ფრთხილად ვიცვალე გვერდი ჩემს სკამზე.

— მართლა?

— მისის ტრეინორისგან არა. მალევე გადავიდა, იმის მერე, რაც... ხომ იცი. ეს შვილი წითური გოგოსგან ეყოლება, დამავიწყდა რა ჰქვია.

— დელა, — უეცრად გამახსენდა.

— ეგ არის. ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ბავშვის ამბავი ორივესთვის მოულოდნელი იყო, — მამამ ლუდის მორიგი ბოთლი გახსნა, — თუმცა ბედნიერი ჩანს. მისთვის ახალი ვაჟი ან ქალიშვილი კარგი იქნება. ზრუნვა დარდს შეუმსუბუქებს.

გულის სიღრმეში მინდოდა, განმესაჯა, მაგრამ მისი მესმოდა — ნებისმიერი ხერხით ცხოვრების გაგრძელებას ცდილობდა. „მხოლოდ ჩემ გამო არიან ერთად“, — ხშირად უთქვამს უილს.

— შენი აზრით, ლილის როგორ მიიღებს? — ვკითხე მამას.

— წარმოდგენა არ მაქვს, საყვარელო, — დაფიქრების მერე მიპასუხა, — ალბათ გაუხარდება. თითქოს გარდაცვლილი ვაჟის ნაწილს დაიბრუნებს, ხომ ასეა?

— და მისის ტრეინორი რას იფიქრებს?

— არ ვიცი, ძვირფასო. ისიც არ ვიცი, ახლა სად ცხოვრობს.

— ლილი... რთული ბავშვია.

მამას სიცილი აუტყდა.

— რას მელაპარაკები! შენ და ტრინას მე და დედათქვენი ჭკუიდან გადაგყავდით სახლში გვიან მოსვლებით, შეყვარებულებითა და გულგატეხილობებით. უკვე დროა, იგივე გამოსცადოთ, — ლუდი მოყლურწა და ისევ ჩაიხითხითა, — კარგი ამბავია, საყვარელო. მიხარია, იმ შენს ბინაში მარტო რომ არ იქნები.

ტომს ბალახით ჩიტის ხმის მიბაძვა გამოუვიდა. სახე გაუცისკროვნდა და ხმალი ცისკენ აღმართა. ჩვენ, მილოცვის ნიშნად, მაღლა აწეული ცერა თითები დავანახეთ.

— მამა...

მომიტრიალდა.

— ხომ იცი, რომ კარგად ვარ?

— ვიცი, საყვარელო, — ნაზად გამკრა მხარი მხარზე, — მაგრამ შენზე დარდი ჩემი მოვალეობაა. მანამდე ვიჯავრებ შენზე, სანამ ისეთი ბებერი არ ვიქნები, რომსკამიდან წამოდგომა აღარ შემეძლება, — სკამს დახედა, — შეიძლება ეს უფრო მალე მოხდეს, ვიდრე ვისურვებდი.

სანამ ხუთი გახდებოდა, წამოვედით. მანქანის გვერდითა სარკიდან ვხედავდი, ერთადერთი ტრინა არ მიქნევდა გამოსამშვიდობებლად ხელს. იდგა, მკერდზე გადაჯვარედინებული მკლავებით, გვიყურებდა და თან ნელა თავს აქნევდა.

სახლში რომ მივედით, ლილი სახურავზე გაუჩინარდა. უბედური შემთხვევის მერე იქ არ ავსულვარ. თავს ვირწმუნებდი, გაზაფხულის ამინდებში აზრი არ აქვს ცდას, საავარიო ასასვლელი წვიმის გამო სახიფათო იქნება, თანაც, დამჭკნარი მცენარეების ნახვაც თავს დამნაშავედ მაგრძნობინებს-მეთქი. სინამდვილეში, მეშინოდა. მაღლა ასვლაზე ფიქრიც კი გულს მიჩქა-

რებდა. იმწამსვე მახსენდებოდა ის შეგრძნება, თითქოს ფეხქვეშ ხალიჩა გამომაცალეს და მიწა გაუჩინარდა.

ვუყურებდი, როგორ გადაძვრა ფანჯრიდან და მივაძახე, ოც წუთში დაბრუნებულიყო. ოცდახუთი წუთი რომ გავიდა, ავღელდი. ფანჯრიდან დავუძახე, მაგრამ მანქანების მოძრაობის ხმის გარდა არაფერი ისმოდა. ოცდათხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ჩემთვის ვილანძღებოდი და ფანჯრიდან საავარიო კიბეზე გადაძრომას ვცდილობდი. ზაფხულის თბილი საღამო იდგა, სახურავის ასფალტი სიცხეს ასხივებდა. ჩვენ ქვეშ ქალაქი კვირა დღის ზანტ მიმოსვლაში იყო ჩართული, მანქანებს ფანჯრები ჩამოწეული ჰქონდათ, მუსიკა — ბოლო ხმაზე, ქუჩის კუთხეებში ახალგაზრდები შექუჩებულიყვნენ, სხვა სახურავებიდან გრილზე შებრაწული ხორცის სურნელი მოდიოდა.

ლილი გადმოყირავებულ ქოთანზე იჯდა და ქალაქს გადაჰყურებდა. წყლის ავზს მიყრდნობილი ვცდილობდი, შიშს არ ავეტანე ყოველთვის, როცა კიდისკენ იხრებოდა. აქ ამოსვლა შეცდომა იყო. ჩემ ფეხებქვეშ ასფალტი თითქოს ირწეოდა, გემბანივით. ბორძიკით მივაღწიე რკინის სკამამდე და ჩამოვჯექი. ჩემი სხეულისთვის კარგად იყო ნაცნობი კიდეზე დგომის შეგრძნება. უსასრულოდ მცირე სხვაობა სიცოცხლეს — მყარ ზედაპირსა და სიკვდილს — ფეხქვეშ მიწის გამოცლას შორის, უმცირეს საზომ ერთეულებს შეადგენდა. ამაზე ფიქრი თმას ყალყზე მიყენებდა, კისერს ოფლით მინამავდა.

— იქნებ ჩამოსულიყავი, ლილი?

— შენი მცენარეები დამჭკნარან, — დამპალ ფოთლებს აცილებდა მცენარეს.

— ჰო. აქ თვეებია, არ ამოვსულვარ.

— ნუ დააჭკნობ მცენარეებს. რა უგულობაა.

დავაკვირდი, რომ მენახა, ხომ არ ხუმრობდა, მაგრამ ასე არ მომეჩვენა. წელში მოიხარა, ტოტი მოწყვიტა და გამომშრალი გულის შესწავლა დაიწყო.

— მამაჩემი როგორ გაიცანი?

წყლის ავზის კუთხემდე მივედი, ვცდილობდი, მუხლების კანკალი შემეჩერებინა.

— მისი მოვლელის პოზიციაზე შევიტანე განცხადება და ამიყვანეს.

— მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო გამოცდილება არ გქონდა.

— ჰო.

ამაზე დაფიქრდა, მკვდარი ღერო ჰაერში მოისროლა, წამოდგა და სახურავის ბოლოსთან მივიდა. დოინჯშემორტყმულს ფეხები მყარად ედგა, გამხდარ ამაზონელ მებრძოლ ქალს ჰგავდა.

— სიმპათიური იყო, ხომ?

ფეხებქვეშ სახურავი მერყეოდა. დაბლა მინდოდა ჩასვლა.

— არ შემიძლია აქ ყოფნა, ლილი.

— მართლა გეშინია?

— უბრალოდ მირჩევნია, ქვევით ვიყოთ. გთხოვ.

თავი გადახარა და მომაცქერდა, თითქოს უნდა გადაეწყვიტა, დამორჩილებოდა ჩემს თხოვნას თუ არა. კედლისკენ გადადგა ნაბიჯი და ცალი ფეხი ასწია, თითქოს კიდეზე გადახტომას აპირებდა. ცივმა ოფლმა დამასხა. მერე გაბადრული მომიტრიალდა, კბილებში სიგარეტი გაირჭო და საავარიო კიბისკენ წამოვიდა.

— ისევ აღარ გადავარდები, სულელო. ეგეთი უიღბლო არავინაა.

— ჯერჯერობით მაგ რისკზე წასვლის სურვილი არ მაქვს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ფეხები დავიმორჩილე, რკინის კიბეს დავუყევით. ჩემს ფანჯარასთან შევჩერდით, რადგან მივხვდი, მეტისმეტად ვკანკალებდი, შიგნით შეძრომას ვერ მოვახერხებდი. საფეხურზე ჩამოვჯექი.

ჩემმა მომლოდინე ლილიმ თვალები გადაატრიალა. მერე, როცა გააცნობიერა, რომ განძრევა არ შემეძლო, გვერდით მომიჯდა. ალბათ სულ მცირე მანძილი გვაშორებდა სახურავს, მაგრამ ფანჯრიდან ჩემს დერეფანს ვხედავდი, ორივე მხარეს მოაჯირები მეგულებოდა და დავწყნარდი. ნორმალურად სუნთქვა შევძელი.

— შენ, აი, ეს გჭირდება, — თქვა და გახვეული მარიხუანა დამანახა.

— ნუთუ მართლა დაბოლებას მთავაზობ? თანაც მეოთხე სართულზე!

— მოდუნებაში დაგეხმარება.

მერე კი, როცა უარი ვუთხარი, გააპროტესტა:

— ოჰ, კარგი, რა. რა... მართლა ყველაზე წესიერი ადამიანი ხარ მთელ ლონდონში?

— მე ლონდონელი არ ვარ.

მოგვიანებით ვერც კი ვიჯერებდი, რომ თექვსმეტი წლის გოგომ დამიყოლია. მაგრამ ლილი იმ მაგარ გოგოებს ჰგავდა, სკოლაში რომ ცდილობ, მასზე შთაბეჭდილება მოახდინო. სანამ რაიმეს იტყოდა, გამოვართვი და ყოყმანით მოვქაჩე ნაფაზი. ვცადე, არ დამეხველებინა, როცა კვამლი ყელში მომაწვა.

— თექვსმეტი წლის ხარ, — ჩავილუღლუღე, — ამას არ უნდა აკეთებდე. ან სად შოულობ?

ლილი მოაჯირს გადაეყუდა:

— მოგწონდა?

— ვინ? მამაშენი? თავიდან არა.

— რადგან ეტლში იჯდა.

მინდოდა მეთქვა — რადგან დენიელ დეი-ლუისის საშინელ გამომეტყველებას ჰბაძავდა და ძალიან შემაშინა — მაგრამ მერე ახსნა მომიწევდა.

— არა, ეტლი ყველაზე უმნიშვნელო რამ იყო, როცა საქმე მამაშენს ეხებოდა. არ მომწონდა, რადგან... ძალიან ბრაზიანი იყო. ცოტათი საშიშიც. ამ ორი თვისების გამო ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მომწონებოდა.

— ვგავარ? გუგლში დავძებნე ფოტოები, მაგრამ ვერ მივხვდი.

— ცოტათი. ერთნაირი ფერები გაქვთ. მგონი, თვალებიც.

— დედამ თქვა, ძალიან სიმპათიური იყო და ამიტომაც იქცეოდა ნაძირალასავითო. ბევრი სხვა რამეც მითხრა. ბოლო დროს, თუ ვაბრაზებ, მეუბნება, მას ჰგავხარო: „ო, ღმერთო, ნამდვილი უილ ტრეინორი ხარ!“ ყოველთვის უილ ტრეინორს ეძახის და არა მამაჩემს. უნდა, იმ სიფათმოტყნულს ვეძახდე მამას, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი არ არის. ჰგონია, თუ დაიჟინებს, ოჯახი ვართო, მართლაც ვიქცევით ოჯახად.

კიდევ ერთი ნაფაზი მოვქაჩე. ოდნავ თავბრუ დამეხვა. თუ არ ჩავთვლით ერთ წვეულებას პარიზში, წლები იყო, მარიხუანა აღარ გამესინჯა.

— იცი, უფრო ვისიამოვნებდი ამით, კიბიდან გადავარდნის დიდი შანსი რომ არ მქონდეს.

გამომართვა.

— ღმერთმანი, ლუისა. ცოტა გაერთე, — ხარბად ჩაისუნთქა და თავი გადასწია, — გიყვებოდა, თავს როგორ გრძნობდა? გულახდილად გელაპარაკებოდა?

კვლავ შეისუნთქა და დამიბრუნა. მოსაწევი მასზე თითქოს არ მოქმედებდა.

— ჰო.

— ჩხუბობდით?

— ბევრს. მაგრამ ბევრს ვიცინოდით კიდეც.

— მოსწონდი?

— მოვწონდი? არ ვიცი, ეგ სიტყვა შესაფერისია თუ არა.

სიტყვებს ვერ ვპოულობდი. როგორ ამეხსნა ამ გოგოსთვის, ვინ ვიყავით მე და უილი ერთმანეთისთვის, რომ მასავით არასოდეს არავის ესმოდა ჩემი და ვერც ვერავინ გამიგებდა? როგორ გადმომეცა, რომ უილის დაკარგვა გულში ტყვიის მოხვედრასავით იყო — მუდამ თავს მახსენებდა მტკივნეული სიცარიელე, რომელსაც ამოვსება არ ეწერა.

დაჟინებით მომაცქერდა.

— მოსწონდი! მამაჩემს მოსწონდი! — ახითხითდა. ეს ისეთი სასაცილო, უმნიშვნელო სიტყვა იყო იმ ყველაფერთან შედარებით, რაც ჩემსა და უილს შორის მოხდა, რომ მეც გამეცინა.

— მამაჩემს გულში ჩაუვარდი. რა სიგიჟეა! — უცებ გაშეშდა, — ო, ღმერთო! ალტერნატიულ სამყაროში შეიძლებოდა ჩემი დედინაცვალი ყოფილიყავი.

ერთმანეთს ხუმრობით შეშინებულებივით მივაჩერდით; ეს ამბავი თითქოს გაიბერა და გასივდა, სანამ ყელში მხიარულების ბურთად არ გამეჩხირა. სიცილი ამიტყდა, ისეთი სიცილი, ისტერიკის ზღვარზე რომ გადის, მუცელს გტკენს.

— სექსი გქონდათ?

აი, ამ შეკითხვამ კი სიცილის სურვილი გამიქრო.

— საკმარისია. ეს საუბარი ძალიან უცნაური გახდა.

ლილი დაიმანჭა.

— მთელი თქვენი ურთიერთობა უცნაურად ჟღერს.

— არ იყო. ჩვენი ურთიერთობა... იყო...

უეცრად მეტისმეტი სიმძიმით დამატყდა თავს ეს ყველაფერი: სახურავი, შეკითხვები, მოსაწევი, უილზე მოგონებები. თითქოს ჰაერიდან ჯადოსნობით გავაჩინეთ: მისი ღიმილი, მისი კანი, ჩემს სახეზე მისი შეხება და არ ვიცოდი, მინდოდა თუ არა ეს. თავი მუხლებში ჩავრგე. „ისუნთქე“, — შევაგულიანე თავი.

— ლუისა?

— რა?

— იმ ადგილას წასვლას ყოველთვის გეგმავდა? დიგნიტასში?

თავი დავუქნიე. ისევ გავუმეორე საკუთარ თავს, მესუნთქა, რათა პანიკის შეგრძნება დამეოკებინა. „ჩაისუნთქე. ამოისუნთქე. უბრალოდ ისუნთქე“.

— სცადე, აზრი შეგეცვლევინებინა?

— უილი ძალიან... ჯიუტი იყო.

— გიკამათიათ ამ თემაზე?

ნერწყვი გადავყლაპე.

— უკანასკნელ დღემდე.

უკანასკნელი დღე. ეს როდის ვთქვი? თვალები დავხუჭე. როცა ისევ გავახილე, ლილი მიყურებდა.

— გარდაცვალებისას მასთან იყავი?

ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ. „ახალგაზრდები საშიშები არიან, — გავიფიქრე, — ზღვარი არ გააჩნიათ, არაფერს უფრთხიან“. ვხედავდი, ტუჩებზე მომდევნო შეკითხვა აუთამაშდა, თვალებში გაუბედავი ცნობისმოყვარეობა აუკიაფდა. იქნებ არც ისეთი მამაცი იყო, როგორიც მეგონა.

— როდის ეტყვი მის მშობლებს ჩემ შესახებ?

გული შემეკუმშა.

— ამ კვირას. ამ კვირას დავურეკავ.

თავი დამიქნია და მზერა ამარიდა, რომ მისი გამომეტყველება ვერ შემემჩნია. მოსაწევი კიდევ ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა და მერე უეცრად საავარიო კიბის ღრიჭოდან გადააგდო. წამოდგა და სახლში უკანმოუხედავად შეძვრა. დავიცადე, სანამ ფეხებში მგრძნობელობა დამიბრუნდებოდა და მეც შევყევი.

თავი მეცხრე

სამშაბათს შუადღეს დავრეკე, როცა ფრანგული და გერმანული ავიახაზების გაერთიანებულმა ერთდღიანმა გაფიცვამ ბარი თითქმის ცარიელი დატოვა. დავიცადე, სანამ რიჩარდი მომმარაგებელთან წავიდოდა, მერე დარბაზში გავედი და მობილურში ის ნომერი მოვიძიე, რომლის წაშლა ვერასოდეს შევძელი. ტელეფონმა სამჯერ, ოთხჯერ დარეკა და წუთით გავიფიქრე, გამეთიშა, მაგრამ მამაკაცის მოკლე-მოკლე ხმოვნებით დახუნძლულმა და ძალიან ნაცნობმა ხმამ მიპასუხა.

— გისმენთ?

— ბატონო ტრეინორ? მე... ლუ ვარ.

— რომელი ლუ?

— ლუისა კლარკი.

მცირე ხანს დუმდა. თითქოს გავიგონე კიდეც, ჩემი სახელის გაგონებაზე როგორ მოაწვა მოგონებები და თავი დამნაშავედ ვიგრძენი. უკანასკნელად უილის საფლავთან ვნახე, ნაადრევად დაბერებული, დარდისგან დამძიმებულ მხრებში გამუდმებით ცდილობდა გამართვას.

— ლუისა... ღმერთმანი, ეს... როგორ ხარ?

გვერდით გავიწიე, ვიოლეტი რომ გამეტარებინა თავისი ურიკიანად. გამიღიმა და თავისუფალი ხელით იასამნისფერი თავსაფარი შეისწორა. შევნიშნე, ფრჩხილებზე ბრიტანეთის პაწაწინა დროშები დაეხატა.

— ძალიან კარგად, გმადლობთ. თქვენ როგორ ხართ?

— ჰო, იცი, მეც კარგად ვარ, სხვათა შორის. მდგომარეობა შეიცვალა ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ, მაგრამ ეს ყველაფერი... ხომ ხვდები...

მისთვის უჩვეულო არამეგობრულმა დამოკიდებულებამ შემაცბუნა. ღრმად ჩავისუნთქე.

— ბატონო ტრეინორ, მხოლოდ იმიტომ გირეკავთ, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე დაგელაპარაკოთ.

— მეგონა, მაიკლ ლოულერმა ფინანსებთან დაკავშირებული ყველა დეტალი მოაგვარა, — ტონი ოდნავ შეეცვალა.

— ფულს არ ეხება საქმე, — თვალები დავხუჭე, — ბატონო ტრეინორ, ცოტა ხნის წინ სტუმარი მყავდა და ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გაიცნოთ.

ფეხებში ვიღაც ქალის ბორბლებიანი ჩემოდანი გამებლანდა. მომიბოდიშა.

— არ ვიცი, ეს ყველაფერი მარტივად როგორ გითხრათ, ამიტომ პირდაპირ ვიტყვი. უილს ქალიშვილი ჰყავდა და გოგონა კარს მომადგა. ძალიან უნდა თქვენი გაცნობა.

ამჯერად დუმილი დიდხანს გაგრძელდა.

— ბატონო ტრეინორ?

— ბოდიში. შეგიძლია, გამიმეორო ნათქვამი?

— უილს ქალიშვილი ჰყავდა. არ იცოდა მისი არსებობის შესახებ. დედა უილის ძველი შეყვარებულია, უნივერსიტეტიდან. მან გადაწყვიტა, უილისთვის დაემალა ეს ამბავი. მას შვილი ჰყავდა, რომელმაც მომძებნა და თქვენი გაცნობის სურვილი აქვს. თექვსმეტი წლისაა. ლილი ჰქვია.

— ლილი?

— ჰო. დედამისს ვესაუბრე და არ ჰგავს მატყუარას. გვარად მილერია. ტანია მილერი.

— მე... მე არ მახსოვს. მაგრამ უილს იმდენი შეყვარებული ჰყავდა...

მორიგი ხანგრძლივი დუმილი. როცა დაილაპარაკა, ხმაში ბზარი შეჰპაროდა.

— უილს... შვილი ჰყავდა?

— დიახ. თქვენი შვილიშვილი.

— შენ... შენ მართლა გგონია, რომ მისი შვილია?

— შევხვდი დედამისს და მისი ნაამბობი მოვისმინე. ჰო, მგონია, რომ მართალია.

— ოჰ. ოჰ, ღმერთო!

ტელეფონიდან ვიღაცის ხმა შემომესმა:

— სტივენ?! სტივენ! კარგად ხარ?

კვლავაც დუმილი.

— ბოდიში. უბრალოდ... მე ცოტა...

ხელი თავზე შემოვიდე:

— დიდი შოკია. მესმის. მაპატიეთ. არ ვიცოდი, სხვანაირად როგორ მეთქვა. არ მინდოდა, სახლის კართან მოგდგომოდით...

— არა. ნუ სწუხარ. კარგი ამბავია. შესანიშნავი ამბავია. შვილიშვილი მყოლია!

— რა ხდება? ასე რატომ ზიხარ? — ტელეფონის მიღმა გაგონილ ხმას შეშფოთება დაეტყო. ტელეფონის გაწევის ხმა გავიგე და მერე ნათქვამი, — კარგად ვარ, ძვირფასო, მართლა. ერთ წუთში აგიხსნი ყველაფერს.

მერე ხმადაბალი საუბარი გავიგონე. ცოტა ხანში კვლავ მე მომიბრუნდა, ეჭვნარევი ხმით.

— ლუისა?

— დიახ?

— დარწმუნებული ხარ? ეს უბრალოდ...

— ამაზე მეტად დარწმუნებული ვერ ვიქნები, ბატონო ტრეინორ. სიამოვნებით აგიხსნით ყველაფერს დაწვრილებით, მაგრამ ის თექვსმეტი წლისაა, სიცოცხლით სავსე და მას... ერთი სული აქვს, მისთვის აქამდე უცნობ ოჯახზე ყველაფერი შეიტყოს.

— ღმერთო ჩემო. ო, ღმერთო... ლუისა?

— დიახ, გისმენთ.

როცა ისევ დაილაპარაკა, ჩემთვისაც მოულოდნელად თვალები ცრემლებით ამევსო:

— როგორ შევხვდე? როგორ მოვაწყოთ შეხვედრა... ლილისთან?

მომდევნო შაბათს ვესტუმრეთ. ლილის მარტო წასვლის შეეშინდა, თუმცა არ უღიარებია. უბრალოდ მითხრა, სჯობს ყველაფერი შენ აუხსნაო, რადგან „უფროსებს უკეთ ესმით ერთმანეთის“. მდუმარედ ვმგზავრობდით. ლამის ცუდად გავხდი იმაზე ნერვიულობისგან, რომ კვლავ მიწევდა ტრეინორების სახლში მოხვედრა. თუმცა ამის ახსნა გვერდით მჯდომი თანამგზავრისთვის გამიჭირდებოდა. ლილის არაფერი უთქვამს.

— დაგიჯერა?

მკითხა მანამდე. ჰო-მეთქი. ჩემი აზრით, დაიჯერა. თუმცა ალბათ აჯობებდა, სისხლის ანალიზით დაედასტურებინა, ეჭვების გასაფანტად.

— მან ითხოვა ჩემთან შეხვედრა თუ შენ შესთავაზე?

არ მახსოვდა. მისტერ ტრეინორთან საუბარმა გონება ამიმღვრია.

— ისეთი რომ არ აღმოვჩნდე, როგორსაც ელის?

ჩემი აზრით, მას არანაირი მოლოდინი არ გააჩნდა. მან ხომ სულ ეს-ესაა აღმოაჩინა შვილიშვილის არსებობა.

ლილი პარასკევ ღამით გამომეცხადა, თუმცა შაბათ დილამდე არ ველოდი. განაცხადა, დედასთან ვიჩხუბე და სიფათმოტყნულმა ფრენსისმა მითხრა, დროა ჭკუა მოგემატოსო. სრუტუნებდა.

— ამას მეუბნება კაცი, რომელსაც ნორმალურად მიაჩნია მატარებლების მოდელებისთვის მთელი ოთახის დათმობა.

ვუთხარი, შეგიძლია იმდენ ხანს დარჩე, რამდენიც მოგესურვება, ოღონდ თუ: ა) დედაშენი დამიდასტურებს, რომ იცის, სადაც ხარ; ბ) არ დალევ და გ) ჩემს ბინაში არ მოწევ-მეთქი. ამი-

ტომაც სანამ მე აბაზანაში ვიყავი, ის სამირის მაღაზიაში წავიდა და მასთან ლაყბობაში გაატარა დრო, რომელიც ორი ღერის მოწევას სჭირდებოდა. აღარ შევკამათებივარ. ტანია ჰაგტონ-მილერი თითქმის ოცი წუთი ღნაოდა მისი მდგომარეობის აუტანლობაზე. ოთხჯერ გამაფრთხილა, ორ დღეში ლილის სახლში გამობრუნება მოგინდებაო და ბოლოს, როცა ბავშვმა ღრიალი მორთო, დამემშვიდობა. ჩემს სამზარეულოში ლილი დაბაკუნობდა და ჩემთვის გაუგებარ მუსიკას ისეთ ხმაზე აღრიალებდა, ოთახში ავეჯი ზანზარებდა. „კარგი, უილ, — ვუთხარი გონებაში, — თუ ასე წარმოგედგინა ჩემთვის სხვა ცხოვრებისკენ გებიძგებინა, ნამდვილად გამოგივიდა“.

დილით ლილის გასაღვიძებლად ოთახში შევედი, მაგრამ უკვე ფხიზლად დამხვდა. მკლავები ფეხებზე შემოეჭდო და ღია ფანჯარაში ეწეოდა. საწოლზე ტანსაცმელები ეყარა, თითქოს ათობით სხვადასხვა რამ მოირგო, მაგრამ არც ერთი მოეწონა.

გადმომხედა, თითქოს მიწვევდა, რამე მეთქვა. უეცრად თვალწინ უილი წარმომიდგა, თავისი ეტლით ფანჯრისკენ შეტრიალებული, განრისხებული, ნატანჯი მზერით და წუთით სუნთქვა შემეკრა.

— ნახევარ საათში გავდივართ, — ვაცნობე.

ქალაქის განაპირას თერთმეტი საათისთვის მივაღწიეთ. ზაფხულს ტურისტები სტროტფოლდის ვიწრო ქუჩებში შეექუჩებინა, ჭყეტელა მერცხლების გადამფრენი ჯგუფივით. გზამკვლევებსა და ნაყინებს ჩაბღაუჭებულები, უმიზნოდ დაბორიალობდნენ კაფეებსა და სეზონურ მაღაზიებში, სადაც ციხესიმაგრის სურათებიანი ჭიქის სადგამები და კალენდრები იყიდებოდა, რომლებსაც სახლებში დაბრუნებულები კარადაში შეინახავდნენ და აღარც გაახსენდებოდათ.

ციხესიმაგრეს ნელა ჩავუარე მანქანით. წელს ციხესიმაგრის ხუთასი წლისთავი იყო და სადაც უნდა გაგეხედათ, ყველგან

პლაკატებს დაინახავდით. პლაკატები სხვადასხვა ღონისძიების შესახებ გვამცნობდნენ: მორისის ცეკვები, შემწვარი ღორის ხორცი, ფესტივალები.

მანქანა სახლის წინ შევაჩერე. მადლობელი ვიყავი, რომ არ მიწევდა, მეყურებინა იმ ადგილისთვის, სადაც ამდენი ხანი გავატარე უილთან. მანქანაში ვისხედით, ძრავა თანდათან დუმდებოდა. შევნიშნე, ლილის ფრჩხილები დაეკვნიტა.

— კარგად ხარ?

მხრები აიჩეჩა.

— მაშინ, შევიდეთ?

საკუთარ ფეხებს დააცქერდა.

— ვაითუ არ მოვეწონო?

— რატომ არ უნდა მოეწონო?

— არავის მოვწონვარ.

— დარწმუნებული ვარ, ასე არ არის.

— სკოლაში გულზე არავის ვეხატები. მშობლებს ერთი სული აქვთ, თავიდან მომიშორონ, — ცერა თითის დარჩენილი ფრჩხილიც ველურად მოიკვნიტა, — რომელი დედა რთავს შვილს ნებას, ვიღაც უცნობის ძველ, დაობებულ ბინაში იცხოვროს?

ღრმად ჩავისუნთქე.

— ბატონი ტრეინორი კარგი კაცია. აქ არ მოგიყვანდი, დარწმუნებული რომ არ ვიყო, ყველაფერი რიგზე იქნება.

— თუ არ მოვეწონები, შეიძლება, წავიდეთ? ძალიან, ძალიან მალე.

— რა თქმა უნდა.

— მაშინვე მივხვდები. პირველივე შემოხედვიდანვე.

— თუ საჭირო გახდება, სულ ორი ბორბლით გავსრიალდებით აქედან.

უხალისოდ გაიღიმა.

— კარგი, — ვთქვი და ვეცადე, არ დამტყობოდა, რომ მეც მასავით ვნერვიულობდი, — წავედით.

საფეხურზე ვიდექი და ლილის ვუყურებდი, რომ მეტისმეტად ბევრი არ მეფიქრა ადგილზე, სადაც ვიყავი. კარი ნელა გაიღო. იმავე ღიღილოსფერ ლურჯ მაისურში იყო გამოწყობილი, რომელიც ორი ზაფხულის წინ ეცვა. თუმცა ვარცხნილობა შეეცვალა — უფრო მოკლედ შეეჭრა თმა. ეს ალბათ ამაო შებრძოლება იყო უკიდურესი ვარამისგან გამოწვეულ დაბერებასთან. პირი გააღო, თითქოს რაღაცის თქმა სურდა ჩემთვის და დაავიწყდა, მერე კი ლილის შეხედა და თვალები ოდნავ გაუფართოვდა.

— ლილი?

გოგონამ თავი დაუქნია.

ის თვალებით ჭამდა ლილის. არავინ გავნძრეულვართ. მერე კი ტუჩები მოკუმა და თვალები ცრემლებით აევსო. წინ გადმოაბიჯა და გულში ჩაიკრა.

— ოჰ, ძვირფასო! ოჰ, ღმერთო ჩემო! როგორ მიხარია შენი გაცნობა. ოჰ, ღმერთო!

მისი ჭაღარა თავი გოგონას თავს დაესვენა. წუთით გავიფიქრე, რომ ლილი უკან დაიხევდა. მას ხომ ფიზიკური შეხება დიდად არ სიამოვნებდა. მაგრამ ჩემს თვალწინ, ხელები წელზე შემოაჭდო და პერანგზე ჩაებღაუჭა. თითები გაუთეთრდა და თვალები დახუჭა. თითქოს მთელი მარადისობა გავიდა, ასე დგომაში — მოხუცი და მისი შვილიშვილი ნაბიჯსაც არ დგამდნენ.

ბატონმა ტრეინორმა უკან დაიხია და მის სახეზე ცრემლები შევნიშნე.

— შემოგხედო, ერთი. შემოგხედო.

ლილიმ მზერა მესროლა — ერთდროულად უხერხულობასაც გრძნობდა და სიხარულსაც.

— ჰო, ჰო, ნამდვილად ვამჩნევ. შეხედეთ! შეხედეთ! — ჩემკენ შემოტრიალდა, — ხომ ჰგავს?

თავი დავუქნიე. გოგონაც მისჩერებოდა, და კაცის სახეზე მამამისის კვალს ეძებდა. მზერა რომ მოაცილა, ჯერ კიდევ ხელიხელჩაკიდებულები იდგნენ. მხოლოდ იმწუთას მივხვდი, ვტიროდი. ბატონ ტრეინორს ნატანჯ, მოხუც სახეზე ტკივილის შემსუბუქება აღებეჭდა. ის, რაც ეგონა, სრულიად დაკარგა, ნაწილობრივ მაინც დაუბრუნდა. ერთმანეთის პოვნით გამოწვეული წრფელი, მოულოდნელი სიხარულით იყვნენ ორივენი აღსავსე. და როდესაც გოგონამ გაუღიმა — აღიარების ზანტი, ტკბილი ღიმილით — ჩემი ღელვა, ჩემი ეჭვები, რაც ლილი ჰაგტონ--მილერის მიმართ მქონდა, სრულიად გაქრა.

ორი წელიც არ გასულა, მაგრამ გრანტას სახლი ჩემი აქ ყოფნის შემდეგ მნიშვნელოვნად შეეცვალათ. უზარმაზარი, ანტიკვარული კარადები, საგულდაგულოდ გაპრიალებულ, წითელი ხის მაგიდებზე მოთავსებული ზარდახშები და მძიმე ფარდაგები გამქრალიყო. დელა ლეიტონის გაბზეკილმა ფიგურამ მიმახვედრა, რა შეიძლება ყოფილიყო ამ ცვლილებების მიზეზი. ჯერ კიდევ შემორჩენილიყო აქა-იქ ანტიკვარული ავეჯი, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი თეთრი ან მკვეთრი ფერისა იყო. ახალი, მზესავით ბრიალა სანდერსონის ყვითელი ფარდები და ბაცი ხალიჩები ძველი ხის იატაკზე, უფორმო ჩარჩოებში მოთავსებული თანამედროვე სურათები. დელა ჩვენკენ ნელა მოირწეოდა და სახეზე მკრთალი, თითქოს იძულებითი ღიმილი ეხატა. გაუცნობიერებლად უკან დავიხიე, როცა მომიახლოვდა. იყო ორსულ ქალში რაღაც უცნაურად შოკისმომგვრელი — მისი სიდიდე, მისი მუცლის წარმოუდგენელი სიდიდე.

— სალამი. თქვენ ალბათ ლუისა ხართ. ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

ელვარე წითელი თმა მაღლა აეწია, ბაცი ცისფერი პერანგის სახელოები ოდნავ გასიებულ მაჯებზე გადაეკეცა. საჩვენებელ თითზე უზარმაზარი ბრილიანტის ბეჭედი შევნიშნე და ოდნავი

ტკივილით დავფიქრდი, უკანასკნელი თვეები როგორი რთული იქნებოდა მისის ტრეინორისთვის.

— გილოცავთ, — ვუთხარი და მუცელზე მივუთითე. სხვა რამეც მსურდა, დამემატებინა, მაგრამ ვერასოდეს ვხვდებოდი, იყო თუ არა შესაფერისი კომპლიმენტი, როდესაც ხალხი დიდმუცლიან ორსულ ქალს ეუბნებოდა:„დიდია“, „არც ისე დიდია“, „კოხტაა“, „ბრწყინავ“, — და სხვა ევფემიზმებს. ამით სათქმელს ნიღბავენ, სინამდვილეში კი ფიქრობენ, ვაიმე, ეს რა ჯანდაბააო.

— გმადლობთ. ეს ცოტა მოულოდნელი იყო, მაგრამ სასიამოვნოდ მოულოდნელი, — მზერა ჩემგან გააპარა, ბატონი ტრეინორისა და ლილისკენ. კაცს გოგონას ცალი ხელი ჯერაც თავისაში ეჭირა, ეფერებოდა და სახლზე უყვებოდა. მოუთხრობდა, როგორ გადაეცემოდა ერთი თაობიდან მეორეს წლების განმავლობაში.

— ჩაის ხომ არ ინებებს ვინმე? — იკითხა დელამ. კვლავ გაიმეორა, — სტივენ? ჩაი?

— სიამოვნებით, ძვირფასო. გმადლობ. ლილი, ჩაი გიყვარს?

— წვენი შეიძლება? ან წყალი? — გაიღიმა ლილიმ.

— მოგეხმარებით, — შევთავაზე დელას. ბატონი ტრეინორი ამ დროს გოგონას წინაპრების პორტრეტებს ათვალიერებინებდა კედელზე, ხელით ლილის იდაყვი ჩაებღუჯა და შვილიშვილსა და წინაპრებს შორის მსგავსებებს პოულობდა და უზიარებდა — ცხვირი ამას გიგავს, თმის ფერი კი — იმასო.

დელა წუთით მათ დააკვირდა და მომეჩვენა, რომ სახეზე შიშმა გადაურბინა. შენიშნა, რომ ვაკვირდებოდი და მკვირცხლად გაიღიმა, თითქოს შერცხვა ემოციების გამოაშკარავება.

— მშვენიერი იქნებოდა, გმადლობ.

სამზარეულოში ერთმანეთს გვერდს ვუქცევდით, რძე, შაქარი, ჩაიდანი გამოგვქონდა და ზრდილობიან კითხვებს ვსვამდით ორცხობილებზე. ფინჯნების გამოსაღებად ჩავიმუხლე, რადგან

დელას დახრა უჭირდა და სამზარეულოს დახლზე დავალაგე. შევნიშნე, ახალი ფინჯნები იყო. თანამედროვე, გეომეტრიული დიზაინით, იმ გაცვეთილი, ყვავილებიანი ფაიფურის ნაცვლად, დელას წინამორბედს ასე რომ უყვარდა. იმ ფინჯნებზე ფაქიზად ეხატა ველური მცენარეები და ყვავილები ლათინური დასახელებებით. მისის ტრეინორის ოცდათვრამეტწლიანი მოღვაწეობის კვალი ამ სახლიდან გულმოდგინედ და დაუნდობლად გაექროთ.

— სახლი... ლამაზად გამოიყურება. განსხვავებულად, — აღვნიშნე.

— ჰო. სტივენმა ბევრი ავეჯი დაკარგა განქორწინების მერე. აქაურობის შეცვლა მოგვიხდა, — საჩაიეს დასწვდა, — ბევრი ისეთი რამ დაკარგა, რაც ოჯახში თაობების განმავლობაში იდგა. რა თქმა უნდა, იმ ქალმა ყველაფერი წაართვა, რაც შეძლო.

მზერა შემომანათა. ცდილობდა გაერკვია, მის მხარეს ვიყავი თუ — არა.

— მისის... კამილასთან უილის გარდაცვალების შემდეგ არ მისაუბრია, — ვთქვი და თავი ცოტათი მოღალატედ ვიგრძენი.

— მოკლედ, სტივენმა მითხრა, რომ ეს გოგო შენს კართან მოულოდნელად გაჩენილა, — სუსტი, გაყინული ღიმილი აღებეჭდა სახეზე.

— ჰო, მოულოდნელად. მაგრამ ლილის დედა გავიცანი და ის... ის ოდესღაც ნამდვილად ახლოს იყო უილთან.

დელამ ხელი წელზე შემოიდო, მერე კი ისევ ჩაიდანს მიუბრუნდა. დედაჩემის თქმით მას თურმე მეზობელ ქალაქში პატარა იურიდიული საკონსულტაციო ფირმა გაუხსნია. „ქალი, რომელიც ოცდაათი წლის ასაკშიც დაუქორწინებელია, ცოტა უცნაურია“, — გამომიცხადა მაშინ დედამ. უცებ მე გადმომხედა და დასძინა: „ორმოცი წლის, ორმოცს ვგულისხმობდი“.

— შენი აზრით, რა უნდა?

— უკაცრავად?

— შენი აზრით, რა უნდა? გოგონას?

დერეფნიდან ლილის ხმა მესმოდა, ბავშვური, ცნობისმოყვარე ხმით შეკითხვებს აყრიდა ბაბუამისს. ჩემდა გასაკვირად, მისი დაცვის უცნაური ინსტინქტი ჩამერთო.

— არა მგონია, რამე განზრახვა ამოძრავებდეს. სულ ახლახან შეიტყო, რომ მამა ჰყოლია და სურს, ოჯახი გაიცნოს. თავისი ოჯახი.

დელამ ჩაიდანი შეათბო და დააცარიელა, ჩაის ფოთლები შეარჩია (არც ისე ბევრი, როგორც ბატონ ტრეინორს ერჩივნა). მდუღარე წყალი ნელა დაასხა, რომ არ შეშხეფებოდა.

— სტივენი წლებია, მიყვარს. ის... ის... მას ძალიან მძიმე წელი ჰქონდა. ძალიან... — ჩემთვის არ შემოუხედავს, როცა ამას ამბობდა, — რთული იქნება მისთვის, ლილი თუ ცხოვრებას კიდევ უფრო აუწეწავს.

— არა მგონია, ლილის ვინმეს ცხოვრების გართულება სურდეს, — ფრთხილად შევეპასუხე, — მაგრამ ჩემი აზრით უფლება აქვს, საკუთარი ბაბუა გაიცნოს.

— ცხადია, — სხარტად მომიგო და მაშინვე ღიმილიც შეაშველა. იმწამსვე მივხვდი, რაღაც შიდა გამოცდაში ჩავიჭერი, მაგრამ იმასაც მივხვდი, ეს ამბავი დიდად არ მადარდებდა. დელამ ბოლოჯერ გადაათვალიერა ლანგარი გაურკვეველი ლუღლუღით, დაეთანხმა ჩემს შეთავაზებას, ნამცხვარი და ჩაიდანი წამომეღო და სახატავ ოთახში გაიტანა.

— აბა, როგორ ხარ, ლუისა?

ბატონი ტრეინორი მსუბუქი სკამის საზურგეს მიეყრდნო. მის დამჭკნარ ნაკვთებს ფართო ღიმილი გადაეფინა. ჩაის სმის დროს გაუჩერებლად ესაუბრებოდა ლილის, ეკითხებოდა დედამისზე, საცხოვრებელ ადგილზე, სწავლაზე (გოგონას სკოლის პრობლემებზე არაფერი მოუყოლია), რა ერჩივნა — ხილის ტორ-

ტი თუ შოკოლადის („შოკოლადის? მეც!“) და კრიკეტზეც (პასუხზე, არც ისეო, მიუგო, უნდა გამოვასწოროთო). გოგონასა და თავის ვაჟს შორის მსგავსებებს პოულობდა და რწმუნდებოდა, ლილი ნამდვილად მისი შვილიშვილი გახლდათ. უკვე ალბათ იმასაც არად ჩააგდებდა, ლილის რომ გამოეცხადებინა, დედაჩემი ბრაზილიელი მოცეკვავეაო.

ვამჩნევდი, ლილისკენ მზერას ჩუმად აპარებდა ხოლმე, როცა გოგონა საუბრობდა. მის პროფილს აკვირდებოდა, თითქოს უილის დანახვა სურდა. ზოგჯერ მის თვალებში გამკრთალ მელანქოლიასაც ვიჭერდი.

ჩემი ვარაუდით, ისიც იმავეს ფიქრობდა, რასაც მე: ახალი სევდა შემოაწვა, რომ უილი ვერასოდეს გაიცნობდა თავის ქალიშვილს. მერე, თითქმის თვალით დასანახადაც კი, ძალა მოიკრიბა, თავს აიძულა მხრებში გამართულიყო და სახეზე ღიმილი მოირგო.

ბატონმა ტრეინორმა ნახევარსაათიანი ტური მოაწყო, რომ ლილისთვის კარ-მიდამო ეჩვენებინა. დაბრუნებულმა წამოიძახა, ლილიმ ლაბირინთში გზა გაიგნოო.

— პირველივე ცდაზე! გენეტიკური უნდა იყოს, — ლილი ისეთი გაბადრული იღიმებოდა, თითქოს ჯილდო მოეგოს.

— აბა, როგორ ხარ, ლუისა? რა ხდება შენს ცხოვრებაში?

— კარგად ვარ, გმადლობთ.

— ისევ მუშაობ... მომვლელად?

— არა. მე... ცოტა ხანი ვიმოგზაურე და ახლა აეროპორტში ვმუშაობ.

— ოჰო, მშვენიერია! იმედია, ბრიტანულ ავიაზახებში?

ლოყები შემეფაკლა.

— მენეჯმენტში?

— ბარში ვმუშაობ. აეროპორტში.

წამის მეასედით შეყოყმანდა და მერე მტკიცედ დამიქნია თავი.

— ბარი ყოველთვის საჭიროა. განსაკუთრებით, აეროპორტში. თვითმფრინავში ჩაჯდომამდე ყოველთვის მივირთმევ ორმაგ ვისკის. ასე არაა, ძვირფასო?

— ჰო, ასეა, — მიუგო დელამ.

— და ალბათ მეტად საინტერესოა ყოველდღე უყურებდე, ხალხი რომ სადღაც მიფრინავს. ამაღელვებელია.

— სხვა რამეებსაც ვაკეთებ.

— ცხადია. კარგია, კარგია...

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა.

— პატარას როდის ელოდებით? — ვიკითხე, რათა ყურადღება ჩემგან გადამეტანა.

— შემდეგ თვეში, — თქვა დელამ და ხელები მუცელზე დაილაგა, — გოგონაა.

— რა საყვარელია. რას დაარქმევთ?

ერთმანეთს ისე გადახედეს, როგორც მომავალ მშობლებს სჩვევიათ, როცა სახელი არჩეული აქვთ, მაგრამ გაცხადება არ სურთ.

— უი... არ ვიცით.

— უცნაურია. ამ ასაკში ისევ მამა რომ ვხდები. ბოლომდე ვერ წარმომიდგენია. პამპერსების გამოცვლა და ეგეთი რამეები, — დელას გადახედა და მერე დამაჯერებლად დასძინა, — საოცარი შეგრძნებაა. ძალიან იღბლიანი კაცი ვარ. ორივენი იღბლიანები ვართ, ხომ, დელა?

დელამ ქმარს გაუღიმა.

— ეჭვიც არ მეპარება, — დავეთანხმე, — ჯორჯინა როგორ არის?

ალბათ მხოლოდ მე შევნიშნე, როგორ შეეცვალა გამომეტყველება ბატონ ტრეინორს, სულ ოდნავ.

— ოჰ, არა უშავს. ჯერაც ავსტრალიაშია.

— გასაგებია.

— რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა... მაგრამ მთელი დრო დედასთან გაატარა. ძალიან დაკავებული იყო.

— რა თქმა უნდა.

— მგონი, შეყვარებული ჰყავს. დარწმუნებული ვარ, ვიღაცამ მითხრა, შეყვარებული ჰყავსო. ეგ... ეგ კარგია.

დელას ხელი ქმრისას დასწვდა და შეეხო.

— ჯორჯინა ვინ არის? — იკითხა ლილიმ. თან ორცხობილას მიირთმევდა.

— უილის უმცროსი და, — უპასუხა მისკენ შეტრიალებულმა ბატონმა ტრეინორმა, — მამიდაშენი! ჰო! სხვათა შორის, ცოტათი გგავდა, შენს ასაკში.

— შეიძლება, ფოტო ვნახო?

— მოგიძებნი, — ბატონმა ტრეინორმა ლოყაზე სახეზე აისვა, — ვცდილობ, გავიხსენო, სკოლის დამთავრების ფოტო სად შევინახე.

— შენს სამუშაო ოთახში, — შეახსენა დელამ, — დარჩი, მე მოვიტან. ჩემთვის მოძრაობა კარგია.

სავარძლიდან წამოიმართა და ოთახიდან მძიმედ გავიდა. ლილიმ მასთან ერთად წასვლა დაიჟინა:

— დანარჩენი ფოტოებიც მინდა ვნახო, მაინტერესებს, ვის ვგავარ.

ბატონმა ტრეინორმა ორივენი ღიმილით გააცილა. ვისხედით და ჩაის სიჩუმეში ვწრუპავდით. მერე მომიტრიალდა.

— მას ესაუბრე უკვე... კამილას?

— არ ვიცი, სად ცხოვრობს. ვაპირებდი, თქვენთვის მეკითხა. ვიცი, ლილის მისი გაცნობაც სურს.

— რთული პერიოდი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯი ასე ამბობს. არ გვისაუბრია. ყველაფერი ძალიან ჩახლართულია,

რადგან... — თავით კარისკენ მიმითითა და ძლივსშესამჩნევად ამოიოხრა.

— ხომ არ გირჩევნიათ, თავად უთხრათ? ლილიზე?

— ოჰ, არა. ოჰ... არა. მე... არა მგონია, უნდოდეს... — წარბზე ხელი გადაისვა, — უმჯობესია, შენ უთხრა.

ქაღალდის ნაგლეჯზე მისამართი და ტელეფონი დაწერა და გამომიწოდა.

— ცოტა არ იყოს, შორსაა, — აღნიშნა და მობოდიშებით გაიღიმა, — ვფიქრობ, ყველაფრის ახლიდან დაწყება სურდა. მომიკითხე, კარგი? რა უცნაურია... როგორც იქნა, შვილიშვილი მყავს... ასეთ ვითარებაში, — ხმადაბლა თქვა, — სასაცილოა, მაგრამ მხოლოდ კამილა შეძლებს გაიგოს, ახლა რას ვგრძნობ.

ნებისმიერი სხვა ადამიანი რომ ყოფილიყო, ალბათ გადავეხვეოდი, მაგრამ ჩვენ ხომ ინგლისელები ვიყავით და თანაც, ერთ დროს ჩემი უფროსივითაც იყო. ამიტომაც, უბრალოდ უხერხულად გავუღიმეთ ერთმანეთს. ალბათ ორივემ ვინატრეთ, სადმე სხვაგან ვყოფილიყავით.

ბატონი ტრეინორი წელში გაიმართა.

— მიუხედავად ყველაფრისა, იღბლიანი კაცი ვარ. ახალი დასაწყისი, ასეთ ასაკში... არც კი ვიცი, ვიმსახურებ თუ არა.

— არა მგონია, ბედნიერება დამსახურებაზე იყოს.

— და შენ? ვიცი, უილი ძალიან გიყვარდა...

— ადვილი არაა მისნაირის პოვნა, — ყელში ბურთი გამეჩხირა. როცა ჩავიწმინდე, ბატონი ტრეინორი კვლავ შემომყურებდა.

— ჩემი შვილისთვის უმთავრესი ცხოვრებით ტკბობა იყო. ამას მე არ უნდა გახსენებდე.

— საქმეც ეს არის, ხომ ასეა?

მელოდა.

— უბრალოდ მას ცხოვრებით ტკბობა ყველა ჩვენგანზე უკეთ გამოსდიოდა.

— შენც მიაღწევ მაგას, ლუისა. ყველანი მივაღწევთ. ჩვენ-- ჩვენი გზით, — თანაგრძნობის ნიშნად გულთბილი გამომეტყველებით შემეხო იდაყვზე.

ოთახში დაბრუნებულმა დელამ ლანგარზე ფინჯნების დალაგება დაიწყო, თან ისე დემონსტრაციულად, რომ ცხადად მიგვანიშნებდა, წავსულიყავით.

— დროა, გავწიოთ, — ვუთხარი ლილის, რომელიც ფეხზე იდგა და ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს დაჰყურებდა.

— მართლა მგავს, არა? თვალები თითქოს ერთნაირი გვაქვს, არ გგონია? შენი აზრით, ჩემთან ლაპარაკი ენდომებოდა? ელ-- ფოსტა აქვს?

— ეჭვიც არ მეპარება, — თქვა ბატონმა ტრეინორმა, — მაგრამ, თუ წინააღმდეგი არ ხარ, ლილი, ჯერ მე გავესაუბრები. ეს საკმაოდ დიდი სიახლეა, გადახარშვა გვჭირდება. ერთი-ორი დღე დასჭირდება, რომ შეეჩვიოს ამ ამბავს.

— კარგი. და როდის მოვიდე დასარჩენად?

ჩემგან მარჯვნივ, ჭურჭლის წკარუნი შემომესმა — დელას ჭიქა ლამის ხელიდან გაუვარდა. ოდნავ გადაიხარა და ფინჯანი ლანგარზევე შეამაგრა.

— დარჩე? — ბატონი ტრეინორი ოდნავ ლილისკენ გადაიხარა, თითქოს დარწმუნებული არ იყო, სწორად გაიგო თუ არა ნათქვამი.

— შენ ხომ ბაბუაჩემი ხარ. ვიფიქრე, შემეძლო აქ დავრჩენილიყავი ზაფხულის ბოლომდე. ერთმანეთი გაგვეცნო. ჩვენ ხომ იმდენი რამე გვაქვს ერთმანეთისთვის გასაზიარებელი, ხომ ასეა? — ლილის სახე მოლოდინით აენთო.

ბატონმა ტრეინორმა დელას გადახედა, რომლის გამომეტყველებამ მიანიშნა, გაჩუმებულიყო.

— შენი აქ ყოფნა ძალიან გაგვიხარდება, მოგვიანებით, — განაცხადა დელამ, ხელში ლანგარი ეჭირა, — მაგრამ ახლა უამრავი საქმე გვაქვს.

— ეს დელას პირველი ბავშვია, ხომ გესმის. ვფიქრობ...

— უბრალოდ ცოტა დრო მჭირდება მარტო, სტივენთან... და ბავშვთან.

— დაგეხმარებით. ბავშვების მოვლა კარგად გამომდის, — შეეხვეწა ლილი, — პატარები რომ იყვნენ, ჩემს ძმებს მე ვუვლიდი. საშინელი ბავშვები იყვნენ. ჭინჭყლები. გამუდმებით ბღაოდნენ.

ბატონმა ტრეინორმა დელას გადახედა.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩინებულად გამოგდის, ძვირფასო, — დაუყვავა, — უბრალოდ ახლა ამისთვის შესაფერისი დრო არ არის.

— მაგრამ იმდენი ოთახი გაქვთ. შემიძლია ერთ-ერთ სტუმრის ოთახში დავრჩე. ვერც კი გაიგებთ ჩემს აქ ყოფნას. ძალიან დაგეხმარებით მოვლაში და სადმე წასვლა თუ მოგინდებათ, ბავშვს დავიტოვებ. მე უბრალოდ... — ლილი მიჩუმდა. ჯერ ერთს შეავლო თვალი, მერე — მეორეს, მოლოდინით.

— ლილი... — ვუთხარი და უხერხულად შევიშმუშნე კართან.

— ჩემი აქ ყოფნა არ გინდათ.

ბატონმა ტრეინორმა ნაბიჯი წინ გადადგა, ხელის ლილის მხარზე დადება დააპირა.

— ლილი, ძვირფასო. ეს არ...

გოგონა ხელიდან დაუსხლტა:

— მოგწონს ის აზრი, რომ შვილიშვილი გყავს, მაგრამ რეალურად, საკუთარ ცხოვრებაში არ გჭირდები. შენ მხოლოდ... მხოლოდ სტუმარი გინდა.

— შესაფერისი დრო არ არის, ლილი, — მშვიდად განაცხადა დელამ, — უბრალოდ, ძალიან დიდხანს ველოდი სტივენს — ბა-

ბუაშენს — და ეს დრო, ჩვენს შვილთან ერთად, ძალიან გვეძვირ-ფასება.

— და მე კი — არა.

— ასე არ არის, — ბატონი ტრეინორი კვლავ მიუახლოვდა.

გოგონამ თავიდან მოიცილა.

— ოჰ, ღმერთო, ყველანი ერთნაირები ხართ! თქვენ და თქვე-ნი პატარა, იდეალური ოჯახები. ყველანი თქვენთვის ხართ. ჩემ-თვის არავის აქვს ადგილი.

— კარგი რა, ტრაგედიას ნუ შევქმნით... — წამოიწყო დელამ.

— დაიკარგე აქედან! — წამოიძახა ლილიმ. დელამ გაოცების-გან უკან დაიხია, ბატონ ტრეინორს თვალები გაუფართოვდა. ლილი გაიქცა, და მეც უკან გავეკიდე, ორივენი მდუმარე ოთახში დავტოვეთ.

თავი მეათე

ნათანს ელ-ფოსტა გავუგზავნე. პასუხად მომივიდა:

„ლუ, შენ რა, აბებზე გადახვედი? რა უბედურებაა?“

მეორე წერილიც მივწერე, უფრო დეტალური და ჩვეული გულცივობაც დაუბრუნდა.

„ბებერი ძაღლი. ახლაც ახერხებს ჩვენს გაოცებას, ხომ?“

ლილისგან ორი დღე არაფერი მსმენოდა. სანახევროდ ვდარდობდი, სანახევროდ კი მცირე შვებას ვგრძნობდი, დროებითი სიმშვიდის გამო. იქნებ, უილის ოჯახის შესახებ ზღაპრები რომ დაენგრა, საკუთარ ოჯახთან ურთიერთობის აღდგენა ეცადა. მერე იმაზე ჩავფიქრდი, ბატონი ტრეინორი თუ დაურეკავდა, შესარიგებლად. მერე იმაზე ფიქრმაც შემიპყრო, სად იყო ლილი, იმ ახალგაზრდასთან ერთად ხომ არა, ჩემს სახლთან ლილის სანახავად რომ იყო დადარაჯებული მცირე ხნის წინ. რაღაც არ მომწონდა ამ ბიჭში — განსაკუთრებით ის, რომ ლილიმ მასზე შეკითხვებს თავი აარიდა.

ძალიან ბევრი ვიფიქრე სემზეც. მისგან სწრაფი გამოქცევა ვინანე. ახლა უკვე მეტისმეტად ემოციურად და უცნაურად მომეჩვენა ჩემი საქციელი. ალბათ ზუსტად ისეთი ადამიანი გამოვჩნდი, როგორსაც ვამტკიცებდი, არ ვარ-მეთქი. გადავწყვიტე, როცა შემდეგში დარდთან გამკლავების წრეზე გადავწყდებოდი, ძალიან მშვიდად დამეჭირა თავი, იქნებ გამარჯობაც მეთქვა ამოუცნობი, არადეპრესიული ღიმილით.

სამსახური მოსაწყენად მიიზლაზნებოდა. ახალმა გოგომ დაიწყო მუშაობა: ვერა, მკაცრი ლიტველი, საქმეებს ისეთი ექსცენტრული ცალყბა ღიმილით ასრულებდა, თითქოს სადმე ბომბი დაამონტაჟაო. ყველა კაცს „ბინძურ, ბინძურ მხეცს“ ეძახდა, როცა რიჩარდი ახლოს არ იდგა.

რიჩარდმა დილაობით სამოტივაციო საუბრები წამოიწყო, რომლის დასასრულსაც ყველანი უნდა წამოვმხტარიყავით და გვეყვირა: „ჰო!“ ყოველი წამოხტომისას ხუჭუჭა პარიკი გვერდზე მექცეოდა და ამაზე რიჩარდი ისე იბღვირებოდა, თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყოს და არა იმის, რომ ნეილონის ხელოვნური თმა თავზე არ მეწებებოდა. ვერას პარიკი არ იძვროდა, მგონი, გადმოვარდნის ეშინოდა.

ერთ საღამოს, სახლში დაბრუნებულმა ინტერნეტში მოზარდების პრობლემებზე მოვიძიე ინფორმაცია. ვცდილობდი, გამეგო, შევძლებდი თუ არა შაბათ-კვირის ამბების ზიანის გამოსწორებას. თუმცა, სტატიები, ძირითადად, ჰორმონებზე გველაპარაკებოდა და არაფერს იწერებოდა, რა უნდა მოგემოქმედებინა, როდესაც 16 წლის ახლადგაცნობილ გოგოს მისი გარდაცვლილი მამის ოჯახს წარუდგენდი. თერთმეტის ნახევრისთვის ხელი ჩავიქნიე, მიმოვიხედე საძინებელში, სადაც ჩემი ტანსაცმლის ნახევარი ჯერ კიდევ ყუთებში ეწყო, საკუთარ თავს დავპირდი, ამ კვირაში მივხედავ-მეთქი, და როგორც კი ეს ვირწმუნე, ჩამეძინა.

სამის ნახევარზე გამეღვიძა, ვიღაც ცდილობდა, სახლის კარი გაეღო. საწოლიდან ბორძიკით წამოვდექი, იატაკის საწმენდი მოვიმარჯვე და ჭუჭრუტანაში გავიხედე. გული გამალებით მიცემდა.

— პოლიციას ვურეკავ! — დავიყვირე, — რა გინდათ?

— ლილი ვარ. უიმე!

კარი რომ გავაღე, ოთახში შემოვარდა, იცინოდა, სიგარეტის სუნად ყარდა, თვალებზე ტუში გასდღაბნოდა.

ღამის პერანგი მჭიდროდ შემოვიხვიე ტანზე და კარი ჩავკეტე.

— ღმერთმანი, ლილი! შუაღამეა.

— არ გინდა საცეკვაოდ წამოსვლა? ვიფიქრე, საცეკვაოდ წავიდოდით. ცეკვა მიყვარს. პრინციპში, მთლად ასეც არ არის.

ცეკვა კი მიყვარს, მაგრამ ამიტომ არ მოვსულვარ. დედამ სახლში არ შემიშვა. საკეტები გამოცვალეს, წარმოგიდგენია?

ლამის ვუპასუხე, რომ წარმომედგინა, მე ხომ დილის ექვს საათზე უნდა ავმდგარიყავი სამსახურში წასასვლელად.

ლილი კედელს მიეხეთქა:

— დედაჩემმა კარიც კი არ გამიღო. საფოსტო ღრიჭოდან მიყვიროდა, თითქოს ვიღაც... მაწანწალა ვიყო. ამიტომ, ვიფიქრე... აქ დავრჩებოდი. ან საცეკვაოდ წავიდოდით... — რწევა-რწევით ჩამიარა და მუსიკა გამაყრუებელ ხმაზე ჩართო. მივირბინე, რომ გამომერთო, მაგრამ ხელი მტაცა, — ვიცეკვოთ, ლუისა! ამოძრავდი! სულ მოწყენილი ხარ ხოლმე! აიშვი! მიდი!

ხელიდან დავუსხლტი, ხმის ჩაწევა დროულად მოვასწარი, სანამ დაბლა მეზობელი ბრაზიანად დააბრახუნებდა ჭერზე. რომ მოვტრიალდი, ლილი მეორე ოთახში გაუჩინარებულიყო. საწოლთან ქანაობდა და ბოლოს სახით დაეცა ბალიშზე.

— ღმერთო ჩემო. ეს საწოლი ییییისეთი ნაგავია.

— ლილი? არ შეიძლება, ასე შემომეჭრა და... ოჰ, თუ ღმერთი გწამს!

— ერთი წამით, — ყრუ ბგერები გამოსცა, — წუთშესვენება. მერე კი საცეკვაოდ მივდივარ. ორივენი მივდივართ.

— ლილი, ხვალ დილით ვმუშაობ.

— მიყვარხარ, ლუისა. უკვე გითხარი? მართლა მიყვარხარ. შენ ერთადერთი ხარ, ვინც...

— არ შეიძლება, აქ ასე...

— მჰმმ... დისკო ძილი...

არ განძრეულა.

მხარზე შევეხე.

— ლილი... ლილი?!

ამოიფშვინა.

ამოვიხვნეშე, რამდენიმე წუთით დავიცადე, მერე კი ფრთხილად გავხადე ფეხსაცმელი და ჯიბე დავუცარიელე. შიგნით რაც ეწყო (სიგარეტი, მობილური და დაკუჭული ხუთფუნტიანი), ჩემს ოთახში წავიღე. გვერდულად დავაწვინე და ბოლოს, დილის სამ საათზე, სრულიად ფხიზლად მყოფმა გავაცნობიერე, რომ დაძინებას ვეღარ შევძლებდი. შემეშინდებოდა, არ დამხრჩვალიყო. სკამზე დავჯექი, რომ მისთვის ყურადღება მიმექცია.

ლილის მშვიდი სახით ეძინა. მისი დაბღვერილი გამომეტყველება და ნაძალადევი ღიმილი რაღაც არამიწიერ მშვენიერებაში გადაიზარდა. თმა მხრებზე ჩამოეყარა. მართალია, მის საქციელს წყობიდან გამოვყავდი, მაგრამ ვერ ვუბრაზდებოდი. მახსენდებოდა, კვირას მომხდარისგან როგორ ეტკინა გული. ლილი ჩემი საპირისპირო პოლუსი იყო. ჭრილობებს არ უფრთხილდებოდა. მდგომარეობიდან გამოდიოდა, თვრებოდა, ღმერთმა უწყის რას აკეთებდა, რომ ტკივილი დაევიწყებინა. მამამისს უფრო მეტად ჰგავდა, ვიდრე მეგონა.

„როგორ მოიქცეოდი, უილ?“ — გულში ვკითხე.

მაგრამ როგორც უილის დახმარება იყო ჩემთვის რთული, ლილისთვისაც არ ვიცოდი, რა მომეხერხებინა. არ ვიცოდი, როგორ გამომესწორებინა მდგომარეობა.

ჩემი დის სიტყვები გამახსენდა: „იცი, ვერ გაუძლებ ამ ყველაფერს“ და სულ რამდენიმე, გამთენიის წინამორბედი წუთით, საკუთარი და შევიძულე, რადგან მართალს ამბობდა.

რეჟიმი გამოვიმუშავეთ — ლილი კვირაში რამდენჯერმე მსტუმრობდა. წინასწარ არასოდეს ვიცოდი, რომელი ლილი აღმოჩნდებოდა ჩემს კართან: მანიაკალურად მხიარული, რომელიც მომიწოდებდა, რესტორანში გვევახშმა ან გარეთ ულამაზესი კატისთვის გვეცქირა; თუ მოდუნებული, შეფიქრიანებული გოგონა, რომელიც მხოლოდ მსუბუქად დამიკრავდა თავს შემოსვლისას, მერე კი ტახტზე წამოწვებოდა ტელევიზორის საყუ-

რებლად. ზოგჯერ უილის შესახებ მეკითხებოდა: რომელი გადაცემები უყვარდა? (ის ტელევიზიის დიდი მოყვარული არ გახლდათ, ფილმები ერჩივნა) საყვარელი ხილი ჰქონდა? (უკურკო ყურძენი. წითელი) ბოლოს როდის გაიცინა? (იშვიათად იცინოდა, მაგრამ მისი ღიმილი... თვალწინ წარმომიდგა, მწყობრი კბილების თეთრი გაელვება, თვალების კუთხეებში ნაოჭები). არასოდეს ვიცოდი, ჩემი პასუხები ლილის აკმაყოფილებდა თუ არა.

და ზოგჯერ, ყოველ ათ დღეში ერთხელ, მთვრალი ლილიც (ან უარესი, ზუსტად ვერ ვხვდებოდი ხოლმე) ჩნდებოდა. გამთენიისას კარზე აბრახუნებდა, ჩემს პროტესტს, რომ გვიანი იყო და ძალიან ცოტა დრო მრჩებოდა ძილისთვის, ყურადღებას არ აქცევდა. გვერდით ბანცალით ჩამივლიდა, ტუში ლოყებზე ჰქონდა ჩამოღვენთილი, მხოლოდ ცალი ფეხსაცმელი ეცვა. მაშინვე ეძინებოდა და დილით, როცა სამსახურში მივდიოდი, გაღვიძებაზე უარს აცხადებდა.

არანაირი გატაცება და ინტერესი არ ჰქონდა, ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავდა. ქუჩაში ნებისმიერთან შეეძლო საუბრის წამოწყება, მოურიდებელი სახით რაიმეს თხოვნა. სახლში ტელეფონს არ პასუხობდა და ეგონა, გულზე არავის ეხატებოდა.

რადგან კერძო სკოლებში ზაფხულის არდადეგები დაიწყო, დავინტერესდი, სად ატარებდა დროს, როცა მე ან დედამისს არ სტუმრობდა. მცირე შეყოვნების შემდეგ მიპასუხა, მარტინთანო. ვკითხე, შენი შეყვარებულია-მეთქი? პასუხად ისეთი გამომეტყველება მიიღო, როგორიც მოზარდებს სჩვევიათ, როცა დიდები რაიმე არა მხოლოდ გასაოცრად სულელურს, არამედ აღმაშფოთებელსაც ამბობენ.

ზოგჯერ ბრაზობდა, ზოგჯერ უხეშობდა. თუმცა უარით არასოდეს ვისტუმრებდი. მართალია, ქაოსური ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ ვგრძნობდი, ჩემი ბინა მისთვის უსაფრთხო თავშესაფარი გახდა. მინიშნებებს ვეძებდი: შეტყობინებებს მის ტელეფონში

(დაბლოკილი მხვდებოდა), ჯიბეებს ვუქექავდი ნარკოტიკების მისაკვლევად (არაფერი აღმოაჩნდა, იმ ერთი შენაკეთის გარდა). ერთხელ, ათი წუთის შემდეგ, როცა ნამტირალევი და მთვრალი შემოიჭრა, ჩემს სადარბაზოსთან მანქანა შევნიშნე. ოცი წუთის განმავლობაში გაუჩერებლად, გამაყრუებლად ისმოდა სიგნალის ხმა. ბოლოს რომელიღაც მეზობელი ჩავიდა და ისე ძლიერად დაუბრახუნა სარკეზე, რომ მძღოლმა მანქანა დაძრა და გაუჩინარდა.

— ხომ იცი, არ განგსჯი, მაგრამ ცუდი აზრია ისე დათვრე, წარმოდგენაც არ გქონდეს, რას აკეთებ, ლილი, — ვუთხარი ერთ დილას, როცა ორივესთვის ყავას ვადუღებდი. ლილი იმდენ დროს ატარებდა ჩემთან, ცხოვრების სტილის შეცვლა მომიხდა: ორისთვის ვყიდულობდი სანოვაგეს, ვალაგებდი მის არეულს, ორჯერ მეტ ცხელ სასმელს ვამზადებდი, აბაზანის კარს ვკეტავდი, რომ თავიდან ამერიდებინა მისი შეკივლებები.

— როგორ არ განმსჯი — „ცუდი აზრია“ — განსჯაა, აბა რა არის.

— სერიოზულად გელაპარაკები.

— მე ხომ არ გეუბნები, როგორ იცხოვრო? ხომ არ გეუბნები, როგორი დეპრესიულია ეს ბინა, რომ ისე გაცვია, თითქოს სიცოცხლის ხალისი აღარ გაგაჩნია? გეუბნები? გეუბნები? არა. არაფერს ვამბობ, ჰოდა, შენც თავი დამანებე.

მინდოდა მომეყოლა. მინდოდა მომეყოლა, რა დამემართა ცხრა წლის წინ, იმ ღამეს, როცა მეტისმეტად ბევრი დავლიე. როგორ მიმიყვანა ჩემმა დამ სახლში გამთენიისას, ფეხსაცმელებგახდილი, მოქვითინე. თუმცა, ამ ამბავსაც ჩვეული ბავშვური დამცინავობით შეხვდებოდა, ისევე როგორც ყველაფერს, რაც მანამდე გულახდილად მომიყოლია მისთვის. თანაც, ვერ წარმომედგინა, უილის გარდა, სხვასთან ამ თემაზე როგორ უნდა მესაუბრა. ის კი აღარ იყო.

— უსინდისობაა, შუაღამეს რომ მაღვიძებ. დილით სამსახურში ვარ წასასვლელი.

— ჰოდა, გასაღები მომეცი. და აღარ მომიწევს შენი გაღვიძება, ხომ მართალი ვარ?

ღიმილი შემომანათა. იშვიათი, გამაბრუებელი და იმდენად წააგავდა უილის ღიმილს, რომ მაშინვე მივეცი გასაღები. როცა ვაწვდიდი, გავიფიქრე, რას იტყოდა ჩემი და ამაზე.

ბატონ ტრეინორს ორჯერ ვესაუბრე. ლილის მდგომარეობაზე დარდობდა, სურდა გაეგო, რომ კარგად იყო.

— ნამდვილად სხარტი გოგონაა, ცუდი აზრია, თექვსმეტი წლის ასაკში სწავლა მიატოვოს. მისი მშობლები ამ ამბავზე რას ამბობენ?

— ბევრს არაფერს.

— ხომ არ დაველაპარაკო? შენი აზრით, უნივერსიტეტისთვის ფული სჭირდება? უნდა გამოგიტყდე, განქორწინების შემდეგ ძველებურად შეძლებული აღარ ვარ, მაგრამ უილმა საკმარისი ქონება დატოვა. ვიფიქრე... კარგი იქნებოდა, ამისთვის გამომეყენებინა, — მერე კი ხმადაბლა დასძინა, — უმჯობესია, დელასთან არაფერი ვახსენოთ. არ მინდა, არასწორად გამიგოს.

ძლივს მოვითმინე, არ მეკითხა, მაშინ სწორ გაგებაში რაღას იგულისხმებდა.

— ლუისა, შეძლებ დაარწმუნო ლილი, დაბრუნდეს? სულ მასზე ვფიქრობ. მინდა, კვლავ ვცადოთ. ვიცი, დელასაც სურს, უკეთ გაიცნოს.

დელას გამომეტყველება გამახსენდა, როცა სამზარეულოში ერთად ვფუსფუსებდით. ნეტა, ბატონი ტრეინორი ნებაყოფლობით იბრმავებდა თავს, თუ უსასრულო ოპტიმიზმი ჰქონდა?

— ვეცდები, — დავპირდი.

ბინას რაღაც განსაკუთრებული მდუმარება ახასიათებს, როცა ზაფხულის ცხელ შაბათ-კვირას სახლში მარტო ხარ. დილის

ცვლა ოთხ საათზე დავასრულე. ხუთისთვის უკვე შინ ვიყავი, გათანგული და მადლიერი, რომ რამდენიმე საათით მაინც, საკუთარ ბინაში მარტო ვიქნებოდი. შხაპი მივიღე, ტოსტი ვჭამე, ინტერნეტში ვაკანსიები გადავათვალიერე, მერე კი მისაღებ ოთახში დავჯექი. ყველა ფანჯარა გავაღე, ოთახში სიო რომ შემოსულიყო და თბილ ჰაერს შემოყოლილ ქალაქის ხმაურს მივაყურადე.

უმეტესად, ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვიყავი. უკვე იმდენ სეანსს დავესწარი, რომ გავაცნობიერე — უბრალო სიამოვნებებისთვისაც მადლიერი უნდა ვყოფილიყავი. ჯანმრთელი ვიყავი. ოჯახი მყავდა. სამსახური მქონდა. მართალია, უილის სიკვდილს ჯერაც ვერ შევგუებოდი, მაგრამ ნელ-ნელა ტრაგედიის ჩრდილიდან გამოვდიოდი.

და მაინც.

ასეთი საღამოებისას, როცა ქუჩები სავსე იყო მოსეირნე წყვილებით, პაბებთან მდგომი, მოხარხარე ხალხით, რომელიც უკვე გეგმავდა სადილებს, ღამის გართობას, კლუბებში სიარულს, შიგნით რაღაც მღრღნიდა. მეუბნებოდა, არასწორ ადგილას ხარ, რაღაცას აკლდებიო.

სწორედ ასეთ წუთებში ვგრძნობდი — ცხოვრებას ჩამოვრჩი.

ცოტა მივალაგე, უნიფორმა გავირეცხე და ის-ის იყო მდუმარე მელანქოლიაში უნდა ჩავფლულიყავი, რომ კარზე ზარი გაისმა. ავდექი და დომოფონი ყოყმანით ავიღე. ველოდი, რომ მძღოლი მკითხავდა მიმართულებას ან ჰავაიური პიცა მოიტანა ვინმემ არასწორ მისამართზე, მაგრამ მამაკაცის ხმამ მომმართა:

— ლუისა?

— ვინ არის? — ვიკითხე, თუმცა იმწამსვე მივხვდი, ვინც იყო.

— სემი. სასწრაფო დახმარებიდან. სამსახურიდან სახლისკენ მივდიოდი და... იცი, მაშინ ისე სწრაფად წახვედი, გადავწყვიტე, მომეკითხე და დავრწმუნებულიყავი, რომ კარგად ხარ.

— ორი კვირის მერე? აქამდე კატები შემჭამდნენ.

— როგორც ვხედავ, ასე არ მომხდარა.

— კატები არ მყავს, — მცირე ხნით შევყოყმანდი, — და კარგად ვარ, სასწრაფო დახმარების სემ. გმადლობ.

— შესანიშნავია... მიხარია ამის გაგონება.

ოდნავ გვერდი ვიცვალე, რომ შავ-თეთრი ეკრანისთვის შემეხედა. მოტოციკლისტის ქურთუკი ეცვა, სასწრაფო დახმარების ექიმის ხალათის ნაცვლად. ცალი ხელით კედელს ეყრდნობოდა, მერე ჩამოიღო და ქუჩისკენ მიტრიალდა. დავინახე, როგორ ამოისუნთქა და მისმა ამ ჟესტმა მიკარნახა, ხმა ამომეღო.

— აბა... რა ხდება შენკენ?

— ბევრი არაფერი. უშედეგოდ ვცდილობ, ერთ ადამიანს დომოფონზე ვესაუბრო.

მაშინვე გამეცინა. თანაც ხმამაღლა.

— მე დიდი ხანია, მაგაზე ხელი ჩავიქნიე, — ვუპასუხე, — მერე მათი სასმელზე დაპატიჟება ძალიან, ძალიან ძნელია.

დავინახე, როგორ გაეცინა. მდუმარე ბინას თვალი მოვავლე. სანამ დავფიქრდებოდი რა ვთქვი, წამომცდა:

— მანდ იყავი. ჩამოვალ.

ვაპირებდი, ჩემი მანქანა გამომეყვანა, მაგრამ ჩაფხუტი რომ გამომიწოდა, მეუხერხულა, დამეჟინებინა. გასაღები ჯიბეში ჩავიჩურთე და დაველოდე, როდის მანიშნებდა, უკან შემოვჯდომოდი.

— სასწრაფო დახმარების ექიმი ხარ და მოტოციკლს ატარებ.

— ჰო, ვიცი. მაგრამ ნაკლოვანებებზე თუ მიდგა საქმე, ეს ერთადერთი დამრჩა, — მგლურად გაიკრიჭა. მოულოდნელად შევტორტმანდი, — ჩემთან თავს უსაფრთხოდ არ გრძნობ?

ამ შეკითხვაზე სათანადო პასუხი არ არსებობდა. თვალი გავუსწორე და მის უკან ავფოფხდი. რაიმე სახიფათოს თუ დამმართებდა, იმის უნარიც შესწევდა, მოევლო.

— აბა, რა უნდა ვქნა? — ვიკითხე და თავზე ჩაფხუტი დავიფარე, — არასოდეს ვმჯდარვარ ასეთ რამეზე.

— სახელურს ჩაეჭიდე, მოტოციკლის რიტმს აყევი. მე ნუ ჩამებღაუჭები. თუ შეგეშინდება, მხარზე მომიკაკუნე და გავჩერდები.

— სად მივდივართ?

— ინტერიერის დიზაინში რამე გაგეგება?

— უიმედო ვარ. რატომ?

ძრავა აამუშავა.

— ვიფიქრე, ჩემს ახალ სახლს გაჩვენებდი.

მერე კი ადგილს მოვწყდით და გავცურეთ მანქანებსა და სატვირთოებს შორის, საგზაო ნიშნებს მივყევით. თვალები დავხუჭე, ზურგზე მივეყრდენი და იმედი დავიტოვე, რომ ჩემი წივილი არ ესმოდა.

ქალაქის განაპირას წავედით, ისეთ ადგილას, სადაც ბაღები თანდათან იზრდება და მერე ველებად იქცევა, სახლებს კი რიცხვების ნაცვლად სახელები აქვთ. მივაღწიეთ სოფელს, რომელიც წინამორბედისგან დიდად არ გამოირჩეოდა. სემმა მოტოციკლი შეანელა მინდორზე მდგარ ჭიშკართან და ბოლოს ძრავა გამორთო, თან მიმანიშნა, ჩამოვმძვრალიყავი. ჩაფხუტი მოვიხსენი, გული ჯერაც გამალებით მიცემდა. ვცადე, სახელურის ჩაბღუჯვისგან ჯერ კიდევ დაბუჟებული თითებით გაოფლილი თმა გადამევარცხნა.

სემმა ჭიშკარი გააღო და შემიყვანა. ველის ნახევარი მწვანე ბალახს დაეფარა, მეორე ნახევარი კი — ცემენტსა და აგურებს. კონსტრუქციის კუთხეში, მაღალი მესრით გამოყოფილ ადგილას, მატარებლის ძველებური ვაგონი იდგა, მის გვერდით კი

საქათმე, რომელშიც ქათმები მოკალათებულიყვნენ და უნდობლად გვიყურებდნენ.

— ჩემი სახლი!

— მშვენიერია! — მიმოვიხედე, — და... სად არის?

სემმა გზა განაგრძო.

— აი, აქ საძირკველია. ბოლო სამი თვე დამჭირდა, რომ ამომეყვანა.

— აქ ცხოვრობ?

— დიახ.

ცემენტის ფილებს მივაჩერდი. როცა სემს შევხედე, მისმა გამომეტყველებამ მაიძულა, აღარ მეთქვა, რასაც ვაპირებდი. თავი მოვიქექე.

— მაშ... მანდ უნდა იდგე მთელი საღამო? ექსკურსიას არ მომიწყობ?

საღამოს მზით შეფერილები, ბალახისა და ლავანდის სურნელითა და ფუტკრების ზანტი ბზუილით გარშემორტყმულები დავსეირნობდით და სემი მიმანიშნებდა, სად უნდა ყოფილიყო ფანჯრები და კარები.

— აქ აბაზანაა.

— ცოტა არ იყოს, დამშრალია.

— ჰო. რამე უნდა მოვუხერხო. ფრთხილად იყავი, ეგ კარი არ არის. ეს-ესაა, საშხაპეში შეაბიჯე.

აგურების წყებას გადააბიჯა და ხელი გამომიწოდა, რომ მეც უსაფრთხოდ მივყოლოდი.

— ეს კი მისაღები ოთახია. ამ ფანჯარაში თუ გაიხედავ, — თითებით კვადრატი მოხაზა, — სოფლის ხედი გადაგეშლება.

მოციმციმე ლანდშაფტს გავხედე. მეგონა, ქალაქიდან ათი კი არა, მილიონობით მილით ვიყავი დაშორებული. ღრმად ჩავისუნთქე, დავტკბი ამ სანახაობით, რომელსაც არ ველოდი.

— ლამაზია, მაგრამ, მგონი, ტახტი არასწორ ადგილას დგას, — ვუთხარი, — ორი გჭირდება. ერთი აქ და მეორე ალბათ, იქ. სავარაუდოდ, ფანჯრები აქ არის?

— ცხადია. ორი სხვადასხვა ხედით.

— ჰმმ. საკუჭნაოს განლაგება თავიდან უნდა მოიფიქრო.

ჩემდა გასაოცრად, სეირნობისა და საუბრის რამდენიმე წუთის შემდეგ, მართლაც ვხედავდი სახლს. სემის ხელით მოხაზულ ფორმებს მივყვებოდი. ხან უჩინარ ბუხარზე მიმითითებდა, ხან წარმოსახვაში კიბეს ხატავდა, ჭერს მაჩვენებდა. ვხედავდი სახლის მაღალ ფანჯრებსა და მოაჯირებს, რომელსაც მისი მეგობარი მუხის ხიდან გამოთლიდა.

— ლამაზი იქნება, — ვუთხარი, როცა ჰაერში უკანასკნელი ფორმის მოხაზვა დაასრულა.

— დაახლოებით ათ წელში. მაგრამ, ჰო, იმედია.

ველს გავხედე, შევისწავლე ბოსტნეულის კვლები, საქათმე, ჩიტების სახლი.

— უნდა გამოგიტყდე, ამას არ ველოდი. ცდუნება არ გძლევს, მუშები მოიყვანო?

— ვაპირებ, მომავალში. მაგრამ მსიამოვნებს ამის კეთება. სახლის შენება სულს რგებს, — მხრები აიჩეჩა, — როცა მთელ დღეს ჭრილობების, მეტისმეტად თავდაჯერებული მოტოციკლისტებისა და ქმრებისგან ნაცემი ქალების გაკერვაში ატარებ...

— ...და ჩერჩეტი ქალების, რომლებიც სახურავებიდან ცვივიან.

— მათიც, — ცემენტის შემრევი მანქანისა და აგურებისკენ მიუთითა, — ამას ვაკეთებ, რომ გავუძლო. ლუდი გინდა? — მატარებლის ვაგონში გადაძვრა და მანიშნა, შემომიერთდიო.

შიგნიდან ვაგონს სულაც არ ჰგავდა. პატარა, კოხტად მოწყობილი სამზარეულო ჰქონდა, კიდეში კუთხის სკამი იდგა. თუმცა

ჯერ კიდევ სუსტად იგრძნობოდა ცვილისა და ტვიდით შემოსილი მგზავრების სუნი.

— ბორბლებიანი სახლები არ მიყვარს, — ამიხსნა, და სკამზე მიმითითა, — დაჯექი.

ცივი ლუდი გამოიღო მაცივრიდან. გახსნა და ბოთლი გამომიწოდა. თავისთვის ქურაზე ჩაიდანი დადგა.

— არ სვამ?

თავი გააქნია.

— სახლში მოვდიოდი და ერთ ბოთლს ვსვამდი, მოსადუნებლად. მერე ორს. მერე აღმოვაჩინე, რომ ორი ან სამი ბოთლის გარეშე ვეღარ ვისვენებდი, — ჩაის პაკეტი გახსნა, ჩაი ფინჯანში ჩააგდო, — და მერე... ახლობელი ადამიანი დავკარგე და გადავწყვიტე, ან დალევა მაშინვე შემეწყვიტა, ან ვეღარასოდეს გავჩერდებოდი, — ამას რომ მიყვებოდა, ჩემთვის არ შემოუხედავს, — ხანდახან ერთ ბოთლ ლუდს ვსვამ ხოლმე, მაგრამ დღეს არ დავლევ. მოგვიანებით სახლში უნდა წაგიყვანო.

ასეთი საუბარი იმ უხერხულობას აქარწყლებდა, რომ მატარებლის ვაგონში უცხო კაცთან ერთად ვიჯექი. როგორ უნდა შეგენარჩუნებინა დისტანცია ადამიანთან, რომელმაც შენს დამტვრეულ, ნახევრად შეუმოსავ სხეულს მოუარა? როგორ უნდა გენერვიულა კაცთან, რომელმაც უკვე გაგიზიარა შენი სახლში წაყვანის გეგმა? თითქოს ჩვენმა პირველმა შეხვედრამ აღმოფხვრა ადამიანების გაცნობის ყველა ჩვეული, უხერხული წინაღობა. მას საცვლებში ვყავდი ნანახი. ის პირდაპირი მნიშვნელობით ჩემ კანქვეშ იყო ნამყოფი. სემთან ისე მშვიდად ვგრძნობდი თავს, როგორც — არავისთან.

ვაგონი ბოშების ქარავანს მახსენდებდა. მათზე ბავშვობაში წამიკითხავს. ქარავანში ყველაფერს საკუთარი ადგილი ჰქონდა, ყველაფერი მოწესრიგებული იყო. სემის ვაგონი სახლივით მყუდრო ჩანდა, მაგრამ ასკეტური და შეუცდომლად მამაკაცური.

მზისგან გამთბარი ხის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა, საპნისა და ბეკონის. ჩემი ვარაუდით, ეს ახალი დასაწყისი იყო მისთვის. ნეტა, ჯეიკისა და მის ძველ სახლს რა ბედი ეწია.

— და... ჯეიკი რას ფიქრობს ამაზე?

ფინჯნით ხელში სკამის მოპირდაპირე კიდეზე ჩამოჯდა.

— თავიდან ეგონა, გავგიჟდი. ახლა ძალიან მოსწონს. როცა მე ცვლაში ვარ, ცხოველებს უვლის. სამაგიეროდ, დავპირდი, რომ ტარებას ვასწავლი, როცა ჩვიდმეტის გახდება, — ჭიქა ასწია, — ღმერთმა მიშველოს.

ლუდი ავწიე საპასუხოდ.

იქნებ იმის წყალობით, რომ თბილ პარასკევ საღამოს ისეთ მამაკაცთან ვატარებდი, რომელიც საუბრისას თვალებში მიყურებდა და ისეთი თმა ჰქონდა, რომლის აჩეჩვის სურვილი მიჩნდებოდა, ან იმის, რომ უკვე მეორე ბოთლი ლუდი დავლიე, თავს კარგად ვგრძნობდი. ვაგონში სული შეგვეხუთა და გარეთ გადავინაცვლეთ, გასაშლელ სკამებზე; ვაკვირდებოდით, როგორ იქექებოდნენ ქათმები ბალახში. ვუსმენდი სემის ისტორიებს ღორმუცელა პაციენტებზე, რომელთა ასაწევად ოთხკაციანი გუნდი სჭირდებოდათ; ახალგაზრდა ხულიგნებზე, რომლებიც მაშინაც კი ცდილობდნენ ერთმანეთს თავს დასხმოდნენ, როცა სასწრაფოს მანქანაში მოათავსეს. შევამჩნიე, მისკენ ჩუმ მზერას ვაპარებდი ხოლმე, ვაკვირდებოდი როგორ ეჭირა ფინჯანი, როგორ იღიმოდა მოულოდნელად და თვალის კუთხეებში სამ-სამი ზედმიწევნით სწორი ნაოჭი უჩნდებოდა, თითქოს ვიღაცამ გულმოდგინედ მიახატაო.

მშობლებზეც მიამბო: მამამისი პენსიაში გასული მეხანძრე ყოფილა, დედამისი — მომღერალი, რომელმაც კარიერა ბავშვების გასაზრდელად მიატოვა („მგონი, ამიტომ მომეწონა შენი უნიფორმა. ბრჭყვიალებს მიჩვეული ვარ“). გარდაცვლილი ცო-

ლის სახელი არ უხსენებია, მაგრამ აღნიშნა, დედაჩემი დარდობს, ჯეიკის ცხოვრებაში ქალი რომ აღარ არისო.

— თვეში ერთხელ მოდის და კარდიფში მიჰყავს. იქ ის და მისი დები თავს დაჰფოფინებენ, საჭმლით ტენიან და ჩინდებით ამარაგებენ, — იდაყვები მუხლებზე ჩამოაყრდნო, — სულ ჩუჩუნებს წასვლისას, მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან უყვარს იქ ყოფნა.

მე ლილის დაბრუნებაზე მოვუყევი. სახე შეეჭმუხნა, როცა ტრეინორებთან შეხვედრის ამბები გავუზიარე. ლილის რთული ხასიათი და გაუწონასწორებელი საქციელიც ვახსენე. თავი დამიქნია, თითქოს არაფერი იყო მოულოდნელი. როდესაც ლილის დედაზე ვუთხარი, საყვედურით გააქნია თავი.

— ბევრი ფულის ქონა არ ნიშნავს, რომ კარგი მშობლები არიან. ღარიბები რომ ყოფილიყვნენ, დედამისს ალბათ სოციალური მუშაკები მოინახულებდნენ, — თანაგრძნობის ნიშნად ფინჯანი ასწია, — კეთილ საქმეს აკეთებ, ლუისა კლარკ.

— ეჭვი მეპარება, თავს ვართმევდე.

— მოზარდებს როცა ეხება საქმე, ყველას ჰგონია, თავს ვერ ვართმევო, — დამამშვიდა.

გამიჭირდა, ეს სემი, გულღია, წიწილებზე მზრუნველი, დამეკავშირებინა აქვითინებულ, ქალების მადევარ კაცთან, რომლის შესახებაც დარდთან გამკლავების წრეზე გვიამბო ჯეიკმა. თუმცა კარგად ვიცოდი, ის პერსონაჟი, რომელსაც სხვებს წარუდგენ, შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს შენი ჭეშმარიტი პიროვნებისგან. ვიცოდი, დარდს შეეძლო ისეთი საქციელის ჩადენისკენ ებიძგა, თავადაც რომ ვერასოდეს ახსნიდი.

— მომწონს შენი ვაგონი, — აღვნიშნე, — და შენი უხილავი სახლი.

— მაშინ იმედი მაქვს, რომ ისევ მოხვალ, — მიპასუხა მან.

სექსით შეპყრობილი. ასე თუ ხიბლავდა ქალებს, ძალიან ყოჩაღი ყოფილა. დამაჯერებელი ნაზავი გახლდათ: მამაკაცურად

მგლოვიარე მამა, რომელიც იშვიათად იღიმის და ცალი ხელით იჭერს დედალს, ისე რომ დედალიც ბედნიერია. თავს გამუდმებით ვუმეორებდი, საკუთარ თავს ნებას არ მივცემ, გადარეული შეყვარებულივით მოვიქცე-მეთქი. თუმცა სიმპათიურ მამაკაცთან ფლირტისგან ტკბობა შემომეპარა. მსიამოვნებდა ნერვიულობისა და ჩუმი რისხვის გარდა სხვა შეგრძნების განცდა — ემოციების იმ წყვილის, რომელიც ჩემი ცხოვრების უდიდეს ნაწილს იკავებდა. საპირისპირო სქესთან ჩემი სხვა ურთიერთობა უკანასკნელ თვეებში ალკოჰოლით იყო განპირობებული და ჯერ ტაქსიში, მერე კი შხაპში საკუთარი თავისადმი ზიზღის ცრემლებით სრულდებოდა.

„რას ფიქრობ, უილ? ეს ნორმალურია?“

გარეთ ჩამობნელდა. ქათმები ჯგუფურად შეგროვდნენ ქანდარაზე.

სემი მათ უყურებდა. სკამის საზურგეს მიეყრდნო:

— ისეთი შეგრძნება მაქვს, ლუისა კლარკ, რომ როცა მესაუბრები, პარალელურად კიდევ სხვა დიალოგში ხარ ჩართული.

მინდოდა, ჭკვიანური პასუხი მომეფიქრებინა. მაგრამ სიმართლეს ამბობდა და ვერაფერი ვთქვი.

— მე და შენ. ორივენი თავს ვარიდებთ რაღაცას.

— მეტისმეტად პირდაპირი ხარ.

— ახლა კი თავი უხერხულად გაგრძნობინე.

— არა, — მზერა შევაგებე, — ან შეიძლება, ოდნავ.

ჩვენ უკან ყვავი ხმაურით აფრინდა, მისი ფრთების ფართხალი უძრავ ჰაერში ვიბრაციებს იწვევდა. მომინდა, თმა შემესწორებინა, მაგრამ ამის ნაცვლად ლუდი მოვყლურწე.

— კარგი, მაშ, შეკითხვა: შენი აზრით, რამდენი ხანია საჭირო, ვიღაცის დაღუპვით გამოწვეული დარდი გადალახო? ისეთი ვიღაცის, ვინც მართლა გიყვარდა.

არ ვიცოდი, რატომ ვკითხე. სისასტიკეც კი იყო, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. იქნებ, შემეშინდა, მისი მეორე, სექსით შეპყრობილი მხარე არ ამოქმედებულიყო.

სემმა თვალები დააჭყიტა.

— ოჰო... — ფინჯანს ჩააქცერდა, მერე კი ჩრდილჩამოწოლილ ველს გახედა, — ...არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს შესაძლებელია.

— რა ოპტიმისტურია.

— არა, მართლა. ამაზე ბევრი მიფიქრია. ეგუები, ცხოვრებას აგრძელებ. მათთან ერთად. რადგან ისინი შენთან რჩებიან, მაშინაც კი, როცა ცოცხლები აღარ არიან, აღარ სუნთქავენ. ძველებურად დამანგრეველ სევდას აღარ გრძნობ, ისეთს, რომელიც გახრჩობს, უადგილო ადგილებში ტირილს განდომებს, არარაციონალურად გაცოფებს იმ ხალხზე, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ ამ ყველაფერს ნელ-ნელა ეგუები. დატოვებული ხვრელის გარშემო აგებ ცხოვრებას. არ ვიცი. თითქოს... ფუნთუშის ნაცვლად დონატი ხდები.

მის სახეს ისეთი სევდა გადაეფინა, უცებ თავი დამნაშავედ ვიგრძენი.

— დონატი.

— სულელური შედარებაა, — ოდნავ გაიღიმა.

— არ მინდოდ...

თავი გააქნია. ჯერ ბალახს დააცქერდა თავის ფერხთით, მერე გვერდულად გამომხედა.

— წამო, სახლში წაგიყვან.

მის მოტოციკლამდე გავისეირნეთ. ჰაერს სუსხი შეეპარა, მკლავები მკერდზე გადავიჯვარედინე. შეამჩნია და თავისი ქურთუკი გამომიწოდა. დაიჟინა, მოიხურეო. სასიამოვნოდ მძიმე იყო, მამაკაცის სურნელი ასდიოდა. ვეცადე, ღრმად არ ჩამესუნთქა.

— ყველა პაციენტს ასე ხიბლავ?

— მარტო ცოცხლად დარჩენილებს.

გამეცინა. კვლავაც მოულოდნელად და უფრო ხმამაღლა, ვიდრე — მინდოდა.

— წესით, პაციენტებს პაემანზე არ უნდა ვპატიჟებდეთ, — ჩაფ-ხუტი გამომიწოდა, — მაგრამ შენი ჩემი პაციენტი აღარ ხარ.

გამოვართვი.

— და არც ეს არის პაემანი.

— არა? — ფილოსოფიური გამომეტყველებით დამიქნია თავი და მოტოციკლზე მოთავსდა, — მაშ კარგი.

თავი მეთერთმეტე

იმ კვირაში, როცა დარდთან გამკლავების წრეზე მივედი, ჯეიკი არ დამხვდა. დაფნე განიხილავდა, მამაკაცის გარეშე როგორ უჭირდა ქილების გახსნა სამზარეულოში, სუნილი თავისი ძმის ნივთების დარჩენილ და-ძმებს შორის გადანაწილების სირთულეზე ყვებოდა, მე კი მძიმე, წითელი კარის გაღებას ველოდებოდი. თავს ვუმტკიცებდი, ჯეიკის კეთილდღეობა მადარდებს-- მეთქი, რომ უსაფრთხო სივრცე სჭირდებოდა, სადაც ღიად ისაუბრებდა მამამისზე. თავს ვიჯერებდი, მიზეზი ესაა და არა ის, რომ მოტოციკლზე მიყრდნობილი სემის ნახვა მინდა-მეთქი.

— შენ რა გაწუხებს, ლუისა?

იქნებ ჯეიკმა წრეზე სიარული დაასრულა? იქნებ გადაწყვიტა, რომ აღარ სჭირდებოდა. ყველა ამბობდა, ზოგი თავს ანებებს აქ მოსვლასო. თუ ასე იყო, მათ ვეღარასოდეს ვნახავდი.

— ლუისა? ყოველდღიური რამეები? რაღაც ალბათ გაწუხებს.

ისევ იმ ველზე ვფიქრობდი, კოხტა ვაგონზე, როგორ დასეირნობდა სემი ხელში ქათმით, თითქოს ძვირფასი ამანათი ეჭირა.

დაფნემ იდაყვი გამკრა.

— ჩვენ განვიხილავთ ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებს, რომლებიც დაკარგულ ადამიანს გვახსენებს, — ამიხსნა მარკმა.

— მე სექსი მენატრება, — თქვა ნატაშამ.

— ეგ არც ისეთი წვრილმანია, — უპასუხა უილიამმა.

— თქვენ ჩემს ქმარს არ იცნობდით, — ნატაშამ სიცილი ვერ შეიკავა.

— ნამდვილად. საშინელი ხუმრობა იყო. მაპატიეთ. არ ვიცი, რა დამემართა.

— ხუმრობა კარგია, — შეგვაგულიანა მარკმა.

— ოლაფი ძალიან უნარიანი იყო. ძალიან, — თვალები აუციმ-ციმდა ნატაშას. როცა ხმა არავინ ამოიღო, ხელები ასწია და თა-ვი დააქნია, — ძალიან ბედნიერები ვიყავით.

ხანმოკლე დუმილი ჩამოწვა.

— კარგია, — განაცხადა მარკმა, — სასიამოვნოა ამის მოსმე-ნა.

— არ მინდოდა, ვინმეს ეფიქრა... არ მინდა, ამაზე იფიქრონ ჩემი ქმრის გახსენებისას, თითქოს მას პატარა...

— დარწმუნებული ვარ, ასე არავინ ფიქრობს.

— მე ვიფიქრებ, თუ ისევ ამაზე გააგრძელებ საუბარს, — ჩაერია უილიამი.

— არ მინდა, ჩემი ქმრის პენისზე ფიქრობდეთ, — განაცხადა ნატაშამ, — საერთოდაც, გიკრძალავთ მის პენისზე ფიქრს!

— მაშინ ნუღა ლაპარაკობ ამ თემაზე! — ურჩია უილიამმა.

— შეიძლება, თემა შევცვალოთ? — იკითხა დაფნემ, — ცუდ მო-გონებებს აღმიძრავს. მონაზვნები სახაზავებს გვირტყამდნენ, როცა მსგავს სიტყვებს ვახსენებდით.

მარკს ხმაში სასოწარკვეთა შეეპარა:

— იქნებ საუბარი ძველი მიმართულებით წავიყვანოთ — დანა-კარგის სიმბოლოებს დავუბრუნდეთ. ლუისა, შენ უნდა გაგემხი-ლა — რა გაგრძნობინებს დანაკლისს?

ვიჯექი და ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია ნატაშას-თვის, რომელიც ჰაერში რაღაც უხილავს ზომავდა თითებით.

— მგონი, მენატრება ისეთი ადამიანის ყოლა, ვისთანაც საუბარი შემეძლება, — ფრთხილად წარმოვთქვი.

თანხმობის ჩურჩული ატყდა.

— მე არ ვარ ისეთი ადამიანი, ვისაც უზარმაზარი სამეგობრო წრე ჰყავს. ჩემს უკანასკნელ შეყვარებულთან მრავალი წლის მანძილზე მქონდა ურთიერთობა და არსად დავდიოდით ხოლმე. მერე კი... ბილი იყო. ჩვენ გამუდმებით ვსაუბრობდით. მუსიკაზე,

ხალხზე, რა გაგვიკეთებია, რისი გაკეთება გვინდოდა. არასოდეს ვღელავდი, რამე არასწორი არ მეთქვა ან ვინმე არ გამებრაზებინა, რადგან მას უბრალოდ ჩემი ესმოდა. ახლა კი ლონდონში ვცხოვრობ, მარტო ვარ, ოჯახის გარეშე, მათთან საუბარი კი ყოველთვის... რთული იყო.

— მესმის შენი, — თქვა სუნილმა.

— ახლა კი რაღაც ხდება და ძალიან მინდა მასთან ამ თემაზე საუბარი. გონებაში ველაპარაკები ხოლმე, მაგრამ ეს იგივე არ არის. მენატრება იმის შესაძლებლობა, უბრალოდ ვკითხო: „აბა, რას ფიქრობ ამაზე?“ და მისი ყოველთვის სწორი პასუხები.

ჯგუფი წუთით დადუმდა.

— შეგიძლია, ჩვენ გველაპარაკო, ლუისა, — თქვა მარკმა.

— ეს... რთულია.

— ეს ყოველთვის რთულია, — თქვა ლინმა.

გადავხედე მათ კეთილ, მოლოდინით სავსე სახეებს და მივხვდი, სავარაუდოდ ვერაფერს გაიგებდნენ, რის თქმაც მინდოდა.

დაფნემ აბრეშუმის შარფი გაისწორა.

— ლუისას ახალგაზრდა მამაკაცი სჭირდება, რომ ესაუბროს. რა თქმა უნდა, ასეა. ახალგაზრდა ხარ და ლამაზი. სხვას იპოვი. შენც, ნატაშა. შენც გაიცანი ვინმე. ჩემთვის უკვე ძალიან გვიანაა, მაგრამ თქვენ ორნი ამ ძველ, ჩამოქცეულ დარბაზში არ უნდა ისხდეთ — მომიტევე, მარკ, მაგრამ არ უნდა ისხდნენ. საცეკვაოდ უნდა დადიოდეთ, იცინოდეთ.

ნატაშამ და მე ერთმანეთს გადავხედეთ. ცხადად ჩანდა, მასაც ისევე არ უნდოდა საცეკვაოდ სიარული, როგორც მე.

უეცრად სასწრაფო დახმარების სემზე ფიქრმა გამიელვა, მაგრამ მაშინვე თავიდან მოვიცილე.

— და თუ ოდესმე სხვა პენისი მოგინდათ, — განაცხადა უილიამმა, — ნამდვილად შემიძლია...

— საკმარისია, ხალხო. მოდით, გადავიდეთ ანდერძებზე, — ჩაერია მარკი, — ვინმე რაიმე მოულოდნელობას ხომ არ გადააწყდა?

სახლში ათის თხუთმეტ წუთზე დავბრუნდი, გათანგული. ლილი ტახტზე წამოკოტრიალებული დამხვდა, პიჟამაში. ჩანთა დავაგდე და ვკითხე:

— რამდენი ხანია, რაც აქ ხარ?

— დილიდან.

— კარგად ხარ?

— მმ.

ისეთი ფერმკრთალი იყო, ან ავად უნდა ყოფილიყო, ან დაღლილი.

— თავს ცუდად გრძნობ?

ჯამიდან პოპკორნს მიირთმევდა და ძირში ზანტად ავლებდა თითებს, რომ ნამცეცებიც აეკრიფა.

— უბრალოდ, დღეს არაფრის კეთების ხასიათზე არ ვარ.

ლილის ტელეფონმა გაიწკრიალა. შეტყობინებას უხალისოდ დახედა და მობილური ბალიშის ქვეშ შეჩურთა.

— მართლა ყველაფერი რიგზეა? — ერთი წუთის შემდეგ კითხვა გავუმეორე.

— კარგად ვარ.

თუმცა, კარგად არ გამოიყურებოდა.

— რამით ხომ ვერ დაგეხმარები?

— ხომ გითხარი, კარგად ვარ, — არ შემოუხედავს, ისე გამცა პასუხი.

ლილიმ ის ღამე ჩემს ბინაში გაატარა. მომდევნო დღეს, სამსახურში რომ მივდიოდი, ბატონმა ტრეინორმა დარეკა და მასთან საუბარი ითხოვა. როცა ვუთხარი, ვინ რეკავდა, ლილი ტახტზე იყო გაშოტილი. უაზრო გამომეტყველებით ამომხედა, მერე კი ხელი გამომიწოდა ტელეფონისთვის. ვიდექი, სანამ ლილი

უსმენდა. ბატონი ტრეინორის სიტყვები ვერ გავარჩიე, მაგრამ მისი კეთილი, მშვიდი ტონი დამაჯერებლად ისმოდა. როდესაც დაასრულა, ლილიმ მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა:

— კარგი.

— მის სანახავად აპირებ წასვლას? — ვკითხე, როცა ტელეფონს მიბრუნებდა.

— ლონდონში სურს ჩამოსვლა ჩემთან შესახვედრად.

— ძალიან კარგია.

— მაგრამ სახლიდან შორს ვერ იქნება, იმას რომ მშობიარობა დაეწყოს...

— გინდა, მასთან წაგიყვანო?

— არა.

მუხლები ნიკაპქვეშ ამოიდო, ტელევიზორის პულტს დასწვდა და არხების გადართვა დაიწყო.

— გინდა, ვილაპარაკოთ? — მცირე ხნის შემდეგ ვკითხე.

არ მიპასუხა. ორიოდე წუთის შემდეგ მივხვდი, დიალოგი დასრულდა.

ხუთშაბათს საძინებელში შევედი, კარი ჩავკეტე და ჩემს დას დავურეკე. კვირაში რამდენჯერმე ვსაუბრობდით. ახლა ეს გვიადვილდებოდა, რადგან მშობლებთან ჩემი გაუცხოების პრობლება აღარ გადაჭიმულიყო ჩვენ შორის დანაღმული ველივით.

— შენი აზრით, ნორმალურია?

— მამამ მითხრა, რომ ერთხელ მთელი ორი კვირა არ ველაპარაკებოდი, თექვსმეტი წლის ასაკში. მარტო ვდუდღუნებდი. არადა, საკმაოდ ბედნიერი ვიყავი.

— არც კი დუდღუნებს. უბრალოდ უბედურად გამოიყურება.

— ყველა მოზარდი ასეა. ეგრე არიან მოწყობილები. მხიარულებზე უფროა სანერვიულო — შეიძლება კვებით აშლილობას ან მაღაზიიდან პომადების ქურდობას მალავდნენ.

— სამი დღეა ტახტიდან არ დგება.

— და რას ფიქრობ?

— მგონი, რაღაც რიგზე ვერ არის.

— თექვსმეტი წლისაა. მამამისმა არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ. დედამისი ისეთ კაცს გაჰყვა ცოლად, ვისაც თვითონ სიფათმოტყნულს ეძახის. ორი პატარა ძმა ჰყავს, რომლებიც გიჟებივით იქცევიან. სახლში საკეტები შეცვალეს. მის ადგილას, ალბათ, მთელი წელი არ ავდგებოდი ტახტიდან, — ტრინამ ხმაურიანად მოხვრიპა ჩაი, — თანაც, ისეთ გოგოსთან ცხოვრობს, რომელიც მწვანე ბრჭყვიალა სპანდექსის უნიფორმა აცვია სამსახურისთვის და ამას კარიერას უწოდებს.

— ლურექსი. ნაჭერს ლურექსი ჰქვია.

— რაც არის. როდის უნდა იპოვო ნორმალური სამსახური?

— მალე. ჯერ ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწორო.

— ეს მდგომარეობა.

— მეტისმეტად დათრგუნვილია. მებრალება.

— იცი მე რა მთრგუნავს? სულ მპირდები, რომ საკუთარი ცხოვრებით იცხოვრებ, მერე კი, პირველივე შემხვედრ უსახლკაროსა და გზააბნეულს სწირავ თავს.

— უილი უსახლკარო და გზააბნეული არ იყო.

— სამაგიეროდ, ლილია. არც კი იცნობ ამ გოგოს, ლუ. ცხოვრების გაგრძელებაზე უნდა ფიქრობდე. რეზიუმეებს აგზავნიდე, ხალხს ეცნობოდე, საკუთარ ძლიერ მხარეებს არკვევდე, შენ კი მიზეზებს ეძებ, რომ წინ არ წაიწიო.

ქალაქის ცას გავხედე. გვერდით ოთახში ტელევიზორის ხმა გავიგე, მერე ლილის ადგომის, მაცივართან მისვლის და კვლავ ტახტზე დაცემის. ხმას დავუწიე:

— შენ როგორ მოიქცეოდი, ტრინ? იმ კაცის შვილი, ვინც გიყვარდა, სახლის კარზე რომ მოგადგეს და სხვას არავის ადარდებდეს მისი ბედი. მიატოვებდი?

მცირე ხნით ჩემი და დადუმდა. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა და თავი მოვალედ ვიგრძენი, საუბარი გამეგრელებინა.

— ესე იგი, ტომს რომ რვა წლის შემდეგ შენთან უთანხმოება მოუვიდეს, რაიმე მიზეზით — ვთქვათ, სულ მარტო დარჩეს და გზას ასცდეს — გგონია, მშვენიერი იქნება, თუ ის ერთადერთი ადამიანი, ვისაც დახმარებას სთხოვს, გადაწყვეტს, რომ ტომი მისთვის ზედმეტი თავისტკივილია? რომ უბრალოდ თავიდან უნდა მოიცილოს? — კედელს მივაყრდენი თავი, — ვცდილობ, სწორად მოვიქცე, ტრინ. გამიგე, კარგი?

პასუხად არაფერი.

— ჩემთვისაც უკეთესია. გესმის? უკეთესად მხდის იმის ცოდნა, რომ ვეხმარები.

ჩემი და იმდენ ხანს იყო ჩუმად, ვიფიქრე, ყურმილი ხომ არ დაკიდა-მეთქი.

— ტრინ?

— კარგი. ისე, სოციოლოგიურ ფსიქოლოგიაში წავიკითხე, თურმე მოზარდებს ბევრი პირისპირ ურთიერთობა ღლით.

— აბა, რა ვქნა, კარიდან ვესაუბრო? — იმედია, ოდესმე ჩემი და ისე აღარ დამელაპარაკებოდა, თითქოს გონებრივად ჩამორჩენილს რაც შეიძლება მარტივად უხსნიდა სათქმელს.

— არა, სულელო. იმას გეუბნები, რომ თუ რაიმეს განხილვა გენდომება მასთან, სჯობს პარალელურად ორივე რამე საქმიანობით იყოთ დაკავებული.

პარასკევს, სახლისკენ გზად ხელნაკეთი ნივთების მაღაზიაში შევიარე. პარკები მეოთხე სართულზე ავათრიე და ბინაში შევედი. ლილი ისევ იქ იყო, სადაც ველოდი: ტელევიზორის წინ გაშოტილი.

— ეგ რა არის? — მკითხა.

— საღებავები. ეს ბინა ცოტა მოღუშულია. სულ მეუბნები, გაახალისეო. ვიფიქრე, კედლებს ამ ძველ, მოსაწყენ ფერს მოვაშორებდით.

ვეღარ მოითმინა. სანამ თავს ვიკატუნებდი, თითქოს წყალს ვისხამდი, თვალის კუთხიდან დავინახე, როგორ გაიზმორა და საღებავის ქილები დაათვალიერა.

— ესეც მოსაწყენი ფერია. ბაცი ნაცრისფერია.

— მითხრეს, ახლა ნაცრისფერია მოდაშიო. თუ ფიქრობ, რომ არ ვარგა, უკან წავიღებ.

— არა. არა უშავს.

— ვიფიქრე, სასტუმრო ოთახში ორ კედელს კრემისფრად შევღებავ, ერთს კი — ნაცრისფრად-მეთქი. შენი აზრით, მოუხდება ერთმანეთს? — ფუნჯებისა და შესაღები მასალის გახსნით დავკავდი. ძველი მაისური და შორტი ჩავიცვი, მუსიკის ჩართვა ვთხოვე.

— როგორი მუსიკა გინდა?

— შენ ამოირჩიე, — სკამი მეორე მხარეს გავათრიე და კედლებთან ნაჭრები დავაფინე, — მამაშენი ამბობდა, რომ მუსიკაში არაფერი გამეგება.

არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ყურადღება მივიქციე. საღებავის ქილა გავხსენი და შეზავება დავიწყე.

— მან წამიყვანა კონცერტზე, ცხოვრებაში პირველად. კლასიკურზე და არა პოპ-კონცერტზე. მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ სახლიდან გამეტყუებინა. თავიდან გარეთ არ მომყვებოდა ხოლმე. პერანგსა და ქურთუკში გამოეწყო და პირველად ვნახე, რომ ისე გამოიყურებოდა, როგორც... — გამახსენდა, როგორ შემიტოკდა გული მისი დანახვისას. ლურჯ პერანგში უბედურ შემთხვევამდელ საკუთარ თავს ჰგავდა. ნერწყვი გადავყლაპე, — თავიდან მეგონა, მოვიწყენდი, მაგრამ მთელი კონცერტის

მეორე ნაწილი შეშლილივით ვქვითინებდი. ყველაზე საოცარი რამ იყო, რაც ოდესმე მომისმენია.

მცირე დუმილის შემდეგ მკითხა:

— რა იყო? რას მოუსმინეთ?

— არ მახსოვს. მგონი სიბელიუსს? სწორად ვამბობ? — მხრები ავიჩეჩე. კედლის შეღებვა დავიწყე; ლილი გვერდით ამომიდგა.

ხელში ფუნჯი აიღო. თავიდან არაფერი უთქვამს, მაგრამ მალე ჩაეფლო საქმეში. ფრთხილად ღებავდა, ნაჭერს ასწორებდა, იატაკზე საღებავი რომ არ დაეწვეთებინა და ფუნჯს ქილის კიდეზე აშორებდა ზედმეტ საღებავს. არაფერი გვითქვამს ხმადაბალი თხოვნების გარდა: შეგიძლია, პატარა ფუნჯი მომაწოდო? შენი აზრით, ეს მეორე ფენის ქვეშაც გამოჩნდება? პირველი კედლის დასასრულებლად ორივეს ერთად მხოლოდ ნახევარი საათი დაგვჭირდა.

— აბა, რას ფიქრობ? — ვკითხე აღფრთოვანებულმა, — შენი აზრით, მეორესაც მოვერევით?

ნაჭერს ადგილი შეუცვალა და მეორე კედლის შეღებვას შეუდგა. რომელიღაც ინდი ბენდის მუსიკა ჩართო, რომელიც არასოდეს მომესმინა — მსუბუქი და სასიამოვნო. მეც გავაგრძელე ღებვა, ყურადღება არ მივაქციე მთქნარების სურვილსა და მხრებში ტკივილს.

— სურათები უნდა დაკიდო.

— მართალი ხარ.

— სახლში კანდინსკის დიდი სურათი მაქვს. ჩემს ოთახს დიდად არ უხდება. შემიძლია გაჩუქო, თუ მოისურვებ.

— შესანიშნავი იქნებოდა.

ახლა უკვე ტემპს აუჩქარა, დიდი ფანჯრის გარშემო ფრთხილად უსვამდა საღებავს.

— იცი, რას ვფიქრობდი, — ვუთხარი, — უილის დედას უნდა დაველაპარაკოთ. ბებიაშენს. წინააღმდეგი ხომ არ ხარ, მივწერო?

არაფერი მიპასუხა. დაიხარა, კედლის ქვედა ნაწილს ღებავდა. ბოლოს წამოდგა.

— იმას ჰგავს?

— ვის?

— ქალბატონი ტრეინორი ბატონ ტრეინორს ჰგავს?

ყუთიდან, რომელზეც ვიდექი, ჩამოვედი და ფუნჯი ქილის კიდეს შევაწმინდე.

— ის... სხვანაირია.

— იმის თქმა გინდა, რომ ძროხაა.

— ძროხა არ არის. ის უბრალოდ... უფრო მეტი დროა საჭირო მის კარგად გასაცნობად.

— იმის თქმა გინდა, რომ ძროხაა და არ მოვეწონები.

— სულაც არ მინდა ამის თქმა, ლილი. უბრალოდ ისეთი ვინმეა, ვინც ემოციებს იოლად არ გამოხატავს.

ლილიმ ამოიხვნეშა და ფუნჯი დადო.

— ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ვარ, ვინც ბებია და ბაბუა ასე გვიან აღმოაჩინა და არც ერთს არ მოეწონა.

ერთმანეთს მივაცქერდით. მოულოდნელად სიცილი აგვიტყდა. ქილას თავსახური დავაფარე.

— წამო, — განვაცხადე, — წავიდეთ.

— სად?

— შენ არ მეუბნებოდი, გართობა გჭირდებაო? შენ გადაწყვიტე, სად.

ყუთებიდან უამრავი მაისური ამოვიღე, სანამ ლილიმ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, რომელი იყო მისაღები. დავეთანხმე, პატარა, ჩაბნელებულ კლუბში წამიყვანა უესტ ენდთან ახ-

ლოს. დაცვის წევრები სახელით იცნობდნენ და აზრად არავის მოსვლია, რომ შეიძლება, თვრამეტი წლის არ ყოფილიყო.

— ოთხმოცდაათიანების მუსიკაა. ძველი დროის! — მხიარულად აღნიშნა და ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია იმისთვის, რომ მის თვალში ხანდაზმული ვიყავი.

მანამდე ვიცეკვეთ, სანამ უხერხულობა არ მომეხსნა; ტანსაცმელი გაგვიოფლიანდა, თმა აგვეწეწა და თეძოები ისე ამტკივდა, უკვე აღარ ვიცოდი, მომდევნო კვირის განმავლობაში ბარში ფეხზე დგომას თუ შევძლებდი. ისე ვცეკვავდით, თითქოს ცეკვის გარდა სხვა არაფრის კეთება არ გვევალებოდა. ღმერთო, რა კარგი შეგრძნება იყო! თურმე სიცოცხლის ხალისი დამვიწყებია, მუსიკაში, ხალხის ბრბოში თავდავიწყების. დამვიწყებია მასაში ყოფნის აღმაფრენა, საერთო პულსაციით ცხოვრება. რამდენიმე სასმლის შემდეგ ერთი-ორი საათით შევწყვიტე ყველაფერზე ფიქრი, პრობლემები — საშინელი სამსახური, წუწუნა უფროსი, დარდთან გამკლავების შეუძლებლობა — ჰელიუმის ბუშტებივით განარნარდნენ ჩემგან შორს. სიცოცხლით ავივსე, გავმხიარულდი. ლილის შევხედე, თვალები დაეხუჭა, შუბლზე თმა გადმოჰყროდა, კონცენტრაციისა და თავისუფლების ნაზავი ეწერა სახეზე, რომელიც მაშინ გეტყობა, როცა მუსიკის რიტმს ბოლომდე მინებდები. თვალები გაახილა და მინდოდა, გავწყრომოდი, რადგან აწეულ ხელში ბოთლი ეჭირა, რომლშიც კოკა-კოლა ნამდვილად არ ესხა, მაგრამ ჩემდა უნებურად, გავუღიმე — ფართო, ეიფორიული ღიმილით. გავოცდი, როგორ მოხდა, რომ მოზარდს, რომელიც საკუთარ თავსაც კი ძლივს იცნობდა, შეეძლო ჩემთვის ცხოვრებაზე ამდენი რამ ესწავლებინა.

თუმცა ღამის ორი საათი იყო, ჩვენ გარშემო ლონდონი გაჰკიოდა და მოძრაობდა. შევყოვნდით, რათა თეატრის, ჩინური წარწერისა და დათვად გადაცმული კაცის წინ ფოტოები გადაგვეღო (როგორც ჩანს, ყველა უმნიშვნელო შემთხვევაც კი ფო-

ტომტკიცებულებას მოითხოვს). შემდეგ, ავტობუსის ძებნაში, ხალხით გადატვირთულ ქუჩებში გზას მივიკვლევდით და გვიან ღამით მომუშავე საქაბაბეებს, ბობოქარ ლოთებს, სუტენიორებს, მწივანა, მოხითხითე გოგოებს ჩავუარეთ. მენჯები მტეხდა და ნოტიო ტანსაცმლის ქვეშ ცივი ოფლი შემაწუხებლად მაშრებოდა. თუმცა, ენერგიის მოზღვავებას კვლავ ვგრძნობდი.

— ღმერთმა უწყის, სახლში როგორ მივაღწევთ, — მხიარულად განაცხადა ლილიმ.

ამ დროს შეძახილი გავიგონე.

— ლუ! — სემი სასწრაფო დახმარების მანქანის ფანჯრიდან გადმოხრილიყო. საპასუხოდ ხელი დავუქნიე. მანქანა ლათინური უ-ს ტრაექტორიით მოატრიალა, — საით გაგიწევია?

— სახლისკენ, თუ ოდესმე ავტობუსს შევხვდებით.

— ამოძვერი, მიდი. მე არავის ვეტყვი თუ შენ არ გაამხელ. ცვლას უკვე ვასრულებთ, — გვერდით მჯდომ ქალს გადახედა, — გთხოვ რა, დონ. პაციენტია. დამტვრეული მენჯის ძვლებით. სახლში ფეხით ვერ გავუშვებთ.

ლილი ამ მოულოდნელი შემთხვევითობით დიდად აღტაცებული ჩანდა. უკანა კარი გაიღო და სასწრაფო დახმარების უნიფორმაში ჩაცმულმა ქალმა ფურგონში შეგვრეკა.

— სემ, ჩვენს თავს სამსახურიდან დაათხოვნინებ, — თქვა და გვანიშნა, დავმსხდარიყავით, — სალამი, მე დონა ვარ. მოიცა... შენ მახსოვხარ. ის გოგო ხარ...

— სახურავიდან რომ გადმოვარდა. ჰო.

ლილიმ თავისკენ მიმიზიდა სასწრაფო დახმარების მანქანაში ფოტოს გადასაღებად და დონას, რომელიც კვლავ თვალებს აბრიალებდა, მზერა ავარიდე.

— სად იყავი? — წინა სავარძლიდან გადმომძახა სემმა.

— საცეკვაოდ, — უპასუხა ლილიმ, — ვცდილობ, ლუისა დავარწმუნო, მოსაწყენი მოხუცივით ცხოვრებას შეეშვას. სირენას ვერ ჩავრთავთ?

— ვერა. სად იყავით? რომ იცოდე, ამას მეორე მოსაწყენი მოხუცი გეკითხება. მაინც არ მეცოდინება, რა ადგილია.

— „ოცდაორში“, — თქვა ლილიმ, — ტოტენჰემ კორტ როუდის უკან.

— ეს იქ არის, სადაც გადაუდებელი ტრაქეოტომია ჩავატარეთ, სემ.

— მახსოვს. გეტყობათ, სასიამოვნო დრო გაგიტარებიათ.

ჩვენი თვალები სარკეში ერთმანეთს შეხვდა და ლოყები ოდნავ შემეფაკლა. უეცრად ძალიან გამიხარდა, რომ საცეკვაოდ წამოვედით. ამ ფაქტმა სულ სხვა ადამიანად წარმომაჩინა. მხოლოდ ის ტრაგიკული, აეროპორტში მიმტანად მომუშავე გოგო აღარ ვიყავი, რომელიც თავისუფალ დროს სახურავიდან გადმოვარდნით ერთობოდა.

— შესანიშნავი იყო, — გაბადრულმა გამოვაცხადე.

სემმა კომპიუტერის ეკრანს დახედა.

— უჰ, მშვენიერია! „სპენსერისკენ“ მწვანედ აენთო.

— მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ვბრუნდებოდით, — თქვა დონამ, — ლენი სულ ასე რატომ გვექცევა? სადისტია ეგ კაცი.

— სხვა ყველა დაკავებულია.

— რა ხდება?

— გამოძახებაა. თქვენი დატოვება მომიწევს. მაგრამ შენი სახლიდან შორს არ არის. კარგი?

— წავედით „სპენსერისკენ“, — თქვა დონამ და მძიმედ ამოიოხრა, — ოჰ, ჩინებულია. თავი შეიმაგრეთ, გოგოებო.

სირენა ჩაირთო. ლონდონის მოძრაობაში ლურჯი ნათურების ციალით გავიჭერით. ლილი აღტაცებისგან წიოდა.

სანამ ჩვენ სახელურებს ვიყავით ჩაბღაუჭებული, დონა გვიყვებოდა, რომ ყოველღამე, სადგურში ღამის კლუბ „სპენსერიდან“ ზარი შემოდიოდა. იძახებდნენ, რათა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფთათვის მიეხედათ და ექვსი კათხა ლუდისგან აგრესიამოზღვავებული ახალგაზრდების ჭრილობები გაეკერათ.

— ეს ახალგაზრდები სიცოცხლით უნდა ტკბებოდნენ, ამის ნაცვლად კი ყოველ გამომუშავებულ ფუნტს სასმელში ხარჯავენ. ყოველკვირა ასეა.

რამდენიმე წუთში უკვე იქ გავჩნდით. სასწრაფოს მანქანამ სვლა შეანელა, რათა გარეთ გამოშლილ მთვრალებს არ დასჯახებოდა. კლუბ „სპენსერის“ ფანჯრებზე ეწერა: „გოგოებისთვის 10 საათამდე დალევა უფასოა“.

სემმა წინა კარი გააღო და ჩანთა მოიმარჯვა.

— შიგნით დარჩით, — გაგვაფრთხილა მანქანიდან გადაძრომამდე.

მისკენ პოლიციელი გაემართა და რაღაც გადაულაპარაკა. ვნახეთ, როგორ მივიდნენ ახალგაზრდა კაცთან, რომელიც ტროტუარზე იჯდა და გახეთქილი შუბლიდან სისხლი სდიოდა. სემმა მის გვერდით ჩაიმუხლა, პოლიციელი კი მთვრალ აბეზრებს, დახმარების მოსურნე მეგობრებსა და აქვითინებულ გოგოებს იგერიებდა. ახალგაზრდა თითქოს „მოსიარულე მკვდრების“ გადაღების მონაწილე კარგად ჩაცმული მსახიობებით იყო გარშემორტყმული, რომლებიც ხანდახან გონწართმეულებივით ირწეოდნენ და ღმუოდნენ, ზოგი მათგანი გასისხლიანებულიყო და ეცემოდა კიდეც.

— ვერ ვიტან ასეთ გამოძახებებს, — განაცხადა დონამ. პარკში სათითაოდ გახვეული სამედიცინო ნივთების ჩანთაში იქექებოდა, ჩვენ კი ვუყურებდით, — ხომ შეიძლება, მშობიარე ქალი ან სასიამოვნო ბებო შემხვდეს, რომელსაც გულის ჩივილები აწუხებს. ო, ღმერთო, გული მისდის!

სემი ახალგაზრდა კაცის სახეს ნიკაპით უწევდა, რომ დაზიანებები შეესწავლა, როცა მეორე ბიჭი, გელით გასქელებული თმითა და სისხლით გასვრილი პერანგით, მხარში სწვდა:

— ეი, სასწრაფო დახმარება მჭირდება!

სემი მთვრალი ბიჭისკენ ნელა მიტრიალდა. ბიჭი თან სისხლსა და ნერწყვს აფურთხებდა.

— უკან დაიხიე, მეგობარო, კარგი? მაცადე, მივხედო.

ბიჭი სასმელს გაესულელებინა. მეგობრებს გადახედა, მერე კი სემს კიდევ უფრო მიუახლოვდა და კბილებში გამოსცრა:

— ნუ მიბრძანებ, გავიწიო.

სემმა ყურადღება არ მიაქცია და პაციენტზე ზრუნვა განაგრძო.

— ეი! ეი, შენ! საავადმყოფოში მჭირდება წაყვანა, — თქვა და სემს ხელი ჰკრა, — ეი!

სემი თავიდან არ განძრეულა, კვლავ ჩამუხლული იყო. მერე მხრებში ნელა გაიმართა, მოტრიალდა, ისე რომ მისი სახე მთვრალის პირისპირ აღმოჩნდა.

— მარტივ ენაზე აგიხსნი, იქნებ გაიგო, შვილო. მანქანაში ვერ ჩაჯდები, გასაგებია? ამიტომ, ენერგიას ნუ დახარჯავ. მეგობრებთან ერთად წადი, ყინული დაიდე და დილით შენს ექიმს მიაკითხე.

— შენ ვერაფერს მიმითითებ! ხელფასს მე გიხდი. ცხვირი მაქვს გატეხილი, ამის დედაც!

სემი თვალებში მშვიდად უყურებდა, ბიჭმა ხელი მოუქნია და მკერდში ჩაარტყა. სემმა დახედა.

— ვაი! — წამოიძახა ჩემ გვერდით მდგომმა დონამ.

სემმა დაიგრგვინა:

— მაშ ასე? ახლა უკვე გაფრთხილებ...

— ვერ გამაფრთხილებ! — დამცინავი გამომეტყველებით თქვა ბიჭმა, — შენ ვერ გამაფრთხილებ! თავი ვინ გგონია?

დონა მანქანიდან გადმოხტა და პოლიციელისკენ გაიქცა. ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და ორივემ სემისკენ გაიხედა. დონას სახეზე მუდარა ეწერა. ბიჭი კვლავ ყვიროდა და იგინებოდა, სემს მკერდში ურტყამდა ხელს.

— ჯერ მე მომხედე, სანამ იმ იდიოტს მოუვლი!

სემმა საყელო შეისწორა. სახე სახიფათოდ დაუმშვიდდა.

სანამ გავაცნობიერე, რომ სუნთქვა შემეკრა, მათ შორის უკვე პოლიციელი ჩადგა. დონას სემის სახელო ეჭირა და უკან ექაჩებოდა, ტროტუარზე მჯდარი ახალგაზრდისკენ. პოლიციელმა რაციას რაღაც ჩასძახა და მთვრალს მხარში ჩაავლო ხელი. ბიჭი მოტრიალდა და სემს ქურთუკზე მიაფურთხა:

— შენი კარგიც!

ამას მცირე, გაოგნების დუმილი მოჰყვა. სემი დაიძაბა.

— სემ! წამო, ხელი შემაშველე, კარგი? შენი დახმარება მჭირდება, — დონა წინ გადაუდგა. სემს თვალები ისე ცივად და მტკიცედ უელავდა, თითქოს ბრილიანტები ყოფილიყო.

— გვეყოფა, — უთხრა დონამ, როცა ნახევრად გულწასული ბიჭი მანქანაში გადაჰყავდათ, — აქაურობას გავეცალოთ.

მანქანას მდუმარედ ატარებდა. ლილი და მე წინა სავარძელზე, მის გვერდით ჩაკვეხებულები ვისხედით. დონამ ქურთუკი გაუწმინდა. სემი დაჟინებით იყურებოდა გზისკენ, წვერიანი ყბა დასჭიმვოდა.

— უარესიც შეიძლებოდა, მომხდარიყო, — მხიარულად განაცხადა დონამ, — წინა თვეში ერთმა ზედ ჩემს თმაზე აღებინა. თან იმ პატარა ურჩხულმა ეს სპეციალურად გააკეთა. ყელში თითები ჩაიყო და ჩემკენ გამოიქცა, რადგან სახლში არ წავიყვანე. თითქოს ტაქსისტი ვიყავი.

წამოდგა და ენერგეტიკული სასმელისკენ გაიწოდა ხელი, რომელიც წინ შეენახა.

— დროსა და ენერგიას ტყუილად ვფლანგავთ. როცა ვფიქრობ, ამ სულელების მეთვალყურეობის ნაცვლად, რისი გაკეთება შეგვიძლია... — სასმელი მოსვა და თითქმის უგონო ბიჭს დახედა, — არ ვიცი. ნეტა, რა უტრიალებთ თავში.

— ბევრი არაფერი, — თქვა სემმა.

— ჰო. ამას თვალი არ უნდა მოვაცილოთ, — დონამ სემს მხარზე დაადო ხელი, — შარშან გაფრთხილება მისცეს.

სემმა გვერდულად გამომხედა. უეცრად დაიმორცხვა.

— ქომერშელ სტრიტზე გოგოს წამოსაყვანად მივედით. სახე გახეთქილი ჰქონდა. ოჯახში ძალადობის შემთხვევა იყო. საკაცეზე უნდა დამეწვინა, როცა მისი შეყვარებული პაბიდან გამოვარდა და ისევ გოგოსკენ გაიწია. თავი ვერ შევიკავე.

— გაარტყი?

— თან არაერთხელ, — ირონიულად თქვა დონამ.

— ჰო. ცუდი დრო იყო.

დონას სახე დაემანჭა და გამომხედა.

— სემი მეორედ შარში არ უნდა გაეხვეს, თორემ სამსახურიდან დაითხოვენ.

— გმადლობ სახლში წამოყვანისთვის, — ვუთხარი სემს, როცა მანქანიდან ჩამოგვსვა.

— ღია ცის ქვეშ გამართულ საგიჟეთში ხომ ვერ დაგტოვებდი, — მიპასუხა და ჩვენი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდა. მერე დონამ კარი დაკეტა და საავადმყოფოსკენ გასწიეს, კარაქივით ადღვებილი ადამიანური ტვირთი მიჰყავდათ.

— ნამდვილად მოგწონს, — მითხრა ლილიმ, როცა მიმავალ მანქანას გავყურებდით.

ლილის იქ ყოფნა აღარც კი მახსოვდა. ამოვიოხრე და გასაღების მოსაძებნად ჯიბეები მოვიქექე.

— ქალების მუსუსია.

— მერე რა? მასთან მეც დავწვებოდი, — განაცხადა ლილიმ, როცა კარი გავაღე, — ასაკით უფროსი და ცოტა უფრო უბედური რომ ვიყო. შენსავით.

— არა მგონია, ურთიერთობისთვის მზად ვიყო, ლილი.

ჩემ უკან მოდიოდა, ამიტომ ვერაფრით დავამტკიცებდი, მაგრამ შემეძლო დამეფიცებინა, რომ კიბეზე ამოსვლისას მემანჭებოდა.

თავი მეთორმეტე

მისის ტრეინორს მივწერე. ლილი არ მიხსენებია, უბრალოდ მოვიკითხე. ვაცნობე, მოგზაურობიდან დავბრუნდი-მეთქი. ვუთხარი, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში მის მახლობლად ვიქნებოდი მეგობართან ერთად და თუ ეცალა პირადად ვნახავდი. ფოსტით გავუგზავნე და საფოსტო ყუთში წერილის ჩაგდებისას უცნაურმა აღტაცებამ შემიპყრო.

მამამ ტელეფონზე მითხრა, მისის ტრეინორმა გრანტას სახლი უილის სიკვდილიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დატოვაო. უძრავი ქონების აგენტები გაოგნებულები დარჩნენ, თუმცა მე გამახსენდა, როგორ შევნიშნე ერთხელ ბატონი ტრეინორი დელასთან, იმ ქალთან, რომელთანაც უკვე ბავშვს ელოდება, ამიტომ გავიფიქრე, ნეტავ სინამდვილეში რამდენს გაუკვირდა-- მეთქი. პატარა ქალაქში ხომ იშვიათად ინახება საიდუმლო.

— ძალიან მძიმედ გადაიტანა განშორება, — თქვა მამამ, — როგორც კი სახლიდან წავიდა, ის წითური ქალი იმწამსვე იქ გაჩნდა. შანსი ხელიდან არ გაუშვა. ალბათ იფიქრა, სასიამოვნო, მოხუცი მამაკაცი, უზარმაზარი სახლით, დიდხანს არ დარჩება მარტოო. ამაზე გამახსენდა, ლუ. დედაშენს ხომ არ დაელაპარაკებოდი იღლიების შესახებ? თუ ასე გააგრძელებს, მალე ნაწნავების გაკეთებასაც კი შეძლებს.

მე კი კვლავ მისის ტრეინორზე ვფიქრობდი. ვცდილობდი წარმომედგინა, ლილის ამბავს როგორ შეხვდებოდა. თვალწინ დამიდგა ბატონი ტრეინორის გახარებული და უნდობელი გამომეტყველება მათი პირველი შეხვედრისას. ნეტა, ლილის გამოჩენა მისის ტრეინორს ტკივილს ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა? ზოგჯერ ვუყურებდი, როგორ იცინოდა ლილი ტელევიზორის ყურებისას ან უბრალოდ ფანჯრიდან იხედებოდა, ფიქრებში და-

კარგული და ისე ცხადად ვხედავდი უილის ნაკვთებს — ცხვირის ფორმას, სლავურ ყვრიმალებს — რომ სუნთქვა მავიწყდებოდა (ასეთ დროს ჩაიდუდღუნებდა: „გიჟივით ნუ მომშტერებიხარ, ლუისა! მაშინებ“).

ლილი ორი კვირით დასარჩენად მოვიდა. ტანია ჰაგტონ-მილერმა დარეკა, ჩვენი ოჯახი დასასვენებლად ტოსკანაში მიდის და ლილის წამოსვლა არ უნდაო.

— სიმართლე გითხრა, ისე იქცევა, არ ვიღელვებ თუ შენთან დარჩება. ძალიან მქანცავს.

შევნიშნე, რადგან ლილი სახლში თითქმის არ არის, თქვენ კი სახლის კარების საკეტები შეცვალეთ, ძალიან გაუჭირდება, ვინმე დაღალოს, თუ ფანჯარასთან არ დადგება და გოდებას არ დაიწყებს-მეთქი. ამას მცირე დუმილი მოჰყვა.

— ოდესმე, როცა შვილები გეყოლება, ლუისა, მიხვდები, რას ვგულისხმობ, — ეს ხომ ყველა მშობლის კოზირია — მე მათ ვერ გავუგებ, რადგან დედა არ ვარ!

ლილის შეფარების ხარჯების ასანაზღაურებლად ფული შემომთავაზა. დიდი სიამოვნებით ვუპასუხე, გულშიც არ გავივლებ ფულის გამორთმევას-მეთქი, თუმცა უფრო ძვირი მიჯდებოდა ლილის შენახვა, ვიდრე თავიდან ვფიქრობდი. ლილის, როგორც აღმოჩნდა, ვერ აკმაყოფილებდა გახუხული პური, ლობიო და ყველის სენდვიჩები, რომლითაც ჩემთან ვახშმობდა. ფულს მთხოვდა, მერე კი ქარხნული პურით, ეგზოტიკური ხილით, ბერძნული იოგურტითა და სოფლის ქათმით ბრუნდებოდა — საშუალოდ შეძლებული ოჯახის სამზარეულოსთვის დამახასიათებელი პროდუქტებით. გამახსენდა ტანიას სახლი, როგორ იდგა ლილი უზარმაზარი მაცივრის წინ და დაუფიქრებლად იყრიდა პირში ანანასის ნაჭრებს.

— სხვათა შორის, — ვკითხე, — მარტინი ვინ არის?

ჩემს სიტყვებს მცირე პაუზა მოჰყვა.

— მარტინი ჩემი ყოფილი პარტნიორია. როგორც ჩანს, ლილის დაჟინებული აქვს მისი ნახვა, მიუხედავად იმისა, რომ იცის, მე ამის წინააღმდეგი ვარ.

— მისი ნომერი შეიძლება გკითხოთ? უბრალოდ მინდა ვიცოდე, სად მიდის ხოლმე. სანამ თქვენ წასულები იქნებით.

— მარტინის ნომერი? რატომ უნდა მქონდეს მარტინის ნომერი? — გამკივანი ხმით მკითხა და ტელეფონი გათიშა.

ლილის გაცნობის შემდეგ რაღაც შეიცვალა. მხოლოდ ის არა, რომ მოზარდისგან გამოწვეულ უწესრიგობასთან შეგუება ვისწავლე, არამედ ისიც, რომ უკვე მსიამოვნებდა გოგონას არსებობა ჩემს ცხოვრებაში. ისეთი ადამიანის ყოლა, რომელთან ერთადაც სადილს მივირთმევდი, გვერდით ვეჯექი ტახტზე, ტელევიზორში ნაჩვენებ ამბებზე კომენტარს ვაკეთებდი ან არაფრისმთქმელ გამომეტყველებას ვინარჩუნებდი, როცა თავის გაკეთებულ საჭმელს მთავაზობდა.

— საიდან უნდა მცოდნოდა, რომ კარტოფილის სალათისთვის კარტოფილი უნდა მოხარშო? ეს ხომ სალათია, ღმერთმანი!

სამსახურში ყურს ვუგდებდი, ბარში მსხდომი, მივლინებაში მიმავალი მამები როგორ უსურვებდნენ შვილებს ძილი ნებისას: — დედა არ გააბრაზო, ლუკ... რა ქენი?.. მართლა? რა ჭკვიანი ბიჭი ხარ!

შვილზე მეურვეობის თაობაზე გესლიან დიალოგებსაც: — არა, არ მითქვამს, იმ დღეს სკოლიდან წამოვიყვან-მეთქი. ბარსელონაში წასვლა დაგეგმილი მქონდა... ჰო, ვაპირებდი... არა, არა, შენ ხომ არასდროს მისმენ.

მიჭირდა იმის დაჯერება, რომ შვილს გააჩენდი, შეიყვარებდი, მოუვლიდი და თექვსმეტი წლის რომ გახდებოდა ისე დაგღლიდა, კარზე საკეტებს შეცვლიდი მისგან თავის დასაღწევად. თექვსმეტი წლის მოზარდი ხომ ჯერ კიდევ ბავშვია. მართალია, თავი დიდ გოგოდ მოჰქონდა, მაგრამ მე მასში ბავშვს ვხედავდი.

ლილის ბავშვურობა მის უეცარ აღტაცებებსა და სწრაფად გაჩენილ ენთუზიაზმში გამოსჭვიოდა ხოლმე. ეს ჩანდა მის მოწყენილობაშიც, ჩემი აბაზანის სარკესთან სხვადასხვა ტანსაცმლით პოზირებაშიც და უცოდველ ძილშიც.

ჩემს დაზე ვფიქრობდი, ტომისადმი მის უანგარო სიყვარულზე. ჩემს მშობლებზე — როგორ გვაქებდნენ, დარდობდნენ და მხარს გვიჭერდნენ მე და ტრინას, ახლაც კი, როცა უკვე დიდები ვიყავით. ასეთ წუთებში ლილის ცხოვრებაში უილის არყოფნა ისევე მაწუხებდა, როგორც საკუთარში.

„აქ უნდა ყოფილიყავი, უილ, — მდუმარედ ვსაყვედურობდი, — ლილის, სინამდვილეში, შენ სჭირდები“.

ერთდღიანი შვებულება ავიღე — სრულიად უნამუსოდ მოვიქეცი რიჩარდის თქმით („სულ რაღაც ხუთი კვირაა დაბრუნდი. არ მესმის, რა საჭიროა, ისევ გაქრე“). გავუღიმე, ირლანდიელი მოცეკვავე გოგოსავით რევერანსი გავუკეთე და საღამოს სახლში წავედი. ლილი მისთვის გამოყოფილი ოთახის კედლებს მყვირალა მწვანედ ღებავდა.

— ხომ თქვი, ნათელი ფერები მინდაო, — გამომიცხადა, როცა პირდაღებულმა შევხედე, — ნუ იდარდებ. საღებავი საკუთარი ფულით ვიყიდე.

პარიკი მოვიხსენი, ფეხსაცმლის თასმები მოვუშვი:

— კარგი, ოღონდ საღამომდე მორჩი, ხვალ თავისუფალი დღე მაქვს, — ჯინსი ჩავიცვი და დავძინე, — მინდა რაღაცები განახო, რაც მამაშენს მოსწონდა.

შეჩერდა, საღებავი ხალიჩაზე დაეწვეთა.

— რა რაღაცები?

— ნახავ.

ის დღე მანქანაში გავატარეთ. ლილის აიპოდით მუსიკა ჩავრთეთ. ერთ წუთს თუ გულისგამგმირავი ბალადა ისმოდა სიყვარულზე, მეორე წუთს კაცობრიობის სიძულვილის ყურთასმენის

წამღები ჰიმნი გუგუნებდა. ხმაურის არაფრად ჩაგდებაში ისე დავოსტატდი, რომ სრული ყურადღება გზატკეცილისკენ მქონდა მიმართული. ლილი მუსიკის რიტმში აქნევდა თავს და წარმოსახვით დოლზე უკრავდა თითებით. ვფიქრობდი, კარგია, სასიამოვნოდ რომ გრძნობს თავს-მეთქი. თანაც, ვინ დაადგინა, რომ აუცილებელია ადამიანს ორივე ყურში ესმოდეს?

სტროტფოლდით დავიწყეთ. იმ ადგილებში წავიყვანე, სადაც მე და უილი ჩამოვსხდებოდით და ვჭამდით ან ქალაქის ზედა ნაწილში, მინდვრებში საპიკნიკოდ დავდიოდით ხოლმე. ვაჩვენე უილის საყვარელი სკამები სასახლის ბაღში. მთელი ამ დროის განმავლობაში ლილი თავაზიანად ცდილობდა, მოწყენილობა არ დასტყობოდა. სიმართლე ითქვას, არ იყო ადვილი, ეს მინდვრები დიდი ენთუზიაზმით დაგეთვალიერებინა. ჩამოვჯექი და მოვუყევი, თავიდან ჩვენი გაცნობისას უილი საერთოდ რომ არ გადიოდა სახლიდან, შემდეგ კი, ათასგვარი ხრიკისა და მოჩვენებითი დაბნეულობის წყალობით, მისი გარეთ გამოყვანა მოვახერხე.

— უნდა გესმოდეს, — ვუთხარი ლილის, — მამაშენს სძულდა სხვაზე დამოკიდებული ყოფნა. გარეთ გასვლისას კი სწორედაც სხვაზე დამოკიდებული ხდებოდა, თანაც, ამას ხალხიც ხედავდა.

— თუნდაც შენ ყოფილიყავი ის ადამიანი, ვისაც დაეყრდნობოდა.

— თუნდაც მე ვყოფილიყავი.

წუთით შეფიქრიანდა.

— მეც ვერ ავიტანდი, ხალხს ასეთ მდგომარეობაში ვენახე. სველი თმითაც კი არ მიყვარს გარეთ გასვლა.

ის გალერეა მოვინახულეთ, სადაც უილი მიხსნიდა განსხვავებას „კარგსა“ და „ცუდ“ თანამედროვე ხელოვნებას შორის (ახლაც ვერ ვარჩევ). ლილი კედელზე გამოფენილი ყველა ნიმუშის დანახვისას იჯღანებოდა. ღვინით მოვაჭრის მაღაზიაშიც შევყა-

ვით თავი, სადაც უილმა სხვადასხვა სახის ღვინო გამასინჯა („არა, ლილი, ღვინის დეგუსტაციას არ მოვაწყობთ“), მერე ტატუირების სალონში შევიარეთ, სადაც უილმა დამარწმუნა, სვირინგი გამეკეთებინა. ლილისაც მოუნდა და ფული მთხოვა (როცა უთხრეს, თვრამეტ წლამდე პირებს არ ვემსახურებითო, შვებისგან ლამის ავტირდი.). შემდეგ მოიწადინა, ჩემი პაწაწინა სვირინგი — ფუტკარი მეჩვენებინა. მგონი, ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა მასზე შთაბეჭდილება მოვახდინე. ხმამაღლა გაეცინა, როცა ვუთხარი, უილმა თავისთვის რა აარჩია მკერდზე ამოსასვირინგებლად: „ვარგისია: 2007 წლის 19 მარტამდე“.

— ორივეს ერთნაირი, შავი იუმორი გაქვთ, — აღვნიშნე და ლილიმ სცადა, არ შეემჩნია, როგორ ესიამოვნა.

ამ დროს მფლობელმა, რომელმაც ჩვენს საუბარს მოჰკრა ყური, გაიხსენა, რომ ფოტო ჰქონდა.

— ჩემი გაკეთებული ყველა სვირინგის სურათს ვინახავ, — ჩაილაპარაკა სქელ, აპრეხილ ულვაშებში, — მომწონს ჩანაწერების წარმოება. თარიღს ხომ ვერ შემახსენებთ?

მდუმარედ ვიდექით, სანამ ის ლამინირებულ საქაღალდეს ფურცლავდა. და აი, აქ იყო, უილის კარამელისფერ კანზე კოხტად შესრულებული შავ-თეთრი სვირინგის ორი წლის წინ გადაღებული ფოტო. დაჟინებით ვუყურებდი, ისეთი ნაცნობი იყო, სუნთქვა შემეკრა. მისი სხეულის პაწაწინა შავ-თეთრი ნაწილი, რომელსაც რბილი ნაჭრით ვბანდი, ვამშრალებდი, მზისგან დამცავ კრემს ვუსვამდი, რომელზეც სახეს ვადებდი. ხელი გავიწოდე, მაგრამ ლილიმ დამასწრო. დაკვნეტილი ფრჩხილები ნაზად გადაუსვა მამამისის სურათს.

— მგონი, მეც გავიკეთებ სვირინგს, — განაცხადა, — მისნაირს. როცა სრულწლოვანი გავხდები.

— აბა, როგორ არის ის ბიჭი?

ლილი და მე მოვტრიალდით. სვირინგების ოსტატი სკამზე იჯდა და მთლიანად მოხატულ მხარს იზელდა.

— კარგად მახსოვს. ბევრი პარალიზებული არ შემოდის ხოლმე, — გაიბადრა, — საინტერესო ტიპია, არა?

უეცრად ყელში ცრემლის ბურთი გამეჩხირა.

— გარდაიცვალა, — გაბედულად უპასუხა ლილიმ, — მამაჩემი იყო. გარდაიცვალა.

კაცი მოიღუშა.

— მაპატიე, ძვირფასო, წარმოდგენა არ მქონდა.

— შეიძლება, დავიტოვო? — ლილიმ სურათი საქაღალდიდან ამოაძვრინა.

— ცხადია, — მაშინვე დაეთანხმა კაცი, — თუ გსურს, წაიღე. აი, ჩასადებიც გქონდეს, ვაითუ გაწვიმდეს.

— გმადლობთ, — უპასუხა ლილიმ და ფოტო სახელოში შეიჩურთა. სანამ კაცი მორიგ ბოდიშს ლუღლუღებდა, სალონიდან გამოვედით.

მთელი დღის უჭმელებმა ლანჩი კაფეში მდუმარედ მივირთვით. ვიგრძენი, კარგი განწყობა სადღაც მიგვეპარებოდა და ვცადე, საუბარი წამომეწყო. ლილის მოვუყევი, რაც უილის რომანტიკულ თავგადასავლებსა და კარიერაზე ვიცოდი. ვუთხარი, ისეთი კაცი იყო, სურვილი გიჩნდებოდა ყველაფერში დაგთანხმებოდა — მასზე შთაბეჭდილების მოხდენა იქნებოდა ეს, თუ უბრალოდ მისი გაცინების მცდელობა-მეთქი. ისიც ვახსენე, როგორი იყო გაცნობის პირველ დღეებში, როგორ შეიცვალა მოგვიანებით, ხასიათი შეურბილდა. წვრილმანებით გახალისება ისწავლა, თუნდაც ამ წვრილმანების უმეტესობა ჩემი გამოჯავრება ყოფილიყო.

— საჭმელზე რომ მიდგებოდა საქმე, დიდად რისკიანი არ ვიყავი. დედაჩემი ოცდახუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ათ კერძს ამზადებდა ხოლმე. არც ერთი მათგანი არ ყოფილა კუს-

კუსი, პრასი ან გუაკამოლი. მამაშენი კი ყველაფერს მიირთმევდა.

— და ახლა შენც ბედავ?

— სხვათა შორის, გუაკამოლის რამდენიმე თვეში ერთხელ ვაგემოვნებ ხოლმე, უილის ხათრით.

— გემო არ მოგწონს?

— გემოს არა უშავს. უბრალოდ იმას ვერ შევეგუე, რომ წვინტლს ჰგავს.

მოვუყევი უილის ძველ შეყვარებულზე, როგორ შევუშალეთ ხელი საქორწილო ცეკვაში, როგორ შევუცვივდით საცეკვაო მოედანზე.

— მე უილის კალთაში ვიჯექი, ის კი — ეტლში.

ამის მოსმენისას ლილის სასმელი გადასცდა:

— მართლა? იმ გოგოს ქორწილში?

გადახურებულ პატარა კაფეში ისე ცხადად დავუხატე მამამისი, როგორც შემეძლო. იქნებ იმიტომ, რომ სახლის პრობლემებიდან შორს ვიყავით, ან იმიტომ, რომ მისი მშობლები სხვა ქვეყანაში იყვნენ, ან იმიტომ, რომ ვიღაცამ პირველად უამბო მამამისზე სახალისო, უბრალო ამბავი, გულით იცინოდა. შეკითხვები დამაყარა, თავს ისე მიქნევდა, თითქოს ჩემი პასუხები უდასტურებდნენ იმას, რასაც თავად ფიქრობდა. „ჰო, მართალია, ასეთი იქნებოდა. ჰო, შეიძლება, მეც ეგეთი ვარ“.

შუადღე საუბარში გავატარეთ, ჩაი გაგვიცივდა. მიმტანმა გოგომ კიდევ ერთხელ შემოგვთავაზა, წაეღო ტოსტის უკანასკნელი ნაჭერი, რომლის ჭამასაც ორი საათი მოვანდომეთ. უეცრად ერთ რამეს მივხვდი: პირველად მოხდა, რომ უილის გახსენებისას სევდა არ დამეუფლა.

— შენზე რას იტყვი?

— ჩემზე რა გითხრა? — პურის ქერქი პირში ჩავიგდე და მიმტანს თვალი შევავლე, რომელმაც ისე გამომხედა, თითქოს ჩემი

მოქმედება ჩვენს მაგიდასთან ხელახლა მიპატიჟების სიგნალად მიიღო.

— რა დაგემართა, როცა მამა გარდაიცვალა? როგორ ჩანს, მასთან ყოფნისას უფრო მეტ რამეს აკეთებდი, ვიდრე ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ეტლში იჯდა.

პურის ნატეხი ცომის გუნდად იქცა პირში. ძლივს გადავყლაპე. ბოლოს, როცა ყელი ჩამეწმინდა, ვუპასუხე.

— რაღაცებს ვაკეთებ ხოლმე. უბრალოდ დაკავებული ვარ, ვმუშაობ. როცა ცვლებზე ხარ დამოკიდებული, რთულია გეგმების შედგენა.

წარბები მაღლა აზიდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— მენჯიც საკმაოდ მტკივა. კლდეზე ცოცვისგან ჯერ თავს შევიკავებ.

ლილი ჩაის ურევდა უქმად ყოფნისგან თავგაბეზრებული.

— მოსაწყენი ცხოვრება არ მაქვს. სახურავიდან გადმოვარდნა უბრალო ამბავი არ იყო. მთელი წლის სამყოფი ვნებათაღელვა გამოვიარე.

— ეგ ვითომ რამის კეთებად ითვლება?

წუთით დავდუმდით. ღრმად ჩავისუნთქე, ვეცადე, ყურებში ატეხილი წუილი ჩამეხშო. ჩვენ შორის გაჩენილმა მიმტანმა ცარიელი თეფშები აიტაცა და ტრიუმფალურად გასწია სამზარეულოსკენ.

— უი, იმაზე მოგიყევი, მამაშენი რბოლაზე რომ წავიყვანე?

გზატკეცილზე მანქანა ყველაზე შეუფერებელ დროს გადამიხურდა, ლონდონიდან ორმოცი მილის დაშორებით. ლილი ამ ამბავს გასაოცარი ხალისით შეხვდა. ცნობისმოყვარეობით აღსავსეც კი ჩანდა.

— არასოდეს ვმჯდარვარ გაფუჭებულ მანქანაში. არც კი ვიცოდი, ასეთი რამ კიდევ თუ ხდებოდა.

მის ამ განცხადებაზე ყბა ჩამომივარდა (ხშირად მინახავს მამაჩემი თავის ძველ ფურგონს როგორ ევედრებოდა, დაძრულიყო. საუკეთესო ხარისხის საწვავს, ხშირად შემოწმებას, ულევ სიყვარულს ჰპირდებოდა, თუ სახლამდე მიაღწევდა). ლილიმ მითხრა, ჩემი მშობლები ყოველ წელს ახალ მერსედესს ყიდულობენო. ძირითადად იმიტომ, რომ ლილის ნახევარძმები ტყავის სალონს აზიანებდნენ.

გზატკეცილის განაპირას ვისხედით, ევაკუატორს ველოდებოდით. ყოველ ჯერზე, როცა სატვირთოები ქაოსურად ჩაგვიქროლებდნენ, ჩემი პატარა მანქანა ირხეოდა. ბოლოს ვიფიქრეთ, უფრო უსაფრთხო იქნებოდა, მანქანიდან გადმოვსულიყავით. გზის განაპირას ბალახზე დავსხედით. სამანქანო ხიდის მიღმა ვუყურებდით, როგორ მიინავლა ნაშუადღევის მზე ჩასვლისას.

— მარტინი ვინ არის? — ვკითხე, როცა მანქანის გაფუჭების თემა ამოვწურეთ.

ლილიმ ბალახი მოწყვიტა.

— მარტინ სტილი? ის კაცია, ვისთანაც გავიზარდე.

— მეგონა, ეგ ფრენსისი იყო.

— არა. სიფათმოტყნული როცა გამოჩნდა, უკვე შვიდი წლის ვიყავი.

— იცი, ლილი, სჯობს, ეგრე აღარ დაუძახო.

გვერდულად გამომხედა.

— კარგი. ალბათ, მართალი ხარ, — ბალახზე წამოწვა და ტკბილად გაიღიმა, — მაშინ სირნაკვთებას შევარქმევ.

— მოდი, ისევ სიფათმოტყნული დაუძახე. როგორ მოხდა, რომ მარტინს ჯერაც სტუმრობ ხოლმე?

— მარტინს? ის ერთადერთი კაცია, ვინც მამობა გამიწია. როცა ის და დედა ერთად იყვნენ, ძალიან პატარა ვიყავი. მუსიკო-

სია, შემოქმედი. ზღაპრებს მიყვებოდა, სიმღერებს იგონებდა ჩემთვის. მე უბრალოდ... — მიჩუმდა.

— რა მოხდა? მასა და დედაშენს შორის?

ლილი ჩანთას დასწვდა, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მოუკიდა. ღრმად ჩაისუნთქა და ბოლი გრძლად ამოუშვა, ლამის ყბა ამოიგდო.

— ერთ დღეს სკოლიდან უცხოელმა ძიძამ მომიყვანა სახლში. დედამ გამომიცხადა, მარტინი წავიდაო. ასე შევთანხმდით, რადგან ერთმანეთს ვეღარ ვეწყობითო, — მორიგი ნაფაზი დაარტყა, — დედას თქმით, მარტინს მისი პიროვნული ზრდა არ ადარდებდა თუ მომავლისადმი მის ხედვას არ იზიარებდა. რაღაც სისულელე. ჩემი აზრით, ფრენსისი გაიცნო და მიხვდა, მარტინი იმას ვერ მისცემდა, რაც სურდა.

— და რა სურდა?

— ფული და დიდი სახლი, მთელი დღე საყიდლებზე სიარული, მეგობრებთან ჭორაობა და ჩაკრების გასუფთავება თუ რაღაც ეგეთი. ფრენსისი ბანკში ბევრ ფულს შოულობს, — მომიტრიალდა, — მოკლედ, ერთ დღეს მამაჩემი მარტინი იყო — მამას ვეძახდი წასვლის დღემდე — მეორე დღეს კი აღარ იყო. საბავშვო ბაღსა და დაწყებით სკოლაში მას დავყავდი, მერე დედამ გადაწყვიტა, რომ მარტინი ყელში ამოუვიდა. სახლში მივედი და ის... წასული დამხვდა. სახლი დედასი იყო, ამიტომ წასვლა მარტინს მოუწია. აი, ასე. მე კი მისი ნახვის უფლება არ მაქვს, მასზე საუბრისაც კი, რადგან „რაღაცებს ვიგონებ და ყველაფერს ვართულებ“. დედა კი — „ძალიან იტანჯება და ემოციურ კრიზისშია“, — ლილიმ ტანიას ტონს შემაძრწუნებლად ზუსტად გამოაჯავრა, — როცა გავცეცხლდი, მითხრა, მარტინთან ურთიერთობის შენარჩუნებას აზრი არ აქვს, რადგან ის შენი ნამდვილი მამა არ არისო. აი, ასე შევიტყვე ეს ამბავი.

ლილის გაოგნებული მივაცქერდი.

— მერე კი ფრენსისი გამოჩნდა, უზარმაზარი თაიგულებითა და ოჯახური გასეირნებებით ძვირად ღირებულ სასტუმროებში. მე ძიძებთან მტოვებდნენ, სანამ თვითონ ნომერში ერთობოდნენ. ექვსი თვის შემდეგ დედამ პიცერიაში წამიყვანა. მეგონა, სიურპრიზს მიწყობდა და მარტინი დაბრუნდებოდა, მაგრამ გამომიცხადა, მე და ფრენსისი ვქორწინდებითო. ეს შესანიშნავი ამბავია, რადგან ფრენსისი ჩინებულ მამობას გაგიწევს და ძალიან უნდა გიყვარდესო.

ჰაერში რგოლი გაუშვა, რომელიც თანდათან გაფართოვდა და გაუჩინარდა.

— შენ კი ვერ შეიყვარე.

— მძულდა, — გვერდულად გამოაპარა მზერა, — ადვილი მისახვედრია, როცა ადამიანი უბრალოდ უძლებს შენს არსებობას და არ უყვარხარ. პატარაობაშიც კი. მე არასოდეს ვყვარებივარ, მხოლოდ დედაჩემი. მისი მესმის, ვის უნდა სხვა კაცის ბავშვი? ტყუპები რომ გაუჩნდათ, პანსიონატში გამაგზავნეს. აი, ასე. საქმე შესრულდა.

თვალები ცრემლებით აევსო, მინდოდა, ჩავხუტებოდი, მაგრამ ხელები მუხლებზე შემოიხვია და მზერა ერთ წერტილს მიაპყრო. რამდენიმე წუთი მდუმარედ ვისხედით, გზებზე მოძრაობამ იმატა, მზე კი კიდევ უფრო დაბლა ჩასრიალდა.

— იცი, მივაგენი მას.

ლილისკენ შევტრიალდი.

— მარტინს. თერთმეტის ვიყავი, ყური მოვკარი, ჩემი ერთი ძიძა მეორეს ეუბნებოდა, უფლება არ გვაქვს ვუთხრათ, რომ მარტინმა დარეკაო. დავემუქრე, თუ არ გამანდობ მის მისამართს, დედაჩემთან დაგაბეზღებ, ქურდობს-მეთქი. მისამართი შევამოწმე, აღმოჩნდა, რომ ჩვენი სახლიდან თხუთმეტი წუთის სავალზე ცხოვრობდა. პაიკროფტ როუდზე — იცი ეგ ქუჩა?

თავი გავაქნიე.

— გაუხარდა შენი დანახვა?

მცირე ყოყმანის შემდეგ მიპასუხა:

— ძალიან. ლამის იტირა. უზომოდ მომენატრეო. შენგან შორს ყოფნა საშინელებაა და როცა მოგინდება, მესტუმრეო. მაგრამ, თურმე ვიღაც ქალი გაუცნია, შვილიც ჰყავდათ. როდესაც ვიღაცის სახლში მიდიხარ, მათ კი შვილი ჰყავთ და ნამდვილი ოჯახი არიან, ხვდები, იქ შენი ადგილი არ არის. ნარჩენი ხარ.

— დარწმუნებული ვარ, ასე არავის უფიქ...

— ჰო, არ ვიცი. ის ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ვუთხარი, ვეღარ გნახავ-მეთქი. მეტისმეტად უხერხულია. მე ხომ მისი ნამდვილი ქალიშვილი არ ვარ. თუმცა, დღემდე ასე მომიხსენიებს. რა სისულელეა, — ლილიმ თავი გააქნია. ცოტა ხანს კიდევ ვისხედით, მერე ცას ახედა და თქვა, — იცი, რა მაწუხებს?

საკუთარ კითხვაზე პასუხის გაცემა დავაცადე.

— დედამ გათხოვებისას გვარი შემიცვალა. ჩემი საკუთარი სახელი, არც კი უკითხავს, ისე გადამიკეთა, — ხმა ოდნავ გაებზარა, — არ მინდოდა, ჰაგტონ-მილერი ვყოფილიყავი.

— ოჰ, ლილი.

სახეზე ხელისგული სწრაფად მოისვა, თითქოს ცრემლების რცხვენოდა. ღრმა ნაფაზი დაარტყა, სიგარეტი ბალახზე ჩააქრო და ხმაურიანად დაისრუტუნა.

— იცი, ბოლო დროს სირნაკვთება და დედა ბევრს ჩხუბობენ. არ გამიკვირდება, თუ დაშორდებიან. თუ ასე მოხდება, ეჭვგარეშეა, ისევ მოგვიწევს სახლისა და სახელის გამოცვლა. დედას ვერავინ ვერაფერს ეტყვის, რადგან მას „ტკივილის ატანა“, „ემოციებთან გამკლავება“ და მსგავსი სისულელეები მოუწევს. ორი წლის მერე კი მორიგი სიფათმოტყნული გამოჩნდება და ჩემი ძმები ჰაგტონ-მილერ-ბრენსონები ან ოზიმანდიასები ან ტუდლპიპები ან რამე ეგეთი გახდებიან, — ცალყბად გაეცინა, — სა-

ბედნიეროდ, მაგ დროს ოჯახიდან წასული ვიქნები. ალბათ ვერც შენიშნავს.

— მართლა გჯერა, რომ ასე ცოტას ნიშნავ მისთვის?

ლილიმ თავი გადააქნია და ასაკთან შედარებით უფრო მხცოვანის მზერით გადმომხედა — თვალებში გულისტკენა უჩანდა.

— ვუყვარვარ, მაგრამ საკუთარი თავი უფრო უყვარს. სხვა შემთხვევაში ისე არ მომექცეოდა, როგორც მექცევა.

თავი მეცამეტე

ბატონი ტრეინორის შვილი მეორე დღეს დაიბადა. ჩემმა ტელეფონმა დილის შვიდის ნახევარზე რომ დარეკა წამით გავიფიქრე, რაიმე საშინელება ხომ არ მოხდა-მეთქი. მაგრამ ეს სუნთქვაშეკრული და აცრემლებული ბატონი ტრეინორი აღმოჩნდა; ოდნავ გაოცებული, აღტაცებული ტონით გამომიცხადა:

— გოგოა! რვა ფუნტი (წონის ერთეული, უდრის 453,592 გრამს) და ერთი უნცია (წონის ერთეული, უდრის 28,3495 გრამს)! უნაკლო ბავშვია!

მიყვებოდა, რა ლამაზი ქალიშვილი შეეძინა, როგორ ჰგავდა უილის პატარაობას, რომ აუცილებლად უნდა ვესტუმრო და ბავშვი ვნახო. მერე მთხოვა, ლილი გამეღვიძებინა. ასეც მოვიქეცი. ძილნარევი და მდუმარე, ისმენდა, როგორ შეეძინა მას... მას... (ერთი წუთი დასჭირდათ, რომ მოეფიქრებინათ) მამიდა!

— კარგი, — უპასუხა ბოლოს. მერე, მცირე პაუზის შემდეგ დასძინა, — ჰო... რა თქმა უნდა.

ტელეფონი გათიშა და გამომიწოდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მერე დაკუჭული მაისური გადაიცვა, ისევ დასაძინებლად გასწია და კარი ხმაურით მიიხურა.

გულმოდგინედ შემუშავებული ჯანმრთელობის გეგმის გაყიდვის აგენტები, ჩემი გამოთვლებით, 10:45-ის რეისზე არ დაუშვეს. ვფიქრობდი, დამეზუსტებინა თუ არა ეს ფაქტი, როცა ბარში კარგად ნაცნობი ქურთუკი შევნიშნე.

— სასწრაფო სამედიცინო დახმარება აქ არავის სჭირდება, — ნელა გავემართე მისკენ, — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

— მაგ ჩაცმულობის ყურება არასოდეს მბეზრდება. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ.

სემი ბარის სკამზე აძვრა და იდაყვები დახლს ჩამოაყრდნო.

— შენი პარიკი... საინტერესოა.

ლურექსის ქვედაბოლო გავისწორე.

— სტატიკური ელექტრობის შექმნა ჩემი სუპერძალაა. ყავას ხომ არ მიირთმევდი?

— ჰო, გმადლობ. დიდხანს ვერ დავრჩები, — რადიოგადამცემი შეამოწმა და ჯიბეში ჩაიდო.

ამერიკანო მოვუმზადე. ვცდილობდი, არ შემტყობოდა, როგორ გამიხარდა მისი დანახვა.

— როგორ გაიგე, სად ვმუშაობ?

— მეთოთხმეტე გასასვლელთან გამოგვიძახეს. სავარაუდოდ, გულის შეტევაა. ჯეიკმა შემახსენა, აეროპორტში რომ მუშაობ. შენი პოვნა არ გამჭირვებია...

საქმოსნები მცირე ხნით დადუმდნენ. შევნიშნე, სემი ისეთი კაცი იყო, ვისი თანდასწრებითაც სხვები ჩუმდებოდნენ.

— დონა „დუთი ფრიში“ ჩანთების დასათვალიერებლად შეიპარა.

— პაციენტი, იმედია, ნახეთ?

გაიკრიჭა.

— არა, ყავის დალევის მერე ვაპირებდი, მეკითხა, საითაა მეთოთხმეტე გასასვლელი.

— რა სასაცილოა. გადაარჩინე სიცოცხლე?

— ასპირინი მივეცი და ვურჩიე, დილის ათ საათამდე ოთხი ორმაგი ესპრესო აღარასოდეს დალიოს. მოხარული ვარ, ჩემს სამუშაო დღეზე ასეთი დიდი წარმოდგენა რომ გაქვს.

სიცილი ვერ შევიკავე. ყავა გავუწოდე და მადიანად მოსვა.

— მაინტერესებდა... უახლოეს მომავალში, კიდევ ერთ არაპაემანზე რა აზრის ხარ?

— სასწრაფოს მანქანით თუ მის გარეშე?

— აუცილებლად სასწრაფო მანქანის გარეშე.

— შეიძლება, პრობლემური მოზარდები განვიხილოთ? — ნეილონის თმას თითზე ვიხვევდი, ვიპრანჭებოდი. რა სისულელეა! თმას ვეთამაშებოდი, რომელიც ჩემიც კი არ იყო. შევწყვიტე.

— რაც შენ გინდა, იმას განვიხილავთ.

— რას გეგმავ?

პასუხი ისე დიდხანს დააყოვნა, გავწითლდი.

— სადილს ჩემს სახლში, ამ საღამოს. გპირდები, თუ იწვიმებს, სასადილო ოთახში არ დაგტოვებ.

— ეგრე იყოს.

— რვის ნახევარზე გამოგივლი.

ყავის უკანასკნელ ყლუპს სვამდა, როცა რიჩარდი გამოჩნდა. ჯერ სემს შეხედა, მერე მე. ჯერაც ბარისკენ ვიყავი გადახრილი, სემისგან რამდენიმე ინჩი (სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 2.54 სმ-ს) მაშორებდა.

— რამე პრობლემაა? — იკითხა რიჩარდმა.

— არანაირი, — უპასუხა სემმა. როცა წამოდგა, რიჩარდზე ერთი თავით მაღალი იყო.

რიჩარდს სახეზე წამიერად გადაურბინა ფიქრებმა. ისეთი გამჭირვალე იყო მისი ფიქრები, თითოეულის განვითარებას ცხადად ვხედავდი. „რატომ არის ეს ექიმი აქ? რატომ არ აკეთებს ლუისა არაფერს? მინდა, ლუისას ვუსაყვედურო უსაქმურობისთვის, მაგრამ ეს კაცი მეტისმეტად ახმახია და ცოტა არ იყოს მაშინებს“. ლამის ხმამაღლა გამეცინა.

— მაშ, ამ საღამოს, — სემმა თავი დამიქნია, — პარიკი არ მოიძრო, კარგი? ადვილად აალებადი მომწონხარ.

მამაკაცებიდან ერთ-ერთი, ღაჟღაჟა და თვითკმაყოფილი, სკამს მიეყრდნო, ისე, რომ მუცელი პერანგზე ლამის გადაასკდა და იკითხა:

— ახლა ალკოჰოლის რაოდენობაზე ლექციის წაკითხვას გვიპირებ?

დანარჩენებს გაეცინათ.

— არა, დალიეთ, ბატონებო, — სემმა სამხედრო სალამით უპასუხა, — ერთ-ორ წელში გიხილავთ.

სემმა გასასვლელისკენ გასწია, პრესის კიოსკთან დონაც შეუერთდა. როცა ბარისკენ მოვტრიალდი, რიჩარდი მიყურებდა.

— უნდა აღვნიშნო, ლუისა, არ მომწონს, პირადი ცხოვრება სამსახურში რომ მოგაქვს.

— კარგი. შემდეგში ვეტყვი, ყურადღება არ მიაქციოს მეთოთხმეტე გასასვლელთან გულის შეტევის გამო გამოძახებას.

რიჩარდმა კბილები გააღრჭიალა:

— თანაც როგორ თქვა პარიკზე! ეგ პარიკი ირლანდიური ბარების ქსელის „შამროკისა და კლოვერის“ საკუთრებაა. თავისუფალ დროს მისი ტარების უფლება არ გაქვს!

ამჯერად ვეღარ მოვითმინე, სიცილი წამსკდა.

— მართლა?

სინდისი ეყო, ოდნავ გაწითლებულიყო.

— ასეთია კომპანიის მიდგომა. პარიკიც უნიფორმის კატეგორიაში გადის.

— ჯანდაბა, გამოდის, მომავალში ირლანდიელი მოცეკვავე გოგოს პარიკის ყიდვა მომიწევს. ეი, რიჩარდ! — გავძახე, როცა გაწიწმატებული კაბინეტში შედიოდა, — სამართლიანობა მოითხოვს, მისის პერსივალთან აღარ იმხიარულო, როცა სამსახურის პერანგი გაცვია.

სახლში მოსულმა აღმოვაჩინე, რომ ლილი გამქრალიყო. მხოლოდ სამზარეულოს დახლზე ბურღულეულის ყუთი და დერეფანში დატოვებული მიწის გროვა მოწმობდა მის ოდესღაც აქ ყოფნას. ტელეფონზე დავურეკე, არ მიპასუხა. დავფიქრდი, ნე-

ტავ, სად გადის ზღვარი მეტისმეტად ნერვიულ მშობელს, ზომიერად მღელვარე მშობელსა და ტანია ჰაგტონ-მილერის მსგავს დედას შორის-მეთქი? შემდეგ შხაპი გადავივლე და პაემნისთვის მოვემზადე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ იყო პაემანი.

წვიმდა. სემის ნაკვეთზე ჩვენი მისვლიდან მალე ცა გაიხსნა და ორივენი გავიწუწეთ, სანამ მცირე მანძილი გავირბინეთ მისი მოტოციკლიდან ვაგონამდე. წყალი წურწურით ჩამომდიოდა. სემმა კარი მოხურა. გამახსენდა, რა უსიამოვნო შეგრძნებაა, როცა ფეხზე სველი წინდები გაცვია.

— აქ დარჩი, — გამომიცხადა. ხელით ჩამოიფერთხა თმის ღერებზე ჩამოკონწიალებული წვეთები, — სველი ტანსაცმლით არ უნდა იჯდე.

— ეს ყველაფერი ძალიან ცუდი პორნოფილმის დასაწყისს ჰგავს, — ვუპასუხე. გაშეშდა და მაშინ გავაცნობიერე, რომ ეს სიტყვები ხმამაღლა ვთქვი. ყოყმანით გავუღიმე.

— კარგი, — მიპასუხა და წარბები მაღლა აზიდა.

ვაგონის უკან გაუჩინარდა და წუთის შემდეგ ჯემპრითა და სპორტული შარვლით დაბრუნდა.

— ჯეიკის შარვალია, ახლადგარეცხილი. დიდად პორნო ვარსკვლავის შესაფერისი ვერ არის, — ტანსაცმელი გამომიწოდა, — ჩემი ოთახი იქითაა, აბაზანა კი იქით, თუ იქ გირჩევნია გამოცვლა.

მის საძინებელში შევედი და კარი მივიხურე. თავზემოთ წვიმის წვეთები ხმაურიანად ეცემოდა ვაგონის სახურავს, ფანჯრებს წყლის დაუსრულებელი ნაკადით ფარავდა. წამით გავიფიქრე, ფარდები ჩამომეფარებინა, მაგრამ გამახსენდა, აქ ქათმების გარდა, რომლებიც ბუმბულებიდან წვეთებს მობუზულები იშორებდნენ, სხვა ვერავინ დამინახავდა. სველი მაისური და ჯინსი გავიხადე, ტანსაცმელთან ერთად მოტანილი პირსახოცით ტანი

გავიმშრალე. გასართობად, ფანჯრიდან ქათმებს ხელი გავუქნიე, რომ დაფანტულიყვნენ. ალბათ ლილიც ასე მოიქცეოდა. ფრინველებს ჩემი საქციელი არ მოეწონათ. პირსახოცი სახესთან მივიტანე და დანაშაულის გრძნობით სავსემ დავსუნე, თითქოს აკრძალული ნარკოტიკი ყოფილიყო. მართალია, სულ ახლახან გაერეცხათ, მაგრამ მამაკაცის სურნელი მაინც ასდიოდა. მსგავსი რამ უილის შემდეგ არ მიგრძნია. ოდნავ შევტორტმანდი და პირსახოცი საწოლზე დავდე.

ოთახის უმეტესი ნაწილი ორადგილიან საწოლს ეკავა. მოპირდაპირე მხარეს, ბუფეტის კარადა გარდერობის მაგივრობას სწევდა. კუთხეში კოხტად ელაგა ჩექმები. საწოლის გვერდით, მაგიდაზე, წიგნი და სემის ფოტო იდო, მოღიმარ ქალთან ერთად, რომელსაც ქერა თმა უკან შეეკრა. ხელი სემის მხარზე დაესვენებინა და კამერას გაბადრული უღიმოდა. სუპერმოდელივით თვალწარმტაცი არ იყო, მაგრამ მიმზიდველი ღიმილი ჰქონდა. ისეთი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ბევრს რომ იცინიან ხოლმე. გარეგნულად ჯეიკს ჰგავდა. უეცრად, ბიჭის გამო გულისგამგმირავი სევდა შემომაწვა და თავი მივაბრუნე, სანამ საბოლოოდ წამიხდებოდა ხასიათი. ზოგჯერ მეგონა, ყველა ჩვენგანი დარდის ჭაობში ვიყავით ჩაფლულები, გვერიდებოდა, გვეღიარებინა, როგორ ღრმად შევტოპეთ და ვიხრჩობოდით. ნეტა, იმიტომ ხომ არ იკავებდა თავს ცოლზე საუბრისგან, რომ არც მე ვძრავდი სიტყვას უილზე? ორივემ ვიცოდით — თუ საკუთარ ნაღველზე ჩურჩულითაც კი დაგცდება რაიმე, დარდი დიდი სოკოს ფორმის ღრუბლის ამოფრქვევასავით გადაფარავს ყველა სხვა საუბარს.

თავი შევათვალიერე და ღრმად ჩავისუნთქე.

— უბრალოდ ისიამოვნე საღამოთი, — ჩავილუღლუღე თავის შესაგულიანებლად და დარდთან გამკლავების წრეზე ნასწავლი

ფრაზა გამახსენდა, — მიეცი თავს უფლება, დატკბე ბედნიერი წუთებით.

თვალის ქვეშ ჩამოდღაბნილი მაკიაჟი მოვიწმინდე და სარკეში შევნიშნე, თმას ბევრს ვერაფერს ვუშველიდი. მერე სემის უზარმაზარი ჯემპრი გადავიცვი და ვეცადე, ყურადღება არ მიმექცია მამაკაცის ტანსაცმლის ტარებით გამოწვეული ინტიმურობის შეგრძნებისთვის. ჯეიკის შარვალიც ამოვიცვი და საკუთარ ანარეკლს დავაკვირდი.

„როგორ ფიქრობ, უილ? უბრალოდ სასიამოვნო საღამო. დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭო, არა?“

ოთახიდან გამოსულს გაბადრული სემი შემეგება, ხელები აიკაპიწა.

— თორმეტი წლისას ჰგავხარ.

აბაზანაში შევედი, ჩემი ჯინსი, მაისური და წინდები გავწურე და საშხაპის ფარდაზე გადავკიდე.

— რას ამზადებ?

— სალათას ვაპირებდი, მაგრამ სასალათე ამინდი აღარ არის. ამიტომ, იმპროვიზაციას მივმართე.

ღუმელზე ადუღებული წყლით სავსე ჯამი იდგა.

— პასტას ხომ მიირთმევ?

— ყველაფერს მივირთმევ.

— ჩინებულია.

ღვინის ბოთლი გახსნა და ჭიქა შემივსო, მანიშნა, სკამზე მოვთავსებულიყავი. ჩემ წინ ორი კაცისთვის გაეშალა მაგიდა. უცნაური გრძნობა დამეუფლა. პატარ-პატარა სიამოვნებებით ტკბობას არაფერი უშავდა. საცეკვაოდ ვიყავი, ქათმები დავფანტე. ახლა კი ვისიამოვნებდი საღამოს იმ მამაკაცთან გატარებით, რომელიც სადილს მიმზადებდა. ეს ყველაფერი წინ გადადგმულ ნაბიჯად მენიშნა.

მგონი, სემმა ჩემი შინაგანი ბრძოლა შენიშნა, რადგან დამელოდა, სანამ პირველ ყლუპს მოვსვამდი, თვითონ კი რაღაცას ურევდა ღუმელზე და მკითხა:

— ეგ კაცი, დღეს რომ ვნახე, ის შენი უფროსია, რომელსაც ახსენებ ხოლმე?

ღვინო გემრიელი აღმოჩნდა. მეორე ყლუპიც მოვსვი. ლილის ჩემთან ყოფნისას დალევას ვერ ვბედავდი, არ მინდოდა, მოვდუნებულიყავი.

— ჰო.

— ვიცნობ ეგეთებს. თუ გულს მოგიოხებს, გეტყვი — ხუთი წელიწადში კუჭის წყლული დაემართება, ან ჰიპერტენზია, რომელიც იმპოტენციას გამოიწვევს.

გამეცინა.

— ორივე ვარაუდი უცნაურად სასიამოვნო მოსასმენია.

ბოლოს დაჯდა და მაგიდაზე ორთქლადენილი პასტა დადო.

— გაგიმარჯოს, — წარმოთქვა და ჭიქა მაღლა ასწია, — ახლა მომიყევი, ის შენი გზააბნეული გოგო როგორ გყავს.

გულზე მომეშვა, ვიღაცასთან საუბარი რომ შევძელი. მიუჩვეველი ვიყავი ვინმესგან მოსმენას — ბარის კლიენტებს მხოლოდ საკუთარი ხმის მიყურადება სიამოვნებდათ და სემთან ლაპარაკი ნამდვილი აღმოჩენა იყო. არ შემაწყვეტინა, არც საკუთარი აზრი დააფიქსირა, არც რჩევა მომცა. უბრალოდ მისმენდა, თავს მიქნევდა, ჭიქას მივსებდა და ბოლოს, როცა გარეთ ჩამობნელდა, თქვა:

— დიდი პასუხისმგებლობა გიკისრია.

სკამზე გადავიხარე და ფეხი ფეხზე გადავიდე.

— არა მგონია, არჩევანი მქონდეს. სულ იმას ვეკითხები თავს, რაც შენ მითხარი: რა ენდომებოდა უილს, რომ გამეკეთებინა? — ღვინო მოვსვი, — უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ვფიქრობდი, ბაბუასა და ბებიას გავაცნობდი, ყველას

გაუხარდებოდა და ამ ამბავს ბედნიერი დასასრული ექნებოდა. ისევე, როგორც სატელევიზიო შოუებში ხდება ხოლმე.

ის თავის ხელებს აკვირდებოდა, მე — მას.

— გიჟი გგონივარ, ხომ, ამ ყველაფერში რომ თავი გავყავი.

— არა. ძალიან ბევრი ადამიანი ისე ეძებს საკუთარ ბედნიერებას, თავის გამოწვეულ ზიანზე არ ფიქრობს. ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ბავშვებს ვაწყდები შაბათ-კვირის გამოძახებებისას — მთვრალებს, ნარკოტიკებმიღებულებს, გონწართმეულებს, რას აღარ. მშობლები ისე არიან საკუთარ საქმეებში ჩაფლულები, ან საერთოდ არ ჩანან, რომ შვილებს ვაკუუმში უწევთ ცხოვრება და არასწორ ნაბიჯებს დგამენ.

— ახლა უფრო უარესადაა საქმე ვიდრე ადრე?

— ვინ იცის? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ უამრავი გზასაცდენილი ბავშვი მხვდება და ის, რომ ფსიქიატრის კართან მომლოდინე ახალგაზრდების სია შენი მკლავის სიგრძე იქნება, მშრალად გაიღიმა, — მომაწოდე ეგ საპნის ყუთი. ქათმები უნდა გავაჩუმო.

მინდოდა მაშინვე მეკითხა, ასეთ ბრძენ ადამიანს როგორ შეეძლო ასე დაუდევრად მოპყრობოდა საკუთარი ვაჟის გრძნობებს. მინდოდა მეკითხა, თუ იცოდა, როგორი უბედური იყო ჯეიკი. მაგრამ მეტისმეტად უხეშად გამომივიდოდა, თანაც ისეთი გემრიელი ვახშამი მომიმზადა... საკმაოდ გავერთე ფანჯრიდან ქათმების ცქერით, რომლებიც თითო-თითოდ ხტებოდნენ საქათმეში. მერე კი შემობრუნდა და ცივი ჰაერის სურნელი შემოიტანა; მომენტმა უთქმელად ჩაიარა.

ღვინო კვლავ დამისხა და მეც დავლიე. ვტკბებოდი პატარა ვაგონის მყუდროებით, კარგად გამოვსებული მუცლით და სემის სმენით. მიყვებოდა იმ ღამეებზე, როცა მოხუცების ხელები ეჭირა, რომლებსაც აღარ სურდათ ვინმე შეეწუხებინათ; ზემდგომები მათ თავს უვარგისად აგრძნობინებდნენ იმ საქმისათვის, რომელსაც მთელი ცხოვრება შეალიეს. ვუსმენდი და ვიკარგებოდი

სამყაროში, რომელიც ასე შორს იყო ჩემგან. ვუყურებდი, როგორ ხატავდა ხელით ჰაერში წრეებს, მის ნაღვლიან ღიმილს, როცა თავს ატყობდა, რომ მეტისმეტად დასერიოზულდა. ვუყურებდი მის ხელებს. მის ხელებს ვუყურებდი.

ლოყები ოდნავ შემეფაკლა, როდესაც მივხვდი, საით მიქროდნენ ჩემი ფიქრები და მათ შესანიღბად მორიგი ყლუპი მოვსვი.

— ჯეიკი სად არის?

— დღეს თითქმის არ მინახავს. თავის შეყვარებულთანაა, მგონი, — ისევ სევდა შეეპარა, — იმ გოგოს ვოლტონების მსგავსი ოჯახი ჰყავს, მილიარდობით და, ძმა და დედა, რომელიც მთელი დღე სახლშია. ჯეიკს იქ ყოფნა ძალიან უყვარს, — წყალი მოსვა, — და ლილი სად არის?

— არ ვიცი. ორჯერ მივწერე, მაგრამ თავი არ შეუწუხებია, ეპასუხა.

თავგზას მიბნევდა მისი სიახლოვე. თითქოს დანარჩენ კაცებზე ორჯერ დიდი და ორჯერ მგზნებარე იყო. ფიქრები ისევ მეფანტებოდა, მისი თვალების მოძრაობას დაჰყვებოდა, რომლებსაც ცოტათი ჭუტავდა, როცა მისმენდა. თითქოს, ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად გაიგო, რასაც ვამბობდი... მისი ოდნავ ამოწვერილი ნიკაპი, ჯემპრის რბილი შალის ქვეშ გამოკვეთილი მხრების ფორმები... მზერა გამუდმებით მაგიდაზე დალაგებული მისი ხელებისკენ მეპარებოდა. გონებაგაფანტული აკაკუნებდა თითებს ზედაპირზე. მარჯვე ხელები. გამახსენდა, როგორ ნაზად ამიწია ამ ხელებით თავი, როგორ ვიყავი ჩაბღაუჭებული მათ სასწრაფოს მანქანაში, თითქოს მხოლოდ ის შემამაგრებდა. შემომხედა და თბილად გამიღიმა. ჩემში რაღაც დადნა.

— ყავა გინდა, ლუისა?

თავისებურად მიყურებდა. თავი გავაქნიე.

— ხომ არ გინდა...

სანამ დაფიქრებას მოვასწრებდი, მაგიდაზე გადავიხარე, კეფაზე ხელი მოვხვიე და ვაკოცე. სულ ერთი წუთით შეყოყმანდა, მერე კი ჩემკენ მოიწია და საპასუხოდ მაკოცა. მგონი, რომელიღაცამ ღვინის ჭიქა გადავაყირავეთ, მაგრამ ვერ ვჩერდებოდი. მინდოდა ცხოვრების ბოლომდე მეკოცნა. ყოველგვარი ფიქრი, თუ რა გრძნობა იყო ეს, რას ნიშნავდა, რა გაუგებრობაში ვეხვეოდი, ჩავახშვე.

— მიდი, რა, იცხოვრე, — შევიგულიანე თავი. მანამდე ვკოცნიდი, სანამ ყოველგვარი საღი აზრი არ გამეფანტა და საკუთარი გულისცემის რიტმს არ ავყევი.

პირველი ის შეჩერდა, ოდნავ თავბრუდახვეული:

— ლუისა...

იატაკზე ჩანგალი წკარუნით დაეცა. ავდექი და ისიც ადგა, თავისკენ მიმიზიდა. უეცრად, ვაგონის კედელს მივეყრდენით, ვგრძნობდი მის ხელებს, ტუჩებს და სურნელს. თითქოს ჩემს არსებაში ფეირვერკები აენთო და ის ნაწილი გამოცოცხლდა, რომელიც გარდაცვლილი მეგონა. ხელში ამიყვანა, ძლიერი, დაკუნთული მკლავებით. სახეს ვუკოცნიდი, ყურებს, თითებით რბილ, შავ თმაზე ვეფერებოდი. მერე კი დამსვა, ერთმანეთისგან მხოლოდ მცირე მანძილი გვაშორებდა. თვალებში მიყურებდა და უსიტყვოდ მეკითხებოდა, როგორ მოქცეულიყო.

მძიმედ ვსუნთქავდი.

— იმ შემთხვევის მერე... არავის ვუნახავვარ შიშველი.

— არა უშავს, მე ხომ სამედიცინო განათლება მაქვს.

— სერიოზულად გეუბნები. საშინლად გამოვიყურები, — ვუთხარი მოულოდნელად ცრემლმორეულმა.

— გინდა, თავი უკეთ გაგრძნობინო?

— ეგ ყველაზე ყალბი წინადადებაა, რაც...

მაისური აიწია და მუცელზე ორი ინჩის სიგრძის იასამნისფერი იარა დამანახა.

— აი, აქ შეშლილმა ავსტრალიელმა დამჭრა, ოთხი წლის წინ. აქ კი, — შემოტრიალდა და ზურგზე უზარმაზარი, მომწვანო-მოყვითალო დაჟეჟილობა მიჩვენა, — გასულ შაბათს მთვრალმა დამარტყა. ქალმა, — ხელი გამოიშვირა, — აი, მოტეხილი თითი. საკაცეში ჩამყვა, მძიმეწონიანი პაციენტის აწევისას. და, ჰო, ეს, — ბარძაყთან მიმითითა, რომელსაც მოკლე, მოვერცხლისფრო, დაკბილული იარა მიუყვებოდა, — გაურკვეველი წარმოშობის ნაჩხვლეტი ჭრილობაა, შარშან ჰაკნი როუდზე ღამის კლუბში ჩხუბისას მიღებული. პოლიციამ დღემდე ვერ გაარკვია, ვინ დამარტყა.

შევყურებდი მას და მის იარებს.

— ეს რა არის? — ვკითხე და მუცლის კიდეში პატარა ნაჭრილობევს ნაზად შევეხე. მაისურის ქვეშ კანი უხურდა.

— ეგ? ოჰ. ბრმა ნაწლავი. ცხრა წლის ვიყავი.

ჯერ მის სხეულს ვუყურებდი დაჟინებით, მერე — სახეს. ერთმანეთს თვალებში შევცქეროდით. ნელა გავიძვრე ჯემპრი. ჩემდა უნებურად გამაჟრჟოლა, თავადაც ვერ გამერკვია ნერვიულობისგან თუ ცივი ჰაერისგან. ახლოს მოიწია, ისე ახლოს, სულ რამდენიმე ინჩი გვაშორებდა. ჩემს ნაიარევს ფაქიზად დაუსვა ხელი.

— მახსოვს. ისიც მახსოვს, ვგრძნობდი, რა ადგილას გქონდა გადამტვრეული, — მერე ხელი მუცელზე გადამატარა. კუნთი დამეჭიმა, — და აქ კანზე იასამნისფერი დაბეჟილობა გეტყობოდა. მაშინ შემეშინდა, მეგონა, ორგანო დაგიზიანდა, — თბილი ხელისგული მომადო და სუნთქვა შემეკრა.

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სიტყვები „ორგანოს დაზიანება“, შეიძლება ასე ვნებიანად მომჩვენებოდა.

— ოჰ, ჯერ სად ხარ.

უკუსვლით თავისი საძინებლისკენ გამიძღვა. დავჯექი, თვალი თვალში გავუყარე. ჩემ წინ ჩაიმუხლა და ფეხებზე ხელი ჩამომისვა. მარჯვენა ფეხი ამიწია, მთელ სიგრძეზე წითელი ნაიარევი მეტყობოდა. ცერა თითი ნაზად დაუსვა.

— აი, აქ იყო მოტეხილი. რბილი ქსოვილიც დაზიანებული გქონდა. ძალიან გეტკინებოდა.

— ბევრი რამ გახსოვს.

— პაციენტების უმეტესობას მეორე დღესაც ვერ ვცნობ თუ სადმე შემხვდნენ. შენ კი, ლუისა, შენ გონებაში ჩამრჩი, — თავი დახარა და ფეხზე მაკოცა, მერე მომეფერა, — ახლა ხომ აღარაფერი გტკივა?

დამუნჯებულმა თავი გავაქნიე უარის ნიშნად. აღარაფერი მადარდებდა. არ მანაღვლებდა მექალთანე იყო თუ არა, ან მეთამაშებოდა თუ არა. ისე მინდოდა მასთან ყოფნა, ალბათ, იმასაც არაფრად ჩავაგდებდი, ჩემთვის მეორე ფეხიც რომ მოეტეხა.

ნელა მიახლოვდებოდა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ტალღასავით. მე გაშეშებული ვიწექი. მის ყოველ მოძრაობასთან ერთად სუნთქვა მიხშირდებოდა. ბოლოს, საკუთარი სუნთქვის გარდა არაფერი მესმოდა. დიდხანს მათვალიერა, მერე თვალები დახუჭა და მაკოცა, ნელა და ნაზად. მკოცნიდა და საკუთარი წონით ისე ფრთხილად მაწვებოდა, რომ მხოლოდ ლტოლვის ტკბილ ძალაუფლებას მაგრძნობინებდა ჩემს სხეულზე გადმოფარებული სხეულის სიმკვრივე. ერთმანეთს ვკოცნიდით, ტუჩებს ყელზე მადებდა, ერთმანეთს კანით ვეხებოდით, მერე გაბრუებული ავეკარი და ფეხები შემოვხვიე.

— ო, ღმერთო, — აღმომხდა ბოლოს, როცა სულის მოსათქმელად შევჩერდით, — ნეტავ, ასეთი დიდი შეცდომა არ იყო ჩემთვის.

წარბები მაღლა აზიდა.

— ოჰ... რა მაცდურად ჟღერს.

— იმედია, ახლა ტირილს არ აპირებ.

თვალები აახამხამა.

— მმ... არა.

— რომ იცოდე, ვიღაც გადარეული არ ვარ. კუდში დევნას არ დაგიწყებ, არც ჯეიკს ვთხოვ, შენზე მომიყვეს, სანამ აბაზანაში იქნები.

— ეგ... კარგია.

როგორც კი წესები ჩამოვაყალიბეთ, გადმოვტრიალდი, ზემოდან მოვექეცი და იმდენ ხანს ვკოცნიდი, სანამ ყველაფერი არ დამავიწყდა, რაზეც შევუთანხმდი.

საათ-ნახევრის შემდეგ, ზურგზე ვიწექი და ძილმორეული ჭერს ავყურებდი. კანი მიხურდა, ძვლები მტეხდა, სხეული ისეთ ადგილებში მტკიოდა, სადაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მაგრამ სიმშვიდეს ვგრძნობდი, თითქოს შინაგანად დავდნი და ახალი ფორმა მივიღე. მეგონა, ვერასოდეს წამოვდგებოდი.

„არასოდეს იცი, რა მოხდება, როცა დიდი სიმაღლიდან ვარდები“.

ეს გოგო მე არ ვიყავი. გასული ოცი წუთის გახსენებაზეც კი ვწითლდებოდი. ნუთუ მე მართლა... მოგონებები წრეებივით ბრუნავდა. ასეთი სექსი არასოდეს მქონია. არც ერთხელ, პატრიკთან ურთიერთობის შვიდი წლის განმავლობაში. თითქოს უბრალო ყველის სენდვიჩს ვადარებდი... ფრანგულ სამზარეულოს? უზარმაზარ სტეიკს? ჩემდა უნებურად გამეცინა და პირზე ხელი მივიფარე. საკუთარ თავს ვერ ვცნობდი.

სემი ჩემ გვერდით თვლემდა. თავი მივატრიალე, რათა მისთვის შემეხედა. „ღმერთო ჩემო“, — გავიფიქრე და მისი სახის თვალიერებით დავტკბი. შეუძლებელი იყო, მისთვის გეყურებინა და შეხება არ მოგსურვებოდა. ნეტავ ხომ არ უნდა დავხრილიყავი ცოტა უფრო და ხელიც ისე...

— გამარჯობა, — ნამძინარევი ხმით მითხრა, თვალები ჯერ კიდევ მოჭუტული ჰქონდა.

...და უცებ თავში დამარტყა.

„ო, ღმერთო, მეც ერთ-ერთი მათგანი გავხდი“.

ტანსაცმლის ჩაცმისას ხმა თითქმის არ ამოგვიღია. სემმა ჩაი შემომთავაზა, მაგრამ ვიუარე. ვუთხარი, სჯობს დავბრუნდე და ვნახო, ლილი სახლშია თუ არა-მეთქი.

— თან მისი ოჯახი სამოგზაუროდაა წასული, — ახლადმოწესრიგებულ თმაზე თითები გადავისვი.

— კარგი. უი, ახლავე გინდა წასვლა?

— ჰო... თუ შეიძლება.

აბაზანაში ჩემი ტანსაცმელი ავიღე. უეცრად გამოვფხიზლდი და საკუთარ თავში ეჭვი შემეპარა. არ უნდა ენახა, როგორი გაუწონასწორებელი ვიყავი. მთელი არსებით ვცდილობდი, მისგან თავი შორს დამეჭირა და უხერხულობას ვგრძნობდი. გამოსულს ის უკვე ჩაცმული დამხვდა. მაგიდას ალაგებდა. ვცადე, არ შემეხედა მისთვის. ასე უფრო გამიადვილდებოდა.

— შეიძლება, შენი ტანსაცმლით წავიდე სახლში? ჩემი ჯერ კიდევ სველია.

— რა თქმა უნდა... მაგრამ... როგორც გინდა, — უჯრა გაქექა და პარკი მომაწოდა.

გამოვართვი და მცირე ხანს ასე ვიდექით, სიბნელეში.

— სასიამოვნო... საღამო იყო.

— სასიამოვნო, — ჩემი ნათქვამი სიტყვა გაიმეორა, თითქოს რაღაც ამოცანის ამოხსნას ცდილობდა, — გასაგებია.

ნესტიან ღამეში მოტოციკლით რომ მივქროდით, ვცდილობდი, ლოყა მის ზურგზე არ ჩამომედო. დაიჟინა, ტყავის ქურთუკს გათხოვებო, მიუხედავად ჩემი მტკიცებისა, რომ არ მციოდა. თუმცა, რამდენიმე მილის შემდეგ ისე აცივდა, ძალიან გამომადგა. ჩემს ბინაში თორმეტის თხუთმეტ წუთზე მივაღწიეთ. ისეთი

შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მას შემდეგ, რაც გამომიარა, უკვე რამდენიმე ცხოვრება განვვლე.

მოტოციკლიდან ჩამოვედი და მისი ქურთუკის გახდა დავიწყე. მან კი მოტოციკლი დააყენა და მითხრა:

— გვიანია. კარამდე მაინც მიგაცილებ.

შევყოყმანდი.

— კარგი. თუ დამელოდები, ტანსაცმელსაც გაგატან.

ვცადე, უდარდელი ხმა მქონოდა. სემმა მხრები აიჩეჩა და კარისკენ გამომყვა.

კიბეზე ასულებს, დერეფნიდან მუსიკის ხმა შემოგვესმა. მაშინვე მივხვდი, საიდან მოდიოდა. დერეფანი სწრაფად გავიარე, კარის წინ შევჩერდი და ნელა გავაღე. ლილი ოთახის შუაში იდგა, ცალ ხელში სიგარეტი ეჭირა, მეორეში — ღვინის ჭიქა. ჩემი ყვითელი, ყვავილებიანი კაბა ეცვა, რომელიც ძველებური ნივთების მაღაზიაში ვიყიდე მაშინ, როცა საკუთარ ჩაცმულობას ყურადღებას ვაქცევდი. გაოგნებული მივჩერებოდი — არც იმას გამოვრიცხავ, რომ როცა მივხვდი, კიდევ რა ეცვა, ფეხი დამიცდა — სემმა ხელი შემომაშველა.

— ლამაზი ტყავია, ლუისა!

ლილიმ ფეხის თითები წინ გამოიშვირა. ჩემი მწვანე, ბრჭყვიალა ფეხსაცმელები ეცვა.

— ამათ რატომ არ იცვამ? რამდენი მაგარი რამე გქონია, შენ კი მარტო ჯინსებსა და მაისურებში დადიხარ. რა მოსაწყენია!

ჩემს ოთახში შევიდა და წუთის შემდეგ ოქროსფერ კომბინეზონში გამოწყობილი დაბრუნდა, რომელსაც ყავისფერ ჩექმებს ვუხამებდი ხოლმე.

— შეხედე! უკვე არსებობს კომბინეზონი, რომლისაც ძალიან მშურს!

— გაიხადე, — ვუთხარი, როცა ხმის ამოღება შევძელი.

— რა?

— ეგ კოლჰოტი. გაიხადე, — დაძაბული, უჩვეული ხმა აღმომ-ხდა.

ლილიმ შავ-ყვითელ კოლჰოტზე დაიხედა.

— არა, მართლა, ძალიან მაგარი ძველებური ტანსაცმელი გაქვს. ბიბა, დVფ, ის იასამნისფერი შანელი. იცი რა ძვირი ღირს ეგეთი რამეები?

— გაიხადე-მეთქი!

ეტყობა, სემმა ჩემი უხეში ტონი შენიშნა, უკან გამქაჩა.

— იქნებ მისაღებ ოთახში გავსულიყავით და...

— ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ გაიხდის.

ლილი დაიჯღანა.

— ღმერთმანი, რა ბავშვივით იქცევი!

ბრაზით ვკანკალებდი, ლილიმ ჩემი კოლჰოტის გახდა დაიწ-ყო და როცა იოლად არ ჩამოსრიალდა, ჩამოქაჩა.

— არ გახიო!

— ეს ხომ მხოლოდ კოლჰოტია!

— არ არის მხოლოდ კოლჰოტი! ეს... ნაჩუქარია.

— და მაინც მხოლოდ კოლჰოტია, — ჩაიბუტბუტა.

როგორც იქნა გაიხადა და იატაკზე დატოვა. ოთახიდან საკი-დების ჩხარუნი მომესმა, ეტყობა, ტანსაცმელს ადგილზე აბრუ-ნებდა.

წუთის შემდეგ, ლილი დაბრუნდა, ლიფისა და ტრუსის ამარა. დარწმუნდა, რომ ჩვენი ყურადღება მიიპყრო და მხოლოდ მერე გადაიცვა მოკლე კაბა, ნელა და დემონსტრაციულად. შემდეგ ტკბილად გამიღიმა:

— კლუბში მივდივარ. ნუ დამელოდები. სასიამოვნო იყო თქვენი ისევ ნახვა, ბატონო...

— ფილდინგ, — უპასუხა სემმა.

— ბატონო ფილდინგ, — კვლავ მე გამიღიმა ლილიმ. ეს ღიმი-ლი სულაც არ იყო ღიმილი. კარი გაიჯახუნა და წავიდა.

ამოვიხვნეშე. მიგდებული კოლჰოტი ავიღე, ტახტზე ჩამოჯექი და დავკეცე. მანამდე ვათვალიერებდი, სანამ არ დავრწმუნდი, სიგარეტით არსად ამოეწვა.

სემი გვერდით მომიჯდა.

— კარგად ხარ?

— ვიცი, ალბათ გიჟი გგონივარ, — ვუპასუხე დაყოვნებით, — მაგრამ ეს...

— არ ხარ ვალდებული, ამიხსნა.

— მაშინ სხვა ადამიანი ვიყავი. ესენი... მე... მან მაჩუქა... — ხმა ჩამიწყდა.

მდუმარე ბინაში ვისხედით. ვიცოდი, რამე უნდა მეთქვა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობდი; ყელში უზარმაზარი ბურთი გამეჩხირა.

სემის ქურთუკი გავიხადე და გავუწოდე.

— ყველაფერი რიგზეა, — ვუთხარი, — არ არის საჭირო, დარჩე.

მის მზერას ვგრძნობდი, მაგრამ თავი არ ამიწევია.

— მაშინ დაგტოვებ.

და მერე, სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებდი, გაუჩინარდა.

თავი მეთოთხმეტე

იმ კვირას დარდთან გამკლავების წრეზე დამაგვიანდა. სავარაუდოდ, ბოდიშის ნიშნად, ლილიმ ყავა დამიტოვა. საბოდიშო ბევრი რამ ჰქონდა: შემოსასვლელში მწვანე საღებავი დაღვარა, სამზარეულოში ნაყინი მაცივრის გარეთ დატოვა, გასაღებების ასხმულა წაიღო, რომელზეც მანქანის გასაღებიც მქონდა მიმაგრებული და დაუკითხავად აიღო ჩემი პარიკი. მის საძინებელში ვიპოვე. რომ მოვირგე, ისე გამოვიყურებოდი, თითქოს თავზე ინგლისური მეცხვარე ძაღლი მეჯდა.

როცა დარბაზში შევედი, უკვე ყველა წრიულად იჯდა. ნატაშა გვერდით გაიწია, რათა მის გვერდით მოვთავსებულიყავი.

— დღეს ვისაუბრებთ იმის ნიშნებზე, რომ შესაძლოა, უკვე ვუმკლავდებით დარდს, — თქვა მარკმა. ხელში ჩაის ფინჯანი ეჭირა, — არ არის აუცილებელი, დიდი რამე იყოს — ახალი ურთიერთობა, რაიმე ნივთის თავიდან მოცილება და ასე შემდეგ. ეს შეიძლება, უბრალო წვრილმანებში გამოჩნდეს. გაგიკვირდებათ, რამდენი ასეთი ნიშანი შეიძლება გამოგრჩეთ, ან არ აღიაროთ, რადგან თავს იდანაშაულებთ ცხოვრების გაგრძელების გამო.

— გაცნობის ვებსაიტზე დავრეგისტრირდი, — განაცხადა ფრედმა, — „მაისიდან დეკემბრამდე“ ჰქვია.

ჯგუფს გაოცებისა და მოწონების ჩურჩულმა გადაურბინა.

— ძალიან კარგია, ფრედ, — მარკმა ჩაი მოსვა, — ამით რისი მიღწევის იმედი გაქვს? ვინმესთან ურთიერთობის დაწყების? მახსოვს, ერთხელ თქვი, რომ განსაკუთრებით გენატრება ვინმესთან ერთად სეირნობა კვირა შუადღეებზე, იხვების გუბურასთან, სადაც შენ და შენი ცოლი დადიოდით ხოლმე, ხომ ასეა?

— ოჰ, არა. ამ საიტს უბრალოდ ინტერნეტ სექსისთვის მივმართე.

მარკს ჩაი გადასცდა. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, სანამ ვიღაცამ ხელსახოცი არ მიაწოდა, შარვალზე გადასხმული ჩაის გასამშრალებლად.

— ინტერნეტ სექსი. ამას ხომ ყველა აკეთებს? უკვე სამ ვებსაიტს შევუერთდი, — ფრედმა ხელი ასწია და თითები მოკეცა, — „მაისიდან დეკემბრამდე“ ახალგაზრდა ქალებისთვისაა, რომლებსაც ზრდასრული კაცები იზიდავთ, ტკბილი მამილოები, იმ გოგონებისთვის, ვისაც ფულიანი მამაკაცები და... გარყვნილი სექსი იზიდავთ.

კვლავ ხანმოკლე სიჩუმე ჩამოწვა.

— ოპტიმიზმი კარგია, ფრედ, — თქვა ნატაშამ.

— შენ რას გვეტყვი, ლუისა?

— მმმ... — რადგან ჯეიკი აქ იყო, შევყოყმანდი. მერე კი გავიფიქრე, „რატომაც არა?“ — ამ შაბათ-კვირას პაემანზე ვიყავი.

ჯგუფის წევრები ამ სიახლეს აღტაცებით შეხვდნენ. ოდნავ დარცხვენილმა ძირს დავიხედე. იმ ღამის გახსენება გაწითლების გარეშე ახლაც არ შემეძლო.

— როგორ ჩაიარა?

— მოულოდნელი იყო.

— ვიღაცასთან ღამე გაატარა. ნამდვილად ვიღაცასთან ღამე გაატარა, — წამოიძახა ნატაშამ.

— ეგ ელვარება ასდის, — დაადასტურა უილიამმა.

— ბიჭმა იმარჯვა? — იკითხა ფრედმა, — რამე განსაკუთრებული ხომ არ იცის?

— შეძელი, ბილზე არ გეფიქრა?

— გავიფიქრე, მაგრამ ამას არ შევუჩერებივარ... მინდოდა, რაღაც ისეთი გამეკეთებინა, რაც... — მხრები ავიჩეჩე, — თავს ცოცხალ არსებად მაგრძნობინებდა.

ყველა დამეთანხმა. ყველას ეს გვინდოდა — ჩვენ-ჩვენი დარ-დისგან თავის დაღწევა, გარდაცვლილთა მიწისქვეშა სამყაროს-გან დასხლტომა. ჩვენი გულების ნახევარი მიწაში ჩაფლული ან პატარა ფაიფურის ყუთებში გამომწყვდეული იყო. მიხაროდა, ერთხელ მაინც რომ შემეძლო რამე დადებითის თქმა.

მარკმა თავი დამიქნია გასამხნევებლად:

— ჩემი აზრით, ეს ჯანსაღი გადაწყვეტილებაა.

სუნილმა გაგვიმხილა, რომ მუსიკის მოსმენა კვლავ დაიწყო, ნატაშას კი თურმე ქმრის ფოტოსურათები მისაღები ოთახიდან საძინებელში გადაუტანია.

— იმიტომ, რომ ყველა სტუმარს მეუღლეზე არ ვესაუბრო.

დაფნეს ქმრის მაისურების ყნოსვა შეუწყვეტია.

— გულახდილად რომ გითხრათ, უკვე მისი სურნელი აღარ ასდიოდა ტანსაცმელს, უბრალოდ მიჩვეული ვიყავი.

— და შენ, ჯეიკ?

ჯეიკი კვლავ უბედური ჩანდა.

— მგონი გარეთ მეტ დროს ვატარებ.

— მამაშენთან საუბარი არ გიცდია?

— არა.

ვცდილობდი მისკენ არ გამეხედა. არ ვიცოდი, რაიმე იცოდა თუ არა, ამიტომ თავს უხერხულად ვგრძნობდი.

— მგონი, მამაჩემს ვიღაც მოსწონს.

— ისევ სექსი?

— არა, მართლა მოსწონს.

ისევ გავწითლდი. უხერხულობისგან ფეხსაცმელზე უჩინარი ლაქის წმენდა დავიწყე.

— ამას რა გაფიქრებინებს, ჯეიკ?

— იმ დღეს საუზმეზე მასზე საუბარი წამოიწყო. ამბობდა, პირ-ველივე შემხვედრი ქალების მოყვანას შევწყვეტო. ისეთი ვიღაც გავიცანი, ვისთანაც ურთიერთობა მინდა ვცადოო.

შუქურასავით ვანათებდი. მიჭირდა დაჯერება, რომ ამას ვერავინ ამჩნევდა ოთახში.

— შენი აზრით, მზად არის? იქნებ, მართლაც სჭირდებოდა რამდენიმე უმნიშვნელო ურთიერთობა, რომ ისევ შეჰყვარებოდა ვინმე.

— ბლომად უმნიშვნელო ურთიერთობა კი ჰქონდა, — აღნიშნა უილიამმა.

— ჯეიკ, შენ რას ფიქრობ ამ ყველაფერზე? — გაუმეორა მარკმა.

— ცოტა მეუცნაურება. დედა მენატრება, მაგრამ კარგია, რომ მამა ცხოვრებას განაგრძობს.

ვცდილობდი, გამომეცნო, რა უთხრა სემმა. ნეტა ჩემი სახელი თუ ახსენა? წარმოვიდგინე ორივენი სამზარეულოში, როგორ უშლიდნენ ერთმანეთს გულს ჩაისა და გახუხული პურის თანხლებით. ლოყები ამიღაჟღაჟდა. დარწმუნებული არ ვიყავი, მინდოდა თუ არა, სემს ასე ადრე დაეწყო გეგმები. ალბათ უფრო ცხადად უნდა ამეხსნა, რომ ჯერ ურთიერთობა არ გვქონდა. ყველაფერი მეტისმეტად ჩქარა ხდებოდა. ნამდვილად ძალიან ადრე იყო საიმისოდ, ჯეიკს ჩვენზე საჯაროდ მოეწყო დისკუსია.

— ის ქალი თუ გაიცანი? — ჰკითხა ნატაშამ, — მოგეწონა?

ჯეიკმა თავი ჩაქინდრა.

— ჰო, ძალიან ცუდი სიტუაცია იყო.

თავი ავწიე.

— კვირას საუზმეზე დაპატიჟა, ნამდვილი კოშმარი იყო. მეტისმეტად ვიწრო მაისური ეცვა და გამუდმებით მხარზე მხვევდა ხელს, თითქოს კარგად მიცნობდა. საშინლად ხმამაღლა იცინოდა. სანამ მამაჩემი ბაღში იყო, დიდი, მრგვალი თვალებით შემომყურებდა და მეკითხებოდა: „და შენ როგორ ხარ?“ ძალიან გამაღიზიანა.

— ოჰ, და თავის გვერდზე გადახრა რომ იციან ხოლმე, — დაამატა უილიამმა და ყველანი ბუტბუტით დაეთანხმნენ. ყველამ იცოდა, რაც იგულისხმა.

— მამას თანდასწრებით განუწყვეტლივ ხითხითებდა და თმას ეთამაშებოდა. თითქოს ცდილობდა, მოზარდივით მოქცეულიყო, არადა, სულ მცირე, ოცდაათი წლისა იქნება, — ჯეიკმა ზიზღით ცხვირი შეიჭმუხნა.

— ოცდაათის! — წამოიძახა დაფნემ და მზერა გვერდით გააპარა, — წარმოიდგინეთ!

— ისევ ის ქალი მერჩივნა, მამაჩემზე დაკითხვას რომ მიწყობდა ხოლმე. თავს ჩემს საუკეთესო მეგობრად მაინც არ ასაღებდა.

ჯეიკის ნათქვამიდან მეტი აღარაფერი გამიგია. ყურები მიწუოდა და ყველა ხმას ახშობდა. ასეთი სულელი როგორ აღმოვჩნდი? გამახსენდა, როგორ გადაატრიალა თვალები ჯეიკმა, როცა პირველად გამომელაპარაკა სემი. ამას უნდა გავეფრთხილებინე, მაგრამ მე სულელმა ყურადღება არ მივაქციე.

დამცხა და ავცახცახდი. იქ დარჩენა აღარ შემეძლო. მეტის მოსმენას ვერ ავიტანდი.

— უი... ახლაღა გამახსენდა. საქმე მაქვს, — ჩავილუღლუღე, ჩანთა ავიღე და წამოვხტი, — უკაცრავად.

— ყველაფერი რიგზეა, ლუისა? — მკითხა მარკმა.

— მშვენივრად, უბრალოდ უნდა გავიქცე, — კარისკენ წავედი და ისე ყალბად გავიღიმე, გული მეტკინა.

იქ დამხვდა. ცხადია, იქ დამხვდა. ის-ის იყო, მოტოციკლი მანქანების სადგომზე გაეჩერებინა და ჩაფხუტს იძრობდა. ეკლესიის დარბაზიდან გამოვედი და კიბის თავზე შევყოვნდი. ვფიქრობდი, როგორ მივსულიყავი მანქანასთან ისე, რომ მის გვერდით არ ჩამევლო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ტვინმა მისი ფორმები აღიქვა, მერე გრძნობებიც აჰყვნენ: გამახსენდა

სიამოვნება, მისი ხელების სითბოს მოგონებამაც წამიერად გამიელვა. შემდეგ კი ბრაზი მომერია, დამცირებისგან სისხლი ამიდუღდა.

— გამარჯობა, — მომესალმა დანახვისას, უდარდელი ღიმილით.

ნაბიჯი შევანელე, რათა ჩემს სახეზე ტკივილის დანახვა მოესწრო. არ მადარდებდა რას იფიქრებდა. უეცრად, თავი ლილისავით ვიგრძენი. თავს არ დავაჩაგვრინებდი. მე კი არ დავძვრებოდი ერთი საწოლიდან მეორეში, ასე სემი იქცეოდა.

— ყოჩაღ, მნძრეველავ, — მივაძახე. მერე კი ჩავურბინე და მანქანასთან მივირბინე, სანამ ხმა საბოლოოდ ჩამიწყდებოდა და ავქვითინდებოდი.

ის კვირა უფრო და უფრო გაუარესდა. რიჩარდი კიდევ უფრო წუწუნა გახდა. გვსაყვედურობდა, საკმარისად არ იღიმებითო. ხალისი გაკლიათ და მომხმარებლებსაც ურჩევნიათ კონკურენტ ბარში წავიდნენო. ამინდიც გაუარესდა, ცა მოწითალო--მონაცრისფრო ფერებით შეიღება. ფრენებიც უამინდობის გამო გადაიდო. აეროპორტი ნირწამხდარი მგზავრებით გაივსო. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ბარგის გადამზიდავი მუშები გაიფიცნენ.

— სხვას რას ელოდით? მერკური უკუქცევაშია, — განაცხადა ვერამ და შეუღრინა კლიენტს, რომელმაც კაპუჩინოში ნაკლები ქაფი მოსთხოვა.

სახლში ლილისაც თითქოს საკუთარი შავი ღრუბელი ეხვია. ჩემს მისაღებ ოთახში იჯდა, მობილურ ტელეფონს მიწებებული, თუმცა ხალისი არ ეტყობოდა. სახეგაქვავებული ფანჯრიდან იხედებოდა, როგორც მამამისს სჩვეოდა ხოლმე. თითქოს, ლილიც მასავით ერთ ადგილს მიჯაჭვოდა. ვეცადე, ამეხსნა, რომ ის შავ--ყვითელი კოლჰოტი უილმა მაჩუქა და ჩემთვის გამორჩეულად ძვირფასი ფერის ან ხარისხის გამო კი არ იყო, არამედ...

— ჰო, ჰო, გასაგებია. რა მნიშვნელობა აქვს, — მიპასუხა.

სამი ღამე თითქმის არ მძინებია. ჭერს მივჩერებოდი, ქვასავით ცივი რისხვა მკერდზე სიმძიმედ მაწვებოდა და არ იძვროდა. სემზე ძალიან ვბრაზობდი, მაგრამ საკუთარ თავზე — უფრო. ორჯერ მომწერა, მაცოფებდა მისი ყალბი უცოდველობით სავსე „??“ რომლებზეც არ მიპასუხია. ისე მოვიქეცი, როგორც ყველა ქალი იქცევა — ყურადღება არ მივაქციე მამაკაცის სიტყვებსა და საქციელს, ჩემსას მივერეკებოდი: მე ასე ვერ მომექცევა! ვაკოცე, ყველაფრის უფლება მივეცი. მხოლოდ მე ვიყავი ყველაფერში დამნაშავე.

თავს ვარწმუნებდი, რომ გამიმართლა და დროულად დავაღწიე თავი, რომ უკეთესი იყო, ახლა გამეგო ეს და არა ექვსი თვის შემდეგ. ვცადე, მარკის თვალით დამენახა: კარგია, რომ ცხოვრებას ვაგრძელებ! მომხდარს გამოცდილებას მივაწერ და დავივიწყებ. კარგი სექსი მაინც შემრჩა! მერე კი სულელური, ცხარე ცრემლები წამსკდებოდა და თავს ვსაყვედურობდი, ასე მოგივა, როცა ვინმეს დაუახლოვდები-მეთქი.

წრეზე გვასწავლეს, დეპრესიას თურმე ვაკუუმი უყვარს. სჯობს, რაიმეთი დაკავდე, ან დაგეგმო მაინც. ზოგჯერ ბედნიერების ილუზია, საბოლოოდ, მართლაც ქმნის ბედნიერებას. ყელში ამომივიდა სახლში დაბრუნებულს ტახტზე წამოჭიმული ლილის დანახვა და კიდევ უფრო მომბეზრდა თავის მოკატუნება, თითქოს ეს არ მაღიზიანებდა. ამიტომაც, პარასკევ საღამოს განვუცხადე, ხვალ მისის ტრეინორის სანახავად მივდივართ-მეთქი.

— მაგრამ შენ არ მითხარი, წერილზე არ მიპასუხაო?

— შეიძლება, არ მიუღია. რა მნიშვნელობა აქვს. ბატონი ტრეინორი მაინც აპირებს ოჯახს შენზე უთხრას, სჯობს მანამდე წავიდეთ მისის ტრეინორთან.

არაფერი უთქვამს. ეს თანხმობის ნიშნად მივიღე და მარტო დავტოვე.

იმ ღამეს ლილის გადმოყრილი ტანსაცმელი გადავათვალიერე. მათი არსებობა გამიზნულად მივივიწყე ორი წლის წინ, ინგლისიდან პარიზში გამგზავრების შემდეგ. აზრს ვერ ვხედავდი, ეს ტანსაცმელი გამომეყენებინა. უილის გარდაცვალების შემდეგ, ის ადამიანი აღარ ვიყავი, ვინც ასე იმოსებოდა.

თუმცა ახლა, მნიშვნელოვანი მომეჩვენა ისეთი რამ ჩამეცვა, რაც არც ჯინსი იქნებოდა და არც ირლანდიელი მოცეკვავის მწვანე უნიფორმა. მუქ ლურჯ მოკლე ქვედაბოლოს მივაგენი. საკმარისად სოლიდურს, რომ ნახევრად ფორმალური სტუმრობისთვის გამომდგარიყო. გავაუთოე და გვერდით გადავდე. ლილის ვუთხარი, რომ დილით ცხრაზე გავემგზავრებოდით და დასაძინებლად გავწიე, თან ვფიქრობდი, რა დამქანცველი იქნებოდა ისეთ ვინმესთან დიდხანს ცხოვრება, ვისი აზრითაც ამობუზღუნებაზე მეტი საუბარი არაადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა.

ათი წუთის შემდეგ, კარქვეშ ხელნაწერი ბარათი შემოცურდა.

„ძვირფასო ლუისა,

მაპატიე, შენი ტანსაცმელი რომ ავიღე. გმადლობ ყველაფრისთვის. ვიცი, ზოგჯერ დიდი თავის ტკივილი ვარ.

ბოდიშს გიხდი.

გკოცნი, ლილი.

P. S. ზოგჯერ მაინც ჩაიცვი ეგ ტანსაცმელი. ბევრად სჯობს იმათ, რასაც ატარებ“.

კარი გავაღე. ლილი იქ იდგა, არ იღიმოდა. ნაბიჯი გადმოდგა და ისე ძლიერად ჩამეხუტა, ნეკნები მეტკინა. მერე, შეტრიალდა და სიტყვის უთქმელად მისაღებ ოთახში გაუჩინარდა.

ნათელი დილა გათენდა და ხასიათიც გამოგვიკეთდა. ოქსფორდშირის პატარა სოფლამდე რამდენიმე საათი ვიმგზავრეთ. ღობეშემოვლებული ბაღებითა და მდოგვისფერი, მზით გადახურებული ქვის გალავნებით სავსე სოფელი გახლდათ. მთე-

ლი გზა ენა არ გამიჩერებია, მისის ტრეინორთან კვლავ შეხვედ-
რით გამოწვეული აღელვების დასაფარად. ჩემი დაკვირვებით,
მოზარდებთან საუბრისას ყველაზე რთული ის იყო, რომ რაც უნ-
და გეთქვა, მოხუცი დეიდის დარიგებად ეჩვენებოდათ.

— რის კეთება მოგწონს, როცა სკოლაში არ ხარ?

მხრები აიჩეჩა.

— რა გინდა აკეთო, როცა დაამთავრებ?

გამომხედა.

— რაიმე ჰობი ხომ უნდა გქონდეს?

თავბრუდამხვევი სია ჩამომითვალა: მხატვრული ხტომა,
ლაკროსი, ჰოკეი, ფორტეპიანო, სირბილი, ჩოგბურთი.

— ეს ყველაფერი? და არაფრის გაგრძელება არ მოგინდა?

ერთდროულად დაისრუტუნა და მხრები აიჩეჩა. მერე ფეხები
სალონზე შეაწყო, თითქოს ამით საუბრის დასრულება მანიშნა.

— მამაშენს ძალიან უყვარდა მოგზაურობა, — რამდენიმე მი-
ლის გავლის შემდეგ აღვნიშნე.

— ეგ უკვე მითხარი.

— ერთხელ მითხრა, ჩრდილოეთ კორეისა და დისნეილენდის
გარდა ყველგან ვარ ნამყოფიო. ისეთი ადგილების შესახებ მიყ-
ვებოდა ისტორიებს, მათი არსებობის შესახებ არც კი გამეგო.

— ჩემხელები თავგადასავლების საძებნელად აღარ დადიან.
უკვე ყველაფერი აღმოჩენილია. ახლა ზურგჩანთებით მხოლოდ
აუტანლად აბეზარი ხალხი დაბოდიალებს. ყურებს გამოგიჭედა-
ვენ რაღაც ბარზე საუბრით, რომელსაც კო ფჰანგ იანში მიაგნეს,
ან როგორ ჩაიგდეს ხელში ნარკოტიკები ბირმულ ტროპიკულ
ტყეში.

— არაა აუცილებელი, ზურგჩანთით იარო.

— ჰო, მაგრამ თუ ერთი „მანდარინ ორიენტალი“ ნახე, ყველა
მათგანი ნანახი გაქვს, — დაამთქნარა, — ადრე აქ, ახლოს, სკო-
ლაში დავდიოდი, — აღნიშნა მოგვიანებით ფანჯრიდან ცქერი-

სას, — ერთადერთი სკოლა იყო, რომელიც მართლა მომწონდა. მეგობარი მყავდა, სახელად ჰოლი.

— მერე რა მოხდა?

— დედამ აიჩემა, შესაფერისი სკოლა არ არისო. რეიტინგში მაღლა არ დგასო, თუ რაღაც მსგავსი. ერთი უბრალო პანსიონატი იყო, ამიტომაც გადამიყვანა. მას შემდეგ მეგობრების გაჩენით თავი არ შემიწუხებია. რა აზრი აქვს, თუ ისევ სხვაგან გადასვლა მოგიწევს?

— ჰოლის ეხმიანები ხოლმე?

— არა, რისთვის? მაინც ვერ ვნახავთ ერთმანეთს.

მოზარდობისდროინდელი ქალური მეგობრობის სუსტი მოგონებები ამომიტივდა. უფრო ვნებას ჰგავს, ვიდრე მეგობრობას.

— რას აპირებ? თუ მართლა არ გინდა სკოლაში დაბრუნება.

— წინასწარ ფიქრი არ მიყვარს.

— მაგრამ რამეზე ხომ უნდა იფიქრო, ლილი.

წუთით თვალები დახუჭა, შემდეგ ფეხები ჩამოალაგა და ცერა თითზე იასამნისფერი ლაქის აფცქვნა დაიწყო.

— არ ვიცი, ლუისა. იქნებ, შენს ჩინებულ მაგალითს მივყვე და რასაც შენ აკეთებ, ყველაფერი გავიმეორო.

სამჯერ ღრმად ჩავისუნთქე, რომ მანქანა იქვე არ შემეჩერებინა. ნერვიულობს. ის ხომ ნერვიულობს. მერე კი, მის გასაღიზიანებლად, რადიო ჩავრთე და მთელი გზა ხმა არ ჩამიწევია.

მისის ტრეინორის მისამართს ადგილობრივი ძაღლების გამსეირნებლის დახმარებით მივაკვლიეთ. მანქანა „ფოქს კოტეჯის“ წინ გავაჩერეთ. ჩალით გადახურული, მოკრძალებული, თეთრად შელესილი შენობა იყო. გარეთ მეწამული ვარდები შემოხვეოდნენ რკინის თაღს, რომლის მიღმაც ბაღის ბილიკი იწყებოდა. იქვე იდგა ფურგონის ტიპის მანქანა.

— დაქვეითებულა ცხოვრებაში, — აღნიშნა ლილიმ.

— ლამაზია.

— სახლი კი არა, ფეხსაცმლის ყუთია.

მანქანაში ვიჯექი და ძრავის ხმაურს ვუსმენდი.

— სანამ შევალთ, მომისმინე, ლილი. დიდი მოლოდინი ნუ გექნება, — ვუთხარი, — მისის ტრეინორი ოფიციალური ქალია. მანერებს დიდ ყურადღებას აქცევს. ალბათ, სკოლის მასწავლებელივით დაგელაპარაკება. არა მგონია, მისტერ ტრეინორივით გულში ჩაგიკრას.

— ბაბუაჩემი თვალთმაქცია, — ჩაისრუტუნა ლილიმ, — ისე გელაპარაკება, თითქოს ყველაზე მნიშვნელოვანი ხარ, სინამდვილეში კი ქალის ჭკუაზე დადის.

— გთხოვ, ასე ნუ ლაპარაკობ.

— რატომ უნდა მოვიკატუნო თავი, თითქოს სხვანაირი ვარ? — გესლიანად მიპასუხა ლილიმ.

ცოტა ხანს მანქანაში ვისხედით. მივხვდი, არც ერთ ჩვენგანს არ უნდოდა კართან მისვლა.

— კიდევ ერთხელ დარეკვა ხომ არ ვცადო? — ვკითხე და ხელში ტელეფონი ავიღე. დილით ორჯერ დავურეკე, მაგრამ ორივეჯერ ხმოვან ფოსტაზე გადამისამართდა ზარი.

— მაშინვე ნუ ეტყვი, ვინ ვარ, — უცებ გამომიცხადა, — მინდა... მინდა ვნახო, ვინ არის, სანამ ვეტყვით.

— რა თქმა უნდა, — რბილად დავეთანხმე. სანამ კიდევ რამის თქმას მოვასწრებდი, ლილი მანქანიდან გადმოვიდა და შესასვლელისკენ გასწია. ხელები მოემუშტა რინგზე მიმავალი მოკრივესავით.

მისის ტრეინორი გაჭაღარავებულიყო. ოდესღაც მუქი ყავისფერი თმა ახლა გასთეთრებოდა და მოკლედ შეეჭრა. ასე ბევრად უფრო ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მეტისმეტად გამხდარიყო მას მერე, რაც ბოლოს ვნახე. თვალებიც ამოღამებოდა. ლილი დაბნეულად შეათვალიერა, რამაც მიმანიშნა,

რომ უახლოეს მომავალში სტუმრებს არ ელოდა. მერე კი მე დამინახა და თვალები გაუფართოვდა:

— ლუისა?

— გამარჯობა, მისის ტრეინორ, — ნაბიჯი გადავდგი და ხელი გავუწოდე, — აქვე ვიყავით. არ ვიცი, ჩემი წერილი წაიკითხეთ თუ არა, მინდოდა შემომევლო და მომენახულებინეთ.

ჩემი ხმა — ყალბი და უჩვეულოდ მხიარული — უაზროდ გაიფანტა ჰაერში. ბოლოს, როცა მისის ტრეინორი ვნახე, გარდაცვლილი ვაჟის ოთახის დალაგებაში ვეხმარებოდი; უილის უკანასკნელი ამოსუნთქვის დღე იყო. ვუყურებდი და ვხედავდი, ის წუთები გაახსენდა ჩემი დანახვისას.

— ძალიან მოგვეწონა თქვენი ბაღი.

— დევიდ ოსტინის ვარდები, — აღნიშნა ლილიმ.

მისის ტრეინორმა ისე შეხედა, თითქოს ახლაღა შეამჩნია. მკრთალად გაიღიმა:

— დიახ. როგორი მიხვედრილი ბრძანდებით. დიდი ბოდიში, სტუმრები იშვიათად მოდიან. რა ბრძანეთ, რა გქვიათ?

— ეს ლილია, — ვუთხარი მე, სანამ ლილი მისის ტრეინორს ხელს ართმევდა და ისეთივე დაკვირვებით ათვალიერებდა, როგორც ის მას.

კიდევ ერთი წუთი ვიდექით კართან, სანამ მისის ტრეინორი საბოლოოდ მიხვდებოდა, რომ არჩევანი არ ჰქონდა. ბოლოს შეტრიალდა და კარი გაგვიღო:

— მგონი, სჯობს, შემოხვიდეთ.

კოტეჯი ერთი ბეწო იყო. ისეთი დაბალი ჭერი ჰქონდა, მეც კი თავი დავხარე დერეფნიდან სამზარეულოში გასვლისას. ველოდებოდი, სანამ მისის ტრეინორი ჩაის ადუღებდა და შევყურებდი ლილის, რომელიც პატარა მისაღებ ოთახში მიმოდიოდა. გვერდით ჩაუარა უზადოდ გაპრიალებულ ძველებურ ავეჯს, რომე-

ლიც გრანტას სახლიდან მეცნობოდა. ნივთებს იღებდა და ისევ თავის ადგილას აბრუნებდა.

— და... შენ როგორ ხარ?

დუნედ იკითხა მისის ტრეინორმა, თითქოს პასუხს არ ელოდებოდა.

— მშვენივრად, დიდი მადლობა.

ხანგრძლივი სიჩუმე.

— ლამაზი სოფელია.

— ჰო. სტროტფოლდში დარჩენა აღარ შემეძლო... — ადუღებული წყალი ჩაიდანში ჩაასხა. დელა გამახსენდა, რომელიც მძიმედ დააბოტებდა მისის ტრეინორის ძველ სამზარეულოში.

— მეზობლებს იცნობთ?

— არა, — ისე მიპასუხა, თითქოს სწორედ ამიტომ გადმოვიდა აქ საცხოვრებლად, — თუ შეიძლება, სარძევე წამოიღე, ყველაფერს ამ ლანგარზე ვერ ვატევ.

ამას მოჰყვა ჭაპანწყვეტით გაგრძელებული ნახევარსაათიანი საუბარი. მისის ტრეინორს, რომელიც გაწაფული იყო, ნებისმიერ სოციალურ სიტუაციას გამკლავებოდა, ურთიერთობის უნარი დაჰკარგვოდა. თითქოს, მხოლოდ სანახევროდ იმყოფებოდა ჩვენთან, როცა ველაპარაკებოდი. შეკითხვას დასვამდა და იმავეს იმეორებდა ათი წუთის შემდეგ, თითქოს პასუხებს ვერ იგებდა. ნეტა, რა რაოდენობით ანტიდეპრესანტს იღებდა? ლილი მალულად უყურებდა, თითოეული ფიქრი სახეზე ეწერებოდა. მათ შორის უხერხულად ვიჯექი, გულ-მუცელი ლამის ამომტრიალებოდა ნერვიულობისგან და ველოდი, რა მოხდებოდა.

სიჩუმის დასარღვევად ენას არ ვაჩერებდი, მოვუყევი ჩემს საშინელ სამსახურზე, თავგადასავლებზე საფრანგეთში, მშობლებიც ვახსენე და მათი სახელით მოვიკითხე. ყველაფერს მივედ--მოვედე, რათა აღმომეფხვრა ის მძიმე, უმოწყალო სიწყნარე, რომელიც ჩემი ყოველი დადუმებისას ჩამოწვებოდა ხოლმე.

მაგრამ მისის ტრეინორის მწუხარება პატარა სახლში ბურუსივით ჩამოწოლილიყო. თუ მისტერ ტრეინორისთვის დარდს ძალა გამოეცალა, მისის ტრეინორი სრულიად შთაენთქა მწუხარებას. მკვირცხლი, ამაყი ქალისგან აღარაფერი დარჩენილიყო.

— აქ რამ ჩამოგიყვანა? — მკითხა ბოლოს.

— მე... უბრალოდ მეგობრები ვინახულე.

— თქვენ ორნი საიდან იცნობთ ერთმანეთს?

— ლილის მამას ვიცნობდი.

— რა შესანიშნავია, — თქვა მისის ტრეინორმა და ორივემ უხერხულად გავიღიმეთ. ველოდი, ლილი რაიმეს იტყოდა, მაგრამ გაქვავებულიყო. ამ ქალის ტკივილის შემყურეს, ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა.

ჩაი კიდევ ერთხელ დავლიეთ, მესამედ თუ მეოთხედ აღვნიშნეთ მისი ბაღის მშვენიერება. ვხვდებოდი, ჩვენი აქ ყოფნის გაძლება ზეადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა მისის ტრეინორისგან. არ სურდა, სტუმრების გარემოცვაში ყოფილიყო. მეტისმეტად ზრდილობიანი იყო, რომ ეს გაემხილა, მაგრამ მარტოობა ერჩივნა. ეს მის თითოეულ ჟესტში გამოიხატებოდა — თითოეულ ნაძალადევ ღიმილში, თითოეულ მცდელობაში, საუბარში ამყოლოდა. ალბათ, ჩვენი წასვლისთანავე, სკამზე მიესვენებოდა და აღარ ადგებოდა ან ზედა სართულზე ავიდოდა და საწოლში მოიკუნტებოდა.

უცებ შევნიშნე, ფოტოები სრულიად გამქრალიყო. გრანტას სახლი სავსე ჰქონდა შვილების, ოჯახის, ცხენებისა და არდადეგებზე გადაღებული, მოვერცხლილ ჩარჩოებში ჩასმული სურათებით. ამ კოტეჯში კი მსგავსი არაფერი დამხვდა. ფერწერის მცირე ნიმუშები ეკიდა კედლებზე, მაგრამ არა ადამიანები. სკამზე გვერდი ვიცვალე. იქნებ უბრალოდ გამომრჩა, სადმე მაგიდაზე ან ფანჯრის რაფაზე ერთად შეგროვებული? მაგრამ არა: კოტეჯი სასტიკად მოკლებული იყო ადამიანებს. ჩემი ბინა გამახ-

სენდა, არაფერი გამიკეთებია, რომ მომერგო და მყუდრო სახლად მექცია. უეცრად საოცარი სევდა ვიგრძენი.

„რა გაგვიკეთე, უილ?“

— მგონი, დროა, წავიდეთ, ლუისა, — თქვა ლილიმ და საათს შეხედა, — ხომ ამბობდი, საცობში მოხვედრა არ მინდაო.

გაოცებულმა შევხედე:

— მაგრამ...

— ისიც თქვი, დიდხანს არ უნდა დავრჩეთო, — ხმამაღალა, მკაფიოდ მიპასუხა.

— ჰო, გზებზე მოძრაობა საშინელებაა ხოლმე, — მისის ტრეინორიც წამოდგა სკამიდან.

ისევ ლილის ვესროლე მზერა, ვაპირებდი შევწინააღმდეგებოდი, როცა ტელეფონმა დარეკა. მისის ტრეინორი შეიჭმუხნა, თითქოს ეს ხმა სრულიად უცხო იყო მისთვის. ორივეს შემოგვხედა, თითქოს ფიქრობდა, ეპასუხა თუ არა. ბოლოს მიხვდა, რომ ჩვენი იქ ყოფნისას ზარის გამოტოვება უხერხული იქნებოდა. ბოდიში მოიხადა და მეორე ოთახში გავიდა.

— რას აკეთებ? — ვკითხე ლილის.

— არ იქნება სწორი საქციელი, — სასოწარკვეთით მიპასუხა.

— არ შეიძლება, დავუმალოთ.

— დღეს ვერ ვეტყვი...

— ვიცი, გეშინია. მაგრამ შეხედე ამ ქალს, ლილი. მართლა მგონია, რომ ამ ამბის თქმა დაეხმარება.

ლილის თვალები გაუფართოვდა.

— რა უნდა მითხრას?

თავბრუ დამეხვა. მისის ტრეინორი კარებში იდგა, უძრავად.

— რის თქმას აპირებთ?

ლილიმ ჯერ მე შემომხედა, მერე — მისის ტრეინორს. თითქოს ჩვენ გარშემო დრო შენელდა. ნერწყვი გადაყლაპა, ნიკაპი ოდნავ ასწია და თქვა:

— რომ თქვენი შვილიშვილი ვარ.

ხანმოკლე დუმილი.

— ჩემი... რა?

— მე უილ ტრეინორის შვილი ვარ.

მისი სიტყვები პატარა ოთახში ექოსავით გაისმა. მისის ტრეინორის მზერამ ჩემზე გადმოინაცვლა, თითქოს ამოწმებდა, ეს რამე სულელური ხუმრობა ხომ არ არისო.

— მაგრამ... ვერ იქნები.

ლილიმ უკან დაიხია.

— მისის ტრეინორ, ვიცი, ეს ამბავი თქვენთვის სრულიად მოულოდნელია... — დავიწყე ლაპარაკი.

ჩემი არ ესმოდა. ლილის გააფთრებული შეჰყურებდა.

— როგორ შეიძლება ჩემს ვაჟს შვილი ჰყოლოდა და მე ეს არ მცოდნოდა?

— დედაჩემმა ყველას დაუმალა, — ლილი ლამის ჩურჩულებდა.

— მთელი ეს დრო? როგორ დამიმალეს? — მისის ტრეინორი მე მომიტრიალდა, — შენ იცოდი ამის შესახებ?

ნერწყვი გადავყლაპე.

— ამიტომაც მოგწერეთ. ლილიმ მომძებნა. უნდოდა, ოჯახის შესახებ მეტი შეეტყო. მისის ტრეინორ, თქვენთვის ტკივილის მოყენება აზრადაც არ მომსვლია. უბრალოდ, ლილის თავისი ბებია-ბაბუის გაცნობა უნდოდა. ბატონ ტრეინორთან ყველაფერმა მთლად კარგად ვერ ჩაიარა და...

— მაგრამ უილი მაინც მეტყოდა რამეს, — თავი გააქნია, — ვიცი, მეტყოდა. ის ხომ ჩემი შვილი იყო.

— სისხლის ანალიზს გავიკეთებ, თუ მართლა არ გჯერათ, — ლილიმ მკერდზე მკლავები გადაიჯვარედინა, — მაგრამ თქვენი არაფერი მინდა. არც თქვენთან დარჩენა მსურს, ფულიც მაქვს საკუთარი, თუ გგონიათ, რამე გამორჩენას ველი.

— არც კი ვიცი, რა... — წამოიწყო მისის ტრეინორმა.

— ასე თავზარდაცემული ნუ ხართ. გადამდები დაავადება არ ვარ, რომელიც მემკვიდრეობით გერგოთ. უბრალოდ... შვილიშვილი. ღმერთმანი.

მისის ტრეინორი ნელა დაეშვა თავის სკამზე. აკანკალებული ხელი თავზე მოისვა.

— ცუდად ხომ არ ხართ, მისის ტრეინორ?

— არა მგონია, მე... — მისის ტრეინორმა თვალები დახუჭა. თითქოს საკუთარ თავში შეიკეტა.

— ლილი, ვფიქრობ, უნდა წავიდეთ. მისის ტრეინორ, ჩემს ნომერს დაგიტოვებთ. სხვა დროს დავბრუნდებით, როცა ამ ყველაფერზე დაფიქრებას მოახერხებთ.

— რას ამბობ? მე აქ არ დავბრუნდები. ამ ქალს ჰგონია, რომ ვატყუებ. ღმერთო, რანაირი ოჯახია!

ლილიმ ორივეს უნდობლად შემოგვხედა და ოთახიდან გავარდა, გზად დეკორატიული კაკლის ხის მაგიდა გადააყირავა. დავიხარე, პატარა ვერცხლის კოლოფები ავკრიფე და ფრთხილად დავალაგე უკან.

მისის ტრეინორი გაოგნებისგან დამუნჯებულიყო.

— ბოდიშს გიხდით, მისის ტრეინორ, — ვუთხარი, — მე ნამდვილად ვეცადე, აქ მოსვლამდე დაგლაპარაკებოდით.

მანქანის კარის გაჯახუნების ხმა გავიგე.

მისის ტრეინორმა ღრმად ჩაისუნთქა.

— არაფერს ვკითხულობ, თუ არ ვიცი, საიდანაა გამოგზავნილი. ისეთი წერილები მომსვლია... ახლა აღარაფერს ვპასუხობ... სასიამოვნოს მაინც ვერაფერს მატყობინებენ, — მოხუცი, სუსტი და დაძაბუნებული ჩანდა.

— ბოდიშს გიხდით, ძალიან ვწუხვარ, — ჩანთა ავიღე და გავუჩინარდი.

— არაფერი მითხრა, — გამაფრთხილა ლილიმ მანქანაში ჩაჯდომისას, — არ გინდა, კარგი?

— ასე რატომ მოიქეცი? — მძღოლის ადგილას მოვთავსდი, გასაღები ხელში მეჭირა, — რატომ გააფუჭე ყველაფერი?

— როგორც კი შემომხედა, იმწამსვე მივხვდი, რასაც ფიქრობდა ჩემზე.

— ის ხომ დედაა, რომელიც ჯერ კიდევ გლოვობს გარდაცვლილ ვაჟს. ისედაც თავზარი დაეცა, შენ კი თავს დაესხი. ნუთუ, არ შეგეძლო, გაჩუმებულიყავი, სანამ ამ ამბავს გადახარშავდა? რატომ გიყვარს ადამიანების გარიყვა?

— ოჰ, განა რა იცი ჩემზე?!

— ძალიან მონდომებით ანგრევ ურთიერთობებს ყველა ადამიანთან, ვინც შენთან დაახლოებას ცდილობს.

— ო, ღმერთო, ისევ იმ სულელურ კოლჰოტზე ხარ გაბრაზებული? შენ საერთოდ რა იცი? მთელ ცხოვრებას იმ საშინელ ბინაში ატარებ, სადაც არავინ გსტუმრობს. მშობლებს აშკარად ხელმოცარული ჰგონიხარ. იმის გამბედაობაც არ გაგაჩნია, იმ შენი საცოდავი სამსახურიდან წამოხვიდე.

— წარმოდგენაც არ გაქვს, რა რთულია სამუშაოს პოვნა, ამიტომ არ გაბედო...

— ხელმოცარული ხარ. უარესი — ის ხელმოცარული ხარ, ვინც სხვებს ჭკუას არიგებს. ვინ მოგცა ამის უფლება? მამაჩემს საწოლთან ეჯექი და არაფერი გააკეთე, რომ არ მომკვდარიყო. არაფერი! მეეჭვება, ვინმეს განსჯის უფლება გქონდეს.

მანქანაში მწარე სიჩუმე ჩამოწვა. საჭეს დაჟინებით მივაცქერდი. დავიცადე, სანამ კვლავ ნორმალურად სუნთქვას შევძლებდი და მხოლოდ შემდეგ დავძარი მანქანა. სახლამდე 120 მილი სრულ დუმილში გავიარეთ.

თავი მეთხუთმეტე

მომდევნო დღეების განმავლობაში ლილი თითქმის არ მინახავს, ასე მერჩივნა. სახლში დაბრუნებულს საჭმლის ნამცეცები და ცარიელი ფინჯნები მხვდებოდა, რაც ლილის იქ ყოფნას ადასტურებდა. რამდენჯერმე უცნაური სუნი ვიგრძენი, მაგრამ არაფერი შეცვლილა ან დაკარგულა. ალბათ ასე ხდება, როცა ბინას იზიარებ ადამიანთან, ვისაც დიდად ვერ ეწყობი. პირველად ვაღიარე საკუთარ თავთან, რომ მარტო ყოფნა მენატრებოდა.

ჩემს დას დავურეკე, რომელმაც, ცხოვრებაში პირველად, სულგრძელობა გამოიჩინა და არ მომაძახა, ხომ გეუბნებოდიო.

— ყველაზე ცუდი ეგაა მშობლის ცხოვრებაში, — ისე მითხრა, თითქოს მეც დედა ვიყავი, — ვალდებული ხარ ყოვლისმცოდნე, მომთმენი ადამიანი იყო, რომელიც წონასწორობას არასოდეს კარგავს და ყველაფერს აგვარებს. ზოგჯერ, როცა ტომი უხეშობს ან დაქანცული ვარ, ერთი სული მაქვს, კარი გავიჯახუნო, ან ენა გამოვუყო და ვუთხრა, რომ ტრაკია.

მეც ზუსტად ასე ვგრძნობდი თავს.

სამსახური ისეთი აუტანელი გახდა, მანქანაში ვღიღინებდი, რომ თავი მეიძულებინა, როგორმე აეროპორტამდე მივსულიყავი.

თანაც, სემი...

რომელზეც მე აღარ ვფიქრობდი.

სულაც არ ვფიქრობდი მასზე, როცა დილით, აბაზანის სარკეში საკუთარ შიშველ სხეულს ვათვალიერებდი. არ მახსენდებოდა, როგორ მეხებოდნენ მისი თითები წითლად დარჩენილ იარებზე, რომლებიც ორივეს საზიარო მოგონებებს წარმოად-

გენდა, ან ერთი ღამით სიცოცხლის წყურვილი როგორ დამიბრუნა.

არ ვფიქრობდი მასზე, როცა თავებმიდებულ წყვილებს ვხედავდი, რომლებიც პასპორტებით ხელში სადღაც, აქედან ძალიან შორს, რომანტიკულ არდადეგებზე მიემგზავრებოდნენ. არ ვფიქრობდი მასზე სამსახურისკენ მიმავალ გზაზე და უკან დაბრუნებისას. არ ვფიქრობდი მასზე, როცა სასწრაფო დახმარების მანქანის სირენის ხმა მესმოდა. ეს კი უჩვეულოდ ხშირად ხდებოდა. ნამდვილად არ ვფიქრობდი მასზე სახლში, ტელევიზორის წინ ტახტზე წამოწოლილი, როცა ისეთ გადაცემებს ვუყურებდი, რომლის შინაარსსაც ვერავის გავუმხელ, და ვეჭვობდი, პლანეტის ყველაზე მარტოსული და ადვილად აალებადი პორნოელფივით გამოვიყურები-მეთქი.

ნათანმა დამირეკა და შეტყობინება დამიტოვა, შემეხმიანეო. არ ვიყავი დარწმუნებული, შევძლებდი თუ არა მისი ახალი შესანიშნავი ნიუ-იორკული ცხოვრების შესახებ მოსმენას, ამიტომაც, მასთან დარეკვა გონებაში გასაკეთებელი საქმეების სიას მივამატე, რომელსაც, სინამდვილეში, დიდხანს არ მივუბრუნდებოდი. ტანიამ შეტყობინება გამომიგზავნა, სახლში სამი დღით ადრე დავბრუნდით, ფრენსისის სამსახურის გამოო. რიჩარდმაც დარეკა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ღამის ცვლაში გიწევს მუშაობაო. „თუ შეიძლება, ნუ დააგვიანებ, ლუისა. მინდა შეგახსენო, ეს შენი უკანასკნელი გაფრთხილებაა“.

გულის გადასაყოლებლად, მხოლოდ ერთი რამ მომაფიქრდა: სტროტფოლდში, სახლში წავედი. გზად მუსიკას ბოლომდე ავუწიე, საკუთარ ფიქრებთან მარტო რომ არ დავრჩენილიყავი. მშობლების მადლიერი გახლდით. თითქოს ჯერ კიდევ ჭიპლარით ოჯახთან ვიყავი მიბმული, მათთან ერთად კვირა შუადღეს სადილობა თავს უსაფრთხოდ მაგრძნობინებდა.

— სადილი? — მამამ ხელები მუცელზე შემოიხვია, — ოჰ, არა. კვირაობით აღარ ვსადილობთ. როგორც აღმოჩნდა, სადილი პატრიარქალური ტირანიის გადმონაშთია.

ბაბუამ მგლოვიარე სახით დააკანტურა თავი დასტურის ნიშნად.

— არა, არა, სადილი როგორ შეიძლება. კვირაობით ახლა სენდვიჩებს მივირთმევთ. ან წვნიანს. წვნიანები თურმე ფემინიზმს არ ეწინააღმდეგება.

ტრინამ, რომელიც სასადილო მაგიდასთან მეცადინეობდა, თვალები გადაატრიალა:

— დედა უბრალოდ ქალთა პოეზიის წრეზე დადის კვირა დილაობით, მოზრდილთა საგანმანათლებლო ცენტრში. ანდრეა დვორკინად კი არ ქცეულა.

— ხედავ, ლუ? ახლა ვალდებული ვარ, ფემინიზმზე ყველაფერი ვიცოდე. ამ ვიღაც... ენდრიუ დორკინმა კი კვირის სადილი მომპარა!

— სცენებს ნუ მართავ, მამა.

— სცენები რა შუაშია? კვირა ოჯახის დღეა. ოჯახური სადილი უნდა გვქონდეს.

— დედას მთელი ცხოვრება ოჯახის დღე იყო. რატომ არ შეგიძლია, ცოტა დრო მისცე საკუთარი თავისთვის?

მამამ დაგორგლილი გაზეთი ტრინასკენ გაიშვირა:

— სულ შენი ბრალია. მე და დედაშენი ბედნიერები ვიყავით, სანამ შენ შთააგონებდი, რომ უბედურია.

ბაბუა კვლავ თავის ქნევით დაეთანხმა.

— ყველაფერი უარესობისკენ მიდის. ტელევიზორისთვის ვერ მიყურებია, ყველაფერზე რომ არ ჩაიბუტბუტოს:„რა სექსიზმია“. იოგურტის რეკლამები სექსისტურია; ეს სექსისტურია, ის სექსისტურია. სახლში ყოველკვირეული ჟურნალი მოვიტანე, სპორტის განყოფილების წასაკითხად, მან კი ბუხარში მოისრო-

ლა მესამე გვერდის გამო. სად დადის, არც კი ვიცი ხოლ-მე.

— კვირაში ერთხელ, ორსაათიან გაკვეთილზე, — მშვიდად უპასუხა ტრინამ, ისე, რომ წიგნიდან თავი არ აუღია, — კვირა დღეს.

— არ დაგცინი, მამა, — ვუთხარი, — მაგრამ ეგ რაღაცები მკლავის ბოლოს...

— რა? — დაიხედა მამამ, — რა?

— ხელები, — ვუპასუხე, — მიხატული კი არ გაქვს.

შემომიბღვირა.

— ხომ შეგიძლია, შენ მოამზადო სადილი? დედას გაახარებ-დი, როცა გაკვეთილიდან დაბრუნდება.

მამას თვალები გაუფართოვდა:

— მე გავაკეთო სადილი? მე? თითქმის ოცდაათი წელია, ცოლ-ქმარი ვართ, ლუისა. მე არ ვაკეთებ ამ დაწყევლილ სადი-ლებს. მე ფულს გამოვიმუშავებ, დედაშენი კი სადილს ამზადებს. ასეთია შეთანხმება! მე ამაზე მოვაწერე ხელი! რას ემსგავსება ეს ქვეყანა! მე უნდა ვიდგე ტაფით ხელში კვირა დღეს? სადაა სა-მართლიანობა?

— ამას თანამედროვე ცხოვრება ჰქვია, მამა.

— თანამედროვე ცხოვრება. შენც ამათნაირი ხარ, — ჩაიფრუ-ტუნა მამამ, — თავს დავდებ, ბატონი ტრეინორი კვირაობით მშვენიერ სადილებს მიირთმევს. არა მგონია, მისი გოგო ფემი-ნისტი იყოს.

— აჰ, მაშინ სასახლე გჭირდება, მამა. სასახლე ფემინიზმს ამარცხებს.

მე და ტრინას სიცილი აგვიტყდა.

— იცით, რა? მაგიტომაც ხართ ორივენი მარტოხელები.

— ოოჰ, წითელი ბარათი! — ორივემ მარჯვენა ხელი ავწიეთ. მამამ გაზეთი აიქნია და ბაღში გავიდა.

ტრინამ გამიღიმა:

— ვაპირებდი, შემომეთავაზებინა, სადილი მოვამზადოთ-- მეთქი, მაგრამ... ახლა?

— არ ვიცი. არ მინდა, პატრიარქალურ ტირანიას ხელი შევუწყო. პაბში ხომ არ წავიდეთ?

— მშვენიერია. დედას მივწერ.

დედაჩემმა ორმოცდახუთი წლის ასაკში დაიწყო ნაჭუჭიდან გამოსვლა. თავიდან ფრთხილად, ახლა კი მზარდი ენთუზიაზმით. წლობით არ გასულა სახლიდან მარტო, სრულიად აკმაყოფილებდა სამ-ნახევარ ოთახიან სამფლობელოში ცხოვრება. თუმცა, ჩემი საავადმყოფოში ყოფნისას, ლონდონში რამდენიმე კვირა რომ გაატარა, ჩვეული რეჟიმიდან ამოვარდა. ამან მასში დიდი ხნის განმავლობაში მიძინებული ცნობისმოყვარეობა გააღვიძა — როგორი იყო ცხოვრება სტროტფოლდის მიღმა. ტრინასთვის კოლეჯში დარიგებული ფემინისტური ტექსტების ფურცვლა დაწყო. ამ ორმა ალქიმიურმა მოვლენამ დედაჩემს უბიძგა, გამოღვიძების მსგავსი რამ განეცადა. ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა „მეორე სქესი“ და„ფრენის შიში“, მათ მოჰყვა „მდედრი საჭურისი“. „ქალის ოთახის“ წაკითხვის შემდეგ ისეთი თავზარდაცემული იყო საკუთარ ცხოვრებასთან პარალელების აღმოჩენით, რომ უარი განაცხადა, მომდევნო სამი დღის განმავლობაში საჭმელი მოემზადებინა. მერე ბაბუას წაასწრო, რომელიც ვადაგასულ დონატებს იმარაგებდა, და გულმა აღარ მოუთმინა.

— სულ იმაზე ვფიქრობ, რასაც შენი უილი ამბობდა, — აღნიშნა, როცა პაბის ბაღში, მაგიდის გარშემო დავსხედით. ამ დროს ტომი სხვა ბავშვებს სასახლის ფორმის სახტუნაოზე ასვლაზე ეკამათებოდა, — მხოლოდ ერთხელ ცხოვრობ — ასე არ გითხრა? — თავისი ყოველდღიური ლურჯი მაისური ეცვა, მაგრამ თმა ახლებურად შეეკრა. ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, — მინდა,

დრო გამოვიყენო, ახალი რამეები ვისწავლო. ხანდახან მაინც გავიხადო რეზინის ხელთათმანები.

— მამა ცოფებს ყრის, — აღვნიშნე.

— რანაირად ლაპარაკობ!

— სენდვიჩი მიირთვას, — თქვა ტრინამ, — გობის უდაბნოში კი არ დაეხეტება ორმოცი დღის უჭმელი.

— თანაც, ათკვირიანი კურსია. არაფერი უჭირს, — მტკიცედ დასძინა დედამ და სკამის საზურგეს მიეყრდნო, რათა კარგად შევეთვალიერებინეთ, — რა კარგია! აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის დავრჩით მხოლოდ ჩვენ სამნი ერთად... მგონი, მას შემდეგ აღარ ვყოფილვართ, რაც მოზარდები იყავით და შაბათობით საყიდლებზე დავდიოდით.

— ტრინა კი წუწუნებდა, მოსაწყენი მაღაზიებიაო.

— ჰო, რადგან ლუს ოფლის სუნით აყროლებული საქველმოქმედო მაღაზიები მოსწონდა.

— მიხარია, ძველებურ ტანსაცმელს რომ დაუბრუნდი, — სიხარულით შემომხედა დედამ. კაშკაშა ყვითელი მაისური მეცვა. იმედი მქონდა, უფრო ბედნიერი გამოვჩნდებოდი, ვიდრე ვიყავი.

ლილიზე მკითხეს. ვუთხარი, ბოლო დროს დედასთან უფრო მეტ დროს ატარებს, ცოტა არ იყოს, ცხოვრებას მირთულებდა-- მეთქი. ერთმანეთს გადახედეს, თითქოს ელოდნენ, ასეთი რამ რომ მოხდებოდა. მისის ტრეინორთან შეხვედრაზე არაფერი მითქვამს.

— ეს ლილის ამბავი ძალიან უცნაურია. ვერ წარმომიდგენია, დედამისმა ასე როგორ გადმოგილოცა.

— სხვათა შორის, დედა მართალია, — ჩაერთო ტრინა.

— და ეგ შენი სამსახური, ლუ, საყვარელო. სულაც არ მომწონს იმაზე ფიქრი, ბარის უკან ნახევრად შიშველი რომ დადიხარ. იმ ადგილს ჰგავს... რა ჰქვია?

— ჰუტერსი (ბარის ტიპი, სადაც გამომწვევად ჩაცმული მიმტანები მუშაობენ), — შეახსენა ტრინამ.

— ჰუტერსი არ არის. აეროპორტია. სოლიდური ხალხი დადის.

— მაგრამ შენ ძალიან სექსისტური უნიფორმა გაცვია. თუ ამის კეთება გსურს, იმუშავე... თუნდაც პარიზის დისნეილენდში. მინი, ან ვინი პუჰი თუ იქნები, ფეხების გამოჩენა არ დაგევალება.

— მალე ოცდაათი შეგისრულდება, — მხარი აუბა ჩემმა დამ, — მინი, ვინი, ნელ გვინი. არჩევანი შენზეა.

— მეც ვფიქრობდი ამაზე, — ვუპასუხე, როცა მიმტანს ჩვენი ქათამი და კარტოფილი მოჰქონდა, — და მართლები ხართ. ამიერიდან, კარიერაზე ზრუნვას მეტ დროსა და ყურადღებას დავუთმობ.

— შეგიძლია, გაიმეორო? — ჩემმა დამ ცოტა კარტოფილი თავისი თეფშიდან ტომისაზე გადააწყო. ბაღი უფრო ახმაურდა.

— კარიერას მეტ დროსა და ყურადღებას დავუთმობ, — გავიმეორე ხმამაღლა.

— არა, ეგ არა, ის ნაწილი, რომ მართალი ვარ. მგონი, 1997 წლის მერე არ გითქვამს მსგავსი რამ. ტომ, ჯერ ნუ დაბრუნდები სახტუნაო სასახლეში, გული აგერევა.

ნაშუადღევი იქ გავატარეთ. მამას მბრძანებლურ შეტყობინებებს, გაგვეგებინებინა, სად ვიყავით და რას ვაკეთებდით, ყურადღება არ მივაქციეთ. დედასა და დასთან ნორმალური, ზრდასრული ადამიანივით არასოდეს ვმჯდარვარ და არ მისაუბრია. ერთმანეთის ცხოვრებითა და მოსაზრებებით დავინტერესდით და მივხვდით, თითოეული ჩვენგანი უფრო მეტი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე ჩვენზე მოკერებული როლებით — ჭკვიანი, ქაოსური თუ დიასახლისი — განისაზღვრებოდა.

უცნაური სიამოვნება ყოფილა ოჯახის წევრების ჩვეულებრივ ადამიანებად აღქმა.

— დედა, — ვუთხარი, როცა ტომმა ქათმის ჭამა დაასრულა და კვლავ სახტუნაოდ გაიქცა, დაახლოებით ხუთი წუთით ადრე, სანამ მთელ ნაჭამს სასახლეში ამოაფრქვევდა და კარგა ხნით უფუნქციოდ დატოვებდა, — დარდობ ხოლმე, კარიერას რომ არ მიხედე?

— არა. დედობა ძალიან მიყვარდა. ნამდვილად მიყვარდა. მაგრამ უცნაურია... ბოლო ორი წლის განმავლობაში რაც მოხდა, ამ ყველაფერმა დამაფიქრა.

დაველოდე, რომ გაეგრძელებინა.

— ქალებზე ვკითხულობდი — მამაც ადამიანებზე, რომლებმაც სამყარო შეცვალეს. ადამიანების აზროვნება და ქმედებები შეცვალეს. შემდეგ ჩემს განვლილ წლებს დავაკვირდი და ვფიქრობ, ნეტავ ვინმე თუ შეამჩნევს, რომ გავქრები-მეთქი.

ისე თქვა, დავეჭვდი, რომ უფრო მეტად დარდობდა ამაზე, ვიდრე ეტყობოდა.

— ჩვენ ნამდვილად შევამჩნევდით, დედა, — ვუთხარი.

— ჰო, მაგრამ, ჩემი კვალი არ დამიტოვებია, ხომ ასეა? არ ვიცი. ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი. ოცდაათი წელი ერთსა და იმავეს ვაკეთებდი. ახლა კი, ყველაფერი, რასაც ვკითხულობ წიგნებში, გაზეთებში, ვუსმენ ტელევიზორში... თითქოს მეუბნება, ეს არაფრად ღირდაო.

მე და ჩემი და ერთმანეთს შევაქცერდით.

— ჩვენთვის ღირდა, დედა.

— თქვენ კარგი გოგოები ხართ.

— გულწრფელად ვამბობ. შენ... — უეცრად ტანია ჰაგტონ-მილერი გამახსენდა, — თავს დაცულად გვაგრძნობინებდი. სიყვარულში გაგვზარდე. ყოველდღე ჩვენ გვერდით იყავი.

დედამ ხელი ხელზე დამადო.

— მე არაფერი მიჭირს. ორივენი მეამაყებით, თქვენ-თქვენი გზით მიდიხართ ცხოვრებაში. მართლა. მაგრამ ჩემთვისაც უნდა

მოვიფიქრო რამე. საინტერესო თავგადასავალი იქნება. ძალიან მსიამოვნებს კითხვა. ბიბლიოთეკარი მისის დინსი ათასნაირ წიგნებს მირჩევს, რაც მისი აზრით დამაინტერესებს. მალე ამერიკის ახალი ტალღის ფემინისტებზე გადავალ. ნამდვილად საინტერესო თეორიები აქვთ, — ხელსახოცი კოხტად გადაკეცა, — თუმცა, ხანდახან ვნატრობ, ამდენს არ კამათობდნენ. ზოგჯერ მინდა, თავები ერთმანეთს ვარტყმევინო.

— და... მართლა აღარ იპარსავ ფეხებს?

მეტისმეტი მომივიდა. დედას სახე მოექუფრა.

— ზოგჯერ რთულია ჩაგვრის ნიშნების დანახვა. მამათქვენს რაც ვუთხარი, იმას გაგიმეორებთ, გოგოებო: იმ დღესვე, როცა სალონში წავა და ფეხებს ცვილით აიფხრეწს, მეც იმავეს ვიზამ.

სტროტფოლდის თავზე მზე დამდნარი კარაქივით რბილად ჩასრიალდა. უფრო გვიან საღამომდე დავრჩი, ვიდრე ვაპირებდი. მერე ოჯახს დავემშვიდობე, მანქანაში ჩავჯექი და სახლისკენ დავიძარი. თავს მხნედ, მტკიცედ ვგრძნობდი. წინა კვირის ემოციური გაუწონასწორებლობის შემდეგ სასიამოვნო იყო ისევ ნორმალურ გარემოში ყოფნა. ჩემი და, რომელიც სისუსტეს არასოდეს ამჟღავნებდა, გამოტყდა, მეშინია, რომ მთელი ცხოვრება მარტო დავრჩებიო; ყურადღებას არ აქცევდა დედას დაჟინებას — მშვენიერი გოგონა ხარო.

— მე ხომ მარტოხელა დედა ვარ, — თქვა ტრინამ, — თანაც, ფლირტი არ მეხერხება. მაინც ვერ მივხვდები, როგორ ვეფლირტაო ვინმეს, თუნდაც მის ზურგს უკან ლუისა იდგეს და პლაკატებით მიმანიშნებდეს. ყველა კაცი, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში გავიცანი, ტომმა ან რამე სხვამ შეაშინა.

— აუჰ, არა... — წამოიწყო დედამ.

— ეს უფასო საბუღალტრო ანგარიშია.

უეცრად, შორიდან შევხედე და თანაგრძნობით აღვივსე. ტრინა მართალი იყო: მე, რაც უნდა უცნაური იყოს, გამიმართლა —

ცალკე სახლი მქონდა, მოვალეობებისგან თავისუფალი მომავალი, და საკუთარ თავს მხოლოდ თვითონ თუ ვაბრკოლებდი. შთამბეჭდავი იყო, რომ ტრინა ამ უსამართლობის გამო ჩემზე არ დაბოღმილა. წასვლის წინ გულში ჩავიკარი. ცოტათი გაუკვირდა, მერე წამით დაეჭვდა, ზურგზე რამე სასაცილო წარწერა ხომ არ მომაკროო და მხოლოდ შემდეგ ჩამეხუტა თავადაც.

— მესტუმრე და დარჩი, — შევთავაზე, — მართლა, მესტუმრე და დარჩი. ერთ ნაცნობ საცეკვაო კლუბში წაგიყვან, ტომს დედა მიხედავს.

ჩემს დას გაეცინა და მანქანის კარი მომიხურა.

— შენ და ცეკვა? ჰო, როგორ არა.

მანქანა რომ დავძარი, ჯერ კიდევ იცინოდა.

ექვსი დღის შემდეგ, ღამის ცვლიდან სახლში დაბრუნებულს, საკუთარ ბინაში დამხვდა კლუბი. ჩვეული სიჩუმის ნაცვლად, კიბეებზე ამოსვლისას, სიცილისა და მუსიკის ხმები შემომესმა. წუთით კარის წინ შევყოვნდი, იქნებ დაღლილობისგან ამერია-- მეთქი, მერე კი გავაღე.

თავიდან მარიხუანას სუნი მეცა, ისეთი ძლიერი, სუნთქვა შემეკრა. მისაღებისკენ ნელა გავემართე, კარი გავაღე და გაოგნებისგან გავშეშდი. ვერ ვიჯერებდი, რასაც ვხედავდი. სუსტად განათებულ ოთახში ლილი ჩემს ტახტზე წამოწოლილიყო, ქვედაბოლო ისე ასწეოდა, უკანალს ვეღარ უფარავდა, პირისკენ ცუდად შეხვეული მოსაწევი მიჰქონდა. ტახტთან ორი ახალგაზრდა ბიჭი გაშხლართულიყო, ბოთლების, ჩიპსების ცარიელი პაკეტებისა და ლუდის ქილების ზღვაში. იქვე, იატაკზე ლილის ასაკის ორი გოგოც იჯდა: ერთს თმა ცხენის კუდად შეეკრა და ჩემს დანახვაზე წარბები აზიდა, თითქოს მეკითხებოდა, შენ აქ რა გინდაო. მუსიკა ხმამაღლა უკრავდა. ლუდის ქილებისა და საფერფლეების რაოდენობა გრძელ ღამეზე მეტყველებდა.

— ოჰო, — გაწელა ლილიმ, — ggg-აა-მმ-აარ-ჯოო-ბაა.

— რას აკეთებ?

— გარეთ ვიყავით, ღამის ავტობუსს ვერ მივასწარით და ვიფიქრე, აქ დავრჩენილიყავით. შენ ხომ არ იქნები წინააღმდეგი?

ისეთი გაოგნებული ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი.

— დიახაც, ვიქნები.

— ოო-ჰო! — სიცილი დაიწყო.

ჩანთა ხმაურით დავაგდე. სანაგვედ ქცეულ ოთახში მიმოვიხედე.

— წვეულება დამთავრებულია. ხუთი წუთი გაქვთ, რომ აქაურობა დაალაგოთ და წახვიდეთ.

— ღმერთო, ვიცოდი. ახლა ბუზღუნს დაიწყებ. აუჰ. ვიცოდი, — მელოდრამატულად დაეშვა ტახტზე. ენა ებმოდა, ქცევები შენელებოდა. რისგან? ნარკოტიკებისგან? ვიცდიდი. მოკლე, დაძაბული წუთის განმავლობაში, ბიჭებმა შემომხედეს, ცდილობდნენ გადაეწყვიტათ, წასულიყვნენ თუ ადგილზე დარჩენილიყვნენ.

ერთ-ერთმა გოგომ კბილები ხმაურით გაიწმინდა.

— ოთხი წუთი დარჩა, — მშვიდად განვაცხადე, — ვითვლი.

ეტყობა, ჩემმა სამართლიანმა რისხვამ ძალაუფლება მომანიჭა ან არც ისე მამაცები იყვნენ, როგორებიც ჩანდნენ. სათითაოდ წამოდგნენ და კარიდან ბანცალით გავიდნენ. მეორე ბიჭმა სახლიდან გასვლისას დემონსტრაციულად ასწია ხელი და დერეფნის იატაკზე ლუდის ქილა დააგდო. ლუდი კედელსა და ხალიჩას შეესხა. კარი მივუჯახუნე. ლილისთან რომ დავბრუნდი, ბრაზით ვცახცახებდი.

— ეს რა ჯანდაბა იყო?

— ღმერთო! უბრალოდ, რამდენიმე მეგობარი მოვიყვანე.

— ეს შენი სახლი არ არის, ლილი. არ გაქვს უფლება, ვიღაცები მოიყვანო... — უეცრად გამახსენდა ის უცნაური სუნი, რომელიც გასულ კვირას, სახლში მოსულმა ვიგრძენი, — ო, ღმერთო.

ეს აქამდეც გაგიკეთებია, ხომ? წინა კვირას ვიღაც ხალხი გყავდა და ჩემს დაბრუნებამდე წახვედით.

ლილი წამოდგა, წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა. ქვედაბოლო გაიძრო და თმა ხელით გადაივარცხნა. თვალის ფანქარი გასდღაბნოდა და ყელზე ჩალურჯება ეტყობოდა, შესაძლოა — კოცნისგან დატოვებული.

— ღმერთო, ყველაფრის გაზვიადება რატომ გიყვარს? უბრალოდ ნაცნობები იყვნენ.

— ეს ჩემი სახლია.

— სახლს ვერ ვუწოდებდი. არც ავეჯია, არც რაიმე პირადული ნივთი. კედელზე ერთი ფოტოც კი არ გიკიდია, თითქოს... ავტოფარეხია. ავტოფარეხი მანქანის გარეშე. ზოგი ბენზინგასამართი სადგური უფრო ჰგავს სახლს, ვიდრე აქაურობა.

— ჩემს სახლს როგორ მოვაწყობ, შენი საქმე არ არის.

დააბოყინა და მაშინვე ჰაერი ხელით გაანიავა.

— უჰ, ქაბაბის სუნი ამდის, — სამზარეულოსკენ გაემართა და სამი კარადა გამოაღო, სანამ ჭიქას იპოვიდა. წყლით გაავსო და ერთი მოყუდებით დალია, — ნორმალური ტელევიზორიც კი არ გაქვს. არ ვიცოდი, ვინმე ჯერ კიდევ თუ იყენებდა თვრამეტინჩიან ტელევიზორს.

ქილების შეგროვება დავიწყე, პოლიეთილენის პარკში ვყრიდი.

— ვინ იყვნენ?

— არ ვიცი, ვიღაც ხალხი.

— არ იცი?

— მეგობრები, — ხმაში გაღიზიანება შეერია, — კლუბიდან ვიცნობ.

— კლუბში გაიცანი?

— ჰო. კლუბში. ბლა, ბლა, ბლა. თითქოს ძალით ისულელებ თავს. ჰო, ვიღაც მეგობრები, რომლებიც კლუბში გავიცანი.

ნორმალური ხალხი ასე იქცევა. მეგობრები ჰყავთ, ვისთანაც ერთობიან.

ჭიქა ნიჟარაში ჩააგდო — ჭახანის ხმა შემომესმა — და სამზარეულოდან გავიდა.

შევხედე და უეცრად გულმა რეჩხი მიყო. ჩემს ოთახში გავიქეცი, ზედა უჯრა გამოვაღე. წინდები გადავქექე პატარა ყუთის ძებნაში, რომელშიც ბებიაჩემის ძეწკვი და საქორწინო ბეჭედი იდო. გავჩერდი, ღრმად ჩავისუნთქე და თავს ვუთხარი, იმიტომ ვერ ვპოულობ, რომ პანიკაში ვარ-მეთქი. აქ იქნებოდა. აუცილებლად ვიპოვიდი. უჯრის შიგთავსს სათითაოდ ვიღებდი, გულმოდგინედ ვამოწმებდი, მერე საწოლზე ვყრიდი.

— აქ ხომ არ შემოსულა ვინმე? — გავძახე ლილის.

კარში გამოჩნდა:

— რა?

— შენი მეგობრები ჩემს საძინებელში ხომ არ შემოსულან? სადაა ჩემი სამკაულები?

ლილი ოდნავ გამოფხიზლდა:

— სამკაულები?

— ო, არა. ო არა, — ყველა უჯრა გამოვაღე და დავაცარიელე, — სადაა? სადაა ჩემი გადანახული ფული? — ლილის მივუტრიალდი, — ვინ იყო ეს ხალხი? რა ერქვათ?

ლილი მიჩუმდა.

— ლილი!

— არ... არ ვიცი.

— რას ნიშნავს, არ იცი? აკი მეგობრები არიან?

— უბრალოდ... კლუბის მეგობრები. მიჩი და... ლიზა და... არ მახსოვს.

კარისკენ გავიქეცი, დერეფანს ჩავუქროლე და ოთხ-ოთხი საფეხურის გამოტოვებით ჩავირბინე კიბე. მაგრამ როცა გასას-

ვლელს მივაღწიე, ქუჩა უკვე ცარიელი დამხვდა. ვატერლოოს გვიანი ავტობუსი ტორტმანით მიირწეოდა ჩაბნელებულ ქუჩაზე.

კარში ვიდექი, აქოშინებული. თვალები დავხუჭე, ვცადე, ცრემლები შემეკავებინა. იმის გააზრებისას, რა დავკარგე, ხელები მუხლებზე დავიწყვე: ბებიაჩემის ბეჭედი და საუკეთესო ხარისხის ოქროს ძეწკვი, პაწაწინა კულონით, რომელსაც ჩემს ბავშვობაში ატარებდა. ვიცოდი, სამუდამოდ დავკარგე. ჩემს ოჯახში ისედაც ძალიან ცოტა რამ იყო, რისი გადაცემაც მომავალი თაობისთვის შემეძლო, ახლა კი ისიც გაქრა.

კიბეზე ზლაზვნით ავედი.

ლილი დერეფანში იდგა, როცა სახლის კარი შევაღე.

— ძალიან ვწუხვარ, — ჩუმად მითხრა, — არ ვიცოდი, რაიმეს თუ მოგპარავდნენ.

— წადი, ლილი, — ვუთხარი.

— კარგი ხალხი ჩანდა. მე... მე უნდა მეფიქრა...

— ცამეტი საათია, ვმუშაობ. უნდა გავარკვიო, კიდევ რა დავკარგე და მერე დავიძინო. დედაშენი დაბრუნდა. გთხოვ, სახლში წადი.

— მაგრამ მე...

— არა, აღარაფერი თქვა, — ნელა გავსწორდი წელში და სული მოვითქვი, — იცი, სინამდვილეში რით განსხვავდებით შენ და მამაშენი? მაშინაც კი, როცა თავს ყველაზე უბედურად გრძნობდა, ასე არავის ექცეოდა.

ლილი ისე გამოიყურებოდა, თითქოს სილა გავაწანი, მაგრამ არ მენაღვლებოდა.

— აღარ შემიძლია ასე გაგრძელება, ლილი, — ოცფუნტიანი ამოვიღე საფულიდან და გავუწოდე, — აიღე, ტაქსისთვის.

დახედა, მერე მე შემომხედა და ნერწყვი გადაყლაპა. თმა ხელით გადაივარცხნა და მისაღებ ოთახში გავიდა.

ქურთუკი გავიხადე და უჯრების ზემოთ, პატარა სარკეში საკუთარ გამოსახულებას დავაკვირდი. ფერმკრთალი, დაქანცული, დამარცხებული იერი მქონდა.

— და გასაღები დატოვე, — გავძახე.

ხანმოკლე დუმილი ჩამოწვა. გასაღების სამზარეულოს დახლზე ჩხარუნი გავიგე, მას სადარბაზო კარის დახურვის ხმა მოჰყვა და ლილი წავიდა.

თავი მეთექვსმეტე

„ყველაფერი გავაფუჭე, უილ“.

ფეხები მოვკეცე და მუხლები მკერდთან მივიტანე. ვცადე, წარმომედგინა, რას მეტყოდა, ახლა რომ ვენახე. მისი ხმა გონებაში აღარ მესმოდა და ეს მცირე ამბავი კიდევ უფრო მასევდიანებდა.

„ახლა როგორ მოვიქცე?“

ვხვდებოდი, რომ აღარ შემეძლო, ამ ბინაში დავრჩენილიყავი, რომელიც უილის დატოვებული ფულით ვიყიდე. აქაურობა თითქოს ჩემს მარცხს განასახიერებდა, ბონუს პრიზი იყო, რომელიც ვერ დავიმსახურე. როგორ უნდა აქციო ბინა შენს სახლად, როცა იგი ამდენი უბედურების შედეგად მიიღე? გავყიდდი და ფულს სხვა რამეში დავაბანდებდი. მაგრამ სად წავსულიყავი?

ჩემს სამსახურზე დავფიქრდი. კელტური გუდასტვირის ხმის გაგონებაზეც, თუნდაც ტელევიზორში ყოფილიყო, ავტომატურად მუცელი მგვრემდა. რიჩარდი თავს უსარგებლოდ, გამოუსადეგარ ადამიანად მაგრძნობინებდა.

ლილიზეც დავფიქრდი. არაფერია იმ სიჩუმეზე უფრო მტანჯველი, რომელიც მაშინ ჩამოწვება, როცა იცი, სახლში შენ გარდა არავინაა. ნეტა, სად იყო ახლა ლილი? გადავწყვიტე, ამაზე ფიქრი შემეწყვიტა.

წვიმამ გადაიღო, ნელა, უჩუმრად, თითქოს ბოდიშის მოხდით. თითქოს ამინდმა აღიარა, შევცდიო. ტანსაცმელი მოვაწესრიგე, ბინა დავალაგე, წვეულებიდან დაგროვილი ნაგავი გადავყარე. ყვავილების ბაზარში გავისეირნე, თავი დავისაქმე. ყოველთვის სჯობს, გარეთ გახვიდეო, თქვა ერთხელ მარკმა. იქნებ თავი უკეთ მეგრძნო ხალხით გადაჭედილ, მყვირალა ფერის ყვავილებითა და ზანტად მოსეირნე მყიდველებით სავსე კო-

ლუმბია როუდზე. თავს ძალა დავატანე, გამეღიმა. სამირი ლამის შევაშინე, როცა ვუთხარი, რომ ვაშლს ვყიდულობდი („ნარკოტიკებს ხომ არ იღებ?“) და ყვავილების ზღვისკენ დავიძარი.

პატარა კაფეში ყავა დავლიე და დაორთქლილი ფანჯრიდან ბაზრის ყურებაში გავერთე. არ მადარდებდა, კაფეში მარტო რომ ვიჯექი. მთელი ბაზარი შემოვიარე, ლილიების ნესტიანი და მძლავრი სურნელი შევისუნთქე. ვარდებითა და იორდასალამებით დავტკბი, ჯერ კიდევ შერჩენოდათ წვიმის მიყინული წვეთები. გეორგინები ვიყიდე. თავი სარეკლამო რგოლის გმირი მეგონა: მარტოხელა გოგო, რომელსაც ლონდონში ცხოვრების ოცნება აუხდა.

სახლში ფეხით წავედი, ცალ ხელში გეორგინები მეკავა. ვცდილობდი, კოჭლობით არ მევლო, გონებაში კი ხმა ჩამძახოდა, ნეტავ ვის ატყუებო.

საღამო ზანტად მიიზლაზნებოდა, როგორც ყველა მარტოსული საღამო. საპირფარეშოდან სიგარეტის ნამწვები ამოვასუფთავე და ამით ბინის დალაგება დავასრულე. ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურე, უნიფორმა გავირეცხე. ქაფიანი აბაზანა მოვიმზადე, მაგრამ ხუთ წუთში ამოვძვერი, რადგან ფიქრებთან განმარტოების შემეშინდა. არც დედაჩემთან შემეძლო დარეკვა, არც ჩემს დასთან: ვიცოდი, თავს ვერ მოვიკატუნებდი თითქოს ბედნიერი ვიყავი.

ბოლოს ტუმბადან წერილი ავიღე. წერილი, რომელიც უილმა მომიმზადა პარიზში წასაკითხად, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იმედით ვიყავი სავსე. უკვე გაცვეთილი ფურცელი ფრთხილად გავშალე. შარშან ყოველღამე ვკითხულობდი. ვცდილობდი, ასე გამეცოცხლებინა უილი. ვიზოგავდი, კვების რაციონივით ვანაწილებდი წასაკითხ რაოდენობას, მეშინოდა, ჯადოსნური ძალა არ დაეკარგა და სიტყვები უმნიშვნელო არ გამხდარიყო. ახლა ძალიან მჭირდებოდა ხელახლა წაკითხვა.

კომპიუტერში აკრეფილი ტექსტი იყო. ისე მეძვირფასებოდა, თითქოს ხელით დაეწერა, მაგრამ ეს ხომ არ შეეძლო. ეს ამობეჭდილი სიტყვები ჯერ კიდევ ატარებდა მისი ენერგიის ნარჩენს.

„შენთვის ახალ სამყაროში თავს ჯერ არაკომფორტულად და უჩვეულოდ იგრძნობ. კომფორტის ზონიდან გასვლა არასდროსაა ადვილი...

შენში დიდი შიმშილი იმალება, კლარკ, შეუპოვრობა, უშიშრობა, რომელიც სულის სიღრმეში გქონდა ჩამარხული. ისევე, როგორც ადამიანების უმრავლესობას.

უბრალოდ კარგად იცხოვრე.

უბრალოდ იცხოვრე“.

წავიკითხე იმ კაცის სიტყვები, რომელსაც ოდესღაც ჩემი სჯეროდა, თავი მუხლებზე დავდე და ავტირდი.

ტელეფონმა დარეკა. მეტისმეტად ხმამაღლა, მეტისმეტად ახლოს ჩემს თავთან. წამოვხტი. საათს გავხედე, ღამის ორი საათი იყო. ჩვეული შიში დამეუფლა:

— ლილი?

— რა? ლუ?

ტელეფონის მეორე ბოლოდან ნათანის ხმა შემომესმა.

— ორი საათია, ნათან.

— ოჰ, ყოველთვის მეშლება დროში განსხვავება. ბოდიში. მოგვიანებით ხომ არ გადმოგირეკო?

წამოვჯექი, თვალები მოვიფშვნიტე.

— არა. არა... მიხარია შენი ხმის გაგონება, — საწოლის გვერდით სანათი ავანთე, — როგორ ხარ?

— კარგად! ნიუ-იორკში დავბრუნდი.

— შესანიშნავია.

— ჰო, მშობლების მონახულება კარგი იყო, მაგრამ ორიოდ კვირაში ერთი სული მქონდა, უკან წამოვსულიყავი. ეს ქალაქი ძალიან მაგარია.

ნაძალადევად გავიღიმე, თითქოს დაინახავდა.

— მშვენიერია, ნათან. მიხარია.

— იმ შენს პაბში კარგად გრძნობ თავს?

— არა უშავს.

— არ გინდა... სხვა რამე აკეთო?

— ხომ იცი, როცა ყველაფერი ცუდადაა, თავს ეუბნები, შეიძლება უარესადაც ყოფილიყოო. მაგალითად, ძაღლების განავალი მეწმინდა. სიმართლე გითხრა, აი, ახლა, მართლა მირჩევნია, ძაღლების განავალს დავდევდე.

— მაშინ შენთან შემოთავაზება მაქვს.

— ამას ბევრი კლიენტი მეუბნება, პასუხი კი ყოველთვის არის — არა.

— ჰა-ჰა, კარგი. იმ ოჯახში, სადაც ვმუშაობ, სამუშაო ადგილი გამოჩნდა. პირველი შენ გამახსენდი.

ბატონი გოპნიკის ცოლი, ნათანის თქმით, ტიპური მდიდარი ცოლი არ იყო, მთელ დროს საყიდლებზე სიარულსა და ლანჩებზე არ ხარჯავდა. მითხრა, პოლონელი ემიგრანტია და მსუბუქი დეპრესიისკენ აქვს მიდრეკილებაო. მარტოდ გრძნობს თავს, მოახლე კი — გვატემალელი ქალი — ორ სიტყვას ვერ აგებინებსო.

ბატონ გოპნიკს სურდა, ეპოვა სანდო ადამიანი, რომელიც მის ცოლს კომპანიონობას გაუწევდა, ბავშვების მოვლაში ხელს შეაშველებდა და მოგზაურობების დროს ოჯახს დაემგზავრებოდა.

— მხიარული და სანდო გოგონა სჭირდება, თან ისეთი, მათ პირად ცხოვრებაზე ბევრს რომ არ ილაყბებს.

— მან იცის...

— უილის შესახებ პირველივე შეხვედრისას მოვუყევი, მაგრამ თურმე უკვე მოესწრო ყველაფრის გარკვევა. ამას არ შეუწუხებია, პირიქით. ასე თქვა, ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორ ეცით პატივი უილის სურვილს და თან ეს ამბავი საჯაროდ არ გაავრცელეთო, — ნათანი შეყოვნდა და გააგრძელა, — რაღაცას მივხვდი. ახლა, ლუ, წარმატებული ხალხი ნდობასა და საიდუმლოს შენახვის უნარს ყველაზე მეტად აფასებს. ცხადია, სულელი არ უნდა იყო და საქმეს თავს უნდა ართმევდე, მაგრამ, ჰო, მთავარი ეგ არის.

თავბრუ მეხვეოდა, ფიქრები თითქოს წრეზე ცეკვავდნენ ჩემს გონებაში. ტელეფონი წინ გავწიე, დავხედე, მერე ისევ ყურთან მივიდე.

— ეს... ხომ არ მძინავს?

— მარტივი არ იქნება. ხანგრძლივი სამუშაო დღე და ბევრი საქმე გელის. მაგრამ, უნდა გამოგიტყდე, მეგობარო, მშვენივრად ვატარებ დროს.

გამახსენდა ბარი, გამაღიზიანებელი ბიზნესმენები, რიჩარდის გამგმირავი მზერა. დავფიქრდი ბინაზე, როგორ მიხუთავდა სულს.

— არ ვიცი. ეს... ეს ყველაფერი...

— მწვანე ბარათია, ლუ, — ნათანმა ხმას დაუწია, — ეს ხომ ნიუიორკია. მისმინე, ეს კაცი საქმის დამფასებელი კაცია. გულმოდგინედ იმუშავე და დანარჩენს ის მიხედავს. ჭკვიანია და სამართლიანი. ჩამოდი, აჩვენე, რა შეგიძლია და ისეთი შესაძლებლობები გაგიჩნდება, ვერც კი წარმოიდგენ. მართლა. ნუ წარმოიდგენ ამ საქმეს უბრალოდ ძიძობად, მიუდექი, როგორც კარიბჭეს...

— არ ვიცი...

— ვინმე ბიჭია, ვისი დატოვებაც არ გინდა?

შევყოყმანდი.

— არა, მაგრამ იმდენი რამ მოხდა... მე არ... — ღამის ორ საათზე ყველაფრის ახსნა არ მინდოდა.

— ვიცი, მომხდარმა გაგანადგურა. ყველანი ასე ვიყავით, მაგრამ ცხოვრება უნდა განაგრძო.

— ახლა ნუ მეტყვი, უილს ასე ენდომებოდაო.

— კარგი, — ორივემ გავიგეთ, როგორ თქვა სწორედ ეს, მაგრამ ჩუმად.

ვეცადე, გონება მომეკრიბა.

— გასაუბრებაზე ნიუ-იორკში მომიწევს ჩამოსვლა?

— ზაფხულს ჰემპტონში ატარებენ, ამიტომ მუშაობას სექტემბრიდან დაიწყებ, ექვს კვირაში. თუ დაინტერესდები, სკაიპით გაგესაუბრება და შენს ჩამოსასვლელად დოკუმენტებს მოამზადებს. სხვა კანდიდატებიც იქნებიან. მეტისმეტად კარგი სამსახურია. მაგრამ ბატონი ჯი მენდობა, ლუ. მე თუ ვინმეს რეკომენდაციას გავუწევ, დიდი შანსი ექნება. აბა, რას იტყვი? თანახმა ხარ, ხომ?

დაუფიქრებლად ვუპასუხე:

— ჰო... ჰო.

— მშვენიერია! თუ რამე კითხვა გაგიჩნდება, მომწერე, ელექტრონულად. ფოტოებს გამოგიგზავნი.

— ნათან?

— უნდა გავიქცე, ლუ. მოხუცმა ზარი დარეკა.

— გმადლობ. გმადლობ, რომ მე გაგახსენდი.

მცირე პაუზის შემდეგ მიპასუხა.

— შენთან მუშაობა ყველასთან მუშაობას მირჩევნია, მეგობარო.

მისი ზარის შემდეგ ძილი გამიტყდა. ვფიქრობდი, ჩვენი საუბარი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხომ არ იყო; თავბრუ მეხვეოდა იმის წარმოდგენით, რა დიდი ცვლილება მელოდა ცხოვრებაში.

ოთხ საათზე ნათანს შეკითხვები გავუგზავნე, რომლებზეც მაშინვე მიპასუხა.

„ოჯახს არა უშავს. მდიდრები იშვიათად არიან ნორმალურები, მაგრამ ესენი კარგი ხალხია. სცენების მოწყობა არ სჩვევიათ“.

„შენი ოთახი და სააბაზანო გექნება. სამზარეულოს მოახლესთან ერთად გავიყოფთ. ცუდი ქალი არ არის, ცოტა ბებერია. თავისთვისაა ხოლმე“.

„უმეტესად რვა სამუშაო საათია, ცუდ შემთხვევაში — ათი. თავისუფალ დღეებს მოგცემენ ხოლმე. კარგი იქნება, ცოტა პოლონურს თუ ისწავლი!“

უკვე თენდებოდა, როცა ჩამეძინა. გონებაში მანჰეტენის დუპლექსებსა და ხმაურიან ქუჩებს ვხედავდი. გაღვიძებულს უკვე დამხვდა ელექტრონული წერილი.

„ძვირფასო მისის კლარკ,

ნათანმა მითხრა, რომ ჩვენს სახლში მუშაობით ბრძანდებით დაინტერესებული. სამშაბათს, ხუთ საათზე გეცლებათ სკაიპით გასაუბრებისთვის?

პატივისცემით,

ლეონარდ ემ. გოპნიკი“

ოცი წუთი ეკრანს მივჩერებოდი. ეს იყო ნივთმტკიცება, რომ არაფერი მომლანდებია. ავდექი, შხაპი გადავივლე, ორმაგი ყავა მოვიმზადე და ვუპასუხე. გასაუბრება არ მაწყენდა. ალბათ არ ამიყვანდნენ, თუ ნიუ-იორკში ამდენი პროფესიონალი კადრი იყო. თუმცა, გასაუბრება კარგი გამოცდილება იქნებოდა, სხვა თუ არაფერი.

სამსახურში წასვლამდე უილის წერილი ფრთხილად ავიღე, ტუჩები შევახე, ნელა დავკეცე და შევინახე.

— გმადლობ, — ვუთხარი ჩუმად.

იმ კვირას დარდთან გამკლავების წრე ცოტათი შეთხელებული დამხვდა. ნატაშა დასასვენებლად იყო წასული, ჯეიკიც, რის გამოც გულზე მომეშვა, მაგრამ რატომღაც ოდნავ გული დამწყდა. საღამოს თემა იყო „დროის დაბრუნება რომ შემეძლოს“. ამის გამო უილიამი და სუნილი შერის სიმღერას ღიღინებდნენ ან უსტვენდნენ უსიტყვო შუალედებში, მთელი საათ-ნახევრის განმავლობაში.

ვუსმენდი, როგორ ამბობდა ფრედი, ნეტა, ნაკლებ დროს ვატარებდე სამსახურშიო. სუნილი კი დარდობდა, რომ ძმას უკეთ არ იცნობდა (ყოველთვის ფიქრობ, რომ დრო გაქვს და სულ შენ გვერდით იქნებიან, ხომ ასეა? ერთ დღესაც, მოიხედავ, და აღარ არის.). დავფიქრდი, ღირდა თუ არა ამ დღეს წრეზე მოსვლა.

რამდენჯერმე გამიელვა, რომ ეს წრე, შესაძლოა, მართლაც მეხმარებოდა. თუმცა, უმეტესწილად, ეს იყო ისეთ ხალხთან გაფლანგული დრო, ვისთანაც საერთო არაფერი გამაჩნდა. უხასიათო და დაღლილი ვიყავი, პლასტმასის მაგარი სკამი მენჯს მტკენდა; საკუთარ შინაგან სამყაროზე ასე ცოტას „ისტ ენდერსის“ ყურებითაც გავიგებდი, თანაც, ორცხობილები საერთოდ არ ვარგოდა.

ლინი, მარტოხელა დედა, ყვებოდა, როგორ ეჩხუბა დას სარბენი შარვლის გამო, მის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე.

— დავაბრალე, შენ აიღე-მეთქი, რადგან სულ ჩემს ნივთებში იქექებოდა, მან კი მითხრა, არ ამიღიაო, მაგრამ ყოველთვის ასე იმართლებდა თავს.

მარკი იცდიდა. გავიფიქრე, ნეტავ ჩანთაში ტკივილგამაყუჩებელი თუ მაქვს-მეთქი.

— მერე კი, იცით, ავტობუსი დაეჯახა და როცა უკანასკნელად ვნახე, მორგში იწვა. მის დაკრძალვაზე ჩასაცმელად შავ ტანსაცმელს ვეძებდი და იცით, რას წავაწყდი საკუთარ გარდერობში?

— იმ სპორტულ შარვალს, — გამოიცნო ფრედმა.

— რთულია, როცა ამბები დაუმთავრებლად წყდება, — თქვა მარკმა, — ზოგჯერ იმისთვის, რომ საღ გონებაზე დავრჩეთ, სჯობს, სურათს მასშტაბურად შევხედოთ.

— სრულიად შესაძლებელია, გიყვარდეს ადამიანი და ტანსაცმლის აწაპნისთვის ეკამათო, — განაცხადა უილიამმა.

იმ დღეს საუბრის სურვილი არ მქონდა. მხოლოდ იმიტომ ვესწრებოდი, რომ ჩემს პატარა ბინაში სიჩუმის ატანა არ შემეძლო. მალე იმ ადამიანად ვიქცეოდი, სხვებთან კონტაქტი ისე რომ ენატრებათ, უცხო მგზავრებს ესაუბრებიან მატარებელში ან ისე ნელა ალაგებენ სანოვაგეს ურიკაში, რომ გამყიდველთან დიალოგი დიდხანს გაწელონ. ისე გავერთე იმაზე ფიქრში, ახლახან ჩემი ახალი ფიზიოლოგიური სახვევების მაღაზიაში სამირთან განხილვა ამის პირველი სიმპტომი ხომ არ იყო, რომ სულ გამომრჩა, როგორ ნატრობდა დაფნე, ნეტავ იმ დღეს სამსახურიდან ერთი საათით ადრე დავბრუნებულიყავიო. როცა ფიქრებიდან გამოვფხიზლდი, უკვე იცრემლებოდა.

— დაფნე?

— ყველამ მაპატიეთ. იმდენი ხანი გავატარე იმაზე ფიქრში, რა მოხდებოდა... რა მოხდებოდა, ყვავილების გამყიდველთან სასაუბროდ რომ არ გავჩერებულიყავი. რა მოხდებოდა, საბუღალტრო აღრიცხვის წიგნი დამეტოვებინა და სახლში ადრე მოვსულიყავი. რა მოხდებოდა, დროში დაბრუნება შემეძლოს... იქნებ დამერწმუნებინა, თავი არ მოეკლა. იქნებ შემძლებოდა დამერწმუნებინა, რომ მის სიცოცხლეს ფასი ჰქონდა.

მარკმა ცხვირსახოცების ყუთი გადმომაწოდა და დაფნეს კალთაში ჩავუდე.

— მანამდეც უცდია ალანს თავის მოკვლა, დაფნე?

თავი დააქნია და ცხვირი მოიხოცა.

— ჰო, რამდენჯერმე. დეპრესიული ეპიზოდები ახალგაზრდობაში დაეწყო. არ მიყვარდა ასეთ დროს მისი მარტო დატოვება.

თითქოს... თითქოს არავის ხმა არ ესმოდა. რაც უნდა გეთქვა. ხშირად სამსახურში ვეთხოვებოდი, რათა მასთან დავრჩენილიყავი. მის საყვარელ სენდვიჩებს ვამზადებდი, მასთან ერთად ტახტზე ვიჯექი. ვცდილობდი, თავი მარტო არ ეგრძნო. ალბათ ამიტომ არ დამაწინაურეს, ყველა სხვა გოგოსგან განსხვავებით. ხშირად ვიღებდი უქმე დღეებს.

— დეპრესია ძალიან რთულია, თანაც არა მარტო იმისთვის, ვისაც ემართება.

— მედიკამენტებს იღებდა?

— ოჰ, არა. უფრო სწორად... ქიმიურს არა.

— დარწმუნებული ხარ? დეპრესიას ხომ ნაკლებად აფასებდნენ მაშინ...

დაფნემ თავი ასწია:

— ის ჰომოსექსუალი იყო, — ეს სიტყვა მკაფიოდ, დამარცვლით თქვა და ყველას შემოგვხედა, ცოტათი ალეწილმა, — არავისთვის მითქვამს, მაგრამ ჰომოსექსუალი იყო და ამიტომაც გახლდათ მუდამ მოწყენილი. ძალიან კარგი ადამიანი იყო, არ სურდა, ტკივილი მოეყენებინა, ამიტომ ის... საკუთარი თავისთვის არაფერს აკეთებდა. ფიქრობდა, მე შემარცხვენდა.

— რატომ გგონია, რომ გეი იყო, დაფნე?

— ერთხელ, მის ჰალსტუხს ვეძებდი და ისეთ რამეებს წავაწყდი... ჟურნალებს. კაცებს კაცებთან... მის უჯრაში. არა მგონია, ასეთი ჟურნალები ჰქონდეს ვინმეს, ვინც გეი არ არის.

— ნამდვილად, — დაეთანხმა დაძაბული ფრედი.

— არასოდეს მიხსენებია ეს ამბავი, — გააგრძელა დაფნემ, — იქვე შევჩურთე, სადაც ვიპოვე. თუმცა, ყველაფერი ნათელი გახდა. საწოლში ენთუზიაზმით არასოდეს გამოირჩეოდა. მეგონა, გამიმართლა, რადგან არც მე მკლავდა ამის სურვილი. მონაზვნების ბრალია. ყველაფრის გამო თავს დამნაშავედ მაგრძნობინებდნენ. როცა კარგ კაცს გავყევი ცოლად, რომელიც ყოველ

ხუთ წუთში ზედ არ მახტებოდა, მეგონა მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი ქალი ვიყავი. ბავშვები მინდოდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ... — ამოიოხრა, — ...ასეთ რამეებზე არ ვლაპარაკობდით ხოლმე. იმ დროს, ამ საკითხებზე საუბარი უხერხული იყო. ახლა ვნატრობ, ასე არ მოვქცეულიყავით.

— შენი აზრით, გულახდილობა რამეს შეცვლიდა?

— ბევრი რამ შეიცვალა ბოლო დროს, ხომ ასეა? ახლა ჰომოსექსუალობა მიღებულია. ბიჭი ჩემი ქიმწმენდიდან გეია და ყველა შემოსულ ტომს, დიკსა და ჰარის თავის შეყვარებულზე ელაყბება. გული დამწყდებოდა, ქმარს რომ მივეტოვებინე, მაგრამ თუ იმის გამო იყო უბედური, რომ თავს ტყვეობაში გრძნობდა, გავუშვებდი. ასე მოვიქცეოდი. არასოდეს მინდოდა, ვინმე გამომემწყვდია. უბრალოდ მსურდა, ცოტათი უფრო ბედნიერი მენახა.

მოიღუშა და ხელი მოვხვიე. თმაზე ლაქისა და მოშუშული ცხვრის ხორცის სურნელი ასდიოდა.

— არ იდარდო, მოხუცო გოგო, — უთხრა ფრედმა, წამოდგა და ოდნავ უხერხულად მხარზე მოუთათუნა, — დარწმუნებული ვარ, იცოდა, რომ მისთვის მხოლოდ საუკეთესო გსურდა.

— ასე გგონია, ფრედ? — ხმა უკანკალებდა.

ფრედმა მტკიცედ დაუქნია თავი.

— ჰო, და მართალი ხარ. იმ დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო. შენი ბრალი არაფერია.

— დიდი სიმამაცე გამოიჩინე, ეს ამბავი რომ მოგვიყევი, დაფნე. გმადლობ, — მარკმა თანაგრძნობით გაუღიმა, — პატივს გცემ, რადგან ძალა მოიკრიბე და ცხოვრებას აგრძელებ. ზოგჯერ ერთი დღის გაძლებაც კი ზეადამიანურ შესაძლებლობებს მოითხოვს.

დავიხედე, დაფნეს ჩემი ხელი ეჭირა. ფუმფულა თითები ჩემს თითებთან გადაეჭდო. მეც მოვუჭირე და სანამ დაფიქრებას მოვასწრებდი, ავლაპარაკდი:

— ისეთი რამ გავაკეთე, რასაც ვნანობ.

ყველა ჩემკენ შემოტრიალდა.

— უილის ქალიშვილი გავიცანი. ჩემს ცხოვრებაში უეცრად გამოჩნდა და მეგონა, მის გარდაცვალებასთან შეგუებაში დამეხმარებოდა, მაგრამ...

დაჟინებით მომჩერებოდნენ. ფრედს გამომეტყველება შეეცვალა.

— რა?

— უილი ვინაა? — იკითხა ფრედმა.

— შენ თქვი, რომ მას ბილი ერქვა.

სკამზე ცოტა შევიშმუშნე.

— უილი ბილია. აქამდე მისი ნამდვილი სახელის ხსენება მეუხერხულებოდა, — ყველამ ერთდროულად ამოისუნთქა.

დაფნე ხელზე მომეფერა.

— არ იდარდო, ძვირფასო. ეს ხომ უბრალოდ სახელია. წინა ჯგუფში ერთი ქალი გვყავდა, რომელმაც მთელი ისტორია გამოიგონა. ასე თქვა, შვილი ლეიკემიით გარდამეცვალაო. აღმოჩნდა, რომ სახლში ოქროს თევზიც კი არასოდეს ჰყოლია.

— არაფერია, ლუისა. შეგიძლია, გულახდილი იყო ჩვენთან, — მარკმა თავისი ჩვეული, თანაგრძნობით სავსე მზერით გამომხედა. გავუღიმე იმის ნიშნად, რომ მისი მჯეროდა და რომ უილი ნამდვილად არ იყო ოქროს თევზი. „რატომაც არა? — გავიფიქრე, — ჩემი ცხოვრება ხომ იმაზე მეტად აბურდული არ არის, როგორიც მათია“.

ჰოდა, მათ ლილიზე ყველაფერი მოვუყევი, როგორი იმედი მქონდა, რომ გამოვასწორებდი. რომ მის ოჯახს გავაერთიანებდი და რა სულელად ვთვლიდი თავს ახლა ამ მოლოდინის გამო.

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველა, უილის ჩათვლით, დავაღალატე, — განვაცხადე, — სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. არ აღმოვჩნდი საკმარისად ძლიერი, ყველაფერი მომეგვარებინა და უკეთესობისკენ შემეცვალა.

— მაგრამ შენი ნივთები! შენთვის ძვირფასი ნივთები მოიპარეს! — დაფნემ მეორე ნოტიო, ფუმფულა ხელი ჩამჭიდა, — სრული უფლება გქონდა, გაბრაზებულიყავი!

— რადგან მამა არ ჰყავს, არ ნიშნავს, რომ ტუტუცივით უნდა იქცეოდეს, — დასძინა სუნილმა.

— ვფიქრობ, დიდი სულგრძელობა გამოიჩინე, თავიდანვე შენთან დარჩენის ნება რომ დართე. არ ვიცი, მე ასე მოვიქცეოდი თუ არა, — თქვა დაფნემ.

— შენი აზრით, მამამისი როგორ მოიქცეოდა, ლუისა? — მარკმა ყავის მორიგი ჭიქა დაისხა.

უეცრად ვინატრე, რამე უფრო ძლიერი დასალევი გვქონოდა.

— არ ვიცი, — ვუპასუხე, — მაგრამ ის ყველაფერს უმკლავდებოდა, მაშინაც კი, როცა ხელ-ფეხის განძრევაც არ შეეძლო. ის შეაჩერებდა, სისულელეებს არ ჩაადენინებდა. როგორღაც გამოასწორებდა.

— იქნებ მეტისმეტად აიდეალებ? მერვე კვირაში განვიხილავთ გაიდეალების თემას, — თქვა ფრედმა, — ჯილის მუდმივად წმინდანად ვხატავ, ასე არაა, მარკ? მავიწყდება, როგორ ტოვებდა ხოლმე სველ პირსახოცს საშხაპის ფარდაზე გადაკიდებულს და როგორ ვკარგავდი ამის გამო მოთმინებას.

— სრულებით შესაძლებელია, მამამისსაც ვერაფერი მოემოქმედებინა მის დასახმარებლად. ამას ვეღარ გაიგებ. იქნებ, სულაც, ერთმანეთი შესძულებოდათ.

— რთული გოგონა ჩანს, — თქვა მარკმა, — ბევრი შანსი მიგიცია. მაგრამ... ზოგჯერ, ლუისა, ცხოვრების გაგრძელება ნიშნავს, თავს მოვუფრთხილდეთ. იქნებ, გულის სიღრმეში, ამას

მიხვდი. თუ ლილის შენს ცხოვრებაში მხოლოდ ქაოსი და ნეგატივი შემოჰქონდა, იქნებ უბრალოდ თავი გადაირჩინე.

— ჰო, ნამდვილად, — ყველა თავის ქნევით დაეთანხმა, — შეიბრალე საკუთარი თავი. შენ ხომ მხოლოდ ადამიანი ხარ.

ყველანი ისე თბილად მესაუბრებოდნენ, მიღიმოდნენ, ჩემს გამხნევებას ცდილობდნენ.

ლამის დავუჯერე კიდეც.

სამშაბათს ვერას ვთხოვე, ათი წუთით შევეცვალე (რაღაც ჩავილუღლუღე ქალურ პრობლემებთან დაკავშირებით. თავი დამიქნია, თითქოს მეუბნებოდა, ქალების ცხოვრება პრობლემების მეტი არაფერიაო). ქალების ყველაზე წყნარი საპირფარეშო მოვძებნე — მხოლოდ აქ თუ დავემალებოდი რიჩარდის მზერას — და ჩანთიდან ლეპტოპი ამოვიღე. უნიფორმაზე პერანგი გადავიცვი, ლეპტოპი ნიჟარაზე დავდე, აეროპორტის ოცდაათწუთიან უფასო ინტერნეტს მივუერთდი და ეკრანის წინ მოვთავსდი. ბატონმა გოპნიკმა ზუსტად ხუთ საათზე დამირეკა სკაიპით, იმწამს, როცა თავიდან ირლანდიელი მოცეკვავე გოგოს პარიკს ვიძრობდი.

თუნდაც ლეონარდ გოპნიკის დაპიქსელებული სახის გარდა არაფერი მენახა, ისედაც გეტყოდით, რომ მდიდარი კაცი იქნებოდა. უზადოდ შეკრეჭილი, ფერფლისფერი თმა ჰქონდა, პატარა ეკრანიდან ძალდაუტანებლად ავტორიტეტული იერით იყურებოდა, თითოეულ სიტყვას გამიზნულად ამბობდა. და კიდევ, მის უკან, კედელზე, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული ძველებური პეიზაჟი ეკიდა.

ჩემს განათლებაზე, კვალიფიკაციაზე, ან იმაზე, თუ რატომ ვესაუბრებოდი ისეთი ადგილიდან, საიდანაც ხელის საშრობი მოჩანდა, არაფერი უკითხავს. რაღაც ქაღალდებს ჩახედა, მერე კი ტრეინორებთან ჩემს ურთიერთობაზე მკითხა.

— შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს! დარწმუნებული ვარ, რეკომენდაციას გამიწევენ. ახლახან ორივეს შევხვდი, სხვადასხვა მიზეზით. ერთმანეთს კარგად ვეწყობით, მიუხედავად იმ გარემოებებისა...

— იმ გარემოებების მიუხედავად, რამაც თქვენი სამსახური დაასრულა, — მტკიცე ხმით დააბოლოვა ჩემი ნათქვამი, — ჰო, ნათანმა დაწვრილებით ამიხსნა ყველაფერი. დიდ ამბავში გახვეულხართ.

— ჰო, ასე იყო, — ვუპასუხე ხანმოკლე, უხერხული პაუზის შემდეგ, — მაგრამ მიხარია, რომ უილის ცხოვრების ნაწილი ვიყავი.

ჩემი ნათქვამი ჩაინიშნა.

— მას მერე რას საქმიანობთ?

— მე... ცოტა ვიმოგზაურე. ძირითადად, ევროპაში. საინტერესო იყო. მოგზაურება კარგია, სხვა თვალით დაინახავ რაღაცებს. ცხადია, — ვცადე, გამეღიმა, — ახლა აეროპორტში ვმუშაობ, მაგრამ ეს მთლად... — უეცრად ჩემ უკან კარი გაიღო და ქალი შემოვიდა. კომპიუტერს ადგილი ვუცვალე. იმედი მქონდა, ვერ გაიგო საპირფარეშოს კაბინის კარის გაღების ხმა, — ეს მთლად ის არ არის, რაც მინდა, დიდხანს ვაკეთო.

„გევედრები, ხმაურით ნუ მოისაქმებ“, — ვეხვეწებოდი გულში უცნობ ქალს.

ახლანდელ საქმიანობასა და ხელფასზე რამდენიმე კითხვა დამისვა. ვცადე, ყურადღება არ მიმექცია საპირფარეშოს ჩარეცხვის ხმისთვის და მზერა ეკრანისთვის არ მომიცილებია.

— და რა გსურთ... — როცა ბატონმა გოპნიკმა საუბარი წამოიწყო, ქალმა ჩამიარა და ხელის საშრობი ჩართო. მოწყობილობა ყურთასმენის წამღებად ხმაურობდა. ბატონი გოპნიკი შეიჭმუხნა.

— ერთი წუთით დამელოდეთ, ბატონო გოპნიკ, — თითი ლეპტოპს იმ ადგილას მივადე, სადაც ჩემი აზრით მიკროფონი იყო

დამონტაჟებული, — უკაცრავად, — გავძახე ქალს, — ნუ გამოიყენებთ ამ საშრობს... გაფუჭებულია.

ჩემკენ მოტრიალდა, უზადო, მოვლილი თითები ერთმანეთს გაუსვა და ისევ საშრობისკენ შებრუნდა.

— არა, არ არის. არსად წერია.

— გადაიწვა, უეცრად. საშიშია გამოყენება.

ეჭვნარევი მზერა ჯერ მე მესროლა, მერე — საშრობს. ხელები გამოსწია, ჩანთა აიღო და გავიდა. კართან სკამი მივაყუდე, რომ სხვა არავინ შემოსულიყო და ლეპტოპთან მოვთავსდი ბატონი გოპნიკის დასანახად.

— მაპატიეთ, ამ გასაუბრებაზე დასწრება სამსახურიდან მიწევს და...

დოკუმენტებს ჩაჰკირკიტებდა:

— ნათანმა მითხრა, მცირე ხნის წინ უბედური შემთხვევა მოგსვლიათ.

ნერწყვი გადავყლაპე.

— ჰო, მაგრამ ახლა გაცილებით უკეთ ვარ. სრულიად გამოვჯანმრთელდი. მხოლოდ ხანდახან ვკოჭლობ ხოლმე.

— ყველას გვემართება, — ოდნავ გამიღიმა, მეც გავუღიმე. ვიღაცამ კარის გაღება სცადა, მაგრამ ისე გავმაგრდი სკამზე, რომ მთელი ჩემი წონით შევწინააღმდეგებოდი.

— ყველაზე რთული რა იყო? — მკითხა.

— უკაცრავად?

— უილიამ ტრეინორთან მუშაობაში. არ ჩანს იოლი საქმე.

შევყოყმანდი. ოთახში უეცარი სიჩუმე ჩამოწვა.

— მის გადაწყვეტილებასთან შეგუება, — ცრემლებს ვებრძოდი.

ლეონარდ გოპნიკი რამდენიმე ათასი მილის სიშორიდან შემომცქეროდა. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ცრემლები არ მომეწმინდა.

— ჩემი მდივანი დაგიკავშირდებათ, მის კლარკ. გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ, — მერე თავი დამიქნია და მისი სახე ეკრანიდან გაქრა. შეგრძნება დამრჩა, რომ კიდევ ერთხელ ჩავფლავდი.

იმ ღამეს, სახლისკენ გზად, გადავწყვიტე, ამ გასაუბრებაზე აღარ მეფიქრა. მარკის სიტყვებს ვიმეორებდი გონებაში, მანტრასავით. ვფიქრობდი ლილის დანაშაულებზე: დაუპატიჟებელ სტუმრებზე, ქურდობაზე, ნარკოტიკებზე, დაუსრულებელ გვიან ღამით დაბრუნებებზე, ჩემი ნივთების დაუკითხავად აღებაზე და ამ ყველაფერს ჩემი ჯგუფის პრიზმაში ვატარებდი. ლილი იყო ქაოსი, უწესრიგობა, გოგო, რომელიც ბევრს იღებდა და სანაცვლოდ არაფერს იძლეოდა. ახალგაზრდა იყო, უილთან ბიოლოგიურად დაკავშირებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მასზე სრული პასუხისმგებლობა უნდა მეკისრა ან მის დატოვებულ აურზაურს უნდა შევგუებოდი.

თავი ცოტათი უკეთ ვიგრძენი. საკუთარ თავს მარკის კიდევ ერთი ნათქვამი შევახსენე: დარდთან გამკლავების გზა სწორხაზოვანი არ არის. ცუდი დღეებიც მექნებოდა და კარგიც. დღეს უბრალოდ ცუდი დღე იყო, დაბრკოლება გზაზე, რომელსაც გვერდს ავუქცევდი და სვლას განვაგრძობდი. ბინაში შევედი, ჩანთა დავაგდე და უეცრად მადლიერების გრძნობა დამეუფლა, რომ სახლი სწორედ იმ მდგომარეობაში დამხვდა, როგორშიც დავტოვე. ცოტა დრო გავიდეს, მერე კი მივწერ და მოვახერხებ, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრები უფრო დაგეგმილი იქნება-- მეთქი, გავიფიქრე. მთელ ენერგიას ახალი სამსახურის შოვნისკენ მივმართავდი. ერთხელ მაინც საკუთარ თავზე ვიფიქრებდი, გამოკეთების საშუალებას მივცემდი. მერე კი, ფიქრი შეწყვიტე, რადგან შემეშინდა, მეტისმეტად არ დავმსგავსებოდი ტანია ჰაგტონ-მილერს.

სახურავზე ასასვლელ კიბეს გავხედე. პირველი ნაბიჯი სწორედ იმ სულელურ სახურავზე ასვლა უნდა ყოფილიყო. პანიკის შემოტევის გარეშე უნდა ავსულიყავი, ნახევარი საათით ჩამოვმჯდარიყავი, ჰაერი ჩამესუნთქა და აღარ შემეშინდებოდა.

უნიფორმა გავიძვრე, შორტი და, თავდაჯერების მოსამატებლად, უილის ქიშმირის ჯემპრი ჩავიცვი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ წამოვიღე სახლიდან. ქსოვილის სირბილემ უცნაური, თბილი გრძნობით ამავსო. დერეფნის ბოლოს გავედი და ფანჯარა ფართოდ გამოვაღე. მხოლოდ ორი საფეხური და რკინის კიბეზე ვიქნებოდი, მერე კი სახურავზე.

— არაფერი მოხდება, — ხმამაღლა განვაცხადე და ღრმად ჩავისუნთქე. ფეხებს თითქმის ვერ ვგრძნობდი, მაგრამ თავი დავირწმუნე, ეს უბრალოდ ძველი ნერვიულობის გამოძახილია--მეთქი. ამის გადალახვა შემეძლო, ისევე, როგორც სხვა დანარჩენის. გონებაში უილის ხმა ჩამესმოდა:

„მიდი, კლარკ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ამას შეძლებ“.

ორივე ხელით მოაჯირს ჩავებღაუჭე და მაღლა ასვლა დავიწყე. ძირს არ ჩამიხედია. ვცდილობდი, სიმაღლეზე არ მეფიქრა. სუსტი სიო და მენჯებში მწიწკნავი ტკივილი, რომელიც თითქოს აღარასოდეს დამანებებდა თავს, იმ დღეს მახსენებდა, როცა სახურავიდან გადმოვვარდი, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. სემი გამახსენდა და ბრაზმა ძალა შემმატა. მსხვერპლი აღარ უნდა ვყოფილიყავი, პიროვნება, რომელსაც უბედური შემთხვევები გამუდმებით ემართება.

ამ ყველაფერს საკუთარ თავს ვეუბნებოდი და ასე მივაღწიე მეორე ბაქანს, მერე ფეხები ამიკანკალდა. დაბალ ღობეზე მოუხერხებლად გადავძვერი, თან მეშინოდა, ვაითუ ჩემს სიმძიმეს ვერ გაუძლოს-მეთქი, და სახურავზე ოთხზე დავეშვი. სისუსტე დამეუფლა. თვალდახუჭული იმავე პოზაში დავრჩი და გავიაზრე, რომ უკვე სახურავზე ვიყავი. მე ეს შევძელი. საკუთარ ბე-

დისწერას ვაკონტროლებდი. იმდენხანს დავრჩებოდი აქ, სანამ შიშის გრძნობა არ გამივლიდა.

წამოვჯექი, წონასწორობის შესანარჩუნებლად კედელს მივეყუდე და ხანგრძლივად, ღრმად ჩავისუნთქე. ყველაფერი კარგად იყო. არაფერი მოძრაობდა. მე ამას მივაღწიე. მერე კი თვალები გავახილე და სუნთქვა შემეკრა.

სახურავზე ყვავილები გაფურჩქნილიყო. დამჭკნარი მცენარეები, თვეების წინ რომ შევწყვიტე მოვლა, ქოთნებიდან იღვრებოდნენ ფერადი შადრევნებივით. ორი ახალი ყვავილი, პაწაწინა ლურჯი ფურცლებით, ღრუბლებს ჰგავდა. ერთ-ერთი სკამის გვერდით იაპონური ჯუჯა ნეკერჩხალი იდგა, ორნამენტებიან ქოთანში, ფოთლებს სიო ნაზად ურხევდა.

სამხრეთით, მზიან კუთხეში, წყლის ავზთან, ორი სპეციალური ტომარა იდო, რომლებშიც ჩერი პამიდვრები ეკიდა ყუნწებზე, კიდევ ერთი ტომარა ასფალტზე შევნიშნე, შუაგულში ახალგამოსული მწვანე ფოთლებით. ნელა გავემართე მათკენ, თან ჟასმინის სურნელს ვგრძნობდი. მერე ჩამოვჯექი და რკინის სკამს ჩავებღაუჭე. ბალიშში ჩავეფალი, რომელიც ადრე მისაღებ ოთახში მქონდა.

არც კი მჯეროდა, სიმშვიდისა და მშვენიერების როგორი ოაზისი დამხვდა ჩემს უკაცრიელ სახურავზე. გამახსენდა, ლილიმ როგორ მოამტვრია დამჭკნარი ტოტი მცენარეს და სერიოზული გამომეტყველებით მისაყვედურა, ყვავილის დაჭკნობა დიდი დანაშაულიაო. გამახსენდა, როგორ იცნო მისის ტრეინორის ბაღში დევიდ ოსტინის ვარდები. მერე კი, ჩემს დერეფანში ამოუხსნელად გაჩენილი მიწის გროვებიც გამახსენდა.

თავი ხელებში ჩავრგე.

თავი მეჩვიდმეტე

ლილის ორჯერ მივწერე. პირველად ჩემი სახურავის მადლობის გადასახდელად.

„რა ლამაზია. ნეტა, ჩემთვისაც გაგემხილა“.

მეორე დღეს ისევ შევეხმიანე, ამჯერად იმისთვის, რომ მეთქვა, როგორ ვწუხდი ჩვენ შორის წარმოქმნილი გაუგებრობის გამო და თუ ოდესმე მოისურვებდა უილზე საუბარს, ვეცდებოდი, მისი შეკითხვებისთვის ამომწურავად მეპასუხა. ისიც დავძინე, იმედი მაქვს მისტერ ტრეინორსა და მის ახალშობილს მოინახულებ-მეთქი, რადგან კარგად მესმოდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ოჯახთან ურთიერთობის შესანარჩუნებლად. პასუხი არ მოუწერია. დიდად არ გამკვირვებია.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში გამუდმებით ავდიოდი სახურავზე, თითქოს მორყეული კბილს ვისინჯავდი ხშირ--ხშირად. შემოპარული დანაშაულის გრძნობით ვრწყავდი მცენარეებს. დავსეირნობდი ახასხასებულ ყვავილებს შორის, წარმოვიდგენდი, როგორ ატარებდა ლილი აქ მალულად დროს. ალბათ კომპოსტის პარკები და ტერაკოტის ქოთნები უკანა კიბიდან ამოიტანა, სანამ მე სამსახურში ვიყავი. ყოველ ჯერზე, როცა ვცდილობდი, ჩვენი ერთად გატარებული დრო გამეხსენებინა, ჩაკეტილ წრეს ვაწყდებოდი. მე რა შემეძლო? ტრეინორებს ვერ ვაიძულებდი, ისე მიეღოთ, როგორც მას სურდა. ბედნიერებას ვერ მივანიჭებდი. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეს შეეძლო, გარდაიცვალა.

ჩემი სადარბაზოს წინ მოტოციკლი შევნიშნე. მანქანა ჩავკეტე და მორიგეობის შემდეგ არაქათგამოცლილმა, რძის საყიდლად გზა კოჭლობით გადავჭერი. წვრილად ცრიდა, თავი ჩავღუნე

წვიმისგან დასაცავად. როდესაც ავიხედე, ბინის შესასვლელში ნაცნობი უნიფორმა დავინახე და გული შემეკუმშა.

გზაზე გადავედი და გვერდით ჩავუარე, თან გასაღების საპოვნელად ჩანთაში ვიქექებოდი. რატომ გამომეცლება ხოლმე ძალა თითებში ყოველთვის, როცა დაძაბული ვარ?

— ლუისა!

გასაღები ჯიუტად მემალებოდა. მეორედაც ამოვქექე ჩანთა და სავარცხელი, ხელსახოცის ნაფლეთები, ხურდა ამომცვივდა, გინებაც წამომცდა. ჯიბეებზე მოვითათუნე ხელი, ვცდილობდი გამეხსენებინა, გასაღები სად შევინახე.

— ლუისა!

ბოლოს მომაგონდა, სადაც იყო გასაღები და მუცლის გვრემა ვიგრძენი — იმ ჯინსის შარვლის ჯიბეში, დილით სამსახურში წასვლის წინ რომ გამოვიცვალე. „უჰ, შესანიშნავია!“

— ნუთუ? ყურადღებასაც არ მომაქცევ? აქამდე დავეშვით?

ღრმად ჩავისუნთქე, მივუტრიალდი და მხრებში ოდნავ გავსწორდი.

— სემ!

ისიც დაღლილი ჩანდა, ნიკაპი წვერით გამუქებოდა. ალბათ ეს-ესაა მორიგეობა დაასრულა. ასეთი წვრილმანების შემჩნევა სახიფათოდ მომეჩვენა. მისი მხრის მარცხნივ რაღაც წერტილზე შევაჩერე მზერა.

— შეიძლება, ვილაპარაკოთ?

— არა მგონია, აზრი ჰქონდეს.

— აზრი არ აქვს?

— შეტყობინება მიღებულია, კარგი? არც კი ვიცი, აქ რას აკეთებ.

— აქ იმიტომ ვარ, რომ ახლაღა მოვრჩი თექვსმეტსაათიან ცვლას, დონა გზაზე ჩამოვსვი და ვიფიქრე, იქნებ მეცადა შენი

ნახვა და იმის გარკვევა, ჩვენ შორის რა მოხდა, რადგან მე, ამის დედაც, წარმოდგენაც არ მაქვს.

— მართლა?

— მართლა.

ერთმანეთს დაჟინებით შევაქცერდით. აქამდე რატომ ვერ ვხედავდი, როგორი უხეში იყო? როგორი უსიამოვნო. ვერ გამეგო, ასე როგორ დამაბრმავა ამ კაცისადმი ლტოლვამ, როცა ახლა მთელი არსებით მისგან შორს გაცლა მსურდა. გასაღების პოვნა ბოლოჯერ ვცადე ფუჭად და თავი ძლივს შევიკავე, კარი ფეხით არ ჩამომეღო.

— მინიშნებასაც არ მომცემ? დაღლილი ვარ, ლუისა, და თამაშები არ მიყვარს.

— შენ არ გიყვარს თამაშები?! — სიტყვებს სიმწრის სიცილი მოჰყვა.

— კარგი. მხოლოდ ერთი რამ. ერთი რამ გამაგებინე და მერე წავალ. უბრალოდ მინდა ვიცოდე, რატომ არ პასუხობ ჩემს ზარებს.

უნდობლად შევხედე.

— რადგან შეიძლება ბევრი რამ ვიყო, მაგრამ სრული იდიოტი ნამდვილად არ ვარ. ალბათ ვიყავი — ვხედავდი გამაფრთხილებელ ნიშნებს და ყურადღებას არ ვაქცევდი — მაგრამ შენს ზარებს არ ვპასუხობდი, რადგან შენ ხარ სრული, სრული ხისთავიანი. გასაგებია?

ძირს დაცვენილი ნივთების ასაკრეფად ჩავიმუხლე და უეცრად ვიგრძენი, მთელი სხეული როგორ გამივარვარდა, თითქოს შინაგანი თერმოსტატი გადამეწვა.

— ოჰ, შენ ხომ ისეთი კარგი ხარ! ძალიან მაგარი. ეს ყველაფერი ასე ავადმყოფური და გულისამრევი რომ არ იყოს, აღფრთოვანებულიც კი დავრჩებოდი შენით, — წამოვდექი, ჩანთა შევკარი, — შეხედეთ სემს, შესანიშნავ მამას. ის ისეთი მზრუნვე-

ლია, ისეთი ალღოიანი! და მაინც, რა ხდება სინამდვილეში? ისეთი დაკავებული ხარ ნახევარ ლონდონთან საწოლში გორაობით, რომ ვერც კი ამჩნევ, როგორი უბედურია შენი შვილი.

— ჩემი შვილი?

— დიახ! ჩვენ მას ვუსმენთ, იცი? უფლება არ გვაქვს, გარეშე პირთან განვიხილოთ, რა ხდება ჯგუფში და ისიც არაფერს გეტყვის, რადგან მოზარდია. მაგრამ თავს უბედურად გრძნობს. მარტო იმიტომ კი არა, დედა რომ დაკარგა, შენ გამოც, რადგან დარდის ჩახშობითა და ქალების მთელი არმიის საწოლში შეტყუებით ხარ დაკავებული.

უკვე ვყვიროდი, ხელებს ვიქნევდი, სიტყვები ერთი-მეორეს მოჰყვებოდა. შევნიშნე, სამირი და მისი ბიძაშვილი მაღაზიის ფანჯრიდან როგორ მომჩერებოდნენ. არ მენაღვლებოდა. ალბათ უკანასკნელად მეძლეოდა გულის მოოხების შესაძლებლობა.

— და ჰო, ჰო, ვიცი, სულელი აღმოვჩნდი და იმ ქალებივით დამემართა. ამიტომაც, ჯეიკის და ჩემი სახელით გეუბნები, რომ ხისთავიანი ხარ. ნამდვილად არ მსურს ან ახლა ან ოდესმე შენთან საუბარი.

ნერვიულობისგან თმა აიჩეჩა:

— ჩვენ რა, ჯეიკზე ვსაუბრობთ?

— რა თქმა უნდა, ჯეიკზე ვსაუბრობთ. კიდევ გყავს სხვა შვილი?

— ჯეიკი ჩემი შვილი არ არის.

გაოგნებული მივაცქერდი.

— ჯეიკი ჩემი დისშვილია. იყო, — შეასწორა.

რამდენიმე წამი დამჭირდა ამ სიტყვების აღსაქმელად. სემი დაჟინებით მომჩერებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს თავს ძლივს იკავებდა.

— მაგრამ... შენ მას აკითხავ ხოლმე. შენთან ცხოვრობს.

— ორშაბათობით ვაკითხავ, რადგან მამამისი მორიგეობს. და ჰო, ზოგჯერ ჩემთან რჩება ხოლმე, მაგრამ ჩემს სახლში არ ცხოვრობს.

— ჯეიკი... შენი შვილი არ არის?

— საერთოდ არ მყავს შვილები... რამდენადაც ვიცი. თუმცა, ლილის ამბის მერე ვფიქრობ, დარწმუნებული ვერასოდეს იქნები.

წარმოვიდგინე, როგორ ეხვეოდა ჯეიკს და გონებაში გადავათამაშე ათეულობით დიალოგი.

— მაგრამ ჯეიკი იქ იყო, როცა ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს. ჩვენი საუბრისას თვალები ირონიულად გადაატრიალა, თითქოს...

სემმა თავი ჩაღუნა.

— ო, ღმერთო! — წამოვიძახე და პირზე ხელი მივიფარე, — ის ქალები...

— ჩემი ქალები არ არიან.

ქუჩის შუაგულში ვიდექით. სამირი უკვე კარში გამოსულიყო, გვიყურებდა. ბიძაშვილიც შეუერთა. ჩვენ მარცხნივ, ავტობუსის გაჩერებასთან, ყველა შეტრიალდა, როცა მიხვდნენ, რომ ვიცოდით, ჩვენ გვიყურებდნენ. სემმა თავი კარისკენ გააქნია:

— იქნებ შიგნით გვესაუბრა?

— ჰო, ჰო. უი, არა, ვერა, კარი ჩამეკეტა.

— სათადარიგო გასაღები არ გაქვს?

— სახლშია.

ხელი თმაში შეიცურა და მაჯის საათს დახედა. აშკარად არაქათგამოცლილი იყო. დერეფნისკენ გადავდგი ნაბიჯი.

— მისმინე... სახლში წადი და დაისვენე. ხვალ ვილაპარაკოთ. ბოდიში.

უეცრად წვიმა გაძლიერდა, ქუჩებზე ტბორების წარმოქმნა დაიწყო. მოპირდაპირე მხარეს, სამირი და მისი ბიძაშვილი შიგნით შეიძურწნენ.

სემმა ამოიოხრა. ჯერ ცას ახედა და მერე მე შემომხედა:

— მოიცადე.

სამირს უზარმაზარი სახრახნისი გამოართვა და საავარიო კიბეზე ამომყვა. სველ ლითონზე ორჯერ დამიცდა ფეხი, მან კი ხელი გამომიწოდა და წონასწორობა შემანარჩუნებინა. როცა მეხებოდა, ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ჩემს სართულს რომ მივაღწიეთ, ფანჯრის ხრახნების მოშვება დაიწყო. იოლად გამოუვიდა.

— ესეც ასე, — ფანჯრის ჩარჩო მაღლა ასწია, მანიშნა, გადავსულიყავი, — მეტისმეტად მარტივი იყო ამ ბინაში შემოღწევა, ამ უბანში მცხოვრები მარტოხელა გოგოს კვალობაზე.

— ამ უბანში მცხოვრებ მარტოხელა გოგოს რაღაც არ ჰგავხარ.

— სერიოზულად გეუბნები.

— არაფერი მიჭირს, სემ.

— ვერ ხვდები, რას გეუბნები. მინდა უსაფრთხოდ იყო.

ვცადე, გამეღიმა, მაგრამ მუხლები მიკანკალებდა, ხელისგულები რკინის მოაჯირზე მისხლტებოდა. ჩავუარე და ოდნავ შევტორტმანდი.

— კარგად ხარ?

თავი დავუქნიე. ხელი ჩამჭიდა და ნახევრად ამწია, რომ ჩემს ბინაში გადავმძვრალიყავი. ფანჯარასთან, ხალიჩაზე დავეშვი, ვცადე აზრზე მოვსულიყავი. რამდენიმე დღის განმავლობაში რიგიანად არ მძინებია. ნახევრად მკვდარი ვიყავი, თითქოს მთელი ეს ხანი ძალას ბრაზი და ადრენალინი მაძლევდა, რომელიც ახლა აღარ დამრჩა.

სემიც გადმოძვრა და ფანჯარა დახურა, დამტვრეული საკეტი შეათვალიერა. დერეფანი ჩაბნელებული იყო, სახურავზე წვიმის წვეთების კაკუნი ისმოდა. ჯიბეები მოიქექა და პატარა ლურსმანი იპოვა. სახრახნისი ჩაქუჩად გამოიყენა, რომ ლურსმანი დაემაგრებინა და ფანჯარა გარედან ვერავის გაეღო. მერე ჩემკენ გამოემართა და ხელი გამომიწოდა.

— სახლის მშენებლობის უპირატესობანი. ლურსმანი ყოველთვის მომეძებნება. ადექი, — მითხრა, — მანდ თუ იჯდები, ვეღარც წამოდგები.

თმა წვიმისგან გალუმპოდა, დერეფნის შუქზე კანი უნათებდა. ფეხზე წამომაყენა და დაინახა, ტკივილისგან ოდნავ რომ დავიჭყანე.

— მენჯი გტკივა?

თავი დავუქნიე.

ამოიოხრა.

— ნეტა დამლაპარაკებოდი, — თვალის უპეები დაღლილობისგან ჩაშავებოდა. მარცხენა ხელზე ორი გრძელი ნაკაწრი ეტყობოდა. ნეტავ, რა შეემთხვა წინა ღამით. სამზარეულოში გაუჩინარდა. ონკანის მოშვების ხმა გავიგე. როცა დაბრუნდა, ორი აბი და ჭიქა ეჭირა, — არ უნდა გაძლევდე ამ წამლებს, მაგრამ ტკივილს გაგიყუჩებს.

მადლიერმა გამოვართვი.

— წესებს ოდესმე ემორჩილები?

— როცა მგონია, რომ მართებულია, — ჭიქა გამომართვა, — მაშ, ჩვენ შორის ყველაფერი მოგვარდა, ლუისა კლარკ?

თავი დავუქნიე.

შვებით ამოისუნთქა.

— ხვალ დაგირეკავ.

უეცრად, არ ვიცი რატომ, ხელზე ხელი მოვკიდე. მისი თითები ნელა ჩაეხლართნენ ჩემსას.

— არ წახვიდე. გვიანია. მოტოციკლის ტარება კი სახიფათოა.

ხელიდან სახრახნისი გამოვართვი და ხალიჩაზე დავაგდე. დიდხანს მიყურა, მერე კი ხელი სახეზე მოისვა.

— არა მგონია, რამის თავი მქონდეს.

— გპირდები, სექსუალური სურვილებისთვის არ გამოგიყენებ, — მზერა არ მომიცილებია, — ამჯერად.

ნელა გაიღიმა. მისმა ღიმილმა მძიმე ტვირთი ისე მომაშორა, თითქოს თავისი უზარმაზარი სხეულით განდევნა ოთახიდან.

„არასოდეს იცი, რა მოხდება, როცა დიდი სიმაღლიდან ვარდები“.

სახრახნისს გადმოაბიჯა და საძინებლისკენ დუმილით გავუძეხი.

ჩემს პატარა, ჩაბნელებულ ბინაში ვიწექი. მძინარე მამაკაცის მკლავს ვიყავი მიკრული და მის სახეს ვათვალიერებდი.

— საბედისწერო გულის შეტევა, მოტოციკლის ავარია, თვითმკვლელი მოზარდი და მძარცველების მიერ მოყენებული ჭრილობა პიბოდიზე. ზოგი ცვლა მეტისმეტად...

— შშშ... ყველაფერი კარგადაა. დაიძინე.

უნიფორმა ძლივს გაიხადა. მაისურისა და შორტის ამარა დარჩა, მაკოცა, თვალები დახუჭა და მაშინვე ჩაეძინა. ვიფიქრე, საჭმელი მომეზადებინა მისთვის, ან სახლი დამელაგებინა. მაგრამ, ამის ნაცვლად, მეც გავიხადე და საცვლებით მის გვერდით მოვკალათდი. ამ მცირე დროის განმავლობაში უბრალოდ მასთან ყოფნა მინდოდა, როცა ჩემი სხეული მის მაისურს ეხებოდა და ჩვენი სუნთქვა ერთმანეთს ერეოდა. ვაკვირდებოდი პატარა კეხს მის ცხვირზე, მის აპრეხილ, მუქ, მუქ წამწამებს. ვიხსენებდი ჩვენს საუბრებს, ახლებურად ვაანალიზებდი. ამჯერად სემს მარტოხელა კაცად, მზრუნველ ბიძად აღვიქვამდი და მეცინებოდა ჩემს სულელურ შეცდომაზე.

მის სახეს ორჯერ შევეხე მსუბუქად. მის სურნელს ვსუნთქავდი — ანტიბაქტერიული საპნისა და მამაკაცური ოფლის ნარევს; როცა მეორედ შევეხე, მისი ხელი რეფლექსურად დაიძაბა ჩემს წელზე. მერე ზურგზე გადავტრიალდი და გავცქეროდი ქუჩის განათებას. თავს უცხოპლანეტელივით მარტო აღარ ვგრძნობდი ამ ქალაქში. ბოლოს, როგორც იქნა, ძილი მომერია...

თვალები გაახილა და თვალებში გამიყარა. წუთის შემდეგ მიხვდა, სად იყო.

— გამარჯობა.

ნელ-ნელა გამოვფხიზლდი. დილანდელ, სიზმრისეულ მდგომარეობაში ვიყავი. „ჩემს საწოლშია. მისი ფეხი ჩემსას ეხება“. სახეზე ღიმილი გადამეფინა.

— შენც გაგიმარჯოს.

— რომელი საათია?

გადავბრუნდი და ციფრულ მაღვიძარას გავხედე.

— ექვსის თხუთმეტი წუთი, — დრომ თითქოს მთელი სამყარო წესრიგში მოიყვანა. სადღაც გარეთ, იყო სოდიუმით განათებული ბნელი ქუჩები, ტაქსები და ავტობუსები. აქ კი მხოლოდ ის, მე, თბილი საწოლი და მისი სუნთქვის ხმა.

— არც კი მახსოვს, აქ როგორ მოვედი, — გვერდით გადაბრუნდა. შეჭმუხნილ სახეს ქუჩის ლამპიონების შუქი უნათებდა. ვხედავდი, როგორ თანმიმდევრობით მოაწვა წინა დღის მოგონებები.

თავი მოატრიალა. მის ტუჩებს სულ მცირე მანძილი აშორებდა ჩემსას.

— მომენატრე, ლუისა კლარკ.

მინდოდა, მაშინვე მეთქვა მისთვის ყველაფერი. მეთქვა, რომ არ ვიცოდი, რას განვიცდიდი. მეთქვა, რომ მიზიდავდა და მეშინოდა ამ მიზიდულობის. არ მსურდა, ჩემი ბედნიერება სრულად ყოფილიყო სხვის ბედნიერებაზე დამოკიდებული. არ მსურდა,

დავეტყვევებინე ბედისწერას, რომელსაც ვერ გავაკონტროლებდი.

მისი თვალები ჩემს სახეს კითხულობდნენ.

— შეწყვიტე ფიქრი.

თავისკენ მიმიზიდა და მოვდუნდი. ეს კაცი ყოველდღე სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის გამავალ ბეწვის ხიდზე გადიოდა. მას ჩემი ესმოდა.

— მეტისმეტად ბევრს ფიქრობ.

ხელისგული ლოყაზე ჩამომისვა. მაშინვე მისკენ მივიწიე და ტუჩები ხელისგულზე შევახე.

— უბრალოდ ვიცხოვრო? — ჩურჩულით ვკითხე.

თავი დამიქნია, მერე დიდხანს და ტკბილად მკოცნიდა, სანამ ჩემი სხეული მისას არ შემოეხვია და სურვილისა და მოლოდინის განსახიერებად არ ვიქეცი.

ყურში მეჩურჩულებოდა ჩემს სახელს და ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ეს სახელი რაღაც ძალიან ძვირფასს აღნიშნავდა.

შემდეგი სამი დღე მოპარული ღამეებისა და ხანმოკლე შეხვედრების ქაოსი იყო. დარდთან გამკლავების წრეზე გაიდეალების კვირა გამოვტოვე, რადგან სემმა იმ დროს მომაკითხა, როცა ის-ის იყო, წასვლას ვაპირებდი. როგორღაც საწოლში აღმოვჩნდით მანამდე, სანამ ჯეიკის წრიდან გამოყვანის დრო მოვიდოდა. ორჯერ კართან დამხვდა, სამსახურიდან დაბრუნებულს მელოდა და მისი ტუჩები ჩემს ყელზე, მისი დიდი ხელები ჩემს თეძოებზე თუ მთლიანად არ მავიწყებდა „შამროკისა და კლოვერის“ დამცირებებს, დროებით მაინც მაშორებდა გონებიდან.

მსურდა, ცდუნებისთვის გამეძლო, მაგრამ არ გამომდიოდა. აღტაცებული, უძილო და თავბრუდახვეული ვიყავი. ცისტიტი დამემართა, მაგრამ არაფრად ვაგდებდი. სამსახურში ღიღინით დავქროდი, ბიზნესმენებს ვეფლირტავებოდი, რიჩარდის წუწუნს ღიმილით ვეგებებოდი. ჩემი ბედნიერება ჩემს უფროსს ნერვებს

უშლიდა: ვხედავდი, როგორ გამეტებით აჭერდა კბილს კბილზე და ჩასაფრებული იყო, მეტი და მეტი შენიშვნა მოეცა.

არ მადარდებდა. აბაზანაში ვმღეროდი, საწოლში ვიწექი და ოცნებებში ვიკარგებოდი, ძველი კაბების ჩაცმა დავიწყე, მყვირალა ფერის მოსაცმელებსა და ხავერდის ფეხსაცმელთან ერთად. ბედნიერების ბუშტში ჩავიკეტე. თუმცა ვაცნობიერებდი, რომ ბუშტების არსებობა ყოველთვის დროებითი იყო და ოდესმე აუცილებლად გასკდებოდა.

— ჯეიკს ვუთხარი, — მითხრა ერთხელ სემმა. ნახევარსაათიანი შესვენება ჰქონდა და ის და დონა ჩემს ბინასთან გაჩერდნენ წასახემსებლად, სანამ სამსახურში წავიდოდი. სასწრაფო დახმარების მანქანაში ვიჯექი, მის გვერდით, წინა სავარძელზე.

— რა უთხარი?

სენდვიჩები მოემზადებინა მოცარელათი, ჩერი პამიდვრებითა და ბაზილიკით. მის ბაღში მოყვანილი პამიდვრები ისეთი გემრიელი იყო, პირში დნებოდა. სემი აღშფოთებული იყო იმით, რა ცუდად ვიკვებებოდი, როცა მარტო ვრჩებოდი.

— როგორ გეგონა, რომ მამამისი ვიყავი. ამდენი დიდი ხანია არ უცინია.

— იმედია, ისიც არ გითქვამს, როგორ მოგიყევი, მამამისი რომ ტირის სექსის მერე.

— ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც ეგ ჩვევა ჰქონდა, — თქვა დონამ, — მაგრამ ის მართლა გულიანად ქვითინებდა. ძალიან უხერხული იყო. პირველად ვიფიქრე, პენისი მოვტეხე-მეთქი.

პირდაღებულმა შევხედე.

— ხდება ხოლმე. გვქონია მსგავსი შემთხვევები, ხომ ასეა?

— გვქონია. გაგიკვირდება, ისეთი დაზიანებები გვინახავს, — სემმა ჩემს კალთაში მოთავსებული სენდვიჩისკენ მიმანიშნა თავით, — გეტყვი, როცა საკმარისს შეჭამ.

— სასქესო ორგანოს დაზიანებები. დიდებულია. თითქოს, ისედაც უამრავი რამეზე არ გვაქვს ცხოვრებაში სანერვიულო.

გვერდით გაიხედა და სენდვიჩი ჩაკბიჩა. ოდნავ ლოყები შემეფაკლა.

— დამიჯერე, აუცილებლად გეტყვი, თუ მსგავსი რამ მოხდება.

— აქედანვე გეტყვი, მეგობარო, — უთხრა დონამ და მუდამ მომარაგებული ენერგეტიკული სასმელი გამომიწოდა, — ნამდვილად არ მოვალ მაგ გამოძახებაზე.

ამ მანქანაში ყოფნა მომწონდა. სემი და დონა პირდაპირი ადამიანები იყვნენ. მათ ადამიანი თითქმის ყველა მდგომარეობაში ენახათ და განეკურნათ. მხიარული, შავი იუმორის გრძნობა ჰქონდათ. მათთან თავს შინაურულად ვგრძნობდი.

მათთან გატარებული რამდენიმე ლანჩის შემდეგ შევიტყვე:

* სამოცდაათ წელს გადაცილებული თითქმის არც ერთი ქალი ან კაცი არ წუწუნებდა ტკივილზე, თუნდაც ძვალი სხეულიდან გამოსჩროდათ;

* იგივე კატეგორია ყოველთვის ბოდიშს იხდიდა „შეწუხებისთვის“;

* ტერმინი — „პჩწ“ სულაც არ იყო სამედიცინო ტერმინოლოგიის ნაწილი და ნიშნავდა „პაციენტმა ჩაიფსა და წაიქცა“.

* ორსული ქალები იშვიათად მშობიარობდნენ სასწრაფო დახმარების მანქანაში (ამის გაგებისას გული დამწყდა);

* აღარავინ იყენებდა გამოთქმას „სასწრაფო დახმარების მძღოლი“. და, განსაკუთრებით, სასწრაფო დახმარების მძღოლები.

* ყოველთვის მოიძებნებოდა მამაკაცი, რომელიც თხოვნაზე, შეეფასებინა ტკივილი ერთიდან ათ ქულამდე პასუხობდა თერთმეტს.

თუმცა, ყველაზე ცხადად ნაღველს ვამჩნევდი, რომელსაც გრძელი სამუშაო დღიდან დაბრუნებული სემი განიცდიდა.

ადარდებდა მარტოხელა პენსიონერები; ჭარბწონიანი, ტელევიზორის ეკრანს მიჯაჭვული მამაკაცები, ადგომა და კიბეზე ჩასვლაც კი რომ უჭირდათ; ახალგაზრდა დედები, ინგლისურად ორ სიტყვასაც რომ ვერ ამბობდნენ, სახლში შეყუჟულები, მილიონ პატარა ბავშვთან ერთად, დახმარება როგორ ეთხოვათ, ისიც არ იცოდნენ; დეპრესიული ადამიანები; ქრონიკული ავადმყოფები, ვინც აღარავის უყვარდა.

ზოგჯერ ვირუსივითააო, ამბობდა სემი: ლამის სადეზინფექციო ხსნარით მჭირდება მელანქოლიის ჩამოცილება კანიდანო. ზოგჯერ თვითმკვლელობებსაც გადააწყდებოდნენ ხოლმე, მატარებლის ქვეშ ან მდუმარე სააბაზანოებში მოსწრაფებულ სიცოცხლეებს. სხეულებს, რომლებსაც კვირების ან თვეების მანძილზეც კი არავინ მოიკითხავდა, სანამ აუტანელი სუნი არ შეაწუხებდათ ან ვიღაც არ დაინტერესდებოდა, რატომ იყრებოდა მეზობლის წერილები გამოტენილი საფოსტო ყუთიდან.

— არ გეშინია ხოლმე?

ჩემს პატარა აბაზანაში ძლივს ეტეოდა. პაციენტის ჭრილობიდან გადმოღვრილმა სისხლმა, რომელსაც მთლიანად დაესვარა, წყალი ვარდისფრად შეღება. ჩემი თავის მიკვირდა, როგორ მალე შევეგუე შიშველ მამაკაცს ჩემს სახლში. თანაც ისეთს, თვითონ რომ შეეძლო მოძრაობა.

— ამ საქმეს თავს ვერ გაართმევ, თუ გეშინია, — უბრალოდ მიპასუხა. სანამ სასწრაფო დახმარების განყოფილებაში დაიწყებდა მუშაობას, ჯარში მსახურობდა. ასე ხშირად ხდებოდა ხოლმე.

— ჩვენ იმიტომ გვირჩევენ, რომ იოლად არ ვფრთხებით. ყველაფერი გამოგვივლია. თუმცა, ზოგი მთვრალი ბავშვი უფრო მაშინებს, ვიდრე თალიბანი.

მის გვერდით ვიჯექი და მის სხეულს შევყურებდი შეღებილ წყალში. მიუხედავად მისი ახოვანებისა და ძალისა, მაინც შიშისგან გამაჟრჟოლა.

— ეი, — ხელი გამომიწოდა, როცა შენიშნა, — არ ინერვიულო, მართლა. ხიფათიდან თავის დაღწევის ოსტატი ვარ, — თითები მომიჭირა, — თუმცა, ურთიერთობებში ხელს მიშლის ხოლმე ჩემი პროფესია. წინა შეყვარებულმა ვერ აიტანა. ხანგრძლივი საათები, ღამისთევები, არეულობა.

— ვარდისფერი წყალი აბაზანაში.

— ჰო, ბოდიშს გიხდი. განყოფილებაში საშხაპეები არ მუშაობდა. ჯერ სახლში უნდა წავსულიყავი, — ისე გამომხედა, ზუსტად მივხვდი, ჯერ სახლში გავლას ნამდვილად ვერ შეძლებდა. საცობი ამოაძრო, წყალი დაწრიტა და ონკანი მოუშვა.

— ვინ იყო შენი შეყვარებული? — ვცდილობდი, უდარდელი ხმით მეკითხა. არ მსურდა, იმ ქალებს დავმსგავსებოდი.

— იონა. ტურ-ოპერატორი. საყვარელი გოგოა.

— მაგრამ არ გიყვარდა?

— ამას რატომ ამბობ?

— არავინ უწოდებს „საყვარელ გოგოს“ იმ ქალს, რომელიც უყვარდა. თითქოს მეგობარივით მოიხსენიებ, რაც ნიშნავს, რომ ძლიერი გრძნობა არ გქონდა.

ჩემმა ნათქვამმა გაახალისა:

— აბა როგორ უნდა მეთქვა, თუ მართლა მიყვარდა?

— მაშინ სერიოზული გამომეტყველებით იტყოდი „კარენი, ნამდვილი კოშმარი“ან გაჩუმდებოდი და განაცხადებდი, არ მინდა ამაზე საუბარიო.

— შეიძლება, მართალი ხარ, — მცირე ხნით ჩაფიქრდა, — გულწრფელად გითხრა, ჩემი დის გარდაცვალების შემდეგ არც მსურდა, ძლიერი გრძნობა მქონოდა ვინმეს მიმართ. ელენზე მზრუნველობამ ბოლო თვეების განმავლობაში ყოველგვარი ემოციისგან დამცალა, — გვერდულად გამომხედა, — კიბო სასტიკი განაჩენია. ჯეიკის მამა სრულიად განადგურდა. ვიცოდი, ოჯახს ვჭირდებოდი. ალბათ, მხოლოდ იმიტომ შევინარჩუნე

საღი გონება, რომ სხვებს უნდა ამოვდგომოდი მხარში, — წუთით სიჩუმე ჩამოწვა. თვალები ჩაუწითლდა, არ ვიცი, საპნისგან თუ სევდისგან.

— ასეა თუ ისე, დიდად კარგი შეყვარებული არ ვიქნებოდი იმ პერიოდში. და შენი ვინ იყო? — მკითხა და მომიტრიალდა.

— უილი.

— რა თქმა უნდა. მას მერე არავინ გყავდა?

— არავინ, ვინც ხსენებად ღირს.

— ყველა თავისებურად ცდილობს დარდის გადალახვას, ლუისა. თავს ნუ განსჯი.

მისი ცხელი და სველი თითები ხელიდან მისხლტებოდა. ხელი გავუშვი და თავის დაბანას მოჰყვა. ვიჯექი და ვუყურებდი, ხასიათი ნელ-ნელა გამომიკეთდა; მისი კუნთების მოძრაობას ვაკვირდებოდი, მისი სველი კანის ბრწყინვას. მომწონდა, როგორ გამეტებით იბანდა თმას, თითქოს ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ყოფილიყო და მერე ზედმეტ წყალს ძაღლივით თავის გაქნევით ფანტავდა.

— გასაუბრება მქონდა, — ვუთხარი, როცა დაასრულა, — ნიუ-იორკში, სამსახურისთვის.

— ნიუ-იორკში, — წარბები მაღლა აზიდა.

— არ ამიყვანენ.

— დასანანია. ყოველთვის მინდოდა, ნიუ-იორკში წასვლის საბაბი მქონოდა, — ნელ-ნელა წყლის ქვეშ ჩაცურდა. ოდნავ გაეღიმა, — მაგრამ ბარის ელფის უნიფორმა შეგრჩება, სამაგიეროდ.

ვიგრძენი, როგორ გავხალისდი. სრულიად უმიზეზოდ, მისთვის მოულოდნელად, ტანსაცმლიანად ჩავხტი აბაზანაში და ვაკოცე. გაეცინა. უეცრად, ძალიან დიდი ბედნიერება ვიგრძენი, რომ ამ სამყაროში, სადაც ასე იოლი იყო დაცემა, არსებობდა სემი, რომელსაც ჩაეჭიდებოდი.

როგორც იქნა, ბინის მოწესრიგება გადავწყვიტე. უქმე დღეს სავარძელი, ყავის მაგიდა და პატარა სურათი ვიყიდე, რომელიც ტელევიზორთან ჩამოვკიდე. საწოლის ახალი თეთრეულიც შევიძინე და ორი ბალიშიც. ჩემი ძველი ტანსაცმელი კარადაში დავკიდე — რამდენიმე იაფფასიანი ჯინსისა და მოკლე, ლურექსის უნიფორმის ნაცვლად ნაირფერი ქსოვილებით გავავსე. ჩემი ბინა ცოტათი მაინც დაემსგავსა სახლს.

თითქოს განრიგის გამგებელმა ღმერთებმა წყალობა გაიღეს, მე და სემს ერთდროულად გამოგვიჩნდა უქმე დღე. თვრამეტი საათის განმავლობაში მას არ უწევდა სირენის ხმის მოსმენა, მე კი — გუდასტვირისა და იმაზე წუწუნის, რომ მიწის თხილი კარგად არ იყო მოხალული. სემთან დრო ორჯერ უფრო სწრაფად მიფრინავდა, ვიდრე მარტოობაში. მილიონობით რამ მოვიფიქრე, რაც შეგვეძლო ერთად გაგვეკეთებინა, მაგრამ ნახევარზე მეტი მეტისმეტად „წყვილურად“ მივიჩნიე და დავიწუნე. ნეტა, ასე ხანგრძლივად ერთად ყოფნა ჭკვიანური თუ იყო.

ლილის კიდევ ერთხელ მივწერე. „ლილი, გთხოვ, შემეხმიანე. ვიცი, ჩემზე გაბრაზებული ხარ, მაგრამ დამირეკე. შენი ბაღი ისეთი ლამაზია! უნდა მასწავლო, როგორ მოვუარო. რა ვუყო პამიდვრებს? ძალიან გაიზარდნენ (სწორად ვამბობ?). იქნებ, მერე საცეკვაოდაც წავსულიყავით?“ გაგზავნის ღილაკს დავაჭირე და ტელეფონის ეკრანს იქამდე დავჩერებოდი, სანამ კარზე ზარი არ გაისმა.

— გამარჯობა, — სემმა შემოსასვლელი დაფარა, ისეთი უზარმაზარი იყო. ცალ ხელში ხელსაწყოების ყუთი ეჭირა, მეორეში კი — სანოვაგის პაკეტები.

— ო, ღმერთო, — წამოვიძახე, — ყველა ქალის ოცნება ხარ!

— თაროები, — მტკიცედ განაცხადა, — თაროები გჭირდება.

— კიდევ თქვი რამე, არ გაჩერდე!

— და სახლში მომზადებული სადილი.

— საკმარისია. უკვე გავათავე.

გაეცინა, ყუთი დერეფანში დააგდო და მაკოცა. როცა ერთმანეთს როგორღაც მოვწყდით, სამზარეულოსკენ გაემართა.

— ვიფიქრე, კინოში შეგვეძლო წასვლა. იცი, ღამის ცვლაში მუშაობის ერთ-ერთი დადებითი მხარე თავისუფალი დილაა.

ტელეფონი შევამოწმე.

— მაგრამ არაფერი სისხლიანი. დამღალა სისხლის ყურებამ.

როცა ამოვიხედე, მე მიყურებდა.

— რა? არ მოგწონს იდეა? ხორცის მჭამელი ზომბების ყურებას ხომ არ აპირებდი?

მოვიღუშე და ხელი დავუშვი.

— ლილის ვერ ვეკონტაქტები.

— მეგონა, სახლში დაბრუნდა.

— ასეა, მაგრამ ზარებზე არ მპასუხობს. ვფიქრობ, ძალიან ნაწყენია ჩემზე.

— მისმა მეგობრებმა გაგქურდეს. შენ უნდა იყო ნაწყენი.

პაკეტიდან კომბოსტოს, კარტოფილის, ავოკადოს, კვერცხების, სანელებლების ამოღება და ჩემს ცარიელ მაცივარში კოხტად ჩალაგება დაიწყო. ისევ გამომხედა, როცა ლილის კიდევ ერთი შეტყობინება გავუგზავნე.

— გეყოფა. იქნებ ტელეფონი დაკარგა, რომელიმე ტაქსიში დარჩა ან თანხა ამოეწურა. ხომ იცი, მოზარდები როგორებიც არიან. ან უბრალოდ გაბუტულია და განზრახ არ გპასუხობს. ზოგჯერ უნდა აცადო, წყენა თავისით მოინელონ.

ხელი ჩავჭიდე და მაცივრის კარი მივხურე.

— რაღაც უნდა გაჩვენო, — თვალები მაშინვე აუციმციმდა, — არა, ეგ არა, შე გარყვნილო კაცო, ეგ მოიცდის.

სემი სახურავზე იდგა და ყვავილებს ათვალიერებდა.

— და შენ ამის შესახებ წარმოდგენა არ გქონდა?

— არავითარი.

სკამზე მძიმედ დაჯდა. მეც გვერდით მივუჯექი და ერთად მივაცქერდით პატარა ბაღს.

— თავს საშინლად ვგრძნობ, — გამოვუტყდი, — დავაბრალე, რასაც ეხები, ყველაფერს ანადგურებ-მეთქი. ის კი, თურმე, მთელი ამ დროის განმავლობაში, აქ ბაღს აშენებდა.

გადაიხარა, პამიდვრის ნერგებს ხელით შეეხო, მერე გაიმართა და თავი დააქნია.

— კარგი. წავალთ და დაველაპარაკებით.

— მართლა?

— ჰო, მაგრამ ჯერ წავიხემსოთ, მერე კინოში წავიდეთ. ამის შემდეგ კი სახლთან გამოვეცხადოთ. ასე თავს ვეღარ აგარიდებს, — ხელი გამომართვა და ტუჩებთან მიიტანა, — ეი, ნუ ხარ ასე შეწუხებული. ბაღი კარგი ამბავია. ეს ნიშნავს, რომ მთლად ცუდ გზას არ ადგას.

ხელი გამოვართვი და თვალებმოჭუტულმა შევხედე:

— როგორ გამოგდის, ყოველთვის უკეთესად მაგრძნობინო თავი?

— უბრალოდ, არ მიყვარს, როცა მოწყენილს გხედავ.

ვერ გავუმხელდი, რომ მის გვერდით მოწყენილი არასოდეს ვიყავი. ვერ გავუმხელდი, რომ ისე მაბედნიერებდა, ცოტათი მეშინოდა კიდეც. საშინლად მსიამოვნებდა ჩემს მაცივარში ჩალაგებული მისი პროდუქტები; ტელეფონს დღეში ოცჯერ ვამოწმებდი მისი შეტყობინებების მოლოდინში; სამსახურში, როცა რამდენიმე წამით სიმშვიდე იყო, გონებაში მის შიშველ სხეულს ვიხმობდი, მერე კი თავს ძალიან ვატანდი ძალას, რომ როგორმე იატაკის გასაპრიალებელ ცვილზე ან ჩეკებზე გადამეტანა ყურადღება და სულელური ღიმილი შემეწყვიტა.

„ცოტა ნელა, — მაფრთხილებდა შინაგანი ხმა, — მეტისმეტად ნუ დაუახლოვდები“.

თვალებში სინაზე ჩაუდგა.

— ტკბილი ღიმილი გაქვს, ლუისა კლარკ. ეს ერთ-ერთია იმ ასობით თვისებათაგან, რაც შენში მომწონს.

წუთით თავს უფლება მივეცი, მისთვის თვალი გამესწორებინა.

„ეს კაცი...“ — გავიფიქრე. მერე, ხელები მუხლებზე დავიტყაპუნე და შევძახე: — წამო, ფილმს ვუყუროთ.

კინოთეატრი თითქმის ცარიელი დაგვხვდა. უკანა რიგში გვერდიგვერდ ვისხედით. სემი პოპკორნს მაჭმევდა ქაღალდის ყუთიდან, რომელიც ისეთი უზარმაზარი იყო, ნაგვის ყუთს მოგაგონებდათ. ვცდილობდი, არ მეფიქრა ჩემს შიშველ ფეხზე ჩამოსვენებულ მის ხელზე, თორემ ფილმს ვეღარ დავუდებდი გულს.

ფილმი ამერიკული კომედია იყო შეუთანხმებლად მოქმედ მეწყვილე პოლიციელებზე, რომლებსაც შეცდომით დამნაშავეებად მიიჩნევენ. დიდად სასაცილო არ გახლდათ, მაგრამ მე მაინც ვხითხითებდი. სემის თითები ჩემს პირთან ჩნდებოდა, დამარილებული პოპკორნით, რომელსაც კბილებით ვართმევდი. ერთხელაც კბილებით მის თითს ჩავეჭიდე. შემომხედა და თავი გადაიქნია.

პოპკორნი გადავყლაპე და ვუთხარი:

— ვერავინ დაგვინახავს.

წარბები აზიდა:

— მეტისმეტად მოვხუცდი ასეთი რამეებისთვის, — ჩაილაპარაკა. თუმცა, როცა მისი სახე ჩემკენ მოვატრიალე და ვაკოცე, პოპკორნი დადო და ხელი მომხვია.

უეცრად, ტელეფონმა დამირეკა. წინა რიგში მსხდომმა ორმა ადამიანმა უკმაყოფილოდ ჩაისისინა.

— ბოდიში, ბოდიში, მაპატიეთ, ორივემ! — მოვუბოდიშე მათ, თითქოს კინოთეატრში მხოლოდ ჩვენ ოთხნი ვყოფილიყავით. სემის კალთიდან წამოვდექი და ვუპასუხე. უცხო ნომერი იყო.

— ლუისა?

რამდენიმე წამი დამჭირდა, რომ ხმა მეცნო.

— ერთი წუთით, — სემს გავხედე და დარბაზიდან გავედი.

— უკაცრავად, მისის ტრეინორ. უბრალოდ... გესმით? აქ ხართ?

დერეფანი ცარიელი დამხვდა, სალაროებთან რიგები გამქრალიყო, ცივი სასმელების აპარატი უმიზნოდ დღვებდა ფერად ყინულს.

— როგორც იქნა! ლუისა, შეიძლება, ლილის გავესაუბრო?

ვიდექი და ტელეფონი ხელში მაგრად მეჭირა.

— ბევრს ვფიქრობდი იმ კვირას მომხდარის შესახებ და ძალიან ვწუხვარ. ალბათ, მოგეჩვენათ, რომ მე... — შეყოყმანდა, — მისმინე, შენი აზრით, ჩემს ნახვას დასთანხმდება?

— მისის ტრეინორ...

— მინდა, ავუხსნა. უკანასკნელი წლის განმავლობაში... საკუთარ თავს აღარ ვგავარ. წამლებს ვიღებ და ცოტა გონება მიჩლუნგდება ხოლმე. თანაც ისე მოულოდნელი იყო თქვენი გამოჩენა, ვერც კი დავიჯერე, რასაც მეუბნებოდით. წარმოუდგენლად ჟღერდა. მაგრამ მე... მე სტივენს ვესაუბრე და ყველაფერი დაადასტურა. მას მერე, დღეებია, ვზივარ და ყველაფრის გადახარშვას ვცდილობ. „უილს ქალიშვილი ჰყავდა. შვილიშვილი მყოლია“. სულ ამ სიტყვებს ვიმეორებ, ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფერი დამესიზმრა.

მისის ტრეინორის არ სჩვეოდა ამდენი საუბარი.

— ვიცი, — ვუპასუხე ბოლოს, — მეც იმავეს ვგრძნობდი.

— სულ მასზე ვფიქრობ. მინდა, წესიერად შევხვდე და გავიცნო. შენი აზრით, დამთანხმდება?

— მისის ტრეინორ, ჩემთან აღარ ცხოვრობს. მაგრამ ჰო, — თმებში თითები შევიცურე, — ჰო, რა თქმა უნდა, ვკითხავ.

ფილმზე დაბრუნებულს ყურადღების მოკრება მიჭირდა. ბოლოს, როცა მიხვდა, რომ უბრალოდ ეკრანს მივჩერებოდი, სემმა შემომთავაზა, წავიდეთო. მანქანების სადგომზე მის მოტოციკლთან დგომისას მოვუყევი, რაც მისის ტრეინორმა მითხრა.

— აი, ხედავ? — ისე მკითხა, თითქოს რაღაც საამაყო ჩამედინოს, — წავედით.

სანამ კარზე ვაკაკუნებდი, სემი გზის მოპირდაპირე მხარეს, თავის მოტოციკლზე ამხედრებული მელოდებოდა. ნიკაპი ავწიე, მიზნად დავისახე, რომ ამჯერად ტანია ჰაგტონ-მილერისთვის ჩემი შეშინების უფლება არ მიმეცა. უკან გავიხედე, სემმა გამამხნევებლად დამიქნია თავი.

კარი გაიღო. ტანიას შოკოლადისფერი ტილოს კაბა და ბერძნული სანდლები ეცვა. ისევე ამათვალიერ-ჩამათვალიერა, როგორც პირველი გაცნობისას — თითქოს ჩემმა ჩაცმულობამ რაღაც უხილავი გამოცდა ვერ ჩააბარა (ამან ცოტა გამაღიზიანა, რადგან ჩემი საყვარელი კუბოკრული, წინსაფრიანი კაბა მეცვა). წინასწარ მომარჯვებული ღიმილი წამის მეასედშივე გაუქრა:

— ლუისა.

— ბოდიში გაუფრთხილებლად მოსვლისთვის, მისის ჰაგტონ-მილერ.

— რამე მოხდა?

თვალები ავახამხამე.

— დიახ, მოხდა, — სახეზე ჩამოცვენილი თმა გადავიყარე, — მისის ტრეინორმა დამირეკა, უილის დედამ. უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ მას ძალიან სურს, ლილის გაესაუბროს. და რადგან ის ტელეფონს არ პასუხობს, იქნებ თქვენ სთხოვოთ, დამირეკოს?

ტანიამ უზადოდ ამოქნილი წარბების ქვევიდან გამომხედა.

ვცდილობდი, სახეზე არაფერი შემტყობოდა.

— ან იქნებ, უცებ გავსაუბრებოდი.

ჩემს ნათქვამს მცირე დუმილი მოჰყვა.

— რატომ გგონია, რომ რამეს ვთხოვ?

ღრმად ჩავისუნთქე და სიტყვები ფრთხილად შევარჩიე.

— ვიცი, ტრეინორების ოჯახი გულზე არ გეხატებათ. მაგრამ ჩემი აზრით ეს ლილის ინტერესებში შედის. არ ვიცი, გიამბოთ თუ არა, მაგრამ რამდენიმე კვირის წინ საკმაოდ რთული შეხვედრა ჰქონდათ. მისის ტრეინორს ძალიან უნდა, მეორე შანსი მიეცეს.

— როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ლუისა. ვერ ვხვდები, რატომ ელი ჩემგან, რომ ამ ამბავში ჩავერიო.

ვცდილობდი, ზრდილობიანად გამეგრძელებინა საუბარი.

— ჰმ... ალბათ იმიტომ, რომ თქვენ დედამისი ხართ?

— რომელსაც კვირაზე მეტია არ შეხმიანებია.

გავშეშდი. მუცელში რაღაც მკვრივი და ცივი ვიგრძენი:

— რა თქვით?

— ლილის თავი არ შეუწუხებია, ჩემთვის დაერეკა. ვიფიქრე, არდადეგებიდან დაბრუნების მერე გამოგვივლიდა და მოგვიკითხავდა მაინც, მაგრამ არა, აზრადაც არ მოსვლია. მხოლოდ საკუთარი თავი ანაღვლებს, როგორც ყოველთვის, — ტანიამ ხელი გაშალა და უზადო მანიკიურიანი ფრჩხილების თვალიერებას მოჰყვა.

— მისის ჰაგტონ-მილერ, ლილი თქვენთან უნდა ყოფილიყო.

— რა?

— ლილი თქვენთან წამოვიდა, როცა არდადეგებიდან დაბრუნდით. ჩემი ბინიდან... ათი დღის წინ წავიდა.

თავი მეთვრამეტე

ტანია ჰაგტონ-მილერის უზადო სამზარეულოში ვიდექით. ვუყურებდი მის 108-ღილაკიან პრიალა ყავის აპარატს, რომელიც, სავარაუდოდ, ჩემს მანქანაზე უფრო ძვირი ღირდა. ღმერთმა უწყის, მერამდენედ გადავავლე გონების თვალი წინა კვირის მოვლენებს.

— დაახლოებით ღამის პირველის ნახევარი იყო. ტაქსისთვის ოცი ფუნტი მივეცი და ვთხოვე, გასაღები დაეტოვებინა. მეგონა, სახლში წამოვიდოდა, — თავი ცუდად ვიგრძენი. მაგიდასთან ბოლთას ვცემდი, ტვინში ათასი ფიქრი მიტრიალებდა, — უნდა შემემოწმებინა, მაგრამ ლილი როცა მოეპრიანებოდა, მაშინ მოდიოდა და მიდიოდა. თანაც ჩვენ... ვიკამათეთ.

სემი კართან იდგა და შუბლს იზელდა.

— და არც ერთ თქვენგანს მას შემდეგ მისგან არაფერი სმენია?

— ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივწერე. ვფიქრობდი, რომ ისევ გაბრაზებული იყო ჩემზე.

ტანიას ჩვენთვის ყავა არ შემოუთავაზებია. კიბესთან მივიდა, მაღლა აიხედა, მერე საათს დახედა, თითქოს გველოდებოდა, როდის წავიდოდით. სულაც არ ჰგავდა მშობელს, რომელმაც ეს-ესაა აღმოაჩინა, რომ მისი შვილი სადღაც გაუჩინარდა. დროდადრო მტვერსასრუტის ყრუ ზუზუნი მესმოდა.

— მისის ჰაგტონ-მილერ, ვინმეს ხომ არ სმენია ლილისგან? ის მაინც თუ იცით, თქვენი შეტყობინებები მიიღო თუ არა?

— უკვე გითხარი, — ხმა უცნაურად მშვიდი ჰქონდა, — უკვე გითხარი, რომ ასეთი საქციელი ახასიათებს, შენ კი არ გჯეროდა.

— მგონი, ჩვენ...

სემის გასაჩუმებლად ხელი ასწია.

— ეს პირველად არ ხდება. ოჰ, არა. აქამდეც გაუჩინარებულა რამდენიმე დღით, როცა წესით პანსიონატში უნდა ყოფილიყო. მათ ვადანაშაულებ, ცხადია. უნდა სცოდნოდათ, სად იყო ლილი. მხოლოდ მაშინღა დარეკეს, როცა ლილი ორმოცდარვა საათი არ გამოჩნდა. იძულებულები გავხდით პოლიციისთვის შეგვეტყობინებინა. როგორც აღმოჩნდა, პანსიონატის ერთ--ერთი მოსწავლე გოგონა ლილის ეხმარებოდა და მის კვალს ფარავდა. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ ვერ მიხვდნენ, ვინ იყო სკოლაში და ვინ არა. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რამდენ ფულს ვუხდით. ფრენსისს სურდა, სასამართლოში ეჩივლა. წლიური სხდომის დატოვება მოუხდა ამ სიტუაციის მოსაგვარებლად. ძალიან შეგვარცხვინა.

მეორე სართულზე დაცემის ხმა გაისმა, რომელსაც ტირილი მოჰყვა. ტანია სამზარეულოს კარისკენ გაემართა:

— ლენა! თუ ღმერთი გწამს, ბავშვები პარკში წაიყვანე! — როცა შემობრუნდა, საუბარი განაგრძო, — იცით, თვრება ხოლმე. ნარკოტიკებს იღებს. ჩემი ძვირად ღირებული ბრილიანტის საყურეები მოიპარა. არ აღიარებს, მაგრამ მისი ჩადენილია. ათასობით ფუნტი ღირდა. წარმოდგენა არ მაქვს, რა უყო. ციფრული ფოტოაპარატიც მისი აღებულია.

ჩემი მოპარული სამკაულები გამახსენდა და უსიამო განცდა დამეუფლა.

— ასე რომ, ჰო, ეს ყველაფერი მოსალოდნელი იყო მისგან. მე გაფრთხილებდი. ახლა კი, თუ ნებას დამრთავ, უნდა წავიდე და ბიჭებს მივხედო. რთული დღე აქვთ.

— მაგრამ პოლიციას ხომ შეატყობინებთ? ის მხოლოდ თექვსმეტი წლისაა და უკვე ათი დღეა არ ჩანს.

— ყურადღებას არ მიაქცევენ, როცა გაიგებენ, ვინ არის, — ტანიამ თლილი თითი მაღლა ასწია, — ფუქსავატობისთვის ორი

სკოლიდან გამორიცხული, მძიმე ნარკოტიკის შენახვაში შემ-ჩნეული, ალკოჰოლისა და აურზაურის მოყვარული, ქურდბაცა-ცა. როგორ ამბობენ ხოლმე? ჩემს ქალიშვილს კრიმინალური წარსული აქვს. გულწრფელად გითხრა, პოლიციამ რომც იპო-ვოს და დააბრუნოს, ისევ ადგება და წავა, როგორც კი მოეპ-რიანება.

მკერდზე თითქოს მავთულხლართები მომიჭირეს, სუნთქვა გამიძნელდა. სად წავიდოდა? ჩემს ბინასთან რომ იდგა, ის ბიჭი ხომ არ იყო გარეული ამ ამბავში? ან იქნებ ის ხალხი, ლილიმ კლუბიდან რომ მოიყვანა? როგორ გამომეპარა?

— მაინც დავრეკოთ, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა.

— არა, არ მინდა, პოლიცია ჩავრიო. ფრენსისს სამსახურში რთული პერიოდი აქვს. საბჭოში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. რომ გაიგონ, პოლიციასთან რამე სახის კავშირი აქვს, მაშინვე გააგდებენ.

სემი კბილებს აღრჭიალებდა. წუთით შეიცადა და მერე მი-მართა:

— მისის ჰაგტონ-მილერ, თქვენი ქალიშვილი მგრძნობიარე გოგონაა. ნამდვილად ვფიქრობ, დროა, ვინმე ჩავრთოთ მის და-სახმარებლად.

— თუ პოლიციაში დარეკავთ, იმათაც იმას ვეტყვი, რაც თქვენ აგიხსენით.

— მისის ჰაგტონ-მილერ...

— რამდენჯერ შეხვედრიხართ მას, მისტერ ფილდინგ? — გაზ-ქურას მიეყრდნო ტანია, — თქვენი აზრით, ჩემზე უკეთ იცნობთ? გაგითევიათ ღამე მის მოლოდინში? ძილი გაგფრთხობიათ? იძუ-ლებული ყოფილხართ, გაუთავებლად აგეხსნათ მისი საქციელი მასწავლებლებისა და პოლიციელებისთვის? მოგიხდიათ ბოდი-შები მაღაზიის გამყიდველებისთვის, რადგან ლილიმ ნივთები მოიპარა? დაგიბლოკავთ მისი საკრედიტო ბარათი?

— ყველაზე ქაოსური ბავშვები ყველაზე დიდ საფრთხეში ხვდებიან ხოლმე.

— ჩემი ქალიშვილი ნიჭიერი მანიპულატორია. ალბათ რომელიმე მეგობართანაა, როგორც ადრე. გარანტიას გაძლევთ, ხვალ ან ზეგ გამოჩნდება. შუაღამეს მომადგება მთვრალი, ან ლუისას კარზე ატეხს ბრახუნს, იმათხოვრებს და ინატრებთ, ნეტავ არასოდეს გვენახაო. ვიღაც შეიფარებს და ლილი ბოდიშებს მოიხდის, ნაღვლიანი და სინანულით აღსავსე იქნება. რამდენიმე დღის შემდეგ კი მეგობრებს მიიყვანს სახლში ან რამეს მოიპარავს და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება.

ოქროსფერი თმა სახიდან გადაიყარა. ტანია და სემი ერთმანეთს დაჟინებით უცქერდნენ.

— ფსიქოლოგის თერაპია დამჭირდა, რომ აწეწილ ცხოვრებას შევგუებოდი, მისტერ ფილდინგ, რომლის მიზეზიც ჩემი ქალიშვილია. მის ძმებსა და მათ... ქცევით სირთულეებსაც ძლივს ვუძლებ. ერთ-ერთი რამ, რასაც თერაპიაში გასწავლიან, ის არის, რომ ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა საკუთარ თავს უნდა მიხედო. ლილი საკმარისად დიდია, თავად მიიღებს გადაწყვეტილებებს...

— ის ხომ ბავშვია, — აღვნიშნე მე.

— ჰო, როგორ არა. ბავშვი, რომელიც შუაღამისას ბინიდან გამოაგდე, — თვითკმაყოფილი გამომეტყველებით გამომხედა ტანია ჰაგტონ-მილერმა, — ყველაფერი მხოლოდ შავი და თეთრი არ არის, როგორც უნდა გვინდოდეს.

— არც კი ნერვიულობთ? — ვკითხე.

თვალი თვალში გამიყარა.

— გულწრფელად გითხრა, არა. უკვე ძალიან ბევრჯერ ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში, — პასუხის გაცემას ვაპირებდი, მაგრამ დამასწრო, — რა მძიმე მხსნელის კომპლექსი გქონია, ლუისა. იცი, ჩემს ქალიშვილს ხსნა არ სჭირდება. და რომც

სჭირდებოდეს, შენი გამოცდილების გათვალისწინებით, მეეჭვება, მოგეხერხებინა.

ამოსუნთქვა ვერ მოვასწარი, სემმა უკვე ხელი მომხვია. გესლიან პასუხს ვამზადებდი, მაგრამ ტანია გატრიალდა.

— საკმარისია, — მითხრა სემმა და დერეფანში გამიყვანა, — წავედით.

უესტ ენდის გარშემო რამდენიმე საათის განმავლობაში დავდიოდით მანქანით. შევათვალიერეთ მკივანა, ბარბაცით მოსიარულე გოგოები, ფეხით შემოვიარეთ ხიდების ქვეშ ჩაბნელებული კუთხეები. ღამის კლუბებს ჩამოვუარეთ, ხალხს ლილის ფოტოებს ვუჩვენებდით და ვეკითხებოდით, ვინმეს ხომ არ ენახა. იმ კლუბშიც წავედით, სადაც ლილიმ წამიყვანა. ავტობუსის გაჩერებებსა და სწრაფი კვების ობიექტებსაც ვამოწმებდით. რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო სულელურად მეჩვენებოდა ჩვენი განზრახვა, ათასობით ადამიანით დახუნძლულ შუაგულ ლონდონში გვეპოვა ლილი. ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო. ისევ მივწერე, ორჯერ, ვაცნობე, გაცხარებული გეძებთ-მეთქი. შემდეგ სახლში დავბრუნდით და სემმა საავადმყოფოებში ჩამორეკა, სადმე ხომ არ დააწვინესო.

ბოლოს, ტახტზე ჩამოვსხედით და გახუხული პური ვჭამეთ. ჩაი მომიმზადა. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით.

— თავს მსოფლიოში ყველაზე ცუდ მშობლად ვგრძნობ, არადა, არც კი ვარ მშობელი.

წინ გადაიხარა, იდაყვები მუხლებს ჩამოაყრდნო.

— შენი ბრალი არ არის.

— ჰო, ჩემი ბრალია. როგორი ადამიანი უნდა იყო, რომ თექვსმეტი წლის გოგო შუაღამეს გარეთ გააგდო? თან ისე, რომ არც შეამოწმო, სად მიდის? — თვალები დავხუჭე, — რადგან მანამდეც გაუჩინარებულა, სულაც არ ნიშნავს, რომ ახლაც არაფერი დაემართება. ხომ ასეა? იმ გაქცეული მოზარდებივით დაემარ-

თება, რომლებიც უჩინარდებიან და მათგან აღარაფერი ისმის, სანამ შემთხვევით რომელიმე ძაღლი არ ამოთხრის ტყეში ჩამარხულ მათ ძვლებს.

— ლუისა!

— უფრო ძლიერი უნდა ვყოფილიყავი. უკეთ უნდა გამეგო მისთვის. უნდა დავფიქრებულიყავი, რა ახალგაზრდაა. ან იყო. ო, ღმერთო, რაიმე რომ დაემართოს, თავს ვერასოდეს ვაპატიებ. იქ, სადღაც, გარეთ, ვიღაც საბრალო ძაღლების გამსეირნებელს წარმოდგენაც არ აქვს, რომ წუთი-წუთზე შეიძლება ძვლებს...

— ლუისა, — სემმა ხელი ფეხზე დამადო, — შეწყვიტე. რაც უნდა გამაღიზიანებელი ქალი იყოს, სრულიად შესაძლებელია, რომ ტანია ჰაგტონ-მილერი მართალია და ლილიმ რამდენიმე საათში დარეკოს ან შემოხეტიალდეს. თავს სულელებად ვიგრძნობთ და ყველაფერი დაგვავიწყდება, სანამ იმავეს არ გაიმეორებს.

— მაგრამ ტელეფონს რატომ არ პასუხობს? ხომ იცის, როგორ ვნერვიულობ.

— შეიძლება, ამიტომაც არ გცემს ხმას, — ირიბად გამომხედა სემმა, — შეიძლება, მოსწონს, ასე რომ დარდობ. დღეს ვეღარაფერს გავხდებით. უნდა წავიდე, ხვალ დილის ცვლაში ვარ.

თეფშები აალაგა, ნიჟარაში ჩააწყო და სამზარეულოს კარადასთან აიტუზა.

— მაპატიე, — ვუთხარი, — არც ისე მხიარული დასაწყისი გამოვიდა ჩვენი ურთიერთობისთვის.

ნიკაპი დაბლა დახარა:

— ესე იგი, ურთიერთობა გვაქვს?

ოდნავ გავწითლდი:

— მე არ ვგულისხმობდი...

— გეხუმრები, — ხელი გამომიწოდა და თავისკენ მიმიზიდა, — ძალიან მართობს, როგორ ცდილობ დამაჯერო, რომ მხოლოდ სექსისთვის მიყენებ.

სასიამოვნო სურნელი ასდიოდა, მაშინაც კი, როცა მის სუნს ტკივილგამაყუჩებლის სუნი ერეოდა. შუბლზე მაკოცა.

— აუცილებლად ვიპოვით, — მითხრა და წავიდა.

სემის წასვლის შემდეგ სახურავზე ავძვერი. სიბნელეში ვიჯექი, ჟასმინის სურნელებით ვტკბებოდი. იასამნის ხავერდოვან ფოთლებს ხელი გადავუსვი. მოაჯირიდან გადავიხედე და ქალაქის აციმციმებული ქუჩები შევათვალიერე. ფეხები საერთოდ აღარ ამკანკალებია. ლილის ისევ მივწერე, მერე დასაძინებლად მოვემზადე. ბინაში ჩამოწოლილმა სიჩუმემ შემაწუხა.

ტელეფონი უკვე მემილიონედ შევამოწმე და ყოველი შემთხვევისთვის, ელექტრონული ფოსტაც. ლილისგან არაფერი იყო, თუმცა ნათანის შეტყობინება დამხვდა:

„გილოცავ! გოპნიკმა ამ დილით მითხრა, რომ შენთვის სამსახურის შემოთავაზებას აპირებს! ნიუ-იორკში გიხილავ, მეგობარო!“

თავი მეცხრამეტე

ლილი

პიტერი ისევ ელოდება. ფანჯრიდან ხედავს მანქანაზე მიყუდებულს. ბიჭიც ამჩნევს მას, თავს მაღლა სწევს და პირის მოძრაობით აგებინებს:

— ჩემთან ვალში ხარ.

ლილი ფანჯარას აღებს, გზის მოპირდაპირე მხარეს აპარებს მზერას, სადაც სამირი ფორთოხლების ახალ ყუთებს ალაგებს.

— თავი დამანებე, პიტერ.

— ხომ იცი, რაც მოხდება...

— საკმარისად გადაგიხადე. უბრალოდ, თავი დამანებე, კარგი?

— ცუდი გადაწყვეტილებაა, ლილი, — წარბებს მაღლა ქაჩავს, იმდენ ხანს იცდის, რომ ლილი შეაშფოთოს. ლუ ნახევარ საათში სახლში იქნება. პიტერი ისე ხშირად აკითხავს, დარწმუნებულია, უკვე იცის ლუს განრიგის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, მანქანაში ჯდება. არც უყურებს გზას, ისე ძრავს მანქანას და გაუჩინარებამდე ფანჯრიდან ტელეფონიან ხელს გადმოყოფს. შეტყობინება მოსდის: „ცუდი გადაწყვეტილებაა, ლილი“.

ბოთლის დატრიალება. ერთი შეხედვით, უწყინარი თამაში. უქმე დღეებზე ლონდონში ოთხ თანაკლასელ გოგოსთან ერთად ჩავიდა. კოსმეტიკის ჯიხურიდან ტუჩსაცხები მოიპარეს, „ტოპ შოპში“ მეტისმეტად მოკლე ქვედაბოლოები შეიძინეს და ღამის კლუბში უფასოდ შეიპარნენ. ახალგაზრდები და საყვარლები იყვნენ, დაცვა კი ზედმეტ შეკითხვებს არ სვამდა, როცა ახალგაზრდები და საყვარლები იყვნენ, თანაც ხუთნი ერთად. შიგნით, კოკა-კოლაში გაზავებული რომის სმის დროს, პიტერი და მისი მეგობრები გაიცნეს.

ღამის ორ საათზე, მერილბოუნში აღმოჩნდნენ, ვიღაცის ბინაში. წესიერად არც ახსოვდა, იქ როგორ ამოყვეს თავი. წრიულად ისხდნენ, ეწეოდნენ და სვამდნენ. რასაც სთავაზობდნენ, უარს არაფერზე ამბობდა. რიანას მუსიკა იყო ჩართული. ნიკოლი, ის იდიოტი, ცუდად გახდა და აბაზანაში გავიდა. დრო გარბოდა: სამის ნახევარი, ოთხის ჩვიდმეტი წუთი, ოთხი... მერე უცებ ვიღაცამ მოიფიქრა, „სიმართლე ან მოქმედება“ ვითამაშოთო.

ბოთლი დატრიალდა, გვერდი აუქცია საფერფლესა და სიგარეტის ნამწვებს. ვიღაც უცხო გოგოს სიმართლის თქმა მოუწია: წინა წელს, არდადეგებზე, ყოფილ შეყვარებულთან სატელეფონო სექსი ჰქონდა, როცა ბებიამისს მის გვერდით ეძინა საწოლში. სხვებმა მოჩვენებითი შეშფოთებით შეჰკივლეს. ლილიმ გაიცინა.

პიტერი თვალს არ აცილებდა. თავიდან სიამოვნებდა, ის ხომ ყველა დანარჩენზე გაცილებით სიმპათიური ბიჭი იყო. ბიჭი კი არა, თითქმის კაცი. როცა თვალს უსწორებდა, ლილი განზე არ იხედებოდა. არ აპირებდა, სხვა გოგოებივით მოქცეულიყო.

— დაატრიალე!

ბოთლმა მისკენ მიანიშნა. ლილიმ მხრები აიჩეჩა და წამოიძახა:

— მოქმედება. ყოველთვის მოქმედება.

— ლილი უარს არაფერზე ამბობს, — აღნიშნა ჯემიმამ. ახლა ფიქრობს, რამე გამომწვევი ხომ არ იყო იმ მზერაში, რომლითაც გოგონა პიტერს უყურებდა, როცა ამას ამბობდა.

— კარგი. იცი, ეგ რასაც ნიშნავს.

— მართლა?

— მაგას ვერ იზამ! — პიპამ ხელები პირზე აიფარა ხაზგასმული დრამატულობით.

— მაშინ, სიმართლე.

— არა, მძულს სიმართლე, — მერე რა? იცოდა, ეს ბიჭები ვერაფერს გაბედავდნენ. უდარდელად წამოდგა ფეხზე, — სად? აქ?

— ო, ღმერთო, ლილი!

— დაატრიალეთ ბოთლი, — თქვა რომელიღაც ბიჭმა.

არც უფიქრია, ენერვიულა. ცოტა ნასვამი იყო, თანაც, მოსწონდა წარბშეუხრელად დგომა, როცა დანარჩენი გოგოები წიოდნენ და იდიოტებივით იქცეოდნენ. საოცრად ყალბები იყვნენ. ეს გოგოები ნებისმიერს გადათელავდნენ ჰოკეის მოედანზე, საუბრობდნენ პოლიტიკაზე, სამართლისა და ბიოლოგიის სფეროებში კარიერაზე, ბიჭების გარემოცვაში კი ხითხითა და ქარაფშუტა გოგოებად იქცეოდნენ ხოლმე. თმებს ეთამაშებოდნენ, ტუჩსაცხს იახლებდნენ და ივიწყებდნენ ყველაფერს, რაც მათში საინტერესო იყო.

— პიტერ...

— ო, ღმერთო, პიტ, ძმაო, შენ ხარ.

ბიჭებმა შეძახილები დაიწყეს, ან იმედგაცრუების, ან შვების შესანიღბად, რომ მათი ჯერი არ მოვიდა. პიტერი წამოდგა. მისი წვრილი თვალები ლილისას შეხვდა. ის სხვებისგან განსხვავდებოდა: მისი ტონიდან ჩანდა, უფრო ბევრს გაბედავდა, ვიდრე დანარჩენები.

— აქ?

ლილიმ მხრები აიჩეჩა.

— ჩემთვის სულერთია.

— გვერდით ოთახში, — საძინებლისკენ მიუთითა პიტერმა.

გოგოების ფეხებს მოხერხებულად გადააბიჯა და საძინებელში შევიდა. ერთ-ერთმა გოგომ წვივში ჩასჭიდა ხელი, უთხრა, ეს არ გააკეთოო, მაგრამ ლილიმ ყურადღება არ მიაქცია. თავდაჯერებული მიაბიჯებდა, გრძნობდა, ყველა მას უყურებდა. „მოქმედება, ყოველთვის მოქმედება“.

პიტერმა კარი მიიხურა. ლილიმ ირგვლივ მიმოიხედა. დაჭ-მუჭნილ საწოლზე წლობით გაურეცხავი საბანი ეფარა, რომელ-საც ობის სუნი ასდიოდა. კუთხეში ბინძური სარეცხი ეყარა. სა-წოლის გვერდით სავსე საფერფლე იდო. ოთახში დუმილი ჩა-მოწვა, გარეთაც დროებით მიჩუმდა ხმები.

ლილიმ ნიკაპი ასწია და სახიდან თმა გადაიწია.

— მართლა გინდა ამის გაკეთება? — ჰკითხა.

პიტერმა ნელა, დამცინავად გაიღიმა:

— ვიცოდი, უკან დაიხევდი.

— ვინ თქვა, რომ უკან დავიხევ?

მაგრამ ამის გაკეთება არ სურდა. ბიჭის მომხიბლავ ნაკვთებს უკვე ვეღარ ხედავდა, მხოლოდ მის თვალებში აკიაფებულ სიცი-ვეს და უსიამოვნო გრიმასას ამჩნევდა. პიტერმა ელვაშესაკრავ-ზე მოიკიდა ხელი.

წუთით გაუნძრევლად იდგნენ.

— არა უშავს, თუ არ გინდა ამის გაკეთება. გარეთ გავალ და ყველას ვეტყვი, რომ მშიშარა ხარ.

— არ მითქვამს, რომ არ გავაკეთებ.

— აბა, რას ამბობ?

ფიქრი არ შეეძლო. თავში რაღაცამ ბზუილი დაუწყო. ნატ-რობდა, აქ არ შემოსულიყო.

ბიჭმა თეატრალურად დაამთქნარა:

— მომწყინდა, ლილი.

კარზე ვიღაც გამეტებით აკაკუნებს. ჯემიმას ხმაა:

— ლილი, არ ხარ ვალდებული, ეს გააკეთო. წამო, ახლავე სახლში წავიდეთ.

— არ ხარ ვალდებული, ეს გააკეთო, ლილი, — აჯავრებს პიტე-რი.

ლილი ითვლის. ყველაზე ცუდი რა შეიძლება მოხდეს? ორი წუთი. მისი ცხოვრების ორი წუთი. მშიშარა არ იქნება. უჩვენებს ამ ბიჭს. ყველას უჩვენებს.

პიტერს ხელში ჯეკ დენიელსის ბოთლი უჭირავს. ლილი არ-თმევს, ხსნის და ორ ყლუპს სვამს, თან ბიჭს თვალს არ აცილებს. მერე, უბრუნებს და ქამარს უხსნის.

„სურათები გადაიღეთ, თორემ არ ითვლება“.

ესმის, ბიჭები როგორ ყვირიან, სანამ მას სკალპი სტკივა, რადგან პიტერი მეტისმეტად მაგრად ქაჩავს თმაზე. უკვე ძალიან გვიანია. ძალიან გვიანი.

მობილურის კამერის ხმა ესმის.

ერთი წყვილი საყურე. ორმოცდაათი ფუნტი. ასი ფუნტი. კვი-რები გადის, მოთხოვნები კი არ წყდება. პიტერი შეტყობინებებს უგზავნის: „ნეტა, რა მოხდება, ეს რომ ფეისბუქზე ავტვირთო?“

ფოტოს დანახვისას ტირილი უნდება. ამ სურათს კიდევ და კი-დევ უგზავნის: მისი სახე, ჩასისხლიანებული თვალები, ჩამოდ-ღაბნილი ტუში, პირში... როცა ლუისა სახლში მოდის, ლილი ტე-ლეფონს ტახტის ბალიშებს ქვეშ მალავს. რადიოაქტიურ, შხამი-ან ნივთად იქცა, რომელიც ახლოს უნდა იქონიოს.

„ნეტა, შენი მეგობრები რას იფიქრებენ“.

გოგოები აღარ ელაპარაკებიან. იციან, რაც ჩაიდინა, რადგან როგორც კი ოთახიდან გამოვიდნენ, პიტერმა ყველას აჩვენა ფოტო. თან დემონსტრაციულად იკრავდა ელვაშესაკრავს. ლი-ლიმ თავი მოიკატუნა, თითქოს არ ანაღვლებდა. გოგოები გაოგ-ნებით მისჩერებოდნენ. როგორც კი თვალებში ჩახედა, მიხვდა, მათი ისტორიები შეყვარებულებსა და სექსზე შეთხზული იყო. ყალბები იყვნენ. ყველაფერს იტყუებოდნენ.

არავის უფიქრია, რომ ლილი მამაცი იყო. არავის შეუქია, რომ არ შეშინდა. ის უბრალოდ ლილი იყო, მსუბუქი ყოფაქცე-ვის, პირში ასოთი. რამდენჯერაც ამაზე ფიქრობდა, გულისრევის

შეგრძნება ეუფლებოდა. ჯეკ დენიელსის დალევა გააგრძელა და ყველანი ჯანდაბაში გაგზავნა.

„ტოტენჰემ კორტ როუდის მაკდონალდსთან შემხვდი“.

მაშინ დედამისს უკვე გამოეცვალა საკეტები. მისი საფულიდან ფულს ვეღარ იპარავდა. საბანკო ანგარიშიც დაუბლოკეს.

„აღარაფერი დამრჩა“.

„გგონია სულელი ვარ, პატარა მდიდარო გოგო?“

დედამისს არასოდეს მოსწონდა ის საყურეები. ლილის იმედი ჰქონდა, ვერც კი შენიშნავდა, რომ დაიკარგა. ტანია ხომ ყალბი სიხარულით შეხვდა, როცა სიფათმოტყნულმა ფრენსისმა აჩუქა. მერე ჩაილაპარაკა, ვერ გავიგე, რატომ მაჩუქა გულის ფორმის ბრილიანტები, ასეთი ხომ ყველას აქვსო. ჩემს აღნაგობას მართკუთხა უფრო მოუხდებოდაო.

პიტერმა მოციმციმე საყურე ისე შეათვალიერა, თითქოს ლილიმ ხურდა ფული ჩაუთვალა, მერე კი ჯიბეში გაიქანა.

ბიგ მაკს ჭამდა და პირის კუთხეში მაიონეზი ეცხო. მისი ყოველი დანახვისას ლილის გული ერეოდა.

— გინდა ჩემს მეგობრებთან წამოხვიდე?

— არა.

— დალევა ხომ არ გინდა?

თავი გააქნია.

— ეგ არის. ეგ ბოლოა. ეს საყურეები ათასები ღირს.

პიტერი დაიმანჭა:

— შემდეგში ნაღდი ფული მომიტანე, თანაც ბლომად. ვიცი, სადაც ცხოვრობ, ლილი, ვიცი, ფული გაქვს.

ალბათ ვერასოდეს დააღწევდა თავს მის კლანჭებს. გვიან ღამით სწერდა, აღვიძებდა, არ აძინებდა. გაუთავებლად უგზავნიდა იმ ფოტოს. თვალებს რომ ხუჭავდა, მაშინაც ხედავდა, თითქოს ქუთუთოებზე ჰქონდა ამოშანთული. ლილიმ სკოლაში სიარული შეწყვიტა. უცნობებთან თვრებოდა, უფრო დიდხანს რჩებოდა

კლუბში, ვიდრე სინამდვილეში უნდოდა. ყველაფერს აკეთებდა, რომ ფიქრებთან მარტო არ დარჩენილიყო და ტელეფონის წკრიალის ხმა არ გაეგო. სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მას ვერ უნდა ეპოვა. თუმცა, მაინც მიაგნო. მანქანა ლუისას ბინის წინ დააყენა და ამით უსიტყვო შეტყობინება გაუგზავნა. რამდენჯერმე გაიფიქრა, ლუისასთვის ეთქვა. მაგრამ მას რა უნდა ექნა? ლუისა თავადაც დიდ შარში ეხვეოდა ხოლმე. ლილი პირს გააღებდა, მაგრამ სიტყვები არ ამოსდიოდა. მერე კი ლუისა დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს ლილის ბებიაზე, ან ეკითხებოდა, ჭამე თუ არა რამეო და გოგონა ხვდებოდა, მარტო უნდა გამკლავებოდა ყველაფერს.

ზოგჯერ იწვა და ფიქრობდა, რა მოხდებოდა, მამა რომ ჰყოლოდა. წარმოიდგენდა ხოლმე მის ქცევას. მამამისი გარეთ გავიდოდა, პიტერს საყელოში ჩაავლებდა ხელს და დაემუქრებოდა, მის გოგონას სათოფეზე აღარ გაკარებოდა. მამამისი ჩაიხუტებდა და ეტყოდა, ყველაფერი კარგადაა და საფრთხე აღარ გემუქრებაო.

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მამამისი ხომ ერთი ბრაზიანი ხეიბარი იყო, რომელსაც სიცოცხლეც კი აღარ სურდა. ალბათ ფოტოებს შეხედავდა და ზიზღი შეიპყრობდა ლილის მიმართ.

ვერც დაადანაშაულებდა ამაში.

ბოლოს, როცა ლილის არაფერი გააჩნდა პიტერისთვის მისაცემად, ბიჭმა უღრიალა. კარნაბი სტრიტზე, ქვაფენილზე იდგნენ, ის კი იაფფასიან ბოზს, სულელ ქათამს ეძახდა. პიტერი მანქანით მოვიდა, ლილი კი ვისკით მთვრალი დახვდა, რადგან მასთან შეხვედრის ეშინოდა. როცა ბიჭმა ყვირილი დაუწყო და დაობრალა, მატყუებო, ლილის ცრემლები წასკდა.

— ლუისამ გამომაგდო. დედაჩემმაც გამომაგდო. აღარაფერი მაქვს.

ხალხი გვერდს უვლიდა, თვალს არიდებდა. არავინ გაჩერებულა; არავინ გამოსარჩლებია. პარასკევ ღამით მთვრალ გოგოზე გაბრაზებული კაცი სოჰოში სულაც არ იყო უჩვეულო მოვლენა. პიტერმა შეიგინა, შეტრიალდა, თითქოს წასვლას აპირებდა. ლილიმ კარგად იცოდა, არსად წავიდოდა. მერე, უეცრად, ქუჩის შუაში დიდი, შავი მანქანა გაჩერდა და უკუსვლით მათთან მივიდა. ფარები ანათებდა. ფანჯარა ჩაიწია.

— ლილი?

რამდენიმე წამი დასჭირდა, რომ ეცნო. მამინაცვლის თანამშრომელი იყო, მისტერ გარსაიდი. მისი უფროსი იყო? თუ პარტნიორი? ჯერ ლილი შეათვალიერა, მერე პიტერი.

— ყველაფერი რიგზეა?

ლილიმ პიტერს გახედა, მერე კი გარსაიდს თავი დაუქნია.

მაგრამ კაცმა არ დაუჯერა. მანქანა პიტერის მანქანის წინ გააჩერა და ნელა გადმოჭრა ქუჩა, მუქ კოსტიუმში გამოწყობილმა. მბრძანებლური იერი ჰქონდა, ეტყობოდა, ვერაფერი შეახრევინებდა წარბს. ლილის უცებ გაახსენდა, დედამისი როგორ ყვებოდა, გარსაიდს საკუთარი ვერტმფრენი ჰყავსო.

— სახლში წაყვანა ხომ არ გჭირდება, ლილი?

პიტერმა ტელეფონიანი ხელი ასწია, რათა ლილისთვის შეეხსენებინა. ლილიმ პირი დააღო და უნებლიეთ ყველაფერი გადმოალაგა:

— ჩემი საშინელი სურათი აქვს ტელეფონში და მემუქრება, რომ ყველას აჩვენებს. ფულს მთხოვს, მე კი აღარ დამრჩა. რაც შემეძლო, მივეცი, მეტი აღარაფერი მაქვს. გევედრებით, მიშველეთ.

პიტერს თვალები გაუფართოვდა. ამას არ ელოდა. ლილის აღარ ადარდებდა, რა მოხდებოდა. სასოწარკვეთილი და დაღლილი იყო. აღარ შეეძლო ამ ტვირთის მარტო ტარება.

მისტერ გარსაიდმა წუთით პიტერი შეათვალიერა. ბიჭი წელში გასწორდა, თითქოს მანქანისკენ აპირებდა გაქცევას.

— მართალს ამბობს? — ჰკითხა მისტერ გარსაიდმა.

— ტელეფონში გოგოს სურათების შენახვა დანაშაული არ არის, — პიტერმა ჩაიღიმა, როგორც ჩანს, ცდილობდა გულადი გამოჩენილიყო.

— ეგ კარგად ვიცი. თუმცა, ფულის გამოძალვა ნამდვილად დანაშაულია, — მისტერ გარსაიდი დაბალი და მშვიდი ხმით საუბრობდა, თითქოს, სრულებით ნორმალური იყო შუა ქუჩაში ვიღაცის შიშველი ფოტოების განხილვა. კაცმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, — რამდენი გინდა, რომ გაქრე?

— რა?

— ტელეფონში რამდენს ითხოვ?

ლილის სუნთქვა შეეკრა. ხან ერთს უყურებდა, ხან — მეორეს. პიტერი უნდობლად შესცქეროდა გარსაიდს.

— ტელეფონის სანაცვლოდ ნაღდ ფულს მოგცემ, იმ შემთხვევაში, თუ ფოტოს ასლს სხვაგან არ ინახავ.

— ტელეფონს არ ვყიდი.

— მაშინ უნდა გაგაფრთხილო, ახალგაზრდავ, რომ პოლიციაში დავრეკავ და მანქანის ნომრებით გიპოვი. იქ ბევრი მეგობარი მყავს, თანაც — გავლენიანი, — სახიფათო ღიმილით გაიღიმა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს რესტორნიდან ხალხი გამოვიდა, იცინოდნენ. პიტერმა ჯერ ლილის შეხედა, მერე — მისტერ გარსაიდს. ნიკაპი ასწია:

— ხუთი ათასი.

ბატონმა გარსაიდმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და თავი გააქნია.

— მე სხვანაირად ვფიქრობ, — საფულე ამოიღო და რამდენიმე კუპიურა გადათვალა, — ეს გეყოფა. უკვე საკმარისზე მეტი ფული მოგცეს. ტელეფონი, თუ შეიძლება.

პიტერს თითქოს ჰიპნოზი გაუკეთესო. წუთით შეყოყმანდა, მერე კი ტელეფონი მისტერ გარსაიდს გადასცა. ასე, უბრალოდ. მისტერ გარსაიდმა შეამოწმა, სიმ ბარათი იდო თუ არა, მერე ჯიბეში ჩაიდო და ლილის მანქანის კარი გაუღო.

— ჩემი აზრით, წასვლის დროა, ლილი.

მანქანაში დამჯერი ბავშვივით ჩაჯდა. დაიძრნენ, ვიწრო ქუჩაზე გაცურდნენ, უკან მოიტოვეს გაოგნებული პიტერი — გვერდითა სარკიდან ხედავდა — თითქოს ბიჭსაც ვერ დაეჯერებინა რაც მოხდა.

— კარგად ხარ? — არ შეუხედავს, ისე ჰკითხა მისტერ გარსაიდმა.

— დამ... დამთავრდა?

გვერდულად გამოხედა, მერე კვლავ გზას მიუბრუნდა:

— ვფიქრობ, ჰო.

ლილი ვერ იჯერებდა. ვერ იჯერებდა, რომ ეს განსაცდელი, რომელიც კვირების განმავლობაში ტანჯავდა, გაქრა. უეცრად ანერვიულებულმა სთხოვა:

— გთხოვთ, დედაჩემს და ფრენსისს ნუ ეტყვით.

კაცი ოდნავ მოიღუშა:

— როგორც გინდა.

ლილიმ ღრმად ამოისუნთქა:

— გმადლობთ, — თქვა ჩუმად.

კაცმა მუხლზე მოუთათუნა:

— საშინელი ბიჭია. მეგობრების შერჩევისას სიფრთხილე გმართებს, ლილი.

და ხელი კვლავ სიჩქარის გადამრთველზე გადაიტანა, სანამ ლილი რაიმეს მიხვდებოდა.

როცა ლილი გამოუტყდა, წასასვლელი არსად მაქვსო, კაცს თვალიც არ დაუხამხამებია. სასტუმროში მიიყვანა და რეგისტრატორს ჩუმად გაესაუბრა; მან გასაღები გადასცა. გოგონას

გულზე მოეშვა, რომ კაცმა თავის სახლში წაყვანა არ შესთავაზა: ვინმესთვის რაიმეს ახსნის თავი არ ჰქონდა.

— ხვალ გამოგივლი, როცა გამოფხიზლდები, — უთხრა კაცმა და საფულე ჯიბეში შეინახა.

311-ე ოთახში მძიმედ ავიდა, ჩაცმული დაწვა და თოთხმეტი საათი ეძინა.

კაცმა დილით დაურეკა და საუზმეზე გნახავო, შეუთანხმდა. ლილიმ შხაპი მიიღო, ზურგჩანთიდან ტანსაცმელი ამოიღო და უთო გადაუსვა, სცადა, ოდნავ მაინც რიგიანი შესახედაობა ჰქონოდა. უთოობა დიდად არ ეხერხებოდა — მსგავს რამეებს ლენა აგვარებდა ხოლმე.

რესტორანში რომ ჩავიდა, კაცი უკვე იქ იჯდა, გაზეთს კითხულობდა და წინ ნახევრად დალეული ყავის ჭიქა ედო. უფრო ხნიერი ყოფილა, ვიდრე ლილის ახსოვდა. ზევით თმა შესთხელებოდა, კისერზე კანი ოდნავ დანაოჭებოდა. ბოლოს კომპანიის ღონისძიებაზე ნახა, რომელზეც ფრენსისი მეტისმეტად დათვრა, დედამისი კი გაცხარებით ესისინებოდა ქმარს, როცა ეგონა, არავინ გვისმენსო. მაშინ გარსაიდმა წარბის აწევით გახედა ლილის, თითქოს უსიტყვოდ ეუბნებოდა, ოჰ, ეს მშობლებიო.

გარსაიდის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა. კაცმა გაზეთი დაუშვა:

— აჰა, აბა, დღეს როგორ ხარ?

ლილის რცხვენოდა, თითქოს წინა ღამით სულ ტყუილად გამოიწვია აურზაური.

— ბევრად უკეთ, გმადლობთ.

— კარგად გამოიძინე?

— საკმაოდ, გმადლობთ.

კაცმა სათვალიდან გამოხედა:

— რა ოფიციალური ხარ.

ლილიმ გაიღიმა. არ იცოდა, სხვა რა ექნა. მეტისმეტად უხერხული იყო მამინაცვლის კოლეგასთან ერთად ყოფნა. მიმტანმა ყავა მოუტანა და ლილიმაც დალია. საუზმის ბუფეტს გასცქეროდა, არ იცოდა, გადახდა მოუწევდა თუ არა. კაცმა შენიშნა მისი უხერხულობა და შეაგულიანა:

— ჭამე რამე, ნუ ღელავ, უკვე გადახდილია, — და გაზეთს მიუბრუნდა.

ნეტა, მშობლებს თუ ეტყოდა, ან ტელეფონს რა უყო? ლილის იმედი ჰქონდა, რომ კაცმა სადმე ტემზის ნაპირას მანქანა შეანელა, ფანჯარა ჩასწია და მობილური მდინარის ტალღებში მოისროლა. არ სურდა, ოდესმე კიდევ ენახა ის ფოტო. წამოდგა და ბუფეტიდან ხილი და კრუასანი აიღო. შიმშილისგან გული მისდიოდა.

სანამ ლილი ჭამდა, კაცი გაზეთს კითხულობდა. ნეტა, უცხო თვალისთვის როგორ გამოიყურებოდნენ? ალბათ ყველას მამა--შვილი ეგონა. ლილი დაფიქრდა, კაცს შვილები ჰყავდა თუ არა.

— სამსახურში არ უნდა იყოთ?

კაცმა გაიღიმა და მიმტანის შემოთავაზებული ყავა დალია.

— ვუთხარი, მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს-მეთქი, — გაზეთი კოხტად გაკეცა და გვერდით გადადო.

ლილი უსიამოდ შეიშმუშნა:

— მუშაობა უნდა დავიწყო.

— მუშაობა, — კაცი სკამის საზურგეს მიეყრდნო, — როგორ სამსახურს ეძებ?

— არ ვიცი, გამოცდებში ჩავფლავდი.

— და შენი მშობლები რას ფიქრობენ?

— ისინი არ... მე ვერ... ჩემზე გაბრაზებულები არიან. ბოლო დროს მეგობართან ვრჩებოდი ხოლმე.

— იქ ვერ დაბრუნდები?

— ახლა ვერა, მეგობარიც გავანაწყენე.

— ოჰ, ლილი, — თქვა და ამოიოხრა. ფანჯრიდან გაიხედა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე ძვირად ღირებულ საათს დახედა. ოფისში დარეკა და გააფრთხილა, დამაგვიანდებაო.

ლილი ელოდა, რას იტყოდა კაცი.

— მორჩი? — ჰკითხა, გაზეთი პორტფელში ჩადო და წამოდგა, — წამო, რამე გეგმა შევიმუშაოთ.

არ ელოდა, ოთახში რომ ამოჰყვებოდა და არეულობის შერცხვა: იატაკზე სველი პირსახოცები ეყარა, ტელევიზორი მაღალ ხმაზე იყო ჩართული. აბაზანაში შეყარა ნივთების ნაწილი, ზოგი კი ზურგჩანთაში ჩატენა. კაცმა თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ ამჩნევდა, ფანჯრიდან იყურებოდა. მერე კი მოტრიალდა, თითქოს ოთახი ეს-ესაა დაინახაო.

— ცუდი სასტუმრო არ არის, — აღნიშნა კაცმა, — აქ ვრჩებოდი ხოლმე, როცა ვინჩესტერში მანქანით წასვლის თავი არ მქონდა.

— იქ ცხოვრობთ?

— დიახ, ჩემი ცოლი ცხოვრობს იქ. შვილები უკვე დიდები არიან, — პორტფელი იატაკზე დადო და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ლილიმ ტუმბადან ბლოკნოტი აიღო, იმ შემთხვევისთვის, თუ რაიმეს ჩანიშვნა დასჭირდებოდა. ტელეფონმა გაიწკრიალა. ლილიმ შეტყობინებას დახედა: „ლილი, დამირეკე. ლუისა“.

ტელეფონი უკანა ჯიბეში ჩაიჩურთა და დაჯდა, კალთაში ბლოკნოტი ჩაიდო.

— აბა, რას ფიქრობთ?

— ცოტა არ იყოს, რთულ მდგომარეობაში ხარ, ლილი. სამუშაოსთვის მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ. არ ვიცი, ვინ აგიყვანს სამსახურში.

— კარგად გამომდის რაღაცები, ბეჯითად ვშრომობ. მებაღეობა მეხერხება.

— მებაღეობა! იქნებ, გეშოვა რაიმე სამსახური. თუმცა, რამდენად გამოიმუშავებ თავის სარჩენად სამყოფ ფულს, ეგ სხვა

საკითხია. სარეკომენდაციო წერილები გაქვს? საზაფხულო სამუშაოები შეგისრულებია?

— არა, ფულს ყოველთვის მშობლები მაძლევდნენ.

— ჰმმ, — თითებით მუხლზე დაიკაკუნა, — მამასთან დაძაბული ურთიერთობა გაქვს, ხომ?

— ფრენსისი ჩემი ნამდვილი მამა არ არის.

— ჰო, ეგ ვიცი. ისიც ვიცი, რომ სახლიდან რამდენიმე კვირაა წამოხვედი. ცუდი მდგომარეობაა. ძალიან სამწუხაროა. ალბათ თავს მარტოსულად გრძნობ.

ლილის ყელში ბურთი მოაწვა. კაცმა ჯიბისკენ რომ წაიღო ხელი, ლილის ეგონა, ცხვირსახოცს მიაწვდიდა, მაგრამ მან პიტერის ტელეფონი ამოიღო. კაცმა ტელეფონს ერთხელ, ორჯერ დააჭირა და ეკრანზე ლილის ფოტო გამოჩნდა. ლილის სუნთქვა შეეკრა.

ფოტოს დააჭირა და გაადიდა. ლილის ლოყები აუწითლდა. მოეჩვენა, თითქოს კაცმა წლები მოანდომა ფოტოს ყურებას.

— მართლა ცუდი გოგო ყოფილხარ, ხომ ასეა?

ლილიმ ხელები მომუშტა. მისტერ გარსაიდს გახედა, ლოყები უვარვარებდა. კაცს ფოტოსთვის არ მოუცილებია თვალი.

— ძალიან ცუდი გოგო, — ბოლოს ლილის შეხედა და შემპარავი ხმით უთხრა, — პირველ რიგში, უნდა მოვიფიქროთ, როგორ გადამიხდი ტელეფონისა და სასტუმროსთვის.

— მაგრამ, — წამოიწყო ლილიმ, — თქვენ არ გითქვამთ...

— ოჰ, კარგი, რა, ლილი. შენნაირმა გოგომ წესით უნდა იცოდეს, რომ უფასო არაფერია, — ისევ ფოტოს დახედა, — ამას კარგა ხნის წინ მიხვდებოდი... აშკარად კარგად გამოგდის.

ლილის მთელი საუზმე ყელში მოაწვა.

— იცი, შემიძლია ძალიან დაგეხმარო. დასარჩენ ადგილს გიშოვი, სანამ ისევ ფეხზე დადგები, კარიერაში ხელს შეგაშველებ. სანაცვლოდ ბევრს არ ვითხოვ. Quid pro quo (ლათინური გა-

მოთქმა, სიტყვასიტყვით „ეს იმის სანაცვლოდ“) — გაგიგია ეს ფრაზა? სკოლაში ლათინურს ხომ გასწავლიდნენ?

ლილი წამოხტა და ზურგჩანთას დასწვდა. კაცმა ცალი ხელი გოგონას ჩაავლო, მეორეთი კი ტელეფონი ჯიბეში შეინახა.

— ნუ ავჩქარდებით, ლილი. ხომ არ გვინდა, ეს პატარა სურათი შენს მშობლებს ვანახო? ღმერთმა იცის, რას იფიქრებენ შენზე.

ლილის სიტყვები ყელში გაეჩხირა.

კაცმა საწოლზე დაატყაპუნა ხელი თავის გვერდით:

— ძალიან კარგად დაფიქრდი. მოდი, ახლა ჩვენ...

ლილიმ ხელი გაითავისუფლა, ნომრის კარში გავარდა და გაიქცა. სასტუმროს დერეფანი თავქუდმოგლეჯილმა გაირბინა. ფეხები უკანკალებდა, ჩანთას ჰაერში მიაფრიალებდა.

ლონდონი გამთენიისას ფუთფუთებდა. მანქანები ღამის ავტობუსებს მოუთმენლად უვლიდნენ გარს, ტაქსები შეცურდებოდნენ და გამოცურდებოდნენ სატრანსპორტო მოძრაობაში, კოსტიუმებში გამოწყობილი კაცები სახლებისკენ მიდიოდნენ ან ცამდე აწვდილ ოფისებში ისხდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ მათ გარშემო მომუშავე დამლაგებლებს. ლილი თავჩაქინდრული მისეირნობდა, მხარზე ზურგჩანთა მოეგდო. სადღეღამისო სწრაფი კვების რესტორანში ბურგერი მიირთვა, თან კაპიუშონი წაიფარა და თავი მოიკატუნა, თითქოს გაზეთს კითხულობდა. ასეთ დროს ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც მაგიდასთან ჩამოჯდომასა და საუბრის გაბმას მოისურვებდა.

„კარგი რა, ძვირფასო, მე უბრალოდ მეგობრულად მინდა გესაუბრო“.

გონებაში დილანდელ ამბებს იხსენებდა. რა ჩაიდინა? ასეთი რა სიგნალი გაუგზავნა? რატომ ფიქრობდა ყველა, რომ მსუბუქი ყოფაქცევისა იყო? კაცის სიტყვებმა ტირილი მოანდომა. ისიც სძულდა და საკუთარი თავიც.

მოსწავლის ბარათით მეტროს სადგურებზე იმგზავრა, სანამ არ ჩამოცხა და ჰაერი ალკოჰოლის სუნით არ გაიჟღინთა. მიწის მაღლა ყოფნა გაცილებით უსაფრთხო იყო. დანარჩენ დროს უბრალოდ სეირნობდა — ჩაუარა პიკადილის მოციალე ნეონის განათებებს, მერილბოუნ როუდის გრძელ ქუჩას, კამდენის სიცოცხლით სავსე ბარებს. თითქოს სადღაც მიეჩქარებოდა. მხოლოდ მაშინ ანელებდა ნაბიჯს, როცა ფეხები სტკივდებოდა უმოწყალო ქვაფენილზე სიარულისგან.

როცა დაიქანცა, ნაცნობებს სთხოვა შემწეობა. ერთი ღამე თავის მეგობართან, ნინასთან გაატარა. მაგრამ ნინამ უამრავი შეკითხვა დაუსვა. სანამ აბაზანაში თმიდან ჭუჭყს იცილებდა, ნინასა და მისი მშობლების საუბარი შემოესმა საკუთარ თავზე. ამან კი თავი ამქვეყნად ყველაზე მარტოსულ ადამიანად აგრძნობინა. საუზმის შემდეგ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნინას დედამ შესთავაზა, იმ ღამესაც დარჩენილიყო. ქალის თვალებში დედობრივი მზრუნველობა ჩანდა. ლილიმ მომდევნო ორი ღამე კლუბში გაცნობილი გოგოს ტახტზე გაატარა. იმ ბინაში სამი მამაკაცი ცხოვრობდა, რამაც ლილი შეაშინა. დაძაბულობისგან ვერ იძინებდა, ტანსაცმელს არ იხდიდა. მოკუნტული იწვა და გათენებამდე ტელევიზორს უხმოდ უყურებდა. ორი ღამეც ხსნის არმიის ჰოსტელს შეეხიზნა. უთხრეს, შეგიძლია აბაზანით ისარგებლოო, მაგრამ ჩანთის დატოვება არ უნდოდა. უფასო წვნიანი დახვრიპა და წავიდა. ძირითადად, ქუჩებში დადიოდა, შემორჩენილ ფულს იაფფასიან ყავასა და კვერცხიან მაფინებში ხარჯავდა. თანდათან უფრო იღლებოდა და შიმშილი ერეოდა. ბოლოს, წესიერად ფიქრიც კი უჭირდა. როცა კაცები ამაზრზენ სიტყვებს მიაძახებდნენ, ან კაფეს თანამშრომლები საყვედურობდნენ, დროა წახვიდეთ, ახალგაზრდა ქალბატონო, ერთი ჭიქა ყავის დალევას ამდენი ხანი რად უნდაო, პასუხის გაცემასაც კი ვერ ახერხებდა დროულად.

მთელი ამ დროის განმავლობაში ფიქრობდა, ნეტავ ახლა რას ამბობენ ჩემი მშობლებიო; რას ეტყოდა მათ მისტერ გარსაიდი, როცა ლილის ფოტოებს აჩვენებდა. წარმოიდგენდა დედამისის გაოგნებულ სახეს, როგორ აქნევდა თავს ფრენსისი, თითქოს სულაც არ აკვირვებდა ლილის ასეთი საქციელი.

რა სულელი იყო.

უნდა მოეპარა ტელეფონი.

უნდა გაეთელა ფეხქვეშ.

მისტერ გარსაიდიც უნდა გაეთელა ფეხქვეშ.

არ უნდა წასულიყო იმ ბიჭის სულელურ ბინაში და იდიოტივით არ უნდა მოქცეულიყო. არ უნდა დაენგრია საკუთარი ისედაც სულელური ცხოვრება.

ეს ფიქრები რომ მოეძალებოდა, ტირილს ვეღარ იკავებდა. კაპიუშონს უფრო მჭიდროდ იხურავდა და...

თავი მეოცე

— როგორ თუ დაიკარგა?

მისის ტრეინორის დუმილი მაუწყებდა, რომ ჩემი ნათქვამის დაჯერება უჭირდა. ან, იქნებ, კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი გაახსენდა, რომელსაც მე ვერ გავუფრთხილდი.

— დარეკვა სცადე?

— არ მპასუხობს.

— მშობლებს ეხმიანება?

თვალები დავხუჭე. ამ თემაზე საუბარი ჭირივით მეჯავრებოდა.

— ადრეც გაუჩინარებულა ასე. მისის ჰაგტონ-მილერი დარწმუნებულია, რომ ლილი ნებისმიერ წუთს გამოჩნდება.

მისის ტრეინორი ჩაფიქრდა.

— მაგრამ შენ ასე არ გგონია.

— რაღაც რიგზე ვერ არის, მისის ტრეინორ. ვიცი, მშობელი არ ვარ, მაგრამ... — ხმა ჩამიწყდა, — მირჩევნია, ვეძებო, ვიდრე არხეინად ვიყო. ამიტომ ისევ გავალ და ქუჩებს მოვივლი. მინდოდა გცოდნოდათ, რა ხდება.

მისის ტრეინორი წუთით დადუმდა. მერე კი ზომიერი, მაგრამ მკაცრი ხმით მითხრა:

— ლუისა, სანამ წახვალ, თუ შეიძლება, მისის ჰაგტონ-მილერის ტელეფონის ნომერი მითხარი.

სამსახურში დავრეკე და გამოვაცხადე, ავად ვარ-მეთქი. რიჩარდ პერსივალის ცივი „გასაგებია“ უფრო საშიშად ჟღერდა, ვიდრე მისი ჩვეული წუწუნი. ფოტოები ამოვბეჭდე — ერთი ლილის ფეისბუქ პროფილიდან და მეორე იმ ფოტოებიდან, ერთად რომ გადავიღეთ. მთელი დილა ლონდონის ცენტრში ხეტიალში გავატარე. მანქანას ტროტუართან ვტოვებდი და საავარიო შუ-

ქებს ვრთავდი, სანამ პაბებს, სწრაფი კვების რესტორნებსა და კლუბებს ვათვალიერებდი. კლუბების დამლაგებლები ეჭვის თვალით მიყურებდნენ.

— ეს გოგო ხომ არ გინახავთ?

— ვინ კითხულობს?

— გინახავთ ეს გოგო?

— პოლიციიდან ხარ? შარში გახვევა არ მინდა.

ზოგი იმით ერთობოდა, რომ დროს ტყუილად წელავდა და ათას შეკითხვას მისვამდა. „ააჰ, ეს გოგო! ყავისფერთმიანია? რა ერქვა?.. არა, არასოდეს მინახავს“. არავის უნახავს. რაც უფრო მეტ ადგილს ვსტუმრობდი, მით უფრო ვკარგავდი იმედს. ლონდონი ხომ იდეალური ქალაქია დასაკარგად. ფუსფუსა მეტროპოლისი, სადაც მილიონობით დერეფანში გაძვრები, ხალხის დაუსრულებელ ჯგუფებს შეერევი. ცათამბჯენებს ავყურებდი და ვფიქრობდი, იქნებ ვიღაცის ტახტზე პიჟამიანი იწვა. ლილის ხომ ხალხის დამეგობრება იოლად გამოსდიოდა და არც რაიმეს თხოვნისა ერიდებოდა — ნებისმიერთან შეიძლებოდა, ყოფილიყო.

და მაინც.

არც კი ვიცი, რამ მაიძულა, ძებნა გამეგრძელებინა. იქნებ ტანია ჰაგტონ-მილერზე ვიყავი გაბრაზებული, დიდად მისაბაძი მშობელი რომ არ იყო; იქნებ დანაშაულს ვგრძნობდი, რომ მეც ისევე მოვექეცი ლილის, როგორც დედამისი; ან იქნებ მშვენივრად ვიცოდი, როგორი დაუცველი შეიძლებოდა ყოფილიყო პატარა გოგონა.

თუმცა, უფრო მეტად, უილის გამო არ ვწყვეტდი ძებნას. ფეხით და მანქანით დავდიოდი, ხალხს შეკითხვებს ვუსვამდი, გონებაში უილს ვესაუბრებოდი. ამასობაში, მენჯის ძვალიც ამტკივდა. მანქანაში ვჭამე გამაგრებული სენდვიჩები, იაფფასიანი ცხე-

ლი შოკოლადი დავაყოლე და ტკივილგამაყუჩებლებიც გადავ-ყლაპე, რომ ძებნა გამეგრძელებინა.

„სად წავიდოდა, უილ?“

„შენ რას იზამდი?“

და კვლავ : „მაპატიე. დაგაღალატე“.

„არის რამე ახალი?“ — მივწერე სემს. ცოტა მეუცნაურა, გონებაში უილს რომ ვესაუბრებოდი და პარალელურად, სემს ვწერდი. თითქოს ვღალატობდი. თუმცა, ზუსტად არ ვიცოდი, რომელს.

„არა. ლონდონის ყველა სასწრაფოში დავრეკე. შენ როგორ ხარ?“

„ცოტა დავიღალე“.

„მენჯი?“

„რამდენიმე „ნუროფენმა“ მიშველა“.

„გინდა, ცვლის მერე გამოგიარო?“

„კარგი იქნებოდა. ძებნა უნდა განვაგრძო“.

„ისეთ ადგილას არ წახვიდე, სადაც მე არ წავიდოდი“.

„ძალიან სასაცილოა“.

— საავადმყოფოები სცადე? — ჩემმა დამ კოლეჯიდან დამირეკა. თხუთმეტი წუთი ისვენებდა ორ ლექციას შორის: „შემოსავლების აღრიცხვა და დამატებითი ღირებულების გადასახადი“ და „ევროპული პერსპექტივა“.

— სემმა თქვა, რომ ლილის სახელით არც ერთ საავადმყოფოში არავინ მოსულა. ყველა მიმღები გაფრთხილებულია, — საუბრისას უკან ისე მივიხედე, თითქოს ველოდი, რომ ჩემკენ მომავალ ლილის დავინახავდი.

— რამდენი ხანია ეძებ?

— რამდენიმე დღეა, — არ მითქვამს, რომ ძილი აღარ მეკარებოდა, — მე... სამსახურში ცოტა ხნით გავეთავისუფლე.

— ვიცოდი! ვიცოდი, ხიფათიანი გოგო რომ იყო. უფროსი არ გაგიბრაზდა? მეორე სამსახურზე რა ისმის? ნიუ-იორკში? გასაუბრება გქონდა უკვე? იმედია, ახლა არ მეტყვი, რომ დაგავიწყდა.

ერთი წუთი დამჭირდა, მივმხდარიყავი, რას გულისხმობდა.

— აჰ, ეგ. ჰო, ამიყვანეს.

— რაო?

— ნათანმა მითხრა, რომ აპირებენ, მე შემომთავაზონ.

ვესტმინსტერი ტურისტებით გაივსო. მობილურები და ძვირად ღირებული კამერები მოემარჯვებინათ, პარლამენტის შენობის გადასაღებად. შევნიშნე, სატრანსპორტო მოძრაობის მარეგულირებელი ოფიცერი ჩემკენ გამოემართა. ნეტა, რაიმე ანტიტერორისტული აქტი ხომ არ მიკრძალავდა იმ ადგილას გაჩერებას, სადაც მე ვიდექი მანქანით? ხელის აწევით ვანიშნე, უკვე მივდივარ-მეთქი.

ტელეფონის მეორე ბოლოში მცირე ხანს დუმილი ჩამოწვა.

— მოიცა... ესე იგი, ამბობ...

— ახლა ამაზე ფიქრი არ შემიძლია, ტრინ. ლილი გაუჩინარდა. უნდა ვიპოვო.

— ლუისა? მომისმინე ერთი წუთით. ამ სამსახურს უნდა დასთანხმდე.

— რა?

— ასეთი შესაძლებლობა მეორედ აღარ გექნება. წარმოდგენაც არ გაქვს, რას არ მივცემდი, ნიუ-იორკში ცხოვრების შანსი რომ მქონდეს... თან გარანტირებული სამსახურით? სახლით? და „ახლა ამაზე ფიქრი არ შეგიძლია?“

— ასე მარტივი არ არის.

ახლა კი ნამდვილად მიახლოვდებოდა ოფიცერი.

— ო, ღმერთო. სწორედ ამაზე გეუბნებოდი. ყოველთვის, როცა ცხოვრების გაგრძელების შანსი გეძლევა, თავად უქმნი საკუ-

თარ მომავალს საფრთხეს. თითქოს... თითქოს არც გსურს, ცხოვრება განაგრძო.

— ლილი დაიკარგა, ტრინ.

— თექვსმეტი წლის გოგო, რომელსაც წესიერად არც კი იცნობ, და რომელსაც ორი მშობელი და ბებია-ბაბუა ჰყავს, სადღაც წახეტიალდა. ადრეც გაუჩინარებულა ასე, სხვა ბევრი მოზარდივით. ამას იყენებ მიზეზად, რომ შენს სიცოცხლეში ყველაზე მნიშვნელოვანი შანსი ქარს გაატანო? ღმერთო. ასე ძალიან არ გინდა წასვლა?

— რა ჯანდაბას გულისხმობ?

— შენთვის უფრო იოლია, დამთრგუნველ სამსახურში დარჩე და იწუწუნო. უფრო იოლია, იჯდე, არ გარისკო და ჩათვალო, რომ რაც გემართება, შენი ბრალი არ არის.

— არ შემიძლია, ავდგე და წავიდე, სანამ ყველაფერი არ მოგვარდება.

— საკუთარ ცხოვრებას შენ განაგებ, ლუ. თუმცა ისე იქცევი, თითქოს მუდამ წინ გეღობება მოვლენები, რომლებსაც ვერ აკონტროლებ. რა არის ეს — დანაშაულის გრძნობა? გგონია, უილის რაიმე გმართებს? თვითგვემას ეწევი? საკუთარ ცხოვრებაზე უარს ამბობ, რადგან ის ვერ გადაარჩინე?

— არ გესმის.

— პირიქით, მშვენივრად მესმის. შენი იმაზე უკეთ მესმის, ვიდრე შენ თვითონ. მისი ქალიშვილი შენი პასუხისმგებლობა არ არის. გესმის ჩემი? ამ ყველაფერზე შენ არ ხარ პასუხისმგებელი. თუ ნიუ-იორკში არ წახვალ, აღარასოდეს გაგცემ ხმას.

ოფიცერი უკვე ჩემს ფანჯარასთან იდგა. მინა ჩავწიე და ის უნივერსალური გამომეტყველება მივიღე, როცა მართლა ძალიან წუხხარ, რომ შენი და ტელეფონზე გაუთავებლად გელაპარაკება და ვერაფრით აწყვეტინებ. ოფიცერმა მაჯის საათზე დააკაკუნა და პასუხად, თავი დავუქნიე.

— სულ ეს არის, ლუ. დაფიქრდი. ლილი შენი შვილი არ არის.

ტელეფონის ეკრანს დავცქეროდი. მერე ოფიცერს მადლობა გადავუხადე და ფანჯარა ავწიე. უეცრად გონებაში ერთმა ფრაზამ გამიელვა: „შენი ნამდვილი მამა არ არისო“.

მანქანა კუთხეში მოვაბრუნე და ბენზინგასამართ სადგურთან გავჩერდი. უკანა სალონში მიგდებული ძველი, შელახული მისამართების წიგნაკი გადავფურცლე, რომელსაც რუკა ჰქონდა. ვცადე, გამეხსენებინა ქუჩა, რომელიც ლილიმ ახსენა. პაიმორი, პაიკრასტი, პაიკროფტი... თითი სენტ ჯონს ვუდამდე მანძილს გავაყოლე — ახლოს უნდა ყოფილიყო, თხუთმეტი წუთის სავალზე.

მისი გვარი ქუჩის სახელთან ერთად ჩავწერე მობილურის საძიებო სისტემაში. აი, ისიც, სახლი ნომერი ორმოცდათექვსმეტი. აღტაცებისგან გული შემიხტა. მანქანა დავძარი და კვლავ გზას დავადექი.

მართალია, ერთმანეთისგან მცირე მანძილი აშორებდათ, მაგრამ ლილის დედისა და ყოფილი მამინაცვლის სახლები უკიდურესად განსხვავდებოდა. ჰაგტონ-მილერების ქუჩა გრანდიოზული, თეთრად მობათქაშებული ან წითელი აგურით ნაშენი სახლებით, ურთხელის ხეებითა და უზარმაზარი მანქანებით იყო სავსე. მარტინ სტილის ქუჩა კი ლონდონური ორსართულიანი სახლების კუთხე იყო, სადაც უძრავი ქონების ფასი იზრდებოდა, მაგრამ ექსტერიერს ეს არ ეტყობოდა.

ნელა ვატარებდი, სანამ მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვიპოვე პატარა სახლთან, ვიქტორიანული ტერასით. ყურადღებით ვუყურებდი. წინა კარს ოდნავ ჩამოფცქვნილი საღებავი შევნიშნე, საფეხურზე კი — სათამაშო სარწყავი. გულში ვლოცულობდი, ლილი აქ ყოფილიყო. ამ კედლებს შორის, უსაფრთხოდ.

მანქანიდან გადმოვედი, ჩავკეტე და კარისკენ გავემართე.

შიგნიდან პიანინოს ხმა ისმოდა. ვიღაც ერთსა და იმავე ნოტს იმეორებდა გაუთავებლად. წუთით შევყოყმანდი, მერე კი ზარი დავრეკე. მუსიკის ხმა შეწყდა.

დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მომესმა, მერე კი კარი გაიღო. ორმოცდარაღაცა წლის მამაკაცი გამოჩნდა, კუბოკრულ პერანგსა და ჯინსის შარვალში, ერთი დღის გაუპარსავი წვერი ჰქონდა.

— დიახ?

— იცით, მე მაინტერესებდა... ლილი აქ ხომ არ არის?

— ლილი?

გავიღიმე და ხელი გავუწოდე:

— თქვენ მარტინ სტილი ბრძანდებით, არა?

ყურადღებით დამაკვირდა, სანამ მიპასუხებდა.

— შეიძლება. და თქვენ ვინ ხართ?

— ლილის მეგობარი ვარ. მე... მე ვცდილობ, ხმა მივაწვდინო. ვიფიქრე, აქ ხომ არ არის-მეთქი. ან იქნებ, იცოდეთ, სად ვიპოვო.

მოიღუშა.

— ლილი? ლილი მილერი?

— დიახ.

ყბაზე ხელი დაისვა, უკან, დერეფანს შეავლო თვალი.

— ერთი წუთით დამელოდეთ, თუ შეიძლება, — კარში გაუჩინარდა. გავიგე, რომ მითითებები მისცა პიანინოზე დამკვრელს. როცა მარტინი დაბრუნდა, ვიღაცამ ოქტავის ნოტების აღება დაიწყო.

მარტინ სტილმა კარი მიხურა. წუთით თავი ჩაქინდრა, თითქოს ცდილობდა, გაეგო, რა ვკითხე.

— უკაცრავად, ცოტა დავიბენი. თქვენ ლილი მილერის მეგობარი ხართ? და აქ რატომ მოხვედით?

— რადგან ლილი მიყვებოდა, რომ თქვენთან მოდიოდა ხოლმე სტუმრად. თქვენ ხართ... იყავით... მისი მამინაცვალი, ხომ ასეა?

— ჰო, მაგრამ დიდი ხნის წინ.

— და ისიც მითხრა, რომ მუსიკოსი ბრძანდებით და საბავშვო ბაღში თქვენ დაგყავდათ. რომ დღემდე ნახულობთ ხოლმე ერთმანეთს. მიყვებოდა, ძალიან ახლოს ვართ და ეს დედაჩემს აღიზიანებსო.

მარტინმა ირიბად გამომხედა.

— მის...

— კლარკი. ლუისა კლარკი.

— მის კლარკ. ლუისა. ლილი მილერი მას შემდეგ აღარ მინახავს, რაც ხუთი წლის იყო. ტანიამ გადაწყვიტა, რომ ორივესთვის ასე აჯობებდა. გაყრის შემდეგ ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე.

დაჟინებით ვუყურებდი.

— გინდათ თქვათ, რომ აქ არ ყოფილა?

წუთით ჩაფიქრდა.

— ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, გამოჩნდა. ცუდი დრო შეარჩია. სულ ახალი დაბადებული იყო ჩემი შვილი, თან მასწავლებლობას ვცდილობდი და, სიმართლე გითხრათ, ვერც მივხვდი, ჩემგან რა უნდოდა.

— მას მერე არ გილაპარაკიათ?

— იმ ერთი შემთხვევის გარდა, არა. ყველაფერი რიგზეა? საფრთხე ხომ არ ემუქრება?

შიგნით პიანინო დაკვრას განაგრძობდა: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო, დო, სი, ლა, სოლ, ფა, მი, რე, დო. მაღლა და დაბლა.

ხელი დავუქნიე და უკან გამოვტრიალდი:

— არა, არაფერია. მე შემეშალა. ბოდიში, რომ მყუდროება დაგირღვიეთ.

ლონდონის გარშემო მანქანით სიარულში კიდევ ერთი საღამო გავატარე. ჩემი დის ზარებსა და რიჩარდ პერსივალის ელექტრონულ შეტყობინებებს სათაურით „სასწრაფოა“, „პირადად“ ყურადღებას არ ვაქცევდი. იქამდე ვატარებდი, სანამ სინათლეების გაელვებისგან თვალები არ ჩამიწითლდა და მივხვდი, ისევ იმ ადგილებს ვაკითხავდი, სადაც უკვე ვიყავი. თანაც, ბენზინისთვის ნაღდი ფულიც ამომეწურა.

შუაღამე იყო, სახლისკენ რომ დავძარი მანქანა. თავს პიროობას ვაძლევდი, საბანკო ბარათს ავიღებ, ჭიქა ჩაის დავლევ, თვალებს ნახევარი საათით დავასვენებ და ისევ გზას დავადგები-- მეთქი. ფეხსაცმელები გავიხადე და გახუხული პური მოვიმზადე, რომელიც ვერ ვჭამე. ამის ნაცვლად ორი აბი ტკივილგამაყუჩებელი დავლიე და ტახტზე წამოვწექი. გონებაში ათასი ფიქრი მიტრიალებდა. რა გამომეპარა? ტვინი დაღლილობისგან მიბზუოდა. რომელიმე ქუჩა ხომ არ გამომრჩა? იქნებ, ლონდონის მაგივრად სხვაგან წავიდა?

სხვა გზა აღარ იყო, პოლიციისთვის უნდა შეგვეტყობინებინა. სჯობდა, სულელი და გადაჭარბებულად მზრუნველი გამოვჩენილიყავი, ვიდრე გამერისკა და ლილის მართლაც რამე უბედურება შემთხვეოდა. მივწექი და თვალები ხუთი წუთით მოვხუჭე.

სამი საათის შემდეგ ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. წამოვხტი, მაშინვე ვერ გავიაზრე, სად ვიყავი. მერე კი აციმციმებულ ლეკრანიანი აპარატი ყურთან მივიტანე.

— დიახ?

— ვიპოვეთ.

— რა?

— სემი ვარ, ლილი ვიპოვეთ. შეგიძლია, მოხვიდე?

იმ ღამეს ინგლისის საფეხბურთო ნაკრებმა წააგო. ამიტომ-მრისხანებისა და სიმთვრალისგან გამოწვეულმა ჭრილობებმა იმატა. არავის მიუქცევია ყურადღება, როგორ შემოიპარა კუთხეში გამხდარი, კაპიუშონჩამოფარებული გოგო. გვიან ღამით, როცა მორიგე ექთანი ყველა პაციენტს სათითაოდ ამოწმებდა, შემოვლისას გოგონაც შეანჯღრია და ძილისგან გამოაფხიზლა. მანაც უხალისოდ აღიარა, აქ მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ თბილად და უსაფრთხოდ მინდა ყოფნაო.

ექთანი შეკითხვებს უსვამდა, როცა სუნთქვის პრობლემებით შეწუხებული მოხუცი ქალის მოსაყვანად მისულმა სემმა თვალი მოჰკრა. ექთნები ჩუმად გააფრთხილა, გოგონა არსად გაუშვათო და მაშინვე დამირეკა, სანამ ლილი შეამჩნევდა. ეს ყველაფერი მაშინ მომიყვა, როცა სექცია ა-დან ე-ში გავრბოდით. მოსაცდელი კუთხე ნელ-ნელა შეთხელდა: სიცხიანი ბავშვები მშობლებთან ერთად პალატებში გაანაწილეს, მთვრალები სახლებში გაგზავნეს გამოსაძინებლად. ასეთ დროს მხოლოდ საგზაო შემთხვევებითა და დანით მიყენებული ჭრილობით დაშავებულები თუ მოჰყავდათ.

— ჩაი დაალევინეს. არაქათგამოცლილია. მგონი, უბრალოდ ჯდომითაც ბედნიერია.

ეტყობა, მეტისმეტად შეშფოთებული გამომეტყველება მქონდა, რადგან სემმა დასძინა:

— არ ინერვიულო, არსად გაუშვებენ.

ზოლებად განათებულ დერეფანში სანახევროდ მივრბოდი, გვერდით სემი მომყვებოდა. და აი, ისიც. უფრო პატარასავით გამოიყურებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ. აწეწილი თმა უხეიროდ შეეკრა, თხელ თითებში პლასტმასის ჭიქა ეჭირა. გვერდით ექთანი ეჯდა და საქაღალდეს უკირკიტებდა. როცა სემი დაინახა, ექთანმა თბილად გაგვიღიმა, წამოდგა და წავიდა. ლილის ფრჩხილები ჭუჭყისგან გაშავებოდა.

— ლილი? — მისი ამოღამებული თვალები ჩემსას შეხვდა, — რა... რა მოხდა?

ჯერ მე შემომხედა, მერე სემს, დიდი, შიშნარევი თვალებით.

— ყველგან გეძებდით. ჩვენ... ღმერთო ჩემო, ლილი, სად იყავი?

— მაპატიე, — ჩურჩულით მითხრა.

თავი გავაქნიე, მინდოდა მეთქვა, რომ ახლა აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ ჩემთან საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ხელები გავუწოდე, თვალებში ჩამხედა, ნაბიჯი გადმოდგა და ფრთხილად ჩამეხუტა. მკლავები მჭიდროდ მოვხვიე. მის მდუმარე, აკანკალებულ ტირილს სხეულით ვგრძნობდი, მერე მეც ქვითინი ამიტყდა. რომელიღაც უსახელო ღმერთს მადლობას ვწირავდი და ჩუმად ვიმეორებდი:

— უილ, უილ... ჩვენ ის ვიპოვეთ...

თავი ოცდამეერთე

პირველ ღამეს ლილი ჩემს საწოლში დავაწვინე და თვრამეტი საათი ეძინა. საღამოს გამოიღვიძა, წვნიანი შეჭამა, შხაპი გადაივლო და ისევ დაწვა, რვა საათით. მე ტახტზე ვთვლემდი. კარი ჩავრაზე, მეშინოდა, ლილი ისევ არ გამქრალიყო. სემმა ორჯერ გამომიარა, ცვლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, რძე მომიტანა და შეამოწმა, ლილი როგორ გრძნობდა თავს. დერეფანში ისე ვჩურჩულებდით, თითქოს ხეიბრის მდგომარეობას განვიხილავდით.

ტანია ჰაგტონ-მილერს დავურეკე და ვაცნობე, შენი შვილი გამოჩნდა და უსაფრთხოდაა-მეთქი.

— ხომ გეუბნებოდი, შენ კი არ მიჯერებდი, — ტრიუმფალურად გამომიცხადა. ტელეფონი გავუთიშე, სანამ კიდევ რაიმეს მეტყოდა. ან მე ვეტყოდი.

მისის ტრეინორს დავურეკე. შვებით ამოისუნთქა და მცირე ხანს ხმა არ ამოუღია.

— გმადლობ, — მითხრა ბოლოს, — როდის შეიძლება მოვიდე და ვინახულო?

როგორც იქნა მოვიცალე და რიჩარდ პერსივალის შეტყობინება წავიკითხე.

„გამომდინარე იქიდან, რომ სამი გაფრთხილება გქონდა, ხშირად აცდენდი და სამუშაოს კონტრაქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სათანადოდ ვერ აკმაყოფილებდი, „შამროკსა და კლოვერში“ აღარ ხარ დასაქმებული“. ითხოვდა, უნიფორმა რაც შეიძლება სწრაფად დამებრუნებინა (პარიკის ჩათვლით), წინააღმდეგ შემთხვევაში „დიდი რაოდენობით ჯარიმა დაგეკისრება“.

ნათანის წერილიც გავხსენი:

„სად ჯანდაბაში ხარ? ჩემი ბოლო წერილი ნახე?“

მისტერ გოპნიკის შემოთავაზებაზე დავფიქრდი და კომპიუტერი ოხვრით დავხურე.

მესამე დღეს რომ გავიღვიძე, ლილი ვერ ვიპოვე. გული გამისკდა, სანამ სახურავისკენ ამავალ ღია ფანჯარას არ მოვკარი თვალი. საავარიო კიბეზე ავძვერი. იქ დამხვდა, სახურავზე, ქალაქს გადაჰყურებდა. პიჟამის შარვალი ეცვა, რომელიც მე გავურეცხე, და უილის სვიტერი.

— გამარჯობა, — მივესალმე და მისკენ გავემართე.

— მაცივარში საჭმელი გქონია, — აღნიშნა ლილიმ.

— სასწრაფო დახმარების სემის წყალობით.

— ყვავილებიც მოგირწყავს.

— ეგეც მისი დამსახურებაა.

თავი დამიქნია, თითქოს არ გაჰკვირვებია. მის გვერდით ჩამოვჯექი სკამზე. კარგა ხანს ვისხედით ერთად, სიჩუმეში, აყვავებული ლავანდის სურნელით ვტკბებოდით. სახურავის ყველა ყვავილი გაფურჩქნილიყო, ფოთლები ფერს, სურნელებასა და მოძრაობას ჰმატებდნენ რუხ ასფალტს.

— ბოდიში, შენი საწოლი რომ დავიკავე.

— შენ უფრო გჭირდება.

— შენი ტანსაცმელიც ჩამოგიკიდებია კარადაში, — ფეხები ამოიკეცა და თმა ყურზე გადაიწია. ჯერაც ფერმკრთალი იყო, — ლამაზია.

— შენ დამარწმუნე, რომ ყუთებში აღარ უნდა დამემალა.

გვერდულად გამომხედა და მკრთალად, სევდიანად გამიღიმა. ამან უფრო დამანაღვლიანა. ჰაერი მცხუნვარე დღეს გვპირდებოდა. ქუჩის ხმაურიც კი თითქოს მზით გამთბარიყო. ცხელი ჰაერი უკვე იპარებოდა ფანჯრებიდან. ჩვენ ქვევით ნაგვის მანქანა გრუხუნით გაჩერდა ტროტუართან, მერე მამაკაცის შეძახილები გავიგეთ.

— ლილი, — წყნარად ვუთხარი, როცა ხმაური მიჩუმდა, — რა ხდება?

ვცადე, დაკითხვა არ მომეწყო და მეგობრული ტონი შემერჩია.

— ვიცი, შეკითხვების დასმის უფლება არ მაქვს, არც შენი ოჯახის წევრი ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რაღაც გაწუხებს და... და მაინც მგონია, ახლობლები ვართ და მინდა, მენდობოდე. მინდა, ჩემთან თავისუფლად გრძნობდე თავს.

მზერა არ მოუშორებია საკუთარი ხელებისთვის.

— არ განგსჯი. არც ვინმეს ვეტყვი რამეს. მე უბრალოდ... იცი, თუ სიმართლეს ვინმეს მოუყვები, გულზე მოგეშვება. გპირდები. უკეთ იგრძნობ თავს.

— ამას ვინ ამბობს?

— მე. შეგიძლია, ყველაფერი მითხრა. ლილი, მართლა.

თვალი შემავლო და მზერა ამარიდა.

— შენ ვერ გამიგებ, — მითხრა ჩუმად.

და მაშინ მივხვდი. მივხვდი.

ჩვენ გარშემო ყველაფერი გაჩუმდა, ან მე აღარ მესმოდა არაფერი.

— ერთ ამბავს მოგიყვები, — დავიწყე მე, — მარტო ერთმა ადამიანმა იცის, რადგან წლების განმავლობაში ვერავის ვუზიარებდი. მაგრამ, როცა იმ ერთ ადამიანს მოვუყევი, ყველაფერი შეიცვალა. არ ხარ ვალდებული, რამე გამიზიარო, მაგრამ მე საკმარისად გენდობი, რომ ჩემი ისტორია მოგიყვე.

ლილის რეაქციას დაველოდე. არ გაუპროტესტებია, არც სარკასტულად გადაუტრიალებია თვალები და არც ის უთქვამს, მოსაწყენი ხარო. მკლავები მუხლებს შემოაჭდო და მოსასმენად მოემზადა. მოვუყევი ისტორია მოზარდ გოგოზე, რომელმაც ზაფხულის ერთ ღამეს მეტისმეტად ბევრი დალია, ისეთ ადგილას, სადაც ეგონა, უსაფრთხოდ იქნებოდა. მეგობრებთან ერ-

თად იყო და იმ ბიჭებთან, რომლებიც წესიერი, კარგ ოჯახებში აღზრდილი ადამიანები ეგონა. თავიდან მხიარულობდა, მერე კი უკვე მთვრალმა გააცნობიერა, რომ გოგოები ნელ-ნელა წასულიყვნენ და თანდათან გაუხეშებული ხუმრობები მხოლოდ მას ეხებოდა. ზედმეტი დეტალების გარეშე მოვუყევი, როგორ დასრულდა ის ღამე: ის გოგო დამ წაიყვანა სახლში. ფეხსაცმელები დაეკარგა, სხეული დალილავებოდა ისეთ ადგილებში, სადაც ვერავინ შეამჩნევდა და რამდენიმე საათი სრულიად გამქრალიყო მისი მეხსიერებიდან. გოგონა ყოველდღე ფიქრობდა, რომ სულელი და უპასუხისმგებლო იყო და საკუთარ თავს თვითონ დაუშავა. წლების განმავლობაში, ამ ამბის გახსენებაზეც კი სირცხვილისგან წითლდებოდა. და ზოგჯერ ძალიან სჭირდებოდა, ვიღაცას უბრალოდ ეთქვა: „არა. შენი ბრალი არ იყო. შენ სულაც არ ხარ დამნაშავე“.

მოყოლა დავასრულე, ლილი ისევ მე მიყურებდა. გამომეტყველება არ შესცვლია.

— არ ვიცი, რა შეგემთხვა, ლილი, — ფრთხილად ვუთხარი, — იქნებ ჩემს ამბავს არაფრით ჰგავს. უბრალოდ მსურდა, მეთქვა, რომ ყველაფერი შეგიძლია მითხრა და კარს აღარასოდეს მოგიხურავ.

ხმა არ ამოუღია. მეც თვალს ვარიდებდი, მონდომებით ვიყურებოდი სახურავიდან.

— იცი, ერთხელ მამაშენმა ისეთი რამ მითხრა, რაც არასოდეს დამვიწყებია: არ უნდა დაუშვა, რომ ერთმა ღამემ განგისაზღვროს, ვინ ხარ, რა ხარ და რა გინდაო.

— მამაჩემმა? — ამომხედა ლილიმ.

თავი დავუქნიე:

— რაც უნდა მომხდარიყო, თუნდაც არ მიამბო, იცოდე, რომ მართალს ამბობდა. ამ უკანასკნელმა კვირებმა, თვეებმა... არ უნდა მისცე ნება, მომხდარმა გიკარნახოს, ვინ ხარ. მე ვიცი, შენ

სხარტი, მხიარული, კეთილი და ჭკვიანი გოგო ხარ და თუ წარსულს დაივიწყებ, დიდი მომავალი გელის.

— ეგ შენ საიდან უნდა იცოდე.

— იმიტომ, რომ მამაშენს ჰგავხარ. მისი სვიტერიც კი გაცვია.

ხელი სახესთან მიიტანა და რბილი შალი ლოყაზე მიიდო.

ის ფიქრობდა, მე კი სკამზე ვიჯექი და მეშინოდა, უილზე საუბრით მეტისმეტი ხომ არ მომივიდა.

მაგრამ მერე, ლილიმ ღრმად ჩაისუნთქა და ჩუმი, უჩვეულოდ გულგრილი ხმით სიმართლე მომიყვა — ბიჭზეც, იმ კაცზეც, ფოტოზეც და ქალაქის ქუჩებში ხეტიალზეც. ქვითინი აუვარდა, მოიკუნტა, ხუთი წლის ბავშვივით ატირდა. მისკენ მივიწიე და ჩავიხუტე. ის საუბარს აგრძელებდა, მე კი თმაზე ვეფერებოდი. დროდადრო ტირილისგან სიტყვები ერეოდა და ასლოკინებდა. როცა უკანასკნელი დღის ამბებიც მომიყვა, სვიტერში იყო ჩამალული, შიშით, დანაშაულის გრძნობითა და სევდით მოცული.

— ბოდიშს გიხდი, — ქვითინებდა, — ძალიან ვწუხვარ.

— შენ არაფერი, არაფერი გაქვს საბოდიშო, — ვუთხარი მტკიცედ.

იმ საღამოს სემი გვესტუმრა. ლილის მხიარულად, თბილად და უშუალოდ ესაუბრებოდა. პასტა მოგვიმზადა ნაღებით, შაშხითა და სოკოთი, რადგან ლილის გარეთ გასვლა არ სურდა. კომედიურ ფილმს ვუყურეთ ოჯახზე, რომელიც ჯუნგლებში დაიკარგა. ვიღიმოდი და თბილად ვსაუბრობდი, ჩაი მოვადუღე. შინაგანად კი რისხვით ვიყავი სავსე, მაგრამ ვცდილობდი, არ დამტყობოდა.

როგორც კი ლილი დასაძინებლად გავიდა, სემი საავარიო კიბეზე გავიხმე. სახურავზე ავძვერით, სადაც ლილი ვერ მოგვისმენდა. სკამზე დავსხედით, სადაც ლილიმ რამდენიმე საათის წინ ყველაფერი მიამბო და სემსაც გავუზიარე მისი ისტორია.

— ჰგონია, ეს ამბავი მთელი ცხოვრება მოსვენებას არ მისცემს. იმ კაცს ჯერ კიდევ აქვს ის ტელეფონი, სემ.

ასეთი გაცხარებული არასოდეს ვყოფილვარ. მთელი საღამო, სანამ ტელევიზორის წინ ვისხედით, თვალწინ გასული კვირების კადრები მედგა: ის ბიჭი როგორ ელოდებოდა სახლთან, როგორ მალავდა ლილი ტელეფონს, როგორ შეკრთებოდა ხოლმე ყოველთვის, როცა შეტყობინება მოსდიოდა. ყურში ჩამესმოდა, როგორ მითხრა, მეგონა, ის კაცი გადამარჩენდა და გულზე მომეშვა, მერე კი თავზარი დამეცა, როცა მიხვდი, სინამდვილეში რა სურდაო.

სემმა მანიშნა, დავმჯდარიყავი, მაგრამ ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სახურავზე ბოლთას ვცემდი, ხელები მუშტებად მქონდა შეკრული, კისერი — დაძაბული. მინდოდა სახურავიდან რაიმე მომესროლა. მინდოდა მისტერ გარსაიდი მეპოვა. სემი ჩემ უკან დადგა და მხრები დამიზილა. ალბათ, ასე ცდილობდა ჩემს ერთ ადგილას გაჩერებას.

— მინდა, რომ მოვკლა.

— მოხერხდება ეგ ამბავი.

მოვტრიალდი, რათა მენახა, მეხუმრებოდა თუ არა სემი და სულ ცოტათი გულიც კი დამწყდა, როცა მივხვდი, რომ სერიოზულად არ უთქვამს.

სახურავზე აგრილდა, ღამის სიომ დაუბერა. ვინატრე, მოსაცმელი წამომეღო.

— პოლიციაში ხომ არ წავსულიყავით? ეს ხომ აშკარა შანტაჟია.

— ის კაცი ყველაფერს უარყოფს. ნებისმიერ ადგილას შეეძლო, დაემალა ტელეფონი. თუ ტანია მართალს ამბობდა, მაშინ ლილის არავინ დაუჯერებს. მას უფრო ენდობიან, რადგან საზოგადოების თითქოსდა რიგიანი წევრია. მისნაირ ხალხს ასე შერჩება ხოლმე ყველაფერი.

— აბა, როგორ წავართვათ ის ტელეფონი? ლილი ცხოვრებას ვერ გააგრძელებს, სანამ ეცოდინება, რომ მისი ფოტოსურათი ვიღაცას აქვს, — ვკანკალებდი. სემმა ქურთუკი გაიხადა და მხრებზე მომაფარა. ქსოვილს სემის სითბო გამოჰყვა და მადლიერების გრძნობა დამეუფლა.

— სამსახურში ვერ გამოვეცხადებით, თორემ ლილის მშობლები გაიგებენ ყველაფერს. წერილი ხომ არ მივწეროთ? დაგვიბრუნოს ტელეფონი, თორემ...

— არ დათმობს. ალბათ შეტყობინებაზეც არ გვიპასუხებს... ეგ შეიძლება, მტკიცებულებად გამოდგეს.

— ვერაფერს გავხდებით, — ამოვიოხრე, — მოუწევს, შეეგუოს. იქნებ, დავარწმუნოთ ლილი, რომ იმ კაცის ინტერესებშიც შედის, მომხდარი დაივიწყოს. ასე არ არის? იქნებ უკვე გადააგდო კიდეც ის ტელეფონი.

— გგონია, დაგვიჯერებს?

— არა, — თვალები მოვიფშვნიტე, — ვერ გადავიტან. ვერ გადავიტან, რომ ეს ყველაფერი იმ კაცს ასე შერჩეს. ეგ გაიძვერა, ამაზრზენი, საძაგელი... — ავდექი და სასოწარკვეთილმა ქალაქს გავხედე. მომავალი დავინახე: როგორ ცდილობს ლილი, ჩაკეტილი და დათრგუნვილი, წარსულს გაექცეს. ის ტელეფონი იყო მისი მომავალი ქცევების გასაღები.

„დაფიქრდი, — შევუძახე თავს, — დაფიქრდი, უილი რას იზამდა“.

ის არ მისცემდა ამ კაცს გამარჯვების უფლებას. ისე უნდა დამესახა გეგმა, როგორც უილს. სანამ ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობას გავყურებდი, მისტერ გარსაიდის შავი მანქანა წარმოვიდგინე, როგორ დასრიალებდა სოჰოს ქუჩებში. ეს იყო კაცი, რომელიც ცხოვრებაში იოლად გადიოდა ფონს, რადგან წინ ვერავინ ეღობებოდა.

— სემ? არსებობს წამალი, რომელიც გულისცემას უჩერებს ადამიანს?

თავიდან გაოგნებისგან ხმა არ ამოუღია, მერე მითხრა:

— გთხოვ, მითხარი, რომ ხუმრობ.

— არა, მომისმინე. რაღაც იდეა მაქვს.

ლილი არაფერს ამბობდა.

— უსაფრთხოდ იქნები, — დავარწმუნე, — და ასე ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

ყველაზე მეტად იმან შემძრა, რომ არ დაუსვამს ის შეკითხვა, რასაც მე თვითონ ვუმეორებდი საკუთარ თავს: „საიდან იცი, რომ ეს გეგმა გამოდგება?“

— ყველაფერი მზად მაქვს, ძვირფასო, — თქვა სემმა.

— მაგრამ სხვამ არავინ იცის...

— არაფერი, ის მხოლოდ გაშინებს.

— შარში არ გაეხვევი?

— ჩემზე არ იდარდო.

ლილიმ სვიტრის სახელოები მოქაჩა და ჩაილუღლუღა:

— და მასთან მარტო არ დამტოვებთ. არც ერთი წუთით.

— არც ერთი წამით.

ტუჩები მოიკვნიტა, ჯერ სემს შეხედა, ბოლოს მე და როგორც ჩანს, გადაწყვეტილება მიიღო. სახე დაუმშვიდდა.

— კარგი, ასე მოვიქცეთ.

იაფფასიანი ტელეფონი ვიყიდე, ლილის მამინაცვლის ოფისში დავრეკე და მისტერ გარსაიდის მდივანს მისი მობილურის ნომერი დავტყუე. ვუმტკიცებდი, შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი-- მეთქი. როცა საღამოს სემი მოვიდა, გარსაიდს მივწერეთ.

„მისტერ გარსაიდ. ბოდიშს გიხდით, შევშინდი. მინდა, გამოვასწორო. ლ“.

ნახევარი საათის შემდეგ გვიპასუხა, ალბათ, სურდა, ლილის ენერვიულა.

„რატომ უნდა გაგცე ხმა, ლილი? მე დახმარების ხელი გამოგიწოდე, შენ კი უხეშობით მიპასუხე“.

— ნაბიჭვარი, — ჩაილაპარაკა სემმა.

„ვიცი. მაპატიეთ. მაგრამ მე ნამდვილად მჭირდება თქვენი დახმარება“.

„მაშინ შენც უნდა გააკეთო სანაცვლოდ რამე, ლილი“.

„ვიცი. უბრალოდ გამაკვირვეთ, დრო მჭირდებოდა დასაფიქრებლად. მოდი, შევხვდეთ. მე იმას გავაკეთებ, რაც გსურთ, მაგრამ ჯერ ტელეფონი უნდა დამიბრუნოთ“.

„არა მგონია, შეგეძლოს მიკარნახო, როგორ მოვიქცე, ლილი“.

სემმა გამომხედა, მეც გავხედე და ტექსტი ავკრიფე.

„და თუ... ძალიან ცუდი გოგო ვიქნები?“

პაუზა.

„ახლა უკვე დამაინტერესე“.

სემმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ.

— ახლა გული ამერევა, — ვთქვი მე და მივწერე:

„ხვალ ღამით შევხვდეთ, მისამართს მოგწერთ, როცა ჩემი მეგობარი წავა“.

როცა დავრწმუნდით, მეტ შეტყობინებას აღარ გამოგზავნიდა, სემმა ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო, სადაც ლილი ვერ წაიკითხავდა და დიდხანს მიკრავდა გულში.

მეორე დღეს ნერვიულობისგან ლამის გული წამივიდა, ლილი კი უარეს დღეში იყო. საუზმე ძლივს ვჭამეთ. ლილის ბინაში მოწევის ნება დავრთე და ლამის ერთი ღერი მეც კი ვთხოვე. ფილმს ვუყურეთ და უღიმღამოდ სახლის საქმეებიც გავაკეთეთ. რვის ნახევრისთვის, როცა სემი მოვიდა, თავი ისე მქონდა გაბრუებული, წინადადებას ძლივს ვაყალიბებდი.

— მისამართი გაუგზავნე? — ვკითხე სემს.

— ჰო.

— მაჩვენე.

შეტყობინებაში მხოლოდ ჩემი სახლის მისამართი ეწერა და ბოლოში ინიციალი: „ლ“.

პასუხი მოეწერა: „ქალაქში შეხვედრა მაქვს და რვის მერე მოვალ“.

— კარგად ხარ? — მკითხა სემმა.

მუცელი დამეჭიმა. სუნთქვა მიჭირდა.

— არ მინდა, რამე შარში გაგხვიო. ვაითუ გაგიგონ. სამსახურს დაკარგავ.

სემმა თავი გააქნია:

— ნუ გეშინია.

— ამ გაუგებრობაში არ უნდა ჩამეთრიე. შენ შესანიშნავად მექცევი, მე კი ხიფათს გიქმნი.

— არაფერი მიჭირს, ისუნთქე, — დამაჯერებლად გამიღიმა. თუმცა, სულ ოდნავ, მის სახეზე დაძაბულობა იკითხებოდა.

სემმა ჩემს ზურგს უკან გაიხედა და მეც მივტრიალდი. ლილის შავი მაისური, ჯინსის შორტი და შავი მაღალყელიანი წინდები ეცვა. მაკიაჟიც გაეკეთებინა და ერთდროულად ძალიან ლამაზი და ძალიან პატარა ჩანდა.

— ხომ კარგად ხარ, საყვარელო?

თავი დამიქნია. ლილის, უილივით, ჩვეულებრივ, ოდნავ ხორბლისფერი კანი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად უჩვეულოდ გაფითრებულიყო. თვალები უზომოდ გაჰფართოებოდა.

— ყველაფერი კარგად იქნება, მხოლოდ ხუთი წუთი გაგრძელდება. ლუმ ყველაფერი აგიხსნა, ხომ? — სემი მშვიდი, დამაჯერებელი ხმით ესაუბრებოდა.

რეპეტიცია ლამის ათჯერ გავიარეთ. მინდოდა, უკან არ დაეხია, სათქმელი დაუფიქრებლად ეთქვა.

— ვიცი, რასაც ვაკეთებ.

— კარგია, — თქვა სემმა და ტაში შემოკრა, — რვის თხუთმეტი წუთია. მოვემზადოთ.

გარსაიდს პუნქტუალურობას ვერ დაუკარგავდი. ზუსტად ცხრის ერთ წუთზე დარეკა ზარი. ლილიმ ხმამაღლა ჩაისუნთქა. ხელი მოვუჭირე.

— ჰო, ჰო, წასულია. ამოდი, — ჩასძახა დომოფონს. კაცს გონებაში არც კი გაუვლია, იქნებ ლილი სულაც არ არის ისეთი გოგო, როგორიც მგონიაო.

ლილიმ კარი გაუღო. მხოლოდ მე, საძინებლის ჭუჭრუტანიდან მოთვალთვალემ, დავინახე, როგორ უკანკალებდა ხელი საკეტის გადატრიალებისას. გარსაიდმა თმაზე ხელი გადაისვა და დერეფანში მიმოიხედა. საუკეთესო ხარისხის ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. მანქანის გასაღები შიდა ჯიბეში შეინახა. თვალს ვერ ვაცილებდი მის ძვირად ღირებულ პერანგს, მის წვრილ, მესაკუთრე თვალებს, რომლებიც ჩემს ბინას ათვალიერებდნენ. კბილები გავაღრჭიალე. როგორ შეეძლო, თავისზე ორმოცი წლით უმცროსი გოგოს მიმართ ჰქონოდა ლტოლვა? როგორ შეეძლო, საკუთარი თანამშრომლის შვილი დაეშანტაჟებინა?

დაძაბული ჩანდა.

— მანქანა უკან დავაყენე. უსაფრთხოა?

— ასე მგონია, — უპასუხა ლილიმ.

— გგონია? — უკან, კარისკენ გადადგა ნაბიჯი. იმ კაცებს მიეკუთვნებოდა, მანქანა თავისი მამაკაცურობის ნაწილად რომ მიაჩნიათ, — და შენი მეგობარი, ვინც აქ ცხოვრობს? არ დაბრუნდება?

სუნთქვა შემეკრა. სემმა წელზე ხელი მომხვია.

— არა, ნუ ღელავთ, — დამაჯერებლად გაუღიმა ლილიმ, — კარგა ხანს არ დაბრუნდება. შემოდით. სასმელს ხომ არ ინებებდით, მისტერ გარსაიდ?

კაცმა ისე შეხედა, თითქოს პირველად დაინახაო.

— რა ოფიციალური ხარ, — წინ გადმოდგა ნაბიჯი და კარი მიიხურა, — ვისკი გაქვს?

— შემოდით, ვნახავ, გვაქვს თუ არა.

ლილი სამზარეულოსკენ გაემართა, გარსაიდი უკან მიჰყვებოდა, თან კოსტიუმს იხდიდა. როცა მისაღებში შევიდნენ, სემი საძინებლიდან გავიდა, მძიმე ჩექმებით დერეფანი გადაჭრა, ბინაში შემოსასვლელი კარი ჩაკეტა და გასაღები ჩხარუნით შეინახა ჯიბეში.

გარსაიდი შეცბა, მიტრიალდა და სემი დაინახა, დონასთან ერთად. კარის წინ იდგნენ, უნიფორმაში. კაცმა ჯერ მათ შეხედა, მერე ლილის. თავზარდაცემული ცდილობდა, გაერკვია, რა ხდებოდა.

— სალამი, მისტერ გარსაიდ, — ვუთხარი და ოთახში შევაბიჯე, — მგონი, ჩემს მეგობარს რაღაც უნდა დაუბრუნოთ.

მაშინვე ოფლმა დაასხა. არც კი ვიცოდი, ასეთი რამ შესაძლებელი თუ იყო. ლილის მზერით ბურღავდა, მაგრამ მე წინ გავიწიე, ლილი კი ამომეფარა.

სემმაც წინ გადადგა ნაბიჯი. გარსაიდი მხრებამდე სწვდებოდა.

— ტელეფონი, თუ შეიძლება.

— თქვენ ვერ დამემუქრებით.

— არც გემუქრებით, — ვუთხარი. გული ამოვარდნაზე მქონდა, — უბრალოდ ტელეფონი გვინდა.

— როგორ არ მემუქრებით, გასასვლელს მიღობავთ.

— ოჰ, არა, ბატონო, — წამოიძახა სემმა, — მუქარა იქნებოდა, რომ გვეთქვა, მე და ჩემს კოლეგას შეგვიძლია, აქ და ახლავე ძირს დაგაგდოთ და დიჰიპრანოლის ინიექცია გაგიკეთოთ, რომელიც გულისცემას ჯერ შეგინელებთ, მერე კი საერთოდ გაგიჩერებთ-მეთქი. აი, ეგ იქნებოდა მუქარა. თანაც, სასწრაფო დახმარების ექიმების სიტყვებში, რომ თქვენს გადარჩენას ცდი-

ლობდნენ, არავის შეეპარება ეჭვი. ეს წამალი სისხლში კვალს არ ტოვებს.

დონამ, რომელსაც გულზე ხელები დაეკრიბა, თავი ნაღვლიანად გააქნია:

— დასანანია, როგორ ბუზებივით იხოცებიან ეს შუახნის ბიზნესმენები.

— ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. მეტისმეტად ბევრს სვამენ, ბევრს ჭამენ, საკმარისად არ ვარჯიშობენ.

— დარწმუნებული ვარ, ეს ჯენტლმენი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება.

— იმედია, არა. მაგრამ, ვინ იცის?

მისტერ გარსაიდი თითქოს მთელი თავით დაპატარავდა.

— არც კი გაიფიქრო, ლილის დაემუქრო. ვიცით, სადაც ცხოვრობთ, მისტერ გარსაიდ. ყველა სასწრაფო დახმარების ექიმს აქვს მისამართებზე ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში. საოცარია, რა შეიძლება მოხდეს, თუ სასწრაფო დახმარების ექიმს გააბრაზებ.

— რა სიგიჟეა, — აიფოფრა გარსაიდი, სახეზე ფერი აღარ ედო.

— ჰო, ნამდვილად სიგიჟეა, — ხელი გავუწოდე, — ტელეფონი, თუ შეიძლება.

გარსაიდმა კვლავ მიმოიხედა, ბოლოს ჯიბეში ხელი ჩაიყო და ტელეფონი გადმომცა.

ლილის გადავუგდე:

— შეამოწმე, ლილი.

მის გრძნობებს გავუფრთხილდი და ეკრანს თვალი ავარიდე.

— წაშალე, — ვუთხარი ლილის, — უბრალოდ, წაშალე.

როცა მოვტრიალდი, ეკრანი ცარიელი იყო. თავი დამიქნია. სემმა ანიშნა, ტელეფონი მისთვის გადაეგდო, მერე იატაკზე დაადგდო და მარჯვენა ფეხით ისე ძლიერ დააბიჯა, რომ პლასტმასის გარსი დაიმსხვრა. ისე გამეტებით ამტვრევდა, იატაკი ზანზარებ-

და. მისტერ გარსაიდივით ვკრთებოდი ყოველ ჯერზე, როცა სემი ჩექმას ურტყამდა ტელეფონს.

ბოლოს, სემი დაიხარა და პაწაწინა სიმ ბარათი აიღო. შეათვალიერა და კაცს დაანახა:

— ეს ერთადერთი ეგზემპლარია?

გარსაიდმა თავი დაუქნია. საყელო ოფლისგან გამუქებოდა.

— რა თქმა უნდა, ერთადერთი ეგზეპლარია, — თქვა დონამ, — საზოგადოების რიგიანი წევრი არ გარისკავდა, რომ ეს სურათი სადმე გამოჩენილიყო. ასე არ არის? წარმოიდგინე, რა მოხდება, თუ მისი ბინძური საიდუმლოს შესახებ მისი ოჯახი შეიტყობს?

გარსაიდმა პირი მოკუმა.

— ხომ მიიღეთ, რაც გინდოდათ. ახლა გამიშვით.

— არა, რაღაც მინდა, გითხრათ, — ბრაზისგან ხმა მიცახცახებდა, — გაიძვერა, საცოდავი პატარა კაცი ხარ და თუ...

მისტერ გარსაიდს პირი დამცინავად დაებრიცა. მას ხომ ქალი არასოდეს დამუქრებია.

— ოჰ, გაჩუმდი, შე სასაცილო პატარა...

სემის თვალებში რაღაც ალდა და წინ გამოიწია, მაგრამ ჩემმა მკლავმა შეაჩერა. არც კი მახსოვს, როდის მოვიქნიე მეორე ხელი. თუმცა, მახსოვს, როგორ მეტკინა სახსრები, როცა ჩემი მუშტი გარსაიდს სახეში მოხვდა. უკან წაბარბაცდა და კარს მიეხეთქა. მეც შევტოკდი დარტყმის ძალისგან. როცა გასწორდა, გაოგნებულმა შევნიშნე, ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა.

— გამიშვით, — ჩაისისინა, — ახლავე!

სემმა თვალი ჩამიკრა და კარი გააღო. დონა გვერდით გაიწია, გარსაიდს გასვლის საშუალება მისცა. როცა კაცი კარში გადიოდა, დონა მისკენ გადაიხარა და ჰკითხა:

— წასვლამდე ყინული ხო არ დაგადოთ?

გარსაიდი კარიდან დინჯად გავიდა, თუმცა, როგორც კი მივხურეთ, მაშინვე ძვირად ღირებული ფეხსაცმელების კაკუნი

მოგვესმა — დერეფანში გარბოდა. სანამ ხმა მიჩუმდა, ჩვენც ვდუმდით. მერე კი, ყველამ ერთდროულად ამოვისუნთქეთ.

— მაგარი დარტყმა იყო, კასიუს, — მითხრა სემმა, — გინდა, შენს ხელს შევხედო?

ლაპარაკის უნარი წამერთვა. ჩავიკეცე, ჩუმად ვიგინებოდი.

— იმაზე უფრო მტკივნეულია, ვიდრე წარმოგედგინა, არა? — მკითხა დონამ და ზურგზე მომითათუნა, — არ იდარდო, საყვარელო, — მიუტრიალდა ლილის, — რაც უნდა ეთქვა იმ კაცს, დაივიწყე. აღარ გამოჩნდება.

— არასოდეს დაბრუნდება, — დაუდასტურა სემმაც.

დონამ გაიცინა:

— ლამის შარვალში მოისაქმა შიშისგან. ამიერიდან, სადმე თუ გნახავს, შორს გაიქცევა. დაივიწყე, ძვირფასო, — ლილის გადაეხვია, მერე კი დამსხვრეული ტელეფონის ნაწილები მომაწოდა გადასაყრელად, — მამაჩემს დავპირდი, რომ გავუვლიდი, სანამ ცვლა დაიწყებოდა. მოგვიანებით გნახავთ, — ხელი დაგვიქნია და გაუჩინარდა. დერეფანში მისი ჩექმები მხიარულად მიიკვლევდნენ გზას.

სემმა სამედიცინო აღჭურვილობის ჩანთა მოქექა და ბინტი მოძებნა. ლილი და მე მისაღებ ოთახში გავედით, ტახტზე დაეშვა.

— ბრწყინვალედ გაართვი თავი, — შევაქე ლილი.

— შენც მაგარი იყავი.

ჩემს დასისხლიანებულ ხელს შევავლე თვალი. თავი რომ ავწიე, ლილის სახეზე ღიმილი დასთამაშებდა:

— ამას ნამდვილად არ მოელოდა.

— არც მე. აქამდე არავისთვის დამირტყამს. თუმცა, მე ნუ მომბაძავ.

— მე შენ არაფერში გბაძავ, ლუ, — გაიღიმა ისევ. ამ დროს სემი შემოვიდა, ბინტითა და მაკრატლით ხელში.

— კარგად ხარ, ლილი? — წარბები მაღლა აზიდა.

ლილიმ თავი დაუქნია.

— კარგია. მოდი, რამე უფრო საინტერესოზე ვისაუბროთ. ვის უნდა სპაგეტი კარბონარა?

როცა ლილი ოთახიდან გავიდა, სემმა ღრმად ამოისუნთქა, მერე წუთით ჭერს მიაჩერდა, თითქოს ცდილობდა, თავს მორეოდა.

— რა? — ვკითხე.

— მადლობა ღმერთს, გარტყმა დამასწარი. შემეშინდა, რომ შემომაკვდებოდა.

მოგვიანებით, როცა ლილი დასაძინებლად დაწვა, სემს სამზარეულოში შევუერთდი. მრავალი კვირის განმავლობაში პირველად დაისადგურა ჩემს სახლში სიმშვიდემ.

— უკვე ბედნიერია. ახალ კბილის პასტაზე იწუწუნა და პირსახოცები იატაკზე დაყარა, რაც ლილის ენაზე ნიშნავს, რომ უკეთაა.

სემმა თავი დამიქნია და ნიჟარა დაასუფთავა. მსიამოვნებდა სამზარეულოში მისი ყოფნა. წუთით თვალს ვადევნებდი, დავფიქრდი, ნეტავ რას ვიგრძნობ, რომ მივუახლოვდე და წელზე ხელები შემოვხვიო-მეთქი. ამის ნაცვლად ვუთხარი:

— გმადლობ ყველაფრისთვის.

მოტრიალდა, ხელები ჩაის ტილოთი გაიმშრალა.

— შენც საკმაოდ გამჭრიახი აღმოჩნდი, ჩხუბისთავო, — ხელი გამომიწოდა და თავისკენ მიმიზიდა. ერთმანეთს ვაკოცეთ. მისი კოცნა ძალიან ტკბილი იყო. როგორი ძლიერი და უხეშიც ჩანდა გარეგნულად, ისეთივე სათუთი იყო გრძნობების გამოხატვისას. წუთით თავი დავკარგე. მაგრამ...

— რა? — მკითხა და უკან დაიხია, — რა მოხდა?

— უცნაურად მოგეჩვენება.

— ამ საღამოზე უცნაურად?

— იმ დიჰიპრანოლზე ვფიქრობდი. რამხელა დოზაა ადამიანის მოსაკლავად საჭირო? სულ თან ატარებ ხოლმე? ისე... უჩვეულოდ ჟღერს...

— მაგაზე ნუ იდარდებ, — დამამშვიდა.

— მაგრამ თუ ვინმეს გულით სძულხარ? ვაითუ, საჭმელში ჩაგიყარონ. ტერორისტებს რომ ჩაუვარდეს ხელში? რამდენი დასჭირდებათ?

— ლუ, არ არსებობს ასეთი წამალი.

— რა?

— მე მოვიგონე. დიჰიპრანოლი არ არსებობს, ჩემი გამოგონილია, — ჩემი გაოგნებული სახის დანახვისას გაიკრიჭა, — თუმცა, ასე კარგად არც ერთ წამალს არ უმოქმედია.

თავი ოცდამეორე

დარდთან გამკლავების წრეზე უკანასკნელი მივედი. მანქანა ვერ დავძარი და ავტობუსის ლოდინი მომიხდა. როცა მივაღწიე, ორცხობილების ქილას ინახავდნენ, ეს კი მიანიშნებდა, რომ საქმეზე გადადიოდნენ.

— დღეს მომავლის რწმენაზე ვისაუბრებთ, — თქვა მარკმა. ლუღლუღით მოვიბოდიშე და ადგილი დავიკავე, — დღეს მხოლოდ ერთი საათი გვაქვს, სკაუტების რიგგარეშე შეხვედრა იმართება. მაპატიეთ, ხალხო.

მარკმა თითოეულ ჩვენგანს მისთვის დამახასიათებელი, თანაგრძნობით გამსჭვალული მზერა გვესროლა. ძალიან უყვარდა ასე შემოხედვა. ზოგჯერ ისე დიდხანს მიცქერდა ხოლმე დაჟინებით, ვფიქრობდი, ნესტოებიდან თმის ბეწვი ხომ არ მაქვს გამოჩრილი-მეთქი. მერე დაბლა დაიხედა, თითქოს ფიქრებს თავს უყრიდა ან წინასწარ მომზადებულ ტექსტს კითხულობდა.

— როდესაც საყვარელი ადამიანი ცოცხალი აღარ არის, გეგმების შედგენა გვიძნელდება. ზოგჯერ მომავლის რწმენას ვკარგავთ ან ცრუმორწმუნეები ვხდებით.

— მეგონა, მეც მოვკვდებოდი, — თქვა ნატაშამ.

— შენც მოკვდები, — აღნიშნა უილიამმა.

— ეგ რა ლაპარაკია, უილიამ, — შენიშვნა მისცა მარკმა.

— არა... მართლა, ოლაფის გარდაცვალებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში მეგონა კიბო მქონდა. ისე მტკიცედ მჯეროდა, ექიმთან ათჯერ მივედი. რა აღარ მეგონა — ტვინის კიბო, პანკრეასის ჯირკვლის კიბო, ნეკა თითის კიბოც კი.

— ნეკა თითის კიბო არ არსებობს, — თქვა უილიამმა.

— ოჰ, შენ რა იცი? — წამოენთო ნატაშა, — ყველაფერზე ჭკვიანური პასუხი გაქვს მომზადებული, უილიამ, მაგრამ ზოგ-

ჯერ უნდა მოკეტო. დამღლელია ყველას ნათქვამზე შენი კომენტარები. მე მეგონა, რომ ნეკა თითის კიბო მქონდა. ჩემმა ექიმმა ანალიზებზე გამგზავნა და როგორც აღმოჩნდა, ჯანმრთელი ვიყავი. ჰო, უსაფუძვლო შიში მქონდა, მაგრამ არაა საჭირო, ყველა გააკრიტიკო, რადგან ყოვლისმცოდნე არც შენ ხარ. გასაგებია?

მცირე ხნით დუმილი ჩამოწვა.

— სხვათა შორის, — წამოიწყო უილიამმა, — ონკოლოგიურ განყოფილებაში ვმუშაობ.

— მერე რა, — წამის მეასედში უპასუხა ნატაშამ, — აუტანელი ხარ. აგიტატორი. ყველას ყელში ეჩხირები.

— ეგ მართალია, — დაეთანხმა უილიამი.

ნატაშა იატაკს დაჟინებით დააცქერდა. მგონი, ყველანი ასე მოვიქეცით. წუთით სახე ხელებში ჩარგო, მერე უილიამს გახედა.

— განა მართლა, უილიამ. მაპატიე. ცუდი დღე მაქვს. არ მინდოდა, ასე გავცხარებულიყავი.

— და მაინც, ნეკა თითის კიბო არ არსებობს, — იმეორებდა უილიამი.

— მაშ ასე... — წამოიწყო მარკმა, სანამ დანარჩენები ვცდილობდით, ყურადღება არ მიგვექცია, როგორ ილანძღებოდა ნატაშა ჩურჩულით, — ...მაინტერესებს, რომელიმე თუ ხართ იმ ეტაპზე, რომ უკვე ფიქრობთ, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება ხუთი წლის შემდეგ. სად ხედავთ საკუთარ თავს? რისი კეთება გსურთ?

— თუ ჩემი ძველი საჩხარუნო ისევ იჩხარუნებს, ძალიან ბედნიერი ვიქნები, — აღნიშნა ფრედმა.

— ინტერნეტ სექსი საქმეს ხომ არ გირთულებს? — ჰკითხა სუნილმა.

— ეგ! — წამოიძახა ფრედმა, — ეგ ყველაფერი ფულის ფუჭი ფლანგვა იყო. პირველ საიტზე ორი კვირა გავატარე ლისაბონელ ქალთან მიმოწერაში, როცა ბოლოს და ბოლოს შეხვედრა შევთავაზე, სცადა, ფლორიდაში სახლი მოეყიდა. მერე კი კაცმა, მეტსახელით „კუნთიანი ადონისი“, მომწერა და გამაფრთხილა, ლისაბონელი ქალი კი არა, პუერტო რიკოელი ცალფეხა ტიპია, სახელად რამირესიო.

— სხვა საიტები, ფრედ?

— ერთადერთი ქალი, რომელიც შეხვედრაზე დამთანხმდა, ჩემს დიდ ბებიას, ელსის ჰგავდა. საყვარელი ქალი იყო, მაგრამ მეტისმეტად ხნიერი.

— არ დანებდე, ფრედ, — უთხრა მარკმა, — იქნებ არასწორ ადგილებში ეძებ.

— არა, ჯობია ჩემი ძველი გასაღები კედელზე ჩამოვკიდო.

დაფნეს გადაეწყვიტა, მომავალ წელს პენსიაში გასულიყო და უცხოეთში გადაბარგებულიყო საცხოვრებლად.

— აქ ცივა, სახსრები მაწუხებს.

ლინმა თქვა, მინდა, ფილოსოფიის მაგისტრატურაზე სწავლა დავასრულოო. ყველამ ერთმანეთს ისეთი გამომეტყველებით გადავხედეთ, თითქოს ვცდილობდით, დაგვემალა, რომ ყველას გვეგონა, სუპერმარკეტში მოლარედ მუშაობსო. ან სასაკლაოზე.

— ოჰო, შენ და კანტი? (სიტყვებით თამაში. ინგლისურად კანტი ისე წარმოითქმის, როგორც ფრაზა „არ შეგიძლია“)

არავის გაუცინია. როცა უილიამი მიხვდა, არც არავინ აპირებდა, სკამის საზურგეს მიაწვა. მგონი, მხოლოდ მე გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ნატაშამ სარკასტულად: „ჰა-ჰა“.

თავიდან, სუნილს ლაპარაკი არ სურდა. მერე განაცხადა, ახლა დავფიქრდი და გადავწყვიტე, რომ ხუთი წლის მერე მინდა დაოჯახებული ვიყოო.

— ბოლო ორი წელია, თითქოს საკუთარი თავი ყველასა და ყველაფრისგან გავაუცხოე. არავის ვაძლევდი საშუალებას, დამახლოებოდა. რა აზრი აქვს, ვინმესთან დაახლოებას, თუ მაინც უნდა დაკარგო ახლობელი ადამიანები? თუმცა, რამდენიმე დღის წინ იმაზე დავფიქრდი, რა მინდა ცხოვრებისგან და მივხვდი, მსურს ვინმე მიყვარდეს. ცხოვრება უნდა განვაგრძო, ხომ ასეა? რაიმე სახის მომავალი უნდა დაუსახო საკუთარ თავს.

რაც წრეზე სიარული დავიწყე, არ მახსოვს, სუნილს ამდენი ელაპარაკოს.

— ძალიან ჯანსაღი შეხედულებაა, სუნილ, — აღნიშნა მარკმა — მადლობა, რომ გაგვიზიარე.

ჯეიკმა გაგვიმხილა, კოლეჯში სწავლა მსურს, ანიმატორად გახდომაო. იმაზეც დაფიქრდა, მამაჩემი სად იქნება ამ დროსო. კვლავ გარდაცვლილ ცოლს იგლოვებს? თუ ცოლის ახალ ვერსიასთან ერთად ბედნიერი იქნება? მე უფრო მეორე სცენარს ვვარაუდობდი. მერე დავფიქრდი, იყო თუ არა მართებული, ურთიერთობა მეწოდებინა იმისთვის, რაც ჩემსა და სემს შორის ხდებოდა. ურთიერთობები ხომ სხვადასხვანაირია. სემი თუ მკითხავდა, ალბათ, ვერც ვუპასუხებდი, რომელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ჩვენი. იქნებ ლილის ძებნა იქცა ერთგვარ „წებოდ“, რომელმაც ერთმანეთთან სწრაფად და მჭიდროდ დაგვაკავშირა. განა რამე საერთო გვქონდა, სახურავიდან ჩემი ჩამოვარდნის გარდა?

ორი დღის წინ სასწრაფო დახმარების პუნქტში მივედი, სემს ველოდებოდი. დონა მანქანის წინ იდგა და მესაუბრებოდა, სანამ სემი თავის ნივთებს მოუყრიდა თავს.

— თავგზას ნუ აურევ, — მთხოვა დონამ.

მეგონა, მომესმა.

— კარგი ბიჭია და ძალიან მოსწონხარ.

არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— შენზე ლაპარაკობს ხოლმე. არადა, სხვებზე არასოდეს უსაუბრია. არ უთხრა, ეს რომ მოგიყევი. მე უბრალოდ... მინდოდა, გცოდნოდა, რომ კარგი ბიჭია, — წარბები აზიდა და მერე თავი დააქნია, თითქოს ნათქვამს კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენდა ამ ჟესტით.

— ახლაღა მივხვდი, საცეკვაო უნიფორმა აღარ გაცვია, — თქვა დაფნემ.

წრეს ჩურჩულის ტალღამ გადაუარა.

— დაგაწინაურეს?

ფიქრებიდან გამოვერკვიე:

— უი, არა. სამსახურიდან გამომაგდეს.

— ახლა სად მუშაობ?

— არსად. ჯერ.

— მაგრამ შენი უნიფორმა...

მოკლე, შავი კაბა მეცვა, თეთრი საყელოთი.

— ეს? ეს უბრალოდ კაბაა.

— მეგონა, რაღაც თემატურ ბარში დაიწყე მუშაობა, სადაც მდივნების ან ფრანგი მოახლეების უნიფორმა აცვიათ.

— ოდესმე გაჩერდები, ფრედ?

— არ გესმით. ჩემს ასაკში გამოთქმა „გამოიყენე, ან გადააგდე“ სრულ სერიოზულობას იძენს. ალბათ ოციოდე აქტის ძალა თუ დამრჩა.

— ზოგს საერთოდ არ გვღირსებია ოცი.

ყველა შეჩერდა, რათა ფრედსა და დაფნეს ხითხითის შეეწყვიტათ.

— და შენი მომავალი? როგორც ჩანს, იცვლება, — თქვა მარკმა.

— მე... ახალი სამსახური შემომთავაზეს.

— მართლა? — ყველამ ტაში დამიკრა და გავწითლდი.

— არ დავთანხმდები, მაგრამ არა უშავს. თუნდაც ის, რომ მუშაობა შემომთავაზეს, უკვე სტიმულს მაძლევს.

უილიამმა მკითხა:

— რა სამსახურია?

— რაღაცაა ნიუ-იორკში.

ყველამ გაოგნებით შემომხედა.

— ნიუ-იორკში მუშაობა შემოგთავაზეს?

— ჰო.

— ხელფასით?

— და საცხოვრებლით უზრუნველყოფილიც, — ვუპასუხე ხმადაბლა.

— და იმ საშინელი, ბრჭყვიალა მწვანე კაბის ჩაცმაც არ მოგიწევს?

— მეეჭვება, ჩემი უნიფორმა ემიგრაციაში წასვლად ღირდეს, — საკუთარ ხუმრობაზე მხოლოდ მე გამეცინა, — კარგით, რა.

ყველანი დაჟინებით მიცქერდნენ. ლინი ოდნავ პირდაღებულიც კი მიყურებდა.

— ნიუ-იორკში... ნიუ-იორკში?

— თქვენ ყველაფერი არ იცით. ახლა ვერ წავალ. ლილის უნდა მივხედო.

— ყოფილი დამსაქმებლის ქალიშვილს? — შემომიბღვირა ჯეიკმა.

— დამსაქმებელზე მეტი იყო ჩემთვის, მაგრამ ჰო.

— საკუთარი ოჯახი არ ჰყავს, ლუისა? — დაფნე წინ გადმოიხარა.

— ასე მარტივად არ არის საქმე.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

მარკმა ბლოკნოტი კალთაში ჩაიდო.

— შენი აზრით, ამ სეანსებზე რამე ისწავლე, ლუისა?

ნიუ-იორკიდან ამანათი მივიღე: დოკუმენტები, იმიგრაციისა და დაზღვევის ფორმებით, თან მისტერ ლეონარდ ემ. გოპნიკის ოფიციალური წერილი ახლდა, რომელშიც მის ოჯახში მუშაობას მთავაზობდა. აბაზანაში შევიკეტე და წავიკითხე, მერე მეორედ გადავიკითხე. ანაზღაურება დოლარიდან ფუნტებში გადავიანგარიშე და კვნესა აღმომხდა. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ინტერნეტში მათ მისამართს არ მოვძებნიდი.

თუმცა მისამართი მაინც შევათვალიერე გუგლის საძიებო სისტემით და სახლის დანახვაზე მომინდა, იატაკზე ახალშობილის პოზაში გავწოლილიყავი. ბოლოს გული გავიმაგრე, წამოვდექი, ტუალეტი ჩავრეცხე (ლილის ეჭვი რომ არ აეღო), ხელები დავიბანე (უბრალოდ, ჩვევად მქონდა) და ყველაფერი საძინებელში გავიტანე. საწოლის ქვეშ შევჩურთე და დავიფიცე, აღარასოდეს შევხედავ-მეთქი.

იმ ღამით, ლილიმ შუაღამისას საძინებლის კარზე მომიკაკუნა.

— შეიძლება, დავრჩე? დედაჩემთან დაბრუნება არ მინდა.

— რამდენ ხანსაც მოგესურვება, იმდენ ხანს დარჩი.

საწოლის მეორე კიდეზე წამოწვა და ბურთივით მოიკუნტა. გავყურებდი როგორ ჩაეძინა, მერე კი პლედი გადავაფარე.

უილის შვილს ვჭირდებოდი. ეს ნათელი იყო. რაც უნდა ეთქვა ჩემს დას, უილთან ვალში ვიყავი. თუ ლილის დავეხმარებოდი, თავს სრულიად უსარგებლოდ არ ვიგრძნობდი. ეს უილისთვის გაკეთებული სიკეთეც იქნებოდა.

ის ამანათი კი ამტკიცებდა, რომ მეც შემეძლო ნორმალური სამსახურის შოვნა. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მეგობრები მყავდა... შეყვარებულიც კი. ესეც წინსვლად ჩამეთვლებოდა.

ნათანის გამოტოვებულ ზარებს არ ვუპასუხე და მისგან დატოვებული ხმოვანი შეტყობინებებიც წავშალე. ერთ-ორ დღეში

ყველაფერს ავუხსნიდი. შეიძლება, ეს სრულყოფილი გეგმა არ იყო, მაგრამ მეტის გაკეთება ახლა არ შემეძლო.

სამშაბათს სემს შეაგვიანდა. შვიდზე მომწერა, მაგვიანდებაო. ცხრის თხუთმეტ წუთზე ისევ შემეხმიანა, არ ვიცი, როდის მოვახერხებ მოსვლასო. მთელი დღე სიცარიელის შეგრძნება მქონდა, უმუშევრობასთან შეგუება გამიძნელდა. ვდარდობდი, როგორ დამეფარა კომუნალური გადასახადები. თანაც, ბინაში ისეთ ადამიანთან ერთად ვიყავი გამომწყვდეული, რომელსაც, ჩემსავით, არსად ჰქონდა წასასვლელი, მე კი მისი მარტო დატოვება არ მინდოდა. ათის ნახევარზე კარზე ზარი გაისმა. სემს ჯერ კიდევ უნიფორმა ეცვა. კარი გავუღე, შემოვუშვი და დერეფანში გავედი. კიბე ამოიარა და თავჩაღუნული ჩემკენ წამოვიდა. დაქანცული ჩანდა, უცნაური, შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა.

— მეგონა, აღარ მოხვიდოდი. რა მოხდა? კარგად ხარ?

— დისციპლინური კომისიის წინ წარმადგინეს.

— რა?

— იმ ღამეს, როცა გარსაიდს შევხვდით, სხვა ბრიგადამ შემნიშნა. კომისიას აცნობეს. ვერ ავუხსენი, რატომ ვიყავი სახლში, სადაც გამოძახება არ იყო აღრიცხული.

— და რა მოხდა?

— მოვიტყუე, ვიღაცამ გამოირბინა და შველა ითხოვა, მაგრამ აღმოჩნდა, გაგვეხუმრა-მეთქი. დონამაც დაადასტურა, მადლობა ღმერთს. თუმცა, უკმაყოფილოები არიან.

— იმედია, პრობლემა არ შეგექმნება.

— საავადმყოფოში ერთ-ერთ ექთანს ლილისთვის უკითხავს, საიდან მიცნობდა. მას კი უპასუხია, ღამის კლუბიდან წამიყვანა სახლშიო.

პირზე ხელი ავიფარე.

— ეგ რას ნიშნავს?

— საბჭო საკითხს განიხილავს, მაგრამ თუ დამიმტკიცებენ, დროებით მუშაობას ვერ გავაგრძელებ. ან უარესი, — წარბები შეეჭმუხნა.

— ჩვენ გამო... სემ, ძალიან ვწუხვარ.

თავი გააქნია:

— ლილიმ რა იცოდა.

მინდოდა, ჩავხუტებოდი, მკლავები შემომეხვია, თავი მის მკერდზე მიმეყრდნო. მაგრამ რაღაცამ შემაკავა: უილის უკმაყოფილო სახემ გამიელვა, რომელიც საკუთარ უბედურებაში ჩაკარგული ჩემგან შორს მიდიოდა. წამით შევყოყმანდი და უკვე გვიან იყო, მერე ხელი გავიწოდე და სემის მკლავს შევეხე. დამხედა, გამომეტყველება შეეცვალა და მივხვდი, იცოდა, რაზეც ვფიქრობდი უკანასკნელი რამდენიმე წამი.

— შეგიძლია, მუშაობას თავი დაანებო და წიწილებს მიხედო, სახლი ააშენო, — მეტისმეტი მონდომებით ვცდილობდი, დამემშვიდებინა, — ბევრი შესაძლებლობა გაქვს! შენნაირ კაცს... ყველაფერი შეუძლია.

ცალყბად გამიღიმა. ჯერ კიდევ ჩემს ხელს დაჰყურებდა.

წუთით ჩუმად ვიდექით.

— სჯობს, წავიდე, — თქვა და ამანათი მომაწოდა, — უი, ეს ვიღაცამ კართან დატოვა. ვიფიქრე, ვიღაც მოიპარავს, თუ აქ დავტოვებ-მეთქი.

— შემოდი, გთხოვ, — ამანათი გამოვართვი. ვგრძნობდი, იმედი გავუცრუე, — რამეს მოგიმზადებ, წამო.

— სჯობს, სახლში წავიდე.

შეტრიალდა და დერეფნის ბოლოს, კარისკენ გასწია, სანამ რამის თქმას მოვასწრებდი.

ფანჯრიდან ვუყურებდი, როგორ წავიდა მოტოციკლით და თითქოს შავი ღრუბელი გადამეფარა. „ძალიან ნუ დაუახლოვდები“. მერე კი მარკის სიტყვები გამახსენდა: „უნდა გააცნო-

ბიეროთ, რომ სრულებით ნორმალურია, როცა თქვენს მგლოვიარე ტვინს ვინმესთან დაახლოების ეშინია“. ზოგჯერ მეგონა, თავში ორი ანიმაციური მრჩეველი მყავდა, რომლებიც გამუდმებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს.

მისაღებ ოთახში ლილი ტელევიზორს უყურებდა. მომიტრიალდა:

— სასწრაფო დახმარების სემი იყო?

— ჰო.

ისევ ტელევიზორის ყურება განაგრძო. უცებ, ამანათმა მისი ყურადღება მიიპყრო.

— ეგ რა არის?

— შემოსასვლელში იყო. შენს სახელზეა.

ეჭვის თვალით შეხედა. თითქოს ჯერ კიდევ ელოდა უსიამო სიურპრიზებს. შემდეგ შესაფუთი ქაღალდის რამდენიმე ფენა მოაძრო და ტყავის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათების ალბომი გამოჩნდა. ზედ წარწერა ჰქონდა:

— ლილის (ტრეინორს).

ნელა გახსნა. და, აი იქ, პირველივე გვერდზე, თხელ ქაღალდჩამოფარებული ახალშობილის შავ-თეთრი ფოტო იყო. ქვეშ ხელით წაეწერათ:

„მამაშენი ცხრა ფუნტსა და ოც უნციას იწონიდა. მასზე გაცხარებული ვიყავი, ასეთი დიდი რომ დაიბადა. მე ხომ მითხრეს, პატარა გეყოლებაო. ცელქი ბიჭუნა იყო, სულ კუდში დავდევდი. მაგრამ როცა იღიმოდა... ოჰ! მოხუცი ქალები ქუჩაზე გადმოდიოდნენ, ლოყებზე რომ ეჩქმიტათ (ცხადია, მას ეს ეზიზღებოდა)“.

ლილის გვერდით მივუჯექი. შემდეგი ორი გვერდი გადაფურცლა და უილი გამოჩნდა, სკოლის ლურჯ უნიფორმასა და ქუდში, დაბღვერილი უყურებდა კამერას. ამ სურათის ქვეშაც დაგვხვდა წარწერა:

„უილს ეს ქუდი ისე სძულდა, ძაღლის კალათაში დამალა. მეორედ გუბურაში „დაეკარგა“. მესამედ მამამისი დაემუქრა, ჯიბის ფულს აღარ მოგცემო. ისიც ადგა და საფეხბურთო ბარათების გაყიდვა დაიწყო. სკოლაშიც კი ვერ აიძულეს, ეს ქუდი ეტარებინა. ცამეტ წლამდე, ყოველ კვირას გაკვეთილების მერე ტოვებდნენ, რომ დაესაჯათ“.

ლილი მამამისის სახეს შეეხო.

— პატარა რომ ვიყავი, მეც ასე გამოვიყურებოდი.

— ჰო, — ვთქვი მე, — ის ხომ მამაშენია.

გაეღიმა, მერე კი შემდეგი გვერდი გადაშალა.

— შეხედე! შეხედე ამ ფოტოს!

სურათში კამერას უღიმოდა — ეს ის ფოტო იყო, სათხილამურო არდადეგებიდან, საძინებელში რომელიც ედო ჩვენი პირველი შეხვედრისას. მის მშვენიერ სახეს ვუყურებდი და ნაცნობი სევდა დამეუფლა. მერე კი, მოულოდნელად, ლილის სიცილი აუტყდა.

— ამას შეხედე! — რაგბის მატჩის შემდეგ, უილს სახე ტალახით ჰქონდა მოთხვრილი. მეორეში ეშმაკივით ჩაცმული თივის ზვინიდან ხტებოდა. ეს გვერდი უილის სულელურ თავგადასავლებს ეძღვნებოდა — ოინების მოყვარული, ხალისიანი, ადამიანური უილი ჩანდა. იდეალიზების კვირის გამოტოვების შემდეგ მარკის მოცემული დაბეჭდილი ფურცელი გამახსენდა: „მნიშვნელოვანია, გარდაცვლილებს წმინდანებივით არ ვიხსენებდეთ. წმინდანის ჩრდილში არავის შეუძლია იცხოვროს“.

„მინდოდა გენახა, როგორი იყო მამაშენი უბედურ შემთხვევამდე. ამბიციური და პროფესიონალი იყო, ჰო, მაგრამ მახსოვს დრო, როცა სკამით დასრიალებდა, ძაღლს ეცეკვებოდა, სახლში დალილავებული მოდიოდა, რადგან სულელური გამოწვევები შეასრულა. ერთხელ დას თავი ტორტში ჩააყოფინა, რადგან მან უთხრა, ვერ გაბედავო. მინდოდა, გავჯავრებოდი, რადგან

საათები მოვანდომე იმ ტორტის გამოცხობას, მაგრამ უილზე დიდხანს გაბრაზება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო“.

ჰო, შეუძლებელი იყო. ლილიმ დანარჩენი ფოტოებიც გადაათვალიერა, თითოეულ მათგანს პატარა ჩანაწერი ახლდა. ალბომის გვერდებიდან მომზირალი ეს უილი, გაზეთში დაბეჭდილი ორსტრიქონიანი ამბავი ან ფრთხილი ნეკროლოგი არ იყო; არც ერთი სევდიანი ფოტოსურათით შემკობილი ხანგრძლივი სამართლებრივი დისპუტი; ეს იყო კაცი — ცოცხალი, სამგანზომილებიანი. თითოეულ სურათს დაჟინებით ვაცქერდებოდი, ყოველ მათგანზე ყელში ბურთი მეჩხირებოდა.

იატაკზე ბარათი დავარდა. ავიღე და ორსტრიქონიანი წერილი გადავიკითხე:

— უნდა, რომ მოვიდეს და გნახოს.

ლილი ალბომს თვალს ვერ აცილებდა.

— რას ფიქრობ, ლილი? თანახმა ხარ?

ერთი წუთი დასჭირდა, რომ გაეგო, რა ვუთხარი.

— არა მგონია. კი სასიამოვნოა, მაგრამ...

განწყობა შეეცვალა. ტყავის ყდა დახურა, ტახტზე გვერდით ფრთხილად დაიდო და ტელევიზორს მიუბრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ჩემკენ უსიტყვოდ მოჩოჩდა და თავი მხარზე დამადო.

იმ ღამით, როცა ლილი დასაძინებლად წავიდა, ნათანს მივწერე.

„მაპატიე, სამსახურს ვერ დავთანხმდები. გრძელი ისტორიაა, მაგრამ უილის ქალიშვილი ჩემთან ცხოვრობს. ბევრი რამ ხდება და ვერ მივატოვებ. სწორად უნდა მოვიქცე. ვეცდები მალე ყველაფერი აგიხსნა.

გმადლობ, რომ ჩემზე ფიქრობ“.

მისტერ გოპნიკსაც მივწერე, და შემოთავაზებისთვის მადლობა გადავუხადე. ვაცნობე, მდგომარეობა შეიცვალა და მიუხედა-

ვად იმისა, რომ ძალიან ვწუხვარ, თქვენთან ვეღარ ვიმუშავებ-- მეთქი. მინდოდა, მეტი ამეხსნა, მაგრამ თითებში ძალა აღარ მეყო.

ერთი საათი ვიცდიდი, მაგრამ არც ერთს უპასუხია. როცა ცარიელ მისაღებში შუქის ჩასაქრობად შევბრუნდი, ალბომი იქ აღარ იდო.

თავი ოცდამესამე

— მაშ ასე... წლის თანამშრომელი გამოგვეცხადა.

ჩანთა, რომელშიც უნიფორმა და პარიკი მედო, დახლზე დავდე. „შამროკისა და კლოვერის“ მაგიდები, საუზმემდე უკვე გავსებულიყო. გათქვირულმა ორმოცდარაღაცა წლის ბიზნესმენმა, რომლის ჩაქინდრულმა თავმა მიმანიშნა, რომ უკვე კარგად შეზარხოშებულიყო, შემომხედა და ხელში ჭიქა შეათამაშა. ვერა მეორე ბოლოში იყო, ბრაზიანად უვლიდა გვერდს მაგიდებსა და ხალხის ფეხებს, რომ მათ ქვეშ იატაკი გამოეგავა. თითქოს თაგვებს დასდევდა.

მამაკაცური სტილის ლურჯი პერანგი მეცვა — რატომღაც გადავწყვიტე, მამაკაცის ტანსაცმელში უფრო თავდაჯერებულად ვიგრძნობდი თავს — და აღმოვაჩინე, რომ რიჩარდსაც მსგავსი ფერის პერანგი შეერჩია.

— რიჩარდ, მინდა გასულ კვირას მომხდარზე დაგელაპარაკო.

აეროპორტი ნახევრად სავსე იყო შვებულებაში მყოფი მგზავრებით; ჩვეულებრივზე ნაკლები კოსტიუმი ჩანდა, პატარა, მტირალა ბავშვები კი ჯგუფებად დაქროდნენ. სალაროს ქვეშ ახალი განცხადება იუწყებოდა:

„მოგზაურობის კარგი დასაწყისი! ყავა, კრუასანი და ლიქიორი!“

რიჩარდი ბარში მკვირცხლად მოძრაობდა, ყავის ჭიქებსა და შეფუთულ ორცხობილებს დაატარებდა ლანგრით. ყურადღება მოიკრიბა და წარბი ამიწია:

— არ ღირს. უნიფორმა სუფთაა?

ჩანთიდან ჩემი მწვანე კაბა ამოიღო. ფრთხილად შეათვალიერა, განათების ქვეშ, სანახევროდ სახედამანჭული თითქოს მოწადინებული იყო, რაიმე ნაკლი ან ლაქა ეპოვა. მეგონა, დაყნოსავდა კიდეც.

— რა თქმა უნდა, სუფთაა.

— უზადო მდგომარეობაში უნდა იყოს, ახალმა თანამშრომელმა რომ ჩაიცვას.

— გუშინ გავრეცხე, — წამოვენთე.

შევნიშნე, კელტური ჰანგების ახალი ვერსია უკრავდა. ნაკლები არფა მონაწილეობდა და მეტი ფლეიტა.

— კარგი. რაღაც საბუთებს უნდა მოაწერო ხელი. მოვიტან, მოაწერ და სულ ეგაა.

— იქნებ, სადმე უფრო... განცალკევებით გვესაუბრა?

რიჩარდს არც შემოუხედავს.

— ძალიან დაკავებული ვარ. უამრავი საქმე მაქვს და დღეს ერთი თანამშრომლით ნაკლები მყავს.

გვერდით ჩამიქროლა და ჩიპსების პაკეტების ხმამაღლა თვლა დაიწყო.

— ექვსი... შვიდი... ვერა, იმ ჯენტლმენს მოემსახურე, თუ შეიძლება.

— სწორედ ამაზე მინდოდა, გვესაუბრა. იქნებ...

— რვა... ცხრა... პარიკი.

— რა?

— პარიკი სადაა?

— უი, აქაა, — ამოვიღე ჩანთიდან.

სახლში დავვარცხნე, სანამ პარკში ჩავდებდი. ისე გამოიყურებოდა, თითქოს გარდაცვლილის თავი იყო და ერთი სული ჰქონდა, სხვისას მიჰკერებოდა.

— გარეცხე?

— პარიკი უნდა გამერეცხა?

— ჰო, გაურეცხავი პარიკის დაფარება არაჰიგიენური იქნება.

— იაფფასიანი სინთეტიკური ღერებისგანაა დამზადებული, შემეშინდა, სარეცხ მანქანაში სულ არ დაშლილიყო.

— თუ სხვა ვერ გამოიყენებს, მომიწევს, ახალი პარიკის ღირებულება შენ აგანაზღაურებინო.

გაოგნებული შევაჩერდი.

— პარიკის ფულს მახდევინებ?

მაღლა ასწია, დემონსტრაციულად, მერე კი პარკში ჩააბრუნა.

— ოცდარვა ფუნტი და ორმოცი პენსი. ჩეკს მიიღებ, ცხადია.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ, მართლა აპირებ, ფული გადამახდევინო!

გამეცინა. ვიდექი ხალხით გადატვირთულ აეროპორტში, ვუყურებდი როგორ მიფრინავდნენ თვითმფრინავები და ვფიქრობდი, რას დაემსგავსა ჩემი ცხოვრება ამ კაცთან მუშაობისას. ჩანთიდან საფულე ამოვიღე.

— კარგი, — ვუთხარი, — ესე იგი, ოცდარვა ფუნტი და ორმოცი პენსი? იცი რას გეტყვი, მოდი, ოცდაათამდე დავამრგვალებ, ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით.

— არ არის საჭირო...

ფული დავითვალე და ბარზე დავახეთქე.

— იცი რა, რიჩარდ? მუშაობა მიყვარს. მაგ გეგმებისთვის ხუთი წუთით მაინც რომ მოგეცილებინა თვალი, დაინახავდი, რომ ნამდვილად მსურდა კარგად მემუშავა. გულმოდგინედ ვმუშაობ-

დი. ეს ამაზრზენი უნიფორმა მეცვა, მიუხედავად იმისა, რომ თმას საშინლად მიმუხტავდა. ყველაფერს ვასრულებდი, რასაც მთხოვდი, მამაკაცების საპირფარეშოსაც კი ვწმენდდი, რაც, დარწმუნებული ვარ, ჩემს კონტრაქტში არ ეწერა, თანაც, შრომით კოდექსის თანახმად, ასეთ საქმეს სპეცტანსაცმელი სჭირდება. დამატებით საათებს ვმუშაობდი, სანამ შენ ახალ თანამშრომლებს ეძებდი, რადგან ყველა გადაიმტერე, ვინც ამ კარში შემოაბიჯა. ამძაღებულ მიწის თხილსაც კი მონდომებით ვასაღებდი, მიუხედავად იმისა, რომ ისე ყარდა, თითქოს ვიღაცამ ჰაერი გააფუჭაო.

მაგრამ მე რობოტი არ ვარ. ადამიანი ვარ და ცხოვრება მაქვს. ზოგჯერ გარკვეული მოვალეობები ხელს მიშლიდა ისეთი თანამშრომელი ვყოფილიყავი როგორიც შენ — ან თუნდაც მე თვითონ — მომეწონებოდა. დღეს მოვედი, რომ სამსახურში დაბრუნება მეთხოვა, მეხვეწა დაგებრუნებინე. სამსახური ძალიან მჭირდება. მაგრამ მივხვდი, რომ აქ მუშაობა აღარ მინდა. მირჩევნია, უხელფასოდ ვიმუშაო, ვიდრე კიდევ ერთი დღე გავატარო ამ საცოდავ, გუდასტვირის წრიპინით გულის გამაწვრილებელ ბარში. მირჩევნია, საპირფარეშოები უფასოდ ვწმინდო, ვიდრე კიდევ ერთი დღე ვიმუშაო შენთვის.

ამიტომაც, გმადლობ, რიჩარდ. ამდენი ხნის განმავლობაში პირველად დამეხმარე კარგი გადაწყვეტილების მიღებაში.

საფულე ჩანთაში ჩავტენე, პარიკი რიჩარდს მივუგდე და გასასვლელისკენ გავემართე.

— შენი სამსახური შეგიძლია, იქვე გაიკეთო, სადაც ეგ მიწის თხილი, — შემოვტრიალდი და დავამატე, — ჰო, და თმას რაც შეეხება, ამდენი ჟელე და იდეალურად მოწესრიგებული ვარცხნილობა... საშინლად არ გიხდება. პლასტმასის სათამაშოს გავხარ.

ბარის სკამიდან ერთ-ერთი ბიზნესმენი ადგა და ტაში დამიკ-რა. რიჩარდი, თავისდა უნებურად, მამაკაცისკენ მიტრიალდა.

ბიზნესმენს გავხედე, მერე — რიჩარდს.

— იცი რა, დაივიწყე ბოლოს რაც გითხარი. ძალიან უხეშად გამომივიდა.

და წამოვედი.

ხალხით სავსე დერეფანში გამოვედი, გული ამოვარდნაზე მქონდა, როცა მისი ხმა მომესმა:

— ლუისა! ლუისა!

რიჩარდი უკან ლამის სირბილით მომყვებოდა. ვიფიქრე, ყუ-რადღება არ მიმექცია, მაგრამ ბოლოს დავუთმე.

— რა მოხდა? — ვკითხე, — მიწის თხილის ნამცეცი ხომ არ დამრჩა?

შეჩერდა, ქოშინებდა. რამდენიმე წამით თითქოს ჩაფიქრდა, მაღაზიის თაროები შეათვალიერა. მერე მომიტრიალდა.

— მართალი ხარ. კარგი? მართალი ხარ.

გაოცებული მივაჩერდი.

— „შამროკი და კლოვერი“ საშინელი ადგილია და ვიცი, არც ჩემთან მუშაობაა ადვილი, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნო, რა სულელურ ბრძანებებსაც არ უნდა გაძლევდე, სათავო ოფისი მე ბევრად უფრო მეტად მამწარებს. ცოლს ვძულვარ, რადგან სახ-ლში არასოდეს ვარ. მომწოდებლებს ვძულვარ, რადგან ყოველ კვირა ვუმცირებ მარჟას აქციონერების მოთხოვნით. რეგიონუ-ლი მენეჯერი ამტკიცებს, თავს ვერ ართმევო და თუ უკეთესად არ ვამუშავებ თანამშრომლებს, „ნორთ უეილს პესინჯერ ფერის“ ფილიალში გადაყვანით მემუქრება. აი, მაშინ კი ნამდვილად დამშორდება ცოლი და ვერც დავადანაშაულებ.

მეზიზღება მართვა. ადამიანებთან ურთიერთობა ჩემზე უკეთ, ქუჩის ლამპიონსაც კი გამოუვა, ამიტომ ვერ მიძლებს ვერავინ. ვერა მხოლოდ იმიტომ რჩება სამსახურში, რომ ბეჰემოტივით

სქელკანიანია, მასზე არაფერი მოქმედებს. თანაც, მგონი, ჩემს ადგილს უმიზნებს. ჰოდა ბოდიშს გიხდი. სიამოვნებით დაგაბრუნებდი სამსახურში, რადგან თავს კარგად ართმევდი, კლიენტებსაც მოსწონდი.

ამოიხვნეშა და ჩვენ გარშემო მოსეირნე ხალხი შეათვალიერა.

— მაგრამ იცი, რა, ლუისა? სჯობს თავი დააღწიო აქაურობას, სანამ დროა. ლამაზი ხარ, ჭკვიანი, მშრომელი — ამაზე ბევრად უკეთესი სამსახურის პოვნა შეგიძლია. იპოთეკა რომ არ მქონდეს დასაფარი, შვილს არ ველოდებოდე და იმ დანგრეული ჰონდა სივიკის განვადებას არ ვიხდიდე, რომელშიც თავი ას ოცი წლისა მგონია, დამიჯერე, აქედან იმ თვითმფრინავებზე უფრო სწრაფად გავფრინდებოდი, — ჩეკი გამომიწოდა, — ეს შენი უქმე დღეების ანაზღაურებაა. ახლა კი, წადი. მართლა, ლუისა. გააღწიე აქედან.

პატარა, ყავისფერ კონვერტს დავხედე, რომელიც ხელში მეჭირა. ჩვენ გარშემო მგზავრები მაღაზიის ვიტრინებთან ჩერდებოდნენ, პასპორტებს ეძებდნენ, არც კი იცოდნენ, რა ხდებოდა მათ ცხვირწინ. მე კი, ზუსტად ვიცოდი, ახლა რა მოხდებოდა.

— რიჩარდ? დიდი მადლობა, მაგრამ... შეიძლება, სამსახურში დავბრუნდე? თუნდაც ცოტა ხნით. ძალიან მჭირდება.

რიჩარდმა ისე შემომხედა, თითქოს ვერც კი იჯერებდა, რას ვეუბნებოდი. ღრმად ამოიოხრა.

— თუ რამდენიმე თვით დარჩენას შეძლებ, დიდად დამეხმარები. უფსკრულის პირას ვარ. ახლავე თუ შეუდგები საქმეს, დრო დამრჩება ბითუმად მოვაჭრეებისგან ლუდის ახალი სადგამები წამოვიღო.

ადგილები გავცვალეთ, თითქოს ორი იმედგაცრუებული ვალსს ცეკვავდა.

— სახლში დავრეკავ, — ვუთხარი.

— ეს აიღე, — მიპასუხა მან. წუთით ერთმანეთს შევყურებდით, მერე კი პარკი გამომიწოდა, რომლშიც ჩემი უნიფორმა იდო, — დაგჭირდება.

მე და რიჩარდმა ერთგვარი რეჟიმი შევიმუშავეთ: ის უფრო გულისხმიერად მეპყრობოდა, მამაკაცების საპირფარეშოს დალაგებას მხოლოდ მაშინ მთხოვდა, როცა ნოა, ახალი დამლაგებელი, სამსახურში მოსვლას ვერ ახერხებდა. არც იმაზე მაძლევდა შენიშვნას, თუ კლიენტებს დიდხანს ველაპარაკებოდი (თუმცა, გამომეტყველებაზე ეტყობოდა, ეს აწუხებდა). მე კი უფრო მხიარული და პუნქტუალური ვიყავი, ვცდილობდი მეტი გამეყიდა. მიწის თხილზე უცნაურად ვზრუნავდი.

ერთ დღეს განზე გამიხმო და მითხრა, მართალია, ამის გაზიარება, შეიძლება ცოტა ნაადრევი იყოს, მაგრამ სათავო ოფისმა მაუწყა, რომ ერთ-ერთი თანამშრომლის დაწინაურებას აპირებენ მენეჯერის ასისტენტის პოზიციაზეო. და თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც ახლა, შენ წარგადგენო („ვერას დაწინაურებას ვერ გავრისკავ. ჩემი ადგილის დასაკავებლად, შეიძლება, ჩაიში იატაკის საწმენდი სითხე ჩამისხას“). მადლობა გადავუხადე და ვეცადე, უფრო ნასიამოვნები გამოვჩენილიყავი, ვიდრე ვიყავი.

ამასობაში, ლილიმ სამირს სამსახური სთხოვა. მან კი უპასუხა, რომ თუ გამოსაცდელ პერიოდში ნახევარი დღე უფასოდ იმუშავებდა, დათანხმდებოდა. რვის ნახევარზე ყავა მოვუდუღე, დავრწმუნდი, რომ სათანადოდ ეცვა და მზად იყო რვა საათზე მუშაობის დასაწყებად. საღამოს სახლში დავბრუნებულმა გავიგე, რომ სამირმა ლილი სამსახურში აიყვანა. თუმცა, საათში მხოლოდ 2.73 ფუნტს უხდიდა — კანონით დადგენილ მინიმალურ ხელფასს. მთელი დღე ყუთების აქეთ-იქით ტარებასა და პროდუქტებზე ფასების დაკვრაში გაუტარებია, სანამ სამირი და

მისი ბიძაშვილი აიპადზე ფეხბურთის ყურებით ერთობოდნენ. ჭუჭყიანი და დაქანცული დამხვდა, თუმცა — ბედნიერი.

— მითხრა, თუ ერთ თვეს გაძლებ, შეიძლება სალარო ჩაგაბაროო.

მორიგეობის განრიგი შემეცვალა, ამიტომ ხუთშაბათ შუადღეს სენტ ჯონს ვუდში, ლილის მშობლების სახლში გავემართეთ. მე მანქანაში ველოდი, სანამ თვითონ ტანსაცმელს შეაგროვებდა და კანდინსკის ნახატს წამოიღებდა, რომელზეც მიმტკიცებდა, შენს ბინას მოუხდებაო. ოც წუთში გამოვარდა კუშტი, გაცეცხლებული გამომეტყველებით. ტანია, გულხელდაკრეფილი, ვერანდაზე გამოვიდა. უსიტყვოდ უყურებდა, როგორ გააღო ლილიმ საბარგული, თავისი ნივთები დაუდევრად ჩაყარა, ნახატი კი ფრთხილად ჩადო. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და ცარიელ გზას მიაჩერდა. ტანიამ კარი მიიხურა, უცებ მომეჩვენა, რომ ცრემლი მოიწმინდა.

გასაღები გადავატრიალე.

— როცა გავიზრდები, — განაცხადა ლილიმ, ხმა ოდნავ უკანკალებდა, — საერთოდ არ დავემსგავსები დედაჩემს.

წუთით შევყოვნდი, მერე კი მანქანა დავძარი და სახლამდე დუმილით მივედით.

„ამაღამ კინოში ხომ არ წავიდეთ? რაღაც ესკაპიზმის ხასიათზე ვარ“.

„ლილის მარტო ვერ დავტოვებ“.

„წამოიყვანე“.

„სჯობს, არ გვინდა. მაპატიე, სემ“.

იმ საღამოს ლილი საავარიო კიბეზე ვიპოვე. ფანჯრის გაღების ხმა რომ გაიგო, ამომხედა და სიგარეტი დამიქნია.

— ვიფიქრე, უსამართლობა იქნებოდა შენს ბინაში მომეწია, როცა თავად არ ეწევი.

ფანჯარა ბოლომდე გავაღე, ფრთხილად გადავძვერი და რკინის საფეხურებზე გვერდით მივუჯექი. ჩვენ ქვეშ მანქანების სადგომი აგვისტოს სიცხეში ვარვარებდა, უძრავ ჰაერში გახურებული ტარმაკის (ტარმაკი — კუპრბეტონის გზის საფარის საფირმო სახელწოდება) სუნი ტრიალებდა. რომელიღაც მანქანამ მუსიკა ხმამაღლა ჩართო. რკინის საფეხურებს მზიანი შუადღის სითბო შეენარჩუნებინა. უკან მივეყუდე და თვალები დავხუჭე.

— მეგონა, ყველაფერი გამომივიდოდა, — მითხრა ლილიმ.

თვალები გავახილე.

— მეგონა, თუ პიტერს თავიდან მოვიშორებდი, ყველა ჩემი პრობლემა მოგვარდებოდა. მეგონა, მამაჩემს თუ ვიპოვიდი, საკუთარ ადგილას ვიპოვიდი ცხოვრებაში. ახლა კი პიტერი გაუჩინარდა, გარსაიდიც გაუჩინარდა, მამაჩემი აღმოვაჩინე და შენ მყავხარ. მაგრამ არაფერი არ არის ისე, როგორც მეგონა.

ლამის ვუთხარი, ნუ სულელობ-მეთქი. მინდოდა შემეხსენებინა, რომ მცირე ხანში ბევრ რამეს მიაღწია — უკვე პირველი სამსახური ჰქონდა, პერსპექტივა, მომავალი — რასაც უფროსები ეუბნებიან ხოლმე ახალგაზრდებს. მაგრამ ეს ყველაფერი მეტისმეტად ბანალურად და ჭკუის დამრიგებლურად მომეჩვენა.

გზის ბოლოს ოფისში მომუშავეები რკინის მაგიდას შემოსხდომოდნენ, პაბის ღია კართან. გვიან ღამით ეს ადგილი ჰიპსტერებითა და სიტიდან მოსული გზააბნეული ხალხით გაივსებოდა. ტროტუარზე სასმელს დაღვრიდნენ და ხრინწიანი ხმით გასძახებდნენ ერთმანეთს. ეს ხმა კი ჩემს ღია ფანჯარაში შემოვიდოდა.

— ვხვდები, რასაც გულისხმობ, — ვუთხარი მე, — რაც მამაშენი გარდაიცვალა, მას მერე ველოდები, როდის ვიგრძნობ თავს ისევ ნორმალურად. მგონია, რომ უბრალოდ ვარსებობ. ისევ იგივე დამპალი სამსახური მაქვს. ისევ ამ ბინაში ვცხოვრობ, რომელშიც თავს საკუთარ სახლში არასოდეს ვიგრძნობ. სიკ-

ვდილს თვალებში ჩავხედე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევამ სიბრძნე შემმატა და ცხოვრების დაფასება მასწავლა. დარდთან გამკლავების წრეზე დავდივარ, სადაც ისეთივე გაჭირვებული ხალხია, როგორიც — მე. არაფრისთვის მიმიღწევია.

ლილი დაფიქრდა და მერე მითხრა:

— შენ ხომ მე გადამარჩინე.

— ჰო, ეს ერთადერთი რამაა, რასაც ვებღაუჭები.

— შეყვარებულიც გყავს.

— ის ჩემი შეყვარებული არ არის.

— როგორ არა, ლუისა.

ტრანსპორტი სიტისკენ მიიზლაზნებოდა. ლილიმ სიგარეტის უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა და რკინის საფეხურზე ჩააქრო.

— ამასთან ბრძოლასაც ვაპირებ, — გავეხუმრე.

ოდნავ დაიმორცხვა.

— ჰო, ვიცი, ასე აღარ მოვიქცევი, გპირდები.

სახურავებს მიღმა მზე ნელ-ნელა იპარებოდა. მის ნარინჯისფერ ელვარებას სიტის საღამოს რუხი ჰაერი აუფერულებდა.

— იცი რა, ლილი, იქნებ, ზოგ რამეს უფრო დიდი ხანი სჭირდება ასასრულებლად. თუმცა, მგონია, ბოლოს მაინც მივაღწევთ.

ხელმკლავი გამომდო და თავი მხარზე ჩამომადო. მზის დინჯ ჩასვლას შევყურებდით, გაწელილი ჩრდილები ჩვენკენ მოიპარებოდნენ. ნიუ-იორკის ცა წარმოვიდგინე და გავიფიქრე, არავინაა ჭეშმარიტად თავისუფალი-მეთქი. იქნებ ყოველგვარი თავისუფლება — ფიზიკური, პირადი — მხოლოდ ვინმეს ან რაიმეს სანაცვლოდ გვეძლევა.

მზე გაუჩინარდა, ფორთოხლისფერი ცა კი მუქ ლურჯად შეიღება. როდესაც ავდექით, ლილიმ ქვედაბოლო შეისწორა, მერე კი კოლოფს დააცქერდა, რომელიც ხელში ეჭირა. დარჩენილი სიგარეტის ღერები ამოიღო, შუაზე გადატეხა და ჰაერში

გაფანტა თამბაქო და თეთრი ქაღალდი. ტრიუმფალურად გადმომხედა და ხელი ასწია.

— აი, ოფიციალურად არამწეველი ვარ.

— ასე მარტივად.

— რატომაც არა? შენ არ თქვი, შეიძლება, უფრო დიდი ხანია საჭირო, ვიდრე გვგონიაო. მე ამით პირველი ნაბიჯი გადავდგი. შენი პირველი ნაბიჯი რა იქნება?

— ო, ღმერთო. იქნებ, რიჩარდი დავარწმუნო, იმ აუტანელი ნეილონის პარიკის ტარება აღარ დამაძალოს.

— ეგ შესანიშნავი პირველი ნაბიჯი იქნებოდა. შენი სახლის ყველა კარის სახელური დაელექტროებულია.

ლილის გადამდები ღიმილი ჰქონდა. სიგარეტის ცარიელი კოლოფი ავიღე, სანამ მასაც მოისვრიდა და მანქანების სადგომს კიდევ უფრო დაანაგვიანებდა. გავიწიე, რომ ფანჯარაში გადამძვრალიყო. შეჩერდა და მომიტრიალდა, თითქოს უეცრად რაღაც ფიქრმა გაუელვა.

— იცი, არ არის აუცილებელი სულ სევდიანი იყო, რომ მასთან კავშირი იგრძნო.

უხმოდ მივაჩერდი.

— მამაჩემს ვგულისხმობ. ასე მგონია.

მხრები აიჩეჩა და ფანჯარაში გადაძვრა.

მეორე დღეს რომ გავიღვიძე, ლილი უკვე სამსახურში წასულიყო. ბარათი დაეტოვებინა, შუადღისას პურს მოვიტანო. ყავა დავლიე, ვისაუზმე და სპორტული ფეხსაცმელი ჩავიცვი, სეირნობას ვაპირებდი. მარკი ამტკიცებდა, ვარჯიში სულისთვისაც ისეთივე სასარგებლოა, როგორც სხეულისთვისო. უცებ, ტელეფონმა დარეკა, ნომერი ვერ ვიცანი.

— გამარჯობა!

წუთის შემდეგ ვიცანი.

— დედა?

— ფანჯრიდან გადმოიხედე!

მისაღებ ოთახში გავედი და გადავიხედე. დედაჩემი ტროტუარზე იდგა და გაცხარებით მიქნევდა ხელს.

— რას... რას აკეთებ აქ? მამა სადაა?

— მამაშენი სახლშია.

— ბაბუა როგორაა?

— ბაბუას არაფერი უჭირს.

— მაგრამ შენ ხომ ლონდონში მარტო არასოდეს მოდიხარ. ბენზინგასამართ სადგურზეც კი არ გაივლი ხოლმე მამას გარეშე.

— მერე, განა აღარ არის დრო, შევიცვალო? შეიძლება, ამოვიდე? არ მინდა, ტელეფონის ანგარიში სულ ამოვწურო.

სადარბაზოს კარი გავუღე. მისაღები ოთახი მოვიარე და წინა ღამით დასვრილი ჭურჭელი გავიტანე. სახლის კარამდე როცა მოაღწია, უკვე იქ ვიდექი, ხელებგაშლილი , შესაგებებლად გამზადებული.

თავისი საუკეთესო ქურთუკი ეცვა, ხელჩანთა მხარზე გადაეკიდებინა („მძარცველებს გატაცება გაუძნელდებათ“) და კისრამდე თმა ბოლოებში დაეხვია. სახეგაბადრულს ვარდისფერი პომადა წაესვა და ხელში დაახლოებით 1983 წელს გამოცემული საოჯახო ცნობარი ეკავა.

— ვერ ვიჯერებ, რომ მართლა მარტო მესტუმრე.

— ჩინებული არ არის? სიმართლე გითხრა, ცოტა ვცქმუტავ. მეტროში ახალგაზრდა კაცს ვუამბე, ოცდაათი წლის განმავლობაში პირველად ვარ მიწის ქვეშ ისე, რომ ჩემი ხელი არავის უჭირავს-მეთქი. ისე დაფრთხა, ოთხი ადგილის მოშორებით გადაჯდა. სიცილისგან ლამის გადავბჟირდი. ჩაიდანს ხომ ვერ დაადგამდი?

დაჯდა, პალტო გაიხადა და კედლები შეათვალიერა.

— რა გითხრა, რუხი ფერი... საინტერესოა.

— ლილიმ აარჩია.

წამით გავიფიქრე, იქნებ მისი სტუმრობა ხუმრობაა, ახლა მამა შემოსასვლელ კარში შემოვარდება და დამცინებს, რა სულელი ხარ, როგორ დაიჯერე, რომ ჯოზი სადმე მარტო წავიდოდაო. დედას წინ ფინჯანი დავუდგი.

— არ მესმის, მამას გარეშე რატომ მოხვედი?

ჩაი მოსვა.

— გემრიელია. შენ ხომ ყოველთვის ყველაზე კარგად გამოგდიოდა ჩაის მოდუღება, — მაგიდაზე დადო და ქვეშ წიგნი ფრთხილად ამოუდო, — დილით რომ გავიღვიძე, დავფიქრდი, რამდენი საქმე მქონდა: სარეცხი, ფანჯრების გაწმენდა, ბაბუას საწოლის თეთრეულის გამოცვლა, კბილის პასტის ყიდვა. უცებ გამიელვა, არა-მეთქი. აღარ შემიძლია, არ მინდა, ეს შესანიშნავი შაბათი გავფლანგო იმაში, რასაც უკვე ოცდაათი წელია, ვაკეთებ. თავგადასავლის საძებნელად უნდა წავიდე-მეთქი.

— თავგადასავლის...

— ამიტომაც მოვიფიქრე, სპექტაკლი გვენახა.

— სპექტაკლი...

— ჰო, სპექტაკლი. ლუისა, თუთიყუშად ხომ არ გადაიქეცი? მისის ქაზენსმა სადაზღვევო კომპანიიდან მითხრა, რომ ლესტერის მოედანზე შეგიძლია, ბილეთები იაფად იყიდო. იქნებ წამომყოლოდი.

— ტრინა რას აკეთებდა?

დედამ ხელი გააქნია.

— არ ეცალა. აბა, რას იტყვი? წავიდეთ და ბილეთები ვიშოვოთ?

— ლილის უნდა ვუთხრა.

— მაშინ, წადი და უთხარი. მე ჩაის დავლევ, შენ მაგ შენს თმას რაიმე მოუხერხე და გავწიოთ. იცი, ერთდღიანი სამგზავრო ბარათი მაქვს! მთელი დღე შემიძლია მეტროთი ვისეირნო.

სპექტაკლზე „ბილი ელიოტი“ ბილეთები ნახევარ ფასად შევიძინეთ. მასა და რუსულ ტრაგედიას შორის უნდა აგვერჩია და დედამ თქვა, რომ რუსები დიდად აღარ ეპიტნავებოდა მას შემდეგ, რაც ერთხელ რესტორანში ცივი ჭარხლის წვნიანი მიართვეს და დაარწმუნეს, რუსები ასე მიირთმევენო.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში დედა აღტაცებული იჯდა. შუალედებში ხელს მკრავდა და მიჩურჩულებდა.

— მახსოვს, მაღაროს მუშები რომ გაიფიცნენ, ლუისა. უკიდურესად უჭირდათ ღატაკ ოჯახებს. მარგარეტ ტეტჩერი! გახსოვს? საშინელი ქალი იყო. თუმცა, ყოველთვის კარგ ხელჩანთებს ატარებდა.

როცა ამბიციებით სავსე ბილი ჰაერში აიჭრა, დედა ჩუმად აქვითინდა. ახალთახალი თეთრი ცხვირსახოცი ჰქონდა სახეზე აფარებული.

ვუყურებდი ბიჭის ცეკვის მასწავლებელს, მისის უილკინსონს. ამ ქალის ამბიციები არასოდეს გასცდენია მისი პატარა ქალაქის საზღვრებს. ვცდილობდი, საკუთარ ცხოვრებასთან პარალელები არ გამევლო. მე ხომ სამსახური მქონდა, შეიძლება ითქვას, შეყვარებულიც მყავდა და უესტ ენდის თეატრში ვატარებდი შაბათ შუადღეს. ეს ყველაფერი პატარ-პატარა წარმატებებად ჩავთვალე გაურკვეველი მტრის წინააღმდეგ.

შუადღის ნათელში თავბრუდახვეულები და ემოციურად გამოფიტულები გამოვედით.

— მაშ ასე, — თქვა დედამ და ჩანთა ამოიღლიავა (ზოგი ჩვევა შეუძლებელია დაივიწყო), — ჩაი სასტუმროში დავლიოთ. წამო, მხიარული დღე მოვიწყოთ.

ვერც ერთ დიდ სასტუმროში ვერ შევაღწიეთ, მაგრამ ერთი მოკრძალებული სასტუმრო აღმოვაჩინეთ ჰეიმარკეტთან. მათ დედასთვის მოსაწონი ჩაის ასორტიმენტი ჰქონდათ. ოთახის შუაგულში მოითხოვა მაგიდა, და დაჯდა თუ არა, არც ერთი შე-

მოსული არ დარჩენია შენიშვნის გარეშე — ზოგს კაბა დაუწუნა, ზოგზე თქვა, უცხოეთიდან ჩამოსულს ჰგავსო, ზოგს ბავშვების ან ვირთხასავით პატარა ძაღლების წამოყვანის გადაწყვეტილება დაუწუნა.

— აბა თქვი! — წამოიძახებდა ხოლმე დროდადრო, როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, — ხომ კარგია, აქ რომ ვართ?

ჩაი „ინგლისური საუზმე“ შევუკვეთეთ (დედა: ეს უბრალოდ მაღალფარდოვანი დასახელებაა, ხომ? რამე უცნაური არომატი ხომ არ ურევია?) და პაწაწინა სენდვიჩები მივირთვით. ქერის კვერები დავაყოლეთ, რომლებიც დედას უფრო გემრიელი გამოსდიოდა, და ოქროსფერ ფოლგაში გახვეული ნამცხვრები. დედამ ნახევარი საათი „ბილი ელიოტის“ განხილვაში გაატარა. მისი აზრით, თვეში ერთხელ მაინც უნდა გვევლო სპექტაკლებზე და ნაძლევს დებდა, მამასაც მოეწონება, თუ აქ ჩამოყვანაზე დავითანხმებთო.

— როგორ არის მამა?

— არაფერი უშავს. ხომ იცნობ მამაშენს.

მინდოდა, მეკითხა, მაგრამ შემეშინდა. როცა ავხედე, გაცისკროვნებული თვალებით შემომყურებდა.

— არა, ლუისა, ფეხებს არ ვიპარსავ. და დიახ, ძალიან არ მოსწონს ეს. მაგრამ ცხვორებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს.

— შენს დღეს აქ ჩამოსვლაზე რა თქვა?

ჩაიფხუკუნა და ჩახველებით გადაფარა.

— ვერ იჯერებდა, რომ მართლა გავაკეთებდი ამას. დილით, ჩაი როცა მივართვი, მაშინ ვთქვი და სიცილი დაიწყო. გულწრფელად გითხრა, ამან ისე გამაღიზიანა, რომ ჩავიცვი და წამოვედი.

თვალები გამიფართოვდა.

— მისთვის არ გითქვამს?

— უკვე ნათქვამი მქონდა. მთელი დღეა, ტელეფონზე შეტყობინებებს მიგზავნის, — ეკრანს დააჩერდა, მერე კი ჯიბეში შეინახა.

ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ჩაასო ჩანგალი მორიგ კვერს და თეფშზე მარდად გადადო. ჩაკბეჩისას სიამოვნებისგან თვალები მილულა.

— ჩინებულია.

ნერწყვი გადავყლაპე.

— დედა, განქორწინებას ხომ არ აპირებ?

თვალები დააჭყიტა.

— განქორწინებას? მე ხომ კათოლიკე გოგო ვარ, ლუისა. ჩვენ ქმრებს არ ვეყრებით. ჩვენ, უბრალოდ, მარადიულად ვაწამებთ მეუღლეებს!

ანგარიში გადავიხადე და საპირფარეშოში შევძვერით. ნიგვზისფერი მარმარილოთი და ძვირად ღირებული ყვავილებით გაფორმებულ ოთახს ჩუმი პერსონალი მეთვალყურეობდა. დედამ ხელები ორჯერ გულმოდგინედ დაიბანა, მერე ნიჟარასთან ჩამომწკრივებული ხელის ლოსიონები დაყნოსა.

— ამას არ უნდა ვამბობდე, რადგან პატრიარქატს ვეწინააღმდეგები, მაგრამ მაინც ვოცნებობ, ერთმა მაინც იპოვოთ ნორმალური მამაკაცი.

— ვიღაც გავიცანი, — წამომცდა, სანამ გავაცნობიერებდი, რას ვამბობდი.

ჩემკენ მოტრიალდა, ხელში ლოსიონის ბოთლი ეჭირა.

— მართლა?

— სასწრაფო დახმარების ექიმია.

— შესანიშნავია. ექიმი! ეს თითქმის ისეთივე სასარგებლო პროფესიაა, როგორც წყალსადენის ოსტატი. როდის გაგვაცნობ?

შევცბი.

— გაგაცნობთ? არ ვარ დარწმუნებული, რომ...

— რომ, რა?

— ჯერ ადრეა. არ ვიცი, ეს არის თუ არა ისეთი...

დედამ პომადას თავსახური მოაძრო და სარკეში ჩაიხედა.

— მხოლოდ სექსისთვის ურთიერთობთ — ამას ამბობ?

— დედა! — სასტუმროს მოახლეს გავხედე.

— აბა, რას ამბობ?

— არ ვიცი, ჯერ სრულფასოვანი ურთიერთობისთვის მზად ვარ თუ არა.

— რატომ? სხვა რა ხდება შენს ცხოვრებაში? ეგ საკვერცხეები დროულად უნდა გამოიყენო.

— ტრინა რატომ არ წამოვიდა? — საუბრის თემის შეცვლა ვცადე.

— ტომი ვერავის დაუტოვა.

— აბა, არ ეცალაო?

დედამ სარკეში ჩემს გამოსახულებას გახედა. ტუჩები ერთმანეთს გაუსვა და პომადა ჩანთაში შეინახა.

— შენზე ცოტა განაწყენებული ჩანს, ლუისა, — დედური გამჭოლი მზერა ჩართო, — ხომ არ იჩხუბეთ?

— არ ვიცი, რატომ ჰგონია აუცილებელი, ჩემს ყველა ქმედებაზე აზრი გამოთქვას, — საკუთარი ხმა გაბუტული თორმეტი წლის გოგოს ხმას მივამსგავსე.

თვალი არ მოუშორებია ჩემთვის.

ყველაფერი მოვუყევი. მარმარილოს ნიჟარაზე ჩამოვჯექი, დედამ სკამზე დაიკავა ადგილი. ვუთხარი, რა სამსახური შემომთავაზეს და რატომ არ შემეძლო, დავთანხმებოდი. მოვუყევი, როგორ დავკარგეთ და ვიპოვეთ ლილი, რომ ბოლოს და ბოლოს უკეთ გრძნობდა თავს. მაგრამ ტრინას არაფრის გაგონება არ სურდა. თუმცა, ტომს რომ იგივე გადახდენოდა, ტრინა პირველი მეტყოდა, ტომი არ უნდა მიგეტოვებინაო.

დედას რომ ყველაფერი ვუამბე, გულზე მომეშვა. მას ხომ ყველაზე უკეთ ესმოდა პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.

— ამიტომაც არ მელაპარაკება.

დედა დაჟინებით მიყურებდა.

— ღმერთო ჩემო, ჭკუიდან შეიშალე?

— რა?

— ნიუ-იორკში სამსახური შემოგთავაზეს, შენ კი აქ რჩები, რომ აეროპორტში, იმ საშინელ ადგილას იმუშაო? გესმით, რას ამბობს? — მიუტრიალდა მოახლეს, — ვერც კი დამიჯერებია! ღმერთმანი, სად გაქრა ის ტვინი, რომლითაც დაიბადა?!

მოახლემ ნელა გააქნია თავი და აღნიშნა:

— ცუდი ამბავია.

— დედა! მე სწორი გადაწყვეტილება მივიღე!

— ვისთვის?

— ლილისთვის!

— შენი აზრით, შენ გარდა სხვა ვერავინ დაეხმარებოდა იმ გოგოს? ხომ არ გიკითხავს იმ ნიუ-იორკელისთვის, თუ შეიძლება სამსახური რამდენიმე კვირით გვიან დაიწყო?

— ეგეთი სამსახური არ არის.

— შენ რა იცი? რაც არ გითხოვია, ვერ მიიღებ. ხომ ასეა?

მოახლემ ნელა დაუქნია თავი.

— ო, ღმერთო, ამაზე რომ ვფიქრობ...

მოახლემ დედას ხელსახოცი გაუწოდა და მანაც გაცხარებით დაიწყო დანიავება ყელზე.

— მომისმინე, ლუისა. ერთი ბრწყინვალე ქალიშვილი უკვე მიზის სახლში, პასუხისმგებლობებით დამძიმებული, რადგან არასწორი არჩევანი გააკეთა. ტომი მთელი გულით მიყვარს, მაგრამ ხანდახან მინდა, გულამოსკვნით ვიტირო, როცა ვუფიქრდები, რისი მიღწევა შეეძლო ტრინას, ეგ ბავშვი ცოტა გვიან რომ გაეჩინა. მე მამაშენის და ბაბუაშენის მოვლა მავალია და

ამას შეგუებული ვარ. ჩემი გზა ასეთია. მაგრამ შენი ცხოვრება მხოლოდ ეს არ უნდა იყოს, გესმის? ბილეთები ნახევარ ფასად და ჩაი ათასში ერთხელ. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ ჩვენს ოჯახში, რომელსაც შანსი აქვს, რაიმეს მიაღწიოს. შენ კი მეუბნები, რომ ყველაფერი ქარს გაატანე ვიღაც გოგოს გამო, ვისაც წესიერად არც კი იცნობ!

— მე სწორად მოვიქეცი, დედა.

— შეიძლება, ასეც არის. ან შეიძლება, სულაც არ იყო აუცილებელი, არჩევანი გაგეკეთებინა.

— თუ არ მოითხოვ, ვერ მიიღებ, — აღნიშნა მოახლემ.

— აი! ამ ქალბატონს ესმის. უნდა სთხოვო იმ ამერიკელ ჯენტლმენს, ცოტა მოგვიანებით მიგიღოს... ასე ნუ მიყურებ, ლუისა. მეტისმეტად რბილად გექცეოდი. არ გიბიძგე, როცა საჭირო იყო. იმ დაქცეულ სამსახურს თავი უნდა დაანებო და ცხოვრება დაიწყო.

— ეს შემოთავაზება დაკარგულია, დედა.

— არაფერიც არ არის! ხომ არ გიკითხავს?

თავი გავაქნიე.

დედამ გაცხარებით გაისწორა შარფი. საფულიდან ხურდები ამოიღო და მოახლეს ხელში ჩაუდო.

— უნდა აღვნიშნო, მშვენივრად მუშაობთ. ამ იატაკზე ვახშამსაც შეჭამს ადამიანი! თან რა შესანიშნავი სურნელი ტრიალებს.

მოახლემ თბილად გაუღიმა, მერე კი თითი ასწია. კარიდან გაიჭვრიტა, შემდეგ თავის კარადასთან მივიდა, გააღო. უკან ყვავილების სურნელიანი საპნით მობრუნდა და დედას გადასცა.

დედამ დაყნოსა და ამოიოხრა:

— საოცარი სურნელი აქვს. სამოთხის პატარა ნაგლეჯია.

— თქვენთვისაა.

— ჩემთვის? რა კეთილი ბრძანდებით. შეიძლება, სახელი გკითხოთ?

— მარია.

— მარია, მე ჯოზი ვარ. ლონდონში ჩამოვალ ხოლმე და ყოველთვის თქვენს საპირფარეშოს გამოვიყენებ. ხედავ, ლუისა? ვინ იცის, რა მოხდება, თუ ცოტათი მაინც გადაუხვევ გზიდან? მშვენიერი თავგადასავალი იყო. თანაც ჩემი ახალი მეგობრისგან, მარიასაგან ყველაზე სურნელოვანი საპონი მივიღე საჩუქრად!

ხელები ისე ჩასჭიდეს, თითქოს, წლების ნაცნობები ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, მერე კი სასტუმროდან წამოვედით.

ვერ ვეტყოდი. ვერ ვეტყოდი, რომ სულ ნიუ-იორკში შემოთავაზებულ სამსახურზე განუწყვეტლივ ვფიქრობდი, გაღვიძებიდან დაძინებამდე. რაც უნდა მეთქვა სხვებისთვის, ვიცოდი, ყოველთვის ვინანებდი, რომ ნიუ-იორკში მუშაობისა და ცხოვრების შანსი ხელიდან გავუშვი. რამდენიც უნდა მემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, სხვა შესაძლებლობებიც გამომიჩნდება სხვა ადგილებში-მეთქი, სადაც უნდა წავსულიყავი, ამ დაკარგულ შანსს მუდამ თან ვატარებდი, იაფფასიანი ხელჩანთასავით, რომელსაც შეიძენ და მერე ნანობ.

მატარებელში ასულ დედას დასამშვიდობებლად ხელი დავუქნიე. ეჭვი არ მეპარებოდა, სახლში უკმაყოფილო და აბობოქრებული მამა დახვდებოდა. მერე, სემის მოტანილი სანოვაგიდან მორჩენილი პროდუქტებით ლილის სალათა მოვუმზადე. მოგვიანებით ელექტრონული ფოსტა შევამოწმე და ნათანისგან წერილი დამხვდა.

„ვერ გეტყვი, რომ გეთანხმები, მაგრამ მესმის, რასაც აკეთებ. ალბათ, უილი შენით იამაყებდა. კარგი ადამიანი ხარ, კლარკ“.

თავი ოცდამეოთხე

ბავშვის აღზრდაზე ბევრი რამ ვისწავლე, მიუხედავად იმისა, რომ მშობელი არ ვიყავი. რამდენიც უნდა გააკეთო, რაღაც მაინც შეგეშლება. თუ სასტიკი, უგულისყურო და უყურადღებო იქნები, შვილს ბევრ ტკივილს მიაყენებ. თუ გვერდში ამოუდგები, სიყვარულს არ მოაკლებ, წააქეზებ, პატარ-პატარა მიღწევებისთვისაც შეაქებ, მაგალითად, დროულად გაღვიძებისთვის, მთელი დღე სიგარეტის მოწევისგან თავის შეკავებისთვის, ამითაც გააფუჭებ. ვისწავლე, რომ თუნდაც „დე ფაქტო“ მშობელი იყო, ეს ყველაფერი მაინც ასეა, თუმცა, ნამდვილი მშობლისგან განსხვავებით, ავტორიტეტით არ სარგებლობ მისი გამოკვებისა და მოვლისათვის.

ამ ყველაფერზე ვფიქრობდი, როცა სამსახურიდან თავისუფალ დღეს ლილი მანქანაში ჩავსვი და გამოვუცხადე, ლანჩზე მივდივართ-მეთქი. შეიძლება, დღე საშინლად დამთავრებულიყო, მაგრამ ორნი ერთად ყველაფერს გავუმკლავდებოდით.

ლილი ისე იყო გართული ტელეფონით, რომელშიც ყურსასმენებით მუსიკას უსმენდა, რომ კარგა ორმოცი წუთი გავიდა, სანამ ფანჯრიდან გაიხედავდა. დასახლების აღმნიშვნელ ბოძს რომ მივუახლოვდით, კოპები შეკრა.

— ეს გზა შენი მშობლების სახლისკენ არ მიდის.

— ვიცი.

— აბა, სად მივდივართ?

— ხომ გითხარი, ლანჩზე.

დიდხანს დაჟინებით მიცქერდა, მერე მიხვდა, მეტს არაფერს ვეტყოდი და ფანჯარაში გაიხედა.

— ღმერთო, ხანდახან ძალიან გამაღიზიანებელი ხარ.

ნახევარი საათის შემდეგ, „ქრაუნ ენდ გარტერთან“ გავაჩერეთ მანქანა — წითელი აგურით ნაშენებ სასტუმროსთან, ორ აკრზე გადაშლილი პარკით, რომელიც ოქსფორდიდან ოცი წუთის სავალზე მდებარეობდა. ნეიტრალური ტერიტორიაა-მეთქი, ვიფიქრე. ლილი მანქანიდან გადმოძვრა და ისე ხმაურით მიაჯახუნა კარი, რომ მანიშნა, ჯერ კიდევ გაღიზიანებული იყო.

მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. რესტორანში შევედი, ლილი უკან გამომყვა.

მისის ტრეინორი უკვე მაგიდასთან იჯდა. როცა ლილიმ შენიშნა, ამოიკვნესა.

— რატომ ვხვდებით მას ისევ?

— რადგან რაღაცები იცვლება, — ვუთხარი და წინ ვუბიძგე.

— ლილი, — მისის ტრეინორი წამოდგა. აშკარა იყო, თმა სალონში დაევარცხნა. ძველებურად უზადოდ თმაშეჭრილი და დავარცხნილი იყო. მსუბუქი მაკიაჟიც გაეკეთებინა და ძველ მისის ტრეინორს ჰგავდა — თავდაჯერებულ ქალს, რომელსაც კარგად ესმოდა გარეგნობის მნიშვნელობა.

— გამარჯობა მისის ტრეინორ.

— გამარჯობა, — ჩაილაპარაკა ლილიმ. ხელი არ ჩამოართვა, მაგრამ ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

მისის ტრეინორმა ეს შენიშნა, მაგრამ ოდნავ გაიღიმა, ადგილი დაიკავა და მიმტანს უხმო.

— ეს რესტორანი მამაშენს ძალიან უყვარდა, — თქვა და ხელსახოცი კალთაზე დაიფარა, — იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ლონდონიდან გამგზავრებაზე ვახერხებდი მის დაყოლიებას, სწორედ აქ ვხვდებოდით ერთმანეთს. საკმაოდ გემრიელი საჭმელები აქვთ. მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი რესტორანია.

მენიუ შევათვალიერე — პალტუსის გუფთა ხამანწკებითა და ნორვეგიული ასთაკვებით, შებოლილი იხვის მკერდი იტა-

ლიური კომბოსტოთი და ებრაული კუსკუსით — იმედი მქონდა, რადგან ეს ადგილი მისის ტრეინორმა აარჩია, ანგარიშსაც თავად გადაიხდიდა.

— ცოტა გადაპრანჭული ადგილი ჩანს, — აღნიშნა მენიუში თავჩარგულმა ლილიმ.

მისის ტრეინორს გავხედე.

— უილიც ამას ამბობდა. მაგრამ კარგია. მე ალბათ მწყრის ხორცს მივირთმევ.

— მე კი ქორჭილას, — ლილიმ ტყავგადაკრული მენიუ დახურა.

ჩამონათვალს ჩავყურებდი. ვერც ერთ კერძს ვერ ვცნობდი. თალგამურა რაღა იყო? ან ძვლის ტვინისა და სატაცურის რავიოლი რას ნიშნავდა? ნეტა, სენდვიჩის შეკვეთა თუ იყო შესაძლებელი.

— მზად ხართ შესაკვეთად? — ჩემ გვერდით მიმტანი გაჩნდა. დავიცადე, სანამ ისინი ჩამოთვლიდნენ არჩეულ კერძებს. შემდეგ ერთ-ერთ სახელწოდებაში შევნიშნე სიტყვა, რომელიც პარიზში მოგზაურობიდან მეცნობოდა:

— ჟუ დე ბოფ კონფიტი შეიძლება?

— კარტოფილის გნოჩითა და სატაცურით? ცხადია, მადამ.

ძროხის ხორცი. ძროხის ხორცის ჭამას შევძლებდი.

სანამ კერძს ველოდით, წვრილმანებზე ვისაუბრეთ. მისის ტრეინორს ვუთხარი, კვლავ აეროპორტში ვმუშაობ, მაგრამ დაწინაურებას მიპირებენ-მეთქი. ვეცადე, ისე გამომსვლოდა, თითქოს დახმარებას კი არ ვითხოვდი, კარიერაში წინსვლას ვზეიმობდი. ისიც ვაცნობე, ლილიმ სამსახური იპოვა-მეთქი. მეშინოდა, როცა ვახსენებდი, სად მუშაობდა ლილი, ზიზღით გააჟრჟოლებდა, მაგრამ შევცდი.

— ჭკვიანური გადაწყვეტილებაა. შავი საქმე დასაწუნი არ არის, როცა დამწყები ხარ.

— დიდად პერსპექტიული არ არის, — მტკიცედ განაცხადა ლილიმ, — თუ არ ჩავთვლით სალაროსთან გადასვლას.

— არც გაზეთების დარიგება იყო პერსპექტიული, მაგრამ სკოლაში სწავლისას ორი წელი მამაშენი სწორედ ამას აკეთებდა. სამუშაო ეთიკის ჩამოყალიბებისთვის კარგი გზაა.

— თანაც, ხალხს ყოველთვის სჭირდება ფრანკფურტული ძეხვის კონსერვები, — აღვნიშნე მე.

— მართლა? — მისის ტრეინორი ოდნავ აიმრიზა.

ვაკვირდებოდით, როგორ დაიკავეს ჩვენ გვერდით მაგიდა მოხუცმა ქალბატონმა, რომელიც ძლივძლივობით, დიდი შეძახილებით დაჯდა და მისმა ორმა მამაკაცმა ნათესავმა.

— თქვენი ფოტოალბომი მივიღეთ, — ვთქვი მე.

— მიიღეთ! ჰო, მაინტერესებდა... მოგეწონათ?

ლილიმ მზერა შეავლო და უპასუხა:

— მადლობა, გამიხარდა.

მისის ტრეინორმა წყალი მოსვა.

— მსურდა, უილი სხვა მხრიდან გამეცნო შენთვის. ზოგჯერ მგონია, მისმა გარდაცვალებამ მისი სიცოცხლე დაჩრდილა. მინდოდა გაგეგო, რომ ის უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მამაკაცი ეტლში. უფრო მეტი, ვიდრე მისი გარდაცვალების ისტორია.

ამას მცირე დუმილი მოჰყვა.

— მადლობა, — გაიმეორა ლილიმ.

კერძები მოგვართვეს და ლილი ისევ გაჩუმდა. მიმტანები მონდომებით დაგვტრიალებდნენ თავს. თუნდაც სულ ოდნავ დაწეულიყო წყლის დონე ჭიქაში, მაშინვე გვივსებდნენ. პურის ლანგარი მოგვართვეს, წაიღეს და ხუთ წუთში ისევ მოიტანეს. რესტორანი მისის ტრეინორის მსგავსი სტუმრებით იყო სავსე: საუცხოოდ ჩაცმული, დახვეწილი ლექსიკით მოსაუბრე. ამ ხალხისთვის პალტუსის გუფთები ჩვეულებრივი სადილი იყო და არა

უცნობი კერძებით დანაღმული ველი. მისის ტრეინორმა ჩემი ოჯახი მოიკითხა, მამაჩემი თბილი სიტყვებით გაიხსენა.

— ძალიან კარგად უვლიდა სასახლეს.

— ალბათ უცნაურია, უკან რომ არ ბრუნდებით, — ვთქვი და შევშფოთდი, რაღაც უჩინარი საზღვარი ხომ არ გადაკვეთე-- მეთქი.

მაგრამ მისის ტრეინორი ისევ სუფრას დასცქეროდა მის წინ.

— უცნაურია, — დამეთანხმა, თავი დამიქნია, სუსტად გამიღიმა და წყალი მოსვა.

ასე ვსაუბრობდით, სანამ ჩვენს პირველ თავ კერძებს მივირთმევდით (შებოლილ ორაგულს — ლილი, მე და მისის ტრეინორი კი სალათს). დრო გაგვყავდა, ბორძიკითა და ფორხილით მივიწევდით წინ, როგორც ახალბედა, რომელიც მანქანის ტარებას სწავლობს. გულზე მომეშვა, როცა მიმტანი გამოჩნდა ძირითადი კერძებით. ჩემ წინ დადგმული თეფშის დანახვისას ღიმილი გამიქრა. სულაც არ ჰგავდა ძროხის ხორცს. ეს იყო წებოვანი, ყავისფერი ფირფიტები სქელ, ყავისფერ საწებელში.

— უკაცრავად, — მივმართე მიმტანს, — მე ძროხის ხორცი შევუკვეთე.

წუთით უხმოდ მაკვირდებოდა.

— ეს სწორედ ძროხის ხორცია, მადამ.

ორივენი ჩემს თეფშს დავაცქერდით.

— ჟუ დე ბოფ, — აღნიშნა, — ძროხის ლოყის ხორცი.

— ლოყის?

კვლავ ორივემ ჩემს თეფშს დავხედეთ. ლამის გული ამერია.

— ოჰ, ცხადია, — ვთქვი მე, — ჰო. ძროხის ლოყის ხორცი. გმადლობთ.

მეშინოდა, მეტი მეკითხა კერძის შესახებ. ვაითუ რამე უარესი გამეგო. მისის ტრეინორს გავუღიმე და ჩემი გნოჩის ლოღნა დავიწყე.

თითქმის სრულ სიჩუმეში ვჭამდით. მე და მისის ტრეინორს ორივეს დაგველია სასაუბრო თემები. ლილიმაც რამდენჯერმე ჩამოაგდო სიტყვა, მაგრამ ყოველთვის რაღაც პროვოკაციულს ამბობდა, თითქოს ბებიამისს ამოწმებდა. საჭმელს ეთამაშებოდა უფროსების მიერ მდიდრულ ლანჩზე იძულებით წამოყვანილი მოზარდივით. ჩემი კერძი პატარ-პატარა ნაჭრებად მივირთვი, ვცდილობდი ყურადღება არ მიმექცია ხმისთვის, რომელიც გონებაში ჩამჩხაოდა: „ლოყებს ჭამ! ლოყებს!“

ბოლოს ყავა შევუკვეთეთ. როდესაც მიმტანი წავიდა, მისის ტრეინორმა ხელსახოცი მუხლებიდან აიღო და მაგიდაზე დადო.

— ასე აღარ შემიძლია.

ლილიმ თავი ასწია. ჯერ მე შემომხედა, მერე — მისის ტრეინორს.

— საჭმელი ძალიან გემრიელია და თქვენი სამსახურის შესახებ სიახლეების მოსმენაც სასიამოვნოა, მაგრამ ასე არაფერი გამოგვივა.

მეგონა ადგებოდა და წავიდოდა, ალბათ ლილის ზედმეტი მოუვიდა-მეთქი. ლილის სახეზე გაოცება შევატყვე და მიხვდი, ისიც იმავეს ფიქრობდა. თუმცა, მისის ტრეინორმა ფინჯანი და ლამბაქი გვერდზე გასწია და მაგიდაზე გადმოიხარა.

— ლილი, აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ძვირად ღირებული კერძებით მომეხიბლე. ბოდიშის მოსახდელად მოვედი. რთულია აგიხსნა, რა ვიგრძენი, როდესაც იმ დღეს ჩემს სახლში აღმოჩნდი. ის უიღბლო შეხვედრა სულაც არ იყო შენი ბრალი და მაპატიე, თუ შენი ოჯახის ამ მხარესთან გაცნობა ასეთი... შეუსაბამო აღმოჩნდა.

მიმტანი ყავით მოგვიახლოვდა და მისის ტრეინორმა ხელი ასწია, ისე რომ მისკენ არ შეტრიალებულა.

— ორი წუთით დაგვტოვეთ, თუ შეიძლება.

მიმტანმა ნელ-ნელა უკან დაიხია ლანგრით ხელში. გაუნ-ძრევლად ვიჯექი. მისის ტრეინორმა, დაძაბული გამომეტყველე-ბით, ღრმად ჩაისუნთქა.

— ლილი, მე შვილი დავკარგე — მამაშენი — და, მართალი გითხრა, მანამდე დავკარგე, სანამ გარდაიცვლებოდა. მისმა სიკვდილმა ყველაფერი წამართვა, რაზეც ჩემი ცხოვრება იყო დაფუძნებული: ჩემი, როგორც დედის როლი, ოჯახი, კარიერა, რწმენაც კი. თითქოს ბნელ ორმოში ჩავვარდი. მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ქალიშვილი ჰყავდა, შვილიშვილი მყოლია და ახლა ვფიქრობ, იქნებ ყველაფერი არ დამიკარგავს-მეთქი.

ნერწყვი გადაყლაპა.

— არ გეტყვი, რომ მისი ნაწილი დამიბრუნე, რადგან ეს შენ მიმართ სამართლიანი არ იქნება. შენ, როგორც უკვე მივხვდი, განსხვავებული პიროვნება ხარ. შენ სრულიად ახალი ადამიანი გააჩინე ჩემს ცხოვრებაში, რომელზეც უნდა ვიზრუნო. იმედი მაქვს, მეორე შანსს მომცემ, ლილი. რადგან მთელი გულით მსურს, შენთან გავატარო დრო. ლუისა მეუბნება, რომ ძლიერი გოგო ხარ. უნდა იცოდე, ეს თვისება ჩვენი ოჯახისგან დაგყვა. ალბათ ერთმანეთს ხშირად შევერკინებით, როგორც მე და მამა-შენი. მაგრამ, თუ დღევანდელი დღიდან სხვა არაფერი გამოვა, ეს მაინც უნდა იცოდე...

ლილის ხელი ხელში მოიქცია.

— ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანი. შენი არსებობით უკვე ბევრი რამე შეცვალე. ჩემი ქალიშვილი, მამიდაშენი ჯორჯინა, შემდეგ თვეში ჩამოსვლას აპირებს, რომ გაგიცნოს. უკვე მკითხა, შეიძ-ლება თუ არა მოგვიანებით მე და შენ სიდნეიში ვესტუმროთ და ცოტა ხანს დავრჩეთ. წერილი გამოგიგზავნა, ჩანთაში მაქვს.

ხმა ჩაუწყდა.

— ვიცი, მამაშენის დანაკლისს ვერ აგინაზღაურებთ. ვიცი, არც მე ვარ... ჯერ კიდევ ვცდილობ, ფეხზე წამოვდგე, მაგრამ... იქნებ... გამონახო ადგილი საკმაოდ რთული ბებიასთვის?

ლილი დაჟინებით უცქერდა.

— იქნებ, გეცადა მაინც?

ბოლო წინადადების წარმოთქმისას მისის ტრეინორს ხმა გაებზარა.

ამას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. საკუთარი გულისცემა მესმოდა. ლილიმ ჯერ მე შემომხედა, მერე კი, თითქოს მარადისობის შემდეგ, მისის ტრეინორს.

— თქვენ რა, გსურთ... გსურთ მოვიდე და თქვენთან დავრჩე?

— შენ თუ გენდომება, მე მართლა ძალიან მინდა.

— როდის?

— როდის შეძლებ?

კამილა ტრეინორი ყოველთვის თავდაჭერილი ქალი იყო, მაგრამ იმწუთას სახე წაეშალა. მაგიდაზე ხელი ლილისკენ გააცურა. წამიერი ყოყმანის შემდეგ, ლილიმ ხელი ჩაავლო და მათი თითები ერთმანეთს გადაეჭდო. თითქოს საზღვაო კატასტროფას გადაურჩნენო, ისე ებჭაუღებოდნენ ერთმანეთს. მიმტანი ჯერ კიდევ ლანგრით ხელში იდგა, არ იცოდა, როდის მოახლოებოდა ჩვენს მაგიდას.

— ხვალ შუადღით მოვიყვან.

ავტოსადგომზე ვიყავით, ლილი მისის ტრეინორის მანქანის უკანა კართან იცდიდა. ორი პუდინგი მიირთვა — თავისი, შოკოლადის და ჩემი (უკვე სრულიად მქონდა მადა დაკარგული) და ახლა ჯინსს იმოწმებდა.

— დარწმუნებული ხართ? — ვერ ვიტყოდი, ეს რომელ მათგანს ვკითხე. ვაცნობიერებდი, როგორი მყიფე იყო ეს ახალი ერთობა, როგორ ადვილად შეიძლებოდა მათი ურთიერთობა აალებულიყო და გაცამტვერებულიყო.

— არაფერი გვიშავს.

— ხვალ არ ვმუშაობ, ლუისა, — მომაძახა ლილიმ, — კვირაობით სამირის ბიძაშვილის ცვლაა.

მათი მარტო დატოვება უცნაურად მეჩვენებოდა, მაგრამ ლილის სახე გაცისკროვნებოდა. მინდოდა გამეფრთხილებინა, რომ არ მოეწია, უცენზურო სიტყვები არ ეთქვა. ლამის ისიც კი შევთავაზე, იქნებ სხვა დროს ესტუმრო-მეთქი. მაგრამ ლილიმ ხელი დამიქნია და მისის ტრეინორის გოლფში ჩაჯდა, უკან არც კი მოუხედია.

მოსახდენი მოხდა. მე ვეღარაფერს გავხდებოდი.

მისის ტრეინორმაც დაიკავა თავისი ადგილი.

— მისის ტრეინორ, შეიძლება, რაღაც გკითხოთ?

შეჩერდა.

— კამილა. ვფქირობ, დროა, ერთმანეთს სახელებით მივმართოთ.

— კამილა, ლილის დედას ესაუბრეთ?

— აჰ, ჰო, ველაპარაკე. ვუთხარი, რომ იმედი მქონდა, ლილისთან მეტ დროს გავატარებდი მომავალში. ვუთხარი, ვხვდები, რომ შენს თვალში, ალბათ დედის სანიმუშო მაგალითად არ გამოვდგები, მაგრამ ვაღიაროთ, ეს ორივეს რთულად გამოგვდის, თანაც იქნებ, ერთხელ მაინც დაფიქრდე, რომ გმართებს, შვილის ბედნიერება საკუთარზე წინ დააყენო-მეთქი.

გაოცებისგან პირი დავაღე.

— „გმართებს“ ბრწყინვალე სიტყვაა, — ამოვილუღლუღე, როცა ლაპარაკის უნარი დამიბრუნდა.

— ჰო, არა? — წელში გასწორდა. თვალებში წამით ცელქი სხივი გაუკრთა, — ჰო. ტანია ჰოტონ-მილერები მე ვერ შემაშინებენ. მგონი მშვენივრად შევეწყობით მე და ლილი.

ჩემი მანქანისკენ გავწიე, მაგრამ ამჯერად მისის ტრეინორმა შემაჩერა.

— მადლობა, ლუისა.

მკლავზე მომკიდა ხელი.

— მე არაფერი...

— როგორ არა. ჩინებულად მესმის, რამდენი მმართებს შენი. იმედია, ოდესმე ამაგს გადაგიხდი.

— არ არის საჭირო.

თვალებში შემომხედა და გამიღიმა. შევნიშნე, პომადა ისევ უზადოდ ესვა.

— მაშ, კარგი, ხვალ დაგირეკავ, ლილის სახლში მოყვანის თაობაზე.

მისის ტრეინორმა ხელჩანთა მკლავზე გადაიკიდა და მანქანისკენ გაბრუნდა, სადაც ლილი ელოდა.

თვალი გავაყოლე, როგორ გაუჩინარდა გოლფი, მერე კი სემს დავურეკე.

მინდვრის თავზე, ფირუზისფერ ცას კაკაჩამ ზანტად, წივილით გადაუფრინა. მისი უზარმაზარი ფრთები ლურჯად ელავდნენ ცაზე. სემს აგურების დალაგებაში დახმარება შევთავაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი რიგი დავასრულეთ (მე აგურებს ვაწვდიდი). ჰაერი ისე იყო ჩახუთული, სემმა თქვა, შევისვენოთ და ცივი ლუდი დავიოთო. ბალახზე რომ წამოვწექით, ადგომა ვეღარ შევძელით. ძროხის ლოყების ისტორია მოვუყევი და დიდხანს იცინა. ცდილობდა, გამომეტყველება შეეცვალა, როცა ვაპროტესტებდი: „ხომ შეიძლებოდა, სხვა რაიმე დაერქმიათ? თითქოს გეუბნებიან, ქათმის დუნდულებს ან რაღაც ასეთს მიირთმევო“. სემის გვერდით გაშოტილი, ჩიტების ჟივილსა და ბალახის ჩურჩულს ვუგდებოდი ყურს, შევყურებდი ჰორიზონტზე დინჯად ჩამავალ, ატმისფერ მზეს. ვფიქრობდი, როცა ლილის უცენზურო ლექსიკონზე დარდი არ მიწევს, ცხოვრება არც ისეთი ცუდია-მეთქი.

— ზოგჯერ, როცა ასეთი დაისია, ვფიქრობ, საერთოდ არ დავასრულო სახლის შენება, — თქვა სემმა, — სურვილი მიჩნდება, დაბერებამდე ასე ვიწვე მინდორში.

— შესანიშნავი გეგმაა, — ბალახის ღერს ვღეჭავდი, — მაგრამ შხაპუნა წვიმა იანვარში ასე აღარ გესიამოვნება.

მისი სიცილი მომესმა, ხმადაბალი გრუხუნი.

პირდაპირ რესტორნიდან წამოვედი მასთან. ლილის მოულოდნელმა წასვლამ რატომღაც წონასწორობა დამირღვია. არ მინდოდა ბინაში მარტო დარჩენა. სემის ჭიშკართან რომ გავაჩერე მანქანა, მცირე ხნით შევყოვნდი. ვუცქერდი სემს, როგორი კმაყოფილი იყო განმარტოებით, როგორ უსვამდა დუღაბს თითოეულ აგურს, შუბლიდან ოფლს გაცვეთილი მაისურით იწმენდდა. მისი შემყურე თითქოს შინაგანად გავთავისუფლდი. ჩვენი ბოლო დიალოგების უხერხულობაზე სიტყვაც არ დაუძრავს, რის გამოც მადლიერი დავრჩი.

ლაჟვარდ ცაზე კენტი ღრუბელი დაცურავდა. სემმა ფეხი მოინაცვლა და ჩემთან უფრო ახლოს მოიწია. ტერფები ჩემსაზე ორჯერ დიდი ჰქონდა.

— ნეტა, მისის ტრეინორმა ისევ თუ ჩამოკიდა ფოტოები, ლილისთვის.

— რომელი ფოტოები?

— ჩარჩოში ჩასმული ფოტოები. ხომ გიამბე. როცა მე და ლილი ვესტუმრეთ, უილის ყველა ფოტო გაექრო. ცოტა გამიკვირდა კიდეც, ფოტოალბომი რომ გამოუგზავნა. მეგონა, ყველაფერი გაანადგურა.

სემს სიტყვა არ უთქვამს, ფიქრობდა.

— უცნაურად მომეჩვენა. თუმცა, არც მე მაქვს უილის ფოტოები გამოფენილი. ალბათ, დროა საჭირო, რომ ისევ შეძლო... მათი დანახვა. შენ რამდენი ხანი დაგჭირდა, რომ შენი დის ფოტო ისევ დაგედო საწოლთან?

— არასოდეს ამიღია. მომწონდა მისი ყურება, თანაც იმ ფოტოში ისეთია, როგორიც ადრე, — სემმა მკლავი ასწია, — პირდაპირ მომახლიდა ხოლმე ყველაფერს. ტიპური უფროსი და იყო. როცა მგონია, რაღაცას არასწორად ვაკეთებ, მის სურათს ვუყურებ და მისი ხმა ჩამესმის: სემ, შე სულელო, მიდი, უკან არ დაიხიო, — ჩემკენ მოიხედა, — ჯეიკისთვისაც კარგია. უნდა შეეჩვიოს მასზე საუბარს.

— იქნებ, მეც დავკიდო ერთი ფოტო. ლილის ესიამოვნება სახლში მამამისის სურათის დანახვა.

ირგვლივ ქათმები დაკაკანებდნენ. ორი მათგანი მოშორებით მტვერში იგანგლებოდა და ბუღს აყენებდა. სემის შინაურ ფრინველებს, როგორც აღმოჩნდა, სხვადასხვა ხასიათი ჰქონდათ. ყავისფერი ქათამი სხვებს ეუფროსებოდა, თავქოჩორა ალერსიანი იყო, ერთი პატარა მამლაყინწა კი ყოველ საღამოს ხიდან უნდა ჩამოეყვანა და ქანდარაზე დაებრუნებინა.

— ხომ არ მივწერო? გავიგო, როგორ არის?

— ვის?

— ლილის.

— შეეშვი, არაფერი უჭირთ.

— ვიცი, რომ მართალი ხარ. უცნაურია. რესტორანში ვაკვირდებოდი და მივხვდი, მამამისს ბევრად უფრო ჰგავს, ვიდრე აქამდე მეგონა. ვფიქრობ, ამას მისის ტრეინორი — კამილაც — ამჩნევს. ლილის მანერულობა არ გამოჰპარვია, თითქოს მისი ჟესტების შემყურეს უილი ახსენდებოდა. ერთ მომენტში ლილიმ წარბი ასწია და ვერც ერთმა თვალი ვერ მოვწყვიტეთ. ზუსტად უილივით გამოუვიდა.

— ამაღამ რისი გაკეთება გინდა?

— არ აქვს მნიშვნელობა... შენ გადაწყვიტე, — გავიზმორე. კისერში ბალახმა შემიღიტინა, — შეიძლება, სულაც მთელი საღა-

მო აქ ვიწვე. თუ უცებ ფეხი დაგიცდება და ზედ დამეცემი, მშვენიერი იქნება.

ველოდი, ჩემს ხუმრობაზე როდის გაიცინებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

— და... ჩვენზე... არ ვისაუბროთ?

— ჩვენზე?

კბილებში ბალახის ღერი გაირჭო.

— ჰო, ვიფიქრე... მაინტერესებს, შენი აზრით ჩვენ შორის რა ხდება.

— ისე ამბობ, თითქოს მათემატიკურ ამოცანაზე მეკითხებოდე.

— უბრალოდ მსურს დავრწმუნდე, რომ ერთმანეთის გვესმის, ლუ.

ღერი გადააგდო და ახალი მოწყვიტა.

— ჩემი აზრით, კარგად ვართ, — ვთქვი მე, — კარგა ხანია აღარ გაბრალებ, რომ შვილს უყურადღებოდ ექცევი ან წარმოსახვითი ქალების არმია გყავს.

— და მაინც თავს იკავებ.

თბილად მითხრა, მაგრამ გულზე მომხვდა.

იდაყვებს დავეყრდენი და წამოვიწიე, ისე, რომ სემს ზევიდან დავაქცერი.

— მე ხომ აქ ვარ? პირველი ადამიანი ხარ, ვისაც სამსახურის დასრულებისას ვურეკავ. როცა შეგვიძლია ერთმანეთს ვხვდებით. ამას თავშეკავებას ვერ დავარქმევდი.

— ჰო. ერთმანეთს ვხვდებით, სექსი გვაქვს, ზოგჯერ გემრიელად ვსადილობთ.

— მეგონა, ყველა მამაკაცი ასეთ ურთიერთობაზე ოცნებობდა.

— მე ყველა არ ვარ, ლუ.

წუთით, ერთმანეთს დუმილით შევყურებდით. დავიძაბე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავს მესხმოდნენ და თავი უნდა დამეცვა.

ამოიოხრა.

— ასე ნუ მიყურებ. დაქორწინებას კი არ გთხოვ. იმის თქმა მინდა, რომ... არასოდეს შევხვედრივარ ქალს, რომელიც ურთიერთობებზე საუბარს გაურბის, — თვალები ხელით მოიჩრდილა, მზემ შეაწუხა, — არა უშავს, თუ ხანგრძლივი ურთიერთობა არ გსურს. არა, სიმართლე გითხრა, ასე არ არის, მაგრამ მინდა ვიცოდე, შენ რას ფიქრობ. ელენის გარდაცვალების შემდეგ მივხვდი, რა ხანმოკლეა ცხოვრება. არ მინდა...

— რა არ გინდა?

— დრო ისეთ რამეზე გავფლანგო, რასაც გაგრძელება არ უწერია.

— დრო გაფლანგო?

— ცუდი სიტყვები შევარჩიე. არ გამომდის ასეთ თემებზე საუბარი, — სემი წამოჯდა.

— რა აუცილებელია, რაღაც გამოვიდეს? ერთად კარგ დროს ვატარებთ. რატომ არ შეიძლება, დროს მივანდოთ ყველაფერი და ვნახოთ, რა მოხდება?

— იმიტომ, რომ ადამიანი ვარ. გასაგებია? ისედაც ძნელია ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც ჯერ კიდევ მოჩვენებაზეა შეყვარებული და უფრო ართულებ საქმეს, როცა ისე იქცევი, თითქოს მხოლოდ სექსისთვის მიყენებ, — ხელი თვალებზე მიიფარა, — ღმერთო ჩემო, არც კი მჯერა, რომ ეს ხმამაღლა ვთქვი.

ხმა გამებზარა.

— მე არ ვარ მოჩვენებაზე შეყვარებული.

ამჯერად ჩემთვის აღარ შემოუხედავს. კიდევ უფრო წამოიწია და სახე მოისრისა.

— მაშინ შეწყვიტე მასზე ფიქრი, ლუ.

მძიმედ წამოდგა და ვაგონისკენ გაემართა, მე კი მის ნაბიჯებს გავაყოლე თვალი.

ლილი მომდევნო საღამოს დაბრუნდა, ცოტა გარუჯული. სახლში შემოვიდა, ჩაუარა სამზარეულოს, სადაც სარეცხი მანქანიდან გარეცხილ ტანსაცმელს ვიღებდი და ტახტზე დაეშვა. უკვე მეთხუთმეტედ ვეკითხებოდი თავს, დამერეკა თუ არა სემისთვის. ლილიმ ფეხები ჟურნალების მაგიდაზე ააწყო, პულტი აიღო და ტელევიზორი ჩართო.

— აბა, როგორი იყო? — ვკითხე რამდენიმე წუთის შემდეგ.

— არა უშავდა.

მეგონა, კიდევ რაიმეს მეტყოდა, პულტს მოისროდა და ჩაიბუტბუტებდა, რა გაუსაძლისი ოჯახიაო. თუმცა, ასე არ მოხდა. ტელევიზორის სხვადასხვა არხზე გადართვა განაგრძო.

— რას აკეთებდით?

— ბევრს არაფერს. ცოტა ვისაუბრეთ. ბაღს მოვუარეთ, — გადმობრუნდა და ნიკაპი ტახტის საზურგეზე დაყრდნობილ ხელებს ჩამოადო, — ეი, ლუ. თხილიანი ბურბუშელა დაგვრჩა? ძალიან მშია.

თავი ოცდამეხუთე

„ერთმანეთს არ ველაპარაკებით?“

„როგორ არა. რისი თქმა გინდა?“

ზოგჯერ ჩემ გარშემო მყოფთა ცხოვრებას ვაკვირდები და მიკვირს, ნუთუ ყველანი განწირულები ვართ, რომ ზიანი მოვიტოვოთ უკან. ბატონო ლარკინ, მხოლოდ თქვენი მშობლები როდი გაყენებენ ზიანს. ირგვლივ მიმოვიხედე, თითქოს, უეცრად, ვიღაცამ გაწმენდილი სათვალე მომაწოდა და დავინახე, რომ ყველას აჩნდა სასტიკი დამღა სიყვარულისა, ზოგს დაკარგულის, ზოგს კი სამარეში გაუჩინარებულის.

უილმა ყველა ჩვენგანს დაგვასვა დაღი, ახლაღა ვხვდებოდი. ეს არც უფიქრია, მაგრამ სიცოცხლეზე უარის თქმით მაინც ასე გამოუვიდა.

მე შემიყვარდა კაცი, რომელმაც მთელი სამყარო აღმომაჩენინა, მაგრამ ისე ძლიერ არ ვუყვარდი, თავადაც დარჩენილიყო მასში. ახლა კი მეტისმეტად მეშინოდა, შემეყვარებინა კაცი, რომელსაც ვეყვარებოდი, თუ... თუ რა? ამაზე ვფიქრობდი გვიანი ღამის მდუმარე საათებში, როცა ლილი თავის ოთახში შეიყუჟა, ციმციმა ციფრული სიახლეებით გართული.

სემს არ დაურეკავს. ვერც დავადანაშაულებდი. ან რა უნდა მეთქვა მისთვის? სიმართლე ითქვას, მასთან საუბარი არც მინდოდა ჩვენს ურთიერთობაზე, რადგან არ ვიცოდი, ვინ ვიყავით ერთმანეთისთვის.

განა მასთან ყოფნა არ მომწონდა. მასთან ცოტა უფრო ხალისიანი ვიყავი — გულიანად ვიცინოდი, სულელურად ვხუმრობდი. ისეთ ვნებას ვგრძნობდი, თვითონაც მაოცებდა. როცა ის ჩემ გვერდით იყო, უფრო ვემსგავსებოდი იმ ადამიანს, ვინც მსურდა, ვყოფილიყავი. და მაინც.

და მაინც.

სემთან სერიოზული ურთიერთობის დაწყება იმას ნიშნავდა, რომ დანაკლისის მეტი რისკი გაჩნდებოდა. სტატისტიკურად, ურთიერთობების უმრავლესობა, კრახით სრულდება და თუ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩემს სულიერ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, გამართლების შანსი ძალიან მცირე მქონდა. შეგვეძლო ბევრი გვესაუბრა, დროდადრო თავდავიწყებას მივცემოდით, მაგრამ სიყვარული, საბოლოოდ, მეტ ტკივილს უდრიდა. მეტი ზიანს ჩემთვის ან, უარესი, მისთვის.

განა ვინ იყო ისეთი ძლიერი, ამ ყველაფერს გამკლავებოდა?

ისევ გვიან ჩამეძინა. ამიტომ დილით მაღვიძარამ ვერ გამომაფხიზლა. გზატკეცილზე გიჟივით მივქროდი, მაგრამ ბაბუას დაბადების დღეზე მაინც დამაგვიანდა. მისი ოთხმოცი წლის იუბილეს აღსანიშნავად, დედამ ასაწყობი ბელვედერი მოიტანა. ეს ბელვედერი ადრე ტომასის ნათლობისას გამოვიყენეთ. მორყეული და ხავსმოკიდებული, ბაღის ბოლოში იდგა. ღია კარიდან, რომელიც უკანა ხეივანში გადიოდა, მეზობლების ჯარი შემოდიოდა და გადიოდა, ნამცხვრები მოჰქონდათ და ულოცავდნენ. ბაბუა შუაში, ბაღის პლასტმასის სკამზე იჯდა, ხალხს, რომელსაც უკვე ვეღარ სცნობდა, თავს უქნევდა. მხოლოდ დროდადრო მოუთმენლად გახედავდა ხოლმე გაზეთის გაკეცილ ნომერს.

— და ეს დაწინაურება, — ტრინა ჩაიზე აგებდა პასუხს, უზარმაზარი ჩაიდნიდან ჭიქებში ასხამდა და ხალხს ურიგებდა, — რას გულისხმობს?

— ახალი პოზიციაა. ყოველი ცვლის ბოლოს სალაროში ბალანსი უნდა შევამოწმო და გასაღებები ჩავიბარო.

„ეს სერიოზული პასუხისმგებლობაა, ლუისა“, — გამომიცხადა რიჩარდ პერსივალმა. ისე პომპეზურად და მრავალმნიშვნელოვნად გადმომცა, თითქოს წმინდა გრაალს მაბარებდა. „გო-

ნივრულად გამოიყენე“. მართლა ასე მითხრა — „გონივრულად გამოიყენე“. მინდოდა მეთქვა, სხვა რაში უნდა გამოვიყენო სალაროს გასაღები, მინდორს ხომ არ მოვხნავ-მეთქი?

— ფული? — ტრინამ ფინჯანი გამომიწოდა და ჩაი მოვსვი.

— საათში ერთი ფუნტით მეტს გადამიხდიან.

— მმ, — ტრინაზე შთაბეჭდილება ვერ მოვახდინე.

— უნიფორმის ჩაცმაც აღარ მომიწევს.

ტრინამ გულდასმით შეათვალიერა ჩარლის ანგელოზების მსგავსი კომბინეზონი, რომელიც ამ დიდებული შემთხვევის აღსანიშნავად მეცვა.

— ეგეც საქმეა, — აღნიშნა და მისის ლასლოუს სენდვიჩებზე მიუთითა.

სხვა რა უნდა მეთქვა? სამსახური იყო, მცირე წინსვლა მქონდა. არ მითქვამს, რომ ზოგჯერ იქ მუშაობა წამებას უდრიდა. იძულებული ვიყავი, მეყურებინა, როგორ იჭრებოდა თითოეული თვითმფრინავი ცაში, როცა ძალას მოიკრებდა ფრინველივით. არ მითქვამს, რომ ყოველდღე იმ მწვანე პერანგის ჩაცმისას თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს, რაღაც დავკარგე.

— დედამ მითხრა, რომ შეყვარებული გყავს.

— ის ჩემი შეყვარებული არ არის.

— ეგეც მითხრა. აბა, ვინ არის? დროდადრო ერთად გძინავთ?

— არა. კარგი მეგობრები ვართ...

— ესე იგი, ღორია.

— არ არის ღორი. მაგარი კაცია.

— მაგრამ ნაგავი ხასიათი აქვს.

— არაჩვეულებრივი ადამიანია. შენი საქმე არ არის. და სანამ რამეს დააბრალებ, ჭკვიანიც არის...

— მაშინ, ცოლიანია.

— არ არის ცოლიანი. ღმერთმანი, ტრინა, დამაცდი ახსნას? მომწონს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ურთიერთობა მინდა.

— რადგან სხვა სიმპათიური, დასაქმებული, უცოლო კაცების რიგი გიდგას?

გამჭოლი მზერა ვესროლე.

— უბრალოდ გახსენებ — ნაჩუქარი ცხენიო, ხომ იცი.

— გამოცდის პასუხებს როდის გაიგებ?

— თემას ნუ ცვლი, — ამოიოხრა და რძის მორიგი პაკეტი გახსნა, — რამდენიმე კვირაში.

— რა გადარდებს? უმაღლეს ქულებს მიიღებ. ხომ იცი, რომ ასეა.

— რა მნიშვნელობა აქვს? მაინც აქ ვარ გამომწყვდეული.

შუბლი შევიკარი.

— სტროტფოლდში სამსახური არ იშოვება. ლონდონში კი ბინის ქირას ვერ გადავიხდი, თანაც ტომის ძიძის საფასურიც დამემატება. თავიდან ბევრს არავის უხდიან, რა მაღალი ქულებიც არ უნდა ჰქონდეს.

მორიგი ჭიქა გაავსო. მინდოდა, შევწინააღმდეგებოდი, ასე არ არის-მეთქი. მაგრამ მეც კარგად ვიცოდი, რა მკაცრი წესები მოქმედებდა შრომის ბაზარზე.

— აბა, რას აპირებ?

— ჯერჯერობით აქ დავრჩები. შეიძლება, აქედან ვიარო ლონდონში. იმედია, დედა თავისი ფემინისტური მეტამორფოზის გამო უარს არ იტყვის სკოლიდან ტომის წამოიყვანაზე, — სუსტად გაიღიმა, თუმცა სულაც არ ეღიმებოდა.

ჩემი და ასეთი გულგატეხილი არასოდეს მენახა. თუნდაც სევდიანი ყოფილიყო, რობოტივით აგრძელებდა მოქმედებას. დეპრესიის თაობაზე მტკიცედ მისდევდა ფილოსოფიას „გაისეირნე და დაიკიდე“. ვცდილობდი, მომეფიქრებინა, როგორ გა-

მემხნევებინა, როცა კერძების მაგიდაზე უეცარი ალიაქოთი ატყდა. გავიხედეთ და მამა და დედა დავინახეთ, შოკოლადის ტორტთან იდგნენ და კამათობდნენ. ხმადაბლა ესისინებოდნენ ერთმანეთს, არ უნდოდათ სხვებს გაეგოთ, მაგრამ ჩხუბისგან მაინც ვერ იკავებდნენ თავს.

— მამა? დედა? ყველაფერი რიგზეა? — მათკენ გავემართე.

მამამ მაგიდისკენ მიმითითა:

— ეს სახლში გამომცხვარი ტორტი არ არის.

— რა?

— ტორტი. სახლში არ არის გამომცხვარი. შეხედე.

შევხედე. უზარმაზარი, მდიდრულად მოსარკული შოკოლადის ტორტი იყო, სანთლებს შორის შოკოლადის ბურთულები გაეფანტათ.

გულგაწყალებულმა დედამ თავი გააქნია.

— ესსე მქონდა დასაწერი.

— ესსე. სკოლაში ხომ არ სწავლობ! ყოველთვის უცხობდი ბაბუას ტორტს.

— მშვენიერი ტორტია, კარგი საკონდიტროდან. მამას სულაც არ აწუხებს, რომ სახლში გამომცხვარი არ არის.

— როგორ არა. ის ხომ მამაშენია. ხომ გაწუხებს, ბაბუ?

ბაბუამ ჯერ ერთს შეხედა, მერე — მეორეს და თავი გააქნია. ჩვენ გარშემო ყველა გაჩუმდა. მეზობლებმა ერთმანეთს ნერვიულად შეავლეს თვალი. ბერნარდ და ჯოზი კლარკები ხომ არასოდეს კამათობდნენ.

— ამას მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ გული არ გატკინოს, — წამოიძახა მამამ.

— თუ მას არ სტკივა გული, ბერნარდ, შენ რა გაწუხებს? აი შოკოლადის ტორტი. მისი დაბადების დღე არ დამვიწყებია.

— უბრალოდ მსურს, პირველ ადგილას ოჯახი დააყენო! განა ბევრს ვითხოვ, ჯოზი? ერთი სახლში გამომცხვარი ტორტი.

— მე ხომ აქ ვარ! ტორტიც არის, სანთლებით! დაწყევლილი სენდვიჩებიც! ბაჰამაზე კი არ ვირუჯები! — დედამ აკოკოლავებული თეფშები მაგიდაზე უხეშად დააწყო და მკლავები მკერდზე დაიკრიფა.

მამა აპირებდა, კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ დედამ ხელის აწევით გააჩუმა.

— მაშ ასე, ბერნარდ, ოჯახზე მზრუნველო კაცო, შენ რა გააკეთე დაბადების დღისთვის, ჰა?

— ოჰ-ო... — ტრინა მომიახლოვდა.

— მამას ახალი პიჟამო უყიდე? უყიდე? შეუფუთე? არა. ისიც კი არ იცი, რა ზომის ტანსაცმელს ატარებს. საკუთარი შარვლის ზომაც კი არ იცი, რადგან შარვლებსაც მე ვყიდულობ შენთვის. შენ ადექი დილით, შვიდ საათზე, რომ სენდვიჩებისთვის პური მოგეტანა? რადგან ერთი იდიოტი წუხელ პაბიდან გვიან დაბრუნდა, ორი ტოსტი შეჭამა და დანარჩენი პური გასახმობად დატოვა? არა. ტრაკი არ აგიწევია, სპორტულ გაზეთებს კითხულობდი. უკვე რამდენიმე კვირაა, მეწუწუნები, რადგან გავბედე და საკუთარი ცხოვრების ოცი პროცენტი ჩემს თავს მივუძღვენი — ვცდილობ, გავერკვე, სხვა რამეც თუ შემიძლია, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. და როცა მე გირეცხავ ტანსაცმელს, ბაბუას ვუვლი, მის ჭურჭელს ვრეცხავ, შენ მაღაზიაში შეძენილ ტორტზე მეჩხუბები! იცი, რა, ბერნარდ, შეგიძლია ადგე და ეგ მაღაზიაში ნაყიდი ტორტი, რომელიც თურმე ფეხებზე დაკიდებისა და უპატივცემულობის ნიშანია, აიღო და გაიკეთო... იცი სადაც... — დედამ ხმამაღლა დაიღრიალა, — იცი სადაც... მოკლედ... სამზარეულო იქაა, მიქსერი იქაა... მიბრძანდი და თვითონ გამოაცხვე!

ამ სიტყვებით ტორტი ლანგრით აიღო და მამას ცხვირწინ ძირს დაახეთქა. მერე ხელები წინსაფარზე შეიწმინდა და ბაღიდან სახლისკენ გაემართა.

შესავლელთან შეყოვნა, წინსაფარი მოიგლიჯა და მიწაზე დაადგდო.

— ტრინა, შეგიძლია მამაშენს აჩვენო, რეცეპტების წიგნი სად არის. აქ სულ რაღაც ოცდარვა წელია ცხოვრობს, თვითონ საიდან უნდა იცოდეს!

ამის მერე, ბაბუას წვეულება დიდხანს არ გაგრძელებულა. მეზობლები დაიფანტნენ. მოგუდული ხმებით ჭორაობდნენ და გულითად მადლობას გვიხდიდნენ მშვენიერი წვეულებისთვის, თან თვალი სამზარეულოსკენ გაურბოდათ. ვხვდებოდი, ისინიც ისეთივე გაოგნებულები იყვნენ, როგორიც — მე.

— ეს კამათი დიდი ხნის განმავლობაში იხარშებოდა, — ჩაილაპარაკა ტრინამ, როცა მაგიდის ალაგებას შევუდექით, — მამა თავს მიტოვებულად გრძნობს. დედას კი ვერ გაუგია, რატომ არ აცლის მამა ცოტაოდენ პიროვნულ ზრდას.

მამაჩემისკენ გავიხედე, რომელიც ბუზღუნით აგროვებდა ბალახზე დაყრილ ხელსახოცებსა და ცარიელ ლუდის ქილებს. საშინლად დათრგუნვილი ჩანდა. თვალწინ წარმომიდგა დედაჩემი ლონდონის სასტუმროში, რომელიც თითქოს ახალი სიცოცხლით ბრწყინავდა.

— მაგრამ ისინი ხომ მოხუცები არიან! ურთიერთობის ამბები უკვე კარგა ხნის მოგვარებული უნდა ჰქონდეთ!

ტრინამ წარბები მაღლა აზიდა.

— ხომ არ გგონია..?

— არა, რა თქმა უნდა, — მითხრა ტრინამ. თუმცა ხმაში რწმენა არ ეტყობოდა.

ტრინას სამზარეულოს დალაგებაში შევაშველე ხელი და ტომს ათი წუთით „სუპერ მარიო“ (1985 წელს გამოგონებული ვიდეო თამაში) ვეთამაშე. დედა თავის ოთახში დარჩა, ესსეს წერას აგრძელებდა. ბაბუამ მეოთხე არხის რბოლებს შეაფარა თავი. მეგონა, მამა ისევ პაბში წავიდა, მაგრამ, სახლში დასაბრუ-

ნებლად გამზადებული, წინა კარიდან რომ გავედი, გარეთ დამხვდა — სამსახურის ფურგონის მძღოლის სავარძელში იჯდა.

ფანჯარაზე რომ დავუკაკუნე, ლამის წამოხტა. კარი გავაღე და მის გვერდით მოვთავსდი. მეგონა, სპორტულ სიახლეებს უსმენდა რადიოში, მაგრამ მანქანაში სიჩუმე გამეფებულიყო.

ღრმად ამოიოხრა.

— ალბათ ჩერჩეტი მოხუცი გგონივარ.

— სულაც არ ხარ ჩერჩეტი მოხუცი, მამა, — მკლავი გავკარი, — ყოველ შემთხვევაში, მოხუცი მაინც არ ხარ.

მდუმარედ ვისხედით. ვუყურებდით, ელისების გვარის ბიჭები ველოსიპედებით ქუჩაზე როგორ დაეშვნენ. ერთდროულად დავიმანჭეთ, როცა უმცროსმა მეტისმეტად წრაფად დაამუხრუჭა და ასფალტზე გასრიალდა.

— მინდა, ყველაფერი ძველებურად იყოს. ნუთუ, მეტისმეტად ბევრს მოვითხოვ?

— უცვლელად არაფერი რჩება, მამა.

— მე უბრალოდ... უბრალოდ ჩემი ცოლი მენატრება, — გულგატეხილი ჩანდა.

— იცი, უნდა დატკბე იმით, რომ დაქორწინებული ხარ ადამიანზე, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსეა. დედა აღტაცებულია. თავს ისე გრძნობს, თითქოს ცხოვრება სხვა თვალით დაინახა. ცოტა თავისუფლება უნდა მისცე.

მამას პირი ისევ მოკუმული ჰქონდა.

— ის ხომ კვლავაც შენი ცოლია, მამა. უყვარხარ.

ბოლოს ჩემკენ მოტრიალდა.

— ვაითუ, გადაწყვიტოს, რომ მე საკუთარი ცხოვრება არ გამაჩნია? ვაითუ, ამ ახალმა რაღაცებმა თავგზა აურიოს და... — ნერწყვი გადაყლაპა, — ვაითუ, მიმატოვოს.

ხელი მაგრად მოვუჭირე. მერე მივხვდი რა აჯობებდა — გადავიხარე და ჩავეხუტე.

— შენ ამას არ დაუშვებ.

უფერული ღიმილი, რომელიც შემომაგება, მთელი გზა თან გამყვა.

დარდთან გამკლავების წრეზე წასასვლელად ვემზადებოდი, ლილი რომ მოვიდა. ისევ კამილასთან იყო და სახლში ჭუჭყისგან გაშავებული ფრჩხილებით მოვიდა, რადგან ბოლო დროს ბებიასთან ერთად მებაღეობას მიჰყო ხელი. მეზობლისთვის ბუჩქის ღობე გავაშენეთო, მხიარულად მითხრა. ის ქალი ისეთი კმაყოფილი დარჩენილა, ლილისთვის ოცდაათი ფუნტი უჩუქებია.

— ღვინის ბოთლიც მოგვცა, მაგრამ ვუთხარი, სჯობს ბებომ დაიტოვოს-მეთქი.

არ გამომპარვია, როგორ უყოყმანოდ თქვა სიტყვა „ბებო“.

— გუშინ ღამე ჯორჯინას ველაპარაკე სკაიპით. მასთან დილა იყო, რადგან ავსტრალიაში ცხოვრობს, მაგრამ სასიამოვნოდ ვისაუბრეთ. დამპირდა, რომ თავისი და მამას ბავშვობის ძალიან ბევრ ფოტოს გამომიგზავნის ელექტრონული ფოსტით. მითხრა ძალიან ჰგავხარო. ლამაზი ქალია. ძაღლი ჰყავს, სახელად ჯეიკობი და როცა ჯორჯინა პიანინოზე უკრავს, ის ყმუის.

სანამ ლილი ლაყბობდა, მაგიდაზე სალათი, პური და ყველი დავულაგე. არ ვიცოდი, მეთქვა თუ არა მისთვის, რომ სტივენ ტრეინორმა ისევ დარეკა, უკვე მეოთხედ. იმედი ჰქონდა, რომ ლილის დაარწმუნებდა, ახალშობილი ენახა.

— ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. დელა ახლა უფრო მშვიდად გრძნობს თავს, რადგან ბავშვი უკვე დაიბადა.

ალბათ სჯობდა, ამაზე მოგვიანებით გვესაუბრა. გასაღებების ასხმას დავწვდი.

— უი, სანამ წახვალ, რაღაც უნდა გითხრა, — გამომიცხადა ლილიმ, — სკოლაში ვბრუნდები.

— რა?

— სკოლაში ვივლი, ბებოსთან ახლოს. გახსოვს? ადრე რომ მოგიყევი? იმ სკოლაში, რომელიც მომწონდა. კვირის დღეებში იქ ვიცხოვრებ, შაბათ-კვირას კი ბებოსთან დავრჩები.

— ოჰო!

— მაპატიე, ვაპირებდი, მეთქვა, მაგრამ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. სკოლაზე ვუყვებოდი, ბებომ საცდელად დარეკა და უთხრეს, მივიღებთო. წარმოიდგინე, თურმე ჩემი მეგობარი ჰოლიც ისევ იქ სწავლობს! ფეისბუქზე მივწერე და მითხრა, ერთი სული მაქვს, დაბრუნდეო. ყველაფერი, რაც მოხდა, არ მომიყოლია და ალბათ არც არასოდეს მოვუყვები, მაგრამ მასთან საუბარი მესიამოვნა. ის მანამდე მიცნობდა, სანამ ცუდი ამბები დაიწყებოდა. ის... კარგი გოგოა, იცი?

ვუსმენდი, როგორ გაცხარებით საუბრობდა და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს გველის გამოცვლილი ტყავივით მიმაგდეს.

— ეს ყველაფერი როდის ხდება?

— სექტემბერში, სემესტრის დასაწყისში იქ უნდა ვიყო. ბებოს აზრით, სჯობს, მალევე გადავიდე. შეიძლება, მომავალ კვირას.

— მომავალ კვირას? — გაოცება ვერ დავმალე, — დედაშენი რას ამბობს?

— უხარია, რომ სკოლაში ვბრუნდები. მით უმეტეს, რომ სწავლის ფულს ბებო იხდის. დედა იძულებული გახდა ამ სკოლისთვის წინა სკოლის ამბები ეცნობებინა და ისიც ეთქვა, რომ გამოცდები არ ჩამიბარებია; ვხვდები, ბებო გულზე არ ეხატება, მაგრამ არ შემწინააღმდეგებია. „შენ თუ გაგაბედნიერებს, თანახმა ვარ, ლილი. იმედი მაქვს, ბებიაშენსაც ისე არ მოექცევი, როგორც ყველა დანარჩენს“.

თვითონვე გაეცინა თავის მიერ ტანიას ტონის გამოჯავრებაზე.

— ამას რომ ამბობდა, ბებოს გავხედე და შევამჩნიე, სულ ოდნავ ასწია წარბი. თუმცა მე მაშინვე მიხვდი, რაც გაიფიქრა. გითხარი, რომ თმა წაბლისფრად შეიღება? ახლა ბევრად უკეთ გამოიყურება, კიბოთი დაავადებულს აღარ ჰგავს.

— ლილი!

— არა უშავს. ეს რომ ვუთხარი, თავადაც გაეცინა, — ჩაეღიმა ლილის, — მამაშენი იტყოდა ეგეთ რამესო.

— კარგია, — ჩავილუღლუღე, — როგორც ჩანს, ყველაფერი მოგიგვარებია.

მზერა მესროლა.

— ასეთი ტონით ნუ ამბობ.

— მაპატიე, მე უბრალოდ... მომენატრები.

სახე გაებადრა.

— არ მოგენატრები, სულელო, რადგან არდადეგებსა და დასვენების დღეებში აქ ვიქნები ხოლმე. მთელ დროს ოქსფორდშირში, მოხუცებთან ვერ გავატარებ, თორემ გავგიჟდები. მაგრამ ასე სჯობს. მასთან... მასთან თავს ოჯახში ვგრძნობ. უხერხულობას არ ვგრძნობ. მეგონა, ასე იქნებოდა, მაგრამ ვცდებოდი. და, ლუ... — გამეტებით ჩამეხუტა, — შენ ყოველთვის ჩემი მეგობარი იქნები. დასავით ხარ, რომელიც არასოდეს მყოლია.

მეც ჩავეხუტე და ვეცადე, გამეღიმა.

— თანაც, განმარტოება გჭირდება, — თავი გაითავისუფლა, პირიდან საღეჭი რეზინი გამოიღო და ფრთხილად გაახვია ქაღალდის ნაგლეჯში, — არც ისე სასიამოვნო მოსასმენი იყო, როგორ ეძლეოდით ვნებას შენ და მიმზიდველი სასწრაფო დახმარების ექიმი.

„ლილი მიდის“.

„სად მიდის?“

„ბებიასთან გადადის საცხოვრებლად. თავს უცნაურად ვგრძნობ. ძალიან ბედნიერია. მაპატიე. არ მინდა, სულ უილთან დაკავშირებულ თემებზე გესაუბრო, მაგრამ სხვა არავინ მყავს“.

ლილიმ ჩანთა ჩაალაგა. ხალისიანად წაშალა ჩემი მეორე საძინებლიდან თავისი აქ ცხოვრების ყველა ნიშანი. მხოლოდ კანდინსკის ნახატი, გასაბერი საწოლი, პრიალა ჟურნალები და დეოდორანტის ცარიელი ქილა დატოვა. სადგურამდე მივიყვანე, გზად მის განუწყვეტლივ ლაქლაქს ვუსმენდი და ვცდილობდი, არ დამტყობოდა, როგორ განვიცდიდი. კამილა ტრეინორი დანიშნულების ადგილას დაელოდებოდა.

— უნდა გვესტუმრო. ჩემი ოთახი ლამაზად მოვაწყვეთ. მეზობელ სახლში ცხენი ჰყავთ. ფერმერმა ნება დამრთო ვიჯირითო ხოლმე. ჰო, თანაც, ერთი კარგი პაბიც არის.

გამგზავრებების განრიგის ტაბლოს გახედა და წამოხტა.

— ჯანდაბა, ჩემი მატარებელი. მეთერთმეტე ბაქანი საით არის?

ხალხის მასაში მარდად გაიქცა, ჩანთა მხარზე გადაეკიდებინა, გრძელ ფეხებზე შავი წინდები ეცვა. გაქვავებული ვიდექი, ვუყურებდი, როგორ მიდიოდა ჩემგან. სიმაღლეშიც გაზრდილა.

უეცრად შემოტრიალდა და გასასვლელთან თვალებით მომძებნა. ხელი დამიქნია, ფართოდ გამიღიმა, სახეზე აწეწილი თმა გადმოეყარა.

— ეი, ლუ! — გამომძახა, — მინდოდა ეს მეთქვა: დარდის გადალახვა და ცხოვრების გაგრძელება არ ნიშნავს, რომ მამაჩემი საკმარისად არ გიყვარდა. დარწმუნებული ვარ, თვითონაც ამას გეტყოდა.

და მერე გაუჩინარდა, ხალხის მასამ ჩაყლაპა.

ღიმილი უილისას უგავდა.

„ის შენი შვილი არ ყოფილა, ლუ“.

„ვიცი. მაგრამ ის ცხოვრების მიზანს მაძლევდა“.

„ერთადერთი ადამიანი, ვისაც მიზნის მოცემა შეუძლია, თავად ხარ“.

წუთით დავფიქრდი და ეს სიტყვები გავიაზრე.

„შეიძლება, შევხვდეთ? გთხოვ!“

„დღეს ვმორიგეობ“.

„ცვლის მერე გამომივლი?“

„კვირის ბოლოს, ალბათ. დაგირეკავ“.

სიტყვამ „ალბათ“ ყველაფერს მიმახვედრა. რაღაც დასასრულის მსგავსი იყო ამ სიტყვაში, თითქოს კარი ნელა მომიხურეს. ტელეფონს დაჟინებით ვუცქერდი, ჩემ გარშემო მგზავრები ბუტბუტით დადიოდნენ. ჩემში რაღაც შეიცვალა. ან სახლში წავიდოდი და კიდევ ერთ დანაკარგს გამოვიტირებდი, ან მოულოდნელ თავისუფლებას გამოვიყენებდი. თითქოს გონება გამინათდა — ერთადერთი გზა, რომ არ ჩამორჩე, წინსვლაა.

სახლში წავედი, ყავა მოვიდუღე და ნაცრისფერ კედელს მივაჩერდი. მერე კი ლეპტოპი გავხსენი.

„ძვირფასო ბატონო გოპნიკ,

ჩემი სახელია ლუისა კლარკი. გასულ თვეში თქვენ სულგრძელად შემომთავაზეთ სამსახური, რომელზეც უარი ვთქვი. ვაცნობიერებ, რომ ადგილი უკვე დაკავებული იქნება, მაგრამ ეს რომ არ გითხრათ, მუდამ ვინანებ.

მე ძალიან მინდოდა თქვენთან მუშაობა. ჩემი წინა დამსაქმებლის შვილი გასაჭირში რომ არ აღმოჩენილიყო, ტყვიასავით გამოვქანდებოდი. არ მსურს, ჩემს გადაწყვეტილებაში ის დავადანაშაულო, რადგან მისი მოვლა ჩემთვის ბედნიერება იყო. მაგრამ მინდოდა მეთქვა, თუ ოდესმე კვლავ დაგჭირდებათ ვინმე, გამიხსენეთ.

ვიცი, დაკავებული ადამიანი ბრძანდებით, ამიტომ მეტ დროს აღარ წაგართმევთ. მხოლოდ ეს მინდოდა გცოდნოდათ.

საუკეთესო სურვილებით,

ლუისა კლარკი“

წარმოდგენა არ მქონდა, რას ვაკეთებდი, მაგრამ ხომ ვმოქმედებდი. გაგზავნის ღილაკს დავაწექი და ამ პატარა ქცევამ უეცრად, ცხოვრების მიზანი გამიჩინა. სააბაზანოში გავქანდი, შხაპი მოვუშვი, ტანსაცმელი გავიძრე და ცხელ წყალს შევუშვირე თავი. სანამ თმას ვიქაფებდი, გონებაში გეგმებს ვაწყობდი. სასწრაფო დახმარების სადგურში წავიდოდი, სემს ვიპოვიდი და...

კარზე ზარი გაისმა. შევიკურთხე და პირსახოცი ავიღე.

— ყელში ამომივიდა, — განაცხადა დედაჩემმა.

რამდენიმე წამი დამჭირდა, გამეაზრებინა, რომ მართლაც დედაჩემი იდგა ზღურბლზე, ჩემოდნით ხელში. პირსახოცი შემოვიხვიე, თმიდან წურწურით ჩამომდიოდა წყალი ხალიჩაზე.

— რა ამოგივიდა?

სახლში შემოვიდა და კარი დახურა.

— მამაშენი. ყველაფერზე მეჯუჯღუნება. ისე იქცევა, თითქოს მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ვარ, რადგან მსურს, ცოტა დრო საკუთარ თავს დავუთმო. ამიტომაც გამოვუცხადე, რომ დასასვენებლად ცოტა ხნით აქ მოვდიოდი.

— დასასვენებლად?

— ლუისა, შენ ვერც კი წარმოგიდგენია. გამუდმებით უხასიათოდაა და უკმაყოფილოა. არ შემიძლია, ქვასავით უცვლელი ვიყო, გესმის? ყველა იცვლება, რატომ არ შეიძლება მეც შევიცვალო?

თითქოს საათების წინ დაწყებულ საუბარში ჩავერთე გვიან ღამით, რომელიღაც ბარში.

— ფემინისტური ცნობიერების კურსის შესწავლა რომ დავიწყე, მეგონა, დიდი ნაწილი გაზვიადებული იყო. მამაკაცებისგან ქალების პატრიარქალური კონტროლი? თუნდაც გაუცნობიერებლად? თურმე, ნახევარიც არ ყოფილა. მამაშენი ვერც კი

აღმიქვამს პიროვნებად, რომელსაც მაგიდისა და საწოლის გაშლის გარდა სხვა ფუნქციაც აქვს.

— ოჰ...

— მეტისმეტია?

— მგონი.

— მოდი, ჩაიზე განვიხილოთ, — დედამ ჩამიარა და სამზარეულოსკენ გასწია, — აქაურობა უკეთ გამოიყურება, მაგრამ ნაცრისფერი მაინც არ მომწონს. გთრგუნავს. აბა, ჩაის სად ინახავ?

დედა ტახტზე იჯდა, ჩაი უცივდებოდა. მე კი ვუსმენდი მისი იმედგაცრუების ტირადას და ვცდილობდი დროზე არ მეფიქრა. სემი ნახევარ საათში დაიწყებდა მორიგეობას. ოცი წუთი მჭირდებოდა იქ მისასვლელად. დედაჩემი კი ხმას უწევდა, ხელებს იქნევდა და ვხვდებოდი, ვერსად წავიდოდი.

— წარმოგიდგენია, როგორი სულის შემხუთველია, როცა გეუბნებიან, რომ ვერასოდეს შეიცვლები, მთელი ცხოვრების განმავლობაში?! რადგან ეს არავის სურს, შენ გარდა. იცი, რა საშინელი გრძნობაა, როცა გამომწყვდეული ხარ?!

თავი მტკიცედ დავუქნიე. ვიცოდი. ნამდვილად ვიცოდი.

— დარწმუნებული ვარ, მამას არ სურს, თავს ასე გრძნობდე, მაგრამ მისმინე, მე...

— ისიც კი შევთავაზე, ღამის სკოლაში ესწავლა. რაიმე ისეთი, რაც მოეწონებოდა: ანტიკვარიატის რესტავრირება, ფერწერა ან რაიმე სხვა. შიშველი ნატურებიდან ხატვის წინააღმდეგიც არ ვარ! ვიფიქრე, ერთად გავიზრდებით-მეთქი! ასეთი ცოლი მინდა ვიყო, ცოლი, რომელიც არ უკრძალავს ქმარს შიშველი სხეულების ყურებას, თუ ეს ხელოვნების სახელით ხდება... მაგრამ ის გაიძახის, სკოლაში რა ჯანდაბა მინდაო. თითქოს მენოპაუზა ჰქონდეს. ფეხების გაპარსვაზეც ხომ სული ამომხადა! ორმაგი

სტანდარტები აქვს. იცი, რამხელა ბეწვები აქვს ნესტოებში, ლუისა?

— ა-არა.

— მე გეტყვი! თეფშებს გაამშრალებდა მათით! ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში დალაქს მე ვეუბნებოდი, შეეკრიჭა, გესმის? ბავშვივითაა. ეს მაწუხებს? არა! ვიცი, რომ ასეთია. ადამიანია! დიდი ამბავი, ნესტოებში თმა ეზრდება! მაგრამ მე თუ გავბედე და ბავშვის უკანალივით გაპრიალებული არ ვარ, ისე იქცევა, თითქოს ჩუბაკად (ჩუბაკა — „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟი) გადავიქეცი!

ექვსის ათი წუთი იყო. ექვსის ნახევარზე სემი სადგურიდან გავიდოდა. ამოვიოხრე და პირსახოცი მოვიხვიე.

— როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს დარჩები აქ?

— არ ვიცი, — დედამ ჩაი მოსვა, — ახლა სოციალურ მუშაკებს მოაქვთ ბაბუასთვის ლანჩი. არ არის აუცილებელი, სულ სახლში ვიყო. იქნებ რამდენიმე დღით დავრჩე. ბოლოს აქ რომ ვიყავი, მშვენიერი დრო გავატარეთ, ხომ ასეა? ხვალ შეგვიძლია წავიდეთ და საპირფარეშოების მარია მოვინახულოთ. ხომ შესანიშნავი იქნება?

— მშვენიერი.

— კარგი. წავალ, საწოლს გავიშლი. სადაა შენი გასაბერი საწოლი?

ის-ის იყო, წამოვდექით, რომ კარზე ზარმა ისევ დარეკა. გავაღე, მეგონა ვიღაცამ შეცდომით ჩემს მისამართზე მოიტანა პიცა. მაგრამ ჩემ წინ ტრინა, ტომი და მათ უკან ურჩი თინეიჯერივით შარვლის ჯიბეებში ხელებჩატენილი მამაჩემი იდგნენ.

ტრინას ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე ჩამიარა.

— დედა, რა სიგიჟეა. მამას ვერ გაექცევი. რამდენი წლის ხარ? თოთხმეტის?

— არ გავრბივარ, ტრინა. თავს ცოტა ხნით ამოსუნთქვის საშუალებას ვაძლევ.

— აქ ვისხდებით, სანამ თქვენ ორნი ამ სისულელეს არ მოაგვარებთ. იცოდი, რომ მამას თავის ფურგონში სძინავს, ლუ?

— რა? ეს ჩემთვის არ გითქვამს, — შევუტრიალდი დედას.

დედამ ნიკაპი მაღლა ასწია.

— იმდენს ლაპარაკობდი, ვერ მოვახერხე, მეთქვა.

მამა და დედა ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

— მამაშენისთვის არაფერი მაქვს სათქმელი, — განაცხადა დედამ.

— დასხედით, — უკარნახა ტრინამ, — ორივენი.

ტახტისკენ გაემართნენ, ერთმანეთს ბრაზიანად უყურებდნენ. ტრინა მე მომიბრუნდა.

— მაშ ასე, ჩაი მოვადუღოთ. მერე კი ყველაფერი ოჯახურად მოვაგვაროთ.

— ჩინებული აზრია! — წამოვიძახე და შანსი ხელიდან არ გავუშვი, — რძე მაცივარშია, ჩაიც იქვე. მიირთვით. მე ნახევარი საათით უნდა გავიქცე.

სანამ ვინმე მოასწრებდა შევეჩერებინე, ჯინსის შარვალი და მაისური გადავიცვი და მანქანის გასაღებით ხელში სახლიდან სირბილით გავვარდი.

როგორც კი სასწრაფო დახმარების სადგურის ავტოსადგომზე შევუხვიე, სემი მაშინვე შევნიშნე. თავისი მანქანისკენ მიდიოდა, ჩანთა მხარზე გადაეკიდა. გული შემეკუმშა. მისი ტკბილი სხეული, მისი რბილი ნაკვთები — ძალიან ნაცნობი იყო. მოტრიალდა და წაბორძიკდა, თითქოს ჩემს დანახვას არაფრით ელოდა. მერე ისევ მანქანისკენ მიტრიალდა, ღია ფანჯრების აწევა დაიწყო.

მისკენ წავედი.

— შეიძლება, ვილაპარაკოთ?

ჟანგბადის მძიმე ბალონი ისე მსუბუქად გადადგა, თითქოს თმის ლაქის ქილა ყოფილიყო და დამცავი შეუმოწმა.

— რა თქმა უნდა. მაგრამ სხვა დროს, უკვე გავდივარ.

— ვერ მოვიცდი.

გამომეტყველება არ შესცვლია. ბინტების შეკვრის ასაღებად შეჩერდა.

— მისმინე, უბრალოდ მინდა აგიხსნა... რაზეც ბოლოს ვისაუბრეთ. მე მომწონხარ. ძალიან მომწონხარ. უბრალოდ... უბრალოდ მეშინია.

— ყველას გვეშინია, ლუ.

— შენ არაფრის გეშინია.

— როგორ არა, მაგრამ შენ ვერ შეამჩნევდი.

თავის ჩექმებს დააცქერდა. უცებ დონას მოჰკრა თვალი, რომელიც მისკენ მორბოდა.

— ჯანდაბა. წასვლის დროა.

სასწრაფო დახმარების მანქანაში ავხტი.

— წამოგყვები. სადაც მიდიხართ, იქიდან ტაქსის გავყვები სახლში.

— არა.

— გთხოვ.

— გინდა, დისციპლინარულ საბჭოსთან უფრო მეტ შარში გამხვიო?

— ახალგაზრდა მამაკაცია დაჭრილი, — დონამ ჩანთა მანქანაში შეაგდო.

— უნდა წავიდეთ, ლუისა.

სემს ვკარგავდი. ამას მისი ხმის ტემბრში ვგრძნობდი, მისგან თვალის არიდებაში. მანქანიდან ჩამოვძვერი, საკუთარ თავს ვწყევლიდი დაგვიანების გამო. მაგრამ დონამ იდაყვზე ჩამავლო ხელი და წინ გამწია.

— თუ ღმერთი გწამს, — შეეპასუხა სემის პროტესტს, — თავატ-კიებული დათვივით ხარ მთელი კვირაა. მოაგვარე ეს ამბავი. ლუისას გზაზე ჩამოვსვამთ.

სემი ენერგიულად მიუახლოვდა მანქანას, მგზავრის მხარეს კარი გამიღო და მეთვალყურეთა ოფისს შეავლო მზერა.

— დონა ჩინებული მრჩეველი იქნებოდა ურთიერთობის საკითხებში, — ხმა გაუმკაცრდა, — ურთიერთობა რომ გვქონდეს.

გამეორება არ დამჭირვებია. სემი მძღოლის ადგილას მოკალათდა. ისე გამომხედა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. დონამ ხელსაწყოების დალაგება დაიწყო. სემმა მანქანა დაძრა და ლურჯი განათება ჩართო.

— საით მივდივართ?

— ჩვენ მისამართზე მივდივართ. დაახლოებით შვიდი წუთის სავალზე. შენ კი გზატკეცილზე დაგტოვებთ, კინგსბერიდან ორი წუთის სავალზე.

— ესე იგი, მხოლოდ ხუთი წუთი მაქვს?

— და სახლისკენ მიმავალი გრძელი გზა.

— კარგი, — მანქანა წინ გაიჭრა და მივხვდი, წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მეთქვა.

თავი ოცდამეექვსე

— მოკლედ, ასეთი ამბავია, — დავიწყე მე. სემი გზას უყურებდა. სირენის ხმა ისე გამკივანად გაისმოდა, ყვირილი მიწევდა.

მთელი ყურადღება გზაზე ჰქონდა გადატანილი. მანქანის მართვის პანელზე კომპიუტერის ეკრანს შეავლო თვალი.

— რა ხდება, დონ?

— სავარაუდოდ, დაჭრილი გყავს. ორი შემთხვევაა. ახალგაზრდა კაცი კიბიდან გადმოვარდა.

— ახლა ლაპარაკისთვის შესაფერისი დროა? — ვიკითხე მე.

— გააჩნია, რის თქმას აპირებ.

— განა ურთიერთობა არ მინდა, უბრალოდ დაბნეული ვარ.

— ყველა დაბნეულია, — მომიჭრა დონამ, — ყველა ბიჭი, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ, პირველივე პაემანზე მიცხადებს, რომ ადამიანების ნდობა უჭირს, — სემს გახედა, — უი, მაპატიე. ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

სემი ისევ პირდაპირ იმზირებოდა.

— ერთ წუთში მნძრეველას მეძახდი, რადგან გეგონა სხვა ქალები მყავდა. მეორე წუთში კი ახლოს არ მიკარებდი, რადგან ჯერ კიდევ ვიღაც გიყვარს. ეს ყველაფერი მეტისმეტად...

— უილი გარდაიცვალა. ვიცი. მაგრამ არ შემიძლია ისე სწრაფად გადალახვა, როგორც შენ, სემ. ასე მგონია, ახლა ვიმართები და ვდგები ფეხზე... მე... საშინელ მდგომარეობაში ვიყავი.

— ვიცი. მე გივლიდი.

— მე ძალიან მომწონხარ. ისე ძალიან მომწონხარ, რომ მეშინია, თუ ცუდად დავამთავრებთ, ისევ იმ დღეში ჩავვარდები. მე კი არ ვარ დარწმუნებული, რომ საკმარისი ძალა მაქვს მეორედ გავუძლო ასეთ ტკივილს.

— რატომ უნდა დავამთავროთ ცუდად?

— შეიძლება, დამშორდე. შეიძლება, აზრი შეიცვალო. სიმპათიური ბიჭი ხარ. იქნებ, სხვა ქალი გადმოვარდეს სახურავიდან, შენი მოსავლელი გახდეს და მოგეწონოს. შეიძლება, ავად გახდე. შეიძლება, მოტოციკლით ავარიაში მოყვე.

— ორ წუთში დანიშნულების ადგილას ვიქნებით, — თქვა დონამ, სანავიგაციო სისტემას დაჰყურებდა, — არ გისმენთ, გულწრფელად ვამბობ.

— ასე შეიძლება, ნებისმიერს დაემართოს. და რა? ვისხდეთ და უბედური შემთხვევის შიშით არ გავინძრეთ? ასე გინდა ცხოვრება?

მარცხნივ ისე მოსხლეტით შეუხვია, სკამს ჩავებღაუჭე თავის შესამაგრებლად.

— ჯერაც დონატი ვარ, — ვცადე ახსნა, — მინდა, ფუნთუშა ვიყო, ნამდვილად მინდა. მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ დონატი ვარ.

— ღმერთმანი, ლუ! ყველანი დონატები ვართ! გგონია, მომაკვდავ დას რომ შევყურებდი, არ ვიცოდი, რა გულისტკენა მელოდა მთელი ცხოვრების მანძილზე? არა მხოლოდ მის გამო, მისი ვაჟის გამოც? გგონია, არ ვიცი, ეს რა შეგრძნებაა? ამის საპასუხო რეაქცია მხოლოდ ერთია და შემიძლია გითხრა რაც, რადგან ამას ყოველდღე ვუყურებ — ცხოვრება უნდა გააგრძელო. ყველაფერი უნდა გამოსცადო და არ იფიქრო იარებზე.

— მშვენიერი ნათქვამია, — თავი დააქნია დონამ.

— ვცდილობ, სემ. წარმოდგენაც არ გაქვს, რამდენად უკეთ ვარ ახლა.

და, აი, მივედით. კინგსბერის საცხოვრებელი კორპუსი ჩვენ წინ აღიმართა. უზარმაზარ კარიბჭეში შევედით, მანქანების სადგომს ჩავუარეთ და ჩაბნელებულ ეზოში გავჩერდით. სემმა ძრავა გამორთო და შეიკურთხა:

— ამის დედაც. შენს ჩამოსმას ვაპირებდით.

— არ მინდოდა, შემეწყვეტინებინა, — თქვა დონამ.

— აქ დაგელოდებით, სანამ დაბრუნდებით, — მკლავები მკერდზე დავიკრიფე.

— აზრი არ აქვს, — სემი მანქანიდან გადახტა და ჩანთას დასტაცა ხელი, — არ ვაპირებ სალტოები ვაკეთო შენს დასარწმუნებლად, რომ ჩემთან იყო. ჯანდაბა, სისხლის კვალს ვერსად ვხედავ. სად ვიპოვო დაჭრილი?!

პირქუშ, წაბლისფერი აგურის შენობებს გავხედე. დაახლოებით ოცამდე კიბე ჩანდა ამ კორპუსში და არც ერთის ავლა მოგინდებოდა ჯანიანი პირადი მცველის თანხლების გარეშე.

დონამ ქურთუკი მოიცვა.

— ბოლოს აქ რომ ვიყავი — გულის შეტევაზე გამოგვიძახეს — ოთხი ცდა დამჭირდა ზუსტი მისამართის მისაკვლევად. კარიბჭეც დაკეტილი იყო. დარაჯის პოვნა დაგვჭირდა, რომ გაეღო და მანქანა შემოგვეყვანა. როცა სახლამდე მივაღწიეთ, პაციენტი უკვე გარდაცვლილი დაგვხვდა.

— წინა თვეში აქ ორი გასროლა მოხდა.

— პოლიციას ხომ არ დავურეკო? — იკითხა დონამ.

— არა, დრო არ გვაქვს.

საზარელი სიჩუმე გამეფებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საღამოს რვა საათიც კი არ იყო. ეს შენობები ადრე ქალაქის იმ ნაწილს შეადგენდა, რომელშიც ბავშვები ველოსიპედებით დასეირნობდნენ, სიგარეტს ჩუმ-ჩუმად ეწეოდნენ და გვიან საღამომდე ცელქობდნენ. ახლა, მცხოვრებლები დაღამებამდე ბევრად ადრე კარებს ორმაგი ყურადღებით რაზავდნენ, ფანჯრებზე კი მოწნული რკინის გისოსები ეყენათ. გარე განათებების უმეტესობა ტყვიით ჩაეცხრილათ, დარჩენილი ნათურები კი დროგამოშვებით ციმციმებდნენ, თითქოს ეშინოდათ.

სემი და დონა მანქანის წინ იდგნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. დონამ მანქანის კარი გააღო და ნარინჯისფერი სპეცქურთუკი მომაწოდა.

— ჩაიცვი და გამოგვყევი. სემს შენი აქ მარტო დატოვების ეშინია.

— თვითონ რატომ არ...

— ღვთის გულისათვის! შეწყვიტეთ ორივემ! მისმინე, მე აქეთ წავალ, შენ კი მას გაჰყევი იმ მხარეს. გასაგებია?

დონას დაჟინებით შევყურებდი.

— მერე გაარკვიეთ, — რაციით ხელში გაემართა დონა.

სემს ახლო მანძილზე მივდევდი, როცა ხან ერთ ცემენტის ბილიკს მივუყვებოდით, ხან მეორეს.

— სევერნეიკ ჰაუსი, — ჩაიბუტბუტა, — საიდან უნდა ვიცოდეთ, რომელია სევერნეიკი? — რადიო აშიშინდა.

— სადგურო, მიმართულებას ვერ მოგვცემთ? ამ სახლებს არაფერი აწერია და წარმოდგენა არ გვაქვს, პაციენტი სადაა.

— ბოდიში, — შეწუხებული ტონით გამოეხმაურა ვიღაც, — ჩვენი რუკა კორპუსების დასახელებებს არ გვიჩვენებს.

— გინდა, იმ მხარეს წავიდე? — ჩვენ წინ მივანიშნე, — და სამი სხვადასხვა გზა გვექნება გამოკვლეული. ტელეფონი თან მაქვს.

შარდის სუნით აყროლებულ კიბეს გადავაწყდით, საფეხურებზე საკვების თან წასაღები პაკეტებიდან ჩამოღვენთილი ქონი მიყინულიყო. ყველაფერი წყვდიადში ჩაფლულიყო, მხოლოდ ტელევიზორების ცისფერი ანარეკლები ჩნდებოდა ხანდახან იმის ნიშნად, რომ ამ პატარა ჩაკეტილი ბინების მიღმა სიცოცხლე არსებობდა. ველოდი, რომ შორიდან ალიაქოთის ხმას, ან ჰაერში ვიბრაციას გავიგებდით, რაც პაციენტამდე გზას მიგვასწავლიდა. მაგრამ ყველაფერი კვლავ საზარლად დუმდა.

— არა, ახლოს იყავი. კარგი?

ვხვდებოდი, ჩემი იქ ყოფნა აღელვებდა. გავიფიქრე, ხომ არ ჯობდა, წავსულიყავი, მაგრამ უკან მარტო დაბრუნება არ მინდოდა.

სემი შეჩერდა. შემოტრიალდა, თავი გააქნია. დამუწული პირი არ გაუხსნია. რაციაში დონას ხმა გაისმა.

— აქ ვერაფერი ვიპოვე.

მერე კი ყვირილის ხმა შემოგვესმა.

— აი, იქით, — ვთქვი და ხმას მივყევი. სკვერის მეორე ბოლოში, სანახევროდ განათებულ კუთხეში, მოკუნტული ფიგურა შევნიშნეთ. ლამპიონის ქვეშ კი ვიღაც მიწაზე იწვა.

— წავედით, — თქვა სემმა და გავიქეცით.

ერთხელ მითხრა, ამ საქმეში სისწრაფეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო. რამდენიმე წამიც კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როცა საქმე ვიღაცის გადარჩენას ეხება — ეს ერთ-ერთი პირველი გაკვეთილი იყო, რასაც სასწრაფო დახმარების ექიმებს ასწავლიდნენ. თუ პაციენტი სისხლისგან იცლებოდა, გაჟონვა ან გულის შეტევა ჰქონდა, სწორედ რამდენიმე წამს შეეძლო მისი ბედი გადაეწყვიტა. ასფალტის ბილიკებზე მივქროდით, ნესტიან, ბინძურ კიბეზე, მერე კი გადათელილი ბალახი გადავირბინეთ.

დონა უკვე პაციენტთან იყო ჩამუხლული.

— გოგოა, — სემმა ჩანთა ძირს დააგდო, — ზუსტად მახსოვს, მითხრეს პაციენტი კაციაო.

სანამ დონა დაზიანებებს ამოწმებდა, სემმა სადგურში დარეკა.

— ჰო, ახალგაზრდა მამაკაცია, მოზარდი, აფრო-კარიბული გარეგნობის, — უპასუხა დისპეჩერმა.

სემმა რადიო გამორთო.

— როგორც ჩანს, არასწორად გაიგეს. ზოგჯერ ჩურჩულით რეკავენ, ჩინური აქცენტით.

თექვსმეტი წლისა იქნებოდა, კოხტად დაწნული თმა ჰქონდა. კიდურები ისე ელაგა ასფლატზე, თითქოს საიდანღაც გადმოვარდა. სახეზე უცნაური სიმშვიდე ეწერა. წამით გამიელვა, ნეტა, მეც ასე გამოვიყურებოდი, როცა სემმა მიპოვა-მეთქი?

— გესმის ჩემი ხმა, საყვარელო?

გოგონა არ განძრეულა. სემმა თვალის გუგები, პულსი და ფილტვები გაუსინჯა. სუნთქავდა, დაზიანების აშკარა კვალი არსად ჩანდა. მაგრამ, არ გვპასუხობდა. სემმა მეორედ გასინჯა და თავის აღჭურვილობას მიაცქერდა.

— ცოცხალია?

სემმა დონას შეხედა თვალებში. წამოდგა, ჩაფიქრებულმა მიმოიხედა. კორპუსის ფანჯრები შეათვალიერა, რომლებიც თითქოს მტრული, ცარიელი თვალებით გვიმზერდნენ. მერე გვანიშნა, მასთან მივსულიყავით და ჩუმად გვითხრა:

— რაღაც რიგზე ვერ არის. მოტორული ფუნქციების ტესტს ჩავუტარებ. ამასობაში თქვენ მანქანისკენ გაიქეცით და ძრავა ჩართეთ. ეს თუ ის არის, რაც მგონია, აქაურობას სასწრაფოდ უნდა გავეცალოთ.

— ნარკოტიკებისთვის ჩაგვისაფრდნენ? — ჩაილუღლუღა დონამ, მზერა ჩემ ზურგს უკან გააპარა.

— შეიძლება. ადგილი მეცნო. დარწმუნებული ვარ, ენდი გიბსონს სწორედ აქ ესროლეს.

ვცდილობდი, მშვიდი ხმით მესაუბრა.

— მოტორული ფუნქციების ტესტი რა არის?

— მის მკლავს ავწევ და ხელს გავუშვებ, ისე რომ სახეზე დაეცემა. თუ თავს იკატუნებს, გაიწევა. ყოველთვის ასე ხდება, რეფლექსია. მაგრამ თუ ვინმე გვითვალთვალებს, არ მინდა იეჭვონ, რომ მივხვდით. ლუისა, ისე მოიქეცი, თითქოს აღჭურვილობის მოსატანად მიდიხარ, კარგი? როგორც კი მომწერ, რომ მანქანაში ხარ, მაშინვე ჩავუტარებ ტესტს. თუ ვინმე დგას მანქა-

ნასთან, არ ჩაჯდე, მაშინვე ჩემთან დაბრუნდი. დონა, ჩანთა აიღე და გაემზადე. ლუისას მერე შენ წახვალ. თუ დაინახავენ, რომ ორი ჩვენგანი მიდის, მიხვდებიან.

გასაღები გადმომცა. აღჭურვილობის ჩანთა ავიღე, თითქოს ჩემი იყო და მანქანისკენ სწრაფად გავემართე. უეცრად ვიგრძენი ჩასაფრებული ადამიანების მზერა. გული ამოვარდნაზე მქონდა. ვცდილობდი, სახეზე არაფერი დამტყობოდა და მტკიცე ნაბიჯით მევლო.

მანძილი მანქანამდე საშინლად გაიწელა. როცა მივაღწიე, შვებით ამოვისუნთქე. კარი გავაღე და ის-ის იყო, ვჯდებოდი, რომ სიბნელიდან ხმა შემომესმა.

— მის.

უკან მოვიხედე. ვერავინ დავინახე.

— მის.

ახალგაზრდა ბიჭი გამოჩნდა, ცემენტის ბოძის უკნიდან გამოვიდა, უკან მეორე მოჰყვებოდა. კაპიუშონიანი მაისური ეცვათ, სახეების დასაფარად. გულისცემა ამიჩქარდა, ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე.

— პოლიცია გზაშია, — ვუთხარი, ვცდილობდი, ხმა არ ამკანკალებოდა, — აქ ნარკოტიკები არ გვაქვს. სჯობს, ორივენი წახვიდეთ, კარგი?

— მის, ის სანაგვე ყუთებთან წევს. მათ არ უნდათ, რომ იპოვოთ. სისხლისგან იცლება, მის. ემეკას ბიძაშვილი ამიტომ გაჩვენებთ თავს, თქვენი ყურადღების მიქცევას ცდილობენ, რომ მალე წახვიდეთ.

— რა? რას გულისხმობ?

— დაჭრილი სანაგვე ყუთებთანაა, უნდა დაეხმაროთ, მის.

— რა? სადაა სანაგვე ყუთები?

ბიჭმა უკან შეშფოთებით მიიხედა, როცა ისევ ვცადე, რაღაც მეკითხა, ორივენი სიბნელეში გაუჩინარდნენ.

მიმოვიხედე, ვცდილობდი, გამერკვია, რა იგულისხმა. მერე კი შევნიშნე, გარაჟებს შორის გამოშვერილი ღია მწვანე პლასტმასის კონტეინერის კიდე. ჩრდილებს გავყევი, მთავარი მოედნისგან მოფარებით, სანამ ღია კარს არ მივადექი. მივირბინე და იქ, სანაგვის უკან, ვიღაცის ფეხები შევნიშნე. შარვლის ტოტები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. სხეულის ზედა ნაწილი კონტეინერის ქვეშ შეემალა. დავიხარე. ბიჭმა თავი მოატრიალა და დაიკვნესა.

— გამარჯობა, გესმის ჩემი ხმა?

— დამჭრეს.

ფეხებში მიყენებული ორი ჭრილობიდან სისხლი სდიოდა.

— დამჭრეს...

ტელეფონი ავიღე და სემს დავურეკე, ხმადაბლა ვუთხარი.

— სანაგვე ყუთებთან ვარ, შენს მარჯვნივ. გთხოვ, სწრაფად მოდი.

ვხედავდი, ფრთხილად როგორ მიმოიხედა და მერე მე შემნიშნა. ორი მოხუცი ადამიანი მიუახლოვდა. გოგონაზე შეკითხვებს უსვამდნენ. სახეზე შეშფოთება ეწერათ. სემმა მატყუარა ბიძაშვილს დინჯად გადააფარა საბანი და მოხუცებს სთხოვა, მიეხედათ, სანამ მანქანიდან აღჭურვილობას მოიტანდა. დონა სადღაც გაქრა.

სემის მოცემული ჩანთა გავხსენი, ბინტების შეკვრა გავხიე და ბიჭს ფეხზე დავაჭირე, მაგრამ ძალიან ბევრი სისხლი სდიოდა.

— შენს დასახმარებლად მოდიან. ერთ წუთში სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩაგსვამთ, — რომელიღაც ცუდი ფილმის პერსონაჟივით ვლაპარაკობდი. არ ვიცოდი, სხვა რა მეთქვა. „მალე მოდი, სემ“.

— აქედან უნდა წამიყვანოთ, — ბიჭმა დაიკვნესა.

მკლავზე ხელი დავადე, ვცდილობდი, დამემშვიდებინა. „ჩქარა, სემ, სად ჯანდაბაში ხარ?“ და, უეცრად, ძრავის ხმა შემომეს-

მა, გარაჟების გავლით, მანქანა ჩემკენ უსწრაფესად მოიკვლევდა გზას. შეჩერდა და დონა გადმოხტა. ჩემკენ გამოიქცა, უკანა კარი გააღო.

— დამეხმარე, ჩავსვათ, — მითხრა დონამ, — აქაურობას უნდა მოვშორდეთ.

საკაცეს დრო არ იყო. სადღაც, ზევით, ყვირილი და მრავალი ადამიანის ფეხის ხმა შემომესმა. ბიჭს მხარში შევუდექით, მანქანისკენ წავიყვანეთ და უკან ჩავსვით. დონამ კარი მიაჯახუნა. გულაჩქარებული, კარისკენ გავიქეცი, ჩავხტი და კარი ჩავკეტე. მამაკაცების ბანდა დავინახე, ჩვენკენ მორბოდნენ, აწეულ ხელებში... ნეტა, რა ეჭირათ? თოფები? დანები? ფანჯრიდან გავიხედე. სემი სრულიად ღია სივრცეში მოდიოდა, მაღლა იყურებოდა: ბანდა მანაც შენიშნა.

დონამ სემზე ადრე დაინახა: კაცმა იარაღი მოიმარჯვა. ხმამაღლა შეიგინა და მანქანა უკუსვლით დაძრა, გარაჟთან მოატრიალა და ბალახიანი გზისკენ გაქანდა, საიდანაც სემი მოდიოდა. უკვე ახლოს ვიყავით, სემის მწვანე უნიფორმას სარკეში სულ უფრო და უფრო ცხადად ვხედავდი.

— სემ! — დავიყვირე.

ჯერ მე გამომხედა, მერე — კაცებს.

— სასწრაფო დახმარებას თავი დაანებეთ, — დაუყვირა მათ, — წადით, კარგი? ჩვენ უბრალოდ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ.

— ახლა არა, სემ, ახლა არა, — კბილებში გამოსცრა დონამ.

კაცები კვლავ მორბოდნენ, თან თითქოს ყველაზე მოკლე მარშრუტს ანგარიშობდნენ, ტალღასავით მოაპობდნენ მანძილს. ერთ-ერთი კედლიდან ცქვიტად გადმოხტა, რამდენიმე საფეხურის გამოტოვებით. ერთი სული მქონდა, აქედან გავქცეულიყავით.

მაგრამ სემი ჯერ კიდევ მათკენ მიდიოდა, ხელები ჰაერში აეწია უიარაღობის ნიშნად.

— ბიჭებო, სასწრაფო დახმარებას თავი დაანებეთ, კარგი? აქ მხოლოდ დასახმარებლად ვართ მოსულები, — მშვიდი, მკაცრი ხმით საუბრობდა, შიში საერთოდ არ ეტყობოდა. სარკეში დავინახე, რომ კაცებმა სირბილის თავი ანებეს, უკვე ნელა მოდიოდნენ. „მადლობა ღმერთს“, — გავიფიქრე ჩემთვის. ბიჭი კვლავ კვნესოდა.

— საკმარისია, — თქვა დონამ, — მოდი, სემ, მოდი. დროზე ამოდი, და შეგვიძლია აქედან...

გასროლა.

იარაღის ხმამ ჰაერი გაკვეთა და ცარიელ სივრცეში ისე გაიშალა, რომ წამიერად მომეჩვენა, თითქოს ამ ხმამ ჩემი თავი ჯერ გააფართოვა, შემდეგ კი შეავიწროვა. და მერე ისევ, ძალიან სწრაფად...

გასროლა.

ამოვიკნავლე.

— შენი დედაც! — დაიღრიალა დონამ.

— აქედან უნდა დავახვიოთ! — დაიყვირა ბიჭმა.

უკან მოვიხედე, მინდოდა სემი დამენახა. „ახლავე ჩაჯექი, გთხოვ“. მაგრამ სემი არ ჩანდა. არა, როგორ არა. მიწაზე რაღაც ეგდო: უნიფორმა. მწვანე ლაქა, რუხ ასლაფტზე.

ყველაფერი გაჩერდა.

„არა, — გავიფიქრე, — არა!“

მანქანა წივილით შეჩერდა. დონა გადახტა და მეც უკან ავედევნე. სემი უძრავად ეგდო და უამრავი სისხლი იყო, უამრავი. სისხლის გუბე დინჯად ფართოვდებოდა მის გარშემო. მოშორებით ორი მოხუცი თავიანთი სახლებისკენ მიიპარებოდნენ, ვითომ კიბიდან გადმოვარდნილი გოგო კი ოლიმპიელი სპორტსმენივით სწრაფად გარბოდა ბალახზე. კაცები კი კვლავ ჩვენკენ მოდიოდნენ. პირში რკინის გემო ვიგრძენი.

— ლუ, ხელი ჩაავლე!

სემი მანქანისკენ გავათრიეთ. ტყვიასავით დამძიმდა, თითქოს, განზრახ ცდილობდა, ჩვენთვის ხელი შეეშალა. ხელები მის საყელოსა და სახელოს ჩავავლე, სუნთქვა მიჭირდა. სახე ცარცივით გათეთრებოდა, ნახევრად დახუჭული თვალების ქვეშ, უპეები ჩაშავებოდა, თითქოს ასობით წელი არ სძინებია. მისი სისხლი კანზე მომეცხო. რატომ არ ვიცოდი აქამდე, რა თბილია სისხლი? დონა უკვე მანქანაში იყო, ვაწვებოდით, რომ შიგნით მოგვეთავსებინა. მისი მკლავები და ფეხები რომ მეჭირა, ყელში ქვითინი გამეჩხირა. „დამეხმარეთ! — ვყვიროდი, თითქოს ვინმეს შეეძლო, მომშველებოდა, — დამეხმარეთ!“

როგორც იქნა, შევტენეთ და კარები მივაჯახუნეთ.

ბახ! უეცრად მანქანას რაღაც მოხვდა. დავიკივლე და დავიხარე. გამიელვა: „ნუთუ ასე უნდა მოვკვდე, დახეულ ჯინსში, როცა ჩემი მშობლები რამდენიმე მილის მოშორებით, დაბადების დღის ტორტზე კამათობენ ჩემი დის თანდასწრებით?!“ საკაცეზე დასვენებული ბიჭი ღრიალებდა, თავზარდაცემული ხმით. მერე მანქანა წინ გაიჭრა, მარჯვნივ მოუხვია, როცა მარცხნიდან კაცი მოგვიახლოვდა. დავინახე, ხელი რომ ასწია და მომეჩვენა, რომ ისევ გასროლის ხმა გავიგე. ისევ ინსტიქტურად დავიხარე.

— შენი დედაც! — იგინებოდა დონა და მანქანას ატრიალებდა.

თავი ავწიე. გასასვლელი დავინახე. დონამ ჯერ მარცხნივ შეუხვია, მერე მარჯვნივ. მანქანა ლამის ორ ბორბალზე იდგა, როცა დონამ კუთხეში მოატრიალა. სარკე ვიღაცის მანქანას მოხვდა. ჩვენკენ ვიღაც ბიჭი გადმოხტა, მაგრამ დონა არ შეჩერებულა. ვიღაცამ გაცხარებით დაარტყა მუშტი ჩვენს კარს. მერე კი, უკვე ცენტრალურ გზაზე ვიყავით. გაცოფებული ახალგაზრდები, დამარცხებული გამომეტყველებით გვაყოლებდნენ თვალს და სირბილს წყვეტდნენ.

— ღმერთო ჩემო!

დონამ ლურჯი სინათლე ჩართო, საავადმყოფოს შეტყობინება გადასცა. მისი სიტყვები ვერ გავარჩიე, ყურებში საკუთარი გულისცემა ჩამესმოდა. სემის სახე ხელებში მეჭირა. გაფითრებულს, თვალები შუშასავით გამჭვირვალე გახდომოდა. სრულიად დადუმებულიყო.

— როგორ მოვიქცე? — დავუყვირე დონას, — რა გავაკეთო?

დონამ მანქანა წრეზე დაატრიალა და წამით გამომხედა.

— ჭრილობა იპოვე. რას ხედავ?

— მუცელშია დაჭრილი. ნახვრეტია. ორი ნახვრეტი. ბევრი სისხლია, ღმერთო, ძალიან ბევრი სისხლია, — ხელები დამისველდა და გამიწითლდა. ვქოშინებდი. წამით მეგონა, გული წამივიდოდა.

— უნდა დამშვიდდე, ლუისა, გესმის? სუნთქავს? პულსი ესინჯება?

შევამოწმე და შვებით ამოვისუნთქე.

— ცოცხალია.

— ვერ გავჩერდები, ძალიან ახლოს ვართ. ფეხები აუწიე, კარგი? მუხლები მოახრევინე. სისხლი გულისკენ უნდა დაიძრას. პერანგი გაუხსენი, გახიე. უბრალოდ მოაშორე. ჭრილობას ვერ აღმიწერ?

მისი მუცელი, რომელზეც სწორი, თბილი და რბილი იყო, როცა ჩემსას ეხებოდა, ახლა წითელ, მფეთქავ დომხალად ქცეულიყო. ქვითინი წამსკდა.

— ო, ღმერთო...

— ახლა პანიკაში ნუ ჩავარდები, ლუისა. გესმის? თითქმის მივედით. ჭრილობაზე უნდა დააწვე. მიდი, შენ ამას შეძლებ. ის დიდი ბინტი გამოიყენე. ნებისმიერი რამ, მთავარია, სისხლდენა შეუჩერო. გესმის?

ისევ გზისკენ მიბრუნდა, ცალმხრივი მოძრაობის გზაზე საპირისპირო მიმართულებით გააქროლა მანქანა. საკაცეზე მოთავ-

სებული ბიჭი ჩუმად იგინებოდა, ტკივილის საკუთარ სამყაროში ჩაძირული. ჩვენ წინ, განათებულ ქუჩაზე, მანქანები მორჩილად გვითმობდნენ გზას, რიგები შუაზე იყოფოდა. სირენა ყოველთვის სირენაა.

— ექიმი დაჭრეს. ვიმეორებ, ექიმი დაჭრეს. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობაა მუცლის არეში! — ღრიალებდა დონა რაციაში, — დაახლოებით სამ წუთში მოვალთ. დეფიბრილატორი გაამზადეთ.

ბინტი მოვხსენი, აკანკალებული ხელებით და სემის პერანგი გავგლიჯე. ვცდილობდი გავმაგრებულიყავი. ნუთუ ეს ის კაცი იყო, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტი წუთის წინ მეკამათებოდა?! როგორ შეიძლება მასავით მტკიცე კაცი ჩემ თვალწინ დაღუპულიყო?

— სემ? გესმის ჩემი? — მუხლებზე დაჩოქილი, სისხლისგან გაწითლებული ჯინსით, მის წინ გადავიხარე. თვალები დაეხუჭა. როცა გაახილა, სადღაც შორს იყურებოდა. ისე დავიხარე, რომ ჩემი სახე მისი მხედველობის არეალში მოქცეულიყო. წამით ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და მის მზერაში რაღაცამ იელვა, თითქოს მიცნო.

ხელი მოვუჭირე. ზუსტად ისე, როგორც მას ეჭირა ჩემი ხელი სასწრაფო დახმარების მანქანაში, ძალიან დიდი ხნის წინ.

— კარგად იქნები, გესმის? ყველაფერი კარგად იქნება.

არაფერი. ჩემი ნათქვამი არც კი გაუგია.

— სემ? შემომხედე, სემ.

არაფერი.

თითქოს წარსულში დავბრუნდი, შვეიცარიულ ოთახში, როცა უილმა სახე მიაბრუნა ჩემგან. მას ვკარგავდი.

— არა. არ გაბედო, — ჩემი სახე მისას დავადე, ყურში ჩავძახე, — სემ, ჩემთან უნდა დარჩე, გესმის? — ხელით მის დოლბანდს ვაწვებოდი, მთელი სხეულით — მის ტანს, თან მანქანა მან-

ჯღრეევდა. ქვითინის ხმა მესმოდა, გვიან მივხვდი, ჩემი საკუთარი იყო. სახე შემოვუტრიალე, ვაიძულე, ჩემთვის შემოეხედა, — ჩემთან დარჩი! გესმის? სემ? სემ! სემ! — ცხოვრებაში ასე ძლიერ არასოდეს შემშინებია. მაძრწუნებდა მისი უძრავი მზერა, თბილი სისხლის სისველე, ნიაღვარივით რომ მოედინებოდა მისი ცნობიერების მოქცევა და მიქცევა.

კარი გაიღო.

— სემ!

მანქანა შეჩერდა.

დონა უკან გადმოხტა. პოლიეთილენის ტომსიკა გაფხრიწა, რაღაც მედიკამენტები და ნემსი ამოიღო და სემს მკლავში ინიექცია გაუკეთა. აკანკალებული ხელებით წვეთოვანი დაუდგა და ჟანგბადის ნიღაბი დააფარა სახეზე. გარედან სიგნალი მომესმა. მთელი სხეულით ვთრთოდი.

— მასთან დარჩი! — მიბრძანა დონამ, როცა გზის გათავისუფლება დავაპირე, — ჭრილობაზე დაწოლა გააგრძელე, ასე... ასე, კარგია. ძალიან ეხმარები, — სახე ახლოს მიუტანა, — მიდი, მეგობარო. მიდი, სემ. თითქმის მივედით, — გარედან სირენის ხმა მესმოდა, დონა არ გაჩერებულა, ლაპარაკობდა, მარდად იყენებდა ინსტრუმენტებს, საქმის ცოდნით, წამს არ კარგავდა, — გადარჩები, ჩემო ბებერო მარცხიანო. ცოტა გამაგრდი, კარგი? — შავი ეკრანი მწვანედ ციმციმებდა. ხმოვანი სიგნალი არ წყდებოდა.

მერე კარები ისევ გაიღო და მანქანა ექიმებით, მწვანე უნიფორმებით, თეთრი ხალათებით გაივსო. ბიჭი, რომელიც ჯერ კიდევ წუწუნებდა და ილანძღებოდა, გადაიყვანეს. მერე სემს მოუბრუნდნენ, ფრთხილად ასწიეს. როცა წამოვდექი, მანქანის იატაკზე დაგუბებულ სისხლზე ფეხი ამიცდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელი გავიწოდე. ხელისგული გამიწითლდა.

ხმები მიწყნარდა. დონას მოვკარი თვალი, აღელვებისგან სულ გაფითრებულიყო. ვიღაცამ ბრძანება გასცა: პირდაპირ საოპერაციოში! მე კი დავრჩი მანქანის კარებთან. ვუყურებდი, როგორ მიარბენინებდნენ, მესმოდა, როგორ ხმაურობდა მათი ჩექმები საავადმყოფოს იატაკზე. საავადმყოფოს კარი გაიღო და შთანთქა თუ არა ისინი, დაიხურა. ავტოსადგომზე გამეფებულ სიჩუმეში სრულიად მარტო აღმოვჩნდი.

თავი ოცდამეშვიდე

საავადმყოფოს მოსაცდელ სკამზე გატარებულ საათებს უცნაური მოქნილობა ახასიათებს. როცა უილი გასასინჯად მიმყავდა ხოლმე, ვერც კი ვამჩნევდი, დრო როგორ გადიოდა. ჟურნალებს ვათვალიერებდი, ტელეფონში ძველ შეტყობინებებს ვკითხულობდი, საავადმყოფოს ზომაზე მაგარ ყავას მივირთმევდი და მანქანის გაჩერების გადასახადზე ვღელავდი. უგულისყუროდ ვწუწუნებდი, რა დიდხანს მიგრძელდება აქ ყოფნა-მეთქი.

ახლა კი პლასტმასის სკამზე ვიჯექი, უაზროდ, კედელს მიშტერებულს დროის შეგრძნება დამკარგოდა. ვეღარ ვფიქრობდი. ვეღარაფერს ვგრძნობდი. უბრალოდ ვარსებობდით: მე, პლასტმასის სკამი, ჩემი სისხლიანი ფეხსაცმელების ქვეშ წრიპინა ლინოლეუმი.

თავზევით განათება სასტიკი სიმკვეთრით ნათელში აქცევდა მედდებს, რომლებიც შიგადაშიგ მარდად ჩამივლიდნენ ხოლმე, ყურადღებას არ მაქცევდნენ. მოგგვიანებით ერთ-ერთი მათგანი იმდენად კეთილი აღმოჩნდა, აბაზანამდე მიმაცილა. ხელები დავიბანე, მაგრამ ჯერ კიდევ ვხედავდი სემის სისხლს ფრჩხილებქვეშ. ჟანგისფრად შეფერილი ნუნები ახლახან გადატანილ უბედურებას მოწმობდა. მისი ნაწილი ჩემს ნაწილებში გადმოვიდა. იქ, სადაც მათი ადგილი არ იყო.

როცა თვალებს ვხუჭავდი, ხმები ჩამესმოდა: სასწრაფო დახმარების მანქანაზე მოხვედრილი ტყვიის მკვეთრი ხმა, გასროლის ექო, სირენა, სირენა, სირენა. სემის სახეს ვხედავდი, იმ წამს, როცა შემომხედა, მიცნო და მერე გამომეტყველება წაეშალა — აღარც განგაში ეფინა, არც სხვა რაიმე, გარდა უკმაყოფილებისა, რომ ძირს ეგდო და ვერ ინძრეოდა.

განუწყვეტლივ ვხედავდი იმ ჭრილობებს. სულაც არ იყო ისეთი კოხტა, მომცრო ნახვრეტები, როგორც ფილმებშია ხოლმე. ცოცხალ, მფეთქავ ორგანიზმებს ჰგავდა, რომლებიც იმდენ სისხლს ანთხევდნენ, თითქოს ცდილობდნენ, სემი სისხლისგან დაეცალათ.

პლასტმასის სკამზე უძრავად ვიჯექი, რადგან არ ვიცოდი, სხვა რა უნდა გამეკეთებინა. დერეფნის ბოლოს საოპერაციო ოთახი იყო. სწორედ იქ ჰყავდათ ახლა სემი. ან ცოცხალი, ან მკვდარი. შეიძლება ბორბლებიანი საკაცით რომელიმე შორეულ ფრთაში გადაჰყავდათ, კოლეგებით გარშემორტყმული, რომლებიც ერთმანეთს შვებით ულოცავდნენ, ხელს ხელზე ურტყამდნენ გამარჯვების ნიშნად, ან, პირიქით, შეიძლება ვიღაც უკვე სახეზე ნაჭერს აფარებდა...

თავი ხელებში ჩავრგე და საკუთარ სუნთქვას მივაყურადე. ტანზე ჩემთვის უჩვეულო სუნი ამდიოდა: სისხლის, სადეზინფექციო ხსნარისა და შიშისგან დატოვებული კვალის. დროდადრო ვამჩნევდი, ხელები მიკანკალებდა. არ ვიცოდი, წნევის თუ დაღლილობის გამო, მაგრამ საკვების მონახვა ჩემს ძალას აღემატებოდა. განძრევაც კი არ შემეძლო.

ჩემმა დამ მცირე ხნის წინ მომწერა.

„სად ხარ? პიცის საჭმელად მივდივართ. ლაპარაკი დაიწყეს, მაგრამ შენც მჭირდები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელივით“.

არ მიპასუხია. ვერ მოვუყარე თავი სათანადო სიტყვებს.

„ისევ დედას თმიან ფეხებზე დაიწყო საუბარი. გთხოვ, მოდი. შეიძლება, ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდეს. დედას შეუძლია ცომის გუნდები კარგად ესროლოს მიზანს“.

თვალები დავხუჭე და ვცადე, გამეხსენებინა, რას ვგრძნობდი ერთი კვირის წინ, როცა სემის გვერდით ვიწექი ბალახზე. მისი გაშოტილი ფეხები ბევრად გრძელი იყო ჩემსაზე. თბილ პერან-

გზე სასიამოვნო, დამამშვიდებელი სურნელი ასდიოდა. სახეზე მზის სხივები დამთამაშებდა. როგორ აბრუნებდა სახეს ჩემკენ კოცნების მოსაპარად, რა კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა თითოეული კოცნის შემდეგ. როგორ დადიოდა — სულ ოდნავ წინ გადახრილი, მაგრამ წელში გამართული. ყველაზე მტკიცე მამაკაცი იყო, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარ — თითქოს არაფერს შეეძლო მისი მოდრეკა.

ვიბრაცია ვიგრძენი და ჯიბიდან ტელეფონი ამოვიღე. ჩემი დის მორიგი შეტყობინება წავიკითხე: „სად ხარ? დედა ნერვიულობს“. საათს დავხედე: თერთმეტს თორმეტი წუთი აკლდა. ნუთუ, მე ისევ ის ადამიანი ვიყავი, რომელმაც ამ დილით გაიღვიძა და ლილი სადგურამდე მიაცილა?! სკამის საზურგეს მივეყრდენი, წუთით ჩავფიქრდი და პასუხის აკრეფა დავიწყე: „სიტის საავადმყოფოში ვარ. უბედური შემთხვევა მოხდა. მე კარგად ვარ. დავბრუნდები, როცა გავიგებ...“

როცა გავიგებ...

თვალები ავახამხამე, თითი უაზროდ გადავატარე ღილაკებს. რამდენიმე წუთის შემდეგ გავგზავნე.

მერე კი თვალები დავხუჭე და ლოცვა დავიწყე.

კარის გაღების ხმამ გამომაფხიზლა. ხელებგამოწვდილი დედაჩემი დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, თავისი საუკეთესო პალტო ეცვა. — რა ჯანდაბა მოხდა? — ტრინა უკან მოჰყვებოდა, თან პიჟამასა და ქურთუკში გამოწყობილი ტომი მოჰყავდა, — დედას მამას გარეშე წამოსვლა არ უნდოდა, მე კი დარჩენას არ ვაპირებდი.

ტომმა ნამძინარევი თვალებით შემომხედა და ხელი დამიქნია.

— წარმოდგენა არ გვქონდა, რა დაგემართა! — დედა გვერდით მომიჯდა, სახეზე მაკვირდებოდა, — რატომ არ გვითხარი?

— რა ხდება?

— სემს ესროლეს.

— ესროლეს? შენს ექიმს?

— თოფი? — იკითხა ტრინამ.

დედამ მაშინღა შეამჩნია ჩემი ჯინსი. წითელ ლაქებს განცვიფრებული დააკვირდა და მდუმარედ გაიხედა მამასკენ.

— მეც მასთან ვიყავი.

დედამ ხელები პირზე აიფარა.

— კარგად ხარ? — მერე კი, როცა მიხვდა, რომ კარგად ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად, მკითხა, — ის... ის როგორ არის?

ოთხივენი ჩემ წინ იდგნენ, გაოგნებული და შეწუხებული გამომეტყველებით. უეცრად შვება ვიგრძენი, რომ ჩემ გვერდით იყვნენ.

— არ ვიცი, — ვუპასუხე და როცა მამაჩემმა ნაბიჯი გადმოდგა, რომ გულში ჩავეკარი, ტირილი ვეღარ შევიკავე.

თითქოს წლები გავიდა, სანამ მე და ჩემი ოჯახი იმ პლასტმასის სკამზე ვისხედით. ტომს ტრინას კალთაში ჩაეძინა. საავადმყოფოს ნათურების შუქზე გაფითრებული უჩანდა სახე. ნიკაპქვეშ ყელთან რბილი, ფუმფულა პლუშის კატა მიეხუტებინა. დედა და მამა აქეთ-იქიდან მესხდნენ. ხან ერთს ეჭირა ჩემი ხელი, მეფერებოდა და ყველაფერი კარგად იქნებაო, მამშვიდებდა, ხან — მეორეს. მამას მივეყრდენი და ცრემლები ჩუმად ჩამომიგორდა. დედამ თავისი მუდამ სასიამოვნოდ სუფთა ცხვირსახოცით ლოყა შემიმშრალა. დროდადრო მიდიოდა და ცხელი სასმელები მოჰქონდა.

— ერთი წლის წინ, ასე არ მოიქცეოდა, მარტო არ წავიდოდა, — თქვა მამამ, როცა დედა პირველად გაუჩინარდა საავადმყოფოს დერეფნებში. ზუსტად ვერ ვიტყოდი, ამას დანანებით ამბობდა თუ აღტაცებით.

ბევრს არ ვსაუბრობდით. სათქმელი არაფერი იყო. გონებაში ეს სიტყვები მიტრიალებდა მანტრასავით: „ნეტავ, გადარჩეს. ნეტავ, გადარჩეს. ნეტავ, გადარჩეს“.

ასე ხდება, როცა თავს კატასტროფა გადაგხდება: ყველაფერი ზედმეტი ქრება, თეთრი ხმაური უჩინარდება, ეჭვები იფანტება. სემთან ყოფნა მსურდა. ამას უკვე მტკივნეული სიცხადით ვხვდებოდი. მინდოდა, მკლავები შემოეხვია, მისი ლაპარაკისთვის მესმინა, მისი სასწრაფო დახმარების მანქანაში ვმჯდარიყავი. მინდოდა, საკუთარ ბოსტანში მოყვანილი ბოსტნეულით ჩემთვის სალათი მოემზადებინა. მინდოდა მეგრძნო მისი თბილი, შიშველი მკერდის თანაბარი სუნთქვა ჩემს მკლავებში, როცა ეძინა. რატომ ვერ ვუთხარი ეს ყველაფერი? რატომ დავკარგე ამდენი დრო იმაზე დარდში, რაც სულაც არ იყო მნიშვნელოვანი?

დედას მუყაოს ლანგრით ოთხი ჭიქა ცხელი ჩაი მოჰქონდა, როცა საოპერაციო ოთახის კარი გაიღო. დონა გამოჩნდა, უნიფორმა კვლავ სისხლში ჰქონდა მოთხვრილი, თმაზე ხელებს ისვამდა. წამოვდექი. ჩვენ წინ შეჩერდა, მოღუშული, დაქანცული, თვალებჩაწითლებული. მეგონა, გული წამივიდოდა. თვალებში შემომხედა.

— რკინასავით გამძლეა ეგ ბიჭი.

ჩემდა უნებურად, ტირილი წამსკდა. დონამ მკლავზე მომითათუნა.

— ძალიან იყოჩაღე, ლუ, — მითხრა და დაღლილმა ღრმად ამოისუნთქა, — დღეს ძალიან იყოჩაღე.

სემმა ის ღამე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაატარა, დილით კი პალატაში გადაიყვანეს. დონამ მის მშობლებს დაურეკა. მითხრა, ცოტას გამოვიძინებ, მერე სემთან გავივლი და მის შინაურ ცხოველებს დავაპურებო. შუაღამისას მის მოსანახულებლად ორივენი ერთად შევედით პალატაში, მაგრამ ეძი-

ნა. ჯერ კიდევ ფერმკრთალს, ნახევარ სახეს ჟანგბადის ნიღაბი უფარავდა. მინდოდა, მივახლოვებოდი, მაგრამ შეხების შემეშინდა, იმდენ მონიტორთან, მილსა და სადენთან იყო მიერთებული.

— მართლა გამოკეთდება?

დონამ თავი დამიქნია. მედდა საწოლის გარშემო ჩუმად მოძრაობდა, წნევას უზომავდა, პულსს უსინჯავდა.

— გაგვიმართლა, რომ ძველებური იარაღი იყო. დღეს ბევრს ნახევრად ავტორმატური იარაღი აქვს. მაგის ტყვიას ვერ გადაურჩებოდა, — დონამ თვალები მოიფშვნიტა, — სხვა თუ არაფერი მოხდა, აუცილებლად გააშუქებენ ახალ ამბებში. თუმცა, მეორე ბრიგადა ათენა როუდზე დედისა და ახალშობილის მკვლელობას წააწყდა. შეიძლება, სემის ამბავს ყურადღება არავინ მიაქციოს.

სემს თვალი მოვწყვიტე და დონას შევხედე.

— აპირებ, გააგრძელო?

— რა გავაგრძელო?

— სასწრაფო დახმარების ექიმად მუშაობა.

ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს შეკითხვის არსს ვერ ჩასწვდა.

— ცხადია. ეს ხომ ჩემი სამსახურია, — მხარზე მომითათუნა და კარისკენ გატრიალდა, — გამოიძინე, ლუ. ალბათ ხვალამდე მაინც ვერ გაიღვიძებს. მისი ორგანიზმის ლამის ოთხმოცდახუთ პროცენტს ფენტანილი (სინთეზური ტკივილგამაყუჩებელი საშუალება) შეადგენს.

დერეფანში ჩემი მშობლები დამხვდნენ. არაფერი უთქვამთ. თავი დავუქნიე. მამამ ჩემი ხელი ჩაბღუჯა, დედა კი ზურგზე მომეფერა.

— სახლში წავიდეთ, საყვარელო, — მითხრა დედამ, — სუფთა ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა.

როგორც აღმოჩნდა, არსებობს გამორჩეული ტონი, რომლითაც გპასუხობს დამსაქმებელი, რომელსაც რამდენიმე თვის წინ განუცხადე, სამსახურში ვერ გამოვცხადდები, რადგან ხუთსართულიანი შენობის სახურავიდან გადმოვვარდიო, ახლა კი ეუბნები, რომ ვინმემ უნდა შეგცვალოს, რადგან შენი სავარაუდო შეყვარებული მუცელში ორჯერ დაჭრეს. — შენ... მას ორჯერ... რა?

— ორჯერ ესროლეს. ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან გადმოიყვანეს, მაგრამ მინდა დილით იქ ვიყო, როცა გამოფხიზლდება. იქნებ, შემცვალო?

ცოტა ხანს დუმდა.

— გასაგებია... კარგი, — ყოყმანით მითხრა, — მართლა ესროლეს? ნამდვილი იარაღით?

— თუ გსურს, მოდი და ჭრილობები შეამოწმე, — ისეთი მშვიდი ხმით ვუთხარი, ლამის გამეცინა.

რამდენიმე მატერიალურ-ტექნიკური წვრილმანი განვიხილეთ: განსახორციელებელი ზარები, დაგეგმილი სტუმრობა სათავო ოფისიდან. ზარის გათიშვამდე რიჩარდი რამდენიმე წამით დადუმდა. მერე კი მკითხა:

— ლუისა, შენი ცხოვრება ყოველთვის ასეთია?

გამახსენდა, ვინ ვიყავი სულ რაღაც ორწლინახევრის წინ. დღის განმავლობაში მხოლოდ მშობლების სახლიდან კაფემდე მანძილს გავდიოდი; სამშაბათობით პატრიკის სირბილს ვუყურებდი, საღამოობით მშობლებთან ვვახშმობდი. ნაგვის ყუთში ჩემს სისხლიან ფეხსაცმელებს გავხედე.

— შეიძლება. თუმცა, მირჩევნია ვიფიქრო, რომ ეს მხოლოდ დროებითია.

საუზმის შემდეგ, მშობლები სახლში გაემგზავნენ. დედაჩემს წასვლა არ უნდოდა, მაგრამ დავარწმუნე, არაფერი მიჭირს-- მეთქი. არ ვიცოდი, სად ვიქნებოდი მომდევნო დღეებში, ამიტომ

მის დარჩენას აზრი არ ჰქონდა. ისიც შევახსენე, რომ ბოლოს, როცა ბაბუა ერთ დღეზე მეტხანს დატოვა მარტო, ნორმალური საჭმლის ნაცვლად ორი ქილა ჟოლოს მურაბა და შედედებული რძე მიირთვა.

— მართლა არაფერი გიშავს, — ხელი ლოყაზე მომადო. ისე თქვა, თითქოს სიტუაციას აფასებდა, მაგრამ სინამდვილეში მეკითხებოდა.

— დედა, კარგად ვარ.

თავი გააქნია და ჩანთა აიღო.

— არ ვიცი, ლუისა. რანაირ ბიჭებს არჩევ ხოლმე!

გაოცებული დარჩა, როცა სიცილი წამსკდა. ალბათ შოკის უკანასკნელი შემოტევა მქონდა. თუმცა, შეიძლება, სწორედ იმწამს მივხვდი, რომ უკვე აღარაფრის მეშინოდა.

შხაპი გადავივლე, ფეხებზე ჩამოღვრილ ვარდისფერ წყალს ყურადღება არ მივაქციე და თმაც დავიბანე. სამირის მაღაზიაში, ყველაზე ნაკლებად დამჭკნარი ყვავილების თაიგული ვიყიდე და დილის ათი საათისთვის საავადმყოფოში დავბრუნდი. მედდამ, რომელიც კარისკენ მიმიძღოდა, მითხრა, რომ სემის მშობლები რამდენიმე საათის წინ ჩამოვიდნენ. ახლა სემის ვაგონში წასულიყვნენ ჯეიკსა და მამამისთან ერთად, რომ სემის ნივთები მოეტანათ.

— დიდად საღ გონებაზე ვერ იყო, როცა მშობლებმა მოინახულეს, მაგრამ ახლა უფრო გამოფხიზლებულია, — მითხრა მედდამ, — ასე ხშირად ხდება, როცა საოპერაციო ოთახიდან ახალი გამოსულები არიან. ზოგი პაციენტი უბრალოდ უფრო სწრაფად მოდის გონს, ვიდრე — სხვები.

კარს რომ მივუახლოვდით, ნაბიჯი შევანელე. გამჭვირვალე ნაწილიდან უკვე ვხედავდი, წუხანდელივით თვალდახუჭული, უძრავად იწვა. ნიკაპზე წვერი ოდნავ დასტყობოდა და ჯერაც ფერმკრთალი ცოტათი დამსგავსებოდა საკუთარ თავს.

— დარწმუნებული ხართ, რომ ჩემი შიგნით შესვლა შეიძლება?

— თქვენ ლუისა ხართ, არა? გკითხულობდათ, — გამიღიმა და ცხვირი შეიჭმუხნა, — დაგვიძახეთ, თუ სემი თავს მოგაბეზრებთ. ძალიან საყვარელი ვინმეა.

ნელა შევაღე კარი, სემმა თვალები გაახილა, თავიც ოდნავ მოაბრუნა. ისე შემომხედა, მივხვდი, მიცნო. გულზე მომეშვა.

— ზოგი ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელი, რომ იარების რაოდენობაში მაჯობოს, — გავეხუმრე და კარი მოვხურე.

— ჰო, — ამოიხავლა და მკრთალი, დაქანცული ღიმილი შემომაგება, — მგონი გადავაჭარბე.

ფეხი მოვინაცვლე. საავადმყოფოები მძულდა. ყველაფერს ვიღონებდი, ოღონდაც აღარასოდეს დამჭირვებოდა რომელიმეში შესვლა.

— მოდი აქ.

ყვავილები მაგიდაზე დავალაგე და მისკენ გავემართე. ხელი გაამოძრავა, მიმანიშნა, საწოლზე მის გვერდით დავმჯდარიყავი. არ მინდოდა, ზემოდან მეყურებინა, თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, ამიტომ სანახევროდ მივუწექი. ფრთხილად მოვთავსდი, მეშინოდა რამეს არ გამოვდებოდი ან მისთვის რაიმე არ მეტკინა. თავი მხარზე დავადე და ვიგრძენი, საპასუხოდ თვითონაც მომადო თავი. მკლავი ასწია და მომხვია. მცირე ხანს ჩუმად ვიწექით, გარეთ ექთნების შარიშურსა და შორეულ საუბრებს ვუგდებდით ყურს.

— მეგონა, ცოცხალი აღარ იყავი, — ჩურჩულით ვუთხარი.

— როგორც გავიგე, ვიღაც არაჩვეულებრივმა ქალმა, რომელიც, წესით, მანქანაში არ უნდა ყოფილიყო, სისხლდენის შენელება მოახერხა.

— მაგარი ქალი ყოფილა.

— მეც ასე მგონია.

თვალები დავხუჭე და ლოყაზე მისი კანის სითბო შევიგრძენი. სხეულზე ქიმიური სადეზინფექციო ხსნარის უსიამოვნო სურნელი ასდიოდა. არაფერზე ვფიქრობდი. უბრალოდ თავს ნება მივეცი, იმ წამით მეარსება. დავმტკბარიყავი მასთან ყოფნის ღრმა, ძალიან ღრმა სიამოვნებით. მკლავის შიდა მხარეს, შიშველ კანზე ნაზად ვაკოცე. მისი თითები ჩემს თმაში მიიკვლევდნენ გზას.

— ძალიან შემაშინე, სასწრაფო დახმარების სემ.

ჩემს ნათქვამს ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. თითქოს მესმოდა, როგორ გაუელვა თავში ათასობით ფიქრმა, რომელთა გაზიარებასაც არ აპირებდა.

— მიხარია, აქ რომ ხარ, — მითხრა ბოლოს.

ცოტახანს კიდევ ვიწექით სამარისებურ სიჩუმეში. ბოლოს ექთანი შემოვიდა და იმის დანახვისას, თუ რა ახლოს ვიყავი სხვადასხვა მნიშვნელოვან მილებთან და სადენებთან, საყვედურის ნიშნად, წარბი აზიდა. საწოლიდან უხალისოდ წამოვდექი და დავემორჩილე მის მოთხოვნას, წავსულიყავი და მესაუზმა, სანამ თვითონ სემს აუცილებელ პროცედურებს ჩაუტარებდა. ყოყმანით ვაკოცე და როცა თმაზე ხელი გადავუსვი, მადლიერებით შევნიშნე, რა ძვირფასი ვიყავი მისთვის.

— ჩემი ცვლის შემდეგ დავბრუნდები, — დავუბარე.

— შეიძლება, ჩემს მშობლებს შეეჩეხო, — გამაფრთხილა.

— არა უშავს, — ვუპასუხე, — არ ჩავიცვამ მაისურს წარწერით „შევეცი პოლიციას“.

ჯერ გაეცინა, მერე კი ტკივილისგან სახე შეეჭმუხნა.

ცოტა ხანს კიდევ დავრჩი, სანამ ექთნები სინჯავდნენ. დრო ათასი წვრილმანით გამყავდა, როგორც ხალხი იქცევა ხოლმე, როცა პაციენტის ოთახიდან გასვლა არ უნდათ და რაიმე საბაბს ეძებენ დასარჩენად: ხილი ამოვალაგე, ხელსახოცები გადავყარე, ჟურნალები დავალაგე, თუმცა ვიცოდი, სემი არცერთს არ

წაიკითხავდა. მერე კი წასვლის დრო მოვიდა. თითქმის კართან ვიყავი, როცა მითხრა:

— მესმოდა.

ხელი უკვე კარის გასაღებად მქონდა გაწვდილი, მაგრამ მოვტრიალდი.

— გუშინ ღამით, როცა სისხლისგან ვიცლებოდი. შენი მესმოდა.

ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ. და აი, იმწამს ყველაფერი შეიცვალა. მივხვდი, რაც გავაკეთე. თურმე ვიღაცის საყრდენი წერტილი ვყოფილვარ, მისი გადარჩენის მიზეზი. მივხვდი, საკმარისი აღმოვჩნდი, მისთვის სიცოცხლის წყურვილი გამეღვიძებინა. სემთან მივედი, მისი სახე ხელებში მოვიქციე და მგზნებარედ ვაკოცე. ჩემი ცხელი ცრემლები ლოყებზე ეცემოდა, მკლავი მომხვია, თავისკენ მიმიზიდა და კოცნითვე მიპასუხა. ლოყა ლოყაზე მივადე, თან ვიცინოდი, თან ვტიროდი, ექთნებიც აღარ მადარდებდა. ყველაფერი დავივიწყე გარდა ამ კაცისა, რომელიც ჩემ წინ იყო. ბოლოს, შემოვტრიალდი და კიბეზე დავეშვი. ცრემლებს ვიწმენდდი და თან ვიცინოდი. ყურადღებას არ ვაქცევდი იმ ხალხის ცნობისმოყვარე გამომეტყველებებს, ვისაც გვერდს ვუვლიდი.

ლამაზი დღე იყო, საავადმყოფოს სუსტი განათების ქვეშაც კი. გარეთ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, განთიადი დგებოდა, ხალხი ცხოვრობდა, იზრდებოდა, უკეთ ხდებოდა, მომავალს აშენებდა და ბერდებოდა. ყავა ვიყიდე და მეტისმეტად დაშაქრული ნამცხვარი ისე მივაყოლე, თითქოს მსოფლიოში ყველაზე გემრიელი ნუგბარი ყოფილიყო. შეტყობინებები დავუგზავნე მშობლებს და ტრინას, რიჩარდსაც ვაცნობე, მალე სამსახურში ვიქნები-მეთქი. ლილისაც გავაგებინე:

„ვიფიქრე, უნდა გცოდნოდა, რომ სემი საავადმყოფოშია. ესროლეს, მაგრამ ახლა კარგადაა. გაუხარდება, თუ ბარათს გა-

მოუგზავნი. ან თუ ძალიან დაკავებული ხარ, შეტყობინებას მაინც“.

პასუხი რამდენიმე წამში მომივიდა. გამეღიმა. მისი ასაკის გოგოები ყველაფერს საოცრად ნელა აკეთებენ, მაგრამ შეტყობინებებს წამებში კრეფენ.

„ღმერთო ჩემო! ახლა მოვუყევი გოგოებს და უკვე სკოლაში ყველაზე პოპულარული გავხდი. არა, მართლა, სიყვარულით მომიკითხე. მისამართი მომწერე და გაკვეთილების შემდეგ ბარათს გამოვუგზავნი. მაპატიე, ერთხელ ნახევრადშიშველი რომ გამოვეცხადე. გარყვნილი განზრახვა სულაც არ მქონია. იმედი მაქვს, ბედნიერები ხართ. გკოცნი“.

არც მე დავაყოვნე პასუხი. საავადმყოფოს კაფეტერია, მოზუზუნე პაციენტები, კაშკაშა, ლურჯი ცა შევათვალიერე და ჩემმა თითებმა ტექსტი ისე აკრიფეს, არც კი ვიცოდი, რას ვწერდი.

„მე ნამდვილად ვარ“.

თავი ოცდამერვე

ჯეიკი ვერანდაზე მელოდებოდა, როცა დარდთან გამკლავების წრეზე მივედი. კოკისპირულად წვიმდა, სქელი, მიხაკისფერი ღრუბლები გაუფრთხილებლად ჭექდნენ და ქუხდნენ. წვიმის ნიაღვარმა წყალსადენი ღარები წალეკა. ავტოსადგომიდან შესასვლელამდე მისარბენად სულ ათი წამი დამჭირდა, მაგრამ მაინც გავილუმპე.

— არ შემოდიხარ? გარეთ ისე...

ნაბიჯი გადმოდგა და აწოწილი მკლავებით ნაზად, უხერხულად ჩამეხუტა.

— უი! — ხელები ავწიე, არ მინდოდა, დამესველებინა.

გამიშვა და უკან დაიხია.

— დონამ გვითხრა, რაც გააკეთე. მე უბრალოდ... მინდოდა, მადლობა გადამეხადა.

თვალებში ემჩნეოდა, არაქათგამოცლილი იყო, უპეები ჩაშავებოდა. წარმოვიდგინე, რა მძიმე გადასატანი იქნებოდა მისთვის ეს უკანასკნელი დღეები. მან ხომ სულ ახლახან დაკარგა დედა.

— ძლიერია, — ვუთხარი მე.

— თითქოს ფოლადისგანაა ჩამოსხმული, — გაიხუმრა და ორივემ უხერხულად გავიცინეთ. ასე ემართებათ ხოლმე ბრიტანელებს ძლიერი ემოციების გამოხატვისას.

შეხვედრაზე ჯეიკი უჩვეულოდ სიტყვაუხვობდა. იმაზე საუბრობდა, რომ შეყვარებულს არ ესმოდა, რას ნიშნავდა მისთვის გლოვა.

— არ ესმის, ზოგჯერ რატომ მინდა ხოლმე, მთელი დილა საწოლში საბანწაფარებულმა გავატარო და საერთოდ არ ავდგე. ან რატომ ვვარდები პანიკაში, როცა ჩემს საყვარელ ადამიანებს

რაიმე შეემთხვევათ. მას ცუდი არასოდეს არაფერი გადახდენია. არასოდეს. მისი კურდღელიც კი ჯერ კიდევ ცოცხალია, არადა უკვე ცხრა წლისაა.

— მგონი, ხალხს ბეზრდება სხვისი გლოვის ყურება, — აღნიშნა ნატაშამ, — თითქოს განსაზღვრული დრო გაქვს მონიჭებული, მაგალითად, ექვსი თვე. მერე კი ნელ-ნელა ღიზიანდებიან, რომ „უკეთ“ არ გრძნობ თავს. ჰგონიათ, გსიამოვნებს უბედურება.

— ასეა! — წრეს თანხმობის ჩურჩულმა გადაურბინა.

— ზოგჯერ მგონია, უფრო იოლი იქნებოდა, ისევ ვატარებდეთ საქვრივო ძაძებს, — თქვა დაფნემ, — ასე ყველას ეცოდინებოდა, რომ ჯერ კიდევ ვგლოვობთ.

— წარმოიდგინეთ, ყოველ მომდევნო წელს უფრო ღია ფერის სამოსს ატარებ, და მათ იციან ფერების მნიშვნელობა. შავიდან იწყებ, მერე მუქი იასამნისფერი გაცვია, — განაცხადა ლინმა.

— ბოლოს კი, როცა ნამდვილად ბედნიერი ხარ, ყვითელი ფერი გერგება, — გაიკრიჭა ნატაშა.

— აჰ, არა. ყვითელი საშინლად არ მიხდება, — დაფნემ ფრთხილად გაიღიმა, — მომიწევს, ცოტათი უბედურად დავრჩე.

ეკლესიის ბნელ დარბაზში მათ ისტორიებს ვისმენდი: მფრთხალ პაწაწინა ნაბიჯებს, ემოციური წინაღობების გადასალახად. ფრედი ბოულინგის ლიგაში გაწევრებულა. ტკბებოდა იმით, რომ სამშაბათობით სახლიდან გამოსასვლელი მიზეზი ჰქონდა. თანაც ისეთი მიზეზი, რომელიც გარდაცვლილ ცოლზე საუბარს არ გულისხმობდა. სუნილი დედამისს დათანხმებია, მისთვის ელთჰემელი გარე ბიძაშვილი გაეცნო.

— გარიგებით ქორწინების დიდი თაყვანისმცემელი არ ვარ, მაგრამ, გულწრფელად გითხრათ, სხვა მეთოდებმა ვერ გაამართლა. საკუთარ თავს ვუმეორებ — ის ხომ დედაჩემია, ვიღაც საშინელ ქალს არ გამაცნობს-მეთქი.

— ვფიქრობ, შესანიშნავი აზრია, — თქვა დაფნემ, — დედაჩემი ალბათ ჩემამდე გაცილებით ადრე მიხვდებოდა ალანის „გემოვნების“ ამბავს. მას ძალიან კარგად გამოსდიოდა ადამიანების ამოცნობა.

მათ შემყურეს, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს რაღაცას გარედან ვაკვირდებოდი. მათ ხუმრობებზე მეცინებოდა, გული შემტკიოდა მათ ცრემლებზე. მაგრამ სკამზე ჯდომისას და ხსნადი ყავის სმისას ცხადად დავინახე, რომ უკვე მეორე მხარეს ვიყავი, მათგან შორს. მე ხიდი გადავიარე. მათი ბრძოლა ჩემი ბრძოლა აღარ იყო. უილის გლოვას, მის სიყვარულს ან მონატრებას არასოდეს შევწყვეტდი, მაგრამ ჩემი ცხოვრება აწმყოში დაბრუნდა. ნაცნობი, სანდო ხალხით გარშემორტყმული ვიყავი, მაგრამ სულ უფრო ძლიერ მეუფლებოდა სხვაგან ყოფნის სურვილი: საავადმყოფოს საწოლში გაჭიმული ახოვანი კაცის გვერდით, რომელიც ვიცოდი, ახლაც საათს გაჰყურებდა იმაზე ფიქრში, რამდენ ხანში დავბრუნდებოდი მასთან.

— დღეს არაფერს გვეტყვი, ლუისა?

მარკი მიყურებდა, ცალწარბაწეული.

თავი გავაქნიე.

— არაფერი მაქვს სათქმელი.

გაეღიმა. როგორც ჩანს, ჩემს ხმაში ცვლილება შენიშნა.

— კარგია.

— ჰო, იცით, ალბათ აღარ მჭირდება აქ სიარული. მე... კარგად ვარ.

— შეგამჩნიე, რომ გადასხვაფერებული ხარ, — მითხრა ნატაშამ, ჩემკენ გადმოიხარა და დაეჭვებით შემათვალიერა.

— სექსის ბრალია, — განაცხადა ფრედმა, — დარწმუნებული ვარ, ეგაა გამოსავალი. ჯილს უფრო სწრაფად დავივიწყებდი, ქალი რომ მყავდეს.

ნატაშამ და უილიამმა უცნაურად გადახედეს ერთმანეთს.

— კურსის დასრულებამდე მინდა, ვიარო ხოლმე, თუ შეიძლება, — ვუთხარი მარკს, — მე... მეგობრებად გთვლით. აღარ მჭირდება ეს წრე, მაგრამ მაინც მსურს, ვიარო — დავრწმუნდე, რომ მართლა კარგად ვარ, თან თქვენც გნახოთ ხოლმე.

ჯეიკმა გამიღიმა.

— საცეკვაოდ უნდა წავიდეთ ერთხელ, — განაცხადა ნატაშამ.

— რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ მოდი, — თქვა მარკმა, — ჩვენ ხომ აქ ამისთვის ვართ.

ჩემი მეგობრები. ჭრელი ხალხი. თუმცა, ყველა სამეგობრო ხომ ასეთია.

ნიჟარის ფორმის მოხარშული მაკარონი, ბაზილიკი, სახლში მოყვანილი პამიდორი, ზეთისხილი, თინუსი და პარმეზანი. პასტას სალათი ზუსტად იმ რეცეპტით მოვამზადე, რომელიც ლილიმ მასწავლა ტელეფონით, ბებიამისის კარნახით.

— ხეიბრებისთვის შესანიშნავი საკვებია, — შორეული სამზარეულოდან დაიყვირა კამილამ, — თუ მწოლიარე მდგომარეობაში დიდ დროს ატარებს, ეს საჭმელი იოლი მოსანელებელია.

— მე სადმე რესტორანში ვუყიდდი წასაღებ კერძს, — ჩაიბუტბუტა ლილიმ, — საწყალმა კაცმა ისედაც ბევრი იტანჯა, — ჩუმად ჩაიფხუკუნა, — თან, მგონი, შენც საწოლში უფრო მოგწონს.

მოგვიანებით, იმ საღამოს, საავადმყოფოს დერეფანში ამაყად მივაბიჯებდი, პატარა თუნუქის ყუთით ოჯახური მყუდროება მიმქონდა. ვახშამი ღამით მოვამზადე, ახლა კი ღირსების მედალივით დავატარებდი. მინდოდა ვიღაცას გავეჩერებინე და ეკითხა, რა კერძი იყო.

— იცით, ჩემი შეყვარებული რეაბილიტაციას გადის. ყოველდღე მომაქვს მისთვის საჭმელი. პატარა რამე-რუმეები, რაც უყვარს. იცით, ეს პამიდვრები ჩემით მოვიყვანე.

სემის ჭრილობებმა შეხორცება დაიწყეს, შინაგანი ორგანოების დაზიანებებიც ეკურნებოდა. მეტისმეტად ხშირად ცდილობდა წამოდგომას. სულ საწოლში ყოფნაზე წუწუნებდა, თავის ცხოველებზე დარდობდა, მიუხედავად იმისა, რომ მე, დონამ და ჯეიკმა მათი მოვლის განრიგი შევადგინეთ.

თუ ისე მოიქცევა, როგორც დავარიგეთ, ორი ან სამი კვირა დასჭირდებაო, ვარაუდობდნენ ექიმები. მისი ჭრილობების სიმძიმის გათვალისწინებით, აღმოჩნდა, რომ გაუმართლა. ზოგჯერ, ჩემი თანდასწრებით, ზოგი ექიმი იტყოდა ხოლმე:

— თუნდაც ოდნავ გვერდით რომ მოხვედროდა...

ასეთი საუბრების დროს ყურებს ვიცობდი და გულში ლა-ლა-ლა-ს ვმღეროდი. მის პალატაში შესვლამდე ზარი დავრეკე, ხელები ანტიბაქტერიული ქაფით დავიბანე და კარს თეძოთი ვუბიძგე.

— საღამო მშვიდობისა, — მომესალმა სათვალიანი მედდა, — დაგაგვიანდა!

— შეხვედრაზე უნდა წავსულიყავი.

— ეს-ესაა, დედამისს აცდი. ისეთი გემრიელი სახლში გამომცხვარი ღვეზელი მოუტანა, საავადმყოფოს ბოლოშიც კი იყნოსავ სურნელს. ჯერაც ნერწყვები გვდის.

— ოჰო, — ჩემი ყუთი დავუშვი, — კარგია.

— კარგია, რომ მარტო არ ვტოვებ. ექიმი გასასინჯად ნახევარ საათში გამოივლის.

ის-ის იყო, ყუთის ჩანთაში შენახვას ვაპირებდი, რომ ტელეფონმა დამირეკა. ჯერაც ელვაშესაკრავს ვეძიძგილავებოდი, როცა ვუპასუხე.

— ლუისა?

— დიახ?

— ლეონარდ გოპნიკი გახლავართ.

ორი წამი დამჭირდა იმის გასაცნობიერებლად, ვინ მირეკავდა. პასუხის გაცემა დავაპირე, მერე გავშეშდი, სულელურად მიმოვიხედე, თითქოს სადმე ახლოს იყო.

— ბატონო გოპნიკ...

— თქვენი წერილი მივიღე.

— გასაგებია, — საჭმლის კონტეინერი მაგიდაზე დავდე.

— საინტერესო იყო. გამიკვირდა, როცა სამსახურზე უარი თქვით. ნათანიც გაოცდა. შესაფერისი კანდიდატი ჩანდით.

— როგორც წერილში მოგახსენეთ, ბატონო გოპნიკ, მინდოდა თქვენთან მუშაობა, მაგრამ... რაღაცები მოხდა.

— ის გოგონა როგორ არის?

— ლილი ჰქვია. სკოლაში დადის, ბედნიერია. თავის ოჯახთანაა, ახალ ოჯახთან. დრო სჭირდებოდა... შესაჩვევად.

— რასაც თქვენ დიდი სერიოზულობით მოეკიდეთ.

— არ მჩვევია ადამიანების გაჭირვებაში მიტოვება.

ჩემს ნათქვამს ხანგრძლივი სიჩუმე მოჰყვა. ფანჯრიდან გავიხედე, მანქანების სადგომისკენ. უზარმაზარი ჯიპი ვიწრო ადგილას შეკვეხებას ცდილობდა. ჯერ უკან დაიძრა, მერე — წინ. ვხედავდი, ვერ შეეტეოდა.

— მოკლედ ასეთი ამბავია, ლუისა. ახალ მომვლელთან თანამშრომლობა არ გამოდის. უკმაყოფილოა. რატომღაც ის და ჩემი ცოლი ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ. ორმხრივი შეთანხმებით, თვის ბოლოს შეწყვეტს მუშაობას. ეს კი თავსატეხს მიჩენს.

არაფერი მითქვამს, ვუსმენდი.

— მინდა, სამსახური შემოგთავაზოთ. მაგრამ მოულოდნელობები არ მიყვარს, განსაკუთრებით, როცა საქმე ჩემს ახლობელ ადამიანებს ეხება. ახლა იმისთვის გირეკავთ, რათა ზუსტად გავიგო, რა გწადიათ.

— მე ნამდვილად მინდოდა თქვენთან მუშაობა, მაგრამ ...

მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. მოვტრიალდი და სემი დავინახე, კედელს ეყრდნობოდა.

— მე...

— სხვა სამუშაო შემოგთავაზეს?

— დამაწინაურეს.

— იქ დარჩენა გინდათ?

სემი თვალს არ მაცილებდა.

— ა-არა, მაგრამ...

— მაგრამ, ცხადია, დრო გჭირდებათ, მოსაფიქრებლად. კარგი. წარმომიდგენია, როგორი მოულოდნელი იყო თქვენთვის ჩემი ზარი. მაგრამ თუ რაც მომწერეთ, მართალია და ნამდვილად გაინტერესებთ ეს სამსახური, მინდა, შემოგთავაზოთ ჩვენთან მუშაობა. იგივე პირობებია, სასურველია, რაც შეიძლება, მალე ჩამოხვიდეთ. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ჭეშმარიტად გსურთ. ორმოცდარვა საათში შეძლებთ, პასუხი მითხრათ?

— დიახ, დიახ, ბატონო გოპნიკ. გმადლობთ. გმადლობთ, რომ დამირეკეთ.

ტელეფონი გათიშა. სემს გავხედე. საავადმყოფოს ხალათი ეცვა საავადმყოფოს მეტისმეტად მოკლე პერანგზე. ცოტა ხანს არც ერთს ამოგვიღია ხმა.

— ფეხზე ამდგარხარ. საწოლში უნდა იწვე.

— ფანჯარაში დაგინახე.

— უცებ ქარმა რომ დაუბეროს, შიშველი სხეული გამოგიჩნდება და ეს ექთნები შობამდე შენზე ილაპარაკებენ.

— ის ნიუ-იორკელი ტიპი გირეკავდა?

ჩემდა გასაკვირად, ისე ვიგრძენი თავი, თითქოს გამომიჭირეს. ტელეფონი ჯიბეში ჩავიდე და კონტეინერს დავწვდი.

— ვაკანსია ისევ გამოჩნდა, — შევნიშნე, თვალი როგორ ამარიდა, — მაგრამ... შენ ხომ ახლა დამიბრუნდი. ამიტომაც უარს

ვიტყვი. მისმინე, როგორ ფიქრობ, შესანიშნავი ღვეზელის შემდეგ, პასტასაც მოერევი? ვიცი, დანაყრებული ხარ, მაგრამ საჭმელად ვარგისი კერძის მომზადება ისე იშვიათად გამომდის...

— არა.

— ძალიან უგემური არ არის, უნდა გასინჯო...

— პასტას არ ვგულისხმობ. სამსახური.

ერთმანეთს ვუმზერდით. თმაზე ხელი გადაისვა და დერეფანს გახედა.

— ეს უნდა გააკეთო, ლუ. შენც იცი და მეც. უნდა დათანხმდე.

— ადრეც ვცადე, სახლი მიმეტოვებინა, მაგრამ უარეს დღეში ჩავვარდი.

— იმიტომ, რომ ძალიან ადრე იყო. მაშინ გარბოდი. ახლა ასე არ არის.

ავხედე. საკუთარი თავი მძულდა, რომ გავაცნობიერე, რისი გაკეთება მსურდა. სემიც მძულდა, რადგან ამ ყველაფერს ხვდებოდა. დერეფანში უსიტყვოდ ვიდექით. მერე კი შევნიშნე, სახე უფითრდებოდა.

— ახლავე უნდა დაწვე.

არ შემწინააღმდეგებია. მხარში ამოვუდექი და საწოლისკენ გავწიეთ. როცა ბალიშებზე ფრთხილად წვებოდა, ტკვილისგან ოდნავ შეიშმუშნა. დავიცადე, სანამ სახეზე ფერი დაუბრუნდებოდა, მერე კი გვერდით მივუწექი და ხელი ჩავჭიდე.

— ჩვენ ხომ ეს-ესაა ურთიერთობა მოვაგვარეთ, — თავი მის მხარზე ჩამოვასვენე. ყელში ბურთი გამეჩხირა.

— მოვაგვარეთ.

— სხვა არავინ მინდა, სემ.

— ჰმ. მაგაში ეჭვი არასოდეს შემპარვია.

— შორ მანძილზე ურთიერთობები იშვიათად ძლებს.

— ესე იგი, ურთიერთობა გვაქვს?

გაპროტესტებას ვაპირებდი, მაგრამ გამიღიმა.

— ვხუმრობ. ზოგი. ზოგი ვერ ძლებს, მაგრამ ზოგი ძლებს. ჩემი აზრით, იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერად სურთ ადამიანებს ურთიერთობის შენარჩუნება.

ძლიერი მკლავი კისერზე შემომხვია და თავისკენ მიმიზიდა. მაშინღა მივხვდი, რომ ვტიროდი. ცერა თითით, ნაზად მომწმინდა ცრემლები.

— ლუ, არ ვიცი, რა მოხდება. არავინ იცის. შეიძლება, ერთ დღეს ადგე და მოტოციკლს ჩაუვარდე და მთელი შენი ცხოვრება შეიცვალოს. შეიძლება, გამოძახებაზე წახვიდე და ვიღაც ლაწირაკმა გესროლოს, რომელსაც ეს საქციელი თავს მამაკაცად აგრძნობინებს.

— ან შეიძლება, სახურავიდან გადმოვარდე.

— ეგეც შეიძლება. ან ერთ საავადმყოფოს პიჟამიან ტიპს მიაკითხო და ამ დროს სამსახურის საუკეთესო შემოთავაზება მიიღო. ასეთია ცხოვრება. არასოდეს ვიცით, რა მოხდება. სწორედ ამიტომ, ყველა შანსი უნდა გამოვიყენოთ. და... ვფიქრობ, ეს შემოთავაზება შენი შანსია.

თვალები დავხუჭე. არ მინდოდა, მისი სიტყვები მომესმინა, არ მინდოდა მეღიარებინა, რომ სრული სიმართლეს მეუბნებოდა. ხელისგულებით თვალები მოვიწმინდე. ხელსახოცი მომაწოდა და მიყურებდა, როგორ ვიშორებდი სახეზე შავად ჩამოღვენთილ მაკიაჟს.

— პანდასნაირი თვალები გიხდება.

— მგონი შემიყვარდი.

— მე კი მგონია, რომ ამას ყველა ავადმყოფ მამაკაცს ეუბნები.

მივუბრუნდი და ვაკოცე. როცა თვალები ისევ გავახილე, მიყურებდა.

— მე თანახმა ვარ, ვცადოთ, თუ შენც გსურს.

ყელში გაჩხერილი ბურთი ძლივს გადავყლაპე და როგორც იქნა ვუპასუხე:

— არ ვიცი, სემ.

— რა არ იცი?

— ცხოვრება ხომ მოკლეა? ეს ორივემ კარგად ვიცით. ვაითუ ჩემი შანსი შენ ხარ? ვაითუ შენ ხარ ის, რაც ბედნიერებას მომიტანს?

თავი ოცდამეცხრე

როცა ვინმე ამბობს, რომ შემოდგომა მისი საყვარელი სეზონია, სწორედ ასეთი დღეები წარმომიდგება თვალწინ: ლამპიონებით განათებული ბურუსიანი საღამო; ქუჩის კუთხეებში შეხვეტილი ფოთლები; ჭკნობაშეპარული სიმწვანის სასიამოვნო სურნელი. ზოგი ამბობს, ქალაქში სეზონების ცვლილების შემჩნევა ძნელიაო. დაუსრულებელ რუხ შენობებსა და ტრანსპორტის გამონაბოლქვში რთულია, შენიშნო რაიმე ცვლილება. არსებობს მხოლოდ „შიგნით“ ან „გარეთ“, „მშრალი“ ან „სველი“. მაგრამ სახურავზე ყველაფერი სხვაგვარად იყო. სეზონის ცვლილებას ლილის პამიდვრები მოწმობდა. უკვე რამდენიმე კვირაა, მწიფე ნაყოფი ესხა. პირს ჩამწკრივებული მარწყვის ქოთნებიც ჩაგატკბარუნებინებდა. ყვავილები გაიფურჩქნენ, გაიშალნენ და შეჭკნენ. ადრიანი ზაფხულის ხასხასა სიმწვანემ გზა დაუთმო გამხმარ ტოტებსა და ფოთლებს. სახურავზე მონაბერ სიოს უკვე ეპარებოდა მომავალი ზამთრის სუსხი. ცაზე თვითმფრინავმა თეთრი კვალი დატოვა და შევნიშნე, ქუჩის ლამპიონები ჯერ კიდევ არ გამოერთოთ.

დედაჩემი სახურავზე ამოვიდა, ფართო შარვალი ეცვა, ირგვლივ მიმოიხედა, სტუმრები შეათვალიერა და ტანსაცმლიდან კიბიდან აყოლილი ცვარი მოიშორა.

— მართლაც ლამაზი ადგილი გაქვს, ლუისა. თან, ას კაცსაც კი დაატევდი აქ, — ხელში ჩანთა ეჭირა, რომელშიც შამპანურის რამდენიმე ბოთლი ედო. ძირს ფრთხილად დადო, — არ ვიცი, გითხარი თუ არა — ძალიან მამაცი გოგო ხარ, აქ ისევ ამოსვლის გამბედაობა რომ მოიკრიბე.

— ჯერაც არ მჯერა, აქედან რომ გადავარდი, — აღნიშნა ჩემმა დამ, რომელიც ჭიქებს ავსებდა, — ამხელა სახურავიდან გადავარდნას მხოლოდ შენ თუ მოახერხებდი.

— უგონოდ მთვრალი იყო, საყვარელო, არ გახსოვს? — დედა კიბისკენ გაბრუნდა, — ეს ამდენი შამპანური საიდან მოიტანე? ძვირად ღირებული ჩანს.

— ჩემმა უფროსმა მაჩუქა.

რამდნიმე დღის წინ, ფულის დათვლისას დაველაპარაკე (ბოლო დროს ბევრს ვსაუბრობდით. განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც შვილი შეეძინა. მგონი, უფრო მეტი ვიცოდი იმაზე, როგორ დაღვარა წყლები მისის პერსივალმა, ვიდრე ქალს მოუნდებოდა). როცა ჩემს გადაწყვეტილებაზე ვაცნობე, რიჩარდი სადღაც გაუჩინარდა, თითქოს არც გაუგია, რა ვუთხარი. ის იყო, ეს გამოხტომა მისი უხასიათობის მორიგ მაგალითად უნდა მიმეჩნია, რომ სარდაფიდან შაპანურის ბოთლების ყუთით ხელში დაბრუნდა.

— აიღე. სამოცპროცენტიანი ფასდაკლებით, ბოლო შეკვეთიდან, — ყუთი მომაწოდა და მხრები აიჩეჩა, — ან იცი, რა, დაივიწყე ფული. უბრალოდ აიღე, იმსახურებ.

ენა დამება, მადლობა ძლივს გადავუხადე. ჩაიდუდღუნა, დიდი ხნის დაძველებით არ არისო, მაგრამ შევარდისფრებულმა ყურებმა გასცა, რომ იტყუებოდა.

— იქნებ, ოდნავ მაინც დაგეტყოს კმაყოფილება, რომ გადავრჩი, — ტრინას ჭიქებით სავსე ლანგარი მივაწოდე.

— ოჰ, დიდი ხანია, შევეგუე, რომ დედისერთა აღარ ვარ. დაახლოებით, ორი წელია.

დედა ხელსახოცებით ხელში მოგვიახლოვდა. ჩურჩულით მითხრა:

— ესენი გამოგადგება?

— რატომ არ უნდა გამომადგეს?

— ტრეინორებს მასპინძლობ. ისინი ხომ ქაღალდის ხელსახოცებს არ იყენებენ, მხოლოდ ქსოვილის. ალბათ, ზედ ამოქარგული საგვარეულო გერბებიც აქვთ.

— დედა, ყოფილი საოფისე შენობის სახურავზე მოდიან სტუმრად. არა მგონია, ვერცხლის სერვიზს ელოდებდნენ.

— მართლა, — ჩაერთო ტრინა, — ტომის საბანი და ბალიში წამოვიღე. ვიფიქრე, ჯობია ნელ-ნელა მოვიტანო მისი ნივთები. ხვალ სკოლის შემდეგი მეცადინეობების წრეზე მაქვს შეხვედრა.

— მიხარია, რომ ყველაფერი დაგეგმეთ, გოგოებო. ტრინა, თუ გინდა, ტომს მე მივხედავ. შენ მხოლოდ მითხარი.

შეთანხმებულად ვმუშაობდით, ჭიქებსა და ერთჯერად თეფშებს ვალაგებდით. დედა დამატებით ხელსახოცების მოსატანად რომ წავიდა, ტრინას ჩუმად ვუთხარი:

— ტრინ, მამა მართლა არ მოდის?

ჩემი და შეიჭმუხნა. ვცდილობდი, არ დამტყობოდა, როგორ დამწყდა გული.

— ასე ცუდად არის საქმე?

— იმედი მაქვს, მე რომ წამოვალ, მოუწევთ, ერთმანეთს დაელაპარაკონ. ახლა თავს არიდებენ და მხოლოდ მე ან ტომს გველაპარაკებიან. ჭკუიდან გადავყავარ. დედა თავს იკატუნებს, თითქოს არ აწუხებს, რომ მამა არ წამოვიდა, მაგრამ ვიცი, დარდობს.

— ნამდვილად მეგონა, მოვიდოდა.

გასროლის შემდეგ, დედაჩემი ორჯერ ვნახე. ზრდასრულთა განათლების ცენტრში ახალ კურსზე ჩაეწერა: თანამედროვე ინგლისური პოეზია. ახლა ყველაფერში სიმბოლოებს ეძებდა. თითოეული ჩამოვარდნილი ფოთოლი რაღაც უბედურების მომასწავებელი ეჩვენებოდა, ცაში აჭრილი ყოველი ჩიტი კი — იმედისა და ოცნებების. ერთხელ პოეზიის საღამოზე გავყევი, სადაც აპლოდისმენტები არ დაუშურებია. ერთხელ კინოშიც ვიყავით,

სასტუმროს საპირფარეშოშიც შევიარეთ, მარიას სენდვიჩები მიუტანა. ორივეჯერ, როცა მარტოები დავრჩით, მოიწყინა.

— ხომ მშვენიერ დროს ვატარებთ? — იმეორებდა გამუდმებით, თითქოს მიწვევდა, შევწინააღმდეგებოდი. მერე კი დადუმდებოდა, ან ლონდონური სენდვიჩების სიძვირეზე აწუწუნდებოდა.

ტრინამ სკამი გადააადგილა, ქვევიდან ამოტანილი ბალიშებით მორთო.

— ბაბუაზე ვნერიულობ. ეს დაძაბულობა მასზე ცუდად მოქმედებს. დღეში ოთხჯერ იცვლის წინდებს და ისე გამატებით აჭერს პულტს, უკვე ორი ღილაკი გააფუჭა.

— ღმერთო, იცი რაზე დავფიქრდი? მასზე მეურვეობას ვის დააკისრებენ? — ტრინამ შეშფოთებით შემომხედა.

— მე ნუ მიყურებ, — წამოვიძახეთ ერთდროულად.

საუბარი სტუმრებმა — დარდთან გამკლავების წრის წევრებმა შეგვაწყვეტინეს. პირველად სუნილი და ლინი მოვიდნენ, რკინის კიბე ამოიარეს და აღნიშნეს, რა დიდი სახურავია, სიტის აღმოსავლეთი ნაწილის რა შესანიშნავი ხედი იშლებაო.

ლილი ზუსტად თორმეტზე გამოცხადდა. მაშინვე ჩამეხუტა და ბედნიერი ხმით წამოიძახა:

— ძალიან მომწონს ეს კაბა! მშვენივრად გამოიყურები, — გარუჯული ჩანდა. სახეზე ჭორფლები დამჩნეოდა, ხელზე ღინღლი გასთეთრებოდა, ღია ცისფერი კაბა და სანდლები ეცვა. სახურავზე მიმოიხედა, ნამდვილად კმაყოფილი ჩანდა კვლავ აქ ყოფნით. კამილა დინჯი ნაბიჯებით ამოვიდა სახანძრო კიბეზე, დაღლილი გამომეტყველებით ქურთუკი გაისწორა და მომიახლოვდა. საყვედურნარევი ხმით უთხრა ლილის:

— უნდა დამლოდებოდი, ლილი.

— რატომ? მოხუცი ხომ არ ხარ?

მე და კამილამ ერთმანეთს გადავხედეთ, მერე კი, იმპულსურად, გადავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. ძვირად ღირებული პარფიუმერიის სურნელი ასდიოდა. თმა უზადოდ დაევარცხნა.

— მიხარია, რომ მოხვედი.

— თურმე ჩემს მცენარეებს უვლიდი, — ლილი გულდასმით ამოწმებდა ყველაფერს, — მეგონა, ყველაფერს დააჭკნობდი. ამას შეხედე! ძალიან მომწონს. ახლებია? — იმ ქოთნებისკენ მიუთითა, წინა კვირაში რომ ვიყიდე ყვავილების ბაზრობაზე სპეციალურად ამ დღისთვის. არ მინდოდა მოჭრილი ყვავილები მომეტანა, ან რამე ისეთი, რაც მალე დაჭკნებოდა.

— ნემსიწვერაა, — აღნიშნა კამილამ, — სჯობს, ზამთარში აქ არ დატოვო.

— შეუძლია, პარკი გადააფაროს. ტერაკოტის ქოთნები მძიმე ჩასატანია.

— მაინც ვერ გადარჩებიან, — შეეპასუხა კამილა, — ვერ დაიცავს.

— მართალი გითხრათ, აქ ტომი გადმოდის საცხოვრებლად. გვეშინია, სახურავიდან არ გადავარდეს, თუ ჩემს ამბავს გავითვალისწინებთ, საშიში ადგილია, ამიტომ ჩავკეტავთ. თუ გსურს, შეგიძლია, ყვავილები წაიღო...

— არა, — წუთით დაფიქრდა ლილი, — აქ იყოს. მირჩევნია, ასეთი მახსოვდეს, როგორიც ახლაა.

მაგიდის გაშლაში დამეხმარა, ცოტა სკოლაზე ვილაპარაკეთ. იქ ყოფნა ძალიან მოსწონდა, მაგრამ სწავლა ცოტათი უჭირდა. დედამისზეც წუხდა, რომელიც თურმე ესპანელ არქიტექტორს, სახელად ფელიპეს უნაბავდა თვალებს. მას სენტ ჯონს ვუდში, მეზობლად შეეძინა სახლი.

— სიფათმოტყნული ლამის მეცოდება კიდეც. წარმოდგენა არ აქვს, რა ელის.

— შენ ხომ კარგად გრძნობ თავს?

— მე არაფერი მიშავს. ცხოვრება კარგია, — ჩიპსის ნაჭერს გადაუძახა პირში, — გითხარი, რომ ბებომ ახალშობილის მონახულება დამაძალა?

როგორც ჩანს, გაოგნებული სახე მივიღე.

— ჰო, ვიცი. მაგრამ ასე მითხრა, შენ მაინც უნდა მოიქცე მოზრდილივითო. წამომყვა კიდეც. ბებო გასაგიჟებლად მაგარი იყო. წესით, მე არ უნდა გამეგო, მაგრამ თურმე ტყავის ქურთუკი უყიდია, სპეციალურად ამ სტუმრობისთვის. მგონი, უფრო მეტი თავდაჯერებულობა სჭირდებოდა, ვიდრე აღიარებდა, — კამილას გახედა, რომელიც სემს ებაასებოდა მაგიდასთან, — ბაბუა ცოტა მებრალება. როცა ეგონა, ვერავინ ხედავდა, თვალს ბებოსკენ აპარებდა. თითქოს, ნანობდა, როგორ დამთავრდა მათ შორის ყველაფერი.

— ბავშვი როგორი იყო?

— ბავშვია, რა. ყველა ერთმანეთს ჰგავს, არა? ყველანი სანიმუშოდ იქცეოდნენ. ასეთ ფრაზებს ისროდნენ: „სკოლის ამბები როგორ მიდის, ლილი?“ „ხომ არ გინდა, თარიღი დავთქვათ, რომ მოხვიდე და დარჩე?“ „მამიდაშენს ხომ არ აიყვანდი ხელში?“ თითქოს ეს ყველაფერი უჩვეულო არ ყოფილიყო.

— ისევ ესტუმრები?

— ალბათ, ვინახულებ. არა უშავთ.

ჯორჯინას შევავლე მზერა, რომელიც მამამისს ზრდილობიანად ესაუბრებოდა. მისტერ ტრეინორს მეტისმეტად ხმამაღლა გაეცინა. რაც მისი ქალიშვილი მოვიდა, გვერდიდან არ მოსცილებია.

— კვირაში ორჯერ მირეკავს, სალაყბოდ. დელა კი სულ იმას გაიძახის, როგორ უნდა, მე და პატარა დავახლოვდეთ. თითქოს ახალშობილს ჭამის, ტირილისა და ჩასვრის გარდა სხვა რამეც შეეძლოს, — თქვა და დაიჯღანა.

გამეცინა.

— რა მოხდა?

— არაფერი, უბრალოდ შენი დანახვა მიხარია.

— ოჰ. რაღაც მოგიტანე.

ჩანთიდან პატარა ყუთი ამოიღო და მომაწოდა.

— ბებომ სრულიად გაუსაძლის ანტიკვარიატის ბაზრობაზე წამიყვანა და ეს რომ დავინახე, შენ გამახსენდი.

ყუთი ფრთხილად გავხსენი. შიგნით, მუქ ლურჯ ხავერდზე დეკორატიული სამაჯური იდო. ცილინდრის ფორმის თვლები ჰქონდა, რომლებიც მეწამულად და გიშრისფრად ელავდა. ავიღე და ხელისგულზე დავიდე.

— ცოტა გადაპრანჭულია, ჰო? მაგრამ გამახსენა...

— კოლჰოტი.

— კოლჰოტი. მადლობის ნიშანია, იცი, ყველაფრისთვის. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისაც მოეწონებოდა. მარტო ეგ სამაჯური კი არა, მეც. ძველი მე. თანაც, შენს კაბას უხდება.

მაჯა გავუწოდე, რომ სამაჯური მოერგო. ოდნავ შევისწორე.

— ძალიან მომწონს.

ძირს ფეხი რაღაცას გაჰკრა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ჰო, მგონი, შენი ვალი მაქვს, სამკაულების გამო.

— არაფერი გმართებს.

ვუყურებდი ლილის, მის შეძენილ თავდაჯერებას, მამამისის თვალებს და იმ ყველაფერზე ვფიქრობდი, რაც მან მომცა, ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა. მერე, უცებ, მკლავზე ძლიერად გამკრა.

— გეყოფა უხერხულობა და ემოციები, თორემ თვალებზე ტუში გამედღაბნება. დაბლა ჩავიდეთ და დარჩენილი საჭმელი ამოვიტანოთ. ფუჰ, იცი, რომ ჩემს ძველ ოთახში „ტრანსფორმერების“ პოსტერია? და კეიტი პერის? ვინ ჯანდაბა ცხოვრობს შენთან ერთად?

დარდთან გამკლავების წრის დანარჩენი წევრებიც გამოჩნდნენ. რკინის საფეხურებზე თრთოლითა და სიცილით მოიკვლევდნენ გზას. დაფნემ სახურავზე ამოსვლისას შვებით ამოისუნთქა, ფრედს მისი ხელი ეჭირა. უილიამმა ბოლო ნაბიჯი უდარდელად გადაალაჯა. ნატაშამ ამაზე თვალები გადაატრიალა. სხვებს, ჰაერში გამოკიდებული ჰელიუმის თეთრი ბუშტების დანახვისას, აღტაცების შეძახილები აღმოხდათ. მარკი ხელზე მეამბორა და მითხრა, ამდენი ხანია ამ წრეებს ვხელმძღვანელობ და არასოდეს მომხდარა ასეთი შეკრებაო. სიამოვნებით შევნიშნე, რომ ნატაშა და უილიამი დიდ დროს ატარებდნენ განცალკევებით საუბარში.

საჭმელი დავალაგეთ, ჯეიკი ბარში გავამწესეთ. შამპანურს ასხამდა და დავალებით დიდად კმაყოფილი ჩანდა. თავიდან ის და ლილი ერთმანეთს თავს არიდებდნენ, თითქოს ვერ ხედავდნენ, როგორც თინეიჯერებს სჩვევიათ, როცა ისეთ შეკრებაზე აღმოჩნდებიან, სადაც ყველა ელის, როდის გამოელაპარაკებიან ერთმანეთს. როდესაც ბოლოს და ბოლოს, ლილი მასთან მივიდა, ხელი ხაზგასმულად ზრდილობიანად გაუწოდა, რაზეც ჯეიკს გაეღიმა.

— სანახევროდ, მინდა, დამეგობრდნენ, სანახევროდ კი გული მისკდება, — ყურში ჩამჩურჩულა სემმა.

ხელი უკანა ჯიბეში ჩავუცურე.

— ლილი ბედნიერია.

— ლამაზი გოგოა, ჯეიკი სულ ახლახან დაშორდა შეყვარებულს.

— აკი ასეთია ცხოვრებაო, მისტერ?

სემმა ამოიგმინა.

— ჯეიკს არაფერი ემუქრება. ლილი მთელ წელს ოქსფორდშირში ატარებს.

— თქვენთან უსაფრთხოდ არავინაა, — თავი დახარა და მაკოცა. ორი წამით თავს ფუფუნება მივანიჭე, ყველაფერი სხვა გაუჩინარებულიყო, — მომწონს ეს კაბა.

— ძალიან ჭრელა-ჭრულა ხომ არ არის? — ზოლიანი კალთები გავშალე. ლონდონის ეს მხარე სავსე იყო ძველი ტანსაცმლის მაღაზიებით. წინა შაბათი ძველი აბრეშუმისა და ბუმბულების საკიდებთან ტრიალში გავატარე.

— მომწონს ჭრელა-ჭრულა. თუმცა, ცოტა გული მწყდება, რომ შენი სექსუალური ელფის უნიფორმა არ გაცვია.

დედაჩემი მოგვიახლოვდა, სემმა ოდნავ უკან დაიხია და ადგილი დაუთმო.

— როგორ ხარ, სემ? ისევ მკურნალობ? — სემი ორჯერ ინახულა საავადმყოფოში. გული შესტკიოდა საავადმყოფოს საჭმლის იმედად დარჩენილ პაციენტებზე. სახლში მოხარშული სოსისები და კვერცხიან-მაიონეზიანი სენდვიჩები მიუტანა.

— დიახ, გმადლობთ.

— დღეს თავს ნუ გადაიტვირთავ, სიმძიმეები არ ატარო. მე და გოგოებიც მოვერევით.

— დროა, დავიწყოთ, — ვთქვი მე.

დედამ მაჯის საათს დახედა და სახურავზე მიმოიხედა.

— ხუთი წუთიც ხომ არ მოვიცადოთ? დავწმუნდეთ, რომ დასალევი ყველას აქვს.

მისი ღიმილი — ხელოვნური და მეტისმეტად ნათელი — გულს მტკენდა. სემმაც შენიშნა. მკლავი მკლავში გაუყარა.

— ჯოზი, ხომ ვერ მანახებდი, სალათები სად დაალაგე? ახლა გამახსენდა, რომ საწებლის ამოტანა დამავიწყდა.

— სად არის?

მაგიდასთან შეკრებილი ხალხის ჯგუფი გრუხუნმა გამოიარა. როხროხა ხმისკენ მივტრიალდით, რომელიც დაბლიდან ამოდიოდა.

— ღმერთო ჩემო, მართლა აქ არიან თუ ისევ ტომიმ გამაცუ-ცურაკა?

— ბერნარდ! — დედაჩემმა ხელსახოცებს ხელი უშვა.

მოაჯირთან მამაჩემის სახე გამოჩნდა, სახურავს ათვა-ლიერებდა. ბოლო საფეხურებიც ამოიარა და აქოშინებულმა, ლოყები დაბერა. შუბლი ოფლის წვეთებით დაცვაროდა.

— ასე მაღლა რატომ მოაწყვეთ ეს ყველაფერი, ლუისა, ვერ ვხვდები. ღმერთო დიდებულო.

— ბერნარდ!

— ეკლესია კი არ არის, ჯოზი. თანაც, მნიშვნელოვანი განცხა-დება მაქვს.

დედამ მიმოიხედა.

— ბერნარდ, ახლა ამის დრო არ...

— ჩემი განცხადება კი... ეს არის.

მამაჩემი დაიხარა და დემოსტრაციულად აიწია შარვლის ტო-ტები. ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა. წყლის ავზთან ვიდექი და დავინახე, ფეხები თეთრი და ლაქებით დაფარული ჰქონდა. სა-ხურავზე ყველა გაისუსა. ყველა მამაჩემს მიაჩერდა. ფეხი გაშა-ლა.

— ბავშვის ტრაკივით რბილია. მოდი, ჯოზი, შეეხე.

შეშფოთებული დედაჩემი მიუახლოვდა, დაიხარა და თითები მამაჩემის წვივებს დაუსვა.

— ხომ მითხარი, ფეხებს თუ ცვილით აიფხრეწ, სერიოზულად მოგეკიდებიო. აი, შევასრულე.

დედაჩემი გაოგნებით შეჰყურებდა.

— თმა მოიშორე?

— მოვიშორე. რომ მცოდნოდა, რა უსიამოვნო ყოფილა, სუ-ლელ პირს მოვკეტავდი. რა წამებაა! რომელ იდიოტს მოუვიდა თავში?

— ბერნარდ...

— არ მადარდებს. ჯოჯოხეთი გამოვიარე, ჯოზი. მაგრამ ისევ გავიმეორებ, თუ შემირიგდები. მენატრები, ძალიან მენატრები. თუ გინდა, ათასობით კურსი გაიარე: ფემინისტური პოლიტიკა, შუა აზიის მეცნიერებები, ძაღლების ბეწვის დაწნა, რაც გინდა. მთავარია, ერთად ვიყოთ. იმის დასამტკიცებლად, რაზე ვარ წამსვლელი, შემდეგ კვირაში ვაპირებ, ზურგზეც მოვიშორო თმა და... რა დარჩა?

— წელი, — უხალისოდ შეახსენა ჩემმა დამ.

— ო, ღმერთო, — დედაჩემმა ხელი ყელზე მოისვა.

ჩემ გვერდით, სემი შეკავებული სიცილისგან ცახცახებდა.

— გააჩუმე, — ჩაილუღლუღა, — თორემ ნაკერები გამეხსნება.

— ყველაფერს გავაკეთებ. თუ საჭირო გახდა, გაპუტულ ქათამსაც კი დავემსგავსები, ოღონდ გაჩვენო, რა ძვირფასი ხარ ჩემთვის.

— ვაიმე, ბერნარდ!

— სიმართლეს ვამბობ, ჯოზი. სასოწარკვეთილი ვარ.

— აი, რატომაც არ გამოსდის ჩვენს ოჯახს რომანტიკა, — ჩაიბუტბუტა ტრინამ.

— რაზე ლაპარაკობენ? — იკითხა ტომასმა.

— ჩემო სიყვარულო, როგორ მომენატრე, — დედამ მამას ხელები კისერზე შემოხვია და აკოცა. მამას მაშინვე სახეზე დაეტყო შვება. ჯერ დედას მხრებში ჩარგო თავი, მერე ისევ აკოცა, დაუკოცნა ყურები, თმა. პატარა ბიჭივით ხელი ჩასჭიდა.

— რა საზიზღრობაა, — წამოიძახა ტომასმა.

— ესე იგი, არ მომიწევს...

დედა მამას ლოყაზე მიეფერა.

— ხვალ დილითვე გავაუქმებთ სალონში ვიზიტს.

მამა აშკარად დამშვიდდა.

ალიაქოთი მიწყნარდა. კამილა ტრეინორის გაფითრებული სახის დანახვისას მივხვდი, ლილიმ აუხსნა, თუ რის ჩადენას აპირებდა მამაჩემი სიყვარულის სახელით.

— მაშ ასე... იქნებ, კიდევ ერთხელ შევუვსოთ ყველას ჭიქა და მერე... დავიწყოთ? — განვაცხადე მე.

ოცი წუთი გავიდა, სანამ სახურავი მეორედ დადუმდებოდა. მანამდე ყველა მამაჩემის დიადი თავდადების ამბით ერთობოდა, ახალშობილ ტრეინორს პამპერსს ვუცვლიდით და ტომასს ვუშლიდით კვერცხიანი სენდვიჩების მისტერ ანტონი გარდინერის აივანზე სროლას. შემდეგ მარკმა სახურავის შუაგულში დაიკავა ადგილი და ჩახველებით ხმა ჩაიწმინდა. უფრო მაღალი ყოფილა, ვიდრე მეგონა. მე ხომ ყოველთვის სკამზე მჯდარს ვხედავდი.

— ყველას მოგესალმებით. უპირველესად, მინდა ლუისას მადლობა გადავუხადო, რომ ეს ადგილი დაგვითმო წრის სეანსების დასრულების ცერემონიის ჩასატარებლად. ცასთან ასე ახლოს ყოფნა, ალბათ შემთხვევითი არ არის... — გაეცინა, — ეს ჩვენთვის უჩვეულოა, რადგან პირველად ესწრებიან შეკრებას უცხოებიც. თუმცა, ვფიქრობ, კარგი აზრია მეგობრებთან ერთად აღნიშვნა. დარწმუნებული ვარ, აქ მყოფთაგან ყველას გამოუცდია, რას ნიშნავს, გიყვარდეს და დაკარგო. ამიტომაც, დღეს ყველანი წრის საპატიო წევრები ვართ.

ჯეიკი მამამისის გვერდით იდგა. ჭორფლიანი, ქერა კაცი იყო, რომლის დანახვისას, სამწუხაროდ, ყოველ ჯერზე წარმოვიდგენდი, როგორ ტიროდა სექსის შემდეგ. ხელი გაშალა და შვილი გულში ჩაიკრა. ჯეიკმა გამომხედა და თვალები გადაატრიალა, მაგრამ გაეღიმა კიდეც.

— მართალია, დარდთან გამკლავების წრე გვქვია, მაგრამ ცხოვრების გაგრძელება უკან მიხედვის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ გზას ვაგრძელებთ, მაგრამ ყოველთვის თან ვატარებთ მათ,

ვინც დავკარგეთ. ჩვენი წრის მიზანია, ამ ტვირთმა მეტისმეტად არ დაგვამძიმოს, ისე, რომ ვეღარ გავუძლოთ და ერთ ადგილს მივეჯაჭვოთ. ჩვენ გვსურს, ჩვენს გულებში მათ ყოფნას საჩუქარივით აღვიქვამდეთ.

მოგონებების, სევდისა და მცირე გამარჯვებების ერთმანეთისთვის გაზიარებით ვსწავლობთ, რომ ნორმალურია, თუ ზოგჯერ ნაღვლიანი ხარ. ან გაბრაზებული. არა უშავს, თუ ბევრ ისეთ რამეს განვიცდით, რასაც სხვა ადამიანები ვერ გაიგებენ. ყველას თავისი გზა აქვს. ჩვენ არავის განვიკითხავთ.

— ორცხობილების გარდა, — ჩაიბუტბუტა ფრედმა, — და არომატიანი ჩაის პაკეტების. საოცრად უგემური იყო ხოლმე.

— და ამით, როგორი შეუძლებელიც არ უნდა მოგვჩვენებოდა პირველი შეხვედრისას, ყველამ მივაღწიეთ მიზანს. ჩვენ უკვე შეგვიძლია გავიხაროთ იმით, რომ ადამიანები, რომლებზეც ვსაუბრობდით, ვგლოვობდით და ვდარდობდით, ოდესღაც ჩვენ გვერდით იყვნენ. არ აქვს მნიშვნელობა, მათთან ექვსი თვე გავატარეთ თუ სამოცი წელი. ჩვენ გაგვიმართლა, რომ ისინი არსებობდნენ ჩვენს ცხოვრებაში.

ირგვლივ მიმოვიხედე და ეს სახეები შევათვალიერე, რომლებსაც ასე მივეჩვიე და უილი გამახსენდა. თვალები დავხუჭე და მისი სახე, ღიმილი და სიცილი წარმოვიდგინე; გავიხსენე, რა ძვირად დამიჯდა მისი სიყვარული, მაგრამ რამდენად ბევრი მივიღე მისგან.

მარკმა წრის წევრებს თვალი მოგვავლო. დაფნე თვალის კუთხეში ცრემლებს იწმენდდა.

— როგორც წესი, ასეთ დროს რამდენიმე წინადადებით ვამბობთ, რა გამოვიარეთ და რას მივაღწიეთ. ხანგრძლივ გამოსვლებს არ ვითხოვ. მაგრამ დღეს თქვენ კარს გაიხურავთ და ახალ მოგზაურობას დაიწყებთ. ვალდებულები არ ხართ, თუმცა, სასიამოვნო მოსასმენი იქნება.

ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს დარცხვენილი ღიმილით გადახედეს. თავიდან მომეჩვენა, რომ არავინ აპირებდა რაიმეს თქმას. შემდეგ ფრედი წამოიმართა. გულის ჯიბეში ჩამაგრებული ცხვირსახოცი შეისწორა და წელში გაიმართა.

— მე მსურს, მადლობა გადაგიხადო, ჯილი. ჩინებული ცოლი იყავი და მე ძალიან გამიმართლა, რომ ოცდათვრამეტი წელი შენი ქმარი მერქვა. ყოველდღე მომენატრები, ძვირფასო.

ცოტა უხერხულად უკან დაიხია. დაფნემ ჩუმად, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ანიშნა: „კარგად თქვი, ფრედ“. მერე აბრეშუმის შარფი შეისწორა და მანაც გადმოდგა ნაბიჯი.

— მე უბრალოდ მინდოდა მეთქვა... მაპატიე, ალან. შენ ძალიან კეთილი კაცი იყავი, ნეტა გულწრფელები ვყოფილიყავით ერთმანეთის მიმართ. ნეტა შემძლებოდა შენი დახმარება. ნეტა... იმედი მაქვს, რომ კარგად ხარ და მეგობარი გყავს, სადაც უნდა იყო.

ფრედმა დაფნეს მკლავზე მოუთათუნა.

ჯეიკმა კისერი მოისრისა, მერე კი, გაწითლებულმა, წინ წამოიწია და მამამისს შეხედა.

— ორივეს გვენატრები, დედა. მაგრამ ცხოვრებას ვაგრძელებთ. არ მინდა, ინერვიულო.

სიტყვა რომ დაასრულა, მამამისი ჩაეხუტა, თავზე აკოცა და ცრემლების მოსაგერიებლად, თვალები აახამხამა. მან და სემმა ურთიერთგაგების ღიმილი გაცვალეს.

შემდეგ ლინმა და სუნილმაც თქვეს რამდენიმე სიტყვა. თვალები ცაში აღაპყრეს, რომ ცრემლები დაემალათ.

უილიამი წინ წამოიწია და თეთრი ვარდი დადო ძირს, მდუმარედ. უჩვეულოდ სიტყვაძუნწმა ყვავილს დახედა და მერე უკან დაიხია. ნატაშა გადაეხვია და უილიამი უეცრად ხმამაღლა აქვითინდა.

მარკმა მე შემომხედა. სემმა ხელი შემომხვია. გავუღიმე და თავი გავაქნიე.

— მე არა, მაგრამ ლილის სურს რაღაცის თქმა, თუ შეიძლება.

ლილი ტუჩებს იკვნეტდა, როცა წრის შუაგულში მოექცა. წინასწარ დაწერილი ტექსტის ფურცელს დახედა, მერე კი, გადაიფიქრა და ხელში მოჭმუჭნა.

— ლუისას ვკითხე, შემეძლო თუ არა მეც, ეს გამეკეთებინა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი წრის წევრი არ ვარ. მამაჩემს პირადად არ ვიცნობდი. მის დაკრძალვაზე გამოსამშვიდობებელი სიტყვა ვერ ვთქვი და ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, ახლა დავმშვიდობებოდი, როცა ცოტათი უკეთ ვიცნობ, — ნერვიულად გაეღიმა, თმა ყურზე გადაიწია, — მაშ ასე. უილ... მამა. როცა პირველად გავიგე, რომ მამაჩემი იყავი, გულწრფელად გითხრა, გული დამწყდა. იმედი მქონდა, ჩემი ნამდვილი მამა ბრძენი, სიმპათიური კაცი აღმოჩნდებოდა, რომელიც ბევრ რამეს მასწავლიდა, დამიცავდა, სამოგზაუროდ წამიყვანდა და თავის საყვარელ ადგილებს დამათვალიერებინებდა. მე კი ერთი ეტლში მჯდარი, ბრაზიანი კაცი მერგო, რომელმაც საბოლოოდ თავი მოიკლა. მაგრამ, ლუსა და შენი ოჯახის წყალობით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში ცოტა უკეთ გაგიგე. ყოველთვის ვიდარდებ და ცოტათი განრისხებულიც ვიქნები, რომ ვერ გაგიცანი. თუმცა, მეც მინდა, მადლობა გითხრა. ბევრი რამ მომეცი, ისე რომ არც გაგიგია. მგონი კარგ რამეებში დაგემსგავსე... რამდენიმე ცუდშიც. შენგან მივიღე ლურჯი თვალები, ჩემი თმისფერი, ის, რომ „მარმაიტი“ გულისამრევი საწებელი მგონია, თხილამურებზე დგომის ნიჭი და... როგორ ჩანს, უხასიათობაც. ეს სხვების აზრია, სხვათა შორის, და არა — ჩემი.

ყველას სიცილი წასკდა.

— რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შენ მე ოჯახი მომეცი, რომელიც არც კი ვიცოდი, რომ მყავდა. ეს კი ძალიან მაგარია. სი-

მართლე გითხრა, ჩემი ცხოვრება არც ისე კარგად მიდიოდა, სანამ ისინი გამოჩნდებოდნენ, — ღიმილი გაუფერმკრთალდა.

— ჩვენ კი გვიხარია, რომ შენ გამოჩნდი, — წამოიძახა ჯორჯინამ.

სემმა ხელი მაგრად მომიჭირა. წესით, ასე დიდხანს ფეხზე არ უნდა მდგარიყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დაჯდომაზე უარს აცხადებდა. „ხეიბარი კი არ ვარ!“ თავი მხარზე ჩამოვადე, ყელში გაჩხერილი ბურთის გადაყლაპვას ვცდილობდი.

— მადლობა, ჯი. მოკლედ, უილ... მამა, აღარ გავაგრძელებ. გრძელი სიტყვა ყოველთვის მოსაწყენია, თანაც ის პატარა მალე ბღავილს დაიწყებს, რაც ყველას გაგვიფუჭებს ხასიათს. უბრალოდ მინდოდა, მადლობა მეთქვა. მე... მიყვარხარ და ყოველთვის მომენატრები. იმედი მაქვს, ზემოდან დამყურებ და ჩემით კმაყოფილი ხარ. გიხარია, რომ ვარსებობ. ჩემი აქ ყოფნა ხომ იმასაც ნიშნავს, რომ შენც კვლავ აქ ხარ, არა? — ლილის ხმა ჩაუწყდა და თვალები ცრემლებით აევსო. მზერა კამილასკენ გააპარა, რომელმაც გამხნევების ნიშნად, თავი დაუქნია. ლილიმ დაისრუტუნა და ნიკაპი ასწია.

— მგონი, ახლა დროა, ყველამ თავისი ბუშტი გაუშვას ჰაერში.

ძლივსგასაგონი შვებით ამოსუნთქვის ხმა და ნაბიჯების ფლატუნი გავიგონე. ჩემ უკან წრის რამდენიმე წევრმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ბუშტებზე გამობმულ ზონარებს დასწვდნენ.

ლილიმ პირველმა გადადგა ნაბიჯი, თეთრი ჰელიუმის ბუშტით ხელში. მერე მოულოდნელად თავისი ქოთნებიდან ერთ--ერთისკენ დაიხარა, პაწაწინა ლურჯი ღიღილო მოწყვიტა და ფრთხილად მიამაგრა ბუშტის ზონარს. ხელი ასწია და მცირე ყოყმანის შემდეგ, ბუშტი ჰაერში გაუშვა.

შემდეგი სტივენ ტრეინორი იყო. დელამ ქმარს ნაზად მოუჭირა ხელი. მას კამილა მოჰყვა, მერე ფრედი, სუნილი, ჯორჯინა,

რომელსაც დედამისისთვის გამოედო ხელკავი. დედაჩემი, ტრინა, მამაჩემი, რომელიც ხმაურით იწმენდდა ცხვირს და ბოლოს, სემი. სახურავის მდუმარებაში ვიდექით და ვუყურებდით, როგორ მიცურავდნენ მაღლა, სათითაოდ, მოწმენდილ, ლურჯ ცაში, სულ უფრო და უფრო პატარავდებოდნენ, სანამ უხილავ, უსასრულო ადგილს არ მიაღწიეს.

და მერე მეც გავუშვი ჩემი.

თავი ოცდამეათე

ნარინჯისფერპერანგიანი მამაკაცი უკვე მეოთხე დანიურ ორცხობილას მიირთმევდა. კოტიტა თითებით პირში იტენიდა მინანქრიან ნაჭრებს. დროდადრო ცივ ლუდს აყოლებდა.

— ჩემპიონების საუზმე, — ჩაილაპარაკა ვერამ, როცა ჭიქებით სავსე ლანგრით ჩამიარა და ყალბად გაიცინა.

წამიერად, მადლიერებამ ამავსო, რომ კაცების საპირფარეშოს გასუფთავება აღარ მევალებოდა.

— აბა, ლუ! როგორ უნდა მოვიქცე, რომ მომემსახურონ? — ოდნავ მოშორებით მამაჩემი სკამზე მოთავსდა და ბარისკენ გადაიხარა, რომ ლუდის თარო შეეთვალიერებინა, — თვითმფრინავის ბილეთი ხომ არ უნდა წარმოვადგინო სასმელის საყიდლად?

— მამა...

— დაუგეგმავი მოგზაურობა ალიკანტეში. რას იტყვი, ჯოზი? მოგწონს ეს აზრი?

დედამ იდაყვი გაჰკრა.

— წელს მაინც უნდა წავიდეთ სამოგზაუროდ. ნამდვილად უნდა წავიდეთ.

— იცი, არც ისეთი ცუდი ადგილია ეს ბარი. მთავარია, შეეგუო, რომ აქ ბავშვებსაც კი უშვებენ, — მამამ მხრები აიჩეჩა და უკან გაიხედა. ახალგაზრდა ოჯახმა, რომელთა ფრენაც გადაიდო, ლეგოს სათამაშოები და ქიშმიშის მარცვლები მთელ მაგიდაზე მიმოფანტეს და ორი ჭიქა ყავა შეუკვეთეს, — რას გვირჩევდი, ძვირფასო? ბებერ სხეულს რა არგებს?

რიჩარდს მოვკარი თვალი, რომელიც თავისი დავთრით მიახლოვდებოდა.

— აქ ყველაფერი კარგია, მამა.

— უნიფორმების გარდა, — აღნიშნა დედამ და ვერას მოკლე, მწვანე ქვედაბოლო აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— სათავო ოფისის ბრალია, — თქვა რიჩარდმა. მას უკვე ორჯერ მოუხდა დედაჩემთან კამათი ქალებთან ნივთებივით მოპყრობის თაობაზე, — მე არაფერ შუაში ვარ.

— რაიმე მაგარი ლუდი გაქვთ, რიჩარდ?

— „მერფის“ ლუდი გვაქვს, მისტერ კლარკ. „გინესს“ ჰგავს, თუმცა წმინდა ლუდის მოყვარულს ამას არ უნდა ვეუბნებოდე.

— წმინდა ლუდის მოყვარული არ ვარ, შვილო. თუ თხევადია და ეტიკეტზე ლუდი აწერია, ჩემთვის უკვე საკმარისია.

მამამ ტუჩები დაპრუწა კმაყოფილებისგან, როცა წინ კათხა დაუდეს. დედამ ყავის მირთმევაზე თანხმობა „მაღალი საზოგადოებისთვის განკუთვნილი“ ხმით განაცხადა. ახლა ამ ტონს თითქმის ყველგან იყენებდა ლონდონში ყოფნისას: „ოჰ, ესაა ლატე? შესანიშნავად გამოიყურება. რა ჭკვიანური ყავის აპარატია“.

მამაჩემმა დედაჩემის გვერდით, სკამზე დააკაკუნა ხელი.

— მოდი, ჩვენთან დაჯექი, ლუ. ჩემს გოგონას სასმელი მინდა, ვუყიდო.

რიჩარდს გავხედე.

— ყავას დავლევ, მამა, გმადლობ.

ბარში მდუმარედ ვისხედით, რიჩარდი კი გვემსახურებოდა. მამა მალე მოშინაურდა. ასე იქცეოდა ყველა ბარში, რომელშიც ოდესმე ყოფილა. თავს უქნევდა და ესალმებოდა სხვა სტუმრებს, სკამზე ისე თავსდებოდა, თითქოს მისი საყვარელი სავარძელი ყოფილიყო. გეგონებოდათ, ბოთლების მწკვრივები და ბარის სქელი ზედაპირი სულიერ თავშესაფარს უქმნიდნენ. დედაჩემს არ სცილდებოდა, ან ფეხზე ეფერებოდა, ან მისი ხელი ეჭირა. ბოლო დროს, ერთმანეთს ვერ მოწყვეტდით, თავმიდებულები თინეიჯერებივით ხითხითებდნენ. ჩემი დის აზრით, ეს ყველა-

ფერი გულისამრევი იყო. სანამ სამსახურში წავიდოდა, გამომიტყდა, ლამის ის დრო მერჩივნა, როცა ერთმანეთს ხმას არ სცემდნენო.

— წინა შაბათს ყურსასმენებით მომიხდა დაძინება. წარმოგიდგენია, რა საშინელებაა? ბაბუ საუზმისას გაფითრებული იჯდა.

გარეთ, პატარა სამგზავრო თვითმფრინავი დაეშვა. ტერმინალისკენ დაიძრა, გზად კი კაშკაშა ფერის ქურთუკში ჩაცმული მამაკაცი მიანიშნებდა, რა მიმართულებით გაეგრძელებინა მოძრაობა. დედა სწორედ ამ თვითმფრინავს შესცქეროდა. ბართან იჯდა, მუხლებზე ჩანთა ედო.

— ტომს ძალიან მოეწონებოდა ამის დანახვა. ასე არ არის, ბერნარდ? ალბათ მთელი დღე ფანჯარასთან იდგებოდა.

— შეუძლია მოვიდეს, ხომ ასეა? ტრინამ შაბათ-კვირაობით აქ მოიყვანოს ხოლმე. შეიძლება, მეც შევუერთდე, თუ ლუდი ივარგებს.

— სულგრძელად მოიქეცი, მათ შენს ბინაში დარჩენა რომ შესთავაზე, — მითხრა დედამ, ჯერაც არ აცილებდა თვალს თვითმფრინავს, — იცი, ეს ტრინასთვის ბევრს ნიშნავს. ჯერ ხომ ძალიან ცოტას გამოიმუშავებს.

— ასეც უნდა იყოს.

— ორივენი მოგვენატრებიან, მაგრამ ვიცით, სულ ჩვენთან ვერ იცხოვრებს. ძალიან აფასებს შენს დახმარებას, საყვარელო, თუნდაც ამას არ ამჟღავნებდეს.

სულ არ მენაღვლებოდა, ტრინა გამოამჟღავნებდა თუ არა მადლიერებას. რაღაცას მივხვდი, როგორც კი ის და ტომი ჩემს კარებში შემოვიდნენ, თავიანთი ნივთებითა და პოსტერებით. უკან მამა მოჰყვებოდათ, ტომის საყვარელი პრედაკონებითა და ავტობოტებით სავსე პლასტმასის კალათით ხელში. მაშინ ვიგ-

რძენი, რომ უილის მიერ ამ სახლში გადახდილ ფულს ამაოდ არ ჩაუვლია.

— უკვე გითხრათ ლუისამ, რომ მისი დაც აქ გადმოდის, რიჩარდ? — დედაჩემი თვლიდა, რომ ყველა, ვისაც ლონდონში გაიცნობდა, მისი მეგობარი იყო და ყველაფერი დააინტერესებდათ, რაც კლარკების ოჯახში ხდებოდა. დილით ათი წუთი აძლევდა რჩევებს რიჩარდს, როგორ ემკურნალა ცოლის მასტიტისთვის. თან გაყოლა და ახალშობილის მონახულებაც კი მოიწადინა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასტუმროს მოახლე მარია თავის ქალიშვილთან ერთად ორ კვირაში ერთხელ ჩაიზე სტუმრობდა სტროტფოლდში, გამოდის, დედაჩემი მთლად არ ცდებოდა.

— ჩვენი კატრინა გადასარევი გოგოა, ძალიან ჭკვიანია. თუ ბუღალტერიაში დახმარება დაგჭირდათ, მას მიმართეთ.

— გავითვალისწინებ, — რიჩარდმა შემომხედა, მერე კი მზერა გააპარა.

საათი შევამოწმე. თორმეტის თხუთმეტი წუთი აკლდა. ავფორიაქდი.

— რიგზე ხარ, საყვარელო?

უნდა მეღიარებინა, დედაჩემს არაფერი გამოეპარებოდა.

— კარგად ვარ, დედა.

ხელი მომიჭირა.

— შენით ძალიან ვამაყობ. ხომ იცი ეს? ბევრს მიაღწიე ბოლო რამდენიმე თვეში. ვხვდები, სულაც არ იყო იოლი, — მერე კი ხელი გაიშვირა, — აბა, გაიხედე! ვიცოდი, მოვიდოდა! საყვარელო, რა კარგია!

და, აი, ისიც. ბარში მყოფებიდან ყველაზე ერთი თავით მაღალი, ხალხში დინჯად მოიკვლევდა გზას. მკლავი ოდნავ წინ გამოეწია, თითქოს უფრთხოდა, ვინმე არ დასჯახებოდა. სანამ შე-

მამჩნევდა, მე დავინახე და ყურებამდე გავიღიმე. გაცხარებით დავუქნიე ხელი, მან დამინახა და თავი დამიქნია.

როდესაც დედას მივუტრიალდი, სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— კარგი ბიჭია.

— ვიცი.

დედა დიდხანს მიყურებდა, სიამაყისა და რაღაც უფრო გაურკვევლის ნარევი გამომეტყველებით. ხელზე მომეფერა.

— მაშ ასე, — თქვა და სკამიდან წამოდგა, — შენი თავგადასავლის დროა.

მშობლები ბარში დავტოვე. ასე სჯობდა. სემი მცირე ხნით გამოელაპარაკა მათ. რიჩარდმა ჭრილობებზე გამოჰკითხა და ნერვიულად გაეცინა, როცა მამამ შენიშნა, რაც მთავარია, წინა შეყვარებულზე უკეთ მაინც გამოძვრაო. სამი ცდა დასჭირდა მამას, რომ რიჩარდი დაერწმუნებინა, სულაც არ ვხუმრობ დიგნიტასის შესახებო. მგონი, ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ, რიჩარდი ბედნიერიც კი იყო, რომ მივდიოდი.

დედაჩემის ჩახუტებისგან რომ გავთავისუფლდი, დარბაზი დუმილით ჩავიარეთ. სემისთვის ხელმკლავი მქონდა გაყრილი და ვცდილობდი, არ შემემჩნია, რომ გული ამოვარდნაზე მქონდა, მშობლები კი, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ თვალს მადევნებდნენ. ოდნავ შეშფოთებული, სემს მივუტრიალდი. მეგონა, მეტი დრო გვექნებოდა.

დრო შეამოწმა და გაფრენის ტაბლოს ახედა.

— აი, უკვე გიხმობენ, — გორგოლაჭებიანი ჩემოდანი გამომიწოდა. გამოვართვი და ვეცადე, გამეღიმა.

— მშვენიერი სამგზავრო ჩაცმულობაა.

ლეოპარდის პრინტიანი მაისური მეცვა და გულის ჯიბეში ჟაკლინ ონასისის სტილის სათვალე მედო.

— 70-იანების ბორტგამცილებლის უნიფორმას ვბაძავდი.

— მშვენიერია.

— ოთხ კვირაში გნახავ... ამბობენ, რომ შემოდგომა ნიუ-იორკში კარგია.

— აუცილებლად კარგი იქნება, — თავი გააქნია, — ღმერთო, მეზიზღება სიტყვა „კარგი“.

ერთმანეთში გადაჭდობილ ჩვენს ხელებს დავხედე. დაჟინებით ვუცქერდი, თითქოს ვცდილობდი, დამემახსოვრებინა მათი შეხების შეგრძნება. თითქოს მნიშვნელოვანი გამოცდისთვის სათანადოდ არ ვიყავი მომზადებული და ბოლო წუთებში ვცდილობდი ყველაფრის დაზეპირებას. პანიკამ მომიცვა. მგონი, სემმაც იგრძო, რადგან თითები უფრო მჭიდროდ მომიჭირა.

— ყველაფერი თან გაქვს? პასპორტი? ბილეთი? მისამართი?

— ნათანი დამხვდება აეროპორტში.

არ მინდოდა ხელი გამეშვა მისთვის. ორ რკინის ნაჭერს შორის გაჭედილი მაგნიტივით, ორ სხვადასხვა მხარეს ვგრძნობდი მიზიდულობის ძალას. სხვა წყვილები ერთად მიიწევდნენ თვითმფრინავისკენ, საერთო თავგადასავლებისკენ, მე კი განზე ვიწეოდი და რიგში გზას ვუთმობდი მათ.

წყვილები არც სემს გამოჭპარვია. უკან დაიხია და სანამ ხელს გამიშვებდა, ნაზად მაკოცა თითებზე.

— წასვლის დროა.

მილიონი რამის თქმა მსურდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ. წინ წავიწიე და ვაკოცე, როგორც აეროპორტში კოცნიან ხოლმე: სიყვარულით და ვნებით; ეს კოცნა მთელი გზის, კვირების, თვეების მანძილზე უნდა გაგვყოლოდა. ამ კოცნით ვცადე გამომეხატა, რამდენს ნიშნავდა ის ჩემთვის. ვცადე, მეჩვენებინა, რომ ის აღმოჩნდა პასუხი შეკითხვებზე, რომლებიც არც კი ვიცოდი, თუ მაწუხებდა. მადლობა გადავუხადე იმისთვის, რომ ჩემს დარჩენაზე მეტად ჩემი ბედნიერება სურდა. მაგრამ სინამდვილეში, ალბათ, ამ კოცნით მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე,

რომ დილით ყავის ორი უზარმაზარი ჭიქა დავლიე და მას შემდეგ კბილები აღარ გამომიხეხავს.

— თავს გაუფრთხილდი, — ვუთხარი მე, — სამსახურში დაბრუნებას ნუ იჩქარებ და მშენებლობას ნუ გააგრძელებ.

— ხვალ ჩემი ძმა ჩამოდის და აგურებს ის მიხედავს.

— თუ მაინც დაბრუნდები, თავი საფთხეში აღარ ჩაიგდო. ტყვიისგან თავის არიდებაში ძალიან სუსტი ხარ.

— ლუ. კარგად ვიქნები.

— მართლა გეუბნები. ნიუ-იორკში რომ ჩავალ, დონას მივწერ და გავაფრთხილებ, რომ თუ კიდევ რაიმე მოგივა, მას დავადანაშაულებ. ან იქნებ შენს უფროსს ვუთხრა, ანკეტების შევსებაზე გაგამწესოს. ან რომელიმე მიძინებულ სადგურში გადაგიყვანოს, მაგალითად, ნორფოლკში. ან, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ჩაგაცვას. აქამდე ეს არ მოსვლიათ აზრად? მგონი, ნიუ-იორკში შევძლებ, ვიყიდო, თუ...

— ლუისა... — თვალებზე ჩამოყრილი თმა გადამიწია. მოვიღუშე. სახე სახეზე მივადე. მისი სურნელი ღრმად ჩავისუნთქე. მერე, სანამ გადავიფიქრებდი, ქვითინის, ჩახველების თუ გაცინების მსგავსი „ნახვამდის“ ჩავილუღლუღე, რომელიც მეც კი ძლივს გავარჩიე. მერე კი, მოვტრიალდი, ჩემოდანს ხელი დავავლე და შემმოწმებელი პუნქტისკენ გავწიე.

უნიფორმაში ჩაცმულ აეროპორტის თანამშრომელს ჩემი ახალი პასპორტი გავუწოდე. თვალები ისეთი ცრემლიანი მქონდა, ვერც კი გავარჩიე მისი სახე. როცა ხელით მანიშნეს, რომ შემეძლო, გზა გამეგრძელებინა, იმპულსურად მოვტრიალდი. სემი ჯერ კიდევ ბარიერს იქით იდგა, მიყურებდა. ერთმანეთს ჩავხედეთ თვალებში, ხელი ამიწია და მეც იგივე ჟესტი გავიმეორე. ეს სურათი წარმოსახვაში ამოვიტვიფრე: როგორ იდგა ოდნავ წინ გადმოხრილი, როგორ ეცემოდა შუქი თმაზე, როგორი მტკიცე გამომეტყველებით შემომხედა. მოგვიანებით, მარ-

ტოობით გაჟღენთილ დღეებში ამ სურათს გავიხსენებდი. რადგან აუცილებლად მექნებოდა დღეები, როცა თავს მარტოსულად ვიგრძნობდი. ცუდი დღეებიც. ისეთი დღეებიც, როცა ეჭვი შემეპარებოდა, რატომ დავთანხმდი ამ წყეულ სამუშაოს ნიუ-იორკში. ეს დიდი თავგადასავლის პატარა ნაწილი იქნებოდა.

„მიყვარხარ“, — ჩუმად, ტუჩების მოძრაობით ვუთხარი. დარწმუნებული არც ვიყავი, ამ სიშორიდან დაინახავდა თუ არა.

მერე კი, პასპორტით ხელში, გავტრიალდი.

ის ალბათ ისევ იქ იდგებოდა. ფანჯრიდან დაინახავდა, როგორ აკრეფდა სიჩქარეს თვითმფრინავი და ლურჯ ცაში აიჭრებოდა. მერე კი, თუ გამიმართლებდა, ისევ დამელოდებოდა, როცა სახლში დავბრუნდებოდი.